თანამედროვე
საერთაშორისო ურთიერთობების
აქტუალური პრობლემები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2019

წინამდებარე კრებულში შესულია პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ,,**საერთაშორისო თანამედროვე ურთიერთობები**" ფარგლებში დამუშავებული სხვადასხვა აქტუალური პრობლემები. მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი „რბილი ძალის" როლს საერთაშორისო ურთიერთობებში, შესწავლილია „საერთაშორისო კიბერტერორიზმი და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგია". კრებულში ასევე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამეცნიერო-კვლევითი პროექტით გათვალისწინებული კვლევები: „მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე და საქართველო", „გლობალური პოლიტიკური ტრანსფორმაციები დასავლეთში და საქართველო" და „მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში".

კრებული განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლების, სამივე საფეხურის (დოქტორანტურის, მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის) სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველებისათვის.

რედაქტორი: პროფ. **ედიშერ გვენეტაძე**

რეცენზენტი: პროფ. **სოსო სიგუა**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნონა ცაბაძე

© სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, 2019
© ავტორები, 2019

გამომცემლობა **„უნივერსალი", 2019**
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4 ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-493-1

წ ი ნ ა თ ქ მ ა

თანამედროვე საერთაშორისო სისტემა პლანეტის სახელმწიფოთა ერთობლიობაა, დიდი თუ მცირე სახელმწიფოებით, განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნებით, რომლებიც მონაწილეობენ მსოფლიოში მიმდინარე ურთულეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში.

ცხადია, საქართველო, თავისი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ყოველთვის იყო ჩართული მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში, დგამდა საგარეო-პოლიტიკურ ნაბიჯებს, ეწეოდა დიპლომატიურ საქმიანობას, ჰქონდა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები, დებდა ხელშეკრულებებს და ა.შ.

წინამდებარე კრებულში შევიდა პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში პროფესორ-მასწავლებლების მიერ პროექტის ფარგლებში დამუშავებული სხვადასხვა აქტუალური პრობლემები.

სამეცნიერო კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა „რბილი ძალის“ როლს საერთაშორისო ურთიერთობებში, მითუმეტეს ის მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობასა და წონას იძენს და, ფაქტობრივად, XXI საუკუნის მსოფლიო განვითარების სტრატეგიული მიმართულება გახდა და მასზე დაფუძნებული პოლიტიკა სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს, როგორც წმინდა შემეცნებითი და მეცნიერული თვალსაზრისით, ისე პრაგმატული გააზრებით. ამ მიმართებით გასაანალიზებელია „რბილის ძალის“ თეორიისა გამოყენებითი დანიშნულება საქართველოს მომავალი განვითარებისათვის.

წარმოდგენილ ნაშრომში პირველად ესმება ხაზი „რბილი ძალის“ თეორიის ავტორის ჯოზეფ ნაის შეხედულებებს, „რბილი ძა-

ლის“ საკვანძო მიმართულებებზე, დიდი ქვეყნების „რბილი ძალის“ ურთიერთმიმართებას პატარა ქვეყნებზე.

პროექტის ფარგლებში დამუშავდა და კრებულში იბეჭდება საერთაშორისო კიბერტერორიზმის და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგიის პრობლემები. აღნიშნული პრობლემის აქტუალურობა განპირობებულია საინფორმაციო საკომუნიკაციო და კიბერტექნოლოგიების წარმოუდგენლად არნახული განვითარებით, მითუმეტეს, კიბერთავდასხმების განუსაზღვრელი მასშტაბები მთელი მსოფლიოს წინაშე აყენებს უშიშროების უზრუნველყოფის ზომების გაძლიერების აუცილებლობას.

ცხადია, კიბერსაფრთხეების ასეთი მზარდი მასშტაბის არეალში მოიაზრება საქართველოც, რომლის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა, მრავალ ახალ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, მითუმეტეს თანამედროვე ომებს ახასიათებს თვისებანი და მათ შორის წინა პლანზე იწევა ინფორმაციული ომი. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური, კიბერომი, კიბერტერორიზმი და ა.შ.

კრებულში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პროექტით გათვალისწინებული თემა: „მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე და საქართველო“. საქართველოს განათლების სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კომუნიკაციას განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე საზოგადოებების მომავლის წარმართვაში. წარმოდგენილ კვლევაში ანალიზდება განათლების სისტემაში დაგროვილი მსოფლიო გამოცდილება. დახასიათებულია ბოლონიის, გერმანული, ფინური და სხვა განათლების მოდელები და სისტემები. კრიტიკულად არის შეფასებული საქართველოს განათლებისა სფეროში მიმდინარე პროცესები.

წინამდებარე კრებულში ასევე იბეჭდება პროექტით განსაზღვრული გამოკვლევა „გლობალური პოლიტიკური ტრანსფორმაციები დასავლეთში და საქართველო“, სადაც შესწავლილი და გაანალიზებულია დასავლეთში მიმდინარე გლობალურ პოლიტიკურ ტრანსფორმაციებთან დაკავშირებული თანამედროვე საერთაშო-

რისო პოლიტიკის იდეოლოგიური, ღირებულებითი და ინსტიტუციური პრობლემები და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

კრებულში წარმოდგენილია პროექტის ჩარჩოებში შესრულებული თემა „მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში“. აღნიშნული საკითხი გლობალიზაციის ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელიც პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, რელიგიურ, დემოგრაფიულ და სხვა პრობლემებს მოიცავს.

გამოკვლევაში ავტორების მიერ წინ არის წამოწეული ევროკავშირისა და აშშ-ის დამოკიდებულება მიგრაციული პროცესების და, მათ შორის, ლტოლვილთა მიღების მიმართ. დახასიათებულია აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა. მოცემულია საქართველოს ხელისუფლების საიმიგრაციო სტრატეგია და ტაქტიკა.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ,,**საერთაშორისო თანამედროვე ურთიერთობები**” ფარგლებში ასევე განხორციელდა და ფაკულტეტის მხარდაჭერით გამოიცა პროფესორ იგორ კვესელავას 850-გვერდიანი მონოგრაფია „საქართველო და მსოფლიო - უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე“.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა 3

იგორ კვესელავა, ვაჟა შუბითიძე, ზურაბ კვეტენაძე

„რბილი“ და „ხისტი“ ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში 11

შესავალი 12

მსოფლიო მოწყობის პრობლემის თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები 14

გლობალიზმი და კავკასიური ინტეგრაციის პრობლემები . 16

კულტურა, როგორც „რბილი ძალის“ წყარო..... 25

შიდა ღირებულებები და პოლიტიკა..... 32

საგარეო პოლიტიკის არსი და მიმართულება..... 36

„რბილი ძალის“ კონცეფცია და არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტები 41

„რბილი ძალის“ ადრეული ძალისხმევები 46

საზოგადოებრივი დიპლომატია საინფორმაციო ხანაში 51

სახალხო დიპლომატიის ფორმა 53

ამერიკული სახალხო დიპლომატიის მომავალი 64

„ამერიკული იმპერია“ 67

ამერიკული საგარეო პოლიტიკის ტრადიციები 70

პოლიტიკურ მეცნიერებაში „გლობალური რეგიონის“ ფენომენის კვლევის კონცეპტუალური საფუძვლები 74

ცნება „ინტეგრაციის“ ევოლუციის თეორიული საფუძვლები..... 74

მსოფლიო პოლიტიკურ პრაქტიკაში საერთაშორისო ინტეგრაციის ფენომენის წარმოქმნის ისტორია 75

კონცეპტუალური მიდგომები ცნება „საერთაშორისო ინტეგრაციის“ განსაზღვრისადმი 79
რეგიონალიზმი და რეგიონალიზაცია მსოფლიო პოლიტიკაში 102
რეგიონალიზმი: ძველიდან „ახლისკენ“ 104
გამოყენებული ლიტერატურა 108

ჰენრი კუპრაშვილი, გიორგი კალანდაძე, ნინო ოდიშელიძე

საერთაშორისო კიბერტერორიზმი და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგია 111

შესავალი 112
ინფორმაციულ ეპოქამდელი და თანამედროვე ომების თავისებურებანი 114
ინფორმაციული ომი და მისი ორი შემადგენელი: საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი, კიბერომი 121
გამოწვევები კიბერსივრცეში..... 138
კიბერტერორიზმი 146
ეროვნული უშიშროება, ინფორმაციული უშიშროება, კიბერუშიშროება 154
ინფორმაციული ომის (კიბერომის) სამართლებრივი ასპექტები 161
დასკვნა..... 178
გამოყენებული ლიტერატურა 180

მანანა დარჩაშვილი, ქეთი ჯიჯეიშვილი, მაია ყიფიანი, ლალი კაპანაძე, ეკა ბუხრაშვილი, ლია მეტრეველი

მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე და საქართველო..... 191

შესავალი 192
ბოლონიის პროცესი 195
ბოლონიის სისტემის დადებითი და უარყოფითი
მხარეები 195
გერმანიის პროფესიული განათლების
(დუალური) სისტემა 205
ფინეთის განათლების სისტემა..... 210
აშშ განათლების სისტემა 232
ჰარვარდის უნივერსიტეტი 239
განათლების ადგილი ქართველი ხალხის სოციალურ
ცხოვრებაში - ისტორიული რაკურსი 251
განათლების ადგილი თანამედროვე
ქართულ პოლიტიკაში 263
ქართული განათლების კერები უცხოეთში..... 277
ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში 290
გამოყენებული ლიტერატურა 296

თამარ დარჩია, ემილია ალავერდოვი,
ნინო ოთხოზორია, ნათია ლაცაბიძე

მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში:
გამოწვევები და პერსპექტივები 301

შესავალი 302
მიგრაციის არსი, სახეები და ფაქტორები..... 305
ისტორიული მიმოხილვა 305
მიგრაციის მიზეზები 311
ლტოლვილთა ნაკადები ევროპაში: ღია კარის პოლიტიკა... 318
მიგრაციის საკითხების შესწავლის კონცეპტუალური
მიდგომები..... 320
ემიგრაციის კულტურული და რელიგიური პრობლემები... 326
ახალი თავშესაფრის პროცედურები 332

ხმელთაშუა ზღვის მარშრუტით მოგზაურობა: რისკები და
გამოწვევები 343
თავშესაფრის მაძიებელთა უფლებები და ვალდებულებები
საქართველოში 352
დონალდ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა 364
შრომითი მიგრაცია საქართველოდან რუსეთში
რისკები და გამოწვევები 386
შრომით მიგრანტთა დემოგრაფიული სტრუქტურა 394
შრომით მიგრანტთა სამშობლოში დაბრუნების
პერსპექტივები 396
შრომითი მიგრაცია საქართველოდან საბერძნეთში..... 398
სოციალური ქსელის როლი შრომით მიგრაციაში 401
საბერძნეთში მცხოვრებ ქართველ მიგრანტთა
მდგომარეობა..... 405
შრომითი მიგრაცია საქართველოში 4408
საქართველოს მიგრაციის სტრატეგია 422
დასკვნა 436
გამოყენებული ლიტერატურა 442

გიორგი ჩხიკვიშვილი, პაპუნა მაჩაიძე,
დავით მაისურაძე, ბექა ნამორაძე

გლობალური პოლიტიკური ტრანსფორმაციები დასავლეთში
და საქართველო 459

შესავალი 460
ლიბერალური ინსტიტუტების კრიზისი
XXI საუკუნის დასაწყისში..... 462
მულტიკულტურალური ტერორიზმი 474
ნაციონალიზმის რეანიმაციის პროცესები
თანამედროვე ევროპაში..... 487

აშშ-ს 45-ე პრეზიდენტის დონალდ ჯონ ტრამპის
ნეოკონსერვატორული პოლიტიკა 596
დასავლური პროცესების ასახვა ქართულ პოლიტიკურ
სივრცეში 507
გამოყენებული ლიტერატურა 510

იგორ კვესელავა,
ვაჟა შუბითიძე
ზურაბ კვეტენაძე

„რბილი“ და „ხისტი“ ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში

შესავალი

თუ „ხისტ“ ძალაზე მეცნიერები დიდი ხანია მსჯელობენ, „რბილი ძალა“ შედარებით ახალი ტერმინია, რომელსაც 30წლის ისტორია აქვს, თუმცა მისი შინაარსი მთლად ახალი არაა.

ჩვენი დაინტერესება რბილი ძალის თეორიით, განპირობებულია მისი აქტუალობით თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში: იგი დღეს მართლაც ერთ-ერთი მოდერნისტული თეორიაა და ნელ-ნელა საერთაშორისო ურთიერთობების განმსაზღვრელი ხდება. მეორეც, „რბილ ძალას“ განსაკუთრებით ხშირად იყენებენ პატარა ქვეყნების (მაგ., საქართველო) მიმართ, ამიტომ ამ თეორიის კარგად გააზრებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის.

როგორც „ხისტი“, ასევე „რბილი ძალის“ გამოყენება დაკავშირებულია დიდ სახელმწიფოებთან (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ.) და ხორციელდება განსხვავებული ფორმებითა და მეთოდებით.

1990-იან წლებში აშშ საგარეო პოლიტიკის არსენალში (ისევე როგორც სხვა დიდი ქვეყნების, თუ არ ჩავთვლით 1991 წლის ერაყის სამხედრო კამპანიას) „რბილი ძალის“ მეთოდები ჭარბობდა. მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრიდან აშშ-ზე მომხდარი ტერაქტების შემდეგ, ხისტი ძალა კვლავ დომინირებული გახდა ავღანეთისა და ერაყის საომარი კამპანიების გამო და მასზე იხარჯებოდა 400-ჯერ მეტი ფულადი რესურსი, ვიდრე „რბილი ძალის“ რესურსებზე. როცა ამ ქვეყნებში საომარი კამპანიები ძირითადად დამთავრდა, „რბილმა ძალამ“ კვლავ მოიპოვა მნიშვნელოვანი პოზიციები საერთაშორისო ურთიერთობაში, თუმცა დაეშის („ისლამური სახელმწიფო“) წინააღმდეგ ბრძოლამ და სირიის სამხედრო კრიზისმა, კვლავ გასაქანი მისცა „ხისტი ძალის“ ფართოდ გამოყენებას აშშ-რუსეთის მიერ.

ამავდროულად, რაც დრო გადის, ომი სულ უფრო ძვირი სიამოვნება ხდება და უამრავ საბიუჯეტო სახსარს ნთქავს. შესაბამისად, უნდათ თუ არ უნდათ, „რბილი ძალის“ მნიშვნელობა მაინც იზრდება მისი სიიაფისა და მნიშვნელობის გამოც.

რბილი ძალა სამ ძირითად რესურსს ეყრდნობა:

1. კულტურა;
2. პოლიტიკური ღირებულებები;
3. საგარეო პოლიტიკა.

დღეს დიდი ქვეყნების უმრავლესობა სულ უფრო იხრება „ხისტი“ და „რბილი“ ძალის კომბინირებისაკენ, რასაც მივყავართ „ჭკვიანი ძალის“ ამოქმედებამდე, რომელშიც ორივე ელემენტია გათვალისწინებული შექმნილი მდგომარეობის და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანის გათვალისწინებით.

„ხისტი ძალა“ დღესაც მთავარი არგუმენტია, მაგრამ სულ უფრო იზრდება რბილი ძალის მიმზიდველობა და ეფექტი საერთაშორისო ურთიერთობებში.

მსოფლიო მოწყობის პრობლემის თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები

„რბილი ძალის“ თეორიას ჩვენი ქვეყნის მიმდინარე პოლიტიკისა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებისათვის პრაქტიკული დანიშნულება აქვს. 2008 წელს ევროკავშირმა მიიღო ევროპის ქვეყნების საერთო კონსტიტუცია, მანამდე განხორციელდა უვიზო მიმოსვლის პრინციპი მთელი ევროპის მასშტაბით და შემოღებული იქნა ერთიანი სავალუტო ფულის ერთეულიც _ „ევრო“. ყველაფერმა ამან ნათელი გახადა ის უდავო ფაქტი, რომ დღევანდელი ევროპა გადაიქცა ერთიან სამართლებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ სივრცედ, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში. თუ გავითვალისწინებთ ნატოს როლსაც, ნათელი გახდება ევროპის ეს დიდი მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიო განვითარებაში.

ევროკავშირისა და ნატოს სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება „აღმოსავლეთის“ პრობლემა, ანუ ევროკავშირის „აღმოსავლეთით გაფართოების სტრატეგია“, რომელიც სამხრეთ კავკასიის და, კერძოდ, საქართველოსთვის. ეს ყველაფერი თავის მხრივ, საწყისს იღებს ჯერ კიდევ 1999 წელს აშშ კონგრესის მიერ მიღებული კანონიდან _ „აბრეშუმის გზის სტრატეგია“. ეს კანონი არეგულირებს აშშ პოლიტიკას მთელ ევრაზიულ სივრცეში, მათ შორის საქართველოსა და კავკასიაშიც. დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის. დღეს საქართველოსა და კავკასიაში ბევრი კონფლიქტი და დაძაბულობის კერაა, რაც საფრთხეს უქმნის ყველა კავკასიელი ხალხის მშვიდობას. აშშ და ევროპას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ამ საფრთხის თავიდან აცილებაში, რაც ზემოაღნიშნული კანონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ამოცანაა.

ცნობილია, რომ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე კავკასიას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო და ევროკავშირს

დაევალა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებისას პრიორიტეტად განსაზღვრული იქნას კავკასიასთან დაკავშირებული პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტა. ერთი სიტყვით, დღესაც და როგორც ჩანს უახლოეს მომავალშიც კავკასია მუდმივად რჩება საერთაშორისო ურთიერთობათა ეპიცენტრში. „კავკასია _ დედამიწის შუბლი“, ასე მხატვრულად გამოხატეს კავკასიის ადგილი და როლი ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა ანატიკურ ხანაში. მას შემდეგ შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული ეს რეგიონი ყოველთვის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა მსოფლიო ისტორიაში. დღესაც მას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ევრაზიის სუბკონტინენტზე მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებში. კავკასიისა და კავკასიელი ხალხების ამ დიდ ისტორიულ მისიაზე გამოკვეთილად მიუთითებს დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი.

1817 წელს გამოცემულ თავის ფუნდამენტალურ გამოკვლევაში „გონის ფილოსოფია“ იგი წერს: „კავკასიურ რასაში აღწევს გონი აბსოლუტურ იგივეობას თავისთავთან. აქ შედის გონი სრულყოფაში, თავის თავს იმეცნებს თავის აბსოლუტურ დამოკიდებულებაში, თავს აღწევს მერყეობას ორ უკიდურესს შორის, აღწევს თავის თავის განსაზღვრას და ამით მსოფლიო ისტორიას წარმოშობს“.[1]

ჰეგელისათვის აბსოლუტური სულის, ანუ ღმერთის შემეცნება ადამიანის უმთავრესი დანიშნულებაა. ღმერთმა ადამიანი იმიტომ მოავლინა დედამიწაზე, რომ მისი საშუალებით მოახდინოს და განახორციელოს „თვითშემეცნების პროცესი. ამ პროცესში კი მთავარი ძალა კავკასიური რასაა, განსაკუთრებით, ქართველები და ჩერქეზები“, აღნიშნავს იგი.[2] აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ჰეგელისთვის კავკასიის მრავალრელიგიურობა დაბრკოლება არაა. პირიქით, კავკასიას შეუძლია აჩვენოს მსოფლიოს რელიგიათა თანამშრომლობისა და თანაცხოვრების დიდი სიკეთე და ზნეობრივი აღმატებულობა. ამ მხრივ, იგი მაღალ შეფასებას აძლევს მაჰმადიანობას“

[1] ჰეგელი, „გონის ფილოსოფია“. თბ., 1984. გვ. 63.
[2] ჰეგელი, „გონის ფილოსოფია“. თბ., 1984. გვ. 61.

„მაჰმადიანობაში ებრაელთა შეზღუდული პრინციპი დაძლეულია საყოველთაობისკენ გამვრცობის გზით. აქ ღმერთი აღარ განიხილება როგორც უშუალოდ გრძნობადი წესით არსებული, რასაც ადგილი აქვს ებრაელებთან. მაჰმადიანობაში ღმერთი გაგებულია როგორც სამყაროს ყოველივე სიმრავლეზე ამაღლებული ერთი უსასრულო ძალა. ამიტომ მაჰმადიანობა ამაღლებულობის რელიგიაა. მისი სიმამაცე და ლმობიერება დღესაც ჩვენგან აღიარებას იმსახურებს“.[3]

გლობალიზმი და კავკასიური ინტეგრაციის პრობლემები

ზბიგნევ ბჟეზინსკი, პოლონური წარმოშობის დიდი ამერიკელი პოლიტოლოგი, თავის გახმაურებულ მონოგრაფიაში _ „დიდი საჭადრაკო დაფა“, წერს: „XXI საუკუნის მსოფლიო განვითარება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარიმართება პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ევრაზიულ სივრცეებში. ეს უზარმაზარი სივრცე ატლანტიკის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე გადაწყვეტს მსოფლიო ბედს უახლოეს ათწლეულებში. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევრაზიის სუბკონტინენტზე კავკასიას და კასპიისპირეთს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აშშ-ის თანამედროვე გეოპოლიტიკაში“.[4]

ზბიგნევ ბჟეზინსკი აშშ-ს პრეზიდენტის ბაკარ ობამას მრჩეველიც იყო და გარდა პოლიტოლოგიის თეორიული პრობლემების კვლევისა, პრაქტიკულ პოლიტიკაშიც აქტიურად იყო ჩართული.

„უატომო მსოფლიოს“ ობამას იდეა სწორედ ზბიგნევ ბჟეზინსკიდან მოდის. ჩვენ გვინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქ-

---

[3] ჰეგელი, „გონის ფილოსოფია“. თბ., 1984. გვ. 64.

[4] ბჟეზინსკი ზ., „დიდი საჭადრაკო დაფა“, თბ., 2005 , გვ. 168.

ციოთ ზ. ბჟეზინსკის კვლევის იმ ნაწილს, რომელიც კავკასიურ პრობლემებს და მათ მომავალ გადაწყვეტას ეხება.

ყველასათვის ცხადია, რომ დღეს კავკასია თითქმის ყველა სახელმწიფოს ინტერესთა ობიექტივში მოექცა. ეს განსაკუთრებით ეხება თანამედროვე მსოფლიოს სამ დიდ სამხედრო-პოლიტიკურ ძალას – ამერიკას, ევროპას და რუსეთს.

ასეთ ვითარებაში წინ იწევა ინტეგრაციული პროცესების მნიშვნელობა კავკასიის მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის. დღეს საქართველოსა და კავკასიაში ბევრი კონფლიქტები და დაძაბულობის კერებია, რაც საფრთხეს უქმნის ყველა კავკასიელი ხალხის მშვიდობას. აშშ და ევროპას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ამ საფრთხის თავიდან აცილებაში, რაც ზემოაღნიშნული კანონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ამოცანაა.

ეს მითუმეტეს აუცილებელია იმ ფონზე, რაც დღეს შეიქმნა როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოთ კავკასიაში. ამიტომ არის, რომ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე კავკასიას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო და ევროკავშირს დაევალა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებისას პრიორიტეტად განსაზღვრული იქნას კავკასიასთან დაკავშირებული პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტა. ერთი სიტყვით, დღესაც და როგორც ჩანს უახლოეს მომავალშიც, კავკასია მუდმივად რჩება საერთაშორისო ურთიერთობათა ეპიცენტრში. ამიტომ კავკასიის პრობლემატიკა განსახილველია სწორედ ასეთი გლობალური გააზრებით. გლობალურის გარეშე ხომ რეგიონალურ პრობლემებს ვერასოდეს გადავჭრით. ამასთან, ვფიქრობთ, კარგი იქნება იმ ისტორიული ფონის მოხაზვაც, რაც პირდაპირ და უშუალოდ ეხება კავკასიას.

ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის გარკვეულ ორიენტირს წარმოადგენს 1999 წელს აშშ სენატის მიერ მიღებული კანონი _ „აბრეშუმის გზის სტრატეგია“, რომელიც სამართლებრივი თვალთახედვით, განსაზღვრავს აშშ პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულე-

ბებს მთელ ამ უზარმაზარ ევრაზიულ სივრცეში. თვითონ კანონის სახელწოდებაც კი მიგვითითებს, თუ როგორ აქვთ წარმოდგენილი თანამედროვე ამერიკის მმართველ წრეებს ეს სტრატეგია: თუ ძველი „აბრეშუმის დიდი გზა“, რომელიც ამ 2000 წლის წინ ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროს და რომელიც მოიცავდა სივრცეს ჩინეთის დიდი კედლიდან ატლანტიკის ოკეანემდე, ეს იყო ევროპისა და აზიის გაერთიანების პირველი ცდა და საშუალება, ახლა სავაჭრო ქარავნების ნაცვლად მთელი ევრაზიული სივრცის გაერთიანება თანამედროვე ტექნოლოგიურ პირობებში ეკონომიკურთან ერთად, ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური სტრატეგიაა.

კავკასია კი, ისე, როგორც მაშინ, დღესაც ამ ევრაზიული სივრცის თავისებური გასაღები და გზაჯვარედინია. ნავთობისა და გაზის უზარმაზარი საბადოების აღმოჩენამ კასპიისპირეთსა და შუა აზიაში კიდევ უფრო გაზარდა კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ევროპისა და საერთოდ, მთელი დასავლეთისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და აზერბაიჯანის სტრატეგიულ მოკავშირეობას. სხვათა შორის, ეს ფაქტორი გარკვეულწილად განსაზღვრულია ზემოთ ხსენებული „აბრეშუმის გზის სტრატეგიით“. მივადევნოთ თვალი მის ცალკეულ პუნქტებს, მის პრეამბულაში ვკითხულობთ:

„ანტიკური აბრეშუმის გზის აღდგენა არის მნიშნელოვანი ელემენტი სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური ძლიერების, პოლიტიკური სუვერენიტეტის და დემოკრატიული რეფორმების უზრუნველსაყოფად. ბევრ ქვეყანას კავკასიაში ოდითგანვე მუსლიმანური რელიგია აქვს და შესაბამისად, მუსლიმანური მთავრობა ჰყავს, რომლებიც ცდილობენ ახლო კავშირის დამყარებას აშშ-თან. აქ გაზისა და ნავთობის საკმაო რაოდენობაა, რაც აშშ-ის დახმარების მეშვეობით რეალიზებული უნდა იქნას საერთაშორისო მასშტაბით ახალი ინფრასტრუქტურების შექმნითა და განვითარებით“.[5]

[5] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.06.1999.

ყოველივე ამას ერთი თეორიული ბაზა აქვს, რომლის ფესვები მოდის ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებიდან და რომელიც ცნობილია ლეონტი მროველის მეტად ლაკონური, მაგრამ ამასთან, მეტად ღრმა შინაარსიანი ფორმულით – „კავკასიის ერთიანი სახლი“. ჩვენს ეპოქაში მას დასრულებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციის სახე მისცა ილია ჭავჭავაძემ. ადრეც ავღნიშნეთ და ხაზი გავუსვით მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის მნიშვნელობას კავკასიის და საქართველოს უძველეს ისტორიულ ტრადიციებს. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია, „ყონაღობის“ ტრადიცია, რომლის არსს შეადგენს კავკასიის მაჰმადიანური და ქრისტიანული მოსახლეობის მეგობრობა და კეთილმეზობლობა. ეს ტრადიცია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ატარებდა ერეკლე II-ის დროს. მისი და კავკასიის მაჰმადიანური სახანოების „ყონაღობა“ საყოველთაოდაა ცნობილი. ისიც ფაქტია, რომ კრწანისის ომის დროს ერეკლე II სიკვდილს გადაარჩინა ბორჩალოელ თათართა რაზმმა, ხუდია ბორჩალოელის მეთაურობით, რომელმაც გაჭირვების დროს არ მიატოვეს იგი _ თვითონ ბრძოლაში ვაჟკაცურად დაიღუპნენ და ერეკლე მეფეს საშუალება მისცეს თვი დაეღწია მტრისა ლყისათვის,

„ყონაღობის“ ტრადიცია დღესაც ცოცხალია კავკასიელ ხალხთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს განსაკუთრებით ითქმის კახეთზე და მის მომიჯნავე აზერბაიჯანის დასავლეთ რაიონებში მცხოვრებ მაჰმადიანურ მოსახლეობაზე. ქართველი და აზერბაიჯანელი ყონაღები აქტიურად ურთიერთობენ ერთმანეთში, ცვლიან ერთმანეთს შორის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და ამით ფაქტიურად ერთიანი სამეურნეო კორპორაცია აქვთ შექმნილი. ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ამ ტრადიციის გაგრძელება და განვითარება თავისებური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დონეზე აყვანა. ამ გზით მკვიდრი საფუძველი ჩაეყრება „საერთო ბაზრის“ შექმნას არა მარტო ამ რეგიონში, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით.

„კავკასიის საერთო ბაზრის“ შექმნაში დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია ევროკავშირს. ამ მიზნის განხორციელების გზაზე მთავარი დაბრკოლება წლების მანძილზე გაჭიანურებული კონფლიქტებია და ამიტომ მთავარი ძალისხმევაც უნდა მიმართული იქნას მათ გადაწყვეტაზე. მაგრამ ეს შეუძლებელია, თუ ამ პროცესში თავისი პოზიტიური როლი არ ითამაშა რუსეთმა.

ამის ერთადერთი გზა და საშუალება თვითონ კავკასიელი ხალხების ხელშია და დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეძლებენ კავკასიელები ღირსეული პასუხი გავცეთ თანამედროვე ეპოქის გლობალურ გამოწვევებს. გლობალიზმი არ დაინდობს იმ ქვეყნებს და ხალხებს, რომლებიც ვერ შეძლებენ შეინარჩუნონ თავიანთი ეროვნული თვითმყოფადობა – ენა, კულტურა, ტრადიციები. რა არის საერთოდ გლობალიზმი? მისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური არსი?

მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვათ, გლობალიზმი ეს არის წინა საუკუნეებში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების დამაგვირგვინებელი დღევანდელი ეტაპი. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე წინასწარმეტყველებდა, რომ კაპიტალიზმი თავის ინტეგრაციულ პროცესებს ისეთი სწრაფი ტემპებით ანვითარებს, რომ სულ მალე ევროპა გაერთიანდება და მას დანარჩენი მსოფლიოც მიჰყვება. „უსაზღვრო მსოფლიო“ – აი, რას მივიღებთ ბოლოს, აღნიშნავდა იგი და ის ერი და ქვეყანა შეინარჩუნებს თავის ადგილს ამ მსოფლიოში, ვინც „არ მოწყდება თავის ისტორიას და ფსიქო-გენეტიკურ ფესვებს“. ეს კი კავკასიელებმა შეიძლება შეძლონ მხოლოდ ერთიანი ძალით. ამიტომ იბრძოდა კავკასიის გაერთიანებისათვის ილია და მისი მიმდევრები.

ამ გაერთიანებისათვის შექმნა მან „საერთო ნიადაგის“ თეორია, რომელიც ორ ათეულზე მეტ პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და ზნეობრივ პრინციპს მოიცავს.

„საერთო ნიადაგის“ თეორია და მისი ერთ-ერთი პრინციპი _ ქრისტიან და მაჰმადიან კავკასიელთა ძმობისა და ერთობის იდეა უნდა დაედოს საფუძვლად კავკასიის ერთობისა და ინტეგრაციის პროცესს XXI საუკუნეში, რაც შეეხება ამ პროცესის პოლიტიკურ ფორმებს, ის შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგალითად, თვითონ ილიას დროს მან და მისმა თანამოძმეებმა, კერძოდ კი, არჩილ ჯორჯაძემ და ვარლამ ჩერქეზიშვილმა წამოაყენეს კავკასიის ხალ-ხების კონფედერაციული და ფედერაციული გაერთიანების თავი-სებურ კონგლომერატი. ევროპაში მცხოვრები და მოღვაწე ვარლამ ჩერქეზისვილი, რომელიც „ანარქო-სინდიკალიზმის“ აღიარებული ლიდერი გახდა აქ, გრიგოლ რობაქიძესთან ერთად მოითხოვდა თავისებური „ევრაზიული შვეიცარიის“ შექმნას კავკასიაში. გარკ-ვეული პოპულარობით სარგებლობს „კავკასიის ნეიტრალიტეტის“ იდეაც, რომელიც უნდა აწყობდეს რუსეთსაც, რაც მისი სამხრეთის საზღვრების სტაბილურობას და უსაფრთხოებას უზრუნველყოს.

პოლიტიკოსის ვალია წინ იყურებოდეს მუდამ, შორს ჭვრეტ-დეს მოვლენათა განვითარებას და ილიაც რუსეთის, კავკასიის და საქართველოს ისტორიულ განვითარებას ერთიან ინტეგრაციულ პროცესსაც მოიაზრებდა. ათობით წერილი და სტატია აქვს მას ამა-ზე, „რაც არ უნდა მოხდეს, რუსეთთან დაპირისპირება და მტრობა საქართველოს და ქართელ ხალხს ხეირს არაფერს მისცემს“. ასეთია მისი პოლიტიკური კრედო და ანდერძი ჩვენთვის. რუსოფილობას იგი ქართული პოლიტიკის დამღუპველ მოვლენად განიხილავდა. მას მიაჩნდა, რომ თვითონ რუსეთის განვითარებაც პეტრე დიდის მიერ გაკვალული გზით წავა და „ევროპაში გაჭრილი ფანჯარა“ ბოლოსდაბოლოს რუსეთს და ევროპას ერთიან სივრცედ აქცევს. ევრაზიის ინტეგრაციის მომავალსაც ამაში ხედავდა. ამიტომ უჭერდა მხარს რუსულ ლიბერალიზმს და „ზაპადნიკობას“.

„ილია და რუსეთი“ ეს დიდი პოლიტიკური თემაა და მისი პოლიტოლოგიური ანალიზი ბევრ პოზიტიურ ელემენტს შეიცავს

დღესაც. რუსეთი, კავკასია და საქართველო, როგორც იტყვიან, განწირულნი არიან თანაცხოვრებისთვის.

ყველაფერი მაინც დამოკიდებულია აშშ-სა და ევროპის პოლიტიკურ გააქტიურებაზე იმისათვის, რომ უზრუნველყოს კავკასიის მშვიდობიანი და სტაბილური განვითარება. აქეთკენ არის მიმართული ზემოთ ხსენებული აშშ-ის კანონი _ „აბრეშუმის გზის სტრატეგია“, აგრეთვე, ნატოსა და ევროკავშირს „აღმოსავლეთით გაფართოების სტრატეგიაც. კავკასიაში არის შანსი შეიქმნას ისეთი მრავალეთნიკური გაერთიანება, რომელიც თავისებურ ნიმუშად შეიძლება გამოდგეს კაცობრიობის მომავალი განვითარებისათვის, იმისათვის, რასაც დღეს პოლიტოლოგიაში „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დეფინიციით არის დამკვიდრებული. მასში კავკასიას შეუძლია თავისი სიტყვა თქვას. მთავარია დასავლეთმა დაარწმუნოს რუსეთი, რომ მშვიდობიანი და სტაბილური კავკასია პირველ რიგში მის ინტერესებში შედის. XXI საუკუნეში შეუძლებელია ძალით დათრგუნო ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, რასაც იგი აკეთებდა XIX-XX საუკუნეებში. რუსეთშიც არიან პოლიტიკური ძალები – ე.წ. „ზაპადნიკები“ ანუ მედასავლეთენი, რომლებიც რუსეთის დასავლეთთან ინტეგრაციის მომხრეები არიან და რომლებიც კარგად გრძნობენ გლობალიზმის ეპოქის ამ ახალ მოთხოვნებს.

ამ კონტექსტში საინტერესოა, კავკასიაში ე.წ. „ავტოქტონური და არაავტოქტონური ცნობიერების“ პრობლემა. იგი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რამდენადაც საუკუნეთა მანძილზე ხდებოდა ჩვენს რეგიონში მიგრაციული პროცესები, რის შედეგადაც დღეს კავკასიაში კავკასიელების გარდა არაკავკასიელებიც ცხოვრობენ.

ამ კონტექსტში საჭიროა მისი სამი ძირითადი მიმართულებით გააზრება და გადმოცემა:

1. გეოგრაფიული და სოციალური ფაქტორის გათვალისწინება და ანალიზი:

ა) კავკასიის, შავი და კასპიის ზღვების, გომბორისა და თრიალეთის ქედების როლი ადგილობრივი მოსახლეობის ავტოქტონური ცნობიერების ფორმირებაში;

ბ) „კოლხეთი“ და „იბერია“ ანტიკური ეპოქის პირველი ქართული სახელმწიფოები;

გ) მეზობელი ხალხები და სახელმწიფოები – პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინტერგრაციის თავისებურებანი. „აბრეშუმის დიდი გზა“, აზიიდან ევროპისაკენ. საქართველო ევრაზიული სივრცის დამაკავშირებელი „ხიდი“.

2. ისტორიული და ეთნო-კულტურული ფაქტორები არაავტოქტონური ცნობიერების ფორმირებაში:

ა) „ხალხთა დიდი გადასახლებანი“ პრეისტორიულ ეპოქაში ერთიანი კავკასიური ცნობიერების და „იბერიულ-კავკასიური“ ენათა ჯგუფის ფორმირება. ამ ისტორიული პროცესის ეთნიკურ-გენეტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები;

ბ) ემიგრაციის პირველი ტალღები საქართველოსა და კავკასიაში;

- ებრაული ემიგრაცია პალესტინიდან და შუამდინარეთიდან (ძვ. წ. VI-V საუკუნეებში);
- რომაული და ბერძნულ-ბიზანტიური კოლონიები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე;
- არაბები, თურქ-სელჩუკები და მონღოლები საქართველოსა და კავკასიაში;
- რელიგიური და ეროვნული შემწყნარებლობის ისტორიული და კულტურული ფესვები;

გ) რუსეთის იმპერია და იმიგრაცია საქართველოდან და კავკასიიდან XIX-XX საუკუნეებში:

„მუხაჯირობა“ აფხაზეთიდან და ჩერქეზეთიდან:

„თურქი მესხები“ და მაჰმადიანი ქართველები II მსოფლიო ომის დროს.

პოსტკომუნისტური ეპოქის ეთნოკონფლიქტების არსი და „კავკასიური ყონაღობის“ (კეთილმეზობლობისა და მეგობრობის) ფენომენი. „შეჯახების“ ნაცვლად დიალოგი.

ევროკავშირის როლი 1944 წელს საქართველოდან შუა აზიაში გასახლებული მაჰმადიანი მესხების ისტორიულ სამშობლოში დასაბრუნებლად და მათი ადაპტაციის პროცესების წარმართვაში. ამ მიმართებით არსებული ევროკავშირის სხვადასხვა რეზოლუციებისა და რეკომენდაციების ანალიზი.

3. ავტოქტონური და არაავტოქტონური ცნობიერების ევოლუცია გლობალიზმის პირობებში:

ა) ინტეგრაციული პროცესების გააქტიურება პოსტკომუნისტური ეპოქის ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში;

ბ) საქართველო და კავკასია ევრაზიულ ინტეგრაციულ პროცესებში „აბრეშუმის გზის“ აღორძინება ახალ ისტორიულ პროცესებში;

გ) ავტოქტონური და არავტოქტონური ცნობიერების ურთიერთქმედებათა მეთოდოლოგიური პრინციპები: სოციოლოგიური კვლევები ემპირიული მასალებისთვის თბილისსა და საქართველოს რიგ ქალაქებსა და ცალკეულ რეგიონებში.

საქართველოსა და ამასთან, ცენტრალური კავკასიის ეს რეგიონი უნიკალურია არა მარტო თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, არამედ ეთნიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისითაც. აქ ასობით და ათასობით „შერეული ოჯახებია“, უფრო მეტიც, მთელი რიგი შერეული ეთნიკური ქალაქები და სოფლები: სიღნაღი (ქართულ-სომხური), წნორი და ულიანოვკა (ქართულ-რუსული), ბელაქანი (ქართულ-აზერბაიჯანული), დუისი, მატანი, ახმეტა, ახალსოფელი (ქართულ-ოსურ-ჩეჩნურ-ლეკური), ჯუღაანი, კაბალი, მოსული (ქართულ-ოსურ-აზერბაიჯანული), მინგეჩაური, ელდარი ალიაბადი, ალიბეგლო (ქართულ-ებრაულ-აზერბაიჯანულ-ლეკურ-ჩეჩნური) და შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ისტო-

რიულადაც და დღესაც ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობის სამაგალითო ნიმუშია.

კულტურა, როგორც „რბილი ძალის“ წყარო

მკვლევარებს კულტურა „რბილი ძალის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ მიაჩნიათ. თუმცა კულტურის კრიტიკოსები ანსხვავებენ ამაღლებულ და პოპულარულ კულტურას. ამერიკული ამაღლებული კულტურა აწარმოებს მრავალმნიშვნელოვან „რბილ ძალას“ შეერთებული შტატებისათვის. სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი პირდაპირ აცხადებდა: „მე ვფიქრობ, რომ არ არის უფრო ღირებული აქტივი ჩვენი ქვეყნისათვის, ვიდრე მომავალი მსოფლიო ლიდერების მეგობრობა, რომელთაც აქ მიიღეს განათლება“.

ამერიკაში განათლებამიღებული სტუდენტები ბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებში ამერიკული ღირებულებებით დატვირთულები და ქმნიან „შესანიშნავ კეთილმოსურნეობის რეზერვუარს ჩვენი ქვეყნისთვის“ – აცხადებს ერთ-ერთი ამერიკელი მკვლევარი.[6]

გამოჩენილი ამერიკელი დიპლომატი და მწერალი ჯორჯ კენანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კულტურას და განათლებას „რბილი ძალის“ განვითარებაში. სხვათა შორის, ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიურობდნენ საბჭოეთშიც, სადაც „რბილი ძალის“ საშუალებით ხდებოდა ერთიანი საბჭოური კულტურისა და განათლების სისტემის ჩამოყალიბება.[7]

აღსანიშნავია, რომ ამერიკული „რბილი ძალის“ გაზრდაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აკადემიური და სამეც-

---

[6] Association of International Educators, „In America's Interest: Welcoming International Students'', available at: http://www.nafsa.org/content/PublicPolicy/stf/inamericasinterest.htm, p. 5.

[7] Kennan, Eisenhower, and misician are qoited in Yale Ricmond, Cul tural Exchange and the Cold War (Universitu Park: Pennsylvania State Universi ty Press, 2003), pp. 123, 124, 127.

ნიერო გაცვლები. აქ გამოსაყოფია, რომ საბჭოთა მეცნიერების ვიზიტებს ძალიან უფრთხოდნენ ამერიკელები, მაგრამ, მოგვიანებით ბევრი ეს საბჭოთა მეცნიერი გახდა ადამიანის უფლებების და ლიბერალიზაციის წამყვანი დამცველი საბჭოთა კავშირის შიგნით. 1950-იან წლებში ფორდის ფონდი, სამეცნიერო საზოგადოებების საბჭო და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის საბჭო წარმატებით მუშაობდა 110 ამერიკულ კოლეჯთან და უნივერსიტეტთან მოსწავლეებისა და სტუდენტების გაცვლის თვალსაზრისით. 1958-1988 წლებში ამერიკას დაახლოებით 50 ათასი საბჭოთა კავშირის მოქალაქე ეწვია, როგორც მწერალი, ჟურნალისტი, თანამდებობის პირი, მუსიკოსი, მოცეკვავე, სპორტსმენი და მეცნიერი. უფრო დიდი რაოდენობის ამერიკელები სტუმრობდა საბჭოთა კავშირს.

კულტურული გაცვლები გავლენას ახდენდა ელიტაზე და ზოგჯერ ერთ ან რამდენიმე კონტაქტსაც კი ჰქონდა მთავარი პოლიტიკური ეფექტი. ჯ. ნაი, მაგალითად ასახელებს ალექსანდრე იაკოვლევს, რომელზეც ძლიერი ზეგავლენა იქონია პოლიტიკის მეცნიერმა დევიდ ტრუმანმა, რომელიც იაკოვლევს ასწავლიდა კოლუმბიის უნივერსიტეტში 1958 წელს. იაკოვლევი საბოლოოდ გახდა მნიშვნელოვანი დაწესებულების ხელმძღვანელი, პოლიტბიუროს წევრი და მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ლიბერალიზების თვალსაზრისით საბჭოთა ლიდერ მიხეილ გორბაჩოვზე. ახალგაზრდა სტუდენტი, ოლეკ კალუგინი, რომელიც გახდა მაღალი თანამდებობის პირი საბჭოთა უშიშროების სამსახურში, იხსენებდა, რომ გაცვლები იყო ტროას ცხენი საბჭოთა კავშირისათვის და მათ ითამაშეს უზარმაზარი როლი საბჭოთა სისტემის დაშლაში. ისინი აგრძელებდნენ უფრო მეტი და მეტი ხალხის ინფიცირებას წლების განმავლობაში.[8]

[8] Kennan, Eisenhower, and misician are qoited in Yale Ricmond, Cul tural Exchange and the Cold War (Universitu Park: Pennsylvania State Universi ty Press, 2003), pp. 123, 124, 127.

მიმზიდველობა და რბილი ძალა, რომელიც ელიტას შორის კულტურულ კონტაქტებს გარეთ გაიზარდა, მნიშვნელოვან წვლილს თამაშობდა ამერიკული პოლიტიკის მიზნებში.

ანალიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ უფრო ადვილი ამაღლებული _ კულტურული კონტაქტების განსაკუთრებული პოლიტიკური ეფექტების პოვნა, ვიდრე პოპულარული კულტურის პოლიტიკური მნიშვნელობის დემონსტრირება. ბევრი ინტელექტუალი და კრიტიკოსი არად მიიჩნევს პოპულარულ კულტურას მისი უხეში კომერციალიზმიდან გამომდინარე. ის მიჩნეულია მასობრივი გართობის უზრუნველყოფის საშუალებად, ვიდრე ინფორმაციად და ამიტომაც აქვს მცირე პოლიტიკური შედეგი. უფრო მეტი, პოპულარული კულტურა მოაზრებულია როგორც ანესთეზირებული და აპოლიტიკური ნარკოტიკი მასებისათვის.

საინტერესოა ის გარემოება, რომ როგორც მწერალი ბენ ვატენბერგი ამტკიცებს, ამერიკული კულტურა შეიცავს ბზინვარებას, სექსს, ძალადობას, უგემოვნობას და მატერიალიზმს, თუმცა ის ასევე აღწერს ამერიკულ ღირებულებებს რაც ღიაა, ცვალებადია, ინდივიდუალისტური, დადგენილი უფლებამოსილების წინააღმდეგია, პლურალისტურია, ნებაყოფლობითი, პოპულისტური და თავისუფალია, „ეს არის ის არსი, ასახული თუ დადებითად ან უარყოფითად, რასაც მოჰყავს ხალხი სალაროებში. ეს არსი არის მეტად ძლიერი, ვიდრე პოლიტიკა ან ეკონომიკა.[9] ის ამოძრავებს პოლიტიკას და ეკონომიკას და დასმულ კითხვაზე ჰოლივუდია მეტად მნიშვნელოვანი, ვიდრე ჰარვარდი? ხაზგასმულია, რომ ჰოლივუდი არ არის ისეთი სუფთა, როგორც ჰარვარდი, მაგრამ მას აქვს დიდი მიღწევები.[10]

ამერიკაში დიდ ღირებულებას იძენს პოპულარული სპორტიც და ნებისმიერი ვინც მაგრად მუშაობს ბურთის სროლაში ან შაიბის

---

[9] Ben Wattenberg, The First Universal Nation (New York: Free Press, 1991), p. 213.

[10] Carl Sandburg, qouted in Reinhold Wagneitner, Coca-Colonization and the Cold War (Chapel Hill: University of North Carolina Press, 1994), p. 222.

ფლობაში, შეიძლება გახდეს ცნობილიც და მდიდარიც. ამ კონ-ტექსტში შეიძლება მოგვეყვანა ასეთი სტატისტიკური მონაცემები: ამერიკაში ნაციონალური საკალათბურთო თამაშები ტრანსლირე-ბულია 750 მილიონ ოჯახში, 212 ქვეყანაში და 42 ენაზე. მთავარი ლიგის ბეისბოლის თამაში გადაიცემა 224 ქვეყანაში 11 ენაზე. ნა-ციონალური საფეხბურთო ლიგის სუპერთასმა 2003 წელს დაიპყრო დაახლოებით 800 მილიონი მაყურებლის ყურადღება. სპორტის მაყურებლების რიცხვი მეტოქეობას უწევს მილიარდობით იმ მა-ყურებელს მსოფლიო მასშტაბით, ვინც დაინტერესებულია ნახოს ამერიკული ფილმებიც.

თანამედროვე ვითარებაში ინფორმაცია და გართობა ფაქტობ-რივად ერთი ხაზისა და ორივე პოლიტიკური შედეგების მატარე-ბელია.

პოლიტიკური მესიჯები შეიძლება გადაცემული იქნეს სპორ-ტის, ტელევიზიის, კინოს საშუალებით. საერთო ჯამში პოპულა-რული კულტურის პოლიტიკური შედეგები – პოპულარულ-კულ-ტურული მიმზიდველობა დაეხმარა ამერიკას მნიშვნელოვანი სა-გარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევაში. ცხადია, მეორე მსოფ-ლიო ომის შემდეგ, ევროპის დემოკრატიული რეკონსტრუქცია, მარშალის გეგმა და ნატო იყვნენ ეკონომიკის და სამხედრო ძალე-ბის გადამწყვეტი იარაღები გამიზნული შედეგის მიღწევაზე. თუმ-ცა პოპულარულმა კულტურამ დიდი წვლილი შეიტანა. ავსტრიე-ლი ისტორიკოსის რეონოლდ ვაგნლეიტნერის მტკიცებით, ამერი-კული პოპულარული კულტურის სწრაფმა ადაპტაციამ ბევრი ევ-როპელის მიერ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჭეშმარიტად და-დებითი გავლენა იქონია ამ საზოგადოების დემოკრატიზაციაში.[11]

პოპულარულმა კულტურულმა მიმზიდველობამ ასევე წვლი-ლი შეიტანა სხვა ძირითადი ამერიკული საგარეო პოლიტიკის

[11] Reinhold Wagnleitner, „The Empire of Fun, or Talkin' Soviet Union Blues: The Sound of Freedom and U.s. Cul tural Hegem ony in Europe", Diplomatic History 23 (Summer 1999), p. 515.

მიზანში _ მოეგო ცივი ომი. საბჭოთა კავშირს ჰქონდა შთამბეჭდავი სამხედრო შესაძლებლობები და ასევე ფლობდა მნიშვნელოვან „რბილ ძალას“, რესურსებსაც, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპაში განხორციელებული რეპრესიებით ყველაფერი ეს დაიკარგა, მით უმეტეს საბჭოთა სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა პროპაგანდამ და კულტურულმა პროგრამებმა ვერ დაძლიეს ამერიკული კომერციული პოპულარული კულტურის მიმზიდველობა. ამის ნათელი მაგალითი იყო ბერლინის კედლის დაცემა 1989 წელს, რომელშიც დიდი როლი ითამაშა პოპულარულმა კულტურამ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ცენზურაში ატარებდა დასავლეთის ფილმებს, მათ მაინც ჰქონდათ დამანგრეველი პოლიტიკური შედეგები, რომელიც ზოგჯერ არაპირდაპირაც გადმოიცემოდა, თუმცა, საბჭოელები იგებდნენ, რომ ხალხს დასავლეთში არ უწევდა გრძელ რიგებში დგომა საკვებისათვის, არ ცხოვრობდნენ კომუნალურ ბინებში და ფლობდნენ საკუთარ მანქანებს.

თავის დროზე როკ-ენ-როლის მუსიკამაც დიდი როლი ითამაშა კომუნისტური სისტემის დაშლაში. მოგვიანებით, გორბაჩოვის ერთ-ერთი თანაშემწე შენიშნავდა, რომ „ბითლზი“ იყო სისტემის უარყოფის მშვიდი გზა. ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის კომუნისტი გიორგი შახნაზაროვი იხსენებდა, რომ ყველა მათგანი იყო დუალისტი მოაზროვნე, რომლებიც ცდილობდნენ ჭეშმარიტების და პროპაგანდის დაბალანსებას იმავდროულად თავისსავე აზრებში და საბჭოური იდეოლოგიის კოროზიის წლებში შედეგებიც ცხადი გახდა მათ ქმედებებში, როდესაც 80-იან წლებში ახალი თაობა მოვიდა ხელისუფლებაში.[12]

ყოველივე ეს ერთმა ისტორიკოსმა ასე შეაჯამა: შეერთებული შტატების სამხედრო ძალა და პოლიტიკური დაპირება მნიშვნელოვანი იყო ამერიკული წარმატებების შექმნის საფუძვლისთვის ცივ ომში. ევროპაში ეს იყო ამერიკული ეკონომიკური და კულტუ-

[12] Richmond, Cultural Exchange and the Cold War, pp. 128–131, 162, 205

რული მიმზიდველობა, რამაც ნამდვილად მოიგო ახალგაზრდების უმრავლესობის გული და გონება დასავლეთის დემოკრატიისთვის.[13]

ცივი ომი მოგებული იქნა „ხისტი“ და „რბილი“ ძალის ნაზავით. თუ „ხისტმა ძალამ“ შექმნა სამხედრო შეკავების ჩიხი, „რბილმა ძალამ“ დაშალა საბჭოთა სისტემა შიგნიდან. ცხადია, „რბილი ძალის“ ყველა რესურსი არ იყო ამერიკული, თუმცა არასწორი იქნებოდა იმ როლის უარყოფა, რაც ამერიკული პოპულარული კულტურის მიმზიდველობამ ითამაშა კომუნისტური იდეოლოგიის დამარცხებაში.

ამერიკული პოპულარული კულტურა წარმატებით უწყობდა ხელს აპარტეიდის რეჟიმის მოკვეთას სამხრეთ აფრიკაში, დემოკრატიული მთავრობების რაოდენობის ზრდას ლათინურ ამერიკაში და აღმოსავლეთ აზიის ნაწილებში. მილოშევიჩის რეჟიმის დამხობას სერბეთში, ზეწოლას ლიბერალიზაციისთვის ირანში და ა.შ. სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი ყოფილი მინისტრი ალბერტ ჰერცოგი, 1971 წელს, ტელევიზიას დასავლეთის გადაგვარების სიმბოლოდ მიიჩნევდა და ფიქრობდა, რომ ის არ უნდა გაეშვათ ქვეყანაში, რადგანაც წარუძღვებოდა „სამხრეთ აფრიკელების ცივილიზაციას დემორალიზაციისკენ და აპარტეიდის დანგრევისაკენ“.[14]

ანალოგიურად, 1994 წელს ირანის მაღალი თანამდებობის სასულიერო პირის განკარგულებით აიკრძალა ტელევიზიის სატელიტური თეფშებით გადაცემები, რადგანაც ისინი ირანს გააცნობიერებდნენ იაფიან უცხო კულტურას და გაავრცელებდნენ დასავლეთის მორალურ დაავადებებს.[15]

ამერიკული „რბილი ძალა“, ცენზურის მიუხედავად, წარმატებით აღწევდა ჩინურ ელიტაში და უბიძგებდა ჩინელ სტუდენ-

---

[13]Wagnleitner, „Empire of Fun“, p. 506.

[14] „TV Finally Approved by South Africa“, New York Times, April 28, 1971

[15] Peter Waldman, „Iran Fights New Foe: Western Television“, Wall Street Journal, August 8, 1994, p. 10.

ტებს, ჯერ კიდევ 1989 წელს მოეთხოვათ მეტი თავისუფლება და პოლიტიკური უფლებები.[16]

ცხადია, პოპულარული კულტურა, რომელიც არ არის მთავრობის პირდაპირი კონტროლის ქვეშ, ყოველთვის არ წარმოშობს მთავრობისათვის სასურველ, ზუსტ, პოლიტიკურ შედეგებს. მაგალითად, ვიეტნამის ომის დროს, ამერიკის მთავრობას ჰქონდა მიზანი მიეღწია სამხედრო გამარჯვებისათვის კომუნიზმზე და პოლიტიკური გამარჯვებისათვის კომუნიზმზე ცენტრალურ ევროპაში, თუმცა ეს მაშინ ვერ განხორციელდა და მოგვიანებით იქნა რეალიზებული.

აღსანიშნავია, რომ პოპულარულ კულტურას ზოგჯერ აქვს საწინააღმდეგო შედეგები განსხვავებულ ჯგუფებში. მაგალითად, ის, რაც მომხიბვლელი იყო ირანელი თინეიჯერებისთვის, შეურაცხმყოფელი ჩანდა ირანელი მოლებისათვის. ამდენად, ერთის მხრივ, პოპულარული კულტურა ხელს უწყობს სასურველ ცვლილებებს, მეორე მხრივ, შესაძლებელია გამოიწვიოს ოპოზიციის ჩამოყალიბება, პოპულარული კულტურის მიმზიდველობის წინააღმდეგ.

საბოლოოდ, ამერიკული პოპულარული კულტურის გავლენის გაზრდა თუ დაცემა ბევრ რამეზეა დამოკიდებული. მათ შორის განვითარებულ თუ განვითარებად სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებზე, ეროვნული კულტურული თუ ეკონომიკური წარმოების განვითარებაზე, მსოფლიო ბაზრის ცვილებებზე და ეკონომიკის მასშტაბებთან ადგილობრივი გემოვნების დაკმაყოფილებაზე.

გამორიცხული არ არის, რომ მოხდეს ამერიკული პოპულარული კულტურის შთანთქმა უცხოურის მიერ. ერთ-ერთი უცხოელი ექსპერტი ფიქრობს, რომ ამერიკული პოპულარული კულტურის გლობალიზაცია შეიძლება იყოს დროებითი ფენომენი. ასეთ ვი-

[16] Jehangir Pocha, „The Rising Soft Power of India and China“, New Perspectives Quarterly 20 (Winter 2003), p. 6; Rick Lyman, „China Is Warming to Hollywood's Glow“, New York Times, September 18, 2003, p. B1.

თარებაში შეიძლება მაგალითად სულ სხვა ჩარჩოში მოექცეს ერაყის ქუვეითში შეჭრის, ანუ თავისი პროვინციის დასაბრუნებლად ჩადენილი სამხედრო ქმედების გამართლების საკითხი, მითუმეტეს, თავის დროზე მცირე რეაქცია ჰქონდა ინდოეთის მიერ თავისივე ძველ პროვინცია – გოაში შეჭრას. ის, რაც ინდოეთს აპატიეს დასავლურმა სახელმწიფოებმა და მათ შორის ამერიკამ, არ ეპატია ერაყს და მკაცრადაც დაისაჯა. იმ პერიოდში სატელევიზიო გადაცემები „სი-ენ-ენ“-ი და „ბი-ბი-სი“ ერაყის აგრესიაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, თუმცა თანამედროვე ვითარებაში აღნიშნული არხები ამერიკას არ მოუწონებდნენ ერაყის მიმართ განხორციელებულ სადამსჯელო რეაქციას.

დღევანდელ მსოფლიოში ბევრ სხვა ქვეყანას აქვს შექმნილი, საკუთარი მრავალენოვანი სატელევიზიო ახალი ამბების არხები და ისინი საკმაო კონკურენციას უწევენ ანგლო-ამერიკულ ახალი ამბების სატელევიზიო არხებს. ცალკეული ანალიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ამერიკის დომინირება მსოფლიო კომუნიკაციების ნაკადში ნაკლებად ძლიერია, ვიდრე წარსულში გავლენის შესახებ მსოფლიოში, თუმცა ბევრი უსვამს ხაზს აშშ-ის გადამეტებულ სიჩქარეს თავისი პოპულარული კულტურის საქმიანობის გაყიდვის შესახებ უცხოელ მყიდველებზე.[17]

შიდა ღირებულებები და პოლიტიკა

ამერიკას, სხვა ქვეყნების მსგავსად, აქვს ღირებულებები. მათ შორისაა პოლიტიკური ღირებულებები – დემოკრატია და ადამიანის უფლებები და, შესაბამისად, ისინი მიმზიდველობის ძლიერი წყაროებია, თუმცა საკმარისი არ არის მათი მხოლოდ გამოცხადება. თუ ამერიკული ღირებულებები მიჩნეული იქნება თვალთმაქცო-

[17] J. Mitchell Jaffee and Gabriel Weimann, „The New Lord of the Global Village?“, in Wagnleitner and May, „Here, There and Everywhere“, p. 291.

ბად, ნაკლებად სავარაუდოა, ამერიკის დახმარება მოინდომოს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ამერიკული ღირებულებები ბევრი ხალხისთვის მიუღებელია, ზოგისთვის კი მიმზიდველი. ამერიკული ფემინიზმი, ღია სექსუალურობა, ინდივიდუალური არჩევანი მიუღებელია პატრიარქალური საზოგადოებისათვის. ცალკეულ რელიგიურ ფუნდამენტალისტებს სძულთ შეერთებული შტატები ამერიკული გულახდილობის, ტოლერანტობის და შესაძლებლობების ღირებულებების გამო. თუმცა არსებობს სხვა შეხედულებები. მაგალითად, ცნობილია ჩინელი მწერლის რეაქცია, რომელიც არ დაეთანხმა თავისი მთავრობის კრიტიკას შეერთებული შტატების მისამართით 2003 წელს. „ნაციონალიზმის ემოციის ამ შუა ნისლში, ყველაზე მეტად ღირსშესანიშნავია, რომ ამდენმა ჩინელმა თავი გაართვა შეენარჩუნებინა თავისი რწმენა ამერიკული სტილის დემოკრატიაში. მათი ოცნებაა საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის უფრო ღრმა ცვლილება“.[18]

ამერიკული ღირებულებებით ბევრი ქვეყანა არ არის აღფრთოვანებული. მაგალითად, გერმანია და სამხრეთ აფრიკა. თუ ბევრი ევროპული ქვეყანა აღტაცებულია ამერიკის თავდადებით თავისუფლებისათვის, ცალკეული ქვეყნები უპირატესობას ანიჭებენ შიდა პოლიტიკას, რომელიც არეგულირებს ნეოლიბერალურ ეკონომიკურ პრინციპებს და ინდივიდუალიზმს. 1991 წელს ჩეხები, პოლონელები, უნგრელები და ბულგარელები ფიქრობდნენ, რომ ამერიკას ჰქონდა გავლენა შესაბამის ქვეყნებზე, თუმცა ამერიკული ეკონომიკური მოდელი არ იყო მათთვის მისაღები, ხოლო გერმანული მარშალის ფონდის მიერ 2003 წლის ივნისში ჩატარებული გამოკითხვით ირკვეოდა, რომ ევროპელებს და ამერიკელებს ჰქონ-

[18] Jianying Zha, „Saddam Hussein as Surrogate Dictator“, New York Times, April 8, 2003, p. 31

დათ განსხვავებული სოციალური და კულტურული ღირებულე-ბები.[19]

2002 წელს გამოკითხული ქვეყნების მოსახლეობის ნახევარს მოსწონდა ამერიკული იდეები დემოკრატიის ირგვლივ. მაგრამ მე-სამედი ფიქრობდა, რომ კარგი იქნებოდა ამერიკული იდეები და ცხოვრების წესი გავრცელდებოდა მათ ქვეყანაშივე. თუ აფრიკე-ლების 2/3-ს მოსწონდა დემოკრატიის ამერიკული იდეები, თუმცა მხოლოდ 1/3 მუსულმანი ქვეყნები იწონებდა მათ.[20]

უფრო ადრე, 80-იან წლებში საზოგადოებრივი აზრი ოთხ მთა-ვარ ევროპულ ქვეყანაში უთანაბრდებოდა შეერთებულ შტატებს, როგორც კარგად შესრულება ეკონომიკური შესაძლებლობების, კა-ნონის უზენაესობის, რელიგიური თავისუფლების და მხატვრული მრავალფეროვნების. თუმცა ნახევარზე ნაკლები ბრიტანელი, გერ-მანელი და ესპანელი რესპოდენტები ფიქრობდნენ, რომ აშშ იყო სასურველი მოდელი სხვა ქვეყნებისათვის.[21]

თვითონ ამერიკელების წარმოდგენა საკუთარი პოლიტიკური ღირებულებების შესრულებაზე ქვეყნის შიგნით იყო შერეული. შტატები რიგის თავში ან ახლოს იყო ჯანმრთელობის ხარჯებით, უმაღლესი განათლებით, წიგნების გამოცემით, კომპიუტერის და ინტერნეტის გამოყენებით, იმიგრანტების მიღებით და დასაქმე-ბით. მაგრამ ამერიკა არ იყო სათავეში სიცოცხლის ხანგრძლივო-ბით, დაწყებითი განათლებით, სამუშაო უსაფრთხოებით, ჯანდაც-ვის ხელმისწავდომობით ან შემოსავლის თანასწორობით. ხოლო როგორებიც იყო: დანაშაული, განქორწინება, მოზარდების ორსუ-ლობა, მკვლელობის სიხშირე და ციხეში მყოფი მოსახლეობის პრო-ცენტულობა, ამერიკა სრულიადაც არ იყო მიმზიდველი ქვეყანა.

ამერიკის 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მკვეთრად სადავო შედეგებმა, წინა პლანზე წამოსწია ინსტიტუციონალური

---

[19] German Marshall Fund, Transatlantic Trends 2003, „Topline Data“, available at: http://www.transatlantictrends.org, p. 49.

[20] 8 Pew Global Attitudes Project, What the World Thinks in 2002, p. T55.

[21] Smith and Wertman, US–West European Relations During the Reagan Years, p. 108

კრიზისის თემა. თუმცა ამ მხრივ, სხვა ქვეყნებმაც: კანადამ, ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, შვედეთმა, იაპონიამ და სხვა ქვეყნებმა გამოსცადეს ნდობის დაკარგვა ხელისუფლებისა და ინსტიტუტებისადმი.

საინტერესოა ის გარემოება. რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მიუხედავად, ამერიკა დარჩა იმიგრაციის ქვეყნად. აქ მნიშვნელოვან საბიზნესო მმართველობაში არიან ჩართულნი ჩინელი და ინდოელი ინჟინრები. უცხოელებს შეუძლიათ თავი განიხილონ, როგორც ამერიკელებმა და ბევრი წარმატებული ამერიკელი მათ ჰყავთ.

ცხადია, ამერიკული „რბილი ძალა“ დამძიმებულია მეტი პოლიტიკით – როგორიცაა სიკვდილით დასჯა ან იარაღის კონტროლის არარსებობა. შემცირებულია რელიგიური ტოლერანტობა მუსულმანების მიმართ, რაც დამაზიანებელია აშშ-ის რეპუტაციისათვის პაკისტანში, ინდოეთში, ასევე არაბეთის ქვეყნებში. 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკაში ქრისტიანმა ევანგელისტა ფრანკლინ გრაამმა ისლამს უწოდა „ძალიან უზნეო და ბოროტი რელიგია“. ზოგიერთმა ამერიკელმა ისლამი გამოიყვანა როლში, რომელიც კომუნიზმისა და და საბჭოთა კავშირის მიერ იყო ნათამაშები. ბაპტისტური კონვენციის უკანასკნელმა პრეზიდენტმა მუჰამედი დაახასიათა როგორც „ეშმაკისეული პედოფილი“. ასეთი კომენტარები არ ლაპარაკობს ამერიკის სასარგებლოდ, მითუმეტეს, რელიგია არის ორპირი ხმალი, როგორც ამერიკული „რბილი ძალის“ წყარო და როგორ ჭრის, დამოკიდებულია იმაზე, ვინ ფლობს.[22]

ამერიკელების ღირებულებები ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში არაერთგზის მოექცა ადამიანის უფლებების დამცავი საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტიკის არეალში და შტატები დაადანაშაულეს ფარისევლობაში, რომელიც ძირში ჭრიდა საკუთარ პოლიტიკას და საკუთარ თავს აგდებდა „სუსტ პოზიციაში“.

[22]Joseph S. Nye. Soft Power - The means to success in world politics, New York, 2004, p. 64.

ასეთი კრიტიკა მოდიოდა კონსერვატიული, პრო-ამერიკული წყაროებიდან. ამერიკას იმაშიც აკრიტიკებდნენ, რომ ქვეყნების უმეტესობამ 11 სექტემბრის შემდეგ აირჩია ბალანსის რეგულირება თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის, ამერიკაში რეგულირება გასცდა უბრალო ცუდად მუშაობის იმ წერტილს, სადაც ფუნდამენტურ ღირებულებებს შეიძლებოდა საფრთხე შექმნოდა. ამასობაში პრეზიდენტი ბუში დაადანაშაულეს „ჩრდილოვანი" სასამართლო სისტემის დაფუძნებაში, რომელიც მიუწვდომელი ხდებოდა კონგრესისა და ამერიკის სასამართლოსთვის. ბუში იმასაც შენიშნავდა, რომ ამერიკული იდეალები იყო იმედის შუქურა სხვებისთვის მთელ მსოფლიოში და საჭირო იყო კომპრომისზე წასვლა იდეალებთან, თუმცა ამით ამერიკის მეგობრების შეშფოთებამ იმატა და ასევე შეასუსტა ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღი ტერორიზმის წინააღმდეგ.[23]

მით უმეტეს ერაყის აბუგრაიბის ციხეში პატიმრების შეურაცხმყოფელი სურათები გამოქვეყნდა მსოფლიოში, ხოლო ამერიკულმა ქადაგებამ ადამიანის უფლებათა პოლიტიკაზე ზოგიერთი ადამიანის ფარისევლობა გამოაჩინა.

საგარეო პოლიტიკის არსი და მიმართულება

აშშ-ის მიმზიდველობა გამოიხატებოდა საგარეო პოლიტიკის არსით და მიმართულებებით. ყველა ქვეყანა მიყვება ეროვნულ ინტერესებს საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ მნიშვნელოვანია როგორ განისაზღვრება ეროვნული ინტერესები – ფართოდ თუ ვიწროდ. ღირებულებების მატარებელი პოლიტიკა მიმზიდველია. ამ თვალსაზრისით, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკა იყო იმპერია მოწვევით, რომლის ღირებულებებს წარმოადგენდა ფედერალიზ-

[23] „America the Scary Bends Democracy", Financial Times, June 9,2003, p. 14; „Unjust, Unwise, UnAmerican", The Economist, July 12, 2003, p. 9.

მი, დემოკრატია და ღია ბაზრები, რომელსაც ამერიკა ექსპორტირებას უწევდა და ევროპელები დიდი სიხარულით ეთანხმებოდნენ, მაგრამ „რბილი ძალის“ შედეგი დამოკიდებული იყო კულტურის და სხვა ღირებულებების გადახურვაზე შტატებსა და ევროპას შორის.

21-ე საუკუნეში შტატები დაინტერესებული იყო საერთაშორისო წესრიგის ხარისხის შენარჩუნებით, რომ გავლენა მოეხდინა შორეულ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებზე და წინ წამოეწია მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების, ტერორიზმის, ნარკოტიკების, ვაჭრობის, ეკოლოგიის, რესურსების და ა.შ. საკითხები. ასევე აშშ-ს დაინტერესების საგანი იყო საერთაშორისო ბაზრებისა და გლობალური მიწების შენარჩუნება, ოკეანეების გაკონტროლება და ა.შ. ცხადია, საერთაშორისო წესრიგს უნდა განესაზღვრა ხელმისაწვდომობა სხვა სახელმწიფოებისათვისაც. თუმცა წმინდა საზოგადოებრივი სიკეთეები იშვიათობა იყო და რაც კარგი იყო ამერიკელებისათვის შეიძლება არ ყოფილიყო ყველასათვის.

ამერიკა ყოველთვის ცდილობდა საერთაშორისო საზოგადოებრივი სიკეთეებიდან თვითონ ენახა სარგებელი. მაგალითად, როდესაც ბუშის ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ გაზრდიდა დახმარებას შიდსთან საბრძოლველად, ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ამერიკა სარგებელს მიიღებდა არა მარტო ბაზრებიდან და სტაბილურობიდან, არამედ ზრდიდა მიმზიდველობას ან „რბილი ძალის“ რესურსებს. თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ გლობალური საზოგადოებრივი სიკეთის თვალსაზრისით, ახალი საუკუნის დასაწყისისათვის ამერიკელების საგარეო დახმარება მთლიანი შიდა პროდუქტის ერთი პროცენტი იყო, ხოლო მდიდარი ქვეყნების ღარიბი ქვეყნებისათვის დახმარების მიხედვით _ სავაჭრო გარემო, საინვესტიციო, საიმიგრაციო, სამშვიდობო დახმარებები და ა.შ. შეერთებული შტატები 21-დან მეოცე იყო, შესაბამისად, შტატებს დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი განვითარების სფეროში „რბილი ძალის“ რესურსების მოსაპოვებლად.

საგარეო პოლიტიკა მჭიდრო ურთიერთობაშია „რბილ ძალასთან“ და ხელს უწყობს ფართოდ გაზიარებული ღირებულებების დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების განვითარებას. ამერიკის პოლიტიკის მამები _ ჯონ ადამსი და სხვები, ერთის მხრივ, ფიქრობდნენ რა არ უნდა ჩაერთოთ საკუთარი ძალისხმევა საზღვარგარეთ ყველა ინტერესებისა და ინტრიგების ომში, სხვები _ ვუდრო ვილსონი და სხვები დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს სახავდნენ, როგორც საგარეო პოლიტიკის მიზნებს.

2000 წლის საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ჯორჯ ბუშს არწმუნებდნენ პრიორიტეტად გაეხადა ადამიანის უფლებები, რელიგიური თავისუფლება და დემოკრატია და არ მიეღო შეერთებული შტატების ინტერესების ვიწრო ხედვა[24] თუმცა 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, ბუში ალაპარაკდა ამერიკული ძალის გამოყენების საჭიროებაზე შუა აღმოსავლეთში. „თეთრი სახლის“ პოლიტიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ ტირანულ რეჟიმებთან (ერაყი, ირანი, ჩრდ. კორეა და სხვ.) შეუძლებელი იყო მშვიდობიანი თანაარსებობა, როგორც შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი და ის იძულების ამოცანით უნდა შეცვლილიყო წესიერ მსოფლიო წესრიგში.[25]

2001 წლის 11 სექტემბრამდე ერთი თვით ადრე ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დასავლეთ ევროპელები აღწერდნენ ბუშის ადმინისტრაციის მიდგომას საგარეო პოლიტიკასთან, როგორც ცალმხრივს. ორი წლის შემდეგ, ერაყის ომმა განამტკიცა ეს აღქმები. ამ პერიოდში გაჩნდა საერთაშორისო ცნება „უნილატერალიზმი“.[26]

---

[24] Steven Mufson, „Bush Nudged by the Right over Rights“, International Herald Tribune, January 27–28, 2001, p. 3. See also „American Power - For What? A Symposium“, Commentary, January 2000, p. 21n.

[25] Lawrence F. Kaplan and William Kristol, „Neither a Realist nor a Liberal, W. is a Liberator“, Wall Street Journal Europe, January 30, 2003, p. A8.

[26] Charles Krauthammer, „The New Unilateralism“, Washington Post, June 8, 2001, p. A29

მოგვიანებით გამოჩნდნენ „ახალი უნილატერალისტები“, რომლებიც წუხილს გამოთქვამდნენ ამერიკის საშინაო პოლიტიკის შესუსტებაზე და ამერიკის მიმზიდველობის შესუსტებაზე საზღვარგარეთ. უფრო მეტიც, ევროპაში ძლიერი უმრავლესობა ეხლა ხედავს შეერთებული შტატების უნილატერალიზმს, როგორც მნიშვნელოვან საერთაშორისო მუქარას ევროპისათვის უახლოესი 10 წლის განმავლობაში. ფრანგები და გერმანელებიც იზიარებდნენ ამ თვალსაზრისს. ბრიტანეთის და პოლონეთის მოსახლეობის 2/3 ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ შეერთებული შტატების უნილატერალიზმი იყო მნიშვნელოვანი საფრთხე.[27]

მთლიანობაში ამერიკელმა ხალხმა მხარი დაუჭირა შეერთებული შტატების მონაწილეობას მულტილატერალურ ინსტიტუტებში. მაგრამ გასაცნობიერებელია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყველა მულტილატერალური ზომები არ არის კარგი და ზოგადი პრეზუმფციის სასარგებლოდ მულტილატერალიზმი არ არის საჭირო ყოფილიყო დამაწყნარებელი პერანგი“. მითუმეტეს, 2003 წლის ივლისში, როდესაც შეერთებული შტატები მეტ წინააღმდეგობას შეეჯახა ერაყში, ვიდრე ფიქრობდნენ, სამშვიდობო და საპოლიციო ძალები ინდოეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან და სხვებმა ამერიკელებს უპასუხეს, რომ ისინი გააგზავნიდნენ ძალებს მხოლოდ გაეროს ეგიდით.[28]

2003 წელს 11 ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით დასტურდებოდა, რომ ამერიკა იყო ქედმაღლური სახელმწიფო, რომელიც უდიდეს საფრთხეს უქმნიდა მსოფლიოს მშვიდობას, ვიდრე ჩრდილოეთ კორეა.[29]

---

[27] German Marshall Fund, Transatlantic Trends 2003, „Topline Data“, „Survey Results“, pp. 19-21.

[28] Thom Shanker, „U.S. Commander in Iraq Says New Troops May Be Needed to Combat ‘Guerrilla’ War“, New York Times, July 17, 2003, p. 1.

[29] Audrey Woods, „U.S. Is Arrogant, Poll in 11 Nations Says Bush Got Unfavorable Ratings Among 58 Percent of Those Questioned for the BBC“, Philadelphia Inquirer, June 19, 2003, p. A8.

აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ერთი მხრივ კოლინ პაუელის წყნარი დიპლომატია და ჯორჯ ბუშის ფრთხილი წინდახედულება, ხოლო მეორე მხრივ, რამსფელდის და დიკ ჩეინის მებრძოლი განცხადებები „ხმამაღალი შეძახილების რიტორიკა ხშირად აღმოჩნდება, რომ არის შეუსაბამობაში პრაგმატულ პოლიტიკურ არჩევანთან“.[30]

ერაყის ომის შემდეგ საზღვარგარეთ მცხოვრები ამერიკელები აცხადებდნენ, რომ არსებობდა შეუზღუდავი ამერიკული ძალა, რომელიც შეიძლება ისე ყოფილიყო განთავსებული, რომ საფრთხე შექმნოდა მოკავშირეების უსაფრთხოებას[31], ხოლო ჯორჯ ბუშს ურჩევდნენ, რომ გრძელვადიანი მეგობრობა უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მოკლევადიანი არახელსაყრელი მდგომარეობა.[32]

აღსანიშნავია ისიც, რომ საუკუნით ადრე ტედი რუზველტი შენიშნავდა, რომ „დიდი ჯოხის პატრონს“ ბრძნულად უნდა ესაუბრა, სხვა შემთხვევაში მოჭრიდა საკუთარ რბილ ძალას. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ზომა ქმნიდა აუცილებლობას ყოფილიყო ლიდერი, თუმცა ეს ქმნიდა უკმაყოფილებისა და ასევე თაყვანისცემის მიზანს ამერიკული საგარეო პოლიტიკის ორივე სუბსტანცია და მიმართულება ანსხვავებდა ამერიკული ღირებულებების იმიჯს და რბილ ძალას.

ცხადია, არსებობდა შეერთებული შტატების იმიჯი და მისი მიმზიდველობა სხვებისთვის იყო ბევრი განსხვავებული იდეების და ურთიერთდამოკიდებულების ნაერთი. ეს ნაწილობრივ ეყრდნობოდა კულტურას, საშინაო პოლიტიკას და ღირებულებებს და ნაწილობრივ სუბსტანციას, ტაქტიკას და ამერიკული საგარეო პოლიტიკის მიმართულებას. ეს სამი რესურსი ხშირად წარმოშობდა

---

[30] Philip Stephens, „The World Needs a Confident America, Not a Fearful One“, Financial Times, December 13, 2002, p. 21

[31] Irwin Stelzer, „America Is Needlessly Scaring Its Friends Away“, The Times (London), June 3, 2003, p. 16.

[32] James Harding, „Conflicting Views from Two Bush Camps“, Financial Times, March 20, 2003.

რბილ ძალას, შედეგის მიღების შესაძლებლობას, რაც ამერიკას სურდა მიზიდვით, ვიდრე სხვების იძულებით. ჯოზეფ ნაი ამ სამი მნიშვნელოვანი მიმართულებიდან გამოყოფს პოლიტიკის სუბსტანციას და მიმართულებას, როგორც ცვალებადს და ყველაზე მგრძნობიარეს. მკვლევარი ფიქრობს, რომ „რბილი ძალა“ არ არის სტატიკური. რესურსები იცვლება კონტექსტის ცვლილებით. ის იცვლებოდა წარსულში და ასევე გაგრძელდება მომავალშიც. [33]

ჯ. ნაის მოაქვს 2002 წლის წყაროები ამერიკული მიმზიდველობის შესახებ მსოფლიო სივრცეში, საიდანაც ჩანს, რომ ევროპის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, აფრიკისა და თვით ამერიკის მოსახლეობა აღფრთოვანებულია, ამერიკის ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევებით. თუმცა ამერიკული მუსიკა, კინო და ტელევიზია ნაკლებად მოსწონთ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და, ასევე ნაკლებ სარგებლიანია აქ ამერიკული იდეების, ადათ-წესების გავრცელება; აზიაში და აფრიკაში მოსწონთ ამერიკული იდეები დემოკრატიის ირგვლივ, თუმცა ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია ევროპაში და თვით ამერიკაშიც. ევროპაში ნაკლებად მისაღებია ბიზნესის წარმოების ამერიკული გზაც. არც ამერიკაში იგრძნობა დიდი ინტერესი ამ მიმართულებით, თუმცა აფრიკაში უფრო მეტად იწონებენ ამერიკულ გზას.[34]

„რბილი ძალის“ კონცეფცია და არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტები

მსოფლიო არენაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება არასახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც მნიშვნელოვნად კვეთენ ნაციონალურ საზღვრებს. მითუმეტეს უკანასკნელ პერიოდში წინ წამოიწია

[33] Joseph S. Nye. Soft Power - The means to success in world politics, New York, 2004, p. 72.

[34] Joseph S. Nye. Soft Power - The means to success in world politics, New York, 2004, p. 72-74.

საინფორმაციო რევოლუციის ძალამ, მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში არასამთავრობო ორგანიზაციების არნახული ზრდა მოხდა და რამდენიმე წელიწადში ის 6 ათასიდან 26 ათასამდე გაიზარდა.

ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მათი მოქმედების „მსოფლიო აღიარებას“ ითხოვდა. ისინი წარმოადგენდნენ ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს ცალკეული სახელმწიფოების კომპენსაციის მიღმა და ქმნიდნენ ახალ ნიმუშებს, მთავრობებზე და ბიზნესის ხელმძღვანელებზე პოლიტიკის შეცვლის ზეწოლით. ამასთან ნიშანდობლივია, რომ მათ წრეში ხდება სერიოზული ფინანსების მობილიზება და ზოგჯერ ფლობენ „ხისტ ძალასაც“. ასე რომ საინფორმაციო რევოლუციამ მნიშვნელოვნად გაზარდა არასამთავრობო ორგანიზაციების რბილი ძალა, მითუმეტეს მათ შეუძლიათ მიიზიდონ მიმდევრები, ამიტომ მთავრობებს უწევთ, მხედველობაში მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც მოკავშირეები და მოწინააღმდეგეებიც. ამ თვალსაზრისით, როგორც ამერიკელები შენიშნავენ, ბრიუსელი, ლონდონი და პარიზი უსწრებენ ვაშინგტონს და ნიუ იორკს, როგორც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მასპინძელი ქალაქები.[35]

ტრანსნაციონალური გაერთიანებების ზრდის პარალელურად იზრდება არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც საზღვრების პატივისცემის გარეშე ეფექტურად აღწევენ სახელმწიფოებში, იზიდავენ მოსახლეობას, ერევიან საშინაო პოლიტიკაში, იპყრობენ მთავრობების და მედიის ყურადღებას თავიანთ საკითხებზე, ანუ ცდილობენ შექმნან ტრანსნაციონალური პოლიტიკური კოალიციების ახალი მოდელები, ბევრ ქვეყანაში ასეთი კოალიციები აერთიანებენ მთავრობების და მედიის ყურადღებას თავიანთ საკითხებზე, ანუ ცდილობენ შექმნან ტრანსნაციონალური პოლიტიკური კოალიციების ახალი მოდელები, ბევრ ქვეყანაში ასეთი კოალიციები

[35] Marlies Glasius, Mary Kaldor, and Helmut Anheier, eds., Global Civil Society 2002 (New York: Oxford University Press, 2002), p. 6.

აერთიანებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ცნობილ სახეებს და პოლიტიკოსებს.

საინფორმაციო რევოლუციის შედეგად, არასამთავრობო ინსტიტუტების „რბილი ძალა“ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ახდენს გავლენას საზოგადოებაზე და მთავრობებზე. ისინი ჭარბად იხსენებიან მედია პუბლიკაციების დიდ ნაკადში. მაგალითად, ადამიანის უფლებების დამცავი არასამთავრობო ორგანიზაციის 2003 წლის მოხსენების შემდეგ, რომელიც შეიცავდა შეერთებული შტატების მთავრობის ძლიერ კრიტიკას ტერორიზმთან ომში მოქცევის გამო სტატიები გამოჩნდა 288 გაზეთსა და ჟურნალში.[36]

ტერმინის „არასამთავრობო ორგანიზაციების“ გამოყენება 1992 წლის შემდეგ 17-ჯერ გაიზარდა. მსოფლიო სივრცეში ფართოდ გახდნენ პოპულარულები ისეთი არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიც არიან „საერთაშორისო ამნისტია“ „საერთაშორისო წითელი ჯვარი“, „ექიმები საზღვრებს გარეშე“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და ა.შ.

ცალკეულ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციები მძაფრ წინააღმდეგობას უწევენ „ხისტი ძალის“ მფლობელ სახელმწიფო სტრუქტურებს. მაგალითად, თავის დროზე პენტაგონი წინააღმდეგობას უწევდა ნაღმების აკრძალვის ხელშეკრულებას, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკოსებისა და გამოჩენილი ადამიანების ძალისხმევით, შესაძლებელი გახდა ამ ხელშეკრულების მოქმედებაში მოყვანა. 2003 წლის მაისში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ, რომელიც 192 წევრისაგან შედგებოდა, დაძლია ამერიკის თავდაპირველი ძლიერი წინააღმდეგობა თამბაქოს კონტროლის ჩარჩოებრივი კონვენციის ხელმოწერასთან დაკავშირებით.[37]

---

[36] Factiva–Dow Jones database, searched between January 14 and January 25, 2003.

[37] Alison Langley, „World Health Meeting Approves Treaty to Discourage Smoking“, New York Times, May 22, 2003, p. A11.

საინფორმაციო რევოლუციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ინტერნეტი, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს დიასპორის პრობლემის პოლიტიკაში. ამასთან დაკავშირებით, დავიდ ბოლიერი ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტი შენიშნავდა, რომ ინტერნეტი იყო უდიდესი მონაპოვარი, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა გეოგრაფიულად იზოლირებულ ხალხებს მოეხდინათ ორგანიზება დიდ ვირტუალურ თემში, შეემუშავებინათ სახლებში დაბრუნების მიმზიდველი ალტერნატიული იდეები, მხარი დაეჭირათ და სოლიდარობა გამოეცხადებინათ სახალხო პროტესტებისათვის, მსოფლიოს შორეულ სივრცეებში. სხვათა შორის, დიასპორა ზოგჯერ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცალკეული ქვეყნების მიუღებელი პოლიტიკური რეჟიმების შეცვლაში. ამის მაგალითად მოჰყავთ განის დიასპორის მობილიზება, 2000 წლის არჩევნებში, ოპოზიციური კანდიდატის მხარდასაჭერად, ერთის მხრივ, დაკავშირდებოდნენ თავიანთ თანამემამულეებს ხმა მიეცათ ოპოზიციონერი ლიდერისათვის, მეორე მხრივ, მოეძებნათ ყველა საშუალება თვითონ მიეღოთ მონაწილეობა ეროვნულ არჩევნებში. მოგვიანებით 2,5 მლნ განელი დიასპორა შეეცადა გაეზარდა კაპიტალის მოძრაობა საკუთარ ქვეყანაში.[38]

არასამთავრობო ორგანიზაციების სამიზნე ხშირად ხდება ტრანსნაციონალური კორპორაციები. ერთ-ერთი ორგანიზაცია „სახელი და სირცხვილი“ მკვეთრ კამპანიას ეწეოდა იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც დაბალ ხელფასს უხდიდნენ მუშებს ღარიბ ქვეყნებში. უდიერად ეპყრობოდნენ იუნესკოს მიერ აღრიცხულ მსოფლიო მემკვიდრეობის ადგილებს. ტრანსნაციონალური წამლის კომპანიები შერცხვენილ იქნენ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, 2002 წელს სამხრეთ აფრიკაში სასამართლო საქმის თავის

[38] David Bollier, „The Rise of Netpolitik: How the Internet Is Changing International Politics and Diplomacy“, Aspen Institute (2003), a report of the eleventh annual Aspen Institute Roundtable on Information Technology, available at: http://www.aspeninst.org/Aspen-Institute/files/CCLIBRARYFILES/FILENAME/0000000077/netpolitik.pdf), pp. 21, 23, 24.

არიდებაში დარღვევისათვის, რომელიც ეხებოდა შიდსის წამლების პატენტს.

ამ კონტექსტში საინტერესოა თვითონ არასამთავრობო ორგანიზაციების რეიტინგის საკითხი საზოგადოებაში. ისინი განსხვავდებიან ბიუჯეტებით, თავიანთი წევრების ანგარიშვალდებულებით, მოთხოვნების სიზუსტით და პასუხისმგელობით. საერთო ჯამში ისინი იყოფიან საიმედო და არასაიმედო ორგანიზაციებად. მაგალითად, გამოკითხვებით აღმოჩნდა, რომ ევროპაში 42 პროცენტი ენდობოდა არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხოლო 36 პროცენტი მათ უნდობლობას უცხადებდა. კონკრეტულად ბრიტანეთსა და გერმანიაში არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ უნდობლობა უფრო მეტი იყო, ვიდრე ნდობა.[39]

ასევეა საქართველოშიც.

შესაბამისად, ცალკეულ ქვეყნებში საერთაშორისო ორგანიზაციებს მთავრობის მეტ-ნაკლები მხარდაჭერა გააჩნდათ. ზოგიერთ ქვეყანაში მათი საშინაო და ასევე საერთაშორისო პოლიტიკური გავლენა საგრძნობია. ზოგან მათ აქვთ საორგანიზაციო და საკომუნიკაციო უნარები მობილიზება გაუკეთონ დემონსტრაციებს, საპროტესტო გამოსვლებს, რაც მთავრობებს არ შეუძლიათ უგულვებელყონ. ამდენად, უმართებულო იქნებოდა სახელმწიფოებს გაეთვალისწინებინათ არასამთავრობო ორგანიზაციების „რბილი ძალის“ რესურსები.

მკვლევარები ყურადღებას მიაპყრობენ ორგანიზებული რელიგიური მოძრაობების „რბილ ძალას“, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით მოქმედებენ და მიმზიდველობის ობიექტად წინ აქვთ წამოწეული შობადობის რეგულირების, აბორტის, მშვიდობის დაცვის და სხვა საკითხები. ცნობილია რელიგიური მიმდინარეობების კათოლიკების, პროტესტანტების, ისლამისტების, ბუდისტების და სხვების ფართო მისიონერული ძალისხმევა, რომლებიც მილიონო-

[39] European Commission, Eurobarometer 56, October-November 2001, available at: http://europa.eu.int/comm/public_opinion/archives/eb_arch_en.htm).

ბით ადამიანებს იზიდავენ, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ ასპექტს, რომ ცალკეული რელიგიური მოძრაობები ზოგიერთ შემთხვევაში საკმაო აგრესიულობითაც გამოირჩევიან, რაც, თავიანთ რწმენაზე მოქცევის პროცესში „რბილი ძალის“ ნგრევით გამოიხატება, ვიდრე შექმნით.

„რბილი ძალის“ განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ როლს თამაშობს გაერო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომლებიც სახელმწიფოების მიერ არიან შექმნილნი, მაგრამ მათი დიპლომატია მოიცავს უნიკალურ პროცედურებს და კულტურას.

გაერო არ შეიძლება დასახელდეს ლეგიტიმურობის ერთადერთ წყაროდ მსოფლიო პოლიტიკაში, მაგრამ მისი უნივერსალობა, სამართლებრივი ჩარჩო და შედარებითი მიმზიდველობა მის განცხადებებს თუ გადაწყვეტილებებს ლეგიტიმურობის მნიშვნელოვანი ხარისხი ეძლევა. გაეროს რეპუტაცია და აქედან გამომდინარე, მისი „რბილი ძალა“ მგრძნობიარეა ცვალებადი პოლიტიკური მოვლენების მიმართ.

გაეროს საერთო რეპუტაცია წლების განმავლობაში იცვლებოდა მსოფლიოს პოლიტიკურ სივრცეში, შესაბამისად, იცვლებოდა მიმზიდველობა და „რბილი ძალის“ რესურსები.

„რბილი ძალის“ ადრეული ძალისხმევები

„რბილი ძალის“ რესურსების მოპოვება არცერთ ეპოქაში არ ყოფილა ადვილი საქმე. მე-17 და მე-18 საუკუნეებში საფრანგეთი თავის კულტურას მთელ ევროპაში განავრცობდა, ხოლო ფრანგული ენა არა მარტო დიპლომატიის საერთაშორისო ენად გადაიქცა, არამედ ზოგიერთი უცხოური სასამართლოების მიერ გამოიყენებოდა პრუსიასა და რუსეთში. საფრანგეთის რევოლუციის დროს საფრანგეთი პირდაპირ მიმართავდა სხვა ქვეყნების მოსახლეობას მოეხდინათ რევოლუციური იდეოლოგიის სტიმულირება. რო-

გორც ისტორიკოსი რიჩარდ პილსი შენიშნავდა, „საზღვარგარეთ ფრანგული კულტურის პროეცირება ფრანგული დიპლომატიის მნიშვნელოვან კომპონენტად იქცა.[40]

იტალიამ, გერმანიამ და სხვა ქვეყნებმა მალე მიბაძეს საფრანგეთს საზღვარგარეთ საკუთარი კულტურის სტიმულირების ინსტიტუტების დაარსებით.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისმა „რბილი ძალის“ გამოყენების მცდელობათა დიდ აფეთქებას დაუდო სათავე. მთავრობებმა დაიწყეს საკუთარი მოსაზრებების პროპაგანდირების ოფისები (აშშ, ბრიტანეთი, გერმანია და ა.შ.).

მე-20 საუკუნის პირველ ოცეულში ამერიკა შეეცადა ინფორმაცია და კულტურა დიპლომატიის მიზნებისთვის გამოეყენებინა. 1917 წელს პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა დააარსა საზოგადოებრივი ინფორმაციის კომიტეტი, რომელსაც „კომვოიაჟერთა უზარმაზარი გაერთიანების“ მეშვეობით მსოფლიოს უდიდესი ავანტიურისა და რეკლამირების წარმართვა ევალებოდა. აღნიშნული სამსახური არა მხოლოდ საგანმანათლებლო და ინფორმაციულ საქმიანობას ეწეოდა, არამედ ახდენდა ტურების ორგანიზებას, ამზადებდა „ამერიკანიზმის“ მქადაგებელ პამფლეტებს, აარსებდა მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფ ახალი ამბების სამსახურს, უზრუნველყოფდა, რომ ყველა ფილმში ამერიკა პოზიტიურ შუქში ყოფილიყო წარმოჩენილი.

20-იან წლებში რადიოს გაჩენამ, 30-იანი წლებისათვის მრავალი ქვეყნის მთავრობა სხვა ქვეყნებში, უცხოენოვანი მაუწყებლობის იდეამდე მიიყვანა. კომუნისტები საბჭოთა კავშირში და ფაშისტები გერმანიასა და იტალიაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საკუთარი ქვეყნებისა და იდეოლოგიების ხელსაყრელი სურათის შექმნაში სხვა ქვეყნებში. ნაცისტური გერმანია საკუთარი უცხოენოვანი რადიო-მაუწყებლობის გარდა, კინო-პროპაგანდის საქმეში იყო საკმაოდ დახვეწილი. 1937 წელს, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მი-

[40] Richard Pells, Not like Us (New York: Basic Books, 1997), pp. 3 1–3 2

ნისტრი ენტონ იდენი ახალი კომუნიკაციების მოქმედებას ამგვარად აცნობიერებდა: „რა თქმა უნდა, ჭეშმარიტია, რომ კარგ კულტურულ პროპაგანდას არ შეუძლია ცუდი საგარეო პოლიტიკის მიერ გამოწვეული ზიანის სრული კომპენსირება, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პირობების მიერ წარმოშობილი ინტერპრეტირებისა და დარწმუნების ამოცანების იგნორირების შემთხვევაში საუკეთესო დიპლომატიური პოლიტიკაც კი მარცხისათვისაა განწირული“.[41]

1922 წელს დაფუძნებული „ბიბისი“, ათწლეულის მიწურულს უკვე მაუწყებლობდა ყველა ძირითად ევროპულ ენაზე, ისევე როგორც არაბულზე. 30-იანი წლების მიწურულს რუზველტის ადმინისტრაცია დარწმუნდა, რომ ამერიკის უსაფრთხოება დამოკიდებული იყო სხვა ქვეყნების მოსახლეობებთან საუბრისა და მათი მხარდაჭერის მოპოვების უნარზე.[42] რუზველტს აწუხებდა ლათინურ ამერიკაში გერმანელების პროპაგანდა. 1938 წელს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა დააარსა კულტურული ურთიერთობების განყოფილება, ხოლო მოგვიანებით, ამ განყოფილების მხარდამჭერი ამერიკის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ოფისიც, რომელიც აქტიურად ახდენდა ლათინურ ამერიკაში ამერიკის ინფორმაციისა და კულტურის სტიმულირებას. უკვე 1941 წლისათვის შეერთებული შტატები 24-საათიან მაუწყებლობას ეწეოდა.

მეორე მსოფლიო ომში ამერიკის ჩართვის შემდეგ მთავრობის კულტურულმა იერიშმა გლობალური მასშტაბი შეიძინა, ჩამოყალიბდა ომის პერიოდის ინფორმაციის ოფისი, რომელიც ჰოლივუდის პროდუქციის ფორმირებაზეც კი მუშაობდა, ამ მასალის პროპაგანდის საშუალებებად გამოსაყენებლად, ფილმებში გარკვეული მოსაზრებების ჩამატებისა და გარკვეული მოსაზრებების ამოშლის რეკომენდაციით და ზოგი ფილმისათვის კი ლიცენზიაზე უარის თქმის მეშვეობით. ამდენად პატრიოტიზმით მოტივირებული ჰო-

[41] Joseph S. Nye. Soft Power - The means to success in world politics, New York, 2004.
[42] Richard Pells, Not like Us (New York: Basic Books, 1997), pp. 3 1–3 2

ლივუდის სტუდიები, ამერიკული კორპორაციებისა და სარეკლამო ფირმები მთელ მსოფლიოში ავრცელებდნენ ამერიკის კულტურასა და ფასეულობებს და მათი წარმატების საიდუმლოებებს. უდავოა, „რბილი ძალის“ ომის დროინდელი რესურსები ნაწილობრივ მთავრობის და ნაწილობრივ დამოუკიდებლად იყო შექმნილი.

იმ დროისათვის ამერიკის რადიომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რომელიც შემდგომში „ამერიკის ხმად“ გადაიქცა. 1943 წელს „ამერიკის ხმა“ 27 ენაზე მაუწყებლობდა 23 გადაცემის მეშვეობით, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ, ცივი ომის დაწყების პერიოდში ამერიკის ხმა ფართოდ ზრდიდა თავის შესაძლებლობებს, თუმცა ამერიკაში იმაზეც მიდიოდა კამათი, რამდენად უნდა ყოფილიყო იგი სამთავრობო ინფორმაციის მიმწოდებელი თუ ამერიკული კულტურის დამოუკიდებელი წარმომადგენელი.

სპეციალურად შექმნილი დამატებითი რადიო-სადგურები „თავისუფლება“, „თავისუფალი ევროპა“ აღმოსავლეთის ბლოკზე მაუწყებლობისთვის ამ ქვეყნებიდან გამოძევებულ პირებს იყენებდნენ. უფრო ზოგადად, ცივი ომის ზრდასთან ერთად, მოხდა საზოგადოებაში გაყოფა: ერთი ჯგუფი მხარს უჭერდა კულტურული დიპლომატიის ნელ გავრცელებას (წიგნები, ხელოვნება, გაცვლა-გამოცვლა და ა.შ.), რასაც გაჟონვის ეფექტი უნდა გამოეწვია, ხოლო მეორე ჯგუფის წარმომადგენლები კულტურული დიპლომატიის სწრაფი გავრცელების (რადიო, ფილმები, კინო-ქრონიკა და სხვ.) მომხრეები იყვნენ, რასაც უფრო დაუყოვნებელი და ხილული „ინვესტიციის უკუგება“ უნდა გამოეწვია.

ცივი ომის გამნავლობაში ამ ორი მიდგომის მხარდამჭერები ერთმანეთს ეკამათებოდნენ, მთავრობის მიერ „რბილი ძალის“ ინვესტირების საკითხის ირგვლივ. „აგრესიულები“ პირდაპირი პროპაგანდის ერთგულები რჩებოდნენ, ხოლო „რბილები“ ამტკიცებდნენ, რომ სხვა ქვეყნებში არსებული მოსაზრებების ცვლილება ნელ-ნელა განსახორციელებელი პროცესი იყო, რომელიც წლებზე უნდა გაწელილიყო. მიმდინარეობდა დაპირისპირება იმის შესა-

ხებ, თუ რამდენად თავისუფალი უნდა ყოფილიყო სამთავრობო კონტროლისაგან, სამთავრობო დაფინანსების მქონე პროგრამები. თუმცა, საბოლოოდ ამერიკის საგარეო კულტურული პროგრამები ჩათრეულნი აღმოჩნდნენ აგრესიული ანტიკომუნისტური საგარეო პოლიტიკის მორევში.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საზოგადოებრივი დიპლომატიის მთავარი ინსტიტუტის როლი დაიკავა შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტომ. „ამერიკის ხმა“ ამ ორგანიზაციაში 1978 წელს იქნა შეყვანილი, შემდგომში რეიგანის ადმინისტრაცია შეეცადა ორივე ეს ორგანიზაცია უფრო მეტად ყოფილიყო პასუხისმგებელი უშუალოდ მთავრობის ამოცანების მიმართ. 1999 წელს, შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო გაუქმდა და მისი ფუნქციები სახელმწიფო დეპარტამენტმა შეითვისა, ხოლო „ამერიკის ხმა“ და სხვა სპეციალიზირებული სადგურები დაექვემდებარებოდნენ ახალ უწყებას – გუბერნატორთა სამაუწყებლო საბჭოს. უკვე 2004 წლისათვის „ამერიკის ხმა“ 50-ზე მეტ ენაზე მაუწყებლობდა და მისი აუდიტორია 90 მილიონზე მეტ მსმენელს მოიცავდა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ამერიკის საინფორმაციო საქმიანობისათვის ნაკლები საბიუჯეტო თანხები გამოიყოფოდა. თუ თავისი საქმიანობის მწვერვალზე ამერიკის საინფორმაციო სააგენტოს 12 ათასი თანამშრომელი ჰყავდა, 1994 წელს 9 ათასი, ხოლო ახალი საუკუნის დასაწყისისთვის მათი რაოდენობა 7 ათასამდე შემცირდა. შესაბამისად, მცირდებოდა ყოველკვირეული რადიო-გადაცემებიც. თუ მე-20 საუკუნის დასასრულისთვის ყოველკვირეული გადაცემები საბჭოთა მოსახლეობის ნახევარს მოიცავდა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობის 70-80 პროცენტს ფარავდა, ახალი საუკუნის დასაწყისისათვის, არაბთა მოსახლეობის 2 პროცენტს ჰქონდა მოსმენილი „ამერიკის ხმა“. შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს მისიის რესურსები განახევრდა მსოფლიოს უდიდეს მუსულმანურ სახელმწიფოში _ ინდონეზია-

ში. 1995-2001 წლებში შემცირდა კულტურული გაცვლითი პროგ-რამები. 2003 წელს „ბიბისი“-ს მსოფლიო სამსახურს მსოფლიოს მასშტაბით ყოველკვირეულად 150 მლნ მსმენელი ჰყავდა, ხოლო „ამერიკის ხმას“ – 100 მლნ-ზე ნაკლები.[43]

2001 წლის სექტემბრის შემდეგ ამერიკელებმა ხელახლა აღ-მოაჩინეს „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებში ინვესტირების მნიშვ-ნელობა, თუმცა 2003 წელს მიღებულ იქნა მორიგი არაადექვატური გადაწყვეტილება და „ამერიკის ხმის“ ინგლისურენოვანი მაუწყებ-ლობა 25 პროცენტით შემცირდა.

საზოგადოებრივი დიპლომატია საინფორმაციო ხანაში

თანამედროვე ვითარებაში მსოფლიოს სახელმწიფოთა ნახევა-რი დემოკრატიული ფასეულობების მატარებელია. ორ პოლიტი-კურ და სოციალურ სისტემას შორის პაექრობის ცივი ომისდროინ-დელი მოდელი დღეს ნაკლებად წარმოადგენს საზოგადოებრივი დიპლომატიის წარმმართველ ფაქტორს. თუმცა კვლავ არსებობს ზუსტი ინფორმაციის მიწოდების საჭიროება იმ ქვეყნებისათვის, სადაც ინფორმაცია კონტროლდება მთავრობის მიერ. ქვეყნების ნაწილში, ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, აქტიურად ერთვებიან პარლამენტები. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც ადგი-ლი აქვს ავტორიტარული მთავრობების ახალი დემოკრატიებით ჩანაცვლების პროცესს. უცხო ქვეყნების ლიდერების მათდამი მე-გობრული განწყობის მიუხედავად, თავისუფლების ხარისხი შე-ზღუდული შეიძლება იყოს თუკი მათი ქვეყნების მოსახლეობასა და პარლამენტებს, მაგალითად, შეერთებული შტატებისა და მისი პოლიტიკის შესახებ უარყოფითი წარმოდგენა გააჩნიათ. ამგვარ

[43] British Broadcasting Corporation, BBC World Service, Annual Report 2002–2003, “Review of World Service and Global News,” available at: http://www.bbc.co.uk/info/report2003/pdf/worldservice.pdf, p. 4.

ვითარებაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მიმართული დიპლომატია ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფოთა ლიდერებს შორის წარმართული ტრადიციული, გასაიდუმლოებული დიპლომატია.

ინფორმაცია დღეს მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს და მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ხელი მიუწვდება ამ ძალაზე. უფრო მეტიც, წარმოიშვა ინფორმაციული სიჭარბე, ანუ როგორც მკვლევარები შენიშნავენ „სიჭარბის პარადოქსი“. როდესაც ადამიანები მათზე მიმართული ინფორმაციით წალეკილნი არიან, ძნელდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამორჩევა. ასეთ ვითარებაში უფრო წინ იწევა ყურადღების პრობლემა და ინფორმაციის კასკადიდან მათი გამორჩევა. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნადი ხდება ანალიტიკოსი სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ თქვან საითკენ უნდა იყოს მიმართული ყურადღება საპროპაგანდო თუ პიარის სივრცეში.

დღეს აშკარად თვალშისაცემია პოლიტიკის შეჯიბრებითობითი ხასიათი. ტრადიციული პოლიტიკური ძალის სამყაროში გამარჯვება სამხედრო ან ეკონომიკური ძალის მეშვეობით მოიპოვება, ხოლო საინფორმაციო ხანაში კი იმარჯვებს ის პოლიტიკა, რომ „ლეგენდაც იმარჯვებს“. მთავრობები ერთმანეთთან და სხვა ორგანიზაციებთან კონკურენციაში არიან ჩაბმულნი საკუთარი სანდოობის გაზრდის და მათი ოპონენტების სანდოობის შემცირების მიზნით. ამის მაგალითად შეგვიძლია მოგვეყვანა 1999 წელს კოსოვოში და ერთი წლის შემდეგ სერბეთში მომხდარი ამბების შეფასების შესახებ სერბიასა და ნატოს ბლოკს შორის წარმოშობილი კონფლიქტი. 2000 წლის ოქტომბერში, სლობოდან მილოშევიჩის ჩამოგდების წინ ჩატარებული გამოკითხვები ადასტურებდნენ, რომ სერბი ზრდასრული მოსახლეობის 45 პროცენტი თავისუფალი ევროპისა და „ამერიკის ხმის“ რადიო-არხებს უსმენდა და მხოლოდ

31 პროცენტი უსმენდა ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფ ბელგრადის არხის გადაცემებს.[44]

ამის გარდა, საკუთრივ სერბეთის ალტერნატიული რადიოსადგური B32 აგრეთვე აწვდიდა მოსახლეობას დასავლურ ახალ ამბებს და როდესაც მთავრობამ მისი დახურვა სცადა, იგი მოსახლეობას ამგვარ ინფორმაციას ინტერნეტის მეშვეობით აწვდიდა.

მსოფლიო პოლიტიკაში რეპუტაცია ყოველთვის დიდად ფასობდა, მაგრამ „სიჭარბის პარადოქსის“ ზეგავლენით, სანდოობა ძალაუფლების კიდევ უფრო მნიშვნელოვან რესურსად გვევლინებოდა. ზოგჯერ შესაძლოა კონტრპროდუქტიულიც ყოფილიყო. მაგალითად, სადამ ჰუსეინის ხელთ არსებული მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი ალ-ქაიდას ტერორისტულ ქსელთან კავშირის შესახებ გავრცელებული გაზვიადებული ცნობები ხელსაყრელად მოქმედებდნენ ერაყის ომის მხარდამჭერი ქვეყნისშიდა მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მაგრამ მოგვიანებით გამოაშკარავებულმა გაზვიადებამ დიდი დარტყმა მიაყენა ბრიტანეთისა და ამერიკის სანდოობას. ამდენად, საინფორმაციო ხანის ამ ახალ პირობებში, ახალი ამბების ალტერნატიულ წყაროებზე ხელმისაწვდომობის ვითარებაში ინფორმაციის ხალხთა მასებისთვის მისაწოდებლად რბილი მარკეტინგის მეთოდები უხეში მარკეტინგის მეთოდებზე უფრო ქმედითი შეიძლება აღმოჩენილიყო.

სახალხო დიპლომატიის ფორმა

სახალხო დიპლომატიის სხვადასხვაგვარი განმარტებები არსებობს. პრეზიდენტ კენედის ადმინისტრაციის საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი ედუარდ მოროუ მიიჩნევდა, რომ სახალხო დიპლომატია წარმოადგენდა იმგვარ ურთიერთქმედებებს, რომ-

[44] Edward Kaufman, „A Broadcasting Strategy to Win Media Wars“, in The Battle for Hearts and Minds (Cambridge, Mass.: MIT Press, 2003), p. 303

ლებიც მიმართული იყო არა მარტო უცხო სახელმწიფოთა მთავ-
რობებზე, არამედ უპირველეს ყოვლისა, არასამთავრობო პირებსა
და ორგანიზაციებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სამთავრობო
თვალსაზრისების პარალელურად მრავალფეროვან კერძო თვალ-
საზრისებს გამოხატავდნენ.[45] სახალხო დიპლომატიის ბრიტანელი
ექსპერტის მარკ ლეონარდის მოსაზრებით, ცდებოდნენ ის სკეპ-
ტიკოსები, რომელთაც „სახალხო დიპლომატიის“ ცნება მხოლოდ
და მხოლოდ პროპაგანდის სინონიმად მიაჩნდათ. უბრალო პრო-
პაგანდა ხშირ შემთხვევაში მოკლებული იყო სანდოობას და სა-
ხალხო დიპლომატიის თვალსაზრისით, კონტრპროდუქტიული
შედეგის მომტანი ჩანდა. ამასთან, სახალხო დიპლომატია არ წარ-
მოიდგინებოდა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერ-
თობებად, მითუმეტეს, ინფორმაციის გადაცემა და მოცემული
საგნის შესახებ დადებითი წარმოდგენის გავრცელება მის მხოლოდ
ერთ-ერთ მდგენელს წარმოადგენდა, მაგრამ ის აგრეთვე მოიცავდა
იმგვარი ხანგრძლივმოქმედი ურთიერთობების შექმნას, რომლებიც
სამთავრობო პოლიტიკის ხელშემწყობ გარემოს ქმნიდნენ.

მკვლევარები და პოლიტიკოსები გამოყოფენ სახალხო დიპ-
ლომატიის სამ განზომილებას და ყველა მათგანი მნიშვნელოვნად
არის მიჩნეული და ისინი უშუალო სამთავრობო ინფორმაციისა და
ხანგრძლივმოქმედი კულტურული ურთიერთობების განსხვავე-
ბულ პროპორციებს საჭიროებდნენ.[46]

პირველი და ყველაზე თვალნათელი განზომილება გულისხ-
მობს ყოველდღიურ ურთიერთობებს, რაც საშინაო და საგარეო
პოლიტიკის გადაწყვეტილებათა შინაარსის ახსნას მოიცავს. თანა-
მედროვე დემოკრატიის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღების
შემდეგ მთავრობის მაღალჩინოსნებმა, როგორც წესი, საკმაო
მნიშვნელობის ყურადღება უნდა დაუთმონ იმ საკითხს თუ რა და

[45] Murrow quoted in Mark Leonard, Public Diplomacy (London: Foreign Policy Centre, 2002), p. 1.
[46] Leonard, Public Diplomacy, chapter 3.

როგორ ელაპარაკონ პრესას. ბევრ შემთხვევაში ისინი ქვეყნის შიდა პრესაზე არიან ფოკუსირებულნი, თუმცა წესით სახალხო დიპლომატიის პირველი განზომილების უმნიშვნელოვანეს სამიზნეს საგარეო პრესა უნდა წარმოადგენდეს.

მკვლევარები შეცდომად მიიჩნევენ თუ მთავრობები ქვეყნის შიდა გადაწყვეტილებებს უხსნიან მხოლოდ თავიანთი ქვეყნის შიდა აუდიენციას და ვერ აცნობიერებენ თავიანთი ქმედებების ქვეყნის გარე აუდიენციისათვის აუხსნელობის ნეგატიურ შედეგებს.

მკვლევარებს მაგალითად მოჰყავთ სარკინიგზო ავარიების სერიის შემდეგ ბრიტანული პრესის მიერ ბრიტანეთის ზიზღით მოხსენიება „მესამე სამყაროს ქვეყნად“. მითუმეტეს კონტექსტის ახსნის გარეშე იგივე ეპითეტს იმეორებდნენ მთელი რიგი უცხოური პრესის გამოცემები, რაც ხელს უწყობდა დიდი ბრიტანეთის შესახებ „მიხრწნილი“ სახელმწიფოს წარმოდგენის შექმნას.

ყოველდღიური განზომილება ასევე უნდა მოიცავდეს კრიზისისა და იერიშებისათვის თავის გართვმევის მზადებას, სწრაფ რეაგირებას დეზინფორმაციის და ტყუილების იერიშებზე. მაგალითად, 2001 წლის 7 ოქტომბერს ალ-ჯაზირა ავრცელებდა ოსამა ბენ ლადენის ვიდეო-ჩანაწერს. ამერიკის ადმინისტრაციამ თავიდან სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნია ალ-ჯაზირასა და ამერიკული არხებისათვის ბენ ლადენის გზავნილების გავრცელების სრული აკრძალვა, მაგრამ თანამედროვე საინფორმაციო ხანაში ამგავრი მოქმედებები არა მარტო სრულიად უსარგებლო მცდელობაა, არამედ იმ ღიაობასაც ეწინააღმდეგება, რის სიმბოლოდაც ამერიკას უნდა, რომ მიიჩნევდნენ. ამიტომ ფიქრობენ, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა საინფორმაციო ნაკადის მომზადება, რომელიც ალ-ჯაზირასა და სხვა არხებს ბენ ლადენის სიძულვილის სიტყვის საწინააღმდეგო ამერიკული გზავნილებით დატბორავდა. მიუხედავად იმისა, რომ ყატარში დაფუძნებული „ალ-ჯაზირა“ და სხვა უცხოური საინფორმაციო არხები არ იყვნენ მიუკერძოებულნი და მათაც სჭირდებოდათ საინფორმაციო სივრცის შესავსები მასალა.

მოგვიანებით, ამერიკელებმა ეს გაითვალისწინეს და მზადყოფნა გამოთქვეს ჩართულიყვნენ დიალოგში.[47]

მეორე განზომილებას წარმოადგენს სტრატეგიული კომუნიკაცია, სადაც ცალკეული თემები ისევე ვითარდება, როგორც პოლიტიკურ ან სარეკლამო კამპანიების ფარგლებში. კამპანიის დროს ხდება იმ სიმბოლიკური მოვლენებისა და კომუნიკაციების დაგეგმვა, რომლებსაც ადგილი წლის განმავლობაში ექნებათ, რათა მოხდეს ცენტრალური თემების ან ცალკეული სამთავრობო პოლიტიკის, სასურველ ჭრილში გაშუქება. ზოგიერთ შემთხვევაში დაგეგმვა უფრო ადვილია, ხოლო გეგმის შესრულება კი უფრო ძნელი. მაგალითად, 1990-იან წლებში, მაშინ, როდესაც ბრიტანეთის საბჭო დიდ ბრიტანეთს თანამედროვე მულტიეთნიკურ და კრეატიულ კუნძულად წარმოაჩენდა, სხვა ბრიტანული სახელმწიფო სტრუქტურა, დიდი ბრიტანეთის ტურიზმის სამმართველო ბრიტანეთის ტრადიციებს, რიტუალებსა და ისტორიას უკეთებდა მონდომებით რეკლამირებას. უფრო მეტიც, ამგვარმა რეკლამირებამ შეიძლება პირდაპირი ზიანიც კი გამოიწვიოს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირის ერთგულ წევრად წარმოჩენის რამდენიმეწლიანი მცდელობები წყალში ჩაყარა 2003 წელს, ბრიტანეთის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, საფრანგეთსა და გერმანიასთან არ დამდგარიყო და ამის საპირისპიროდ მხარი ერაყის ომში შეერთებული შტატებისათვის დაეჭირა. ამ გადაწყვეტილებით მრავალი ქვეყნის მოსახლეობის თვალში დიდმა ბრიტანეთმა ამერიკის შეერთებული შტატების „ყმა ქვეყნის“ არასასურველი იმიჯი გაიმყარა.

ცნობილია, რომ სპეციალური თემები ცალკეული პოლიტიკური ინიციატივების ირგვლივ ფოკუსირდებიან. მაგალითად, რეიგანის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა განეხორციელებინა ნატოს ბლოკის გადაწყვეტილება ორმაგი სტანდარტი გამოეყენებინათ და ერთის მხრივ, ფრთოსანი რაკეტები განეთავსებინათ და ამის თანა-

[47] Blinken, „Winning the War of Ideas“, p. 291.

დროულად საბჭოთა კავშირთან არსებული საბჭოური საშუალო მანძილის რაკეტების მოშორებაზე ეწარმოებინათ მოლაპარაკება. ამის საპასუხოდ საბჭოთა კავშირმა კონცენტრირებული კამპანია წამოიწყო, რათა ზეგავლენა მოეხდინა ევროპაში საზოგადოებრივ აზრზე და რაკეტების განთავსება შეუძლებელი გამხდარიყო. შტატების თემებმა ყურადღება ნატოს ბლოკში გადაწყვეტილებების მიღების კონსენსუსის პრინციპზე გაამახვილეს, რათა წაეხალისებინათ ევროპული მთავრობები შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში ვითარება საკუთარ ხელში აეღოთ და გამოეყენებინათ ამერიკული არასამთავრობო სექტორის ისეთი წარმომადგენლები, როგორიცაა, აკადემიური წრის მომხსენებლები, რათა შედეგიანად დაპირისპირებოდნენ საბჭოთა არგუმენტაციას.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ გერმანულ საზოგადოებაში ძლიერი იყო ამერიკული პოლიტიკით შეშფოთებულთა რიცხვი, ამავე გამოკითხვებით გერმანიის საზოგადოების ორი მესამედი პროამერიკულად იყო განწყობილი. ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი მოგვიანებით ასეთ განცხადებას აკეთებდა „მე არა მგონია, რომ ჩვენ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა სახალხო დიპლომატიის ძალიან აქტიური მოქმედებების გარეშე შეგვძლებოდა, რადგანაც მთელი 1983 წლის განმავლობაში საბჭოელები ძალიან აქტიურობდნენ... სამშვიდობო ინიციატივებითა და სხვა ძალისხმევებით ჩვენი ევროპელი მეგობრებისთვის ევროპაში რაკეტების განთავსების იდეის საწინააღმდეგოდ განსაწყობად“.[48]

სახალხო დიპლომატიის მესამე განზომილება მოიცავს საკვანძო მნიშვნელობის მქონე პირებთან ხანგრძლივვადიანი ურთიერთობის დამყარებას, რაც სასწავლო პროგრამებში მონაწილეობით, გაცვლითი პროგრამებით, წრთვნებით, სემინარებით, კონფერენციებით და მედია-არხებთან დაშვების არსებობით მიიღწევა.

---

[48] Hans N. Tuch, Communicating with the World: U.S. Public Diplomacy Overseas (New York: St. Martins Press, 1990), chapter 12.

ომისშემდგომი ათწლეულების განმავლობაში 700 000-მდე ადამიანი მონაწილეობდა ამერიკულ კულტურულ და აკადემიურ გაცვლით პროგრამებში და ამ გაცვლითმა პროგრამებმა თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო მასშტაბის იმგვარი ლიდერების ჩამოყალიბებაში, როგორებიც იყვნენ ანვარ სადათი, ჰელმუტ შმიდტი და მარგარეტ ტეტჩერი.

შარლოტა ბეერსი, სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე სახალხო დიპლომატიის საკითხებში, მიუთითებდა, რომ ამგვარ გაცვლით პროგრამებში მსოფლიოს 200-ზე მეტი ამჟამინდელი ან ყოფილი სახელმწიფო ლიდერი მონაწილეობდა და ტერორიზმთან ბრძოლის კოალიციის წევრ სახელმწიფოთა მეთაურების დიდი ნაწილი გაცვლითი პროგრამებით სტუმრობდნენ შეერთებულ შტა-ტებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსგავსი პროგრამები სხვა სახელმწიფოებსაც გააჩნდათ. მათ შორის პირველი იყო იაპონია, სადაც 40 უცხოური სახელმწიფოს 6000 ახალგაზრდა ჩადიოდა.

სახალხო დიპლომატიის აღნიშნული განზომილებებიდან, თითოეული მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კონკრეტული სა-ხელმწიფოს მიმზიდველი იმიჯის შექმნაში. თუმცა არსებობდნენ ვიწრო-პარტიულ ინტერესებს მორგებული პოლიტიკოსები, რომ-ლებიც კი არ გამოიმუშავებდნენ, არამედ შთანთქავდნენ „რბილ ძალას“. კომუნიკაციების სტრატეგიას არ შეეძლო პოლიტიკის წინააღმდეგ მუშაობა. მოქმედებები სიტყვებზე მეტს ნიშნავდნენ და სახალხო დიპლომატია, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ „უხეში ძალის“ შემალამაზებელი ჩარჩო იქნებოდა, არ შეიძლებოდა წარმატებული ყოფილიყო. ეგოისტური, რეაქციული და არამეგობ-რული მთავრობა ყოველთვის ართულებდა გამოსავალის მოძებნის უნარს. პოლიტიკა და დიპლომატია დაშორდებოდნენ ერთმანეთს და გაგრძელდებოდა მსოფლიოსათვის წინააღმდეგობრივი ან დამაბნეველი სიტყვის მიწოდება, მითუმეტეს, უცხოელებისათვის ქადაგებების წაკითხვა არ წამორადგენს მათი საკუთარ აზრზე მოქცევის საუკეთესო საშუალებას.

ხაზგასასმელია, რომ ზოგიერთი ქვეყანა სახალხო დიპლომატიას მოქმედებების მეშვეობით ახორციელებს და არა მაუწყებლობით. ამის კარგ მაგალითად მიჩნეულია ნორვეგია, რომელსაც არ გააჩნია საერთაშორისო ენა ან ტრანსნაციონალური კულტურა, არ აქვს ცენტრალური მდებარეობა და არ არის საერთაშორისო ორგანიზაციების ან მულტინაციონალური კორპორაციების კვანძი, აგრეთვე არ არის ევროკავშირის წევრიც, მიუხედავად ამისა მან შეძლო თავისი საშუალო ზომებსა და რესურსებთან არაპროპორციულად ძლიერი საერთაშორისო ხმის ჩამოყალიბება და საერთაშორისო საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება „თავისი სამიზნე აუდიტორიის უმოწყალო პრიორიტეტიზაციისა და მხოლოდ ერთ გზავნილზე – ნორვეგია მსოფლიოში მშვიდობისკენ მიმართული ძალა“ – კონცენტრაციის მეშვეობით“.[49]

ამ შემთხვევაში შესაბამის მოქმედებებში შედის: კონფლიქტების მოგვარებისთვის მიმართული ძალისხმევა ახლო აღმოსავლეთში და სხვა ტერიტორიებზე; საგარეო დახმარებებისათვის მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფა; სამშვიდობო ძალებში ხშირი წარმომადგენლობა და ა.შ.

გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკოსების და განსაკუთრებით სახელმწიფო ლიდერების სიტყვები მისაღებია შიდა აუდიტორიისათვის, მაგრამ ზოგჯერ ნეგატიურ შეფერილობას ღებულობენ გარე სამყაროში. მაგალითად, 2002 წელს, ჯ. ბუშის მიერ კონგრესის წინაშე ერაყის, ირანისა და ჩრდილოეთ კორეასათვის „ბოროტების ღერძის“ მიკუთვნებამ შტატებში დადებითი შეფასება მიიღო, უცხოელებმა კი იგი მორალური თვალსაზრისით უარყოფითად შეაფასეს.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა და კომუნიკაციები „თანხვედრაში“ შეიძლება იყვნენ ერთმანეთთან, სამთავრობო კომუნიკაციები საზოგადოებებს შორის წარმართულ საერთო კომუნიკაციათა მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენენ. მკვლევარების მტკიცე-

[49] Leonard, Public Diplomacy, p. 53.

ბით ჰოლივუდის ფილმები, რომლებიც სხვა ქვეყანათა რელიგიურ ფუნდამენტალისტებს შეურაცხყოფენ ან ამერიკელი მისიონერები, რომლებიც ისლამის გაუფასურებას ცდილობენ ყოველთვის სამთავრობო კონტროლს მიღმა რჩებოდნენ. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ექსპერტი ასკვნიდა, რომ ამერიკელებს სურდათ მიეღოთ ის, რაც გარდაუვალი იყო და ბაზრის ძალებისთვის უნდა დაეთმოთ მათი კულტურისა და ხატის უცხოელებისათვის წარმოჩენაზე ზრუნვა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ფული არ უნდა ჩაედოთ „ამერიკის ხმაში", მითუმეტეს სიენენ-ს, ემესენბისს ან ფოქს-ნიუსს შეეძლოთ იგივე სამუშაოს უფასოდ შესრულება. თუმცა ბევრი მიიჩნევდა, რომ ამგვარი დასკვნა მეტად ზედაპირული იქნებოდა. ბაზრის ძალები ამერიკული კულტურის მხოლოდ მომგებიანი მასის განზომილებებს წარმოაჩენდნენ და უცხოეთის თვალში შეერთებული შტატების, როგორც ცალგანზომილებიანი ქვეყნის ხატს აძლიერებდნენ.

მაღალკულტურული, გაცვლითი პროგრამების მხარდამჭერი მთავრობები ხშირად აღწევენ მნიშვნელოვან შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობის საზღვარგარეთულ ელიტებზე. ხანგრძლივვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება, ახლოვადიანი თვალსაზრისით ყოველთვის მომგებიანი არ არის და ამ საკითხის მხოლოდ ბაზრის იმედად დატოვებამ შესაძლოა ინვესტიციების უკმარისობამდე მიგვიყვანოს, მაშინ, როდესაც უმაღლესმა განათლებამ თავად შეიძლება დააფინანსოს საკუთარი თავი, თავის მხრივ არასამთავრობო ორგანიზაციებმაც შეიძლება გასწიონ გარკვეული დახმარება და მრავალი გაცვლითი პროგრამა მთავრობისაგან დაუფინანსებლობის ვითარებაში შესაძლოა შეჩერდეს.

თანამედროვე საზოგადოებები ზოგჯერ არ ენდობიან მთავრობებს და ეს უკანასკნელნიც არ არიან მათ მიმართ ყოველთვის კეთილად განწყობილნი, ამიტომ ასეთ ვითარებაში არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ კომუნიკაციის საჭირო არხებს. მაგალითად, ცივი ომის შემდგომ პერიოდში ამერიკულმა ფონდებ-

მა (ფორდის, სოროსის, კარნეგის ფონდები) და სხვა არასამთავ-რობო ორგანიზაციებმა აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიის კონ-სოლიდაციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს.

ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მსგავს ქვეყნებში, რომლებშიც ემიგრანტების მნიშვნელოვანი ნაკადებია დიასპორები კულტურულად და ლინგვისტიკურად მომზადებული კავშირის ფუნქციას ასრულებენ.

საინტერესოა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში პოლიტიკურ პარ-ტიებს შორის ურთიერთობების გამართვა პირველად გერმანიამ გა-მოიყენა, მაშინ, როდესაც მსხვილ პარტიებს გაუჩნდათ უცხოეთის პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობის გამართვისა და შენარ-ჩუნების საშუალება, რაც სამთავრობო დაფინანსებითაც ხორციელ-დებოდა. რეიგანის ადმინისტრაციის დროს შეერთებულმა შტატებ-მა მიბაძეს ამ მაგალითს და დააფუძნეს დემოკრატიის ეროვნული ფონდი, რომელმაც საზღვარგარეთის ქვეყნებში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების რეკლამირებისთვის თანხები გამოყო ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (ენ-დი-აი), საერთაშო-რისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (აი-არ-აი), პროფკავშირებისა და სავაჭრო პალატებისათვის.

არაპირდაპირი სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი უპირატე-სობა ისიცაა, რომ მას კულტურული გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მეტი რისკების გაწევა შეუძლია, ვიდრე მთავრობას და ის რაც შეიძლება მიუღებელი იყოს შიდა გარემოსთვის, სავსებით შეესაბამება საგარეო ელიტებს. მაგალითად, 1947 წელს სახელმ-წიფო დეპარტამენტის მიერ ამერიკაში მოწყობილი თანამედროვე ხელოვნების წარმოდგენა, პრეზიდენტ ტრუმენის მიერ „მოუმწი-ფარ და გაგიჟებულ ადამიანთა კრუნჩხვად“ შეფასდა.

ამ კონტექსტში გამოყოფენ მთავრობის მიერ კულტურული ორგანიზაციების ბიუჯეტებისათვის ფარულ მხარდაჭერას, რაც შე-იძლება დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით განხორ-ციელდეს. ამ შემთხვევაში ინტელექტუალური თავისუფლება უნ-

და იქნეს გამოყენებული პროპაგანდისათვის, მისი პროპაგანდის პროცესად გადაქცევის გარეშე, მაგრამ ფარულობის შენარჩუნება დღევანდელ საინფორმაციო ხანაში ძნელ ამოცანას წარმოადგენს, განსაკუთრებით შეერთებული შტატების მსგავს დემოკრატიის ქვეყანაში, მძლავრი პრესით, კონგრესით დიდი ბრიტანეთისაგან განსხვავებით, საიდუმლოების ოფიციალური აქტის გარეშე, როდესაც ბოლოსდაბოლოს საიდუმლოს ფარდა ეხდება და სანდოობის დაკარგვის სახით გადასახდელი ფასი ძალიან დიდი შეიძლება აღმოჩნდეს.

ნიშანდობლივია, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო საკმაოდ ზრუნავს „რბილი ძალის“ წარმოშობაზე. ამ შემთხვევაში მეგობრული ქვეყნების სადაზვერვო სააგენტოებთან ნდობისა და ხანგრძლივვადიანი ურთიერთობების შენება და სადაზვერვო ცნობების გაზიარება მძლავრ ზეგავლენას ახდენს სხვა ქვეყნების მიერ, როგორც შეერთებული შტატების, აგრეთვე მსოფლიო მოვლენების აღქმაზე. თუკი „რბილი ძალა“ მოიცავს სხვების აღქმების ფორმირება, მაშინ სადაზვერვო ცნობების გაზიარება რბილი ძალის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

ამგვარ კონტექსტში საიდუმლო ინფორმაციის გაზიარებამ შესაძლოა პოლიტიკაზე პირდაპირი და მძლავრი ზეგავლენა მოახდინოს. რიგ შემთხვევაში მხოლოდ ინფორმაციაც კი, სანდო წყაროს მიერ გადმოცემული, ცვლის სხვა მთავრობის პოლიტიკას.

„რბილი ძალის“ შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სამხედრო მდგენელებსაც. „უხეში ძალის“ წარმომქმნელი საშუალებების გარდა, სამხედროებს სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის ძალიან ფართო სპექტრი გააჩნია ოფიცრების გაცვლითი პროგრამების, გაერთიანებული წრთვნების, დახმარების პროგრამების სახით. პენტაგონის საერთაშორისო სამხედრო და საგანმანათლებლო საწრთვნელი პროგრამები სამხედრო წრთვნებთან ერთად, მოიცავენ სესიებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ. შეერთებული შტატების ყოფილი თავდაცვის მდივანი უილიამ

პერი ირწმუნებოდა, რომ ამგვარ სამხედროთა ორმხრივ კონტაქ-ტებს, სამხედრო ოფიცრების კონტაქტების შექმნითა და ამერიკუ-ლი საგარეო ხედვების შესაბამისი ხედვების ჩამოყალიბებით, შე-უძლიათ „პრევენციული თავდაცვის“ როლის შესრულება.

სხვადასხვა დროს, ამგვარმა კონტაქტებმა შექმნა ზეგავლენის იმგვარი არხები, რომლებიც შეუძლებელნი იქნებოდნენ ჩვეულებ-რივი დიპლომატიური საშუალებების მეშვეობით. ზოგიერთი ექს-პერტი ფიქრობდა კიდევაც, რომ ამერიკული რეგიონალური სარდ-ლობის ხუთ მეთაურს, ხანდახან თავიანთ რეგიონებში, ამავე ქვეყ-ნებში ამერიკის ელჩებზე უკეთესი რესურსები და არხები გააჩნ-დათ. [50]

„რბილ ძალასთან“ არის დაკავშირებული ომის პერიოდის სამხედრო ფსიქოლოგიური ოპერაციები, რომელიც საგარეო მხა-რეთა ქმედებებზე ზემოქმედების მნიშვნელოვან საშუალებას წარ-მოადგენენ. ერთ-ერთი მათგანი იყო სპარსეთის ყურის მეორე ომის დროს პენტაგონის მიერ სწორად გამოყენებული „რბილი ძალის“ ის ასპექტი, რომელსაც „რეპორტიორების იარაღად ქცევა“ ეწოდა. მეწინავე სამხედრო ნაწილებში რეპორტიორების ჩასმამ სადამ ჰუსეინს მოუსპო შესაძლებლობა მსოფლიოსთვის საჩივრით მიე-მართა, თითქოს ამერიკელები მიზანმიმართულად ხოცავდნენ ერაყელ მშვიდობიან მოსახლეობას.

„რბილი ძალის“ პრაქტიკულად ამოქმედების მაგალითია 1975 წელს ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის კონფერენციის გადაწყვეტილებების შედეგად რკინის ფარდის მიღმა ადამიანის უფლებების შესახებ დისკუსიის ლეგიტიმაცია, რისი შედეგების პროგნოზირებაც ხელისმომწერმა მხარემ ვერ მოახდინა და რამაც საბჭოთა ბლოკის ე.წ. „ფინალურ აქტამდე“ მი-გვიყვანა. საბჭოელები დაჟინებით მოითხოვნდნენ ევროპაში უსა-

[50] Dana Priest, „A Four Star Foreign Policy? U.S. Commanders Wield Rising Clout, Autonomy“, Washington Post, September 28, 2000, p. A1; see also Dana Priest, The Mission: Waging War and Keeping Peace with America's Military (New York: Norton, 2003).

ფრთხოებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის კონფერენციას, და სწორედ ამან ჩაუყარა საბჭოთა იმპერიის დასასრულს საფუძველიც.[51]

„რბილი ძალის“ ჩარჩოში უნდა განვიხილოთ ნატოს ან გაეროს საზოგადოებრივი იმიჯის გაუმჯობესება, მშვიდობისმყოფელთა მისიის აუცილებლობა, ტერორიზმთან დაპირისპირება და ა.შ.

ამერიკული სახალხო დიპლომატიის მომავალი

ნიშანდობლივია, რომ სახალხო დიპლომატიის საჭიროება ამერიკელებმა ხელახლა 11 სექტემბერის შემდეგ აღმოაჩინეს. მართალია გაუქმდა შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, მაგრამ მისი ფუნქციები სახელმწიფო დეპარტამენტის სტრუქტურებში გადანაწილდა. ამერიკის გუბერნატორების სამაუწყებლო საბჭო აგრძელებდა „ამერიკის ხმის“ ზედამხედველობას, ისევე როგორც მთელ რიგ სპეციალიზირებულ სადგურებს, რომლებიც ცალკეულ ქვეყნებზე იყვნენ ფოკუსირებულნი. იმავდროულად დაარსდა ირანზე მაუწყებელი „რადიო სავა“-სა და მოხდა „რადიო ფარდა“-ს დაარსება. თეთრ სახლში დაფუძნდა გლობალური კომუნიკაციების ოფისი.

ამერიკელი ექსპერტები შოკისმომგვრელად მიიჩნევდნენ „რბილი ძალის“ გამომუშავებისთვის გამოყოფილი რესურსების ნაკლებპრიორიტეტულობას და მცირერიცხოვნობას. სახელმწიფო სახალხო დიპლომატიის პროგრამებსა და აშშ საერთაშორისო მაუწყებლობაზე ერთ მილიარდ დოლარზე მეტს გამოყოფდა, რაც ქვეყნის საგარეო ურთიერთობების ბიუჯეტის 4 პროცენტს და დაზვერვის ბიუჯეტის 3 პროცენტს, სამხედრო ბიუჯეტის 0,29 პროცენტს შეადგენდა. აღნიშნულ მონაცემებს კრიტიკულად აფასებ-

[51] Gates quoted in Daniel C. Thomas, The Helsinki Efect: International Norms, Human Rights, and the Demise of Communism (Princeton: Princeton University Press, 2001), p. 257.

დნენ „რბილი ძალის“ პოლიტიკის მომხრეები და ფიქრობდნენ, რომ ბომბების გასაშვებად უფრო მეტი იხარჯებოდა, ვიდრე „რბილი ძალის“ იდეებზე. მათი აზრით, შტატები ნაკლებ ინვესტიციას დებდა „რბილ ძალაში“, ვიდრე სხვა დიდი ქვეყნები, რაც დოკუმენტურად დასტუდებოდა რაც ასე გამოიყურებოდა:

	სახალხო დიპლომატია	თავდაცვა	წელი
შეერთებული შტატები	91,12 მლრდ	9347,9	2002
საფრანგეთი	91,05 მლრდ	3533,6 მლრდ	2001
დიდი ბრიტანეთი	91,00 მლრდ	958 მლრდ	2002
გერმანია	9218 მლნ	927,5 მლრ	2001
იაპონია	9210 მლნ	940,3 მლრ	2001

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სახალხო დიპლომატიის განზომილებების პოლიტიკებს შორის უფრო მეტი შეთანხმებულობის დაწესება და მათი სხვა პრობლემებთან დაკავშირება. მაგალითად მიჩნეული იყო, რომ ამერიკაში შეიმჩნეოდა საერთაშორისო სტუდენტების ბაზრის წილის კლება, გაცვლითი პროგრამები, დაბრკოლებები სტუდენტების ჩამოსვლის მცდელობის დროს. განსაკუთრებით სიფრთხილეს იჩენდნენ ამერიკელები ამ მიმართულებით 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. ერთ-ერთი მიმომხილველის შენიშვნით, მართალია, სტრატეგიული სიფხიზლე იყო საჭირო, მაგრამ ეს ფართო ბადე ყველა სახის ადამიანებს იჭერდა, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენდნენ საფრთხეს.[52]

ამასთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას აფიქსირებდა ჯ. ნაიც, რომელიც შენიშნავდა, რომ შეერთებულ შტატებში ჩამოსვლის ხალისის ჩაკვლით წარმოებული პოლიტიკა ისეთი ადამია-

[52] Victor Johnson, Association of International Educators, quoted in Diana Jean Schemo, “Electronic Tracking System Monitors Foreign Students,” New York Times, February 17, 2003, p. A11.

ნებისათვის, რომლებსაც ფასეული წვლილის შეტანა შეეძლოთ საერთაშორისო გაგებაში, ძირს უთხრიდა ამერიკული „რბილი ძალის“ რესურსებს.[53]

სახალხო დიპლომატიას დიდი მხარდაჭერა სჭირდებოდა თეთრ სახლში. საგარეო ურთიერთობათა საბჭოს სახალხო დიპლომატიის ოპერატიული ჯგუფი დაბეჯითებით მოითხოვდა თეთრ სახლში „სახალხო დიპლომატიის საკოორდინაციო სტრუქტურის“ სახელწოდების მქონე ოფისის შექმნას, რომელსაც პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული პირი გაუძღვებოდა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება სურდათ არასამთავრობო სექტორებსაც.

ამერიკელებს უფრო მეტი უნდა შეეტყოთ კულტურული განსხვავებულობების შესახებ. შედეგიანობის მისაღწევად ამერიკელებს უფრო ნაკლები ეგოისტურობა და მეტი მგრძნობიარობა მართებდათ. ამ მიმართებით პრეზიდენტ ბუშის კომენტარები თეთრ სახლში გამართულ 2001 წლის 11 ოქტომბრის პრეს-კონფერენციაზე აღნიშნული პრობლემის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენდა: „მე განცვიფრებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის მოწადინებები ამ ხალხისათვის იმდენად გაუგებარია, რომ მათ ჩვენ ვძულვართ... ყველა ამერიკელის მსგავსად, მე უბრალოდ არ შემიძლია ამის დაჯერება, რადგან მე ვიცი თუ რა კარგები ვართ ჩვენ და ჩვენ უფრო მეტად უნდა გავისარჯოთ ჩვენი საქმის საკეთებლად. თუმცა საქმის საკეთებლად პირველი ნაბიჯი იმის უკეთესი გაგება იყო, როგორ გამოიყურებოდა ამერიკელების პოლიტიკა სხვათა თვალში და რა კულტურული ფილტრები მოქმედებდნენ მათ მიერ ამერიკული შეტყობინებების გაგებაზე.

როგორც ჯ. ნაი შენიშნავდა, ამერიკული მედიის მიერ დანარჩენი მსოფლიოს დაფარვა მძაფრად დაეცა ცივი ომის შემდეგ. უცხო ენებზე წრთვნები ჩამორჩებოდა, როდესაც ამერიკელები გააღიზიანა ერაყში საფრანგეთის პოლიტიკამ ერთ-ერთი კონგრესმენი „ფრა-

[53] Joseph S. Nye. Soft Power - The means to success in world politics, New York, 2004, p. 124

ნგულ კარტოლ ფრის“, „თავისუფლების კარტოფილი ფრის“ უწოდებდა.

ამერიკელი ისტორიკოსები გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ამერიკა შორდებოდა დროს, როდესაც ამერიკელ ისტორიკოსებს შტატების მიღმა არსებული სამყაროს შეცნობის ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდათ _ შეეძლოთ ურთიერთობა ჰქონოდათ საზოგადოებასთან იმ ნაციონალური და ინტერნაციონალური პრობლემების შესახებ, რომლებიც კვლავაც ზემოქმედებდნენ ყველა ამერიკელზე.[54]

„გლობალურ საინფორმაციო ხანაში სახალხო დიპლომატიაში უკეთესი შედეგიანობისათვის, ჩვენ უნდა შევცვალოთ, როგორც შიგნით, აგრეთვე გარეთ არსებული მოტივაცია. პირდაპირ რომ ვთქვათ, უფრო ქმედითი კომუნიკაციისათვის ამერიკელებმა მოსმენა უნდა ისწავლონ. „რბილი ძალის“ მოპოვება „უხეში ძალის“ გამოყენებაზე გაცილებით ნაკლებად ერთპიროვნული პროცესია და ჩვენ ეს გაკვეთილი ჯერ კიდევ არ გვისწავლია“ – აღნიშნავდა ჯ. ნაი.[55]

„ამერიკული იმპერია“

მსოფლიო სივრცეში ბევრი პოლიტიკოსი, მკვლევარი, მიმომხილველი თუ პუბლიცისტი ახმოვანებს ამერიკის იმპერიულობის თემას. მწერალი რობერტ კაპლანი თავის აზრს ასე აყალიბებდა „ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ამჟამად შეერთებული შტატები მსოფლიო მასშტაბის იმპერიას წარმოადგენს. საკითხავია, როგორ უნდა იმოქმედოს ამერიკულმა იმპერიამ ტაქტიკურ დონეზე, რათა უმართავი მსოფლიოს მართვა მოახერხოს“.[56]

---

[54] Richard Pells, „American Historians Would Do Well to Get Out of the Country“, Chronicle of Higher Education, June 20, 2003, p. B9.

[55] Joseph S. Nye. Soft Power - The means to success in world politics, New York, 2004, p. 105.

[56] Robert Kaplan, „Islam vs. the West“, interview, Rolling Stone, August 7, 2003, p. 38

ერთ-ერთი ნეოკონსერვატიული ჟურნალის რედაქტორის ვილიამ ქრისთლის მოსაზრებით, „უპირატესობა სიძლიერეს უნდა მივანიჭოთ. თუ ადამიანებს უნდათ თქვან, რომ ჩვენ იმპერიალისტური სახელმწიფო ვართ, პრობლემა არ გვაქვს“.[57] 2001 წელს. იგივე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში „ამერიკული იმპერიის შემთხვევა“ ანალოგიურ აზრს ავითარებდა მაქს ბუთიც.[58]

ცნობილი ფაქტია, რომ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან რადიკალი მემარცხენეები ტერმინ „ამერიკულ იმპერიას“ უარყოფით კონტექსტში იყენებდნენ. თუმცა თანამედროვე ვითარებაში აღნიშნული ფრაზა სხვა მნიშვნელობას იძენდა, როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე ანალიტიკოსებში.

ენდრიუ ბაკევიჩი ამტკიცებდა, რომ „ამერიკული იმპერიის“ ცნებამ საყოველთაო პატივისცემა მოიპოვა და ისეთი სემანტიკური დეტალები, როგორიცაა სიტყვა „იმპერიის“ უარყოფით დატვირთვა, უგულებელყოფილი უნდა ყოფილიყო. ბაკევიჩის მტკიცების თანახმად, ამერიკა განსხვავდებოდა ყველა იმ სხვა იმპერიისაგან, რომლებიც ისტორიისთვის იყო ცნობილი, მაშინ რა თვალსაზრისით წარმოადგენდა ის იმპერიას? ამ კონტექსტში თეორეტიკოსები მსჯელობდნენ იმის შესახებ, რომ ძალაუფლების ყველა მნიშვნელოვანი სახეობა იარაღის ლულიდან როდი გამომდინარეობდა. ბევრ შემთხვევაში ხისტი ძალის გამოყენება განაპირობებდა სასურველი შედეგების მიღებას, მაგრამ მრავალი ისეთი საერთაშორისო საკითხი, როგორიც იყო კლიმატის ცვლილება, ინფექციური დაავადებების გავრცელება, საერთაშორისო მასშტაბის დანაშაული და ტერორიზმი და ა.შ. მნიშვნელოვანი იყო „რბილი ძალის“ ფაქტორი და საერთაშორისო პრობლემების თანამშრომლობით მოგვარება.

ცხადია ისიც, რომ თანამედროვე ვითარებაში სახეზეა სამგანზომილებიანი მსოფლიოს არსებობა, რომლის ნაწილშიც ამერი-

---

[57] William Kristol, quoted in „A Classicist's Legacy: Empire Builders“, New York Times, Week in Review, May 4, 2003

[58] Max Boot, „The Case for an American Empire“, The Weekly Standard, October 15, 2001.

კის საგარეო პოლიტიკური კურსი იმპერიული ნიშნებით წარმოჩინდება.

ამერიკელების ერთი ნაწილი ამერიკული იმპერიის იდეის აღიარების მომხრე იყო, თუმცა ამერიკელი ხალხის დიდი ნაწილისთვის მიუღებელი იყო მისი ხელისუფლების იმპერიალისტური როლი. ცხადია, შეერთებული შტატები ერეოდა სხვადასხვა სახელმწიფოების შიდა საქმეებში და ახორციელებდა მმართველობას ცენტრალური ამერიკის, კარიბის ზღვის რეგიონის და ფილიპინების ქვეყნებში, რამაც მას იმპერიალიზმის ცდუნება გაუჩინა და საუკუნის წინ მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, თუმცა ექსპერტები ფიქრობენ, რომ იმპერიული პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა და ბრიტანელებისაგან განსხვავებით, ამერიკელებისათვის იმპერიალიზმის პრაქტიკა კომფორტული არასოდეს ყოფილა და ამერიკული სამხედრო ოკუპაციის შემთხვევათა მხოლოდ მცირე ნაწილში მოხდა დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოყალიბება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიასა და იაპონიაში დემოკრატიული სახელმწიფოების შექმნა, უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე დამკვიდრებული პრაქტიკა და ამ ქვეყნებში აღნიშნული პროცესის განხორციელებას ათწლეული დასჭირდა. ამერიკული საზოგადოება მუდმივად აცხადებს, რომ უპირატესობას მრავალმხრივ თანამშრომლობას და გაეროსთან ერთობლივ საქმიანობას ანიჭებს. ამერიკის იმპერიულობაზე საუბრისას ცალკეული მკვლევარი ამერიკის როლს გადმოსცემს ტერმინით „მსუბუქი იმპერია“.[59]

თუმცა, ბევრი ფიქრობს, რომ ამერიკის შექმნის პრობლემას უკეთესად მიესადაგება ტერმინი „იმპერიული გადატვირთვა“ სამხედრო სტრუქტურებისგან განსხვავებით, არც საზოგადოება და არც კონგრესი არ გამოხატავენ სურვილს სერიოზული ინვესტი-

[59] Michael Ignatieff, “American Empire: The Burden,” New York Times Magazine, January 5, 2003, p. 22.

ციები იქნას ჩადებული სხვა სახელმწიფოების მშენებლობისა და მართვის საქმეში.

აშშ სამხედრო სისტემა, კარგად ასრულებს ისეთ ამოცანებს, როგორიცაა: კარის ჩამოღება, დიქტატორის დამხობა და სახლში დაბრუნება. როგორც ჯ. ნაი მიუთითებს, ისეთი იმპერიული სამუშაო, როგორიცაა დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება, ამერიკისათვის უფრო რთული შესასრულებელია, როგორც მთელ მსოფლიოსთან, ასევე შეერთებულ შტატებთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზეზების გამო.[60]

ამერიკული საგარეო პოლიტიკის ტრადიციები

ამერიკის საგარეო პოლიტიკის მრავალფეროვანი ტრადიციები ნაწილობრივ ემთხვევა და აძლიერებს ერთმანეთს, ზოგჯერ კი ურთიერთსაწინააღმდეგოა. მწერალი უოლტერ მედი ტრადიციების განსხვავებულობას ამერიკის წარსული ხელმძღვანელების გვარებს უკავშირებს.[61]

გამოყოფილია რეალისტები, რომლებიც გონივრულად განსაზღვრავდნენ ეროვნულ ინტერესებს და ეკონომიკის სფეროს და ისინი ალექსანდრე ჰამილტონიდან მომდინარეობენ, რაც შეეხება სხვებს, ისინი პოპულისტებად იწოდებიან, თვითდარწმუნებულობის და იძულების გამოყენებას უჭერენ მხარს და ენდრიუ ჯექსონის გვართან არიან გაიგივებული.

ჯეფერსონელებს დემოკრატიის დამკვიდრების უზრუნველსაყოფად, სხვებისთვის ორიენტირის პრეტენზიულობის ამბიცია გააჩნიათ.

---

[60] Joseph S. Nye. Soft Power - The means to success in world politics, New York, 2004, p. 140.

[61] Walter Russell Mead, Special Providence: American Foreign Policy and How It Changed the World (New York: Knopf, 2001).

რეალისტების გამორჩეული წარმომადგენელია ვილსონი, რომლის მიმდევრები ცდილობენ მსოფლიო მოამზადონ დემოკრატიისათვის.

ჯ. ნაის დახასიათებით, ყოველ მიდგომას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ჰამილტონელების მსოფლმხედველობა გონივრულია, მაგრამ მათი რეალიზმი ნაკლებად მიმზიდველია მრავალი ადამიანისათვის, როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე საზღვარგარეთ. ჯექსონელები კი ხისტები და ძლიერები არიან, მაგრამ მათი სუსტი წერტილებია გამძლეობა და მოკავშირეთა ნაკლებობა. როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულება არასათანადოდ აფასებს „რბილი ძალის“ მნიშვნელობას. მეორეს მხრივ, ჯექსონელებს დიდი რაოდენობით გააჩნიათ „რბილი ძალა“, მაგრამ „ხისტი ძალის“ ნაკლებობას განიცდიან.

ჰამილტონელები და ჯეფერსონელები ქადაგებენ ისეთი გონივრული და კონსერვატიული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ზედმეტ პრობლემებს არ ქმნის. მაგალითად, ვილსონელები საერთაშორისო სიტუაციის გარდაქმნისკენ მიისწრაფიან. ცნობილია, რომ ჰამილტონ-ვილსონის ხაზით, ამერიკა მრავალი წლის განმავლობაში მიზნად ისახავდა ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის უზრუნველყოფას ავტოკრატებისა და კომერციის მხარდაჭერის მეშვეობით, მაგრამ საბოლოოდ ვერ მოხერხდა რადიკალური ისლამისტური იდეოლოგიის და ტერორიზმის აღორძინების თავიდან აცილება. ვილსონელები მოუწოდებდნენ არა კონსერვატიული ან „სტატუს ქვო“-ზე ორიენტირებული, არამედ გარდაქმნებისკენ. მათი აზრით, დემოკრატიზაციის გარეშე ახლო აღმოსავლეთი (და სხვა რეგიონებიც) პრობლემატური ქვეყნებისა და ტერორისტული საფრთხის ჩამოყალიბებისათვის ნიადაგის შექმნას განაგრძობდნენ ბუშის ადმინისტრაციაში ერაყის ომთან დაკავშირებული ინტენსიური დებატები მიმდინარეობდა ტრადიციულ ჰამილტონელ რეალისტებსა (სახელმწიფო მდივანი

კოლინ პაუელი) და ჯექსონელების კოალიციას (ვიცე-პრეზიდენტ დიქ ჩეინი და თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი) შორის.

ამერიკელების მიერ დაწყებული ომის მიზნებთან დაკავშირებული გაუგებრობის ერთ-ერთი ნაწილი დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ ადმინისტრაციამ გამოიყენა მრავალგვარი არგუმენტები, რომლებიც სხვადასხვა ბანაკებისათვის იყო მისაღები. ალ-ქაიდას კავშირი 11 სექტემბრის მოვლენებთან მნიშვნელოვანი იყო ჯექსონელებისათვის, რომლებიც შურისძიებისა და აგრესიისკენ მიისწრაფოდნენ. ის არგუმენტი, რომ სადამ ჰუსეინი გაეროს რეზოლუციების მიუხედავად, ცდილობდა, შეემუშავებინა მასობრივი განადგურების იარაღი, კონგრესში მოღვაწე ტრადიციული ვილსონელებისათვის იყო დამაჯერებელი, შესაბამისად, სისხლიანი დიქტატორის დამხობისა და ახლო აღმოსავლეთში გატარებული პოლიტიკის გარდაქმნის აუცილებლობა ვილსონელებისთვის იყო მნიშვნელოვანი.

პრეზიდენტი ვილსონი დემოკრატი იყო და ტრადიციული ვილსონელები, როგორც დემოკრატიის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების პროპაგანდას ეწეოდნენ. არქიკონსერვატორები კი, რომელთაგან მრავალი დემოკრატიულ პარტიას ვიეტნამის შემდეგ გამოეყო, ხაზს უსვამდნენ დემოკრატიის საჭიროებას, მაგრამ არ იზიარებდნენ ვილსონის მოსაზრებას საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობის შესახებ. მათ არ სურდათ დამუხრუჭებულიყვნენ ინსტიტუციონალური შეზღუდვების ზეგავლენით და თვლიდნენ, რომ ამერიკული ლეგიტიმურობა დამოკრატიაზე ფოკუსირებიდან გამომდინარეობდა. ამ თვალსაზრისით, არაკონსერვატორ „რბილ ძალას“ ადვოკატირებდნენ, მაგრამ ისინი ზედმეტად მარტივად ახდენდნენ ფოკუსირებას არსზე და არასათანადო ყურადღებას უთმობდნენ თავად პროცესს.

რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სავარაუდოდ ერთადერთ გზას იმ გარდაქმნის მიღწევისა, რომლისკენაც კონსერვატორები მიისწრაფვოდნენ, წარმოადგენდა სხვა მხარეებთან თა-

ნამშრომლობა და იმ უარყოფითი საპასუხო რეაქციების თავიდან აცილება, რომლებიც მსოფლიო არენაზე შეერთებული შტატების ერთპიროვნულად მოქმედი, მსოფლიო მასშტაბის იმპერიალისტური სახელმწიფოს სახით წარმოჩინებით იყო განპირობებული.

როგორც ჯ. ნაი მიუთითებდა, იქიდან გამომდინარე, რომ შეუძლებელი იყო დემოკრატიის ძალით თავს მოხვევა და მისი დამკვიდრება ხანგრძლივ დროს მოითხოვდა, ამერიკის ხალხთან მიმართებაში მდგრადი შედეგების მიღების ყველაზე ეფექტურ საშუალებას საერთაშორისო ლეგიტიმურობის მიღწევა და როგორც მოკავშირეებთან, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებთან ფუნქციების გადანაწილება უზრუნველყოფდა.

ჯექსონელები, ამ შემთხვევაში თავდაცვის მდივნის რამსფელდის მონაწილეობით, არჩევდნენ დიქტატორი დაესაჯათ, სახლში დაბრუნებულიყვნენ, ვიდრე ჩართულიყვნენ სახელმწიფოს მშენებლობის გაჭიანურებულ პროცესში.

2003 წლის სექტემბერში, რამსფელდი ერაყთან დაკავშირებით აცხადებდა: „მე ვფიქრობ, რომ ქვეყნის აღდგენა ჩვენი საქმე არ არის“.[62] მაგრამ ერთ-ერთი სერიოზული კონსერვატორი _ თავდაცვის მდივნის მოადგილე პოლ ვოლფოვიცი მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მოკავშირეებთან მოთმინების ნაკლებობას, შესაძლო იყო მიზნის მიღწევა გაერთულებინა. ცხადია, მათ გაცნობიერებული ჰქონდათ „რბილი ძალის“ მნიშვნელობა, მაგრამ არასათანადოდ აფასებდნენ მის მასშტაბებსა და პროცესის დინამიკას.

ამრიგად, „რბილი ძალა“ საერთაშორისო ურთიერთობების მყარი, განვითარებადი მიმართულება ხდება, რომელზედაც დიდი სახელმწიფოები სულ უფრო მეტ რესურსებს ხარჯავენ.

---

[62] Eric Schmitt, „Rumsfeld Says More G.I.'s Would Not Help U.S. in Iraq“, New York Times, September 11, 2003

პოლიტიკურ მეცნიერებაში „გლობალური რეგიონის“ ფენომენის კვლევის კონცეპტუალური საფუძვლები

ცნება „ინტეგრაციის“ ევოლუციის თეორიული საფუძვლები

არსებული მსოფლიო სისტემის ტრანსფორმაცია გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში ობიექტურად უბიძგებს თანამედროვე სახელმწიფოებსა და რეგიონებს ინტეგრაციისკენ, როგორც ეფექტური ურთიერთქმედების მექანიზმისკენ, რომელიც მიმართულია თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებსა და საფრთხეებზე ერთობლივი პასუხების ძიებისაკენ და, შესაბამისად, სტაბილური და ეფექტური განვითარების უზრუნველყოფისაკენ. თანამედროვე სახელმწიფოების უმეტესობის წინაშე ახალი მსოფლიო სისტემის სტრუქტურაში ადგილის პოვნის აქტუალური ამოცანა დგას. ამასთან, სახელმწიფოთა უმეტესობისთვის მოცემული მიზნის რეალიზების დამოუკიდებლად მიღწევა საკმაოდ რთულია თანამედროვე გლობალური განვითარების პირობებში, მაშინ როდესაც სხვა სახელმწიფოებთან თავისი ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური და სხვა რესურსების ინტეგრაცია აძლევს ასეთ გაერთიანებას საშუალებას გახდეს „ძალის დამოუკიდებელი და გავლენიანი ცენტრი“ თანამედროვე მსოფლიო სისტემაში.

თანამედროვე ინტეგრაცია შეიძლება განიხილებოდეს როგორც მსოფლიო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით საზოგადოება თანამედროვეობის გლობალური პრობლემების (გლობალიზაციის „გამოწვევების“) ეფექტიანი გადაჭრისათვის ერთიანდება. მსოფლიო მასშტაბით ძალაუფლების უფლებამოსილებების ეფექტიანი გამოყენებისათვის აუცილებელია მსოფლიო პოლიტიკის აქტორთა შორის მჭიდრო ურთიერთქმედება, მათი ძალისხმვის მკაფიო კოორდინაცია და ასევე მსოფლიო არენაზე ქცევის ზოგადი ნორმებისა და წესების შემუშავება. თავად მსოფ-

ლიო პოლიტიკა თავის თავში ინტეგრაციულ საწყისებს მოიცავს.

მსოფლიო პოლიტიკურ პრაქტიკაში საერთაშორისო ინტეგრაციის ფენომენის წარმოქმნის ისტორია

გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, რომ ინტეგრაცია – XX საუკუნის ფენომენია, მართალია ნაწილობრივ, რადგან ინტეგრაციული პროცესების პირველი ელემენტები ადრეულ ეპოქებშიც შეგვიძლია დავინახოთ სხვადასხვა კავშირების, საზოგადოებების, ლიგების, საბჭოების, ასოციაციების, პაქტების და ა.შ. შექმნის სახით, თუ ინტეგრაციის პროცესის ქვეშ სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთდამოკიდებულებების გაფართოება მოიაზრება, ეს მოსაზრება მით უფრო დამაჯერებელია უცხოელი მკვლევარის ვ. მატტის აზრით, ერთ-ერთი პირველი ნებაყოფლობითი რეგიონული ინიციატივა ჰესსენ-დარმშტადთან პრუსიის საბაჟო კავშირი გახდა (1828 წ.), რომელსაც გერმანულ სამთავროებში მთელი „ინტეგრაციული“ ტალღა და ცნობილი გერმანული საბაჟო კავშირის (Zollverein) შექმნა მოყვა 1834-1871 წწ. [1] შემდეგ ამ პროცესმა იტალიის ტერიტორიებიც მოიცვა, სადაც ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი რისორჯიმენტოს მოძრაობის დროს შეიქმნა, შემდეგ საფრანგეთსა და გერმანიას შორის დაიდო საბაჟო ხელშეკრულება (კავშირი) სასოფლო-სამეურნეო სფეროში და ა.შ. მკვლევარის აზრით, ეს ინიციატივები საფუძვლად დაედო ერთიანი ევროპის შესახებ იდეას. ინტეგრაციის „პირველი ტალღის“ თავისებურება, ჩვენი აზრით, ის იყო, რომ ის ძირითადად ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების სფეროს ეხებოდა და უფრო ლოკალურ და არასისტემურ ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ამისა, ინტეგრაციული პროცესების აქტივიზაცია ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების პერიოდში არ იყო შემთხვევითი, ვინაიდან ეს პროცესები სახელმწიფოთა ავტარკიის დაძლევის, მსოფლიო ბაზრების შექმნის, და

ასევე ინტეგრაციული პოლიტიკურ-იდეოლოგიური სქემების ფორმირების შედეგი გახდა, რაც იმ ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი.

დროთა განმავლობაში თანდათანობით ეროვნული სახელმწიფოების სხვა სფეროებში ურთიერთობებიც ხდება აქტუალური. ასე მაგალითად, XX საუკუნეში ინტერნაციონალის წარმოქმნის მომენტიდან პოლიტიკური გაერთიანებების, კავშირების, საზოგადოებების, ერთა ლიგის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ტიპის საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნის ტენდენცია შეინიშნება. მოცემული ტენდენცია საწარმოო-ტექნოლოგიურ სფეროსაც დაეტყო, სადაც საწარმოო ძალების სრულყოფა ორიენტირებული იყო საერთო სტანდარტებზე და საყოველთაო ურთიერთქმედებაზე (ამ ტენდენციამ თავისი ასახვა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) საქმიანობაში ჰპოვა). სოციალურმა პრობლემატიკამ ასევე ინდუსტრიული სამართლის განვითარებაში ჰპოვა ასახვა (საერთო საარჩევნო სამართლის სისტემის ფორმირება, სოციალურად პასუხისმგებელი სახელმწიფოს კონცეფციის ჩამოყალიბება). სულიერ სფეროში „საყოველთაო ერთიანობის“, ცივილიზაციური ურთიერთ-გამდიდრებისა და სხვადასხვა ხალხების კულტურათა დაახლოების იდეები, საყოველთაო სამართლიანობისა და ჰუმანიზმის მორალურ-ეთიკური პრინციპები ვრცელდებოდა და სხვ.

ინტეგრაციამ დროთა განმავლობაში ტერიტორიულად მსოფლიოს ყველა რეგიონი მოიცვა. ინტეგრაციული პროცესების პირობითად „მეორე ტალღა“ XX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, რაც ობიექტურად ისეთი გლობალური პრობლემებისა და ახალი გამოწვევებისა და საფრთხეების წარმოქმნასთან იყო დაკავშირებული, რომლებმაც მსოფლიო საზოგადოების წინაშე ახალი მიზნები და ამოცანები დააყენა. მოცემულ ეტაპზე ინტეგრაცია გახდა რა მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთი მოთხოვნადი ფორმა, უფრო ორგანიზებულ და გააზრებულ ასევე რე-

გიონულ ხასიათს ატარებდა. უდავოა, ინტეგრაციული პროცესების ცენტრად ამ პერიოდში ევროპა იქცა, სადაც თავდაპირველად ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება დაფუძნდა, შემდეგ ევროპული ეკონომიკური საზოგადოება და ბოლოს, ევროპული კავშირი. შემდეგ ინტეგრაციის პროცესებმა მთელი მსოფლიო მოიცვა. 1960-1970 წწ. ლათინურ ამერიკაში ათამდე დაჯგუფება შეიქმნა, რომელთაგან ძირითადი თავისუფალი ვაჭრობის ლათინოამერიკული ასოციაცია (1960), ანდის ჯგუფი (1969) და ლათინური ამერიკისა და კარიბის ეკონომიკური სისტემა (1975) გახდა, 1990-იან წლებში რეგიონში ნამდვილი „ინტეგრაციული ბუმი“ დაიწყო, რომლის საკვანძო მოვლენა სამხრეთ კონუსის საერთო ბაზრის (MERCOSUR) შექმნა გახდა (1991). 1989 წელს აშშ-მ და კანადამ ხელი მოაწერეს თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ შეთანხმებას, რომელსაც 1994 წელს მექსიკა შეუერთდა, რის შედეგად მსოფლიო ინტეგრაციულ რუკაზე თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ ჩრდილოამერიკული შეთანხმება (NAFTA) გახდა. ინტეგრაციულმა პროცესებმა ასევე აზიაც მოიცვა, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი ინტეგრაციული გაერთიანებები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია (ASEAN) (რომელიც 1967 წელს შეიქმნა) და აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა (APEC) (რომელიც 1989 წელს შეიქმნა) გახდნენ. აფრიკის ქვეყნებმაც დაიწყეს ინტეგრაციული კავშირების აქტიური განვითარება XX საუკუნის მეორე ნახევარში, რის შედეგად 1963 წელს აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია (OAU) შეიქმნა, რომელიც 2002 წელს აფრიკის კავშირი ეწოდა. და ბოლოს, დიდხანს მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების პერიფერიაზე ევრაზიის პოსტსაბჭოთა სივრცე რჩებოდა, რომლისთვისაც უკანასკნელ დრომდე უფრო დამახასიათებელი დეზინტეგრაციული პროცესები განვითარდა. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით მსოფლიო სივრცის ეს ნაწილიც იქნა ჩართული ინტეგრაციულ პროცესებში. 2015 წელს ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (EEU) შეიქმნა. შედეგად ინტეგრაციულმა

პროცესებმა მსოფლიო ყველა რეგიონი მოიცვა, რითაც განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს მრავალპოლარული მსოფლიოს ახალი სისტემის ფორმირებაზე.

XXI საუკუნის დასაწყისი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების „მესამე ტალღის“ ეტაპი. საუბარია ინტეგრაციული ურთიერთკავშირების ხარისხობრივად ახალ ხასიათზე. პირველ რიგში, გლობალიზაციის, ინფორმატიზაციისა და დემოკრატიზაციის ობიექტურმა პროცესებმა პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ და სხვ. სფეროებში ცალკეული მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებების ურთიერთქმედებაში „ტერიტორიულ-სახელმწიფო ფაქტორის“ განმსაზღვრელი მნიშვნელობის გაქრობამდე მიგვიყვანა. ინტეგრაციული გაერთიანების ტერიტორიულ-სახელმწიფო პრინციპს თანდათან გლობალურ მასშტაბში სივრცითი ურთიერთკავშირის პრინციპი ცვლის. არსებული ინტეგრაციული პოლიტიკური და ეკონომიკური ტიპების (რეგიონული, საერთაშორისო, ტრანსრეგიონული და ა.შ.) მრავალფეროვნება XXI საუკუნის გლობალურ პროცესებში მონაწილეობისადმი ეროვნული სახელმწიფოების (ხშირად – პოლიტიკური ელიტების) მზადყოფნის სხვადასხვა ხარისხზე მეტყველებს. ასე მაგალითად, სახელმწიფოთა ერთი ტიპი ინტეგრაციულ პოლიტიკას როგორც თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის განმტკიცების ხერხს განიხილავს (მაგალითად, აშშ NAFTA-ში, ტრანსწყნაროკეანურ პარტნიორობაში და ა.შ.), ხოლო სახელმწიფოთა სხვა ჯგუფი გარკვეულ იმედებს ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტიანობაზე როგორც თანამედროვე მსოფლიოპოლიტიკურ პროცესებში წარმატებული მონაწილეობის ხერხზე ამყარებს (მაგალითად, რუსეთი EEU-ში, ბრაზილია MERCOSUR-ში და UNASUR-ში, ორივე ქვეყანა _ BRICS-ში და ა.შ.). და ბოლოს, სახელმწიფოთა მესამე ჯგუფი (მეტწილად განვითარებადი ქვეყნები) სიფრთხილით ეკიდება ინტეგრაციის პოლიტიკას, ხშირად განიხილავს რა მას როგორც ნეოკოლონიალიზმის ახალ ფორმას (აფრიკის სახელმ-

წიფოები).

კონცეპტუალური მიდგომები ცნება „საერთაშორისო ინტეგრაციის“ განსაზღვრისადმი

თავად ცნება „ინტეგრაცია“, ეკონომისტ ფ. მახლუპის თანახმად, 1942 წელს წარმოიშვა. ტერმინ „ინტეგრაციის“ აქტიური გამოყენება სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზისას მხოლოდ XX საუკუნეში დაიწყეს, ადრე კი ტერმინი „ინტეგრაცია“ მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივ მეცნიერებებში გამოიყენებოდა. დღეს „ინტეგრაციის“ ქვეშ (ლათ. „integratio” – აღდგენა, გარკვეული ერთიანობის შევსება) ფართო გაგებით ადრე დაქსაქსული ნაწილებიდან ახალი ერთიანობის წარმოშობა მოიაზრება. [2:62] უფრო ვიწრო გაგებით ინტეგრაცია – ესაა სახელმწიფოთა ურთიერთკავშირების და საერთო (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ.) ნიშნებისა და ინტერესების ნებაყოფლობითი დაახლოების ინტენსი-ფიკაციის პროცესი. ეს არის ცალკეული ნაწილების ურთიერთხელსაყრელი გაერთიანება გარკვეულ დამოუკიდებელ მთლიანობაში, რის შედეგად ინტეგრაციული გაერთიანების მონაწილეები იღებენ ისეთ უპირატესობებს, რომლებიც მათ არ ექნებოდათ, რომ ავტონომიურად ემოქმედათ. სწორედ სარგებლის მოლოდინი აიძულებს სხვადასხვა სახელმწიფოებს ჩაერთონ ინტეგრაციულ პროცესებში, სადაც პრაქტიკულად ყველა ქვეყანას შეუძლია იპოვოს თავისი ადგილი, მიუხედავად მსოფლიოში მისი მდგომარეობისა, პოტენციალისა და განვითარების დონისა [3:537-557].

როგორც იყო აღნიშნული, ინტეგრაციული პროცესების განვითარების „პირველი ტალღა“ ძირითადად ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროს შეეხო, და ამიტომ, როგორც რუსი მკვლევარი ი. შიშკოვი აღნიშნავს, „იმ ეკონომიკური მოვლენების პირველი მკვლევარები, რომლებიც მოგვიანებით საერთაშორისო ინტეგრაციის საფუძველი

გახდა, იყვნენ საგარეო ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის სპეციალისტები. ჯერ კიდევ XVIII და XIX საუკუნეებში ხდებოდა სავაჭრო შეთანხმებების: ინგლის-პორტუგალიის 1703 წლის ხელშეკრულების, ინგლის-საფრანგეთის 1860 წლის ხელშეკრულების და განსაკუთრებით გერმანული საბაჟო კავშირის (1834-1871) [4:29] პირველი საერთაშორისო სარგებლის ეკონომიკური შედეგების გააზრება და განაწილება უკვე იმ პერიოდში ადგილი ჰქონდა სამეცნიერო დისკუსიებს გაერთიანების პოლიტიკის ეფექტიანობის შესახებ. ასე მაგალითად, ცნობილმა შოტლანდიელმა ეკონომისტმა ა. სმიტმა დაადგინა ის მიზეზები, რომელთა მიხედვით სავაჭრო ბარიერების განადგურება წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს და შემოიღო „აბსოლუტური უპირატესობების“ ცნება, რომლის თანახმად დანახარჯების შემცირების მიღწევა შესაძლებელია შრომის საერთაშორისო დანაწილების წყალობით და თითოეული ცალკე რეგიონის სპეციალიზაციით. გააგრძელა და ა. სმიტის იდეები, ოდნავ მოგვიანებით დ. რიკარდო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არის აუცილებელი რეგიონს რაიმე სპეციალიზაცია ჰქონდეს, არამედ სავსებით საკმარისია მოპოვებულ იქნას უპირატესობა რომელიმე საქონლის წარმოებისას ნაკლები დანახარჯების სახით [5. 145]. თავის მხრივ, გერმანელი ეკონომისტი ფ. ლისტი აქტიურად უჭერდა მხარს სხვადასხვა ფორმის კავშირებში სახელმწიფოთა გაერთიანების მნიშვნელობას და აუცილებლობას: „საერთო მიზნების მისაღწევად შექმნილი ინდივიდუალური ძალების ასოციაცია თითოეული ადამიანის ბედნიერების უზრუნველყოფის ძლევამოსილ საშუალებას წარმოადგენს... მსგავსად იმისა, რომ ცალკეულ ადამიანს გაცილებით უფრო ადვილად სახელმწიფოსა ან ერში შეუძლია თავისი ინდივიდუალური მიზნების მიღწევა, ვიდრე მარტოობაში, ზუსტად ასევე ყველა ერი გაცილებით ადვილად მიიღწევდა თავის მიზნებს, თუ ისინი შეერთებული იქნებოდნენ სამართლით, სამუდამო მშვიდობით და ურთიერთობების თავისუფლებით“. ფ. ლისტი, რომელიც საბაჟო კავში-

რის თეორიის შემქმნელი იყო, ასახელებდა კონტრარგუმენტებს საბაჟო კავშირების დასაცავად, ამტკიცებდა რა ფორმირების სტადიაში მყოფი დარგებისთვის ასეთი ტიპის კავშირების აუცილებლობას. თავისუფალი ვაჭრობის სარგებლის შესახებ მსჯელობა პირველი ნაბიჯი გახდა სახელმწიფოთა ინტეგრაციის მნიშვნელობისა და აუცილებლობის კონცეპტუალური გააზრების გზაზე, მაგრამ ეს მხოლოდ საერთაშორისო ინტეგრაციის ერთ-ერთი ასპექტია [6].

საერთაშორისო ეკონომიკურმა ინტეგრაციამ დროთა განმავლობაში რთული და კომპლექსური პროცესის ხასიათი შეიძინა, რომლის გააზრებისათვის სერიოზული თეორიული ბაზა ჩამოყალიბდა. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის თანამედროვე თეორიების დასაბუთება თავდაპირველად ასევე ეკონომიკური თეორიის ფარგლებში დაიწყო. ასე მაგალითად, „დირიჟიზმის“ თეორიის წარმომადგენლები (მაგალითად, ია. ტინბერგენი, ი. შტოლერი და სხვ.) ამოდიან იქიდან, რომ ინტეგრაციული სტრუქტურების ფუნქციონირება საერთო ეკონომიკურ პოლიტიკას და შეთანხმებულ კანონმდებლობას ეფუძნება. რეგულაციის არარსებობა კი სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს ბადებს (უმუშევრობას, სიღარიბეს და ა.შ.). ინტეგრაციის პროცესი დირიჟისტების მიერ როგორც ეტაპობრივი განიხილებოდა: მარტივი ფორმებიდან უფრო რთულისკენ, რომელსაც მივყავდით ზედეროვნული პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტის ან ინსტიტუტთა სისტემის შექმნისკენ (პრაქტიკაში – „ეკონომიკური კავშირი“).

მოცემული მიდგომის ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა ია. ტინბერგენმა ინტეგრაციის ორი ტიპი შეიმუშავა: „ნეგატიური“, რომელიც ბაჟის, გადასახადებისა და შემაკავებელი საკანონმდებლო ნორმების გაუქმებაში მდგომარეობს და „პოზიტიური“, რომლის ყურადღება ზედეროვნული ორგანოების შექმნაზე და ინტეგრაციული გაერთიანების ფორმირების პოლიტიკაზეა გამახვილებული [7. 78].

ცნობილია ასევე ამერიკელი მკვლევარის ბ. ბალასსას მიდ-

გომა, რომელმაც ინტეგრაცია განსაზღვრა როგორც პროცესი, რომელიც მოიცავს „ისეთ ზომებს, რომლებიც მოწოდებულია აღმოფხვრან დისკრიმინაცია სხვადასხვა სახელმწიფოებს განკუთვნილ სამეურნეო ერთეულებს შორის; მდგომარეობის სახით განხილული, ის შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ეროვნულ ეკონომიკებს შორის დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების არარსებობა“. სხვა სიტყვებით, ბ. ბალასსამ ინტეგრაცია ორმაგად განსაზღვრა: როგორც „პროცესი“ და „მდგომარეობა“ [8. 249]. გარდა ამისა, სწორედ ბ. ბალასსამ შემოგვთავაზა ინტეგრაციის განვითარების სქემა, რომელიც კლასიკურად იქცა და დღესაც აქტიურად მოთხოვნადია ნებისმიერი რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანების განვითარების აღწერისათვის:

- თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა;
- საბაჟო კავშირის წარმოქმნა;
- საერთო ბაზრის ფორმირება;
- ერთიანი ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის გატარება;
- ინტეგრაციული პროცესების განვითარების უმაღლეს საფეხურზე გადასვლა – ინტეგრაციის ეტაპი პოლიტიკურ სფეროში.

როგორც ცნობილია, ამ ეტაპზე ბ. ბალასსას ინტეგრაციული სქემის ყველა საფეხური მხოლოდ ევროპის კავშირმა გაიარა, რომელიც, თუმცა, სერიოზულ პრობლემებს წააწყდა პოლიტიკური ინტეგრაციის უკანასკნელ ეტაპზე (მაგალითად, ეკ-ს კონსტიტუციის პროექტის ჩავარდნა). დანარჩენმა ინტეგრაციულმა გაერთიანებებმა ეკონომიკური ინტეგრაციის პირველი და ნაწილობრივ მეორე დონეები განვლეს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების უმეტესობის – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო), მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) გამოცემებსა და ანალიტიკურ მოხსენებებში ინტეგრაციის ფენომე-

ნი გაიგივებულია „რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის“ ცნებასთან და საკმაოდ ვიწროდ განისაზღვრება – როგორც რეგიონული სავაჭრო ბლოკების ფორმირების პროცესი. ასე მაგალითად, გაეროს ლექსიკონში მხოლოდ „ეკონომიკური ინტეგრაციის“ ცნებაა ნახსენები, რომლის ქვეშაც „საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნის მიზნით ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ მიღებული ყველა ზომა“ მოიაზრება [9]. სხვა სიტყვებით, თუ რამდენიმე ქვეყანამ ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობისა ან საბაჟო კავშირის შესახებ ხელშეკრულებას, ეს ქვეყნები ავტომატურად ხდებიან ინტეგრირებულთა თანრიგში. ასეთი მიდგომა ნიშნავს, რომ ინტეგრაცია – ეს არა ამა თუ იმ ქვეყნების სამეურნეო ურთიერთდამოკიდებულების და პოლიტიკური ურთიერთქმედების ზრდის პროცესია, არამედ მხოლოდ ზრახვების ფორმალური განმტკიცებაა. ამასთან, რუსი მკვლევარის ი. შიშკოვის აზრით, მოცემული მიდგომის ფარგლებში გაურკვეველი რჩება ის მიზეზები, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფოები ინტეგრირების გადაწყვეტილებას იღებენ“ [10].

მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში „ინტეგრაციის“ ცნებამ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა, რომელიც სცდებოდა მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებს. „ეკონომიკური ინტეგრაციის“ დამკვიდრებულ ცნებასთან ერთად ხმარებაში შემოვიდა ისეთი ცნებები, როგორიცაა „პოლიტიკური ინტეგრაცია“, „სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო სტრუქტურების ინტეგრაცია“, „კულტურული ინტეგრაცია“ და ა.შ. როგორც რუსი მკვლევარი იუ.ვ. შიშკოვი აღნიშნავს: „ყველაფერი ეს – გარკვეული სიღრმისეული პროცესის – როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით სხვადასხვა ქვეყნების მზარდი ურთიერთდაკავშირებულობის, ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთგანპირობებულობის სხვადასხვა გამოვლინებებია (მხარეებია)“. შედეგად ინტეგრაციის ფენომენის კვლევისადმი კომპლექსური, მრავალასპექტიანი მიდგომების შემუშავება დაიწყო.

სოციალურ-პოლიტიკურ კვლევებში „ინტეგრაციის“ ცნების პირველი მკვლევარები 1920-იანი წლებსი დასაწყისში გერმანული პოლიტიკური სკოლის წარმომადგენლები გახდნენ, მათ შორის ჰ. კელზენი და რ. სმენდი, რომლებიც ინტეგრაციას პლურალიზმის და კლასობრივი ბრძოლის გარკვეულ თეორიულ პირველსახედ თვლიდნენ. ასე მაგალითად, ჰ. კელზენი [11. 138], მთავრობის ფორმების დახასიათებისას პოლიტიკური ინტეგრაციის ტიპს ერთ-ერთ უმნიშნელოვანეს კრიტერიუმად თვლიდა, რომელიც განასხ-ვავებდა ავტოკრატიას დემოკრატიისაგან: „დინამიკური ინტეგრა-ცია“ სჩვევია დემოკრატიებს, მაშინ როდესაც „სტატიკური ინტეგ-რაცია“ ავტოკრატიების ნიშანთვისებაა. ამასთან, „დინამიკური ინ-ტეგრაცია“ სისტემაში ჰარმონიის არსებობას გულისხმობს, რომელ-საც უმრავლესობის უმცირესობასთან შეთანხმებების მუდმივი განახლება უზრუნველყოფს, ხოლო „სტატიკურისთვის“, თავის მხრივ, მიუღებელია მოლაპარაკებების წარმოება საზოგადოებაში ძალაუფლების უფლებამოსილების განაწილების პროცესში. რ. სმენდი განიხილავდა სახელმწიფოს როგორც სულიერი რეალობის ნაწილს, რომელიც ინდივიდუუმების ურთიერთქმედების შედე-გად არსებობს – „ინტეგრირდება“. რ. სმენდის მიხედვით, „ინტეგ-რაცია“ – ეს არის მოქალაქეთა სახელმწიფოში გაერთიანების დინა-მიკური პროცესი, რომლის ქვეშ ის არა ჰიპოთეზურ ან ისტორიულ, არამედ სულიერ ერთიანობას გულისხმობდა [12. 29].

XX საუკუნის შუახანებში პოლიტიკურ აზროვნებაში „ინტეგ-რაციის“ ცნების შემუშავებაში თავისი წვლილი ისეთმა მკვლევა-რებმა შეიტანეს, როგორიცაა ტ. პარსონსი, დ. ისტონი, მ. კაპლანი, ე. ჰაასი, ა. ეტციონი, ჰ. ბული და სხვ. თავის წიგნში „ევროპული ინ-ტეგრაციის თეორიები“ ამერიკელმა მკვლევარმა ბ. როზამონდმა [13. 11] ინტეგრაციის განსაზღვრების მთელი რიგი განმარტებებისა შეკრიბა:

- **ინტეგრაცია –** ესაა „ადრე არსებული დაყოფილი სისტემები-დან ახალი პოლიტიკური სისტემის ფორმირება“ (მ. ჰოჯესი);

- **ინტეგრაცია –** ესაა „რეგიონის სახელმწიფოებს შორის უსაფრთხოების საზოგადოების შექმნა“ (კ. დოიჩი);
- **ინტეგრაცია –** ესაა „ადრე ავტონომიურ ნაწილებს შორის ურთიერთქმედების ინტენსიური და მრავალფეროვანი სისტემების შექმნა და მხარდაჭერა“ (უ. უოლლასი).

ინტეგრაციის თეორიის განვითარებაში მნიშნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსული სკოლის წარმომადგენლებმა: ვ. ბარანოვსკიმ, ი. შიშკოვმა, გ. ჩუფრინმა, ნ. არბატოვამ, ო. ბუტორინამ, ვ. მიხეევმა, და სხვ.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენ ვერ შევხვდებით „ინტეგრაციის“ ცნების ორ ერთნაირ განმარტებას. რუსი მკვლევარის ნ. ოვჩარენკოს აზრით, ეს შეიძლება აიხსნას „ჯერ ერთი, ინტეგრაციული პროცესების მოდელების, ტიპების სიმრავლით, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან მიზნებითა და ფუნქციებით, და მეორე, იმ ეროვნული ინტერესების განსხვავებით, რომელსაც მისდევენ ცალკეული სახელმწიფოები ან სახელმწიფოთა ჯგუფები“. სახელმწიფოთა ინტეგრაციის პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, არსებობს დიდი განსხვავება ინტეგრაციულ ტიპებს, კავშირებსა და მათ ფორმებს შორის, რაც, ბუნებრივია, ართულებს „ინტეგრაციის“ ცნების საერთო განმარტების შემუშავებას. ამასვე ამბობს სხვა რუსი მკვლევარი ა. ბაიკოვი: „თავად ცნება „ინტეგრაცია“ არსებითად იცვლება, რაც იწვევს „ევროპული ინტეგრაციული კანონის“ გაბუნდოვნებას, რომელიც 20 და 30 წლის წინ ურყევი ჩანდა“. ინტეგრაციის განმარტებები არაევროპული ინტეგრაციული კერების გამოცდილებასაც ითვისებენ. და მართლაც, ბოლო დრომდე ინტეგრაციის ევროპული გამოცდილება სხვა კონტინენტებზე რეგიონული ინტეგრაციული პროცესების განვითარებისთვის უნივერსალური ნიმუშის სახით განიხილებოდა: „მაკრორეგიონალიზაციამ და რეგიონულმა ინტეგრაციამ მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც დაიწყო გავრცელება, გადაიქცა რა მონაწილე ქვეყნების კოლექტიური ან ინდივიდუალური პო-

ტენციალის განმტკიცების მიზნით მოდერნიზირებული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთქმედების ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიად“ [14. 225]. მაგრამ, დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ „ევროპული“ მოდელი სხვა კონტინენებზე ფორმირებული რეგიონული მოდელებისთვის არ არის მაინც და მაინც მთლიანად მისაღები. შედეგად დღეს გამოყოფენ ინტეგრაციის აზიურ, ლათინოამერიკულ, ევრაზიულ და სხვ. ტიპებს, რომელთაგან თითოეულს თავისი ტიპოლოგიური თავისებურებები აქვს.

„ინტეგრაციის“ ფენომენის განსაზღვრებების არსებულ მრავალფეროვნებაში მკაფიოდ ჩანს უთანხმოება იმის თაობაზე, თუ რა არის ინტეგრაციის მამოძრავებელი ძალა – ეკონომიკური სარგებელი თუ პოლიტიკური იდეა. ეს უთანხმოებები საფუძვლად დაედო ინტეგრაციის მკვლევართა თეორიულ დისკუსიას XX საუკუნის მეორე ნახევარში და საერთაშორისო ინტეგრაციის ფენომენის კვლევებში რამდენიმე თეორიული მიმართულების ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა. მათ შორისაა: ფედერალისტური და ნეოფედერალისტური, ფუნქციონალისტური და ნეოფუნქციონალისტური მიდგომები და ასევე ლიბერალური მთავრობათაშორისი მიდგომა.

ფედერალისტური მიდგომის წარმომადგენლები (მაგ., ა. სპინელი, ა. ჰამილტონი, კ. უეირი და რ. უოტსი, ა. ეტციონი და სხვ.) თავის კვლევებში აქცენტს ინტეგრაციის პოლიტიკურ შემადგენელზე აკეთებენ და ინტეგრაციის ქვეშ ესმით ფედერაციის ფორმით სახელმწიფოთაშორისი გაერთიანების ფორმირების პროცესი სახელმწიფოთა წინაშე მდგარი კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად და საერთო ინტერესების სარეალიზაციოდ [15. 110-112]. თეორია ა. სპინელის მიერ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წლებში იყო შემუშავებული, შემდგომ კი თავისი გამოხატულება უ. ჩერჩილის 1946 წლის ცნობილ გამოსვლაში ჰპოვა, რომელშიც მან ევროპის ხალხებს ფედერალისტური სახელმწიფოს ფორმატში გაერთიანებისკენ მოუწოდა. ფედერალიზმი განიხილება, როგორც „ძალაუფლებათა ისეთნაირი განაწილების მეთოდი, რომ ცენტრა-

ლურმა და ფედერალურმა მთავრობებმა გარკვეულ სფეროში განახორციელონ თანამშრომლობა, მაგრამ ამასთან ერთად დამოუკიდებლობაც შეინარჩუნონ“. ამასთან, თუ კლასიკური ფედერალიზმის წარმომადგენლები (მაგალითად, ა. ჰამილტონი) სახელმწიფოთა ასეთ გაერთია-ნებას შესაძლებლად მხოლოდ და მხოლოდ მათ მიერ უფლებამოსილებათა ნაწილის ზედეროვნული ორგანოებისთვის გადაცემის პირობით თვლიდნენ, **ნეოფედერალიზმის** წარმომადგენელთა აზრით (მაგალითად, ა. ეტციონი), „ინტეგრაციის მიზანია „პოლიტიკური საზოგადოების“ შექმნა, რომელსაც ექნებოდა ძალადობისთვის აუცილებელი საშუალებები, ექნებოდა გადაწყვეტილებების მიღების უფლება და დაეყრდნობოდა საკუთარ იდეოლოგიურ განწყობებს, რომლებიც მოქალაქეებში შესაბამისი საიდენტიფიკაციო ორიენტირების ფორმირებაზეა მიმართული“. საბოლოოდ ფედერალიზმის და ნეოფედრალიზმის თეორეტიკოსები ინტეგრაციის საბოლოო მიზანს შემდეგნაირად განსაზღვრავენ: მოქალაქეთა კავშირის შექმნა სახელმწიფოთა კავშირის საპირისპიროდ.

ფედერალისტური მიდგომების უპირატესობებია, ჯერ ერთი, მრავალფეროვნების შენარჩუნება ერთიანობის შექმნისას, მეორე, ცენტრალური ხელისუფლების დესპოტიზმის წინააღმდეგ ბარიერის შექმნა სახელმწიფოთათვის ავტომონიური ხელისუფლების მინიჭებისა და ფედერალურ მთავრობაში მათი მონაწილეობის გზით. ფედერალიზმის მთავარი პრობლემა კი მისი უძლურობაა ახსნას ნელი, თანდათანობითი ინტეგრაცია (ინტეგრაცია „ქვემოდან“) [17. 159].

ფუნქციონალისტური მიდგომის წარმომადგენლები (მაგალითად, დ. მიტრანი, ია. ტინბერგენი, პ. რაინში, ა. კლოუდა და სხვ.) თავის ყურადღებას ინტეგრაციის ეკონომიკურ ასპექტზე ამახვილებენ და ინტეგრაციას როგორც „კონკრეტულ ტერიტორიაზე იურისდიქციის მქონე ერთი ცენტრის სახელისუფლებო გავლენის გავრცელების პროცესს“ განმარტავენ, რომელიც „ამ ცენტრისათვის

ეროვნული სახელმწიფოების პოლიტიკური ცხოვრების სუბიექტთა მიერ თავისი ფუნქციების ნაწილის დელეგირების შედეგად მიმდინარეობს“ [16]. ფუნქციონალისტების აზრით, მსოფლიო თავის თავზე კონცენტრირებულ, ერთმანეთთან ბრძოლაში მყოფ ერთიანობებადაა განხეთქილი, და მათი ბრძოლის შედეგია ძალადობა, რომლის თავიდან აცილება მხოლოდ საერთაშორისო ერთიანობის ელემენტების შექმნის გზითაა შესაძლებელი. ამრიგად, ფუნქციონალისტები „აშკარა საერთო საჭიროებების“ შექმნაზე და „საერთო ინტერესებისა და ინიციატივების მუდმივი უწყვეტი განვითარების გზით საზღვრების მნიშვნელობის შემცირებაზე კონცენტრირდებიან საბოლოო მიზნის მისაღწევად – საერთაშორისო ურთიერთობებში მშვიდობის შესანარჩუნებლად და ომის თავიდან ასაცილებლად და სახელმწიფოთა სისტემიდან საერთაშორისო საზოგადოებაზე გადასასვლელად. ინტერესთა ერთიანობა ფაქტობრივად სოციო-ფსიქოლოგიური ერთიანი წარმონაქმნის ბაზად იქცევა. ნავარაუდევია, რომ ინდივიდუუმები საკმაოდ რაციონალურები არიან თავის ინტერესებში, რათა დადებითად უპასუხონ გარე სამყაროს იმ სიგნალებზე, რომლებიც ასეთ ინტერესებს პასუხობს. ინდივიდუუმების ყურადღება ეროვნული პრობლემებიდან და ეროვნული გადაწყვეტილებებიდან ტრანსეროვნულ პრობლემებზე და მათი გადაჭრისგან აშკარა სარგებელზე უნდა გადაინაცვლოს.

ყველაზე სრულად კლასიკური ფუნქციონალიზმის საფუძვლები მისი ერთ-ერთი დამაარსებლის დ. მიტრანის შრომებშია გადმოცემული. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დ. მიტრანის აზრით, არ არის აუცილებელი რეგიონული ინტეგრაცია გეოგრაფიული პრინციპებით იყოს შემოფარგლული, ხოლო რეგიონები განიხილებოდეს როგორც გარკვეული ფუნქციური ზონები, რომელთა ფარგლებში სხვადასხვა ფუნქციები ხორციელდება.

ფუნქციონალიზმმა არსებითი გავლენა მოახდინა რეგიონული ინტეგრაციის განვითარებაზე როგორც ევროპაში, ისე სხვა კონტინენტებზე, მაგრამ, მიუხედავად თავისი კომპლექსური ხასიათისა,

ფუნქციონალიზმიც არ არის მოკლებული პრობლემებს, რაც დაკავშირებულია მის კონცენტრაციასთან ინტეგრაციის ეკონომიკურ ასპექტებზე: ჯერ ერთი, საერთაშორისო საზოგადოების ზედმეტად დიდი დეცენტრალიზაცია, მეორე, პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ ფუნქციური თანამშრომლობა არ იწვევს ავტომატურად „სუვერენიტეტის კვდომას“, მესამე, თავისთავად ფუნქციური თანამშრომლობა მაინც საჭიროებს პოლიტიკური ქმედებებით განმტკიცებას. მაგრამ კლასიკური ფუნქციო-ნალისტური მიდგომის მთავარი ნაკლია საერთაშორისო ინტეგრაციაში პოლიტიკური ფაქტორის არასათანადო შეფასება. მოცემული მიდგომის წარმომადგენლების მიერ დაშვებულმა დაუდევრობებმა და ისეთი მრავალმნიშვნელოვანი ფენომენის კვლევისადმი, როგორიცაა რეგიონული ინტეგრაცია, უფრო კომპლექსური მიდგომის საჭიროებამ – ახალი თეორიის – ნეოფუნქციონალიზმის შექმნა გამოიწვია.

ნეოფუნქციონალისტები (მაგალითად, ე. ბ. ჰაასი, ფ. შმიტტერი, ლ. შეინემანი, ლ. ლინდბერგი და სხვ.) რეგიოონულ ინტეგრაციას განსზღვრავენ როგორც პროცესს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული სახელმწიფოები „ნებაყოფლობით ერევიან, ერწყმიან ერთმანეთს და უერთდებიან მეზობლებს ისე, რომ კარგავენ სუვერენიტეტის ფაქტობრივ ატრიბუტებს, სამაგიეროდ იძენენ ერთმანეთს შორის კონფლიქტების დარეგულირების ახალ მექანიზმებს“. მოცემული მიმართულების დამფუძნებელია ე. ჰაასი, რომელმაც თავისი თეორია ევროპული ინტეგრაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების პრაქტიკას დაუკავშირა.

ფუნქციონალისტებისგან განსხვავებით, ნეოფუნქციონალიზმის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ რეგიონალიზმის უპირატესობებს გლობალურ გადაწყვეტილებებთან შედარებით. ე. ჰაასი აღნიშნავს, რომ „ხელისუფლების ცენტრალურ ინსტიტუტებს მნიშვნელოვანწილად გავლენა ექნებათ ინტეგრაციულ პროცესებზე, თანაც მათი მონაწილეობა არა პასიური, არამედ სისტემწარმომქმნელია, ვინაიდან სწორედ ისინი გამოიმუშავებენ პრობლემების

გადაჭრას“ [18. 43]. ამასთან იგულისხმება, რომ ინტეგრაცია თანდათანობით საზოგადოების ცხოვრების ერთი სფეროდან სხვა სფეროებში გადადის, ხოლო პოლიტიკური ცხოვრების მონაწილეებს ნდობის ორიენტირი ეროვნული დონიდან ზედეროვნულზე გადააქვს. ნეოფუნქციონალიზმის თანახმად, ინტერგრაციის მამოძრავებელი ძალაა საზოგადოებრივი მოთხოვნილებები და ცვლილებები ტექნოლოგიურ სფეროში.

ნეოფუნქციონალისტური მიდგომის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის თანაფარდობა და შედეგად წამოყენებულ იქნა ჰიპოთეზა, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია თავისი ბუნებით იწვევს პოლიტიკურ ინტეგრაციას, რომელიც მთელი პროცესის ფინალურ სტადიას წარმოადგენს: „ზედეროვნული სტილი ხაზს უსვამს პოლიტიკის არაპირდაპირ შეღწევას ეკონომიკაში, ვინაიდან ეკონომიკური გადაწყვეტილებები ყოველთვის პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენენ ინტეგრაციული პროცესის მონაწილეთა გონებებში“ [19. 164]. ამრიგად, კლასიკური მიდგომიდან ნეოფუნქციონალიზმის პრინციპული განსხვავებაა რეგიონული ინტეგრაციის პროცესში პოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობის აღიარება.

ყველაზე ვრცლად რეგიონული ინტეგრაციის ფენომენის თავისი ხედვა ე. ჰაასმა წარადგინა თავის წიგნში „ევროპის ერთიანობა: პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ძალები, 1950-1957“ (1958), სადაც ის ინტეგრაციის საბაზო წინაპირობებს გამოყოფს:

- „საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურად ჩაბმული, ინდუსტრიულად განვითარებული ეკონომიკა“;
- პოლიტიკურად მობილური საზოგადოებრივი მასების არსებობა;
- ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი ელიტების ჯგუფები;
- ელიტების ურთიერთობები, რომლებიც კონსტიტუციით, ტრადიციებით ან საპარლამენტო (საპრეზიდენტო) დემოკ-

რატიითაა რეგულირებული“.

ინტეგრაციის შედეგი კი, ე. ჰაასის აზრით, შეიძლება იყოს სამი ვარიანტი:

- რეგიონული სახელმწიფო;
- რეგიონული თემი;
- ასიმეტრიული რეგიონული ზედნაშენი.

ნეოფუნქციონალიზმის გაგებისთვის საკვანძოა ე.წ. „გადინების ეფექტის“ (spill-over) კონცეფცია, რომელიც თავისი არსებობის უმნიშნელოვანესი პირობის სახით სახელმწიფოთა ეკონომიკათა დაკავშირებას გულისხმობს და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ინტეგრაცია ერთ სფეროში ასევე სხვა სფეროებშიც იწვევს ურთიერთქმედებას, ვინაიდან დასახული მიზნის მიღწევა ყველა არეში ინტეგრაციის კომპლექსური პროცესის გარეშე შეუძლებელია. ინტეგრაციული გადასხმა უნდა იწყებოდეს ე.წ. „დაბალი“ პოლიტიკის სფეროში (სახელმწიფოთაშორისი ტექნოკრატიული მომენტები, რომლებიც ინტეგრაციული გაერთიანების ფუნქციონირებასთანაა დაკავშირებული) „მაღალი“ პოლიტიკისკენ (სტრატეგიული ხასიათის მოქმედებები, რომელთათვის რეალური პოლიტიკური ნებაა საჭირო). ამასთან თანამშრომლობის განვითარება ეკონომიკის გარკვეულ სექტორებში ხდება, რომლებიც ყველაზე მეტადაა მორგებული „გადასხმისთვის“, რომელიც, თავის მხრივ, შემდეგი ჯაჭვის მიხედვით ხორციელდება: თავისუფალი ვაჭრობის ზონა – საბაჟო კავშირი – საერთო ბაზარი – ეკონომიკური კავშირი – სრული ეკონომიკური ინტეგრაცია.

ამრიგად, ნეოფუნქციონალისტური მიდგომა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ეროვნულ სუვერენიტეტს, ვინაიდან ზედეროვნული ინსტიტუტებისთვის სახელისუფლებო უფლებამოსილებების გადაცემას გულისხმობს. მოცემული მიდგომის ფარგლებში ინტეგრაცია განიხილება როგორც პრინციპულად ახალი მოვლენა საერთაშორისო პრაქტიკაში, რომელიც სახელმწიფო საქმიანობის არა იმდენად ფორმას, რამდენადაც შინაარსს ცვლის. მიუხედავად ამი-

სა, ნეოფუნქციონალიზმის მრავალი პოსტულატი დროთა განმავლობაში უარყოფილ იქნა ევროპული ინტეგრაციის პრაქტიკის მიერ და კრიტიკა გამოიწვია (მაგალითად, ინტეგრაციის საბოლოო მიზნების გაურკვევლობამ და საერთაშორისო ინტეგრაციის უპირობოდ დადებითი ხასიათისა და სარგებლის რწმენამ), მაგრამ, უდავოდ, ნეოფუნქციონალიზმმა არსებითი გავლენა მოახდინა ინტეგრაციის თეორიის განვითარებაზე.

საერთაშორისო ინტეგრაციის ბუნებისა და მექანიზმების თაობაზე კამათი ამით არ დასრულდა და შედეგად კიდევ ერთი მიმართულება გაჩნდა – **ლიბერალური მთავრობათაშორისი მიდგომა** (მაგალითად, ე. მორავჩიკი, რ. პატნემი, ჯ. რაგგი, რ. კეოჰეინი და სხვ.). ამ მიმართულების ფარგლებში „საერთაშორისო ინტეგრაციის“ ცნების განმარტებისადმი რამდენიმე მიდგომა გაფორმდა: მთავრობათაშორისი, ინსტიტუციური და კომუნიკაციური.

რაც შეეხება **მთავრობათაშორის მიდგომას** (ვ. უოლესი, ე. მორავჩიკი), ის განეკუთვნება ნეორეალიზმის სკოლას და შესაბამისად ინტეგრაციულ პროცესებში საკვანძო როლს ეროვნულ სახელმწიფოებს ანიჭებს, რომლებსაც გარკვეული საერთო ინტერესები და პრობლემები აქვთ. მათი ურთიერთქმედების შედეგად მართვის საერთო ინსტიტუტები წარმოიშობა [20. 156].

მოცემული მიდგომის წარმომადგენლებმა წამოაყენეს თეზისი იმის თაობაზე, რომ ეროვნული სახელმწიფოები ინარჩუნებენ წამყვან როლს ინტეგრაციის პროცესში („ფორმალური“ ინტეგრაცია), მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე ცალკეული ინდივიდების, კერძო ბიზნეს-სტრუქტურების და სხვა არასახელმწიფო აქტორთა როლი, რომელთა შორის ინტეგრაციამ „არაფორმალურის“ სახელწოდება მიიღო.

მოცემული მიდგომის შესაბამისად, ინტეგრაცია ორ დონეზე განხორციელებულ ურთიერთქმედებას ეფუძნება: შიდასახელმწიფოებრივ („მოთხოვნა ინტეგრაციაზე“) და სახელმწიფოთაშორისოზე („მიწოდება“). ამრიგად, პირველ დონეზე – სახელმწიფოს შიდა

პოლიტიკის დონეზე – სახელმწიფოსა და საზოგადოების (რომელიც გამოხატავს დიდი ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების „სპეციალურ ინტერესებს“ და შედეგად გავლენას ახდენს მთავრობის პოლიტიკაზე) ინტერესთა შეთანხმების პროცესი მიმდინარეობს. როდესაც საზოგადოებიდან ინტეგრაციაზე „მოთხოვნა“ მომდინარეობს, სახელმწიფო ეთანხმება მას, ვინაიდან სურს თავისი ძალაუფლების შენარჩუნება. შემდეგ ეს „მოთხოვნა“ საერთაშორისო დონეზე გადადის, სადაც სახელმწიფო, იცავს რა საკუთარ ინტერესებს, წარმოადგენს „მოწოდებას“ ინტეგრაციული ინიციატივების სახით, რომლებიც, როგორც ე. მორავჩიკი აღნიშნავს, მხოლოდ სახელმწიფოს ხელთ მისი საერთო ინტერესების ქვეშ „საერთო მნიშვნელის“ არსებობისას არის შესაძლებელი.

თავის მხრივ, **ინსტიტუციურ (ან პლურალისტურ) მიდგომას** საფუძვლად უდევს ნეოლიბერალისტული იდეები და მისი წარმომადგენლები (მაგალითად, ე. ჰაასი, ჯ. პიტერსონი, ა.ს. სუიიტი და უ. სანდჰოლცი) საერთაშორისო ინტეგრაციას როგორც სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტებთან ურთიერთქმედების ეროვნული პრაქტიკების ტრანსფორმაციას განიხილავენ, რაც გადაწყვეტილების მიღების ცენტრთა სიმრავლის მქონე მართვის მრავალდონიანი სისტემის შექმნას იწვევს.

და ბოლოს, **კომუნიკაციური მიდგომა** (მაგალითად, კ. დოიჩი) საერთაშორისო ინტეგრაციას, როგორც „საერთაშორისო ცხოვრების სხვადასხვა არეებში სოციალურ ერთიანობებს შორის ეფექტიანი ურთიერთქმედებისა და ასევე ახალი გამოწვევებისა და მოთხოვნილებების პასუხად ახალი საზოგადოებების შექმნის პროცესს“ განმარტავს. სხვა სიტყვებით, მოცემული მიმართულების წარმომადგენლები ცდილობდნენ მოეძებნათ საერთაშორისო სისტემის სტაბილიზაციის ხერხი ისე, რომ არ დაერღვიათ მათი კავშირები. ასე მაგალითად, კ. დოიჩი ინტეგრაციას განსაზღვრავდა, როგორც „სახელმწიფოთა მიერ გარკვეულ ტერიტორიაზე „ერთიანობის გრძნობის“ მიღწევას და ისეთი ინსტიტუტების შექმნასა და გავრ-

ცელებას, რომლებსაც შეუძლიათ გრძელვადიანი „მშვიდობიანი ცვლილებების“ წარმოქმნის უზრუნველყოფა. ამასთან, მისი გაგებით „ერთიანობის გრძნობა“ ნიშნავს საზოგადოების რწმენას იმისა, რომ ინდივიდუმები თუნდაც ერთ რამეში უნდა თანხმდებოდნენ: იმაში, რომ საერთო სოციალური პრობლემები შეიძლება და უნდა გადაიჭრას მხოლოდ „მშვიდობიანი ცვლილებების“ წყალობით, რაც განსაზღვრავს მთელი საერთაშორისო სისტემის განვითარების ახალ ეტაპს [17. 166].

გარდა ამისა, კ. დოიჩმა ინტეგრაციული პროცესის ამოცანები განსაზღვრა:

- „მშვიდობის შენარჩუნება და მხარდაჭერა სხვადასხვა პოლიტიკური კავშირების შექმნის, დიპლომატიური ძალისხმევის გამოყენების გზით და ა.შ.;
- საერთო მრავალმხრივი მიზნების მიღწევა;
- სპეციალური ამოცანების შესრულება (მაგალითად, მშპ-ის გაზრდა);
- ახალი იმიჯის და როლური იდენტურობის შეძენა“.

საბოლოო ჯამში, ამ პუნქტების ანალიზის საფუძველზე შესაძლებლად მოგვაჩნია გამოკვლეული ინტეგრაციული გაერთიანების ეფექტიანობის შეფასება.

ზემოთ განხილული თეორიული მიდგომები, უდავოდ, განსაზღვრავენ საერთაშორისო ინტეგრაციის ფენომენს როგორც საერთაშორისო პროცესების აქტორთა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მაღალ საფეხურს, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს მმართველობითი ფუნქციების გადანაწილებაში ყველასათვის საერთო აქტუალური პრობლემების ეფექტიანი გადაჭრის მიზნით. ყველა მიმართულების წარმომადგენლები თანხმდებიან იმაზე, რომ ინტეგრაციის პროცესი თანამედროვე მსოფლიო განვითარების ობიექტური და კანონზომიერი ტრენდია და წარმოადგენს რეგიონული და გლობალური მმართველობის ეფექტიურ და მოთხოვნად ინსტრუმენტს. განსხვავებები კი ძირი-

თადად გაერთიანების ხერხების და ურთიერთქმედების ფორმების სხვადასხვა გაგებასა და ხედვამდე, ასევე რეგიონული ინტეგრაციის პროცესში ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების როლამდე დაიყვანება.

ინტეგრაციის „მესამე ტალღის“ თავისებურებები, ტიპები და მექანიზმები

ამრიგად, ურთიერთქმედების თანამედროვე ინტეგრაციული მეთოდების მიმზიდველობა მნიშვნელოვნად აიხსნება იმით, რომ, როგორც სამართლიანად აღნიშნა რუსმა მეცნიერმა ი. ლეპეშკოვმა, „ინტეგრაცია გვაძლევს საშუალებას მივიღოთ ისეთი მატერიალური, ინტელექტუალური და სხვა საშუალებები, რომელიც არცერთ მონაწილეს არ ექნებოდა, მას რომ ავტონომიურად ემოქმედა“ [21]. დღესდღეობით ინტეგრაციულ პროექტებში ეროვნული სახელმწიფოების მონაწილეობის ძირითადი მიზანია არა მარტო მისწრაფება გაზარდონ თავისი ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობა, არამედ შექმნან ხელსაყრელი, სტაბილური საგარეოპოლიტიკური ვითარება, ეფექტიურად ჩაერთონ მსოფლიოპოლიტიკურ პროცესებში ინტეგრაციისა და „ინტეგრაციული „ძალის ცენტრის“ შექმნის გზით.

როგორც უკვე აღინიშნა, გლობალური განვითარების პირობებში ინტეგრაციის ფენომენმა მრავალასპექტიანი და კომპლექსური ხასიათი შეიძინა. შედეგად შესაძლებლად გვეჩვენება თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების შემდეგი სფეროები გამოვყოთ:

- **პოლიტიკური** (მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა, ტრანს-ეროვნული პარტიული გარემო: სოცინტერნი, კონსერვატიული ალიანსი, პარლამენტთაშორისი ორგანიზაციები და სხვ.);
- **სოციალური** (გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, ანტიგლობალისტების მოძრაობა, კორპორაციული მოქალაქეობა და სხვ.);
- **ეკონომიკური** (თავისუფალი ვაჭრობის ზონები, საბაჟო

კავშირები, შრომის გლობალური ბაზარი და სხვ.);

- **უსაფრთხოების სფერო** (სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა, ბრძოლა ტერორიზმთან, საზღვრების დაცვა, ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან);
- **კულტურული** (კულტურული გაცვლა, ლინგვისტური ორგანიზაციები – ფრანკოფონია, ლუზოფონია და სხვ.);
- **მეცნიერული** (მეცნიერული საზოგადოებები, საერთაშორისო ვირტუალური საპროექტო საზოგადოებები);
- **საგანმანათლებლო** (ბოლონიის პროცესი, ვირტუალური უნივერსიტეტები და ა.შ.);
- **საინფორმაციო** (ელექტრონული მთავრობები, სოციალური ქსელები და ა.შ.).

მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების წარმოდგენილი სტრუქტურის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ინტეგრაციული სივრცეების თანამედროვე ფორმები მრავალფეროვანია და მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება, რაც მსოფლიო სოციუმის განვითარების ახალ პოსტკლასიკურ ეტაპზე მეტყველებს. XXI საუკუნის პირობებში ინტეგრაციის კლასიკური ფორმები ადამიანთა ცივილიზაციის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში ვიწრო ეკონომიკური, სახელმწიფო-ტერიტორიული ფორმებიდან ახალ კონგლომერაციულ-სივრცით ფორმებში ტრანსფორმირდება, რომლებშიც სახელმწიფოსთან ერთად მსოფლიო პოლიტიკის სხვა აქტორებიც იწყებენ მონაწილეობას.

თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების ფენომენის თეორიული ანალიზის გაგრძელებისას, ინტეგრაციის ზემოთ განხილულ სფეროებთან ერთად აუცილებელია მისი ძირითადი ფორმების გამოყოფა. ამ თვალსაზრისით შეიძლება რუსი მკვლევარის ნ.ე. ოვჩარენკოს პოზიციის გახსენება, რომელიც მოდელირების მეთოდის გამოყენებით თანამედროვე ინტეგრაციული გაერთიანებების სამ ძირითად მოდელს გამოყოფს:

1. რეგიონული და რეგიონთაშორისი ინტეგრაციული საზოგა-

დოებები, რომლებიც, თავის მხრივ, მიზნების მიხედვით შემდეგ ჯგუფებად იყოფა: ეკონომიკური, პოლიტიკურ-ეკონომიკური (სოციალური ინტეგრირების ელემენტებით), პოლიტიკური, სამხედრო-პოლიტიკური, ინსტიტუციურ-საკოორდინაციო და სხვ.

2. მაკოორდინირებელი ტიპის საერთაშორისო სამთავრობო ზედეროვნული ორგანიზაციები (მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია).

3. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც განეკუთვნება პროფკავშირები, ტრანსეროვნული კორპორაციები და ა.შ. [22]

მაგრამ მოცემული ნაშრომის ავტორს ნ. ოვჩერენკოს სამოდელო რიგი არასრულად ეჩვენება. თანამედროვე ინტეგრაციული სივრცის მრავალდონიანობისა და მრავალგანზომილებიანობის თეზისიდან გამომდინარე ვთვლით, რომ თანამედროვე ინტეგრაციული გაერთიანებების სამოდელო რიგი უფრო მრავალფეროვანია. ასე მაგალითად, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა მთელი რიგი არაფორმალური გაერთიანება (მაგალითად, დიდი ოცეული, BRICS, MIKTA და სხვ.) და ბიზნეს-საზოგადოება (მაგალითად, დავოსის ფორუმი, სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკური ფორუმი და ა.შ.) გაჩნდა, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც XXI საუკუნის ინტეგრაციულ გაერთიანებათა ახალი ფორმები, რომლებსაც საფუძვლად ურთიერთქმედების არა ტერიტორიული, არამედ სივრცითი პრინციპი უდევთ.

ინტეგრაციის „მესამე ტალღის“ თავისებურებაა ასევე მისი მრავალდონიანობა. ასე მაგალითად, რუსი მკვლევარის რ. ხასბულატოვის აზრით, როგორც მინიმუმ ინტეგრაციის ორ დონეზე უნდა ვისაუბროთ:

რეგიონული: კლასიკური საერთაშორისო ინტეგრაცია, რომელიც სხვადასხვა ინსტიტუციურ ფორმებში XX საუკუნის შუაწელიდან ვითარდება;

გლობალური: მსოფლიო ინტეგრაცია, რომელიც ისეთი პრო-

ცესებითაა წარმოშობილი, როგორიცაა გლობალიზაცია და ტრანს-ნაციონალიზაცია.

მსგავსი ინტეგრაციული მრავალვექტორულობა ჩნდება მაშინ, როდესაც „ერთი ინტეგრაციული პროცესის რეგიონული ჭრილი თითქოსდა ედება მეორეს“ და შედეგად უკვე ურთიერთქმედების გლობალური ფორმები ფორმირდება. საკმაოდ ხშირად ეს რიგი განპირობებულია თანამედროვე სახელმწიფოთა მისწრაფებით მონაწილეობა მიიღონ მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობის სხვადასხვა ინტეგრაციულ გაერთიანებებში (რისი მიზეზია ერთ-ერთი მათგანის მუშაობით უკმაყოფილება ან ინტეგრაციაში მონაწილეობისაგან პირვანდელი მოლოდინებით უკმაყოფილება). მსგავსი სიტუაცია, მაგალითად, პოსტ-საბჭოთა ევრაზიული სივრცისთვისაა დამახასიათებელი [23. 249].

მოცემული მიდგომა აღრმავებს ჩვენს მიდგომას ინტეგრაციული პროცესების პოსტკლასიკური ეტაპის ხასიათის შესახებ, რომლის პირობებში აღინიშნება უკლებლივ ეროვნული ინტერესებით ნაკარნახევ სახელმწიფოთა ტერიტორიული ინტეგრაციის კლასიკური ფორმის ტრანსფორმაცია (საერთაშორისო რეგიონების სახით) მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის ძირითად აქტორთა გლობალურ-რეგიონულ ინტეგრაციაში, სადაც პირველ ადგილზე უკვე ზედსახელმწიფოებრივი (ზედეროვნული) ინტერესები გამოდის (გლობალური რეგიონები). აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ცნობილი ინგლისელი მკვლევარის რ. კუპერის თვალსაზრისი, რომელიც აღნიშნავდა, რომ „პოსტმოდერნისტულ სისტემაში“ არ არსებობს ძალთა ბალანსის საბასიზო პოსტულატები და სახელმწიფოთა პოლიტიკის ტრადიციული გამიჯვნა საგარეო და საშინაო პოლიტიკად. ამიტომ „პოსტმოდერნის“ ქვეყნების რიცხვს, მისი აზრით, უნდა მივაკუთვნოთ ის ქვეყნები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ინტეგრაციულ ზეეროვნულ გაერთიანებებში, მაგალითად, ევროკავშირში, რომელიც ინგლისელ მეცნიერს სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ურთიერთჩარევის მაღალორგანი-

ზებულ სისტემად ესახება. ამრიგად, საერთაშორისო ინტეგრაციის „მესამე ტალღის“ პირობებში მწვავედ დგება საკითხი სუვერენიტეტის, როგორც საერთაშორისო ცხოვრებაში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ბატონობის ეპოქის უმნიშვნელოვანესი შემადგენელის შესახებ. ჩნდება სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებზე აღზევების და ინტეგრაციული ზოგადსაკაცობრიო ინტერესების ობიექტური მნიშვნელობის გაგების ობიექტური საჭიროება.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის, ინფორმატიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესების შედეგად სახელმწიფოები იძულებულნი არიან შეეგუონ საკუთარი ეროვნული ინტერესების მსოფლიო ბიზნეს-საზოგადოებისა და გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების მზარდ ურთიერთ-დამოკიდებულებას და თანაზომვადობის აუცილებლობას, რაც, ჩვენი აზრით, შეიძლება აღინიშნოს, როგორც საერთაშორისო კავშირებისა და ურთიერთქმედებების „კონგლომერაციული“ ფორმა, რომელსაც მთელი რიგი საერთო პრობლემების წარმოშობისკენ მივყავართ, რომელთა გადაჭრის გზების პოვნა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრების ფარგლებში და კლასიკური საერთაშორისო ინტეგრაციის მექანიზმების მეშვეობით უკვე შეუძლებელია. შედეგად დღესდღეობით შეინიშნება მძლავრი ინტეგრაციული დინებები, თანაც არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან (ინტეგრაცია „ზემოდან“), არამედ ბიზნეს-საზოგადოებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან (ინტეგრაცია „ქვემოდან“).

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო პოლიტიკური პროცესი რამდენიმე დონეზე ვითარდება. პირველ ყოვლისა, სახელმწიფო დონეზე – სამთავრობო და საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის სახელმწიფოს შიგნით. მეორე დონე, მთავრობათაშორისი – წარმოადგენს ურთიერთქმედებას სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებს შორის. მესამე, ზეეროვნული – მოიცავს რამდენიმე სახის ურთიერთქმედებებს: ზედეროვნულ (როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო) ინსტიტუტებს შორის და სახელმწიფო ორგანოებსა თუ

საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის. გარდა ამისა, ურთიერთ-ქმედებების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენენ ტრანსეროვნულ დონეზე არსებული კავშირები სხვადასხვა სახელმწიფოთა საზოგა-დოებრივ ორგანიზაციებს შორის: „ტრანსეროვნული მმართველო-ბის ინსტიტუტებს და მექანიზმებს აქვთ პრეტენზია იმისა, რომ შეავსებენ განხეთქილებას მსოფლიოს მზარდ ურთიერთდამოკი-დებულებასა და მის არასაკმარის მართვადობას შორის“ [24. 12]. ეს მსოფლიო პოლიტიკაზე საერთაშორისო საზოგადოებრივი სტრუქ-ტურების მზარდ გავლენაზე მეტყველებს, რაც უფრო მჭიდრო თა-ნამშრომლობას და გლობალური მსოფლიო საზოგადოების თანდა-თანობით ფორმირებას ნიშნავს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრე-ბულ ყურადღებას იმსახურებს ჯ. როზენაუს კონცეფცია, სადაც აღ-ნიშნულია, ერთის მხრივ, მსოფლიოს უნივერსალიზაციის ტენდენ-ცია, ხოლო მეორე მხრივ, ტენდენცია მისი ფრაგმენტაციისადმი. ამერიკელი პოლიტოლოგის აზრით, ურთიერთობები თანამედრო-ვე მსოფლიოში ცენტრისკენული ძალებით (გლობალიზაციით და ინტეგრაციით) და მათ პარალელურად მოქმედი ცენტრიდანული ძალებით (სახელმწიფოთა ფრაგმენტაციით და რეგიონალიზა-ციით) – ან „ფრაგმენტატიულობით“ [25:99-118] ხასიათდება. ჩვენ გვესახება, რომ სწორედ ასეთ კონტექსტში შეიძლება ასევე გლო-ბალიზაციის პროცესების პირობებში ინტეგრაციის ახალი ფორმის შემოთავაზებული მოდელის – **„ინტეგრაციული ურთიერთქმედე-ბების კონგლომერაციული მოდელის“** განხილვა, რომელიც თავის თავში როგორც „ზემოდან“, ისე „ქვემოდან“ ინტეგრაციის მექანიზ-მებს ითავსებს. ასეთი ურთიერთქმედებების შედეგად ნავარაუ-დევია გარკვეული დამოუკიდებელი მთლიანის შექმნა, რომელსაც არა აქვს მკვეთრი რომელიმე გარკვეულ ტერიტორიასთან – გლო-ბალური რეგიონებისა, რომლებიც უფრო ვრცლად შემდგომში იქნება განხილული. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერ-თობების სისტემის განსაზღვრისადმი კლასიკური მიდგომები, რომელთა ელემენტებად უკლებლივ ეროვნული სახელმწიფოები

გამოდიან, კარგავენ თავის პრაქტიკულ მნიშვნელობას. ასეთი ინტეგრაციული საზოგადოების მონაწილეები უკვე არა ტერიტორიით, არამედ საერთო პრობლემებით და მათი გადაჭრისადმი მიდგომებითაა გაერთიანებული.

ამრიგად, განვიხილეთ რა ცნება „ინტეგრაციის“ ევოლუცია, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ ნაშრომში მართლზომიერია გამოვიყენოთ ცნება „საერთაშორისო ინტეგრაცია“. დღესდღეობით ეს ცნება საერთაშორისო ურთიერთობების და მსოფლიო პოლიტიკის ენის განუყოფელი ნაწილი გახდა. ინტეგრაცია წარმოადგენს ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში სახელმწიფოთა ინტეგრაციის ინსტრუმენტს, რომლის მიზანია ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფა და სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი კონფლიქტების თავიდან აცილება ან ძალისმიერი მეთოდების გამოყენების გარეშე მოგვარება. ასეთი კოოპერაციის შედეგად ახალი ერთიანი რეგიონული საზოგადოება ან რეგიონული ურთიერთობების ქვესისტემა ფორმირდება.

„საერთაშორისო ინტეგრაციის“ ცნების განხილვის შეჯამებისას მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ მისი შინაარსობრივი შევსების შემდეგ თავისებურებებს:

- ინდუსტრიული საზოგადოების პერიოდში ინტეგრაციის მთავარი აზრი ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკური ინტერესებით განისაზღვრებოდა, რომლებიც დაახლოებაზე მიდიოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ინტერესების მხედველობაში მიღებით და ურთიერთქმედების ტერიტორიულ პრინციპზე დაყრდნობით;
- პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირობებში ინტეგრაცია ზედეროვ-ნული მმართველობის ახალი რეგიონული ფორმებისა და ინსტიტუტების შექმნის ინსტრუმენტად იქცევა;
- XXI საუკუნის დასაწყისში ინტეგრაციის პროცესი არა მარტო ეკონომიკის ტრადიციულ სფეროს მოიცავს, არამედ საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროს, რაც გვაძლევს საფუ-

ძველს მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების ფენომენზე ვისაუბროთ;

➢ „ზედეროვნულობის“ ფენომენი უნდა განიხილებოდეს როგორც თანა-მედროვე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების ერთ-ერთი ფუძემდებლური კომპონენტი, რაც მსოფლიო სოციუმის განვითარებაში ახალი სტადიის მახასიათებელს წარმოადგენს.

განიხილა რა „საერთაშორისო ინტეგრაციის“ ფენომენის კვლევისადმი ძირითადი თეორიული მიდგომები, ნაშრომის ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ ყველა მიმართულება საერთაშორისო ინტეგრაციის ფენომენს როგორც საერთაშორისო პროცესების აქტორთა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მაღალ საფეხურს განსაზვრავს, რაც თავის გამოხატულებას მმართველობითი ფუნქციების გადანაწილებაში პოულობს ყველასათვის აქტუალური პრობლემების ეფექტიანი გადაჭრის მიზნით. ყველა მიმართულების წარმომადგენლები თანახმა არიან იმაში, რომ ინტეგრაციის პროცესი თანამედროვე მსოფლიო განვითარების ობიექტური და კანონზომიერი ტრენდია, წარმოადგენს რა რეგიონული და თუნდაც გლობალური მართვის ეფექტიან და მოთხოვნად ინსტრუმენტს. განსხვავებები კი ძირითადად გაერთიანების ხერხებისა და ურთიერთქმედების ფორმების სხვადასხვა გაგებაში და ხედვაში, და ასევე რეგიონული ინტეგრაციის პროცესში ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების როლში მდგომარეობს. ნაშრომის ავტორი ემხრობა იმ პოზიციას, რომ პოლიტიკური ინტეგრაცია ბევრად ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში ინტეგრაციის მონაწილეთა ურთიერთქმედებათა ეფექტიანობით განისაზღვრება.

რეგიონალიზმი და რეგიონალიზაცია მსოფლიო პოლიტიკაში

საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესი რეგიონული ინტეგრაციული სტრუქტურების შექმნას ვარაუდობს, რასთან დაკავშირე-

ბით ჩნდება ამ პროცესისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ცნებების განსაზღვრის აუცილებლობა, როგორიცაა „რეგიონალიზმი“ და „რეგიონალიზაცია“, ასევე თანამედროვე თეორიასა და მსოფლიო პოლიტიკურ პრაქტიკაში მათი შეფარდებების განსაზღვრის აუცილებლობა.

როგორც თავის ნაშრომში „რეგიონალიზაცია გლობალიზირებად მსოფლიოში“ [26. 5]. მკვლევარები მ. შულცი, ფ. სედერბაუმი და ი. ოჟენდალი აღნიშნავენ, რეგიონალიზმი წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ფენომენს, თუმცაღა 1930-იანი წლების პროტექციონისტული ტენდენციები ზოგჯერ როგორც რეგიონალიზმის „პირველი ტალღა“ განიხილება. ომისშემდგომ პერიოდში რეგიონული ინტეგრაციის იდეური წყარო კლასიკური ფედერალიზმი და ფუნქციონალიზმი იყო. მ. შულცის, ფ. სედერბაუმისა და ი. ოჟენდალის აზრით, 1950-1960 წწ. პერიოდში რეგიონალიზმი როგორც უსაფრთხოების, მშვიდობის, განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი სტრატეგია განიხილებოდა. ამასთან ეკონომიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლები ემხრობოდნენ იმას, რომ ფენომენის არსი თავისუფალი ვაჭრობისა და საბაჟო კავშირების სქემების შექმნამდე დაეყვანათ, მაშინ როდესაც პოლიტოლოგთა უმეტესობა ცდილობდა ზედეროვნულობის ფენომენის დასაბუთებას ინტეგრაციის და რეგიონების წარმოქმნის პროცესში. 1950-იანი წლების დასასრულისთვის, როდესაც მსოფლიო საზოგადოებამ მოახერხა მიეღწია სტაბილურობის გარკვეული დონისთვის, მოთხოვნადი კ. დოიჩის კომუნი-კაციური მიდგომა გახდა, რომელიც 1990-იან წლებამდე დომინირებდა. ამავე დროს იბადება ნეოფუნქციონალიზმი, რომელიც ასევე სალიდერო პოზიციებს იკავებს 1960-იანი წლების მეორე ნახევრამდე. კერძოდ, ძლიერი კრიტიკის ქარცეცხლში ნეოფუნქციონალიზმის ძირითადი დებულებები ს. ჰოფმანის მიერ იქნა გატარებული, რომელიც პრიორიტეტს მთავრობათაშორის თანამშრომლობას ანიჭებდა. დაახლოებით 1970-

იანი წლებისთვის რეგიონული ინტეგრაციისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც იმასთან იყო დაკავშირებული, რომ თანდათან აშკარა გახდა სხვადასხვა სახის შეზღუდვების დიდი ოდენობის არსებობა რეგიონული ხასიათის ინტეგრაციული გაერთიანებების შექმნისას. პირველ რიგში, კრიზისი ევროპულ ინტეგრაციას შეეხო, რომელსაც იმ პერიოდში ისეთი ტერმინები მოსდევდა თან, როგორიცაა „ევროსკლეროზი", „ევრო-სკეპტიციზმი", „ევროპესიმიზმი" და ა.შ. მაგრამ ეეთ-სა და მსოფლიო არსებული საქმეთა ვითარება" შეიძლება დახასიათებულიყო უფრო როგორც კრიზისი და ამავდროულად საერთაშორისო სისტემის, როგორც ასეთის, ტრანსფორმაცია. შედეგად ამ პერიოდში მკვლევართა ინტერესი უფრო არა რეგიონული, არამედ გლობალური ურთიერთდაკავშირებულობისკენ გადაიხარა. ინტეგრაციის ახალი „ტალღა" 1980-იანი წლების შუაგულის პერიოდში მოხდა, და ამ პერიოდში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების ახსნა „უკვე შეუძლებელი იყო სახელმწიფოთაშორისო მიდგომის პოზიციებიდან, ე.ი. ზედეროვნულობის ფენომენი ინსტიტუტების მუშაობაში უკვე სახეზე იყო" [27. 29], რამაც გამოიწვია ნეოფუნქციონალისტების იდეების აღორძინება. დღეს კი რეგიონალიზმის ფენომენის კვლევების გარკვეული „რენესანსი" შეინიშნება, მაგრამ, რაც მნიშვნელოვანია აღინიშნოს, აბსოლუტურად ახალ საფუძვლებზე.

რეგიონალიზმი: ძველიდან „ახლისკენ"

რეგიონალიზმის ფენომენი წარმოადგენს „იდეების, ღირებულებების და კონკრეტული მიზნების ერთიანობას, რომელიც მიმართულია მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, რეგიონში მშვიდობისა და განვითარების შექმნაზე, მხარდაჭერაზე ან უზრუნველყოფის ხარისხის გაზრდაზე, ე.ი. მისწრაფებაზე სხვადასხვა აქტორთა მონაწილეობით მოხდეს ამა თუ იმ რეგიონული სივრცის რეორგანიზება" [28. 10]. სხვა სიტყვებით, რეგიონალიზმი

ფართო გაგებით წარმოადგენს რეგიონული სივრცის რეორგანიზაციის სტრატეგიას რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დონის ამაღლების მიზნით.

ამრიგად, „დაბრუნება“ რეგიონალიზმთან უდავოდ თანამედროვე მსოფლიო განვითარების უმნიშნელოვანეს ტრენდს წარმოადგენს. რეგიონალიზმის ამჟამინდელი ტალღა ე.წ. „ახალ რეგიონალიზმს“ განეკუთვნება, რომელიც ინტეგრაციული პროცესების ინტენსიურობით და ფორმებისა და მონაწილეთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, როგორც აღნიშნავს რუსი მკვლევარი ე.ა. მატვეევა, თანამედროვე რეგიონულ კვლევებში არ არის ერთმნიშვნელოვანი თანხმობა რეგიონული პროცესების ისტორიულ განვითარებაში ეტაპების განსაზღვრის მხრივ. ასე მაგალითად, უცხოური მკვლევარი ლ. ვან ლანგენჰოვე რეგიონალიზმის სამ თაობას გამოყოფს:

- ეკონომიკური რეგიონალიზმი (რომელიც თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნაზეა დაფუძნებული, რომელიც შემდგომ გარდაიქმნება საბაჟო კავშირად, საერთო ბაზრად და, ბოლოს, ეკონომიკურ კავშირად);
- ახალი რეგიონალიზმი (რომელიც პოლიტიკურ და სოციალურ ასპექტებში ინტეგრაციას ვარაუდობს);
- მესამე თაობის რეგიონალიზმი (რომელიც საგარეოპოლიტიკური დოქტრინების ინტეგრაციის და, შესაბამისად, რეგიონთაშორისი კავშირების განვითარების შესაძლებლობას ქმნის).

თავის მხრივ, მ. დოიჯმა რეგიონალიზმის განვითარების ისტორია ასევე სამ ფაზად დაყო:

- „იმპერიული რეგიონალიზმი“ (1920-1930წწ.);
- „დახურული რეგიონალიზმი“ (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 70-იანი წლების შუაგულამდე);
- „ღია რეგიონალიზმი“ (1980-იანების ბოლოდან).

უცხოელი მკვლევარის აზრით, ბოლო ორი ტიპი ასევე როგორც

„ძველი“ და „ახალი“ რეგიონალიზმის პერიოდები ხასიათდება.

თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში საბოლოო ჯამში ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბდა წარმოდგენა რეგიონალიზმეზის ისეთი ტიპების შესახებ, როგორიცაა „ახალი“ და „ძველი“, „ღია“ და „დახურული“.

„ძველი რეგიონალიზმის“ შესწავლა დაიწყო XX საუკუნის შუა წლებში და მოცემული მიდგომა დაახლოებით 1980-იანების შუაგულამდე დომინირებდა. მოცემული მიდგომის შესაბამისად რეგიონული კვლევების საკვანძო კატეგორიაა – „რეგიონი“ მოიაზრებოდა როგორც ახლომდებარე ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც მსოფლიოს ცალკე ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ან ეროვნული შემადგენლობითა და კულტურის ახლო, ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობით ერთტიპურ რაიონს წარმოადგენენ [29. 83-89] ამრიგად, „ძველი“ რეგიონალიზმი ცივი ომის ბიპოლარული კონტექსტის პირობებში ჩამოყალიბდა, როდესაც რეგიონის ფორმირება მხოლოდ და მხოლოდ „ზემოდან“ ხდებოდა, სახელმწიფოთა წამყვანი როლის პირობებში. ცივი ომის დასრულებამ, „ძალის ახალი ცენტრების“ გაჩენამ და წონის თანდათანობით გაძლიერებამ (მაგალითად, ეკ, NAFTA, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის, როგორც მისი წარმატებული ეკონომიკური განვითარების შედეგმა), და ასევე მესამე სამყაროს ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების სტრატეგიათა ხელახალმა შეფასებამ უფრო დეცენტრალიზებული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის წარმოშობა გამოიწვიეს. თავის მხრივ, ამან დაასტიმულირა რეგიონების ავტონომიის განვითარება და ისინი მსოფლიო პოლიტიკის წამყვან სუბიექტად აქცია. რეგიონული პროცესები ასევე ტრანსნაციონალიზაციის, გლობალიზაციის, დემოკრატიზაციისა და ინფორმატიზაციის პროცესებით, საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის მხრივ მრავალი ქვეყნის ახალი პოზიციით იყო გაძლიერებული. სწორედ ამან ჩამოაყალიბა ახალი მიდგომა კვლევებისადმი – „ახალი რეგიო-ნალიზმი“.

როგორც რეგიონალიზმის ახალი ფორმების შექმნის, ისე

ტრანსეროვნული დაჯგუფებების რიცხვის ზრდის ტენდენციამ გამოიწვია ტერმინ „ახალი რეგიონალიზმის“ გამოჩენა, რომელიც რეგიონალიზმის ახალ ტალღას წარმოადგენს, რომელმაც სტარტი დაახლოებით 1980-იანებში აიღო. ითვლება, რომ მოცემული ტერმინი ე. ხარელის მიერ იქნა შემოღებული. „ახალი რეგიონალიზმი“ ესაა „მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის გამოხატულება, ინტეგრაციული ფენომენი, რომელიც მთელ მსოფლიოში განვითარდა, რომლის შინაარსია ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, პოზიტიური ინტეგრაციის (ე.ი. პოლიტიკური მონაწილეობის) მეტი წონა, კულტურული და კომუნიკაციური ჰომოგენურობა (რეგიონალიზაციის უფრო მაღალი ხარისხი), რამაც საბოლოო ჯამში შეიძლება რეგიონული იდენტურობის ფორმირება გამოიწვიოს. „რეგიონული იდენტურობის“ ფორმირება, რუსი მკვლევარის ა. პოპოვიჩის აზრით, რეგიონული ინტეგრაციის უმაღლეს ხარისხს წარმოადგენს.

მ. შულცის, ფ. სედერბაუმის და ი. ოჟენდალის აზრით, პრინციპულად მნიშვნელოვანია „ახალი“ რეგიონალიზმის შინაარსის (content) ცვლილება. ასე მაგალითად, „ძველი“ რეგიონალიზმისგან განსხვავებით, რომელიც მეტწილად გარედან წამყვანი ზესახელმწიფოების მიერ იყო თავს მოხვეული (ჰეგემონისტური რეგიონალიზმი), „ახალი“ წარმოადგენს სპონტანურ პროცესს, რომელიც მიმართულია „ქვემოდან“ და რეგიონული სივრცის „შიგნით“. უფრო მეტიც, მკვლევართა აზრით, „ახალი“ რეგიონალიზმი წარმოადგენს კომპლექსურ და მრავალასპექტიან ფენომენს, „ძველის“ საწინააღმდეგოდ, რომელსაც კონკრეტული მიზნები და ამოცანები ჰქონდა (თავისუფალი ვაჭრობის ზონის ან რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ალიანსის შექმნა).

ამრიგად, „ახალი“ რეგიონალიზმი წარმოადგენს მსოფლიო სისტემის ტრანსფორმაციის თანამედროვე პროცესის უმნიშნელოვანეს ნაწილს, რის შედეგად ფორმირდება მრავალდონიანი მმართველობის რთული სისტემა, რომელიც თავის თავში ვერტიკალურ

და ჰორიზონტალურ ურთიერთქმედებებს მოიცავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Matti, W. The Logic of Regional Integration: Europe and beyond. / W. Matti. - Cambridge University Press, 1999.
2. Machlup, F. A History of Thought on Economic Integration. / F. Machlup - London: Macmillan, 1977.
3. Стрежнева, М.В. Интеграция и вовлечение как инструменты глобального управления. / Современная мировая политика: прикладной анализ / под ред. А.Д. Богатурова. - М.: Аспект Пресс, 2009.
4. Шишков, Ю.В. Интеграционные процессы на пороге XXI века. Почему не интегрируются страны СНГ. / Ю.В.Шишков. - М.: НП «III Тысячелетие», 2001.
5. Рикардо, Д. Начала политической экономии и налогового обложения. / Вехи экономической мысли. Под ред. А.П.Киреева. - М.:ТЕИС, 2006.
6. Лист, Ф. Национальная система политической экономии. [Электронный ресурс] – Режим доступа: http://royallib.com/read/list_fridrih/natsionalnaya_sistema_politicheskoy_ekonomii.html#0
7. Tinbergen, J. International Economic Integration. / J. Tinbergen. - Amsterdam: Elsevier, 1954.
8. Balassa, B.A. The theory of economic integration. / B. A. Balassa. - London Allen and Unwin. - 1961.
9. Schiff, M., Winters, L.A. Regional Integration and Development. / The International Bank for Reconstruction and Development. The World Bank and Oxford University Press. - 2003. - P.1-6; World Bank Development Report 2009: Reshaping Economic Geography. P.xxiii. [Электронный ресурс] – Режим доступа: http://www-

wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/WDSP/IB/2008/12/03/000333038_20081203234958/Rendered/PDF/437380REVISED01BLIC1097808213760720.pdf
10. Deichmann, U., Gill, J. The Economic Geography of Regional Integration. / U. Deichmann, J. Gill, // Finance and Development. A quarterly magazine of the IMF. - December 2008. - Volume 45. - Number 4. [Электронный ресурс] – Режим доступа: http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2008/12/deichmann.htm
11. Kelsen, H. Allgemeine Staatslehre. / H. Kelsen. - Berlin: J. Springer, 1925.
12. Baume, S. Hans Kelsen and the Case for Democracy. / S.Baume. - Colchester: ECPR Press, 2012.
13. Rosamond, B. Theories of European Integration. / B. Rosamond. – L., 2000.
14. Практика зарубежного регионоведения и мировой политики / под ред. А.Д.Воскресенского. - М.: Магистр: ИНФРА-М, 2015. - С.225
15. Euro-Politics: Institutions and Policy Making in the European Community / Ed. by A.M. Sbargia. - L., 1992.
16. Асанбеков, М.К. Общие теории интеграционных процессов. 13.08.2014. / Время ВОСТОКА. [Электронный ресурс] – Режим доступа: http://easttime.ru/analytics/tsentralnaya-aziya/obshchie-teorii-integratsiigratsionnykh-protsessakh/7903#sdendnote3sym
17. Современные теории международных отношений. Под ред. В.Н. Конышева, А.А. Сергунина. - М.:РГ-Пресс, 2013.
18. Haas, E. B. The Uniting of Europe: Political, Social and Economic Forces, 1950-1957. / E.B. Haas. - Stanford: Stanford University Press, 1958.
19. Современные теории международных отношений. Под ред. В.Н. Конышева, А.А. Сергунина. - М.:РГ-Пресс, 2013.
20. Moravcsik, A. Preferences and Power in the EU: a Liberal

Intergovernmentalist Approach. / A. Moravcsik. // Journal of Common Market Studies. - Vol.31. - #4. - 1993.
21. Лепешков, Ю.А. Интеграция в рамках Европейского Союза: некоторые вопросы теории. [Электронный ресурс] – Режим доступа: http://www.humanities.edu.ru
22. Овчаренко, Н.Е. Модели современных интеграционных процессов. // XServer.ru. [Электронный ресурс] – Режим доступа: http://www.xserver.ru/user/msipr/
23. Мировая экономика и международные экономические отношения: М64 [в 2 ч.] Ч. 2. / под ред. чл.-корр. РАН, д-ра экон. наук, проф. Р. И. Хасбулатова. — М.: Гардарики, 2006.
24. Транснациональные политические пространства: явление и практика / отв. ред. М.В.Стрежнева. - М.: Изд-во «Весь мир», 2011.
25. Rosenau, J. Along the Domestic-Foreign frontier. Exploring Governance in a Turbulent World. / J. Rosenau. - Cambridge, 1997.
26. Schulz, M., Söderbaum, F. and Öjendal, J.Regionalization in a globalizing world : a comparative perspective on forms, actors, and processes. / M.Schulz, F. Söderbaum. and J. Öjendal. - Zed Books Limited, New York, 2001.
27. Хохлов, И.И., Сидорова, Е.А. Наднациональность в политике Европейского Союза. / И.И.Хохлов, Е.А.Сидорова. - М.: Международные отношения, 2014.
28. Schulz, M., Söderbaum, F. and Öjendal, J.Regionalization in a globalizing world: a comparative perspective on forms, actors, and processes. / M.Schulz, F. Söderbaum. and J. Öjendal. - Zed Books Limited, New York, 2001.
29. Мурадян, А.А. Регионализм как проблема политологии. / А.А.Мурадян. // Вестник Московского университета. Серия 18. Социология и политология. - 1995.

ჰენრი კუპრაშვილი, გიორგი კალანდაძე,
ნინო ოდიშელიძე

საერთაშორისო კიბერტერორიზმი და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგია

ნაწილი I

(პროექტი წარმოადგენს დიდი კომპლექსური კვლევის ნაწილს)

შ ე ს ა ვ ა ლ ი

აღნიშნული პრობლემის აქტუალურობა განპირობებულია საინფორმაციო-საკომუნიკაციო და კიბერტექნოლოგიების წარმოუდგენლად არნახული განვითარების ფონზე კიბერთავდასხმების განუსაზღვრელი მასშტაბების შეუქცევადი პროცესებით, რომელიც მთელი მსოფლიოს წინაშე აყენებს უშიშროების უზრუნველყოფის ზომების გაძლიერების აუცილებლობას. კაცობრიობისათვის საფრთხეების მასშტაბები დღითიდღე განუზომლად იზრდება. ბოლო უძლიერსმა კიბერშეტევამ მოიცვა 200-მდე ქვეყანა, აღირიცხა 200 ათასზე მეტი დაზარალებული. ევროპოლის მეთაური ***რობ უეინრაიტიც*** (Rob Wainwright) კი იძულებული გახდა ბრიტანულ ტელეარხ ITV-ზე ეღიარებინა: „ჩვენ არასდროს გვინახავს ამგვარი რამ“ [7]. როგორც ევროკავშირის ევროკომისარმა უშიშროების საკითხებში ***ჯულიან კინგმა*** (Julian King) განაცხადა, ევროკომისიამ დაუყონებლივ უნდა გადახედოს კიბერუშიშროების შესახებ ევროკავშირის სტრატეგიას, საჭიროა ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობის ყოველმხრივ ინტენსიფიცირება, შესაბამისად კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოების გასაძლიერებლად ევროკავშირი დამატებით გამოყოფს 11 მილიონ ევროს, კიბერდანაშაულის ევროპული ცენტრი კი ევროპოლის მიერ (ევროპის პოლიციის სამსახური) აღიჭურვება უახლესი საექსპერტიზო დანადგარებით [8]. უდავოდ მისასალმებელია თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, შეიარაღებულ ძალებში 2019 წელი **კიბერუშიშროების წლად ცხადდება** [9].

დაწყებული მე-20 საუკუნის მეორე ნახევარიდან სამხედრო კონფლიქტების კლასიკურ სახეებს თანდათან ენაცვლება სახელმწიფოთა დაპირისპირების ახალი ფორმები. ყველაზე ხშირად ამ დაპირისპირებების მიმართ იყენებენ დეფინიციას „ომი“. საუბარია ინფორმაციული, ეკონომიკური, დიპლომატიური, ჰიბრიდული, ფსიქოლოგიური და სხვ. ომების შესახებ. ამჯერად ჩვენი ინტერე-

სის საგანია ინფორმაციული ომის ნაირსახეობა კიბერომი, კერძოდ, კიბერტერორიზმი.

საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ინფორმაციული სივრცის უშიშროება და ელექტრონული ინფორმაციის დაცულობა. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად პირდაპირპროპორციულად იზრდება მათზე სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დამოკიდებულება და ურთიერთკავშირი. ამის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კიბერტერორიზმთან ბრძოლას და კიბერსივრცეში მოსალოდნელი კიბერშეტევებისაგან თავდაცვას. ამავე დროს, კიბერუშიშროების უზრუნველყოფა უკვე იქცა საგარეო პოლიტიკის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად და სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობების საკითხში. საქართველოს ამ მხრივაც ბევრი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი.

ინფორმაციულ ეპოქამდელი და თანამედროვე ომების თავისებურებანი

ამერიკელ პოლიტოლოგს, სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორი ***კონვეი ჰენდერსონი*** (Conway W. Henderson) აღნიშნავს: „ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3500 წლიდან მე-20 საუკუნის ბოლომდე ადგილი ჰქონდა 14500 ომს, რომელმაც 3,5 მილიარდი ადამიანი შეიწირა, კაცობრიობამ მშვიდობიანად მხოლოდ 300 წელი იცხოვრა“ [1, 2]. მას თუ დავუჯერებთ, კაცობრიობის ისტორია ეს ომების ისტორიაა.

ჩიკაგოს ილინოისის პროფესორი, არქეოლოგი, ***ლოურენს კილი*** (Lawrence H Keeley) კლასიკად ქცეულ საკუთარ წიგნში „ცივილიზაციამდელი ომი“ თვლის, რომ პირველი ომის ნაკვალევი გვხვდება 14 ათასი წლის წინანდელ, მეზოლითის ხანის სასაფლაოს ტერიტორიაზე, სადაც ჩონჩხების 45%-ს აღენიშნება ძალადობრივი ზემოქმედების კვალი [3]. ხოლო, თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი, ეროვნული უშიშროების კურსის ხელმძღვანელი, ავტორი წიგნისა „ომი ადამიანთა ცივილიზაციაში“, ***აზარ გათი*** (Azar Gat) აღნიშნავს, რომ მიახლოებით 5 ათასი წლის წინათ, სახელმწიფოების წარმოქმნიდან დაწყებული, ომებმა მოიცვა დედამიწის უმეტესი ნაწილი [4].

ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივ დონეზე ორგანიზებული ომი, როდესაც ერთი საზოგადოება მეორეს დაუპირისპირდა, საკვებწარმოებითი რევოლუციის (ნეოლითური ხანა) შედეგად აღმოცენებული მოვლენა უნდა ყოფილიყო, რასაც ალბათ დიდწილად განაპირობებდა ამ რევოლუციის შედეგად შექმნილი, სწორედ, ნამატი პროდუქტის მიტაცების სურვილი. არსებული არქეოლოგიური გათხრების მიხედვით ომის (ბრძოლა ტერიტორიების, საკუთრებისა და ქალებისათვის) პირველი ნაკვალევი ძველ ახლო აღმოსავლეთში გვხვდება.

სამხედრო ისტორიკოსების აზრით, არ არის შემთხვევითი, რომ იმ ქვეყნებში (შუმერი, ეგვიპტე), სადაც მიწათმოქმედებამ და მესაქონლეობამ ყველაზე ადრე მიაღწია განსაკუთრებულ მასშტაბებს, კაცობრიობის ისტორიაში პირველად მოხდა კარგად ორგანიზებული არმიების ჩამოყალიბება. მაგალითად, შუამდინარეთის ქალაქ სახელმწიფოებს დაახლოებით 5000-10000 მეომრისაგან შემდგარი ლაშქრის გამოყვანა შეეძლოთ. მებრძოლები შეიარაღებული იყვნენ სპილენძის (უფრო გვიან ბრინჯაოს) იარაღებით, მშვილდისრებით, შუბებითა და ცულებით. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან აქ (ასევე, ეგვიპტეშიც), იარაღის შემადგენლობაში თანდათანობით მატულობდა ბრინჯაოსაგან დამზადებული, მაღალი ხარისხის, სულ უფრო დახვეწილი სახეობის ნაკეთობები. იმ დროს, შუმერთა ქვეითი ჯარი შეიარაღებული იყო შუბებითა და სატყორცნი ხელშუბებით, მახვილებითა და სატევრებით, საბრძოლო ცულებითა და კვერთხებით. ყველაზე ფართოდ გავრცელებულ იარაღს მთელ ძველ აღმოსავლეთში წარმოადგენდა მშვილდისარი და შუბი, რომლითაც იყო შეიარაღებული ქვეითი ჯარი მესოპოტამიაშიც, ეგვიპტეშიც და ჩინეთშიც.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ახლო აღმოსავლეთის სამხედრო საქმეში ჩნდება ტექნოლოგიური სიახლე – ცხენებიანი, მსუბუქი საბრძოლო ეტლი. ეტლში მოთავსებული იყო: შუბი, მახვილი, სატევარი, კვერთხი და მშვილდ-ისარი. ეტლები თავისი ეფექტურობით ბრინჯაოს ხანის ტანკებს წარმოადგენდნენ. მათმა გამოყენებამ უმაღლეს დონეს მიაღწია კადეშის ბრძოლის დროს (ძვ. წ. 1274 წ.), როდესაც ბრძოლის ველზე ორივე მებრძოლი მხრიდან 6000-მდე ეტლს უნდა მიეღო მონაწილეობა.

შემდგომ დენთის გაჩენამ და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ კი ინდუსტრიული ეპოქის ომებამდე მიგვიყვანა. განსაკუთრებით გამოირჩევა გამანადგურებელი გლობალური ომებით მე-20 საუკუნე. პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918) 9 მილიონამდე

ადამიანი შეიწირა, ხოლო ყველაზე მასშტაბურმა და სისხლისმღვრელმა მეორე მსოფლიო ომმა (1939-1945) კი – 60 მილიონზე მეტი.

პირველი მსოფლიო ომისათვის დამახასიათებელი იყო ძველი ტიპის ომის ბატალიები, შეიარაღებული ადამიანების შებმა-შეტაკებები, ცხენოსანი ჯარის გამოყენება, მეტად უმნიშვნელო როლს ასრულებდა ტანკები და თვითმფრინავები.

მეორე მსოფლიო ომში გადამწყვეტ როლს თამაშობდა ტექნიკა – ტანკები, თვითფრინავები, არტილერია. **მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა პროპაგანდას, მოწინააღმდეგეზე იდეოლოგიურ ზემოქმედებას**. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციული ეპოქის დადგომამდე ტრადიციული ომის გაგება არ გაცილებია ათასობით წლის წინათ ჩამოყალიბებულ სტანდარტებს მისი შინაარსის, ჯარისკაცების, ბრძოლის ველის და იარაღის შესახებ.

ინფორმაციული ეპოქის პირმშოა ინფორმაციული ომი, რომელსაც საფუძვლად უდევს ახალი ეპოქის – ინფორმაციული ეპოქის შინაარსის გამომხატველი, კაცობრიობის განვითარების სრულიად ახალი სტრატეგიული რესურსი – **ინფორმაცია**. ინფორმაციულ ეპოქაში **არსებითად** იცვლება ომის ხასიათი და შინაარსი, მისი წარმოების წესი. სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კი იმდენად შეიცვლება, რომ ძალიან ცოტა რამ ექნება მას საერთო ომის ტრადიციულ გაგებასთან. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, თანამედროვე ეპოქის შინაარსის განმსაზღვრელი ფაქტორი _ „ინფორმაცია“, არის თანამედროვე ომების შინაარსის განმსაზღვრელიც, საფუძველიც და ამოსავალიც. ტერმინი როგორი სახეცვლილებითაც არ უნდა მოგვევლინოს, ფართო გაგებით, მისი მთავარი განმსაზღვრელიდან გამომდინარე, მას ეწოდება ინფორმაციული ომი. ინფორმაციულმა ეპოქამ მოიტანა ეპოქის შესატყვისი ომი.

ამიტომ ამ ომისათვის რა ახალი მოდური სახელის შერქმევაც არ უნდა სცადოს ზოგიერთმა თანამედროვე მკვლევარმა, ეს მხოლოდ ახალი სახელების მოგონების მოდისათვის ხარკის გადახდა

იქნება და არა არსებითი შინაარსის გადმოცემა. მაგალითად, ზოგმა ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ მოიგონა, თითქოს მის შინაარსში რაიმე არსებითი სიახლე შეიტანა. განა ჰიბრიდულ ომს არ აწარმოებდა, მაგალითად, ***ჰიტლერი*** (Adolf Hitler; 1889-1945) და ***იოზეფ გებელსი*** (Joseph Goebbels; 1897-1945)? მაგრამ ის იყო ინდუსტრიული ეპოქის შესაბამისი შინაარსისა და მეთოდების. მაშინ როდესაც ინფორმაცია თანამედროვე გაგებით, რომელიც თანამედროვე ოპოქის საფუძველი ხდება, მხოლოდ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყებს ჩასახვას (რომლის სათავეებთან ***ნორბერტ ვინერი*** (Norbert Wiener; 1894-1964), ***კლოდ შენონი*** (Claude Elwood Shannon; 1916-2001) და სხვ. გენიოსები დგანან) და რასაც მოსდევს შემდგომ საინფომაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების არნახული განივითარება. სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ჰიბრიდული ომი უნდა ჩაითვალოს ინფორმაციული ომის (ფართო გაგების) ნაირსახეობად.

ასევეა, მაგალითად, ზოგიერთი ავტორის მიერ დიდის ამბით აპელირება ომის თაობების კონცეფციით. ***უილიამს ლინდმა*** (William S. Lind), პოლკოვნიკმა ***კეიტი ნაიტინგეილმა*** (Keith Nightengale), კაპიტანმა ***ჯონ შმიტმა*** (John F. Schmitt), პოლკოვნიკმა ***ჯოზეფ სუტონმა*** (Joseph W. Sutton) და ვიცე-პოლკოვნიკმა ***გარი ვილსონმა*** (Gary I. Wilson) 1989 წელს აშშ-ს სამხედრო ჟურნალში გამოაქვეყნეს სტატია „ომის სახეცვლილება: მეოთხე თაობაში“ [5]. გახმაურებული ომის ოთხი თაობების კონცეფციაც აქედან იღებს სათავეს. ავტორების მიერ დახასიათებული ომის ოთხი თაობის მოკლე შიანაარსი ასეთია.

პირველი თაობის ომი მიახლოებით მოიცავს 1648-1860 წ.წ. მას წინ უსწრებდა 1648 წელს დასრულებული 30-წლიანი ომის გაფორმება ვესტფალიის ხელშეკრულებებით, საერთაშორისო ურთერთობათა სისტემის ფუძემდებლური აქტით, რაც გულისმობდა: სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და პოლიტიკური თვითგამორკვევის ფუნდამენტურ უფლებას; სახელმწიფოთაშორის (ლეგიტიმუ-

რი) თანასწორობისა და ერთი სახელმწიფოს მიერ, მეორის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს.

სტატიის ავტორების აზრით, ესაა არაორგანიზებული ხელ-ჩართული ომიდან, ორგანიზებულ, დისციპლინირებულ ომზე გადასვლის პერიოდი. ამ დროს იყენებენ გაშლილ წყობას (რომლის დროსაც ჯარისკაცები, გვერდიგვერდ, ერთ გაშლილ ხაზად მოწყობილნი გადაადგილდებიან) და სალაშქრო კოლონას (ჯარების მოწყობა სიღრმეში ეშელონირებულ ერთ სალაშქრო კოლონად). ანუ პირველი თაობის ომის ძირითადი მახასიათებელი იყო, ორგანიზებული, გაშლილი წყობით გადაადგილდება, ბრძოლის ველზე. ამავე დროს, ამ პერიოდში შეიქმნა სამხედრო განმასხვავებელი ნიშნები, წოდებათა დიფერენცია, უნიფორმები, მისალმების ფორმა და სხვ. ამ თაობის ომებში, უმეტესწილად იყენებდნენ გლუვლულიან მუშკეტებს.

მეორე თაობის ომები ანუ ინდუსტრიული პერიოდის ომები მოიცავს პერიოდს აშშ-ის სამოქალაქო ომიდან მოყოლებული პირველი მსოფლიო ომის ჩათვლით. ამ თაობის ომის დაწყებას ავტორები უკავშირებენ ნაჭდევებიანი მუშკეტების და დასატენი იარაღების, ტყვიამფრქვევებისა და არტილერიის შექმნას, რაც საშუალებას იძლეოდა უფრო ზუსტად, უფრო შორ მანძილზე განადგურებულიყო სამიზნე. შედეგად, გაშლილ მწყობრში ჯარისკაცთა, მტრის მიმართულებით გადაადგილების პრაქტიკა, ძალიან სარისკო გახდა და მთავრდებოდა დიდი დანაკარგებით, ამიტომ დაიწყო ახალი საშუალებების ძებნა. აქცენტი კეთდება ჯარისკაცთა მცირე ჯგუფზე, ახალი ტექნოლოგიების მანევრულად და დამოუკიდებლად გამოყენებაზე. მაგალითად, ტყვიამფრქვევი საშუალებას აძლევდა დამოუკიდებლად ემოქმედა ჯარისკაცთა მცირე ჯგუფს. ცენტრალიზირებულად კონტროლირებადი საცეცხლე ძალა იყო ზედმიწევნით სინქრონიზებული. ყველა სახეობის ჯარებისთვის გამოიყენებოდა დეტალური გეგმები და ბრძანებები. მეთაურები

მკაცრად შეზღუდული იყვნენ და მეტწილად დამოკიდებული იყვნენ მათ ზემდგომებზე.

მესამე თაობის ომი დამყარებული იყო არა საცეცხლე ძალაზე, არამედ მისთვის დამახასიათებელი იყო: სისწრაფე, სიურპრიზი, ტაქტიკური მანევრები, ბლიცკრიგი და სხვ. იგი იყო მანევრირებადი და არა ხაზობრივი, ძირითადად დაკავშირებულია მანევრული ომების, ბლიცკრიგის განვითარებასთან. მესამე თაობის ომი, ფოკუსირებას ახდენს სისწრაფესა და მოულოდნელობაზე; მოწინააღმდეგის მეწინავე ჯარების გვერდის ავლაზე და მისი უკანა პოზიციებისთვის შეტევაზე. არსებითად, ეს იყო ხაზობრივი ომის დასასრული ტაქტიკურ დონეზე, როდესაც შეიარაღებული ძალები არ ცდილობდნენ, უბრალოდ ერთმანეთს პირისპირ შეხვედროდნენ და შემდეგ ებრძოლათ, არამედ, ის ცდილობდა მოწინააღმდეგისთვის გვერდის ავლას, სწრაფად მანევრირებას, მოწინააღმდეგისთვის დასწრებას და მსგავსი უპირატესობების მოპოვებას. ასევე, ამ თაობისთვის დამახასიათებელი იყო შედარებით დეცენტრალიზებული მართვა.

მეოთხე თაობის ომის დროს თანდათან იშლება და თითქმის შეუმჩნეველი ხდება ზღვარი ომსა და პოლიტიკას, ჯარისკაცსა და სამოქალაქო პირს, მშვიდობასა და კონფლიქტს, ბრძოლის ველსა და უშიშროების უზრუნველყოფას შორის. ფრონტის ხაზი, როგორც ასეთი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ამ თაობის ომში შეიმჩნევა პირველი თაობის ომამდელ პერიოდში არსებულ მდგომარეობაში ხელახლა დაბრუნების ტენდენციები, რადგან სახელმწიფო კარგავს ომზე მონოპოლიას. მეოთხე თაობის ომში სახელმწიფო შეიძლება აღარ წარმოადგენდეს მხარეს და მთელი მსოფლიოს მაშტაბით, მხარე იყოს ტერორისტული ორგანიზაცია, მაგალითად, ალ-ქაედა, ჰამასი, ჰესბოლა, თალიბანი და სხვ.

ავტორებმა ამ სტატიაში დაახასიათეს ომის ოთხი თაობა სტატიის გამოქვეყნების (1989) პერიოდისათვის ანუ, როდესაც ინდუსტრიული ეპოქა ისტორიას ბარდებოდა და იბადებოდა ინფორმა-

ციული ერა. აქედან გამომდინარე, მათთან სათანადოდ არ და ვერ აისახა ის არსებითი ფაქტორები, რამაც განაპირობა ახალი ეპოქის (ანუ როდესაც საზოგადოების განვითარების ძირითადი სტრატეგიული რესურსი არა ქვანახშირი და ფოლადია, არამედ უკვე ინფორმაციაა) შესაბამისად ომის არსებითი ტრანსფორმირება ინფორმაციულ ომად (ინფორმაცია თანამედროვე გაგებით ანუ დაფუძნებული ***ნორბერტ ვინერისა*** და ***კლოდ შენონის*** კონცეფციებზე). სადაც უკვე ომის შინაარს განსაზღვრავს, ინფორმაციის ფლობა-მანიპულირებისა და თანამედროვე საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები.

ინფორმაციულმა ეპოქამ შეცვალა ომის გაგების სტანდარტები. ინფორმაციულ ომში ჯარისკაცი და სარდალი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი პლანეტის ნებისმიერი მხარიდან, ბრძოლის ველი შეიძლება იყოს ყველგან და არსადაც, ყველაზე ეფექტურ იარაღად შეიძლება იქცეს კომპიუტერის კლავიატურაც კი.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ჩინელების, პოლკოვნიკ ***ქიაო ლიანგის*** (Qiao Liang) და სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკ ***ვანგ სიანგშუის*** (Wang Xiangsui), ომის ხელოვნების თანამედროვე კლასიკად ქცეული, 1999 წელს ჩინეთში დაბეჭდილი ნაშრომი „შეუზღუდავი ომი“ (ინგლისურ ენაზე გამოიცა 2002 წელს) [6]. მათ წამოაყენეს „შეუზღუდავი ომის“ (Unrestricted Warfare) კონცეფცია. მოგვცეს ომის 25 სახის (ჩვეულებრივი, დიპლომატიური, ტერორისტული, სადაზვერვო, ფინანსური, ქსელური, იურიდიული, ფსიქოლოგიური და სხვ.) სტრატეგიის საფუძვლიანი აღწერა და ჩამოაყალიბეს, ინფორმაციულ ეპოქაში, გამალებული გლობალიზაციის ხანაში, ომის შინაარსისა და ბუნების ახლებური ხედვა, მასში მიმდინარე ცვლილების საინტერესო გააზრება. მათი აზრით, არ არის აუცილებელი შეუზღუდავი ომი იყოს უკონტროლო და სასტიკი. მათი აზრით, ძალადობა უკვე აღარ არის ომის განმსაზღვრელი, მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. ახლა ომები მიმდინარეობს არამარტო ბრძოლის ველზე, არამედ მიმდინარეობს

თანაბრად ეკონომიკურ, ფინანსურ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ, ენერგეტიკულ, ფსიქოლოგიურ და სხვა სფეროებში.

მოკლედ, დღეისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების დონემ უკვე მთლიანად წაშალა ინფორმაციულ სივრცეში სახელმწიფოებს შორის საზღვრები და ინფორმაციული ომის სახით შექმნა უპრეცედენტო შესაძლებლობები, მოწინააღმდეგის დასამარცხებლად, ტრადიციული ძალადობრივი შემმუსვრელი საშუალებების გამოყენების გარეშე. ინფორმაციული ომის (საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი და კიბერომი) ზემოქმედების გამანადგურებელი სიძლიერე თანამედროვე პირობებში იმდენად დიდია, რომ კითხვის ქვეშ დგება არა მარტო დამარცხებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, არამედ მისი ხალხის, როგორც ნაციონალური ერთობის, თვით არსებობის ფაქტიც კი.

ინფორმაციული ომი და მისი ორი შემადგენელი: საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი, კიბერომი

ინფორმაციული ომი არის სოციუმის სუბიექტებს შორის ურთიერთდაპირისპირების პროცესში სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური და სხვა სისტემების ერთმანეთზე ღია ან ფარული, მიზანმიმართული ინფორმაციული ზემოქმედება სამხედრო, მატერიალურ, პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ სფეროებში გარკვეული უპირატესობის მოსაპოვებლად.

ინფორმაციულ ეპოქაში ინფორმაციული ომის შინაარსი და საბრძოლო არსენალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე. მე–20 საუკუნის მიჯნაზე მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი გახდა კიბერომი (აქ არ ვეხებით სხვა, ჯერჯერობით, არაპრიორიტეტულ ნაირსახეობებს: რადიოელექტრონული, ფსიქოტრონული და სხვ.). შესაბამისად, 21–ე საუკუნეში ტერმინი „ინფორმაციული ომი“

კომპლექსში გულისხმობს ორ **ძირითად** შემადგენელს: **საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ბრძოლას (ფართო გაგებით, ომს) და კიბერბრძოლას (ომს).** ეს მეორე ანუ კიბერბრძოლა (კიბერომი) პირმშოა ახალი ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის. მან კიდევ უფრო გაამდიდრა და სრულყოფილი გახადა თანამედროვე ინფორმაციული ომის წარმოება. **იმისათვის, რათა ადვილად განვასხვავოთ პირველი მეორისაგან, პირველს, უწოდებენ საინფორმაციო–ფსიქოლოგიურ ომს ანუ ძალიან მარტივად, რომ ვთქვათ, ესაა მასმედიის მიერ წარმოებული მიზანმიმართული პროპაგანდა და მეორეს უწოდებენ კიბერომს ანუ, ასევე მარტივად გადმოვცეთ, ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული შეტევები ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე**.

მაგალითად, 21-ე საუკუნემდე წარმოებული ინფორმაციული ომი გულისხმობდა, **ძირითადად**, საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომს. ამის ნათელი მაგალითია, ეგრეთ წოდებული, „ცივი ომის“ პერიოდი (1946-1991) ანუ ორ ზესახელმწიფოს (აშშ-ს და სსრკ-ს) და ორ მსოფლიო სისტემას (ორ სოციალურ–პოლიტიკურ ფორმაციას, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს) შორის საინფორმაციო–ფსიქოლოგიური ომი. ეს იყო **კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური მსოფლიო ინფორმაციული ომი**. ამ ომში საბჭოთა საბჭოთა კავშირი და მასთან ერთად სოციალისტური სისტემაც დამარცხდა, ცხადია, ეს განაპირობა სხვა ობიექტურმა ფაქტორებმაც (ეკონომიკურმა, იდეოლოგიურმა და სხვ.).

რაც შეეხება **კიბერომს**,[63] როგორც აღინიშნა, ინფორმაციული ომი, ძალიან მარტივად, რომ ვთქვათ, ერთის მხრივ, მედია საშუალებების მიერ წარმოებული პროპაგანდაა[64] და მეორეს მხრივ, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე შეტევები

---

[63] კიბერომის ცნების წარმოშობა განაპირობა კიბერსივრცეში ახალი ტექნოლოგიების შექმნამ, რაც თავისთან მოიცავს სახელმწიფოებისა და სხვა სუბიექტების მხრიდან ერთმანეთისთვის ინფრასტრუქტურის განადგურების და მაქსიმალური ზიანის მიყენებას.

[64] კონტექსტი: ჩვენ კარგები ვართ, ისინი - ცუდები!

ანუ ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული შეტევები საინ-ფორმაციო საშუალებებზე. ამ მეორეს, ანუ ასეთ ინტერნეტომს, კიბერომს (Cyberwarfare) უწოდებენ, რათა ადვილად განვასხვავოთ იგი პირველისაგან, ინფორმაციული პროპაგანდული ომისაგან.

ინფორმაციულ ეპოქაში ყველაზე დიდ სიმდიდრეს და სტრა-ტეგიული მნიშვნელობის რესურსს ინფორმაცია წარმოადგენს. შესაბამისად, ის, ვინც ინფორმაციას და სათანადო მანიპულირების საშუალებებს ფლობს, ფლობს ასევე ძალაუფლებასაც. ინფორმაცია თავისთავად არაფერია, თუ თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუ-ძნებული მისი გავრცელების ინსტრუმენტები და შესაბამისი ინფ-რასტრუქტურა არ განვითარდა. ახალი ტერმინი კიბერომი ახალ, ინფორმაციულ ეპოქაში გაჩნდა და უკვე მყარად დაიმკვიდრა ად-გილი სამეცნიერო თუ ადამიანების ყოველდღიურ სალაპარაკო ლექსიკონში. **კიბერომი** უახლესი თანამედროვე ტექნიკისა და ტექ-ნოლოგიების პირმშოა. როგორც ისტორია მოწმობს, ახალი ტექნო-ლოგიების განვითარებასთან ერთად ჩნდება და ვითარდება ომისა და ბრძოლის წარმოების სათანადო ტექნოლოგიებიც.

კიბერომის ეპოქაში შესვლამდე კაცობრიობამ სხვადასხვა სა-ხეობისა და მასშტაბის მრავალი ომი გადაიხადა და შესაბამისად უამრავი სისხლიც დაღვარა. ომების წარმოების კვალდაკვალ უმ-ჯობესდებოდა საბრძოლო იარაღიც. ცნობილი არქელოგები ***ტიმე ჰარტმუტი*** (Thieme Hartmut), ***რაინჰარდ მაიერი*** (Maier Reinhard), ***მიხაელ ბაალესი*** (Michael Baales), ***ოლაფ ჯიორისი*** (Olaf Jöris), ***დიტრიხ მანია*** (Dietrich Mania) საუბრობენ არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ 300 ათასი წლის წინათ დამზადებულ შუბებსა [11] და გერმანულ ქალაქ შიონგენთან 2012 წელს ნაპოვნ ისრის პირებზე. ყოველ შემთხვევაში, ადრე პალეოლითის ხანის ე.წ. შიონგენის შუბი ითვლება ადამიანის მიერ შექმნილ აქამდე ცნობილ ცივ იარაღებს შორის უძველესად [12].

საბრძოლო იარაღები თანდათან უმჯობესდებოდა და იხვეწე-ბოდა: კეტი, შურდული, ბუმერანგი, სატევარი, ნაჯახი, შუბი,

მშვილდისარი, ხმალი, არბალეტი, დამბაჩა, თოფი, პისტოლეტი, ხელყუმბარა, ავტომატი, ტყვიამფრქვევი, ზარბაზანი, ტანკი, რაკეტა, ლაზერული და ბირთვული იარაღი... გაუმჯობესდა იმდენად, რომ დღეს უკვე კომპიუტერის კლავიატურითაც გახდა შესაძლებელი, განუზომლად ბევრად უფრო მასშტაბური ზიანი მიაყენო მოწინააღმდეგეს.

კიბერსივრცეში, იგივე ინტერნეტში საომარი მოქმედებების წარმართვის, კიბერშეტევების ტაქტიკა მარტივად, რომ აიხსნას, შემდეგშია: ათასობით დაინფიცირებული კომპიუტერისგან შემდგარი ქსელი (ე.წ. ბოტნეტი – Botnet)[65] იწყებს ერთდროულად შეტევას რომელიმე სერვერზე. შეტევა ხდება ინფორმაციის პაკეტების თანამიმდევრული გაგზავნით, სერვერის გადატვირთვისა და გათიშვის მიზნით: DoS შეტევა.[66] კომპიუტერების ინფიცირების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ვირუსები, სახელწოდებით - ტროას ცხენები (ტროიანები). ამ ვირუსის მთავარი ფუნქციაა შეაღწიოს სისტემაში და მისცეს ვირუსის მფლობელს საშუალება, მართოს მოწინააღმდეგის კომპიუტერი.

მაგალითად, მტრულად განწყობილი ქვეყნების მთავრობების მიერ ინიცირებული კიბერთავდასხმა ხორციელდება როგორც სამთავრობო ქსელებზე, ასევე ელექტრომომარაგების, სატრანსპორტო ან ფიჭური სატელეფონო კომპანიების კომპიუტერულ სისტემებზე,

---

[65] ბოტნეტი - (ასევე ცნობილი როგორც ზომბების არმია) არის კომპიუტერების ჯგუფი რომელიც იმართება ერთი ან რამდენიმე ადამიანისგან. ბოტნეტის მეშვეობით შესაძლებელია, მაგალითად: ინტერნეტის გათიშვა, სერვერის გათიშვა, ქსელის ბარათის გადაწვა და სხვა.

[66] DoS შეტევა. ინგლ. Denial-of-service attack (DoS attack). ნიშნავს სერვერის ან რაიმე სერვისის მიერ უარის თქმას მომსახურებაზე. DoS ის შემთხვევაში ძირითადად შეტევა ხორციელდება მრავალი დავირუსებული კომპიუტერის მეშვეობით, ანუ ე.წ. ზომბირებული კომპიუტერების ჯგუფიდან, რომლებიც ერთდროულად ახორციელებენ შეტევას. DoS შეტევის სქემა დაახლოებით ასეთია: ჰაკერი ტეხავს გარკვეული რაოდენობის კომპიუტერებს, აყენებს მათზე DoS მოდულებს, და შემდეგ როდესაც „საქმე“ მოითხოვს, იყენებს მათ ერთდროული შეტევისათვის, და პრინციპში მსხვერპლი მიყავს იმ დონემდე, რომ წყვეტს ფუნქციონირებას. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტი ყავს ჰაკერს ასეთი ზომბირებული მანქანა, შეტევა მით უფრო ძლიერია.

ფინანსურ ინსიტუტებზე, ინდუსტრიული მართვის სისტემებზე თუნდაც იმ მიზნით, რომ წარმოქმნან ქაოსი, მოახდინონ მოსახლეობის დემორალიზაცია, ან თუნდაც კინეტიკური[67] შეტევისთვის მოამზადონ ბრძოლის ველი, ან კიდევ კინეტიკური შეტევის პარალელურად კიბერთავდასხმები განახორციელონ [13].

კიბერომები ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგია, რომელსაც დიდი სახელმწიფოები ახორციელებენ. ზოგჯერ ეს პატარა სახელმწიფოების გამოყენებით ხდება. ამიტომ, კიბერდაცვის ეროვნული და საერთაშორისო სისტემების სრულყოფის საკითხი დღეს საერთაშორისო პოლიტიკის უპირველესი პრობლემაა. ამ პრობლემის გადაწყვეტა კი თვით საფრთხის სრულფასოვანი და მრავალმხრივი ანალიზის გარეშე შეუძლებელია.

სამწუხაროდ, ადამიანთა, მათ შორის, პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ვერ აღიქვამს კიბერომს, როგორც ომს. 2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის კიბერჩარევის შესახებ ბევრი დაიწერა მასმედიაში. CNN-ის პოლიტიკური მიმომხილველი ***ვან ჯონსი*** (Van Jones) ამერიკის ახლად არჩეულ პრეზიდენტს ***დონალდ ტრამპს*** (Donald Trump) რუსეთისადმი გამოხატული სიმპატიებისათვის აკრიტიკებდა და აცხადებდა, რომ სახეზეა რუსეთის მხრიდან აქტიური შეტევა ჩვენს ქვეყანაზე და არჩეული პრეზიდენტი კი სათანადოდ ვერ აღიქვამს საშიშროებას, არ გამოხატავს აღშფოთებას, არ მიუთითებს, რომ ეს არასწორია და საჭიროა ამის შეჩერება. ტრამპმა აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის უკანონო ჩარევის ფაქტი უნდა აღიაროს და მოუწოდებს გააცნობიეროს არსებული საფრთხეები. „პრეზიდენტები ცდილობენ, რუსეთის შესახებ დადებითად ისაუბრონ, მაგრამ სახელმწიფოზე განხორციელებულ აქტიურ თავდასხმებს ეს არ ეხება. **კიბერ-**

[67] კინეტიკა – „მამოძრავებელი“, თეორიული მექანიკის დარგი, რომელიც მოიცავს დინამიკასა და სტატიკას. ამ შემთხვევაში, კინეტიკური ომი იხმარება ტრადიციული ომის გაგებით

ომი ნამდვილი ომია (Cyber war is real war)“, – აცხადებს ***ვან ჯონსი*** [14].

კიბერომი საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში. ფაქტია, პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ, ათვლა ვებ-ომებმაც დაიწყეს. კაცობრიობის ისტორიაში დაფიქსირდა პირველი სრულ მასშტაბიანი კიბერთავდასხმა. ლაპარაკია, 2007 წელს ესტონეთის პარლამენტის, ბანკების, სამინისტროების და მედია საშუალებების ვებრესურსებზე განხორციელებულ თავდასხმაზე. კიბერშეტევების მიზეზი იყო ესტონელი ხალხისა და მთავრობის ინიციატივა, მეორე მსოფლიო ომის სამახსოვრო საბჭოთა მონუმენტის გადატანის შესახებ.

2008 წელს კი საქართველოსა და რუსეთის სახმელეთო და საჰაერო საომარი ოპერაციების ფონზე მიმდინარეობდა არანაკლებ მნიშვნელოვანი, თუმცა უმსხვერპლო საინფორმაციო ომი. რუსეთის მიერ კიბერსივრცე მასშტაბურად იქნა გამოყენებული საქართველოს წინააღმდეგ პოლიტიკური ძალადობის იარაღად. რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებული საომარი მოქმედებების პარალელურად განხორციელებული მასობრივი კიბერთავდასხმები „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ასე შეაფასა: „პირველი შემთხვევა ისტორიაში, როდესაც შეიარაღებულ კონფლიქტს ორ ქვეყანას შორის წინ უძღოდა ინტენსიური კიბერმომზადება“ [15].

ნატოს კიბერთავდაცვის თანამშრომლობის ცენტრის (Cooperative Cyber Defence Centre of Excellence) მიერ 2015 წელს გამოცემული ნაშრომთა კრებულის („კიბერომი პერსპექტივაში: რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ“) მიხედვით, ესტონეთში რუსეთის კიბერშეტევებს იმდენად საგრძნობი ეფექტი არ ჰქონდა, რამდენადაც მათ უფრო ესტონელ ლიდერებში გამოიწვიეს გაუბედაობა და შიში, რადგან ეს შეტევა შეიარაღებული ჩარევის წინაპირობად აღიქვეს. **მაშინ როდესაც საქართველოში კიბერშეტევები მჭიდრო კოორდინაციაში იყო რუსულ სამხედრო ოპერაციებთან** [16].

დევიდ სმიტის (David J. Smith)[68] აზრით, 2008 წელს საქართველოზე რუსეთის თავდასხმის დროს მოხდა პირველი შემთხვევა, როდესაც კინეტიკური და კიბერომი შერწყმით გამოიყენეს [17].

დასავლურ პრესაში კიბერომებზე მსჯელობისას, მაგალითად მოჰყავთ სწორედ რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი, როდესაც მოვლენებს წინ უსწრებდა რუსეთის მხრიდან განხორციელებული კიბერშეტევები, როდესაც თითქმის ყველა სამთავრობო სტრუქტურის ვებრესურსი გაითიშა, რაც მოგვიანებით, ჩვეულებრივ კიბერომში გადაიზარდა. სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან კიბერშეტევების მოსაგერიებლად საქართველო მოუმზადებელი აღმოჩნდა.

მოკლედ, როგორც აღინიშნა, საქართველოს წინაშე გამოყენებული იყო კიბერშეტევების ყველა ხერხი, რაც კი არსებობს. რუსი ჰაკერების მიერ შეიქმნა სპეციალური საიტი stopgeorgia.ru, სადაც განთავსდა ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მომხდარიყო შეტევები ქართულ ვებგვერდებზე და რა კონკრეტული პროგრამებით. ასევე აქტივისტებმა გამოაქვეყნეს ქართული ვებგვერდების მიზნობრივი სია. აღნიშნული ინფორმაცია ვრცელდებოდა რუსულ ბლოგებზე და ფორუმებზე. შედეგად, ძალიან დიდი პრობლემები შეექმნათ ქართულ ინტერნეტ პროვაიდერებს, ფაქტიურად მოხდა ქართული სამთავრობო არხების და მედიასაშუალებების 90%-ის ბლოკირება.

ერთ-ერთი საერთაშორისო ანალიტიკური ფონდის (Shadow Server) მონაცემებით DoS შეტევა ჯერ კიდევ 20 ივლისს დაფიქსირდა, ხოლო 8 აგვისტოდან ფართომასშტაბიანი ინტერნეტშეტევები განხორციელდა და „დაიბომბა“ სახელისუფლო და მედია საიტები (news.ge; ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და სხვ.). გაითიშა სამთავრობო, საპარლამენტო, სასამართლოების, საბანკო საიტები (მათ შორის

[68] დევიდ სმიტი (David J. Smith) – ელჩი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს უშიშროების ანალიზის ცენტრის დირექტორი, ჯორჯიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს პროფესორის ასისტენტი, ვაშინგტონში პოტომაკის ინსტიტუტის პოლიტიკური კვლევების უფროსი მეცნიერ მუშაკი.

ქვეყნის პრეზიდენტის, თავდაცვის მინისტრის და სხვ.). 9-10 აგვისტოს პრაქტიკულად არ მუშაობდა, არც ერთი ქართული დომეინი (ge – www.nsc.gov.ge, www.government.gov.ge, www.parliament.ge, www.gncc.ge, www.internews.ge, www.acnet.ge).

ქართველმა სპეციალისტებმა ბალტიისპირელი და ამერიკელი სპეციალისტების დახმარებით ქართული საიტების აღდგენა მალე მოახერხეს. რიგი საიტებისა გადაიტანეს უცხოურ სერვერებზე, შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი www.georgiamfa.blogspot.com, რომელიც საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს ავრცელებდა. ამას გარდა, პოლონეთის პრეზიდნტის, ლეხ კაჩინსკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.president.pl, განთავსდა სპეციალური რუბრიკა – Information about the latest developments in Georgia, სადაც ასევე შუქდებოდა ოფიციალური ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ქართულმა მხარემაც დაბლოკა რამდენიმე ქართული საიტიც დეზინფორმაციის თავიდან აცილების მიზნით. როგორც ზოგიერთ ფორუმზე აღინიშნა, რუს ჰაკერებს, არც ქართველები დარჩენიან ვალში.

რუსული მხარე ეფექტურად იყენებდა დეზინფორმაციას ანუ ცრუ, ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოების, ან მისი ნაწილის მანიპულირების მიზნით. რუსეთის სპეცსამსახურები არა მარტო რუსული ინტერნეტ საშუალებებით, არამედ ქართულ ენაზე გამომავალი საიტებით, გაზეთებითა და ტელეარხებითაც ახერხებდა ფართოდ გაევრცელებინა განზრახ არასწორი, ცრუ ინფორმაცია, რათა ამ ცრუ ინფორმაციის შედეგად შეცდომაში შეყვანა საქართველოს მოქალაქენი.

მაგალითები რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს მრავალია. ხშირი იყო დეზინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, მსხვერპლის შესახებ და ა.შ. **პუტინისა და მისი თანამოაზრეების განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტი. მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტაციისთვის გამოყენებულ იქნა ყველა ხერხი და მეთოდი, რუ-**

სული სპეცსამსახურების ადგილობრივი აგენტურა (როგორც ძველი, ისე „ახლად ნაყიდი“), ასევე მათ კონტროლქვეყ მყოფი საინფორმაციო საშუალებები, სხვა რესურსები. მაგალითად, იმ პერიოდში ფართოდ ტირაჟირდებოდა *სააკაშვილის* დაღეჭილი და „შეჭმული“ ჰალსტუხი, მისი ე.წ. „გაქცევა“ გორიდან და სხვ.). თუმცა, რუსეთი საინფორმაციო შეტევების შედეგით მაინც არ იყო კმაყოფილი როგორც ჩანს, იმედგაცრუებულიც კი დარჩა. „რატომ ასახავენ ჩვენი პარტნიორი საინფორმაციო მაუწყებლები იგივე მოვლენებს სხვაგვარად?“ – ამ კითხვას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერი, ანდრეი ნესტერენკო ხშირად სვამდა.

საქართველოს მთავრობა ასევე დიდ ენერგიას ხარჯავდა იმის თვის, რომ მსოფლიოსათვის მიეწოდებინა ინფორმაცია ომის მსვლელობის შესახებ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტიურობდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც პირდაპირ ჩართვებში ხშირად თავად მონაწილეობდა და მსოფლიოს აწვდიდა შესაბამის ინფორმაციას.

რუსეთ-საქართველოს გარდა, საინფორმაციო ომში, შეერთებული შტატები და ევროპაც ჩაერთო. საქართველოსა და მისი გულშემატკივარი ქვეყნების მცდელობის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო ომში დამარცხებულად რუსეთი უფრო გამოიყურება, რადგან იმ დროს მთელი მსოფლიო, კუბის გარდა, ომის დღეებში რუსეთს აკრიტიკებდა.

როგორც აღინიშნა, ინფორმაციული ომის განსაკუთრებული თავისებურების ერთ-ერთი გამომხატველია კიბერომი. რა არის საჭირო იმისათვის, რომ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ კიბერ თავდასხმებს კიბერომის სტატუსი მიენიჭოს? კიბერომისა და ქართული სინამდვილის გარკვევას სპეციალისტებთან შეეცადა ირინა ჭოჭუა [18]. ინფორმაციული უშიშროების კვლევებისა და ანალიზის ცენტრის დირექტორის ლაშა პატარაიას აზრით, „იმისათვის, რომ კიბერ შეტევა შეფასდეს როგორც კიბერომი, საჭიროა ორი საფუძველი: ქვეყანას უნდა გააჩნდეს შესაბამისი სამარ-

თლებრივი ბაზა, რომელიც კონკრეტულ ფაქტს აღიარებს კიბერომად და ქვეყნის წინააღმდეგ სახელმწიფო რეალურად უნდა ახორციელებდეს კონვენციური მასშტაბის ომს“.

აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციამ სულ ცოტა ხნის წინ შეიმუშავა დოკუმენტი „კიბერ რეპორტი 2008-2010“. აღნიშნულ დოკუმენტში საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი ინფორმაციული ომის პროცესები 2008 წლიდან დღემდე.

„სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნის დიპლომატიურმა წრეებმა იმ მომენტში ვერ მოახერხეს გამოეყენებინათ ძალიან კარგი შესაძლებლობა მიენიჭებინათ ამ მოვლენებისთვის კიბერომის სტატუსი. რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, მსოფლიო პრაქტიკაში ეს იყო დღემდე ცნობილი ერთადერთი შემთხვევა, რომელსაც შეიძლებოდა მინიჭებოდა კიბერომის სტატუსი“, – ნათქვამია დოკუმენტში.

ასევე საინტერესო საკითხია, თუ რა გამოხმაურება მოჰყვა რუსეთის მიერ საქართველოზე კიბერ თავდასხმის ფაქტს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. არაერთმა საერთაშორისო ექსპერტმა გააკეთა საქართველოში მიმდინარე პროცესების ანალიზი და შეფასება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ესტონეთის მიერ გაკეთებული რეპორტი, სადაც გარკვეული პარალელებია გავლებული ქართულ შემთხვევასა და ესტონურ შემთხვევას შორის. ესტონური მხარის შეფასებით, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მასიური კიბერშეტევა ქვეყნის ინფრასტრუქტურაზე.

ლაშა პატარაიას განცხადებით, „მთავარი უარყოფითი მხარე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული შეფასებებისა იყო ის, რომ აღნიშნული რეპორტები შემუშავდა პოსტ-ფაქტუმ. არ არსებობდა პრევენციული ზომები, რათა გაკეთებულიყო ფაქტების მონიტორინგი. რეპორტების დიდი ნაწილი გაკეთდა მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, თუმცა, საკმაოდ ობიექტურად“.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის, ირაკლი გვენეტაძის შეფასებით პირველ რიგში აუცილებელია შესაბამისი საკა-

ნონმდებლო ბაზა. „ამ ფაქტის ანალიზი უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ ჩვენს ქვეყანას საკანონმდებლო ბაზა არ აძლევს იმის საშუალებას, რომ 2008 წლის ცნობილ მოვლენებს კიბერომის სტატუსი მიენიჭოს. ასევე აუცილებელია საერთაშორისო შეთანხმებები და სტანდარტები, რაც ასევე არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ქართულმა მხარემ რომ აღიაროს და თქვას, რომ ეს იყო კიბერომი, შესაძლოა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან არავითარი რეაგირება არ მოხდეს. ამ ეტაპზე არ არსებობს რაიმე სახის საერთაშორისო შეთანხმება, თუ რას უნდა ეწოდოს კიბერომი“, – აცხადებს ირაკლი გვენეტაძე.

მაგალითად, ასე თუ ისე, გარკვეულია კიბერტერორიზმი, ესაა ფარული აგენტების მიერ წინასწარგანზრახული, პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა მშვიდობიანი (არამებრძოლი) სამიზნის წინააღმდეგ, რაც გამოხატულია ინფორმაციაზე, კომპიუტერულ სისტემებზე, პროგრამებსა და მონაცემთა ბაზებზე შეტევასა და მათ განადგურებაში.

საქართველოს კანონმდებლობით, კიბერტერორიზმისათვის, როგორც დანაშაულისათვის, სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტ წლამდე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგივე ქმედებას ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა, სასჯელად გამოიყენება თავისუფლების აღკვეთა თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

კიბერომის განსხვავება, მაგალითად, კიბერშეტევებისგან არ არის ადვილი. ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, თუ სად გადის ზღვარი ჩვეულებრივი ჰაკერის მიერ ორგანიზებულ შეტევასა და სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებულ გლობალურ კიბერ თავდასხმებს შორის.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა სახის მოვლენებზეა საუბარი, მაგალითისთვის გამოდგება საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენას”

მოხსენება, სადაც კონკრეტულად არის აღწერილი, თუ რა სახის თავდასხმებს ჰქონდა ადგილი 2008 წელს რუსეთ-საქართველოს კიბერომში.

ამ ომში რუსეთმა ბლოკადაში რეალურად მოაქცია საქართველოს მედია საშუალებები და სამთავრობო არხები სრული დეზინფომაციის ასამოქმედებლად, ასევე პანიკის დანერგვის მიზნით. მასობრივი შეტევები დაიწყო 2008 წლის 9 აგვისტოს და ხორციელდებოდა ე.წ. ბოტნეტ ქსელებით (ზომბების არმიით, ერთი ან რამდენიმე ადამიანისგან მართული კომპიუტერების ჯგუფით). უნდა აღინიშნოს, რომ ქსელში ჩართული იყო სხვადასხვა ქვეყნები, რომლებიც არანაირ კავშირში არ იყვნენ კიბერთავდასხმებთან.

„გრენას“ IT უშიშროების სპეციალისტი, ***დავით ტაბატაძე*** აცხადებს: “სამწუხაროდ, იმ დროისთვის საქართველოს არ ჰქონდა კიბერინციდენტებზე რეაგირების მოქმედი ნაციონალური ჯგუფი, ე.წ. CERT (Comoputer Emergency Responce Team), რომლის ვალდებულებაა კიბერშეტევებზე სწრაფი რეაგირება. ამიტომ CERT-GE-მ, რომელიც ეკუთვნის საქართველოს სამეცნიერო საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენას“, შეითავსა ეს ვალდებულება. როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოზე მიმდინარეობდა მასიური კიბერშეტევები და ქვეყანაში მიმდინარეოდა ომი, გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ჩვენი ცოდნა და გამოცდილება, შედეგად გავაკეთეთ ე.წ **ინციდენტების მართვის ცენტრი**.

ვთხოვეთ ინტერნეტ პროვაიდერებს გამოეგზავნათ ინფორმაცია, თუ რა სახის კიბერ შეტევები მიმდინარეოდა მათ ქსელებზე. გამომდინარე იქიდან, რომ მიღებული ინფორმაცია იყო ძალიან დიდი მოცულობის, ჩვენ დახმარება ვთხოვეთ ჩვენს პარტნიორ პოლონეთის CERT-ს, რომელმაც თავისთავად გადაანაწილა ინფორმაცია 180 მეტ CERT-ზე მთელს მსოფლიოში.

მიზანი იყო ერთი, რომ დროულად ჩაეკეტათ IP მისამართებიდან შეტევა საქართველოს ინტერნეტ სივრცეზე. ასევე ესტონეთის CERT-ის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ საქართველოში, რომ-

ლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს შეტევების მოგერიებაში სხვადასხვა საშუალებებით. უნდა ითქვას, რომ CERT-ებს შორის ამ ტიპის თანამშრომლობა არის პირველი ნაბიჯი კიბერშეტევების მოგერიებაში“ [19].

რუსები არც „მშვიდობიანობის პერიოდში“ ისვენებდნენ, მათმა კიბერმეომრებმა შეტევა მიიტანეს თბილისელ მომხმარებელზე, რომელიც ქსელში მოსკოვის პოლიტიკაზე კრიტიკულ მასალას აქვეყნებდა. 2009 წლის 6-7 აგვისტოდან, რუსულ-ქართული ომის წლისთავზე, მისი Facebook-ის, Google-ის ბლოგის, LiveJournal-ის, Twitter-ის და YouTube-ის გვერდებმა მასობრივი და ერთდროული თავდასხმა გადაიტანეს. როგორც ჩანს, ამ თავდასხმის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველ მომხმარებელს ვერ შესძლებოდა წლისთავის აღსანიშნავად კრიტიკული მასალის გამოქვეყნება.

2012 წელს გაირკვა, რომ სამთავრობო უწყებების კომპიუტერებიდან ინფორმაციას რამდენიმე წლის განმავლობაში ინფორმაციას იპარავდა Georbot მავნე პროგრამა.

2015 წელს კი ცნობილი გახდა, რომ ისევ სამთავრობო ორგანიზაციების ქსელებიდან ინფორმაციას იპარავდა APT28. სამივე შემთხვევაში შეტევები ირიბად რუსულ კიბერ დანაშაულებრივ ჯგუფებს უკავშირდება.

ცხადია, პირველ მსოფლიო კიბერომში გამოცდილება შეიძინა, როგორც საქართველო, ისე რუსეთმა და არაპირდაპირად ამ ომში ჩართულმა დანარჩენმა მსოფლიომაც. სხვა საქმეა ვინ როგორ გამოიყენებს ამ გამოცდილებას.

რუსეთში, მაგალითად, გატარდა ქმედითი ღონისძიებები, მათ შორის, საინტერესოა, რომ ახალი დირექტივით, ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელ კომპანიებს მოეთხოვებათ თავად გადაიხადონ თანხები ახალ, თანამედროვე ტექნოლოგიებში, გაწვრთნან ფედერალური უშიშროების სამსახურის ოფიცრები, რომ მათ თავადვე შეძლონ ინტერნეტსერვის მომხმარებლებზე თვალთვალი. მიუხედავად იმისა, რომ FSB-ს საკმაოდ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ,

ყოველგვარი დახმარების გარეშეც განახორციელოს კიბეროპერაციები და შეიმუშაოს, როგორც თავდასხმითი, ასევე თავდაცვითი სტრატეგიები.

2008 წელს რუსეთის მიერ განხორციელებულმა კიბერშეტევებმა საქართველოს ინტერნეტ პოლიტიკის განვითარებისკენ უბიძგა. კიბერთავდასხმების პრევენციისთვის არაერთი გარკვეული სამუშაო განხორციელდა.

იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა სსიპ - მონაცემთა დაცვის სააგენტო, განისაზღვრა კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის სუბიექტები, რომელთა დაცვა დაევალა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, ძალაში შევიდა კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ და „კიბერუსაფრთხოების სტრატეგია“, ასევე თავდაცვის სამინისტროში ახალი შექმნილია სსიპ – კიბერუსაფრთხოების ბიურო, რომელიც პასუხისმგებელია თავდაცვის სფეროში კიბერუსაფრთხოებითი ღონისძიებების გატარებაზე. ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში არსებობს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო, შეიქმნა კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი მთავარი დოკუმენტი – საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2013-2015 წლების სტრატეგია. შეიქმნა მონაცემთა გაცვლის სააგენტო, კომპიუტერულ ინცინდენტებზე რეაგირების ჯგუფი (დარჩCERT) და მოხდა ევროპის საბჭოს „კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის“ რატიფიცირება. საქართველოს კიბერ უშიშროების სტრატეგიას და სამოქმედო გეგმის (საქართველოს პრეზიდენტმა 2013 წელს ხელი მოაწერა) მიხედვით, სახელმწიფო უწყებებმა უნდა ააწყონ გამართული კოორდინირებული მუშაობა და შეიმუშაონ სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები. დოკუმენტი ასევე ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობას და საგანმანათლებლო ბაზის ჩამოყალიბებას. კომპიუტერულ ინცინდენტებზე რეაგირების ჯგუფმა უნდა განახორციელოს საქართველოს კიბერსივრცის

მონიტორინგი და რეაგირება მოახდინოს საქართველოს სამთავრობო ქსელში და კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში დაფიქსირებულ კომპიუტერულ ინციდენტებზე. ამავე დროს, საერთაშორისო ორგანიზაციები იმისათვის, რომ დახმარება გაგვიწიონ, ითხოვენ გარკვეული სტანდარტების დაცვას და კანონმდებლობის დახვეწას. აქედან გამომდინარე: მიმდინარეობს სამართლებრივი ბაზის შექმნა; შეიქმნა მონაცემთა გაცვლის სააგენტო, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ინფორმაციული უშიშროებაა; მიმდინარეობს ინფორმაციულ უშიშროების უზრუნველყოფაზე მუშაობა საჯარო სექტორის და კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის; მიმდინარეობს კიბერსტრატეგიაზე მუშაობა უშიშროების საბჭოს ეგიდით; ასევე ხდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რაც სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთი მიმართულებაა. ეს ის აუცილებელი ნაბიჯებია იმისათვის, რომ საქართველო კიბერ შეტევებისთვის იყოს მზად და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს საერთაშორისო დონეზე.

ზემოთ ხსენებულმა ქართულმა CERT-მა (კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი) საერთაშორისო აღიარება მოიპოვა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კიბერშპიონაჟისათვის შექმნილ Win32/Georbot ვირუსის აღმოჩენისა და საპასუხო ქმედებების განხორციელებისთვის. ვირუსი გამოირჩეოდა კომპიუტერულ სისტემებში მაღალი შეღწევადობის უნარით და შეეძლო ნებისმიერი სახის დოკუმენტზე მართლსაწინააღმდეგო წვდომა, მფლობელისგან დამოუკიდებლად პერსონალური კომპიუტერის მეშვეობით აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაკეთება და ასევე მომხმარებლის კომპიუტერის სამუშაო დაფის გადაღება და ყველა ამ ინფორმაციის გადაგზავნა ვირუსის მმართველ კომპიუტერზე. ვირუსის სამიზნეები იყო სახელმწიფო და კრიტიკული ინფრასტრუქტურის კომპიუტერული ქსელები. ასევე რამდენიმე შემთხვევაში დაინფიცირებული იყო საბანკო სექტორის, არასამთვარობო ორგანიზაციებისა და კერძო კომპანიების კომპიუტერები. Georbot-

ის მიზანი იყო აღმოეჩინა და მოეპარა ის დოკუმენტები, რომელშიც გამოყენებული იყო უშიშროების თემასთან ასოცირებული სიტყვები და შემდგომ ამ მონაცემების გაგზავნა საკონტროლო სერვერთან.

CERT-მა შექმნა და დააინფიცირა ყალბი დოკუმენტი თავდამსხმელის შეცდომაში შეყვანის მიზნით და შედეგად შესაძლებელი გახადა შემტევის იდენტიფიცირება. CERT-მა უკუსვლითი ინჟინერული პროცესის გამოყენებით მოიპოვა სრული წვდომა მართვისა და კონტროლის სერვერებზე, გაშიფრა კომუნიკაციების მექანიზმები და გაანალიზა ვირუსული ფაილები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოხერხდა პიროვნებების, ორგანიზაციების იდენტიფიცირება. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდგომ გამოიკვეთა რუსი ჰაკერებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების კვალი.

საქართველოში, ეროვნული უშიშროების კონცეფციის ავტორები ჯერ კიდევ 2005 წერდნენ, რომ სახელმწიფოს კუთვნილი, შესაბამისი გრიფის მქონე ინფორმაციის დაცვის არასრულყოფილი სისტემა, სახელმწიფო საინფორმაციო სისტემებში უკანონო შეჭრა, ინფორმაციის მოპოვების ან დაზიანების მიზნით და გარე ძალების მიერ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ საინფორმაციო შეტევების განხორციელება სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უშიშროებისათვის.

2010 წელს გამოქვეყნებული საქართველოს ახალ საფრთხეების შეფასების დოკუმენტის მესამე ნაწილში, რომელიც ტრანსნაციონალურ საფრთხეებს ეხება, კიბერ თავდასხმებისგან მომდინარე საფრთხეებსაც მიმოიხილავს. დოკუმენტში წერია, რომ, „2008 წლის აგვისტოს ომის დროს, რუსეთის ფედერაციამ, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო თავდასხმების პარალელურად განახორციელა მიზანმიმართული, მასიური კიბერშეტევა საქართველოზე“, რომელმაც გვიჩვენა, რომ „ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება კიბერშეტევების განსახორციელებლად, წარმოადგენს რეალურ საფრთხეს გლობალიზებულ სამყაროში“.

მიუხედავად მიღებული ზომებისა, მაინც ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ქვეყანაში მდგომარეობა მაინც რჩება საგანგაშო. რადგანაც ჩანს, რომ პრობლემის მოგვარებას სისტემურად არ მიუდგნენ, გატარდა ცალკეული ზომები, უფრო კამპანიური ხასიათისა. 2008 წელს რუსეთთან გადახდილი კიბერომიდან ვერ გამოვიტანეთ სათანადო დასკვნები, ასევე ვერ გამოვიყენეთ სათანადოდ უცხოელი სპეციალისტების დახმარებაც, რასაც ასე ეცადა ჩვენი დასავლელი პარტნიორები.

მაგალითად, ისიც გამოდგება თუ როგორ თავისუფლად „დასეირნობენ“ ჰაკერები სტრატეგიული სახელისუფლებო ორგანოს საიტზე. იმდენად დაუცველი აღმოჩნდა ჩვენი სახელისუფლებო საიტები, რომ ამის ხაზგასასმელად ჰაკერები „ღადაობდენ“ და სახუმარო ტექსტებსაც ტოვებენ. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებოდნენ: საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი ჰაკერებმა მეორედ გატეხეს. ჰაკერებმა საიტზე შეტყობინება დატოვეს, „არ მოიწყინოთ, ჩვენ უბრალოდ „გატეხილი“ გვერდი ავტვირთეთ“. ჰაკერების მიერ საჩუქრად დატოვებული ვიდეორგოლი სახელწოდებით „ჩვენ ყველა გვიყვარს“ და კიბერშეტევიდან ათი დღის შემდეგ ისევ დაბლოკილი საპარლამენტო ვებ გვერდი. კეთილი რჩევა და გზავნილი პარლამენტის ადმინისტრაციას დაუცველი ვებ-გვერდის დაცულობის თემასთან დაკავშირებით ისევ მთავარი თემაა. 2013 წლის 31 დეკებრის ე.წ. უწყინარი შეტყობინებისგან განსხვავებით, რიგით მეორე თავდასხმა უფრო სერიოზული აღმოჩნდა. ბოლო ორი დღის განმავლობაში პარლამენტის ვებ-გვერდი პარალიზებულია [20]. განგაშის საფუძველს იძლევა ეს ერთი შეხედვით, მცირე მასშტაბის ეპიზოდური ფაქტიც: ვებ-პანელების მიხედვით დაინფიცირებულ 390 კომპიუტერიდან 80% აღმოჩნდა საქართველოსი, 5% – აშშ-სი, 5% – უკრაინის, 4% – კანადის, 4% – საფრანგეთის, 3% – გერმანიის და 3% – რუსეთისა. საგულისხმოა, რომ დაინფიცირებული ქართული კომპიუტერების უმრავლესობა ეკუთვნოდა ქართულ სახელმწიფო სტრუქტურებს

და კრიტიკული ინფორმაციული ინფსრასტრუქტურის ორგანიზაციებს... [21].

გამოწვევები კიბერსივრცეში

ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით „კიბერსივრცე“ (Cyberspace) წარმოადგენს საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირის კომპლექსს, რომელიც მოიცავს ინტერნეტის გლობალურ ქსელს, კომპიუტერულ სისტემებს, ტელესაკომუნიკაციო ქსელებსა და პროცესორებს [21]. უფრო მარტივად, ესაა პირობითი გარემო, რომელშიც კომუნიკაცია ხდება კომპიუტერული ქსელის მეშვეობით.

კიბერუშიშროების უზრუნველყოფის კომპანიების ტოპ-10-ში შემავალი ამერიკული კომპანია FireEye-ის მონაცემებით:

კიბერომის განვითარების პროცესი: 1990-1991 წწ. – სპარსეთის ყურის ომი; 1999 წელი – ომი ბალკანეთზე/კოსოვოს კონფლიქტი; 2001 წლის 11 სექტემბერი; 2001 წლის ნოემბერი – ბუდაპეშტის კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ; 2007 წელი – მასირებული კიბერშეტევა ესტონეთის კიბერ სივრცეზე; 2008 წელი – მასირებული კიბერშეტევები ლიტვისა და საქართველოს კიბერსივრცეზე; 2008 წელი – კიბერშეტევები „რადიო თავისუფლებისა“ და „თავისუფლების“ ოფისებზე; 2008 წლიდან – იწყება სტრატეგიებზე და განვითარების პოლიტიკაზე აქტიური მუშაობა; 2014-2015 წლები – უკრაინა-რუსეთის ომი/ჰიბრიდული ომის დროს გამოიყენებოდა კიბერშეტევითი ელემენტები; 2015 – ახალი გამოწვევები/გაიზარდა დაპირისპირება კიბერ სივრცეში. 2017 – უძლიერესი კიბერშეტევა, მოიცვა 150 ქვეყანა, არირიცხა 200 ათასი დაზარალებული.

კიბერშეტევებში ძირითადი მოთამაშეები: შეერთებული შტატები; რუსეთი; ირანი; ჩინეთი; ჩრდილოეთ კორეა; ისრაელი.

ყველაზე დაუცველი და მოწყვლადი სექტორები: საბანკო სექტორი და სხვა საფინანსო ინსტიტუტები; საფონდო ბირჟები; ბირ-

თვული ელექტროსადგურები; წყლის მომარაგებისა და გამწმენდი სისტემები; პერსონალური მონაცემები/ელექტრონული მმართველობა.

კიბერუშიშროების განზომილებები: პოლიტიკური დონე; სამხედრო დონე; ეკონომიკური დონე; ტექნიკური დონე; სამოქალაქო საზოგადოება და მოქალაქეები [33].

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ, ჩრდილო–ატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების ბრიუსელის შეხვედრაზე გაკეთდა განცხადება, რომ კიბერსივრცე ნატოს გავლენის კიდევ ერთი სფერო ხდება, თანაბრად ზღვასთან, ჰაერთან და ხმელეთთან ერთად. შესაბამისად, საჭირო გახდება კოლექტიური თავდაცვის შესახებ ხელშეკრულების გამოყენებაც [22]. ხოლო, 2016 წლის 8 ივლისს, ნატოს სამმიტმა ვარშავაში, კიბერსივრცე აღიარა თავდაცვის თანაბარუფლებიან სფეროდ. ნატოს გენერალურმა მდივანმა ***იენს სტოლტენბერგმა*** (Jens Stoltenberg) აღნიშნა: თანამედროვე გამოწვევები ითხოვს ვაღიაროთ, რომ კიბერ შეტევები და მათგან დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავდაცვა ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში [23].

დღესდღეისობით არსებული მდგომარეობით კიბერსივრცე სათანადოდ არაა დაცულია, რასაც ხელს უშლის სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის არასათანადო კომუნიკაცია და იმ განსხვავებული მოტივაციის, ინტერესებისა და მიზნების არსებობა, რაც ახასიათებს თითოეულ სფეროს. მდგომარეობა, რომ სერიოზულია, მოწმობს ის ფაქტი, რომ თითქმის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა სამხედრო თუ ეკომომიკურ სტრატეგიულ ობიექტებზე განხორციელებული კიბერშეტევები. საილუსტრაციოდ მოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. ნიდერლანდების დაზვერვისა და უშიშროების გაერთიანებული სამსახურის (AIVD) უფროსმა ***რობ ბერტოლემ*** (Rob Bertholee) 2017 წლის 3 თებერვალს განაცხადა რუსეთმა, ირანმა და ჩინეთმა განახორციელეს ასეულობითი მცდელობა ნიდერლანდების სახელმწიფო ქსელების გასატე-

ხად. მისი სიტყვებით: „ესაა საფრთხე ჩვენი დემოკრატიისთვის. საშიშროება იმაშია, რომ მათ შეუძლიათ მოახდინონ ზეგავლენა პარალმენტის მუშაობაზე, აგრეთვე ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე“. ჰაკერების სამიზნე გახდა აგრეთვე ჰოლანდიური კომპანიებიც, ჰაკერები „იპარავენ საიდუმლო მასალებს, რასაც ნიდერლანდების ეკონომიკისათვის დიდი ზიანის მოტანა შეუძლია“, აღნიშნა მან. ამასთან, აზრი არ ააქვს ამ ქვეყნების წინააღმდეგ ზომების მიღებას, მათ პასუხსაც ვერ მოთხოვ, რადგან ისინი უარყოფენ ბრალდებას. ნიდერლანდების შინაგან საქმეთა მინისტრმა ***რონალდ პლასტერკმა*** (Ronald Plasterk) გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მომავალ საყოველთაო არჩევნებზე ყველა ხმა ხელით დაითვლება, რადგანაც ხმის დათვლის კომპიუტერული სისტემა ჰაკერებისთვის მოწყვლადია [24].

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპეცსამსახურებმა ქვეყნის მთავრობას 2017 წლის იანვარში წარუდგინეს ერთობლივი მოხსენებითი ბარათი ევროპასა და აშშ-ს შორის ურთიერთობის გასაფუჭებლად, აგრეთვე დასავლეთში სოციალური კონფლიქტების გასამწვავებლად მოსკოვის მრავალწლიანი მცდელობების შესახებ. დოკუმენტში ნახსენები იყო ბუნდესტაგის სისტემებზე კიბერშეტევა, როდესაც ლოკალურ ქსელში ჩაშვებულ იქნა ვირუსი, რომელმაც გზა გაუხსნა ჰაკერებს გერმანიის პარლამენტის შიდა დოკუმენტებისაკენ. სერვერი გატეხა რუსეთის სპეცსამსახურებთან მჭიდროდ დაახლოებულმა ჰაკერთა ჯგუფმა Fancy Bear (მისი სხვა სახელწოდებებია: APT28, Sofacy, Pawn storm, Sednit და Strontium).

ასევე, რუსეთის მონაწილეობა ვენაში, ეუთო-ს შტაბბინის სერვერზეც განხორციელებულ შეტევებში დაადასტურა კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყების უფროსმა, ***ჰანს გეორგ მაასენმა*** (Hans-Georg Maaßen). მისი თქმით, შეტევების სტრუქტურული თავისებურებები ანალოგიურია იმ შეტევებისა, რომლებიც ART28–მა ჯგუფმა განახორციელა გერმანიის ბუნდესტაგზეო [25].

ანდრია გოცირიძე აღნიშნავს, რომ კიბერსივრცე და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები ქვეყნებისთვის მოულოდნელი არ არის. ნატოს ხედვის თანახმად, კიბერთემატიკის მზარდი მნიშვნელობა ევოლუციური პროცესისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენაა, და არა – რევოლუციური გარდაქმნა. ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ, საზოგადოება, როგორც მშვიდობის, ისე კრიზისისა ან ომის პირობებში, ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტად დამოკიდებული ხდება ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. ნატო ოპერაციებს ძირითადად კიბერქსელების გამოყენებით ახორციელებს. სწორედ ამიტომ, ალიანსი დიდ ყურადღებას აქცევს წევრობის მსურველი ქვეყნების კიბერსივრცის უშიშროებას და ავალდებულებს მათ, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭონ კიბერსფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს და კიბერუშიშროება განიხილონ არა როგორც რევოლუციური მოვლენა, არამედ, როგორც – სტრატეგიული ამოცანა. კიბერუშიშროება, ხშირ შემთხვევაში განყენებულ თემად წარმოგვიდგება, და არა ომის შემადგენელ სეგმენტად, რეალურად კი, მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტების უმეტესობა კიბერელემენტებს შეიცავს, რაც ხაზს უსვამს კიბერუშიშროებას, როგორც გლობალური უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებელ კომპონენტს. ამის ერთ-ერთი მაგალითია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული კიბერშეტევა სამხედრო ოპერაციების მხარდაჭერის მიზნით. ზემოთაღნიშნულ ფაქტს უკრაინაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიც ადასტურებს, სადაც სამხედრო ძალების მიერ საბრძოლო ოპერაციების პარალელურად, კიბერღონისძიებებიც განხორციელდა. აქედან გამომდინარე, საჭიროა, საზოგადოებამ გააცნობიეროს, რომ კიბერომი დამოუკიდებლად არ არსებობს და კიბეროპერაცია კონფლიქტისა თუ ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომელიც კონკრეტულ მიზანს ემსახურება. დღევანდელ მსოფლიოში სამხედრო ძალებს ტრადიციული სამხედრო მოქმედე-

ზების პარალელურად შეუძლიათ დაგეგმონ და აწარმოონ კიბერ-ოპერაციები, რაც დღეს ჰიბრიდული ომის სახელწოდებით არის ცნობილი [26].

არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტერნეტის განვითარების ინიციატივა“ [27] თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ კიბერუშიშროე-ბის სფეროში არსებულ რთულ გამოწვევებთან გამკლავებას უდი-დესი მნიშვნელობა აქვს როგორც საერთაშორისო და რეგიონალურ, ისე ეროვნულ დონეზე. საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა მოითხოვს ქვეყანა მზად უნდა იყოს კიბერსივრ-ცეში არსებული ნებისმიერი ახალი გამოწვევის წინაშე. ამ პროცეს-ში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკანონმდებლო ბაზის არსებო-ბას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და საჭირო სპე-ციალისტების მომზადებას. არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტერ-ნეტის განვითარების ინიციატივამ“ სინტერესო ანალიზი გამოაქ-ვეყნა საქართველოსათვის ახალი გამოწვევების შესახებ კიბერ-სივრცეში.

რუსეთის მხრიდან მომდინარე კიბერსაფრთხეებთან გამკლა-ვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საერთაშორისო და რე-გიონალურ, ისე ეროვნულ დონეზე. ბოლო პერიოდში, რუსეთმა მნიშვნელოვნად გააქტიურა საერთაშორისო თანამშრომლობა სხვა-დასხვა ქვეყნებთან, მაგალითად, თეირანში ირანსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმება კიბერუშიროების სფეროში თანამშ-რომლობის შესახებ, რომელიც ორიენტირებულია ამ სფეროში სა-დაზვერვო ინფორმაციის გაცვლაზე, საფრთხეების წინააღმდეგ ურთიერთმოქმედებასა და საერთო თავდაცვაზე. ასევე, მიღწეულ იქნა შეთანხმება კიბერუშიროების სფეროში ურთიერთობას ჩინეთ-თან და სხვ. ქვეყნებთან. რუსეთი ცდილობს არ ჩამორჩეს აშშ-ს, რომელმაც მიიღო კიბერუშიშროების სტრატეგია, რომელშიაც პირ-ველად იქნა დაკონკრეტებული ქვეყნები, საიდანაც შეერთებული შტატები უნდა მოელოდნენ კიბერთავდასხმებს. ასეთ ქვეყნებად

სტრატეგიაში დასახელდა რუსეთი, ჩინეთი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა.

დარგის აღიარებული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საფრთხეები ელექტრონული მმართველობის განვითარების პარალელურად, კიდევ უფრო გაიზრდება. იგივე ექსპერტები პროგნოზირებენ კიბერუშიშროების ახლო მომავალს, კერძოდ, გაციფროვნების პროცესი გაგრძელდება სულ უფრო მეტი ინტენსივობით და ის შეაღწევს ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტში და ჩვენი საზოგადოების ფუნქციებში. ადამიანები სულ უფრო და უფრო დამოკიდებულები გახდებიან ციფრულ მომსახურებასა და სხვადასხვა სახის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრიობის როგორც მოქალაქეების, ისე მედია საშუალებების ინტერესს კიბერუშიშროების მიმართ. მომავალში თანამედროვე საზოგადოება გახდება სულ უფრო მოწყვლადი, რადგან რთულია ერთმანეთთან დაკავშირებული და დამოკიდებული სისტემების სრულად აღქმა და დაცვა. გაიზრდება გლობალური და შიდა საზოგადოებრივი დამოკიდებულებები, რაც კიბერუშიშროების გამოწვევებს სულ უფრო გლობალურ ხასიათს მიცემს და ამდენად, არსებობს კიბერსაფრთხეებზე საერთაშორისო რეაგირების აუცილებლობა. ახალი ტექნოლოგიური ინოვაციები ძირითადად მოდის კერძო სექტორიდან და ეს პროცესი სულ უფრო მზარდი ხდება, რაც კიდევ უფრო ზრდის ასევე უშიშროების უზრუნველყოფის საჭიროებას. იქვე, ამის პარალელურად ჩნდება ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ კიბერუშიშროების და მიუხედავად ამისა, კიბერსივრცეში კიდევ უფრო გაიზრდება გამალებული შეიარაღების პროცესი. კიბერდანაშაულებები კვლავ იქნება გამოწვევა საზოგადოებისთვის და ეკონომიკური დანაკარგები სულ უფრო გაიზრდება, რაც სხვა მხრივ ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის განვითარებას. კიბერ შესაძლებლობების კონცეფციას გავლენა ექნება საერთაშორისო პოლიტიკაზე და ძალაუფლებისთვის გლობალურ

ბრძოლაზე, რაც ასევე შეუწყობს ხელს კიბერსივრცეში გამალებული შეიარაღების პროცესის გაზრდის ტენდენციას. სავსებით შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში მოხდება გლობალური კიბერკატასტროფა, რაც მთლიანად შეცვლის ჩვენს მიდგომას არა მარტო კიბერუშიშროების, არამედ მთლიანად კიბერსივრცეში საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართ. კიბერის ახალ ეპოქაში გამარჯვებული იქნება ის, ვინც შეძლებს საბაზრო ეკონომიკის გათვალისწინებით უშიშროების საკითხების კომპლექსურ გადაწყვეტას; გააჩნიათ საუკეთესო ტალანტების მობილიზების შესაძლებლობა; და შესწევთ ადაპტაციის უნარი და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე იმუშაონ მრავალეროვან გარემოში.

ანდრია გოცირიძე თვლის, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განხორციელებული კონფლიქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ კიბერუშიშროება ყველა კონფლიქტისა და ომის განუყოფელი ნაწილია. თანამედროვე წამყვანი სახელმწიფოებისათვის კიბერუშიშროება თანდათან პრიორიტეტული ხება და შესაბამისად, განსაკუთრებულ აქცენტირებასაც ახდენენ კიბერშესაძლებლობების განვითარებაზე.

ექსპერტთა მონაცემებით, 40-ზე მეტ ქვეყანას უკვე გააჩნია შეტევითი ხასიათის კიბეროპერაციების წარმოების შესაძლებლობები, რაც კიდევ უფრო რეალურს ხდის უკანასკნელ პერიოდში ტენდენციად ქცეულ კიბერსივრცის გამოყენებას პოლიტიკური თუ სამხედრო მიზნების მისაღწევად და გეოპოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად; სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიო მასშტაბით ქვეყნები კოლოსალურ თანხებს ხარჯავენ კიბერშესაძლებლობების განვითარებისთვის. ასეთ გარემოში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, კიბერთავდაცვისთვის საჭირო სტრატეგიის შექმნა და განხორციელება. უკანასკნელ სამიტზე ნატოს ხელმძღვანელი პირების მიერ გახმოვანებული პოზიცია ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყანა მხოლოდ მაშინ აღიქმება ალიანსისთვის საიმედო მოკავშირედ, თუკი ის ძლიერ კიბერშესაძლებლობებს შექმნის.

ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციისათვის აუცილებელია, განვითარდეს არსებული კიბერშესაძლებლობები, მოხდეს მათი ინტეგრირება სამხედრო ოპერაციებთან თავდაცვის მიმართულებით. ამ მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის წევრობის მსურველი ქვეყანა, ურთულესი გამოწვევის წინაშეა. თუმცა პრობლემები ნატოს წევრი სახელმწიფოების წინაშეც დგას. ნატოს შეფასებით, ალიანსის წევრ ქვეყნებს შორისაც კი უზარმაზარი განსხვავებაა. არათანაბრადაა განვითარებული თავდაცვითი, შეტევითი და სადაზვერვო შესაძლებლობები, რაც ქვეყნებს შორის ურთიერთდახმარების ქმედით მექანიზმებს ართულებს. მას შემდეგაც კი, რაც ალიანსმა განაახლა კიბერთავდაცვის პოლიტიკა, სერიოზული განაცხადი გაკეთდა კიბერშეტევის შემთხვევაში კოლექტიური თავდაცვის თაობაზე. სკეპტიკოსები ბუნდოვნად მიიჩნევენ ერთიანი კიბერთავდაცვის კონტურებს. ამას ემატება პრეცენდენტის არარსებობაც და ისიც, რომ აღნიშნული პოლიტიკა არ აწესებს მკაფიო საზღვრებს, თუ როდის უნდა ჩაითვალოს ერთი ქვეყნის კიბერსივრცეზე თავდასხმა ყველა ქვეყნის მიმართ განხორციელებულ შეტევად. ცხადია, ასეთი მკვეთრი გამიჯვნა არც იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგან ეს საშუალებას მისცემდა მოწინააღმდეგეს, ემოქმედა დაწესებული საზღვრის გადაკვეთის გარეშე.

ამ მიმართულებით საქართველო ვალდებულია, განავითაროს საკუთარი კიბერშესაძლებლობები და გაიზიაროს ნატოს მიდგომა: ხელი შეეწყოს ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას კიბერუშიშროების სფეროში. ეროვნულ დონეზე კიბერშესაძლებლობების განვითარების, ალიანსთან და მის წევრ ქვეყნებთან მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობის პირობებში საქართველო შეძლებს, გარკვეული როლი შეასრულოს კიბერუშიშროებაში და განვითარებული ქვეყნების საიმედო მოკავშირედ მოგვევლინოს [26].

კიბერსივრცის უშიშროების უზრუნველსაყოფად უნდა იქნეს გათვალისწინებული რიგი გარემოებები:

გააქტიურდება კიბერდამნაშავეობის აგრესიული და ძალზედ დინამიური განვითარების პროცესი, რომელსაც ექნება თავისი მოტივირებული ინტერესები და მიზნები ფინანსური სექტორის მიმართ [34]; მოსალოდნელია კიბერთავდასხმების გაზრდა მსოფლიოს ნაკლებად განვითარებულ რეგიონებზე; გლობალური და რეგიონალური კონფლიქტების თანმხლები პოლიტიკურად მოტივირებული კიბერნეტიკული ოპერაციების მკვეთრი ზრდა, მათ შორის საარჩევნო პროცესებში ჩარევა; საპასუხო რეაგირებაში დამკვიდრებას დაიწყებს დიპლომატიური დემარშები; კიბერთაღლითების მხრიდან ინფორმაციების, პერსონალური მონაცემებისა და ანგარიშების მოპარვა. საკრედიტო და სადებეტო ბარათებთან, ასევე ATM ტერმინალებთან დაკავშირებული მაქინაციებისა და უკანონო საბანკო გადარიცხვების მკვეთრი ზრდა; კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა; კონკურენტული ბიზნეს გარემოს გათვალისწინებით, კერძო სექტორზე კიბერშეტევების მატება; არასწორი ფინანსური ხარჯი, რაც უკავშირდება პროგრამული უზრუნველყოფის, კომპიუტერული ტექნიკისა და სერვერული სისტემების შეძენას, მათ არათავსებად მუშაობასა და არაავთენტურობას; კიბერდამნაშავეების მხრიდან, უსაფრთხოების ტექნოლოგიების სფეროს ახალი მიღწევების გათვალისწინებით, მავნე პროგრამების შექმნის პროცესის გაგრძელება; კიბერ ჯაშუშობის ზრდა; რელიგიურ ორგანიზაციებზე კიბერთავდასხმების რაოდენობის ზრდა.

კიბერტერორიზმი

ტერორიზმის ცნების განსაზღვრა მსოფლიო მეცნიერებისა და დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. ამჟამად ტერორიზმის 200-ზე მეტი განსაზღვრება არსებობს და მათგან საყოველთაოდ მიღებული არცერთია, რაც განპირობებულია, როგორც ამ მოვლენის სირთულით, ასევე შიდა-

სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეზე არსებული სუბიექ-ტური ფაქტორებით.

ტერმინების „ტერორისა“ და „ტერორიზმის“ შემოღება საფრან-გეთის რევოლუციიდან იღებს სათავეს. მათი გამოყენება 1793-94 წლებში, იაკობინელების რევოლუციური ხელისუფლების დროს დაიწყეს. „ტერორი სხვა არაფერია თუ არა სხარტი, მკაცრი, დაუნ-დობელი სამართლიანობა“ [28], აცხადებდა იაკობინელთა დიქტა-ტურის ერთ-ერთი მოთავე და თეორიტიკოსი ***მაქსიმილიან რობეს-პიერი*** (Maximilien Robespierre; 1758-1794).

ინტერნეტის დანერგვამ და უახლესი ინფორმაციული ტექნო-ლოგიების მასშტაბურმა გამოყენებამ ვირტუალურ სამყაროში რეა-ლური ომის საფრთხე შექმნა. დღეს აღარავინ დავობს, რომ უახ-ლესი ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინტერნეტი, ისევე როგორც მასზე დამყარებული სხვა სერვისები, ყველა სიკეთესთან ერთად, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დიდ საფრთხეებსაც შეი-ცავს. გაჩნდა კიბერტერორიზმის ცნება, რომელმაც მეცნიერებს მია-ნიშნა, რომ ტერორისტთა „ტრადიციული“ შეიარაღება და მეთო-დები არც თუ ისე შორეულ მომავალში ანაქრონიზმად იქცევა.

პირველი, აშშ-ს ფედერალური მთავრობა მოეკიდა ყურად-ღებით ახალ საფრთხეს და მისი პროფილაქტიკის საკითხმა ასახვა ჰპოვა პრეზიდენტ ***ბლინ კლინტონის*** (Bill Clinton; დ. 1946) გამოსვ-ლაში (1998 წლის 22 მაისი) და აგრეთვე კონგრესისათვის მომზა-დებულ რიგ მოხსენებებში. ჯერ კიდევ 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებამდე პრეზიდენტობის კანდიდატმა ***ჯორჯ ბუშმაც*** (Geor-ge W. Bush; დ. 1946) ახსენა კიბერ ტერორიზმი თავის საარჩევნო გა-მოსვლის დროს. 2001 წლის ტერაქტების შემდეგ მან თეთრ სახლში დაარსა კიბერ სივრცის უშიშროების ოფისი (Office of Cyberspace Security). ამის შემდეგ, აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ დღემდე მრავა-ლი სხვადასხვა სახის დოკუმენტი იქნა მომზადებული (აშშ-ს „კიბერუშიშროების სტრატეგია“ და სხვ.).

კიბერტერორზიმი ტერორიზმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. მაგრამ არ არსებობს ამ ტერმინის ზუსტი განმარტება. კიბერტერორიზმი არის კომპიუტერზე, ქსელზე და მათში არსებულ ინფორმაციაზე შეტევის ან შეტევის განხორციელების მუქარა, სახელმწიფოს ან მისი ხალხის პოლიტიკურად, სოციალურად, რელიგიურად ან იდეოლოგიურად დაშინების მიზნით. თუმცა ეს განმარტებაც არაა ზუსტი, რადგან კიბერ ტერორიზმი ასევე მოიცავს სახელმწიფო ფინანსებზე ან ეროვნულ კომპანიებზე თავდასხმას და მათი მონაცემების გამოყენებას სხვადასხა ფულადი თუ სხვა სახის მაქინაციებისთვის, რომელიც მიმართულია ქვეყნის წინააღმდეგ.

როგორც აღინიშნა, კიბერტერორიზმი კიბერსაფრთხეების ერთ-ერთი სახეა და თავისი მასშტაბითა და მიზნებით განსხვავდება, მაგალითად, კომპიუტერული დანაშაულებისაგან, რომლის დროს კომპიუტერულ ქსელებში შეღწევის მიზანი შეიძლება იყოს ინფორმაციის ქურდობა, მუშაობისათვის ხელისშეშლა, გამოძალვა ან ფულის დატაცება, ან ლოკალური ქსელის დაზიანება ან უბრალოდ, კოდის გატეხვის პროფესიული ინტერესი და სხვ.

კიბერტერორიზმის მიზანს კი წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური ან ეკონომიკური დესტაბილიზაცია. კიბერტერორიზმი არის განზრახ ჩადენილი, პოლიტიკურად მოტივირებული კრიმინალური ქმედება, რომელიც ხორციელდება სუბნაციონალური ჯგუფებისა ან ფარული აგენტების მიერ, საინფორმაციო ქსელების, ინფორმაციისა და კომპიუტერული სისტემების, კომპიუტერული პროგრამების და მონაცემთა ბაზების დასაუფლებლად, რომელსაც შედეგად მოჰყვება მშვიდობიანი (არამებრძოლი) სამიზნეების პარალიზება.

კომპიტერული დანაშაულების მსგავსად კიბერტერორიზმის დროსაც ინფორმაციული ტექნიკა და ტექნოლოგიები დანაშაულის ჩადენის საგანი, საშუალება ან იარაღია, მაგრამ თუ ასეთი დანაშაულის ორგანიზება და განხორციელება ხდება საზოგადოებრივი

უშიშროების დარღვევის, მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფ-ლების ორგანოების გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედების მიზნით, აქ უკვე ადგილი აქვს კიბერტერორიზმის დანაშაულის ნიშნებს. არსებობს განსხვავებული მიდგომებიც, კიბერტერორიზ-მის შინაარსის განსაზღვრისას სპეციალისტთა ნაწილი ყურადღე-ბას ამახვილებს დამდგარი შედეგის მასშტაბებზე, მაგალითად, აშშ-ს კონგრესისადმი 2003 წლის ანგარიშში ექსპერტები მიუთითებენ, რომ კომპიუტერული შეტევები კიბერტერორიზმად შეიძლება დაკ-ვალიფიცირდეს იმ შემთხვევაში, თუ ამ შეტევების ეფექტი იქნება საკმაოდ დამანგრეველი, რომლის შედეგად მოსახლეობაში გამოწ-ვეული შიში იქნება ფიზიკური ტერორისტული ქმედების ტოლ-ფასი. აქედან გამომდინარე კომპიუტერული შეტევები რომელთაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ნგრევა ან სიკვდილიანობა, ან ენერ-გიის მასიური გათიშვა, თვითმფრინავების კატასტროფა, წყლის მა-სიური დაბინძურება, ან ეკონომიკის სექტორში ნდობის სრული დაკარგვა შეიძლება ასევე იყოს კვალიფიცირებული როგორც კი-ბერტერორიზმი. აქედან გამომდინარე, ზოგი მკვლევარი გამოთქ-ვამს მოსაზრებას, რომ გაიგივებულ იქნას კიბერტერორიზმი ტე-რორიზმთან [29].

კიბერტერორისტად შეგვიძლია მივიჩნიოთ პირი/ჯგუფი, რო-მელიც ზემოთ დასახელებულ ქმედებებს განახორციელებს, ან კი-ბერტერორიზმის ფაქტად შევრაცხოთ ქმედება, რომელსაც განა-ხორციელებს ტერორისტული დაჯგუფება საკუთარი ინტერესები-სათვის, რომელიც იმავდროულად ან მომავალში სახელმწიფოე-ბისა და მმართველოლბების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

კიბერტერორისტები იჭრებიან სახელმწიფო სტუქტურების კომპიუტერულ ქსელებში და იპარავენ სახელმწიფო დონის უსა-ფრთხოების ინფორმაციებს. ასევე ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, რათა სახოგადოებაში დათესონ პანიკა და წარმოშვან დესტაბილი-ზაცია. შესაძლოა გაუკეთონ პროვოცირება სხვადასხვა ანტისამთავ-რობო მოძრაობებს და სხვა. კიბერტერორისტების მიზანს, არა მხო-

ლოდ სახელმწიფო სტურქტურები და ეროვნული თუ ტრანსნაციონალური კომპანიები წარმოადგენს, არამედ უბრალო მოსახლეობაც. ისინი იყენებ ფიზიკური პირის მონაცემბს სხვადასხვა მაქინაციების ჩასატარებლად და კვალის დასაფარავად.

კიბერტერორისტებმა შესაძლოა საზოგადოებას მიაყენონ სერიოზული ფსიქოლოგიური ზიანი, ინტერნეტ სივრცეში სხვადასხვა აკრძალული მასალის გავრცლებით, ან ტყუილი ე.წ „ფეიქი“ მასალის შემქნითა და მიწოდებით.

კიბერტერორიზსტული ქმედებები ხშირად იჩენს თავს ომისა და კონფლიქტების დროს. შესაძლოა კიბერ თავდასხმა ერთმა ქვეყანამ განახორციელოს მეორეზე. მაგალითად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რუსეთი თავს დაესხა ქართულ საიტებს, შექმნა ინფორმაციული ვაკუუმი, რაც კიბერტერორიზმის ერთ-ერთი საშუალებაა საზოგადოებაში პანიკის გამოსაწვევად [30].

საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ საქართველოში კიბერტერორიზმის საფრთხე და მისგან მოსალოდნელი ზიანის მასშტაბები იზრდება. ამის შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ კიბერუსაფრთხოების 2017-1018 წლების ეროვნული სტრატეგიაში წერია.

სტრატეგიის მიხედვით, თანამედროვე პერიოდში ტერორისტულ დაჯგუფებებს მნიშვნელოვანი რესურსები აქვთ და ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს აქტიურად იყენებენ საკუთარი საქმიანობის მხარდაჭერისთვის.

„აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ტერორისტული ორგანიზაციის ისლამური სახელმწიფო, რომელიც რეგულარულად ახორციელებს კიბერშეტევებს ანტიტერორისტული კოალიციის წევრი სახელმწიფოების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების წინააღმდეგ“, – წერია დოკუმენტში [31].

სტრატეგიის მიხედვით, ქვეყნისთვის მთავარი საფრთხე რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული კიბერშეტევები და კიბერსაშუალებებით ჩადენილი დანაშუალებია. სტრატეგიაში საფრ-

თხეებს შორის ასევე დასახელებულია ISIS და სხვადასხვა ე.წ. ჰაკერული ჯგუფი.

კიბერუშიშროების თაობაზე მიღებულ სამთავრობო სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ამ „ეტაპზე საქართველოს კიბერუსაფრთხოების სისტემის წინაშე არსებულ მთავარ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული კიბერშეტევები და კიბერსაშუალებებით ჩადენილი სხვა დანაშაულები. რუსეთის ფედერაცია იყენებს კიბერსაშუალებებს ევროატლანტიკური სივრცის წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომში და, შესაბამისად, კიბერსივრცის მეშვეობით რუსეთის ფედერაცია აქტიურად ეწევა საინფორმაციო კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ევროატლანტიკურ ოჯახში ინტეგრაციის შეფერხებას და საქართველოს მოსახლეობაში ევროატლანტიკური ღირებულებების დისკრედიტაციას“.

დოკუმენტის თანხამად, დღეს არსებული მდგომარეობით საქართველოს კიბერუშიშროების წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხე რეალურია და მისი დონე მომატებულია 2008 წელთან შედარებით შემდეგ გარემოებათა გამო: რუსეთის ფედერაციას არ შეუცვლია საკუთარი აგრესიული პოლიტიკა კიბერდომეინში; რუსეთის ფედერაციამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად აამაღლა საკუთარი კიბერშეტევითი შესაძლებლობები და დახვეწა კიბერსაშუალებების გამოყენების სპეციფიკა მის მიერვე წარმოებულ ფსიქოლოგიური გავლენის ოპერაციებში;

ამათან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საქართველოს დამოკიდებულება ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, რაც პოტენციური კიბერთავდასხმების შემთხვევაში, თავის მხრივ, ზრდის მოსალოდნელი ზიანის მასშტაბებს.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ „აღნიშნულ ეტაპზე საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კიბერსაფრთხეებიდან განსაკუთრებული აღსანიშნავია შემდეგი: კიბერომი – 2008 წელს რუსეთის

ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ აგრესია, სამხედრო თავდასხმის პარალელურად, კიბერსივრცეშიც განახორციელა, რომელიც საკუთარი მასშტაბებით, ზიანის ხარისხითა და აქტიურ საბრძოლო მოქმედებებთან მჭიდრო კოორდინაციით სავსებით აკმაყოფილებს კიბერომის დეფინიციას. რუსეთის ფედერაციამ უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო განავითარა კიბერსივრცეში საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები, რაც დასტურდება უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო მოქმედებების მხარდამჭერი კიბეროპერაციებითაც".

საქართველო ოფიციალური სტრატეგიის მიხედვით, კიბერტერორიზმს ერთ-ერთ ყველაზე მნიშნელოვან საფრთხედ დასახელებულია ISIS. „კიბერტერორიზმი – კრიტიკულ ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაზე, საქართველოს სახელმწიფო მართვის და ბიზნესის მნიშვნელოვან სფეროებზე მზარდ დამოკიდებულებასთან ერთად იზრდება კიბერტერორიზმის საფრთხეები და მოსალოდნელი ზიანის მასშტაბები. თანამედროვე პერიოდში ტერორისტულ დაჯგუფებებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი რესურსები და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა, რომლებსაც აქტიურად იყენებენ საკუთარი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო", რომელიც რეგულარულად ახორციელებს კიბერშეტევებს ანტიტერორისტული კოალიციის წევრი სახელმწიფოების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების წინააღმდეგ". დოკუმენტში აღნიშულია, რომ „ისლამური სახელმწიფო" სხვადასხვა ქვეყნაში ტერორისტული აქტების დაგეგმვას ახორციელებს დისტანციურად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ხოლო სოციალური ქსელებისა და სხვა საკომუნიკაციო პლატფორმის მეშვეობით ეწევა ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით ახალგაზრდების მასობრივ გადაბირებას.

სტრატეგიის მიხედვით უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო აქტუალური ხდება მიზანმიმართულ საფრთხეთა ჯგუფების (Ad-

vanced Persistent Threat Groups – APTs) კიბერსივრცეში საქმიანობა, რაც არსებით საფრთხეს უქმნის ეროვნული უშიშროების ინტერესებს იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ჯგუფებს გააჩნიათ ძლიერი კიბერშეტევითი შესაძლებლობები და შეუძლიათ საკუთარი აქტივობების კომპლექსურად შენიღბვა. ისინი შესაძლოა იყვნენ როგორც დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო აქტორები, ასევე იმართებოდნენ უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ.

ტერორისტული ორგანიზაციებისა და სხვა არასახელმწიფო აქტორებიდან მომდინარე კიბერტერორისტული საფრთხესთან ერთად, დოკუმენტის მიხედვით, მნიშვნელოვანია ცალკეულ სახელმწიფოთა მიერ ორგანიზებული მიზნობრივი კიბერშეტევები „იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ფლობენ და მუდმივად ავითარებენ მნიშვნელოვან კიბერშეტევით შესაძლებლობებს“.

სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ „ამ კუთხით აღსანიშნავია რუსეთის ფედერაცია, რომელიც ფლობს შესაბამის საშუალებებს და მზად არის, მისთვის არასასურველი ქვეყნების მიმართ კიბერსივრცეში გამოიყენოს ტერორისტული მეთოდები აღნიშნულ სახელმწიფოთა მოსახლეობაზე ან ხელისუფლებაზე ზემოქმედების მიზნით. რუსეთის ფედერაციის კიბერტერორისტული საქმიანობის განსაკუთრებულად საშიში ხასიათი დასტურდება როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის მაგალითზე, ასევე, 2007 წელს ესტონეთის კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ განხორციელებული შეტევებით“.

დოკუმენტი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ამ სფეროში საქართველოს ძირითადი საფრთხე ემუქრება რუსეთის სპეციალური სამსახურებისგან, „რომლებიც რეგულარულად ახორციელებენ კიბერსადაზვერო საქმიანობას როგორც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი, ასევე სხვა სახის დახურული ინფორმაციის მოპოვების მიზნით“. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ „2011 წელს საქართველოს შესაბამისი სამსახურების მიერ გამოვლენილ

იქნა საკმაოდ დიდი მასშტაბის კიბერსადაზვერვო ოპერაცია – GEORBOT, რომელიც მიზნად ისახავდა სამხედრო სფეროს, ასევე, საქართველოს ხელისუფლებასა და ნატო-ს შორის არსებული ურთიერთობების თაობაზე ინფორმაციის მოპოვებას. სადაზვერვო ოპერაციის მთავარ სამიზნე ობიექტებს წარმოადგენდა საქართველოს მაღალი თანამდებობის პირების სამსახურებრივი გამოყენების ელექტრონული რესურსები, სადაც დისტანციურად განხორციელდა ჯაშუშური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებათა ინსტალაცია, რომლის მეშვეობითაც მუდმივად ხორციელდებოდა სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაციის გადინება. გატარებული ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ხსენებულ ოპერაციას ახორციელებდნენ რუსეთის ფედერაციის ფედერალური უშიშროების სამსახურთან დაკავშირებული პირები“ [31, 32].

ეროვნული უშიშროება, ინფორმაციული უშიშროება, კიბერუშიშროება

თანამედროვე ეტაპზე ეროვნული უშიშროების ერთიან სისტემაში მოიაზრება მრავალი კომპონენტი: ინფორმაციული უშიშროება; პოლიტიკური უშიშროება (შიდასახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უშიშროება, საგარეო-პოლიტიკური უშიშროება); ეკონომიკური უშიშროება (საფინანსო-საბიუჯეტო უშიშროება, სასურსათო უშიშროება და სხვ.); ენერგეტიკული უშიშროება; სამხედრო უშიშროება; საზოგადოებრივი უშიშროება; ეკოლოგიური უშიშროება; საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური უშიშროება.

ქვეყნის განვითარების სპეციფიკიდან და მოცემულ მომენტში წარმოქმნილი ან პოტენციური მუქარებიდან გამომდინარე ეროვნული უშიშროების შემადგენელ ელემენტებში შეიძლება მოაზრებული იყოს, აგრეთვე: სოციალური უშიშროება; ტექნოლოგიური უშიშროება; ადამიანის უფლებათა დაცვითი და მოქალაქეთა პი-

რადი უშიშროება; ჯანდაცვითი უშიშროება; გენეტიკური უშიშროება; დემოგრაფიული უშიშროება და სხვ.

ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის კონკრეტულ შინაარსს განსაზღვრავენ სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიაში ჩადებული სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრივი მშენებლობის პრიორიტეტული მიმართულებები. მთავარი ობიექტები, რისთვისაც ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის ფორმირება ხდება, არიან: 1. პიროვნება, მისი უფლებები და თავისუფლებები; 2. საზოგადოება (ერი), მისი მატერიალური და სულიერი ფასეულობები; 3. სახელმწიფო, მისი კონსტიტუციური წყობილება, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

ინფორმაციულ ეპოქაში, თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად იქცა ინფორმაციული უშიშროება. ინფორმაციული უშიშროება, როგორც საქმიანობის სახე და კვლევის საგანი, დიდი ხანი არაა რაც გაჩნდა. XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში, როდესაც აშშ-მ და ნატოს წევრმა სხვა სახელმწიფოებმა დაიწყეს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდების ფართოდ გამოყენება თავიანთი მოწინააღმდეგეების მიმართ ლოკალური ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

ინფორმაციული უშიშროება გულისხმობს ინფორმაციულ სფეროში ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცულობის მდგომარეობას, რასაც განსაზღვრავს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ბალანსირებული ინტერესების ერთობლიობა.

ინფორმაციული ომის შინაარსის სათანადოდ გაუაზრებლობა ხშირად იწვევს სახელმწიფოს საინფორმაციო პოლიტიკაში ხელისუფლების არაადეკვატურ სვლებს. მაგალითად, საქართველოს ხელისუფლებაში ინფორმაციული უშიშროების შესახებ მიღებული ნორმატიული დოკუმენტები და გაწეული საქმიანობა ყოველთვის არ ასახავს ჩვენი სახელმწიფოს ინფორმაციულ სფეროში ქვეყნის

ეროვნული ინტერესების დაცულობის უზრუნველყოფაში არსებულ რეალურ პრობლემებს.

დაახლოებით 2500 წლის წინ, ჩინელმა მხედართმთავარმა და სამხედრო თეორეტიკოსმა, სამხედრო ხელოვნების ტრაქტატის „ომის ხელოვნების“ ავტორმა, ***სუნ ძიმ*** თქვა: „საუკეთესო ომია - მტრის ჩანაფიქრის ჩაშლა“. მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ კარგად უნდა გქონდეს შესწავლილი მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი, უნდა გარკვეული იყო, როგორ და რანაირად გებრძვის, რა მეთოდებსა და რა ხერხებს იყენებს მტერი შენს წინააღმდეგ. თუ ამას ზერელედ ეკიდები და შენით იგონებ რაღაცეებს, ან სხვის ომში სხვების გამოყენებულ გამოცდილებას გაუაზრებლად იზიარებ, გარდუვალად გელის დამარცხება. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს ხელისუფლების მიღებული სამართლებრივი აქტები და ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფისათვის განხორციელებული პოლიტიკა.

ზერელე გაცნობითაც კარგად ჩანს, რომ 2000 წლის სექტემბერში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ***ვლადიმერ პუტინის*** ხელმოწერილ რუსეთის საინფორმაციო უშიშროების დოქტრინაში გამოკვეთილად წამყვანი ადგილი საინფორმაციო–ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებს უკავია. რუსეთის სპეცსამსახურებს ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით აქვთ დიფერენცირებული ინფორმაციული ომი წარმოება, იმის მიხედვით თუ როგორია შესაბამისი რეგიონის, სახელმწიფოს განვითარების, თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების ათვისება-გავრცელების დონე, შექმნილი სპეციფიკა. მაგალითად, ამ ეტაპზე, აშშ–თან მეტი ყურადღება ექცევა და პრიორიტეტულია კიბერშეტევები საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომთან შედარებით (ცხადია, სრულებით არ მცირდება მისი როლი და მნიშვნელობა). მაშინ როდესაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ამ ეტაპზე, არხიპრიორიტეტულია საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი, რადგანაც, ჯერ ერთი, მაგალითად, საქართველოში

თანამედროვე ინფორმაციული ომების წარმოების ტექნოლოგიები და ტექნოლოგიური ბაზა უკიდურესად ჩამორჩება რუსეთისას და, მეორეც, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომში რუსეთის მიერ გამოყენებული ინფორმაციული იარაღი და ბრძოლის მეთოდები ქართულ სპეციფიკაზე ნიუანსურადაა მორგებული. **საქართველოში ბატონობისა და რუსული სპეცსამსახურების საქმიანობის ორასწლოვანი გამოცდილების შედეგად, დღეს მსოფლიოში, მათ შორის თვით საქართველოშიც, რუსებზე უკეთ, ზედმიწევნით, ნიუანსურადაც კი, არავინაა მცოდნე ქართველების ფსიქიკის, ქცევის, ტრადიციების, კულტურული და სულიერი ღირებულებებისა ანუ რუსეთს ძალზე ეფექტურად შეუძლია გამოიყენოს ინფორმაციული იარაღით ზიანის მიყენების მთავარი ფაქტორი – ცნობიერებით მანიპულაცია** ანუ **საქართველოს მოსახლეობის ინდივიდუალურ, ჯგუფურ და მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების გზით მიაღწიოს სასურველ შედეგს** (იგივე ითქმის სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზეც). ასეთ ვითარებაში, რუსეთისგან თავდასაცავად, ჩვენთვის კიბერუსაფრთხოება ნამდვილად კი არის მნიშვნელოვანი (და აუცილებელად მოითხოვს ყურადღების გამახვილებას), მაგრამ ამ ეტაპზე არა ის განმსაზღვრელი. პატარა ანალიზია იმის გასარკვევად, რომ დღევანდელ ვითარებაში შედარებით იოლი შესაფასებელი და მოსაგვარებელია კიბერშეტევებით გათვალისწინებული უარყოფითი შედეგები და მტრის მიერ ქვეყნისთვის მიყენებული პირდაპირი ზარალი (მაგალითად, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფიზიკური დაზიანების გამოსწორება და ინფორმაციული რესურსების აღდგენა), ცხადია, ჩვენი ინფრასტუქტურისა და ტექნოლოგიური განვითარების დონიდან გამომდინარე.

მაგრამ, ამავე დროს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაცილებით ძნელი შესაფასებელია კრემლის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომში (საქართველოს მოსახლეობის ინდივი-

დუალურ, ჯგუფურ და მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედება) წაგების შედეგად მიღებული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ზარალი, აუნაზღაურებელი კოლოსალური დანაკარგებით. ამ დროს კი, ხელისუფლების მიერ ინფორმაციული უშიშროების უზრუნველსაყოფად არაკომპეტენტური, გაუაზრებელი აქცენტებისა და გაწეული არასწორი პოლიტიკის შედეგად საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილია მოქცეული ჩვენს წინააღმდეგ გამოყენებული რუსეთის ამ უმთავარესი იარაღის მოქმედების არეალში.

აი, ასეთ კატასტროფულად უმძიმეს ვითარებაში, რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებულ მიმდინარე ინფორმაციულ ომში, საქართველოს ხელისუფლების მიერ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ასპექტები არ არის პრიორიტეტული(?!) და აქცენტი კეთდება უმთავრესად კიბერუსაფრთხოებაზე. მაგალითად, 2012 წელს შეიმუშავებულ იქნა კანონპროექტი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, რომელშიც, ტერმინიც და შინაარსიც არ ასახავს რეალობას. კანონპროექტი ეხება მხოლოდ „კიბერუსაფრთხოების“ განხორციელების სამართლებრივ და ინსტიტუციურ საფუძვლებს, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას და არა იმ ამოცანებს, რაც დღეს დგას საქართველოს ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ანუ ლაპარაკია მის მხოლოდ ერთ კომპონენტზე ანუ ეს არ არის ადეკვატური პასუხი ჩვენი მოწინააღმდეგის მიერ ჩვენ წინააღმდეგ წარმოებულ ინფორმაციულ ომზე, რომელშიც უმთავრესი აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ მოახდინონ ქვეყნის მოსახლეობის ინდივიდუალურ, ჯგუფურ და მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედება.

2015 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“. მუხლი 11-ის მიხედვით. ინფორმაციული უშიშროების სფერო მოიცავს მხოლოდ კიბერუშიშროების საკითხებს და, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომზე, რასაც ჩვენი მოწინააღმდეგე ასე ეფექტურად აწარმოებს ჩვენს წი-

ნააღმდეგ. აქ უფრო საგრძნობია მოწინავე ქვეყნების მიერ მიღებული საკუთარი ტექნოლოგიური განვითარების შესაბამისი დოკუმენტების გაუაზრებელი კალკირება. არაა გათვალისწინებული ის, რომ ამერიკელებმა და სხვ. ეტაპობრივად გაიარეს გრძელი გზა და თვისობრივად და ხარისხობრივად ახლა ისინი განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფებიან, შესაბამისად, მათ წინაშე მდგარი მიზნები და ამოცანები სრულიად განსხვავდება საქართველოსაგან, რომელიც რუსეთის აგრესიული პოლიტიკის სამიზნეა.[69] მაგალითად, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები მართლაც წამყვანი სახელმწიფოა, დომინირებს მსოფლიოს საინფორმაციო სივრცეში, მაგრამ მარტივად მიუდგე საკითხს და ბრმად მიბაძო მას და სიღრმისეულად არ გაიაზრო არსებული პრობლემები და კონკრეტულად საქართველოს წინააღმდეგ რუსეთიდან რეალურად მომდინარე სპეციფიკური საფრთხეები და მუქარები დაუშვებელია.

ვინაიდან სწორედ პუტინის რუსეთისაგან გვიწევს თავდაცვა, შესაბამისად, უნდა შეიქმნას „ინფორმაციული უშიშროების დოქტრინა“ (კონცეფცია) და არა „ინფორმაციული უსაფრთხოებისა“ (რომელიც მხოლოდ კომპონენტია „ინფორმაციული უშიშროების“), რომელშიც სათანადო ადგილი დაეთმობა ინფორმაციულ უსაფრთხოებასაც (სისტემების, ქსელების, კომპიუტერების და სხვ. ვირუსებისაგან დაცვა), კიბერუშიშროების პოლიტიკის შემუშავებასა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფასაც, მაგრამ არ შეიძლება დოქტრინაში (კონცეფციაში) გვერდი აუაროთ საქართველოს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანებს:

---

[69] მაგალითად, აშშ–ს პრეზიდენტი ***რონალდ რეიგანი*** ცნობილია, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ წარმატებით წარმოებული დროის შესაბამისი საინფორმაციო–ფიქოლოგიური ომით. შემდგომში, ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ დაბადა ინფორმაციული ომის ახალი შემადგენელი – კიბერომი. ტექნოლოგიების კიდევ უფრო მაღალ დონეზე განვითარების კვალობაზე აშშ-ს მიერ წარმოებულ ინფორმაციულ ომში თანდათან წინაპლანზე წამოიწია კიბერომმა და კიბერუშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკამ.

- მოსახლეობის ფსიქიკის, სოციალური ჯგუფების, მოქალაქეების დაცვა დესტრუქციული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისაგან;
- ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის შესუსტების მიზნით, საქართველოს სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური ძალების მხრიდან, მოსახლეობის მიერ ინფორმაციის აღქმის პროცესებით მანიპულირების მცდელობებისათვის წინააღმდეგო-ბის გაწევა;
- საინფორმაციო სივრცეში (გლობალურ, რეგიონულ, სუბრეგიონულ, ეროვნულ და სხვ.) საქართველოს ეროვნული ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების დაცვა;
- ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი საქართველოს საზოგადოებრიობის დამოკიდებულების მუდმივი მონიტორინგი (საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკური მდგომარეობის, საზოგადოებრივი აზრის დიაგნოსტიკა).

ამრიგად, საჭიროა სათანადოდ იქნეს გაცნობიერებული თანამედროვე ინფორმაციული ომის შინაარსი და საბრძოლო არსენალი, რომლებიც მნიშვნელოვნად გააფართოვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების არნახულმა მიღწევებმა, განსაკუთრებით კი იმ ფაქტმა, რომ მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში ინფორმაციული ომის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი გახდა კიბერომი. შესაბამისად, დღეს ტერმინში „ინფორმაციული ომი“ მოიაზრება ორი ძირითადი შემადგენელი: საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომი და კიბერ ომი. თუ შესაბამისად იქნება გააზრებული განსხვავება ამ ორ შემადგენელს შორის, კერძოდ, რომ საინფორმაციო–ფსიქოლოგიური ომი ძირითადად გულისხმობს მასმედიის მიერ წარმოებულ მიზანმიმართულ პროპაგანდას, ხოლო კიბერომი ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებულ შეტევებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე, ასევე, მათ შინაარსსაც ღრმად ჩაწვდებიან, მაშინ ინ-

ფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფისათვის გატარებული პოლიტიკა ნაკლები ხარვეზებისა და შეცდომების მომცველი იქნება [10].

ერთი რამ ცხადია, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ინფორმატიზაციის დონე, მით მაღალია საფრთხის შემცველი რისკ-ფაქტორები, მიმართული ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებისა და მიზნების წინააღმდეგ [42].

ეროვნული უშიშროების სტაბილურობა ბევრად არის დამოკიდებული საერთაშორისო უშიშროების შემადგენელ თითოეულ ცალკეულ კომპონენტზე. დღეს ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი კომპონენტი სწორედ კიბერსივრციდან მომდინარე სხვადასხვა საფრთხეებია: კიბერომი, კიბერშეტევა და სხვ. სახის კიბერდანაშაულები. მათ შეუძლიათ სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენოს ეროვნული უშიშროება და ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები.

ინფორმაციული ომის (კიბერომის) სამართლებრივი ასპექტები

ცნება ინფორმაციული ომი არაერთმნიშვნელოვანია. ფართო გაგებით თუ მივუდგებით ამ ცნებაში შეიძლება მოვიაზროთ მოწინააღმდეგეზე ნებისმიერი ინფორმაციული ზემოქმედება. ეს მოწინააღმდეგე კი შეიძლება იყოს სახელმწიფოც. ამგვარი დაპირისპირება შეიძლება იყოს ნებისმიერ სუბიექტებს შორის, როგორც კერძო, ისე საქვეყნოც. ამიტომ ასეთ ომში მხარეებია: ფიზიკური პირები და ადამიანთა ჯგუფები, იურიდიული პირები თუ სახელმწიფოები, მოქმედნი ინდივიდუალური წესით თუ ორგანიზებულად, სპონტანურად თუ შეთანხმებით. ადრე ასეთ ზემოქმედება მოიხსენიებოდა, როგორც პროპაგანდა ან იდეოლოგიური ომი. მაგრამ ინტერნეტის გაჩენისა და კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენების გაფართოებამ, მკვეთრად გაზარდა

ამგვარი ზემოქმედების მონაწილეთა, აგრეთვე მისი სახეებისა და ფორმების მრავალფეროვნება. ასეთი ზემოქმედება შეიძლება იყოს მიმართული თავაცვისუნარიანობის სისტემის, დახურული ინ-ფორმაციის, საბანკო-საფინანსო სისტემის, ნავიგაციის სისტემების წინააღმდეგაც, ანუ სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების შემად-გენელი ობიექტების წინააღმდეგ. უდავოა, რომ ასეთი ზემოქმედე-ბის შეზღუდვა და ამისთვის პასუხისმგებლობის შემოღება არის სამართლებრივი რეგულირების ობიექტი, მათ შორის, საერთაშო-რისო-სამართლებრივისაც, მაგრამ ამჯერად ვეხებით ინფორმაციუ-ლი ომების რეგულირების პრობლემას ვიწრო გაგებით.

ვიწრო გაგებით, ეს სამხედრო კონფლიქტების წარმოების ახა-ლი სახე ან წესია, რომელიც ბოლომდე არ ჯდება საერთაშორისო-სამართლებრივ კვალიფიკაციაში. როგორც აშშ-ს სამხედრო-საჰაე-რო ძალების ინფომაციული ოპერაციების 23-ე ესკადრელიის მეთა-ური, კიბერომების ექსპერტი ***გრეგორი რატრეი*** (Gregory J. Rattray) მიუთითებს, ერთი მხრივ, თვით ცნება „სამხედრო კონფლიქტი“ ამით ერთგვარად კი „მქრქალდება“, მაგრამ ინფორმაციული ომის რეალური შედეგები შეიძლება იყოს არსებითი, მოიტანოს მნი-შვნელოვანი მსხვერპლი და ნგრევა [35]. ერთი რამ ცხადია, ამგვარ კონფლიქტებმა შეიძლება მიგვიყვანოს სხვა კონტინენტზე მყოფის, პროცესორითა და კლავიატურით შეიარაღებული სამოქალაქო პი-რების სტატუსის გარკვევისა და მათ მოქმედებაზე კონტროლის პრობლემასთან. შეიარაღებული კონფლიქტის წარმოების მოცემუ-ლი ხერხი წარმოშობს იმავე პრობლემებს, როგორსაც კლასიკური კონფლიქტი: გამიჯვნა ობიექტებად და პირებად; ვინ ჩაითვალოს ასეთი ომის მონაწილედ და როგორ თვისებები უნდა ახასიათებ-დეს კომბატანტს;[70] არიან თუ არა ტრადიციული იარაღის სახეებით

[70] კომბატანტი (Combatant) – საერთაშორისო სამართალში: მეომარი მხარის შეიარა-ღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირი (მედიცინის მუშაკების, ინტენ-დანტებისა და მისთ. გამოკლებით). ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციებში, ჟენევის 1949 წლის კონვენციასა და 1977 წლის დამატებით ოქმებში ომის მსხვერპ-ლთა დაცვის შესახებ განსაზღვრულია კომბატანტთა წრე, ესენია: სახმელეთო, სამ-

თავდასხმის ობიექტები ასეთი კომბატანტები; მიიღებენ თუ არა ისინი სამხედრო ტყვის სტატუსს და სხვ. [36]. სხვა საკითხია – არის თუ არა ინფორმაციული ომი შეიარაღებული კონფლიქტი, თუ ის მიმდინარეობს „არაკლასიკური ომის“ სახით, თუ ის შეიარაღებული კონფლიქტის მხოლოდ ნაირასახეობაა, ხოლოს ყველა სხვა შემთხვევაში ის „არასამხედროა“, შეიარაღებული კონფლიქტის ჩარჩოს მიღმაა, არამეგობრული მოქმედებაა. წარმოშობს თუ არა ასეთი მოქმედება საერთაშორისო-სამართლებრივ პაუხისმგებლობას? ვინ არის მხარე ამგვარ კონფლიქტში – ტრადიციული მხარეები თუ არა?

ცხადია, რომ საკითხების მთელი ჩამონათვალი შეუძლებელია სალექციო კურსში იქნას განხილული. ამიტომ, აქ გაკეთებულია „ინფორმაციული ომის“ მხოლოდ დეფინიციის ანალიზი, განხილულია ამ მოვლენის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები და ინფორმაციულ ომებზე საერთაშორისო-სამართლებრივი ზემოქმედების თავისებურებები, პირველ ყოვლისა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კონტექსტში.

ინფორმაციული ომის პრობლემატიკა, როგორც კვლევის დამოუკიდებელი ობიექტის ხარისხში, ისე საერთაშორისო სამართალთან შეფარდებით, საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული იურიდიულ და სამხედრო სამეცნიერო ლიტერატურაში [37]. მათში შესწავ-

---

ხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობა, პარტიზანები და მოხალისეები, რომლებიც ღიად ატარებენ იარაღს, იცავენ ომის კანონებსა და ჩვეულებებს, ჰყავთ პასუხისმგებელი სამხედრო ხელმძღვანელი; მოსახლეობა, რომელიც იარაღით ხელში იცავს თავს დამპყრობელისაგან, სამხედრო ხომალდების ეკიპაჟები. კ-ები უნდა განსხვავდებოდნენ სამოქალაქო მოსახლეობისაგან, კერძოდ, ღიად უნდა ატარებდნენ ფორმას, ჰქონდეთ შორი მანძილიდან ამოსაცნობი განმასხვავებელი ნიშანი. მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების ხელში მოხვედრილი პირი, რომელიც სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობდა, სამხედრო ტყვედ ითვლება და შესაბამისად სარგებლობს დაცვის უფლებით (1977 წლის I დამატებითი ოქმის 45-ე მუხ.). საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით კ-თვის გათვალისწინებყულია დაცვის სპეციალური მექანიზმი. კ-ები ტყვეობაში სარგებლობენ სამხედრო ტყვის სტატუსით. კ-ის სტატუსით არ სარგებლობენ ჯაშუშები და დაქირავებული პირები. კ-ის ცნება განსხვავდება მფარველობაში მყოფი პირები ცნებისაგან.

ლილია „ინფორმაციული ომის“ ცნების განსაზღვრება, მისი სახეების კლასიფიკაცია, ინფორმაციული იარაღის ცნება და სახეები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების გამოყენება ინფორმაციული ომების მიმართ.

ცნების „ინფორმაციული ომი“ ანალიზს აკეთებენ სამხედროები, იურისტები, პოლიტოლოგები, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტები, მათში ლაპარაკია სახელმწიფოთა სამხედრო დოქტრინებზე. ინფორმაციული ომის ყველაზე ფართო და დემილიტარიზებული (რომ არ ასოცირდება შეიარაღებულ კონფლიქტთან) გააზრება დაკავშირებულია მის განმარტებასთან, სისტემების ერთმანეთზე როგორც აშკარა ან დაფარულ მიზანმიმართულ ზემოქმედებასთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ სფეროში გარკვეული მოგების მიზნით.

ინფორმაციული ომის ამგვარი განმარტების ჩარჩოებში, ჩვეულებრივ გამოყოფენ ორ სხვადასხვა მიდგომას. პირველის მიხედვით, სისტემების ურთიერთქმედების მიზანია მოახდინონ მართვის სისტემის დეზორგანიზაცია, შეიარაღების სისტემაზე ზემოქმედება, მათ შორის, მტრული სახელმწიფოების ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ინფორმაციულ რესურსებზე, და დაიცვას საკუთარი ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შესაბამისი ელემენტები ანალოგიური ზემოქმედებისაგან.

მეორე მიდგომა უფრო უნივერსალურია და გვთავაზობს ურთიერთქმედებას სხვადასხვა ინფორმაციული ტექნოლოგიების (ინფორმაციული იარაღის) საშუალებით, არა მარტო სამხედრო ინფრასტრუქტურასა და კადრებზე, არამედ მტრული სახელმწიფოს მთელ მოსახლეობაზე. ინფორმაციული იარაღი არის სხვა არაფერი, თუ არა, როგორც ზემოქმედების ალგორითმი ან მეთოდიკა გარედან ზემოქმედების ქვეშ მყოფი ინფორმაციული სისტემაზე.

არის მესამე მიდგომაც, ინფორმაციული ომი შეიძლება გავიგოთ, როგორც მხოლოდ და მხოლოდ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოსახლეობაზე.

ინფორმაციული ომის კატეგორიასთან ერთად განიხილავენ ინფორმაციულ იარაღსაც. ძირითადად, გამოყოფენ მის სამ სახეს. მისი კლასიფიკაციის მიხედვით, პირველი სახე არის კიბერნეტიკულ სისტემებში ინფორმაციის დისტანციური განადგურების ან დაზიანების სისტემა (კომპიუტერული ვირუსები, ლოგიკური ბომბები). მეორე სახეა, დაშორებული კომპიუტერში არასანქცირებული წვდომისა და ინფორმაციის მოპარვის სისტემა (ელექტრონული ჯაშუშები). იარაღის მესამე სახეა, გლობალურ კიბერნეტიკულ სისტემასთან მომუშავე მომხმარებელის ფსიქიკაზე ზემოქმედების კომპლექსური სისტემა (მულტიმედიური საიტები).

ინფორმაციული ომი შეიძლება წარმოებდეს შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში (და მისი დაწყების წინ). დონეების მიხედვით იგი შეიძლება მოიცავდეს ზემოქმედებას: მოსახლეობაზე; მართვისა და შეიარაღების სისტემებზე, კომპლექსურ ზეგავლენაზე. სწორედ ზემოქმედების მესამე დონე შეთავსებული მაღალ ინტენსივობასთან გვაიძულებს ვისაუბროთ შეიარაღებული კონფლიქტის განსაკუთრებულ სახეზე, ინფორმაციულ ომზე. მესამე დონის ზემოქმედების მაგალითად გამოდგება ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში“, რომელმაც თვალსაჩინო გახადა, რომ ინფორმაციული ზემოქმედების მრავალგეგმიანი მეთოდების კომპლექსურად და შეწყობილად გამოყენება არსებით გავლენას ახდენს უშუალოდ სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობაზე. მოცემულ ოპერაციაში გამოყენებულ იქნა ინფორმაციული გავლენის პრაქტიკულად ყველა მეთოდი და საშუალება: ლოგიკური ბომბები (სამანქანო-ტექნიკური სისტემების ინფოსფეროს განადგურება), დეზინფორმირება (ერაყის არმიის სამხედრო ხელმძღვანელობის შეცდომაში შეყვანა), პროპაგანდა (გაერთიანებული ძალების ჯარის ფსიქოლოგიური მომზადება), ინფორმაციული გავლენა მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრის ფორმირებაზე (მსოფლიოს საზოგადოებრიობის თვალში ერაყის აგრესორად წარმოჩენა).

დგება საკითხი, როგორ შეეფარდება ცნება ინფორმაციული ომი ცნებასთან შეიარაღებული კონფლიქტი, და საკუთრივ ინფორმაციულ ომისათვის, რამდენადაა დამახასიათებელი შეიარაღებული კონფლიქტის ნიშნები? ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ტერმინ „ინფორმაციული ომის“ გამოყენება ატარებს უაღრესად ემოციურ ხასიათს. მისი გამოყენება ხაზს უსვამს ინფორმაციის მნიშვნელობას სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთქმედებისათვის, ინფორმაციულ სფეროში დაპირისპირების გამძაფრებისათვის. ინფორმაციული ომი ამ ავტორების აზრით, შეუძლებელია კიდევ იმიტომ, რომ აქ არ არის ომისათვის ჩვეული მთელი რიგი მახასიათებელი ინსტიტუტები, როგორებიცაა: ომის გამოცხადება, ზავის დადება, სამხედრო მდგომარეობა, იარაღი და სხვ. ამ მოვლენის დასახასიათებლად ყველაზე შესაფერის ტერმინად მათ მიაჩნიათ „ინფორმაციული ბრძოლა“.

ჩვენი აზრით, ესაა მიდგომა, რომელიც გეზს იღებს შეიარაღებული კონფლიქტის დამახასიათებელ, მაგრამ არა აუცილებელ ნიშნებზე (საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში არ არსებობს „ომის“, „შეიარაღებული კონფლიქტის“ ლეგალურად დამკვიდრებული განმარტება), აყენებს მას ყველაზე მაღლა ომის (შეიარაღებული კონფლიქტის) ინფორმაციულ ომთან შედარებისას. გარდა ამისა ასეთი თეზისები ინფორმაციულ ომებში დამახასიათებელი ნიშნების არ არსებობა საკამათოა იმიტომაც, რომ იგი არ ითვალისწინებს ასეთი ნიშან-თვისებების თანამედროვე განმარტებებს.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აცნობიერებს თანამედროვე ეპოქაში ომის ინფორმაციული შემადგენლის, ასევე ახალი სახის იარაღის, ინფორმაციული იარაღის მნიშვნელობასა და არსებითობას. აშშ-ში ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს ინფორმაციული ომის წარმოების სტრატეგიის ფორმირება. მაგალითად, ჩინეთის სამხედრო დოქტრინა აღიარებს ინფორმაციული ომების არსებობას და მას განიხილავს ფართო და ვიწრო

გაგებით. ვიწრო გაგებით, ესაა საველე ინფორმაციული ომი, ანუ საბრძოლო მოქმედება ჯარების მართვის სფეროში. ფართო გაგებით, ინფორმაციული ომი არის საბრძოლო ფართომასშტაბიანი მოქმედება ინფორმაციული შემადგენლის სიჭარბით, რომელსაც ახასიათებს მისი გამოყენება სპეციალურად განკუთვნილი მაღალი სიზუსტის იარაღისა და საჯარისო ფორმირებების გასაძღოლად. ამრიგად, ინფორმაციული ომი განმარტებულია, როგორც საბრძოლო მოქმედების წარმოების ერთ-ერთი ხერხი. ჩინური დოქტრინა სპეციფიკურია, მაგრამ არა უნიკალური.

საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და სხვა სახელმწიფოები, ასევე აქტიურად ავითარებენ საკუთარ თავდასხმისა და თავდაცვის ინფორმაციულ სტრატეგიებს და ინფორმაციული ომის, როგორც შეიარაღებული კონფლიქტის სახის ან ნაწილის არსებობა ამ ქვეყნებში ეჭვს არ იწვევს.

საინტერესოა მოცემული პრობლემისადმი ფრანგული მიდგომა. ფრანგი ექსპერტები მხარს უჭერენ ინფორმაციული ომის კონცეფციას, რომელიც მოიცავს ორ მთავარ ელემენტს: სამხედროს და ეკონომიკურს (სამოქალაქოს). სამხედრო ელემენტი განიხილება შეიარაღებული კონფლიქტებისა და სამშვიდობო ოპერაციების კონტექსტში, ხოლო ეკონომიკური მოიცავს ინფორმაციული ოპერაციების პოტენციური გამოყენების უფრო ფართო დიაპაზონს.

ჩვენი აზრით, სწორედ „ინფორმაციული ომის“ ცნების შემადგენლების ამგვარი გამოყოფა იძლევა შესაძლებლობას ასე თუ ისე გადაიჭრას კამათი ინფორმაციული ომების ბუნების მიმართებით და დადებითად გადაწყდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების გამოსაყენებლობის საკითხი ინფორმაციული ომებისა და კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების რეგულირებისათვის.

ქვეყნებში, სადაც ამუშავებენ საინფორმაციო სამხედრო სტრატეგიებს, სამართლიანად სვამენ კითხვას იმის შესახებ, რომ წარმოებდა კი უწინ ინფორმაციული ომები? საყოველთაოდ მიღებუ-

ლად ითვლება, რომ პირველი ინფორმაციული ომი იყო 1991 წელს აშშ-სა და ერაყს შორის სპარსეთის ყურეში. ბევრი სამხედრო სპეციალისტი ამ ომს მოიხსენიებდა გარდამტეხ ეტაპად სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის განვითარების გზაზე, სამხედრო ავიაციისა და რაკეტების არაპროპორციული გამოყენების გამო სახმელეთო ოპერაციებთან შეფარდებით. ექსპერტები ამ ომს თვლიან გარდამტეხად იმის გამო, რომ ის იყო პირველი ინფორმაციული ომი. ამ ცნებაში მოიაზრება ინფორმაციული იარაღის (მაგალითად, კავშირგამბულობის, მოწინააღმდეგის სალოკაციო შესაძლებლობების დამაზიანებელი კომპიუტერული პროგრამები და სხვ.), თვითდამიზნებადი რაკეტების, ფართო დეზინფორმაციის და სხვ. გამოყენება.

ინფორმაციული ომების ნაირსახეობაა ხაკერული ან ინტერნეტომები. თავისთავად ეს ზემოქმედება არის ინფორმციულ სისტემებში შეღწევა მათი დაზიანების, არასწორად ფუნქციონირების მიზნით და სხვ., აგრეთვე ამგვარი მოქმედებებისაგან დაცვა. სხვა დაპირისპირებების ფორმებისა და საშუალებებისაგან განსხვავებით ინფორმაციული დაპირისპირება მიმდინარეობს მუდმივად მშვიდობიან დროს და გავლენას ახდენს პირდაპირი და უშუალო სახით გავლენას ახდენს სამხედრო მოქმედებათა მომზადებისა და წარმოების პრაქტიკულად ყველა მხარეზე ომის დროს. გლობალური კომპიუტერული ქსელის ხელმისაწვდომობა იძლევა შესაძლებლობას გადაიცეს აუცილებელი ინფორმაცია მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში. ამგვარად, შეიძლება შეასრულო ამოცანები, რომლებიც ინფორმაციულ დაპირისპირებასთანაა დაკავშირებული.

ახლა უკვე ასეთი კონფლიქტების რეგულირება შეიძლება ინფორმაციული უშიშროების სამართლით. აქ ცენტრალური ადგილი უკავია გაერო-ს გენერალური ასამბლიის მიერ მიღებულ რეზოლუციებს.

განვიხილოთ „ცივი“ ინფორმაციული ომის საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები შეუიარაღებელი კონფლიქტისა და მისი

კვალიფიკაცია საერთაშორისო სამართლის მიხედვით შეიარაღებული კონფლიქტის სახით. ამჟამად, ამგვარი მოქმედება აკრძალულია ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმების დონეზე (სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი), მაგრამ ინფორმაციული ჩაურევლობის აკრძალვასთან დაკავშირებული დაკონკრეტებული ნორმები საერთაშორისო სამართალში არ არსებობს.

იდეოლოგიური ჩარევის აკრძალვის მცდელობის აკრძალვა არსებობდა საერთაშორისო დონეზე. გაეროს მიერ აგრესიის განსაზღვრების შემუშავებისას. ჯერ კიდევ სსრკ-ამ 1953 წელს წამოაყენა განსაზღვრებათა პროექტი, რომელიც მოიცავდა ისეთ ფორმებსაც, როგორიცაა იდეოლოგიური აგრესია. პროექტის მიხედვით, სახელმწიფო მიიჩნეოდა იდეოლოგიური აგრესიის აქტის ჩამდენად, იმ შემთხვევაში, თუ ის „ა) წაახალისებს ომის პროპაგანდას; ბ) წაახალისებს ატომური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური და მასობრივი განადგურების სხვა სახის იარაღის გამოყენებას; გ) ხელს უწყობს ფაშისტურ-ნაცისტური შეხედულებების, რასობრივი და ეროვნული განსაკუთრებულობის, სიძულვილსა და სხვა ხალხების აბუჩად აგდების პროპაგანდას“. მაგრამ ამ პროექტს ჰქონდა საბჭოური პროპაგანდის ხასიათი, რადგან გარკვეული იდეებისა და შეხედულებების პროპაგანდა აგრძალულია საერთაშორისო სამართლის სპეციალური ნორმებითაც. მაგრამ ინფორმაციული (იდეოლოგიური) ზემოქმედება შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლით აკრძალულ იდეებსა და შეხედულებებს, ამას ხომ შეიძლება მოჰყვეს ნეგატიური სოციალური და ეკონომიკური შედეგები. ასეთი ინფორმაციული ზემოქმედება უცხო სახელმწიფოთა მოსახლეობაზე ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებებით წარმოადგენს ჩაურევლობის პრინციპის დარღვევას და შეიძლება მოიტანოს ნეგატიური სოციალური შედეგები. ამგვარი ზემოქმედებასთან მიმართებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეთი ზემოქმედების საშუალებებს. ისინი შეიძლება იყოს,

როგორც სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ისე მის გარეთ. პირველი ჯგუფის მიმართ სახელმწიფომ შეიძლება მიიღოს ზემოქმედების ზომები მასმედიაზე კონტროლის გზით, ხოლო მეორე შემთხვევაში – არა. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ინტერნეტი, ტელე და რადიო მაუწყებლობა. ტოტალიტარული სახელმწიფოები, როგორც წესი, ზღუდავენ გარედან ზემოქმედებას, მაგალითად, მტრული ხმების ჩახშობა სსრკ-ში, ინტერნეტის აკრძალვა კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ინტერნეტის გაჩენამ „საინფორმაციო-იდეოლოგიური“ ომები გადაიყვანა სხვა სიბრტყეში, როდესაც ძალიან რთულია გააკონტროლო ზემოქმედების წყარო.

პრობლემის მეორე ასპექტია, როდესაც ასეთი ზემოქმედება ხორციელდება არა უცხო სახელმწიფოს მოსახლეობის მიმართ, არამედ მესამე სახელმწიფოზე და მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობაზე უცხო სახელმწიფოთა მიერ გატარებული პოლიტიკის დისკრედიტაციის მიზნით. საერთაშორისო სამართალში ასეთ ქმედებაზე არ არსებობს პირდაპირი აკრძალვა, თუმცა სავსებით შეიძლება ჩაითვალოს ისინი ინფორმაციულ ომად.

ინფორმაციული ომის დაყვანა მატოოდენ საინფორმაციო-იდეოლოგიურ ზემოქმედებამდე, ჩვენი აზრით, მიზანშეუწონელია, ახალი საშუალებების (ინტერნეტის) გამოჩენით, ასეთი ზემოქმედება არსებითად არ შეცვლილა, განსხვავებით, ინფორმაციულ სისტემებზე უფრო გლობალური და მასობრივი ზემოქმედებისაგან.

გარკვეული ანალოგია ჩანს ეკონომიკური აგრესიის საერთაშორისო-სამართლებრივ აკრძალვის მცდელობასთან. ჯერ კიდევ გაეროს წესდების მიღების დროს ბრაზილიამ წამოაყენა წინადადება გაეროს წესდების მე-2 მუხლს დამატებოდა აკრძალვა ეკონომიკური მუქარების შესახებ. ეს წინადადება ვერ გავიდა. ამრიგად, იმ მომენტში მსოფლიოს სახელმწიფოებმა აჩვენეს, რომ ისინი არ იყვნენ მზად ისევე სერიოზულად მიეღოთ ეკონომიკური, და სხვა

რომელიმე (მათ შორის, ინფორმაციული) მუქარა, როგორც სამხედრო.

წინადადება გაეროს წესდების მე-2 მუხლი დამატების შესახებ, აგრეთვე „სამხედრო კონფლიქტის“ ცნების გაფართოების დოქტრინალური მცდელობები წააგავს ტერმინ „აგრესიის“ საერთაშორისო შეთანხმების პროცესს. მაგალითად, 1953 წელს სსრკ-ამ მიმართა წინადადებით მსოფლიო საზოგადოებრიობას მკაფიოდ ჩამოეყალიბებინათ სახელმწიფოების აგრესია, რომელთაგანაც სამხედრო ფორმად მიჩნეული სამი არ ითვლებოდა აგრესიად. როგორც აღინიშნა, საუბარი იყო, როგორც იდეოლოგიური, ისე ეკონომიკური აგრესიის შესახებ. მსოფლიო გაერთიანებამ ასეთი ფორმულირება არ აღიარა. ამასთან, ეკონომიკური იძულების მიმართ გაეროს გენერალური ასამბლიის მიერ გამოხატული იყო უარყოფითი პოზიცია, როგორც შიგა საქმეებში ჩარევის ერთ-ერთი ფორმის შესახებ, მათ შორის, 1965 წელს შიგა საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის შესახებ დეკლარაციის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვითაც „არ აქვს არცერთ სახელმწიფოს უფლება გამოიყენოს ან წაახალისოს ეკონომიკური, პოლიტიკური ან ნებისმიერი სხვა სახის ზომები სხვა სახელმწიფოს იძულების მიზნით, იმისათვის, რომ მიაღწიოს მის დამორჩილებას მათ მიერ საკუთარი სუვერენული უფლებების განხორციელების დროს ან მიიღოს მისგან სხვა სახის უპირატესობა“. უნდა აღინიშნოს, რომ თუ მიზანი მართლზომიერია, მაგალითად, სახელმწიფოსგან მიღწეულ იქნას საკუთარ თავზე აღებული ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ვალდებულებების შესრულება, მაშინ, ასეთი ზემოქმედება დასაშვებია და შესაძლებელია (დამოუკიდებლად იმისა, ვინ ახორციელებს მას), და არ არის ჩაურევლობის პრინციპის დარღვევა. არის თუ არა დარღვევა გარედან ინფორმაციული ზემოქმედება თუ არ არსებობს საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევა, ერთი მხრივ, არის სახელმწიფოს შინაგანი უფლებების დარღვევაც, როგორც ამას შეიძლება ჰქონდეს ადგილი ფაუნისა და ფლორის დაცვის საერთაშო-

რისო ეკოლოგიური ორგანიზაციების მიერ წარმოებული მასობრივი ინფორმაციული კამპანიის შემთხვევაში (მაგალითად, გადამფრენი ფრინველებზე ნადირობის აკრძალვის შესახებ კამპანია საქართველოში)? არის კი ასეთი ზემოქმედება ინფორმაციული ომი სუბიექტური შემადგენლისა და მიზნების თვალსაზრისით? ჩვენი თვალსაზრისით, არა.

ჩვენი აზრით, საუბარი ინფორმაციული ომის შესახებ იმ შემთხვევაში შეიძლება თუ ინფორმაციული ომის მიზანია აიძულოს სხვა სახელმწიფო, რომ დამორჩილდეს საკუთარი სუვერენული უფლებების განხორციელებისას ან მიიღოს მისგან სხვა სახის უპირატესობა. ეკონომიკური და იძულების სხვა ფორმების საერთაშორისო-სამართლებრივი რეგლამენტაციის განსაკუთრებულობა გვაძლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ აღწერილი ფორმატის ინფორმაციული ომები უახლოეს დროში არ იქნება საერთაშორისო სამართლით უშუალოდ რეგულირებული სამხედრო კონფლიქტის დამოუკიდებელი სახის ხარისხში. ამის მიზეზია ის, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ცნობიერება მზად არაა აღიაროს ტერმინების „ომისა“ და „სამხედრო კონფლიქტის“ გაფართოება, გამოყოს მისი ახალი სახეები.

„ცხელი“ ინფორმაციული ომების წარმოების შემთხვევაში, მოწინააღმდეგის ინფორმაციულ სისტემებზე მაღალხარისხიანი ზემოქმედების ომების, იბადება კითხვა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების შესახებ. სხვა პოზიციები ინფორმაციული ომის, როგორც ომისა და სამხედრო კონფლიქტის უარყოფაში, არაა ძალიან კატეგორიული.

ჩვენი აზრით, ვის როგორც არ უნდა ესმოდეს, ინფორმაციული ომი ყოველთვის უნდა დარჩეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჩარჩოებში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჟენევის სამართალიც, და ჰააგის სამართალიც უნდა იქნას გამოყენებული ინფორმაციული ომების წარმოების დროს.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლი გამოყენებული იქნა აშშ-ერაყის ომში, ხოლო ომით დაზარალებულებს (მსხვერპლს) იცავდა 1949 წლის ჟენევის კონვენცია. რამდენადაც ეს ომი, თავის მხრივ, იყო პირველი და მისი ინფორმაციული შემადგენელი იწყებდა მნიშვნელოვანი როლის შესრულებას მთლიანად შეიარაღებულ კონფლიქტში. ვთვლით, რომ სწორედ ამის გამო არ გამოუწვევია განსაკუთრებული კამათი ომის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენებას. ამის გარდა, იმ ომის „ინფორმაციულობის" ერთ-ერთი მთავარი ელემეტი იყო თვითდამიზნებადი რაკეტები, ხოლო მათი გამოყენება, როგორი პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ხელს უწყობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი დებულებების რეალიზაციას. მაგალითად, აშშ-ს სამხედრო-საზღვაო კოლეჯის საერთაშორისო სამართლის შემსწავლელი ცენტრის დირექტორი, პროფესორი ***მიხაელ ნ. შმიდტი*** (Michael N Schmitt) თვლის, რომ **ინფორმაციული ეპოქის იარაღი (ანუ ის, რომელსაც შეუძლია ამოიცნოს გასანადგურებელი ობიექტი), სწორედაც, რომ ხელს უწყობს სამოქალაქო და სამხედრო ობიექტების განსხვავებულობის პრინციპის დაცვას. იარაღის მოქმედების შერჩევითობა – აი, რა მიიღწევა ახალი ტიპის იარაღის დახმარებით.** ამრიგად, მხოლოდ ადამიანის ბოროტ განზრახვას შეუძლია თვითდამიზნებადი იარაღის დახმარებით გაანადგუროს სამოქალაქო ობიექტი [38].

მეტი კითხვა ჩნდება იმ იარაღის გამოყენების შემთხვევაში, რომლებიც არის საკუთრივ ინფორმაციული (ზიანის მომტანი კომპიუტერული პროგრამები, ლოგიკური ბომბები და სხვ.). რა იქნება, **თუ ასეთი ინფორმაციული იარაღი მიმართული იქნება არა სამხედრო ობიექტებზე, არამედ იმაზე, რომლებიც ტრადიციულად იმყოფება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის ქვეშ?** იქნება კი ეს სწორედ ჰუმანიტარული სამართლის დარღვევა და შესაძლებელი იქნება ასეთი ობიექტების მათი დახმარებით დაცვა?

სხვა სახის იარაღის გამოყენებასთან შედარებით, ინფორმაციულ ქსელებზე თავდასხმის ორგანიზაცია არ საჭიროებს მნიშვნელოვან მატერიალურ რესურსებს. ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს უწოდებენ მასობრივი განადგურების იარაღს არა მისი გამანადგურებელი ენერგიის მოცულობის გამო, რომელიც მისი გამოყენების დროს გამოიყოფა, არამედ მის მიერ გამოწვეული დანაკარგების რაოდენობისა და მოქმედების არაშერჩევითობის გამო. ჩვეულებრივი შეიარაღების ფართომასშტაბიანი გამოყენება, ასევე იწვევს სერიოზულ ზარალს.

მიუხედავად ინფორმაციული შეტევის ბუნებისა, რომელიც არ მოითხოვს მნიშვნელოვან ძალების გამოყენებას, **ატომური ელექტროსადგურის ციფრული კონტროლის სისტემის მწყობრიდან გამოყვანა ასეთივე მასშტაბური შედეგების მომტანია**. ამ სახის ინფორმაციული შეტევების თავიდან აცილებს მნიშვნელობა საგრძნობია და უდავოა.

სამწუხაროდ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ჯერ არ შეუმუშავებია ერთიანი დოქტრინა, რომელიც ინფორმაციული ომების საერთაშორისო-სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებულ კითხვებს ერთმნიშვნელოვნად გასცემდა პასუხებს. საერთაშორისო ურთიერთობების იურისტების უმრავლესობა არ ხდის სადავოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სავალდებულოდ გამოყენებას ახალი თაობის სამხედრო კონფლიქტებში, რომელთაც აკუთვნებენ ომს სპარსეთის ყურეში. მაგრამ, აზრი იყოფა, როდესაც ლაპარაკია საკუთრივ ინფორმაციულ ომებზე, უშუალოდ ტრადიციული შეიარაღების გამოყენების გარეშე.

ატომურ ელექტროსადგურზე თავდასხმის ზემოთ მოხმობილი მაგალითი უმრავლესობის მიერ გადაიჭრება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების სასარგებლოდ, თუ არსებობს სახელმწიფოებს შორის რეალური სამხედრო კონფლიქტი (ანუ დროში გაგრძელებული კონფლიქტი) და მნიშვნელოვანი

ფიზიკური დანაკარგები, როგორც მატარიალურ, ისე ადამიანურ განზომილებაში.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ინფორმაციული იარაღი ცალკე იქნება გამოყენებული, იქნება ომის ერთადაერთი იარაღი, უკიდურესად რთული იქნება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების გამოყენების მცდელობა. ასეთი სახის კონფლიქტებს მივყავართ პროცესორითა და კლავიატურით შეიარაღებული სამოქალაქო პირების (შეიძლება, სულაც სხვა კონტინენტზე მყოფის) სტატუსის განსაზღვრის პრობლემამდე.

სამწუხაროდ, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლში სერიოზული ცვლილებები ხდება მხოლოდ დიდი მსხვერპლის შემდეგ და ამიტომ ახალი სახის ომის აღქმა და მათ მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენებულობას, ეტყობა ადგილი ექნება მხოლოდ ფართომასშტაბიანი ინფორმაციული ომების შემდეგ.

მაგრამ ახლა უკვე აუცილებელია ყურადღების კონცენტრირება კონფლიქტებში ინფორმაციული იარაღის გამოყენებაზე, რომლებსაც გააჩნიათ მხარეთა აქტიურობის უფრო მეტი ტრადიციული ფორმებიც. ასეთი კონფლიქტებს, როგორც ზემოთ ითქვა, ბევრი მეცნიერი უწოდებს ინფორმაციულს, მაგრამ ისინი ვარაუდობენ სხვადასხვა სახის იარაღისა და სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებას.

პირველ რიგში, საჭიროა დავაზუსტოდ, რომ აუცილებელია ასეთი კონფლიქტებისადმი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება. შეიძლება კითხვები გაჩნდეს საკუთრივ ინფორმაციული იარაღის გამოყენების დროს. ამასთან, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენებას ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ შემთხვევაში თუ ინფორმაციული იარაღი გამოყენებული იქნება ობიექტების მიმართ, რომლებიც შეიცავენ ბუნების საშიშ ძალებს და უზრუნველყოფენ რეგიონების ცხოველმყოფელობას (ატომური ელექტროსადგურები, კაშხლები, წყალმო-

მარაგების სისტემები და სხვ.), სამედიცინო ობიექტების მიმართ (სავადმყოფო, ჰოსპიტალი, ეპიდემიოლოგიური ცენტრები) და სხვ. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები შეიცავენ პირდაპირ აკრძალვას თავდასხმას ასეთ ობიექტებზე, დამოუკიდებლად გამოყენებული თავდასხმის საშუალებების ხასიათისა, მათში მითითებულია ბუნების გამონთავისუფლებული სახიფათო ძალების თავდასხმის შედეგების შესახებ. ამგვარ აკრძალვას შეიცავს, როგორც ჟენევის კონვენციის დამატებით ოქმები, ისე, ჰააგის კონვენციისა.

საინტერესო პრეცედენტი შექმნა იაპონიის წინააღმდეგ **შიმოდისა და კ**[0]-ს საქმეზე ტოკიოს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც იხილებოდა 1955-1963 წლებში. ამ საქმეში მოსარჩლე ცდილობდა მიეღწიათ ჰიროსიმისა და ნაგასაკის დაბომბვის ისეთ აღიარებას, რომელიც არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართალს. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ იარაღის ახალი სახის გამოყენება ნებადართულია, სანამ არ იქნება მიღწეული მისი გამოყენების ამკრძალავი საერთაშორისო ხელშეკრულება. ამასთან, სასამართლომ განსაზღვრა ამ წესიდან გამონაკლისი. ის კი მდგომარეობდა იმაში, რომ როდესაც გარდაუვალია ასეთი იარაღის გამოყენება, ივარაუდება მის გამოყენებაზე აკრძალვა გამომდინარე საერთაშორისო სამართალში არსებული ნორმებისა და წესებისა – იგი არ უნდა იყოს გამოყენებული. გადაწყვეტილებაში, აგრეთვე მითითებული იყო, რომ ზედმეტი ტანჯვის მომტანი იარაღის სახეების გამოყენება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და ამიტომ იკრძალება.

გამომდინარე ამ გადაწყვეტილებიდან, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ინფორმაციული იარაღი იზღუდება სწორედ იმ ობიექტების წინააღმდეგ გამოყენებაში, რომელთა განადგურებამაც შეიძლება გამოიწვიოს გაუმართლებელი დანაკარგები სამოქალაქო პირებს შორის ან მნიშვნელოვანი და მასშტაბური შედეგები, რომლებიც ნეგატიურად აისახება ადამიანთა ჯანმრთელობაზე, გა-

რემოს დაცვის მდგომარეობაზე და სხვ. ასეთივე აკრძალვები ახალი სახეობის იარაღთან მიმართებაში განმტკიცებულია დამატებით ოქმის 36-ე მუხლში, ჟენევის კონვენციაში „ომის წარმოების საშუალებებისა და მეთოდების, ახალი სახეობის იარაღის კვლევების, დამუშავების, შესყიდვისა ან შეიარაღებაში მიღების დროს, მორიგების მაღალი მხარე ვალდებულია გაარკვიოს, ხვდება თუ არა აკრძალვაში, მათი გამოყენება, ზოგიერთ ან ყველა შემთხვევაში, რომლებიც ამ ოქმშია შეტანილი ან ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარის გამოყენებული საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებში“.

ზემოთ მითითებული ორი სამართლებრივი პოზიციიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფორმაციული ომები უნდა რეგულირდებოდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, როგორც ომის წარმოების მეთოდებისა და ხერხების მიმართებაში, ისე შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლის დაცვის მიმართებაში.

საბოლოოდ, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. უნდა გამოიყოს ინფორმაციული ომის ორი სახე: ა. არა შეიარაღებული კონფლიქტები (საინფორმაციო-ფსიქოლოგიური და კიბერ ომები...); ბ. შეიარაღებულ კონფლიქტების დროს ან შეიარაღებული კონფლიქტის წინმსწრები (მისი დამთავრებას რომ მოყვება). უდავოა, უკიდურეს ფორმებში ეს სახეები ერთმანეთში გადადის, და აქ ძალაუნებურად იბადება ანალოგია ძალადობის ხარისხთან, რომელიც ახასიათებს თანამიმდევრულად დამნაშავეობას, შინაგანი დაძაბულობის მდგომარეობას, მასობრივ უწესრიგობებს, სამხედრო კონფლიქტს.

ინტენსიურობის ხარისხის მიხედვით ინფორმაციული ომი შეიძლება შეიცავდეს: იდეოლოგიურ ზემოქმედებას, შეიარაღებისა და მართვის სისტემაზე ზემოქმედებას, კომპლექსურ ზემოქმედებას.

2. ინფორმაციული ომები ეკონომიკური (სამოქალაქო) გაგებით, არ ხვდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ზემოქმედების ქვეშ. მათზე გამოყენებული უნდა იქნას ინფორმაციული უშიშროების სამართალი, რომელიც მოცემულ მომენტში არსებობს, მაგრამ ვითარდებოდა რამდენადმე სხვა („არასამხედრო“) აზრით.

3. ინფორმაციული შემადგენლის გამოყენებით შეიარაღებული კონფლიქტები უკვე ხდებოდა. მათ მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გამოიყენებოდა და გამოყენებული უნდა იქნას მომავალშიც.

4. ინფორმაციული იარაღის, სტრატეგიისა და ტაქტიკის სიჭარბით შეიარაღებული კონფლიქტები ჯერ არ ჩატარებულა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვიჭირს მივაკუთვნოთ ასეთ კონფლიქტებს თუნდაც ერთი დამთავრებული ან მიმდინარე კონფლიქტები დღეს). საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ასეთ კონფლიქტების მიმართ უნდა იქნას გამოყენებული, განსაკუთრებით რაც ეხება სამოქალაქო პირების, ბუნებრივი გარემოს განურჩევლად განადგურების თავიდან აცილებას.

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს წინაშე კიბერსაფრთხეების მასშტაბი მზარდია, როგორც სირთულის, ისე მრავალფეროვნების თვალსაზრისით. საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო და სხვა ტექნოლოგიურმა მეცნიერულმა მიღწევებმა მრავალ სიკეთესთან ერთად მოიტანა ახალი საფრთხეები და გააფართოვა საბრძოლო მოქმედებათა სფეროები. სულ უფრო იზრდება კიბერდანაშაული ინდივიდების, სხვადასხვა ბიზნესისა თუ მთავრობის წინააღმდეგ. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა აღმოჩნდა სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე.

საქართველს წინააღმდგ განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა კიბერშეტევებმა, დაწყებული 2008 წლიდან, ნათლად აჩვენა,

რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა აღ-
მოჩნდა გარდაუვალი საფრთხის წინაშე, რაც მოითხოვს განსაკუთ-
რებით გამახვილდეს ყურადღება ქვეყნის კიბერსივრცის უშიშროე-
ბის უზრუნველყოფასა და კიბერსივრცის დაცვაზე, საჰაერო-სახმე-
ლეთო-საზღვაო სფეროების დაცვის თანაბრად. აუცილებელია
ხელისუფლებამ სრულყოს ერთიანი პოლიტიკა შესაბამის კანონმ-
დებლობაზე დაფუძნებული კიბერუშიშროების თანამედროვე გა-
მართული სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის, რა-
თა დაცული იყოს ინფორმაციული ინფრასტრუქტურა ნებისმიერი
კიბერსაფრთხის წინაშე.

იქიდან გამომდინარე, კიბერსივრცე უაღრესად სწრაფად და
მკვეთრად ცვალებადი სფეროა, ხოლო საქართველოს მიმართ არა-
კეთილგანწყობილი სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები
დიდ ყურადღებას უთმობენ ამ სფეროს განვითარებას, აუცილებე-
ლია კიბერუშიშროების როლის თანმიდევრულად გაზრდა ქვეყნის
თავდაცვის სისტემაში, ეროვნული უშიშროების უზრუნველყო-
ფაში.

საქართველომ თვალი უნდა გაუსწოროს გლობალურ და სა-
ფრთხისშემცველ ყოველდღიურ გამოწვევებს, განსაკუთრებული
ყურადღება უნდა დაეთმოს კიბერტერორიზმის კიბერაქტორების
განზრახვებისა და შესაძლებლობებისა შესახებ ინფორმაციის მო-
პოვებისა და ანალიზის მექანიზმის ჩამოყალიბებას და ამ მხრივ აქ-
ტიური მუშაობის წარმართვას. ამასთან, საჭიროა ქვეყნებს შორის
თანამშრომლობის გაღრმავება კიბერტერორიზმის წინააღმდეგ
ბრძოლისა და კიბერუშიშროების გამყარების კუთხით. კიბერტე-
რორიზმი სერიოზულად ემუქრა მშვიდობასა და სტაბილურობას
მსოფლიოში, მას შეუძლია კატასტროფული შედეგები მოუტანოს
კაცობრიობას, იმაზე ბევრად უფრო საშინელი ვიდრე ბიოლო-
გიური, ან თუნდაც ატომური იარაღია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Conway W. Henderson (2010). Understanding International Law. John Wiley & Sons. pp. 212 –. ISBN 978-1-4051-9764-9; Stuart H. Walker. 100 Quotes about War. Compagnie du Savoir . 2016 http://www.audiobooks.com/audiobook/100-quotes-about-war/255623 ნანახია 23.11.2016.
2. კაცობრიობის ისტორიაში 10 ყველაზე სისხლისმღვრელი ომი. http://alioni.info/history/kacobriobis-istoriashi-10-yvelaze-sisxlismgvreli-omi/ ბოლო მონახულება 23.11.2016.
3. Keeley, Lawrence H. War Before Civilization: The Myth of the Peaceful Savage. Publisher: Oxford University Press, 1997. p. 37.
4. Gat Azar. War in human civilization. New York: Oxford University Press. 2006. p. 848.
5. Lind, William S; Nightengale, Keith; Schmitt, John F.; Sutton, Joseph W.; Wilson, Gary I. The Changing Face of War: Into the Fourth Generation. Marine Corps Gazette, October 1989, Pages 22-26 https://www.mca-marines.org/files/The%20Changing%20Face%20of%20War%20-%20Into%20the%20Fourth%20Generation.pdf ; http://globalguerrillas.typepad.com/lind/the-changing-face-of-war-into-the-fourth-generation.html უკ. გადამოწმდა 05.07.2017.
6. Liang Qiao, Xiangsui Wang. Unrestricted Warfare: China's Master Plan to Destroy America. Pan American Publishing Company, Panama City, Panama, 2002. https://books.google.ge/books?id=ejFV1568hqAC&printsec=frontcover&hl=ru&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false უკ. გადამოწმდა 21.09.2017.
7. Europol director calls on 'all sectors' to take cyber security threat seriously. ITV REPORT 14 May 2017 at 11:40am.

http://www.itv.com/news/2017-05-14/europl-director-calls-on-all-sectors-to-take-cyber-security-threat-seriously/ ნანახია 06.10.2017.

8. Еврокомиссия пересмотрит стратегию ЕС по кибербезопасности. ТАСС информационное агентство. Международная панорама 29 июня, 13:33. http://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/4374406 ნანახია 06.10.2017.
9. შეიარაღებულ ძალებში 2019 წელი კიბერუსაფრთხოების წლად ცხადდება. IMEDI NEWS / 15 ოქტომბერი 2018. https://imedinews.ge/ge/dzalovnebi/81294/sheiaragebul-dzalebshi-2019-tseli-kiberusaprtkhoebis-tslad-tskhaddeba ნანახია 24.11.2018.
10. იხილე, ჰენრი კუპრაშვილი. ეროვნული უსაფრთხოება თუ ეროვნული უშიშროება?! თბილისი. უნივერსალი. 2014. 61 გვ. ISBN 978-9941-22-407-2.
11. Thieme Hartmut, Maier Reinhard. Archäologische Ausgrabungen im Braunkohlentagebau Schöningen. Landkreis Helmstedt, Hannover 1995; Thieme Hartmut. Die ältesten Speere der Welt – Fundplätze der frühen Altsteinzeit im Tagebau Schöningen. In: Archäologisches Nachrichtenblatt 10, 2005, S. 409-417; Baales Michael, Jöris Olaf. Zur Altersstellung der Schöninger Speere. In: J. Burdukiewicz u. a. (Hrsg.): Erkenntnisjäger. Kultur und Umwelt des frühen Menschen. Veröffentlichungen des Landesamtes für Archäologie Sachsen-Anhalt 57, 2003 (Festschrift Dietrich Mania), S. 281-288; Jöris Olaf. Aus einer anderen Welt – Europa zur Zeit des Neandertalers. In: N. J. Conard u. a. (Hrsg.): Vom Neandertaler zum modernen Menschen. Ausstellungskatalog Blaubeuren 2005, S. 47-70.
12. Lower Palaeolithic hunting spears from Germany. Hartmut Thieme. Letters to Nature. Nature 385, 807—810 (27 February 1997). http://www.nature.com/nature/journal/v385/n6619/abs/385807a0.html

13. “მეხუთე ხელისუფლება”, მობილური და ჰაკერები: როგორ შევამციროთ კიბერთავდასხმების რისკი. ინტერვიუ ხათუნა მშვიდობაძესთან. ახალი ამბების სააგენტო "აქცენტი". 03.12.2016. http://accent.com.ge/ge/news/details/26208-“მეხუთე-ხელისუფლება”-მობილური-და-ჰაკერები-როგორ-შევამციროთ-კიბერთავდასხმების-რისკი (ბოლო მონახულება 27.01.2017)
14. Van Jones: 'Cyber war is real war'. CNN Politics. http://edition.cnn.com/2016/12/18/politics/van-jones-brain-stem-russia-cnntv/ უკ. გადამოწმდა 28.01.2017.
15. Markoff John. Before the Gunfire, Cyberattacks. The New York Times. Aug. 12, 2008; https://www.nytimes.com/2008/08/13/technology/13cyber.html?_r=2&ref=world&oref=slogin&oref=slogin ნანახია 18.11.2018.
16. Lewis, James Andrew. ‘Compelling Opponents to Our Will’: The Role of Cyber Warfare in Ukraine Cyber War in Perspective: Russian Aggression against Ukraine. Edited by ***Kenneth Geers.*** NATO CCD COE Publications, Tallinn 2015. P. 45.
17. საჯარო ლექცია - „შეუზღუდავი ომი: საქართველოს მაგალითი“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. 2014 / 02 / 05. https://www.gfsis.org/ge/events/lectures-and-trainings/view/480 უკ. გადამოწმება 21.09.2017.
18. ჭოჭუა ი. აკადემიის დირექტორის ვრცელი ინტერვიუ რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ. http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:YVz5avZAeyIJ:https://www.globalcase.org/blog/itemlist/user/135-case%3Fstart%3D120&num=1&hl=ka&gl=ge&strip=1&vwsrc=0 ბოლო ნახვა 06.11.2016.
19. იხილე, http://www.grena.ge/

20. ჰაკერებმა პარლამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი ისევ „გატეხეს“ (12-01-2014). http://www.interpressnews.ge/ge/politika/266168-hakerebma-parlamentis-oficialuri-veb-gverdi-isev-qgatekhesq.html?ar=A ბოლო ნახვა 06.11.2016.
21. Oxford living Dictionaries. https://en.oxforddictionaries.com/definition/us/cyberspace ნანახია 06.02.2017.
22. НАТО приравняет кибератаки к военной агрессии. Euronews. 15/06/2016. http://ru.euronews.com/2016/06/15/cyberspace-is-officially-a-war-zone-nato ბოლო მონახულება 04.02.2017
23. НАТО признало киберпространство равноправной сферой обороны. Информационно-аналитический портал Грузия Online, 08.07.2016. http://www.apsny.ge/2016/pol/1468046923.php ბოლო მონახულება 04.02.2017
24. RUSSIAN, CHINESE CYBER ATTACKS A THREAT TO DUTCH DEMOCRACY: INTELLIGENCE SERVICE. 03.02.2017. http://nltimes.nl/2017/02/03/russian-chinese-cyber-attacks-threat-dutch-democracy-intelligence-service ბოლო მონახულება 06.02.2017.
25. Голландская разведка обвинила Россию в хакерских атаках. http://www.apsny.ge/2017/mil/1486187912.php ბოლო მონახულება 06.02.2017;
26. გოცირიძე ანდრია. კიბერუსაფრთხოება საქართველოში - ნაბიჯი საერთაშორისო თანამშრომლობისკენ. სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო. 31.10.2014. http://csbd.gov.ge/news.php?news_number=1&news_type=publications&lang=ge ნანახია 24.11.2018.
27. საქართველო და ახალი გამოწვევები კიბერსივრცეში. არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტერნეტის განვითარების ინიციატივა“ – Internet Development Initiative - IDI

http://indein.net/wp-content/uploads/2016/11/12.pdf ნანახია 26.11.2018.

28. Манфред А. З. Максимилиан Робеспьер, Избранные произведения. М: Наука, 1965.
29. ჯინჭარაძე ნუკრი. კიბერტერორიზმი და კიბერუსაფრთხოება. მომავალ დიპლომატთა კლუბის ბლოგი. 2015. http://blog.fdclub.ge/2015/07/04/კიბერტერორიზმი-და-კიბერუ/ ნანახია 18.11.2018.
30. ჩერქეზია ნიკა. კიბერ ტერორიზმი. edu.aris.ge განათლება, 10.03.2015; http://studinfo.edu.aris.ge/2015/03/10/kiber-terorizmi/ ნანახია 18.11.2018.
31. საქართველომ კიბერსაფრთხეებს შორის კიბერტერორიზმი დაასახელა. NEWS.On.ge, 27 იანვარი 2017. https://on.ge/story/7231-საქართველომ-კიბერსაფრთხეებს-შორის-კიბერტერორიზმი-დაასახელა ნანახია 24.11.2018.
32. საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. საქართველოს მთავრობის დადგენილება. 13/01/2017. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3548407?publication=0
33. Summers Grady. Technologies Shaping Cyber Security Today and Tomorrow. FireEye . October 4, 2018; https://summit.fireeye.com/learn/keynotes.html ; https://videoshare.fireeye.com/watch/ojsKDBvea7cVooWq7TeZTR ნანახია 23.11.2018.
34. სამეცნიერო-პრაქტიკული კიბერ უსაფრთხოების ჟურნალი| ISSN 2587-4667. https://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:SGClaJ-8-54J:https://journal.scsa.ge/ka/issues/tag/cyber-security+&cd=9&hl=ru&ct=clnk&gl=ge ნანახია 24.11.2018.

35. Gregory J. Rattray. Strategic Warfare in Cyberspace. Cambrige MA: MIT Press, 2001. https://mitpress.mit.edu/books/strategic-warfare-cyberspace უკანასკნელი გადამოწმება 28.05.2017.
36. Schmitt Michael. The Principle of Distinction in 21st Century Warfare. Yale Human Rights and Development Journal, Volume 2, Article 3, 2-18-2014. http://digitalcommons.law.yale.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1010&context=yhrdlj ბოლო გადამოწმება 27.05.2017.
37. იხილე, მაგალითად, Knut Dormann. Applicability of the Additional Protocols to Computer Network Attacks, International Expert Conference on Computer Network Attacks and the Applicability of International Humanitarian Law, Stockholm, 17-19.11.2004// http://www.icrc.org/web/eng/siteeng0.nsf/html/68LG92; Thomas P. Rona. Weapon Systems and Information War. Boeing Aerospace Co., Seattle, WA, 1976; Michael N. Schmitt, «The Impact of High and Low-Tech Warfare on the Principle of Distinction"/Briefing paper, Program on Humanitarian Policy and Conflict Research at Harvard University, 2003; Rattray, Gregory J. Strategic warfare in cyberspace, Massachusetts Institute of Technology, 2001 და სხვ.
38. Schmitt Michael N. The Impact of High and Low-Tech Warfare on the Principle of Distinction. Harvard Program on Humanitarian Policy and Conflict Research, International Humanitarian Law Research Initiative Briefing Paper (November 2003); Reprinted in International Humanitarian Law And the 21st Century's Conflicts: changes and challenges (Lausanne: Editions Interuniversitaires Suisses, Roberta Arnold & Pierre-Antoine Hildbrand eds., 2005).
39. Richard W. Aldrich. The International Legal Implications of Information Warfare. USAF Institute for National Security Studies US Air Force Academy, Colorado. INSS Occasional Paper 9, Information Warfare Series, April 1996.

http://www.iwar.org.uk/law/resources/iwlaw/aldrich.htm ukanaskn. gadamowmda 28.05.2017.

40. სვანაძე ვლადიმერ. კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები კრებული). 2015. გვ. 26. https://gipa.ge/uploads/files/Cyber_Protection.pdf ნანახია 02.12.2018.
41. სვანაძე ვლადიმერ, გოცირიძე ანდრია. კიბერ თავდაცვა. კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები (ნაშრომების და სტატიების კრებული). საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო, თბილისი, 2015. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/144787/1/Kibertavdacva.pdf უკ. გადამოწმდა 05.07.2017.
42. კუპრაშვილი ჰ., ეროვნული უშიშროების სისტემური ინფორმაციული უზრუნველყოფა. თბილისი. საგამომც. სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2012. ISBN 978-9941-20-073-1.
43. კუპრაშვილი ჰ., დოლიაშვილი თ. პოლიტიკური კონფლიქტები. პოლიტოლოგიის საკითხები სქემებში. თბილისი. თსუ, „საზოგადოება ცოდნა“ . 2001. ISBN: 5-89512-158-6.
44. Kuprashvili H, Sharashenidze T. Political Aspects of the Formation of the National Information System in Post-Communist Georgia . Published by The Council for Research in Values and Philosophy. Washington. 2005. Chapter XI. P. 133-141. ISBN-13: 978-1-56518-224-0 (pbk.)
45. კუპრაშვილი ჰ., ოდიშარია კ., ალფაიძე ი. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი საქართველოს სახელმწიფო სისტემის სრულყოფაში. ჟურნ. “საისტორიო ვერტიკალები”. 2018. № 39, გვ. 39-47.

46. კუპრაშვილი ჰენრი. ინფორმაციული ომის ორი შემადგენელი: საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი და კიბერომი. ჟურნ. “საისტორიო ვერტიკალები”. 2017. № 37-38 (37), გვ.72–78.
47. კუპრაშვილი ჰენრი. ინფორმაციული ომის ცნება და წარმოშობის პერიპეტიები. ჟურნ. “საისტორიო ვერტიკალები”. 2017. № 37-38 (38), გვ.302-308..
48. კუპრაშვილი ჰ, ოდიშარია კ, ალფაიძე ი. სახელმწიფოს პრობლემები და სისტემური მიდგომა მათ დასაძლევად. ჟურნ. “საისტორიო ვერტიკალები”. 2017. № 37-38 (38), გვ.332–336.
49. კუპრაშვილი ჰენრი. ინფორმაციული იარაღის თავისებურების ზოგიერთი ასპექტი. „საისტორიო ვერტიკალები“, 2015 წ. # 31, გვ. 54–60.
50. კუპრაშვილი ჰენრი. პრობლემები ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფაში. სამეც. ჟურნ. „ხელისუფლება და საზოგადოება“ (ისტორია, თეორია, პრაქტიკა), № 4 (36), 2015. ტომი II, გვ. 46–56. http://www.odageorgia.ge/downloads/JURNALI%204%20(36)%20T83262.2-%202015.pdf
51. მაისაია ვახტანგ. „ჰიბრიდული ომის“ რაობა და მისი გეოსტრა-ტეგიული ასპექტები (მეოთხე თაობის ომი) - კიბერომის მაგა-ლითზე. 30.03.2017. The Georgian Times. http://www.geotimes.ge/blogi/index.php?m=82&post_id=10 უკ. გადამოწმდა 05.07.2017.
52. მაისაია ვახტანგ. „ისლამური ხალიფატის“ საინფორმაციო-პროპაგანდისტული/კიბერ-ვირტუალური ომის სპეცეფიკა - „რბილი ძალის“ კონცეფტი. The Georgian Times. June 07,2017. http://www.geotimes.ge/blogi/index.php?m=82&post_id=18 უკ. გადამოწმდა 10.10.2017.
53. კევლიშვილი კონსტანტინე. კიბერუსაფრთხოება – კოლექტი-ური თავდაცვის ახალი გამოწვევა. 16.11.2016. საქართველოს ატლანტიკური ხელშეკრულების ახალგაზრდული ასოციაცია 2014. http://yata.ge/ge/?p=907 უკ. გადამოწმდა 05.07.2018.

54. იყო თუ არა წინასწარ დაგეგმილი რუსეთ-საქართველოს კიბერომი - ინტერვიუ დავით ქვათაძესთან. ესაუბრა ბექა ღიბ-რაძე. 22/03/2017. http://cyber.kvira.ge/20308/ გადამოწმდა 05.07.2017.
55. ქავთარაძე გ., სამხედრო საქმე ძველ აღმოსავლეთში. მეომრის ბიბლიოთეკა №9. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სსპი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა დაეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2009.
56. Diamond Jared. Guns, Germs and Steel: A short history of everybody for the last 13,000. W.W. Norton & Company. 1997.
57. Zink Terry. Military Asserts Rights to Return Cyber Attacks. http://www.circleid.com/posts/20100415_military_asserts_rights_to_return_cyber_attacks/ უკ. გადამოწმდა 21.09.2017.
58. საჯარო ლექცია - „შეუზღუდავი ომი: საქართველოს მაგალითი“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. 2014 / 02 / 05. https://www.gfsis.org/ge/events/lectures-and-trainings/view/480 უკ. გადამოწმდა 21.09.2017.
59. Soldatov Andrey, Borogan Irina. The Red Web: The Struggle Between Russia's Digital Dictators and the New Online Revolutionaries. Publisher: Public Affairs, New York: Public Affairs, 2015. 384 p. ISBN 9781610395731 Солдатов Андрей, Бороган Ирина. Битва за Рунет, Как власть манипулирует информацией и следит за каждым из нас. Издательство "Альпина Паблишер", 2017, 342 с. ISBN 978-5-9614-5890-7
60. Fallows James. If You Were Going to Read Only One Thing About Cyber-Security... Well, you should be reading more! But here's a place to start. Mar 30, 2010. https://www.theatlantic.com/ technology/archive/2010/03/if-you-were-going-to-read-only-one-thing-about-cyber-security/38148/ უკ. გადამოწმდა 07.10.2017.

61. Carr Jeffrey. Inside Cyber Warfare, 2nd Edition. Mapping the Cyber Underworld. Publisher: O'Reilly Media. 2011. 318 p.
62. Armerding Taylor. Will a cyber crisis add to chaos of Trump's first 100 days? Such a prediction seems about as certain as predicting that Trump will take to Twitter sometime during the week. Feb 28, **2017**, 3:28 Am Pt. https://www.csoonline.com/article/3174298/security/will-a-cyber-crisis-add-to-chaos-of-trump-s-first-100-days.html უკ. გადამოწმდა 07.10.2017.
63. Springer, Paul J. Cyber Warfare: A Reference Handbook. Publisher ABC-CLIO. 340 p. 2015. ISBN 9781610694438
64. Springer, Paul J. Encyclopedia of Cyber Warfare. Publisher ABC-CLIO. 380 p. 2017. ISBN 1440844259
65. კოხრეიძე, ნ. (2012 წლის 15 05). კიბერ ტერორიზმი – 21-ე საუკუნის საფრთხე. მოძიებულია 2014 წლის 01 07. ვებ. გვერდიდან: CYBERLAW-კიბერსივრცის სამართალი: http://ilawge.blogspot.com/2012/05/21.html
66. გოცირიძე ანდრო. პოსტსაბჭოთა სივრცის კონფლიქტების კიბერასპექტები და საქართველო – კიბერელემენტების გამოყენება თანამედროვე კონფლიქტებში. კიბერკვირა. 28.11.2015; http://cyber.kvira.ge/1941/
67. ცაცანაშვილი მ., სიხარულიძე ტ. კიბერტერორიზმის პრობლემა სამართალში. ჟურ. „კიბერუსაფრთხოება. 12, 2007.
68. ევროპის საბჭოს კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ. 2003 წლის 23 ნოემბერი, ბუდაპეშტი.

ავტორთა პუბლიკაციები პროექტის ფარგლებში

1. ჰ. კუპრაშვილი, კ. ოდიშარია, ი. ალფაიძე. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი საქართველოს

სახელმწიფო სისტემის სრულყოფაში. ჟურნ. “საისტორიო ვერტიკალები”. 2018. № 39, გვ. 39-47.

2. ჰ. კუპრაშვილი. ინფორმაციულ ეპოქამდელი და თანამედროვე ომების თავისებურებანი. ჟურნ. “საისტორიო ვერტიკალები”. 2018. № 40, გვ. 39-47.
3. გ. კალანდაძე. ინფორმაციული ფაქტორის როლი ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში (საქართველოს მაგალითზე). სტუ-სა და რომის ლა საპიენზას უნივერსიტეტის ერთობლივი კონფერენციის ფარგლებში წაკითხულ იქნა მოხსენება ასოცირებული პროფესორის გ. კალანდაძის მიერ თემაზე: ინფორმაციული ფაქტორის როლი ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში (საქართველოს მაგალითზე).სტატია გადაცემული დასაბეჭდად.
4. ჰ. კუპრაშვილი, ნ. ოდიშელიძე. „ინფორმაციული ომის ზოგი-ერთი საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტი“. VI საერთაშო-რისო სამეცნიერო კონფერენცია ,,მსოფლიო და კავკასია“. სა-ქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2017 წლის 9 ივნისი.

მანანა დარჩაშვილი, ქეთი ჯიჯეიშვილი,
მაია ყიფიანი, ლალი კაპანაძე,
ეკა ბუხრაშვილი, ლია მეტრეველი

მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე და საქართველო

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს განათლების სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კომუნიკაცია, ერთიანი, მშვიდობიანი სივრცის შექმნის ერთ-ერთი წინაპირობაა, რადგან სახელმწიფოთაშორისი საგანმანათლებლო სივრცის თანამშრომლობას განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე საზოგადოებების მომავლის წარმართვაში. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს წინაშე რთული ამოცანა დგას – ეფექტური განათლების სისტემის შექმნა და ევროპასთან თანამშრომობით განათლების სექტორის განვითარება.

ქვეყანაში საშინაო თუ საგარეო საქმეების წარმატებული მართვის საქმეში, პრიორიტეტული განათლებაა. მითუმეტეს, დემოკრატიის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ჩვენი ქვეყანა ცდილობს საერთაშორისო სისტემაში დაიმკვიდროს სათანადო ადგილი.

შესაბამისად, საქართველოში აქტიურად განიხილება მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს ყველა იმ მნიშვნელოვან გამოწვევას, რაც თანამედროვე განვითარებული ქვეყნების განათლების სისტემების დღის წესრიგშია, რათა განათლების ყველა საფეხურზე საქართველოში ევროპული დონის განათლების სისტემის ფორმირება მოხდეს. ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ კანონებში შესატანი ცვლილებებით დაინერგება და განვითარდება მექანიზმები, რომლებიც ევროპული განათლების სისტემებში უკვე აპრობირებული და ეფექტურია.

აღებული კურსი მიმართულია იქეთკენ, რომ საქართველოში მიღებული განათლება აღიარებული იყოს საერთაშორისო დონეზე. საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომზადდეს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრები, რომლებიც ადვილად შეძლებენ საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. ქვეყნის მიერ აღებული კურსით და არსებული გამოწვევებით ვფიქრობთ დროულია საკითხის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე არსებული პრობლემების მოგვარების გზების, გამოცდილების და არსებული რეალობის შესწავლა.

ამასთან, ქვეყანაში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა უზრუნველყოფს პროფესიულსა და უმაღლეს განათლებას შორის, დღეს არსებული, ეგრეთ წოდებული საგანმანათლებლო ჩიხის

აღმოფხვრას. განახლებული კანონმდებლობა უზრუნველყოფს პირისათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობას. ასევე უზრუნველყოფს საქართველოს საგანმანთლებლო სისტემის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გამჭვირვალობას, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე, კვალიფიკაციების მინიჭების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებას და სანდოობას, პროფესიული განათლების დაკავშირებას უმაღლეს განათლებასთან, პროფესიულ განათლებაში დაგროვილი კრედიტების აღიარებას აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნებისთვის.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში განხორციელებული ზოგადი განათლების რეფორმის პროცესების აღწერა-ანალიზი დასავლური გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, რადგან განათლების სისტემაში დაგროვილი პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ კონკრეტული ქვეყნების გამოცდილებების გაზიარებასა და ამ კუთხით ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში გლობალური ტენდენციების შესაბამისი საკვანძო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე. ამ მიზნით შევისწავლეთ მთელი რიგი მასალები, კერძოდ, ბოლონიის პროცესის ნორმატიული დოკუმენტები, როგორებიცაა სორბონისა (1998) და ბოლონიის (1999) დეკლარაციები, ევროპული ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების შეხვედრების შემაჯამებელი კომუნიკეები (პრაღის, ბერლინის, ბერგენის, ლონდონის, ლუვენის, ბუქარესტის, ბუდაპეშტი-ვენისა და ერევნის), ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის ლისაბონის 1997 წლის კონვენცია, ბოლონიის პროცესის, ასევე აშშ-ის, კერძოდ ჰარვარდის უნივერსიტეტისა და ფინეთის საგანმანათლებლო სივრცის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტები და მონიტორინგის ანგარიშები. მეორე მხრივ, შევისწავლეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საარქივო მასალები, განათლების სისტემის სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული ეროვნული თუ საერთაშორისო კვლევები, საკანონმდებლო ბაზა – ბრძანებები, დადგენილებები, საქართველოს მიერ ბოლონიის პროცესის შეფასების ეროვნული ანგარიშები, ნორმატიული აქტები, განათლების სისტემის პოლიტიკასა და ში-

ნაარსთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი რეგულაციები და ბეჭდურ მედიასა თუ სამეცნიერო პერიოდიკაში დაბეჭდილი პუბ-ლიკაციები.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში განათლების საკითხებზე არაერთი საინტერესო ნაშრომია შექმნილი, რომელთა გაცნობა დაგვეხმარა ნაშრომის საბოლოო სახით წარმოდგენაში. ამათგან საჭიროა აღინიშნოს პროფესორ ი. კვესელავას; აკადემიკოს ე. ჯავე-ლიძის; მკვლევარი და პუბლიცისტის გ. გვასალიას; აკადემიკოს ნ. ვასაძის; პროფესორ კ. შელიას და სხვათა სამეცნიერო ნაშრომები. გა-ვეცანით ასევე ამ საკითხზე ჩატარებულ მთელ რიგ კვლევებსა და სადოქტორო ნაშრომებს.

თუმცა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შერჩეული მიმართულებით ნაშრომები არცთუ ისე დიდი რაოდენობით არსებობს. ამასთან, სასურველია აღნიშნულ საკითხებზე მეტი კვლევის, პროფესიული თუ საჯარო განხილვის სათანადო, საკმარისი გამოცდილება.

ნაშრომი ეფუძნება პოლიტიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებულ კვლევის მეთოდებს. თვისობრივი ანალიზიდან გამოყენებული იქნება კვლევის მონაცემთა ანალიზის ერთ-ერთი სახე _ კონტენტ-ანალიზი. იგი მოიცავს საკვლევი თემის გარშემო არსებული ლიტერატურული მასალის კვლევას. ასევე, გამოყენებული იქნება შედარებითი ანალიზის მეთოდი, საკვლევი პრობლემის გარშემო შემუშავებული მიმართულებები, კვლევის შედეგები და დებულე-ბები, რომელიც ასახავს განათლების სფეროში პროცესების ტრანს-ფორმაციასა და განვითარებას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოკუმენტების (ადგილობრივი და უცხოური) შესწავლის მეთოდი და არსებული საკითხის განხილვა შედარებითი ანალიზის მეშ-ვეობით.

პროექტში შევეცადეთ გაგვეანალიზებინა განათლების სის-ტემაში დაგროვილი მსოფლიო გამოცდილება: ბოლონიის სისტემა, გერმანიის პროფესიული განათლების (დუალური) სისტემა, ფინეთის განათლების სისტემა, აშშ-ს განათლების სისტემა, ჰარვარდის უნივერსიტეტის მაგალითი და და შეგვეფასებინა ის რისკები და გამოწვევები, რომლებიც არსებობს საქართველოს განათლების სფეროში ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ბოლონიის პროცესი

ბოლონიის სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები

პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში წარმოების მამოძრავებელ მთავარ ძალას წარმოადგენს განათლება და ინოვაცია. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ითვლებოდა, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკა მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების საქმე იყო, მაგრამ შემდგომ პერიოდში, როდესაც მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაციამ სხვა მრავალ ასპექტთან ერთად განათლების სფეროც მოიცვა, მოხდა საგანმანათლებლო პოლიტიკის ეროვნული დონიდან საერთაშორისო დონეზე გადატანა. უნივერსიტეტებმა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლდ დაიწყეს საერთაშორისო განზომილების დამატება თავიან სასწავლო გეგმებში (სტუდენტთა მობილობა, საერთაშორისო განათლება). ამ ტენდენციებმა განაპირობა ევროპაში უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, რამაც განხორციელება ჰპოვა 1999 წ. ბოლონიის პროცესის სახით. თანამედროვე ეტაპზე ამ პროცესების კვლევა და ანალიზი მეტად აქტუალურია, რადგან იგი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ძირეული რეფორმების არსი და მთავარი გამოწვევები.

ბოლონიის პროცესი არის ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას უმაღლესი განათლებისათვის. ბოლონიის პროცესი დაიწყო 1988 წელს, მსოფლიოს უძველესი ბოლონიის უნივერსიტეტის 900 წლისთავზე 382 უნივერსიტეტის მიერ საპროგრამო დოკუმენტის მიღებით, რომელსაც დიდი ქარტია ეწოდა. ამას მოჰყვა 1998 წლის სორბონის დეკლარაცია, რომელიც მიიღო 4-მა ქვეყანამ (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და იტალია). დეკლარაცია ხაზს უსვამდა ევროპის ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემების ჰარმონიზაციის აუცილებლობას და მოიცავდა სტუდენტების მობილობის ხელშე-

წყობას, განათლების საერთაშორისო აღიარებასა და ევროპულ უნივერსიტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას. იყო საწინააღმდეგო მოსაზრებებიც. მაგ.: მეცნიერი ულე ჰენკელი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის ოთხი უდიდესი ქვეყნის ინიციატივა, რომელიც წამოყენებულ იქნა სორბონის კონფერენციაზე 1998 წელს, წარმოადგენდა ევროკავშირის წევრ ქვეყანათა შორის არსებული პრაქტიკის დარღვევას, რომლის თანახმადაც, ევროკავშირის ყოველი წევრი ქვეყანა აფიქსირებს საკუთარ პოზიციას რომელიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. მკვლევარის მტკიცებით, ამ ფაქტორმა თავიდანვე განაპირობა გარკვეული დაძაბულობა „ოთხ ინიციატორს“ და ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოებს შორის. მიუხედავად არსებული წინააღმდეგობისა, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა 1999 წელს მიიღეს ბოლონიის დეკლარაცია, სადაც მიზნად დაისახეს 2010 წლამდე საერთო ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება. ბუნებრივად ჩნდება კითვა: რატომ შეუერთდნენ ევროპული სახელმწიფოები ბოლონიის პროცესს მაშინ, როდესაც თავდაპირველი ჩარჩოს შემუშავება-გაცნობის პროცესში არცერთ მათგანს არ მიუღია მონაწილეობა? მკვლევარი ანდრეიას ფეიესი ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად განიხილავს შვედეთის შემთხვევას და აღნიშნავს, რომ შვედეთის პასუხი კითხვაზე თუ რატომ არის იგი ჩაბმული ბოლონიის პროცესში, ემყარება შვედი სტუდენტების მიერ სხვა ევროპელი სტუდენტებისადმი კონკურენციის გაწევის საჭიროებას დასაქმების მოტივით, მეორე არგუმენტის თანახმად კი, შვედური უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაცემული დიპლომი არ იქნება აღიარებული სხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების მიერ თუ იგი ბოლონიის პროცესს არ დაუახლოვდება.

საბოლოოდ, დეკლარაციას ხელი მოაწერა 29 ევროპული ქვეყნის წარმომადგენელმა. ესენი იყვნენ: ავსტრია, ბელგია, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, მალტა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი,

შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო. დღევანდელი მონაცემებით ბოლონიის პროცესი მოიცავს ევროპის 46 ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც, რომელიც, ამ პროცესს შეუერთდა 2005 წელს ნორვეგიის ქალაქ ბერგენში. ბოლონიის პროცესთან მიერთება ნებაყოფლობითია და გულისხმობს მონაწილე ქვეყნების მხრიდან უმაღლესი განათლების მიმართულებით საერთო ევროპული ღირებულებებისა და პრინციპების გაზიარებას. ამ პროცესმა საფუძველი ჩაუყარა ძირეულ რეფორმებს უმაღლესი განათლების სისტემაში და დაიწყო უწყვეტი განათლების კონცეფციის დანერგვა.

ბოლონიის პროცესი უნივერსიტეტების მისიებისა და სტრატეგიების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა, ყურადღება გამახვილდა შიდა საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ხელშეწყობაზე და როგორც სტუდენტთათვის სხვადასხვა სახის დამატებითი საგანმანათლებლო ღონისძიების, ისე ფართო საზოგადოებისათვის უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზებაზე. ამ მიზნით საჭირო გახდა საქართველოში არსებული დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, გარკვეული დარგობრივი და ზოგადი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების მომზადება, აბიტურიენტებისა და მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველებისთვის ერთიანი ეროვნული და ერთიანი სამაგისტრო გამოცდებისათვის მოსამზადებელ კურსების გახსნა, საჯარო ლექციების დაგეგმვა პრობლემურ საკითხებზე, უცხო ენების შესწავლაზე აქცენტირება, სატრენინგო კურსების შექმნა, სასკოლო განათლებისთვის მთელი რიგი პროგრამების დამუშავება და სხვ.

ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნები წარმოდგენილნი არიან როგორც სამთავრობო, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების დონეზე.

ბოლონიის პროცესის მთავარი წარმმართველები არიან: ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმომწერი ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები; ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA), უმაღლესი პროფესიული განათლების ინსტიტუტები (EURASHE), ევროპის უნივერსიტეტების სტუდენტური კავ-

შირი (ESU), ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნ-ველყოფის სააგენტო (ENQA), გაერთიანებული ერების ორგანიზა-ცია (UNESCO); განათლების პან-ევროპული საერთაშორისო სტრუ-ქტურა; ბიზნესევროპა. პროცესს მხარს უჭერს ევროკომისია და ევ-როპის საბჭო.

დეკლარაციის ხელმომწერი ქვეყნები ბოლონიის დეკლარაცი-ის ხელმოწერიდან ორი წლის შემდეგ, 2001 წელს, კვლავ შეიკრიბ-ნენ პრაღაში, რათა მიმოეხილათ გასული ორი წლის მანძილზე განხორციელებული რეფორმების შედეგები და დაესახათ მომავალი ორი წლის გეგმა. მომდევნო წლების განმავლობაში ბოლონიის სის-ტემაში შემავალი ქვეყნები ყოველი ორი-სამი წლის განმავლობაში იკრიბებოდნენ იმავე ფორმატით. შეხვედრის ფარგლებში ხდებო-და გასული წლების შედეგების მიმოხილვა, მომავალი გეგმების დასახვა, ბოლონიის პროცესის ახალი წევრი ქვეყნების მიღება და ახალი დოკუმენტების შემუშავება, როგორებიცაა: უმაღლესი გა-ნათლების ერთიანი სივრცისათვის კვალიფიკაციის ჩარჩო და და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნ-ველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები[71]. ასე-თი შეხვედრების ფარგლებში შეიქმნა შესაბამისი კომუნიკეები: 1997 წელს ლისაბონის კონვენცია, 1998 წელს სორბონის დეკლარა-ცია, 1999 წელს ბოლონიის დეკლარაცია, 2001 წელს პრაღის, 2003 წელს ბერლინის, 2005 წელს ბერგენის, 2007 წელს ლონდონის, 2009 წელს ლუვენის კომუნიკეები, 2010 წელს ბუდაპეშტი-ვენის დეკ-ლარაცია, 2012 წელს ბუქარესტის, 2015 წელს ერევნის, ხოლო 2018 წელს პარიზის კომუნიკეები.

თითოეულ ეტაპზე ბოლონიის პროცესს ემატებოდა სხვადა-სხვა განზომილება, რომელთა შესრულებაზეც პასუხისმგებლობას იღებდნენ პროცესის მონაწილე ქვეყნები. საბოლოო ჯამში, შემუ-შავდა შემდეგი განზომილებები: ხარისხის ერთიანი სისტემა ერთ-მანეთთან შეთავსებადი და შედარებადი კვალიფიკაციებით, კრე-დიტების ტრანსფერისა და დაგროვების ერთიანი სისტემა, კრედი-

[71] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნილი ცენტრი https://eqe.ge/geo/static/71/Internationalization/bologna-process

ტებისა ტრანსფერისა და აკუმულირების სისტემა არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კურიკულუმის შემუშავებისა და სწავლების შედეგების აღიარების პროცესში. ამ სისტემის მიხედვით, კრედიტი მიჩნეულია პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭირო მთლიანი დატვირთვის საზომ ერთეულად. აღნიშნული მიზნები ჩამოყალიბებულია, როგორც სწავლების შედეგების, ასევე კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესაფასებლად, რაც მოიცავს არა მხოლოდ სალექციო საკონტაქტო საათებს. ეს სისტემა ამარტივებს სასწავლო პროგრამების აღქმას და შედარებას ყველა ადგილობრივი თუ საერთაშორისო სტუდენტისათვის და ხელს უწყობს მობილობას და მიღწევების აღიარებას.

დიპლომის დანართის გაცემის აუცილებლობა, ბოლონიის პროცესის მიხედვით, აუცილებელი მოთხოვნაა 2005 წლიდან. აღნიშნული დოკუმენტი თან ერთვის უმაღლესი განათლების დიპლომს და აღწერს კვალიფიკაციას მარტივად გასაგები ენით. დიპლომის დანართი წარმოადგენს სტუდენტის მიერ წარმატებით გავლილი სასწავლო პროგრამის რაობის, დონის, კონტექსტის, შინაარსის და სტატუსის სტანდარტულ აღწერას. ის არ არის დიპლომის მოკლე აღწერა ან მისი შემცვლელი, არამედ ის წარმოადგენს პროფესიული კვალიფიკაციის დეტალურ აღწერას.

შემოღებულ იქნა ხარისხის უზრუნველყოფა და მისი მექანიზმები, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა, უმაღლესი განათლებისა და კვლევის მჭიდრო კავშირი, უმაღლესი განათლების კავშირი და ადაპტირების უნარი დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან, სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე (უწყვეტი განათლება), სოციალური განზომილება, რაც გულისხმობს უმაღლეს განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, როგორც გენდერულ, ისე ეთნიკურ-კულტურულ ჭრილში, ევროპული განზომილების (მობილობა და საერთაშორისო თანამშრომლობა) ინკორპორირება უმაღლეს განათლებაში.

ბოლონიის სისტემა გულისხმობს ერთიანი ხარისხის სისტემის შემოღებას. თავდაპირველად სწავლება იყო ორსაფეხურიანი – ბაკალავრიატი-მაგისტრატურა. ევროპულ საგანმანათლებლო სივ-

რცეში უმაღლესი განათლების ორსაფეხურიანი სისტემა ბოლონიის დეკლარაციამდეც არსებობდა, მაგრამ მას ძირითადად არასისტემური და არასტრუქტურირებული ხასიათი ჰქონდა, რაც გულისხმობს, იმ ფაქტს, რომ ყველა ქვეყანა თავადვე განსაზღვრავდა, რამდენწლიანი ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა ჰქონოდა. ანუ ევროპაში არ არსებობდა ყველასთვის ერთიანი, მსგავსი სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემდა ევროპულ ქვეყანებს, მარტივად ეღიარებინათ მეზობელ ქვეყანაში გაცემული ხარისხი.

ამჯერად, განათლების ორსაფეხურიანი სისტემა უფრო ჩამოყალიბებული სახით იყო, თუმცა მალევე შეიცვალა სამსაფეხურიანი საგანმანათლებლო სისტემის სახით: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. ჩვეულებრივ, ბაკალავრის ხარისხის მისაღებად საჭიროა 180-240 კრედიტი, ხოლო სამაგისტრო პროგრამები მოიცავენ 90-120 კრედიტებს, აქედან მინიმუმ 60 კრედიტს სამაგისტრო დონეზე. რაც შეეხება ევროპულ სადოქტორო პროგრამებს, ისინი ჯერჯერობით არ არიან ერთიან საკრედიტო სისტემაზე გადასული, თუმცა საერთო ევროპული პრინციპები ამ პროგრამებისათვის აქტიური განხილვის საგანია. ამგვარ სისტემაზე გადასვლა ბოლონიის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს, რამაც მოახდინა ევროპის საგანმანათლებლო სფეროს სტანდარტიზაცია სტრუქტურული თვალსაზრისით. განათლების საფეხურების სტანდარტიზაციით შეიქმნა სივრცე, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, სხვადასხვა ქვეყანაში აიმაღლოს კვალიფიკაცია, მაგ. ბაკალავრიატი ერთ ქვეყანაში დაასრულოს, მაგისტრის ხარისხი – მეორე ქვეყნის უნივერსიტეტში, ხოლო დოქტორის ხარისხი მესამე ქვეყანაში მიიღოს. პროცესის მონაწილე ყველა ქვეყანამ ვალდებულება აიღო, დაენერგა აღნიშნული სისტემა, აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშესაწყობად. ეს კომპონენტი ასევე დაკავშირებულია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდასა და მათთვის შესაბამისი სამუშაო ადგილებისა და პირობების გაუმჯობესებასთან.

ამგვარად, ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციამ და უმაღლე-

სი საგანმანათლებლო სივრცის შექმნამ მნიშვნელოვანი პოზიტიური ზეგავლენა იქონია განათლების სისტემაზე და განაპირობა რიგი ძირეული ცვლილებები ყველა დონეზე უმაღლესი განათლების სისტემაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, საუკუნის დასაწყისში შეიქმნა გარკვეული პრობლემები. არაერთი მკვლევარის შეფასებით, ბოლონიის სისტემამ პოზიტიურთან ერთად ნეგატიური გავლენაც იქონია განათლების დარგში. 2005 წლიდან დაიწყო დასავლეთ ევროპაში მასობრივი სტუდენტური გამოსვლები, საპროტესტო აქცია გაიმართა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: საფრანგეთი (2005), შვედეთი (2006), ესპანეთი და ხორვატია (2008), ავსტრია და გერმანია (2009). სტუდენტები ბოლონიიის პროცესის შეჩერების ინიციატივებით გამოდიოდნენ, რასაც საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტებით და ფაქტებით ამყარებდნენ.

ჩვენ ბოლონიის პროცესის კვლევისა და ანალიზის შედეგად შევეცადეთ გამოგვეკვეთა ამ პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ინიცირებული ბოლონიის პროცესის პოზიტიურ მხარედ მივიჩნევთ განათლების მხრივ ევროპული ინტეგრაციისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს და განათლების სისტემის განვითარების მოდერნიზაციას, კონკრეტულად:

- პირველი, გადადგილების თავისუფალი არჩევანის მიუხედავად ადამიანები იძულებულნი არ უნდა გახდნენ დატოვონ თავიანთი ქალაქი თუ სოფელი, რათა მიიღონ ხარისხიანი განათლება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდივიდებისა სხვა ნაკლებად დაცული ჯგუფების მიმართ, რომელთაც ყურადღებას აქცევს სახელმწიფო;
- მეორე, საინფორმაციო ტექნოლოგიები დიდ შესაძლებლობებს იძლევა ხარისხიანი განთლების მისაღებად დიდი დანაკარგებისა და ნებისმიერი დაშორებულ ადგილას. დისტანციური სწავლების გამოყენებით ადამიანებს შესაძლებლობა ეძლევათ მუდმივი სადღეღამისო ნეისმიერ ადგილას მიიღონ განათლება, რისთვისაც ასევე სახელმწიფო ინსტიტუციების დახმარებაა საჭირო. თავის მხრივ, ქალაქები როგორც ყოველგვარი საგანმნათლებლო მომსა-

ხურების ცენტრები ნებისმიერი ასაკისა და ნებისმიერი მიმართულების მიხედვით იმ წყაროდ უნდა იქცნენ რესურსებისა და იდეებისა, რომლებიც ქმიან ნამდვილად ყველასათვის ხელმისწვდომ უწყვეტი განათლების სისტემას;

➢ მესამე, საერთაშორისო პროექტის, თანამშრომლობის პროგრამების და დაძმობილებული ქალაქების კავშირების მეშვეობით უწყვეტი განათლების სისტემა უკვე იძენს ტრანსნციონალურ ხასიათს;

➢ მეოთხე, განათლების სახლთან მიახლოება ასევე გულისხმობს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების შექმნის უშუალოდ ჩვენი საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს – არა მარტო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლელეში, არამედ სავაჭრო ცენტრებში, პარკებში, დასვენების კერებში და სამუშაო ადგილებზე.

ბოლონიის სისტემის უარყოფით მხარედ მიგვაჩნია შემდეგი:

1. საქართველოში ბაკალავრიატის ცნების არასწორი ინტერპრეტაცია, რის გამოც ბაკალავრის დიპლომით შრომით ბაზარზე სამსახურის შოვნა ძალიან რთულია. ეს ფაქტორი საკმაოდ სერიოზულ პრობლემას უქმნის სტუდენტს, რადგან აუცილებლობას წარმოადგენს სწავლების ორივე საფეხურის დასრულება. შრომის ბაზარი „აიძულებს“ სტუდენტს +2 წელი ისწავლოს, რის შემდეგაც შესაძლებელია იმ პოზიციაზე მუშაობის დაწყება, რაზეც რეალურად ბაკალავრიატის დონეც საკმარისია.

2. დიპლომის აღიარებასთან ერთად პროფესიონალთა გადინება სხვადასხვა ქვეყნებში და ეს მაშინ, როდესაც დღესდღეობით საქართველოში პროფესიონალთა დეფიციტს განვიცდით.

4. სისტემის არადემოკრატიული ბუნება, სადაც რეფორმები ევროკომისიის მონაწილეობით სამთავრობათშორისო დონეზე იქმნება და უმაღლესი განათლების სივრცეში მოღვაწე პროფესორთა, მკვლევართა და სტუდენტთა ჩართულობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ხდება იმ აქტორების თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება, რომლებსაც ეს პროცესები უშუალოდ შეეხება. კრედიტების სისტემის მიღების დროს, უგულებელყოფილ იქნას სტუდენტების, აკადემიკოსების

და სხვა საუნივერსიტეტო სივრცეში მოღვაწე პირების საკმაოდ მოსაზრებები, რომლითაც ზემოჩამოთვლილნი არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ საკრედიტო სისტემის პრობლემატურ ბუნებას, კონკრეტულად, საკრედიტო სისტემა იქცა კრიტიკის ობიექტად სტუდენტებსა და პროფესორებს შორის. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სწავლების პერიოდის შემცირებამ განაპირობა არა სასწავლი კურსების რაოდენობრივი შემცირება ან შეცვლა, არამედ ამ კურსების უფრო მოკლე ვადაში გავლის საჭიროება, რაც ნიშნავს რომ ძველ სასწავლო სისტემაში არსებული კურსის მოცულობა დარჩა უცვლელი, მაშინ როცა შემცირდა ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტმა უნდა მოახერხოს აღნიშნული საგნის დაუფლება. ევროპელმა სოციალისტებმა, საკუთარ მოხსენებაში აღნიშნეს, რომ საკრედიტო სისტემის ზემოაღნიშნული პრინციპით ფუნქციონირება, სტუდენტს არ აძლევს საშუალებას სწავლას პარალელურად შეუთავსოს სამსახური (თუნდაც დაბალანაზღაურებადი), რათა შეძლოს საკუთარი სასწავლო ხარჯების დაფინანსება. მათივე მტკიცებით, ავსტრიელ სტუდენტთა 46% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. გარდა ამისა, საკრედიტო სისტემასთან მიმართებაში, პრობლემას წარმოადგენს ბოლონიის პროცესში ჩართულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის კრედიტების აღიარების საკითხიც, ეს საკითხი განსაკუთრებით ეხება ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ პროგრამას „ერასმუსი“, პროგრამაში მონაწილე სტუდენტები, რომლებიც გაცვლითი პროექტებით მიდიან სხვაქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, ხშირად გაწბილებულნი რჩებიან უკან დაბრუნების შემდგომ, რადგანაც უცხო ქვეყანაში გავლილი საგნების აღიარება არ ხდება ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლის მიერ.[72]

5. უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების შედეგად მიღებული განათლების სტანდარტიზაცია, ტრანსფორმაცია და მარკეტიზაცია ჰარმონიზაციის ნაცვლად. ამით შეიძლება ავხსნათ ის ტენდენციები, რომლებიც შეინიშნება საერთო ევროპუ-

[72] მანჯავიძე. თ., საქართველო, ბოლონიის პროცესი და მისი სოციო-პოლიტიკური მნიშვნელობა. http://iveria.biz/1338--.html.

ლი საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებში – ბიზნესის, ეკონომიკის და სამართლის სფეროების პრიორეტეტულობა, ხოლო ისეთი სფეროების ნაკლები პოპულარობა, როგორებიცაა: ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია და სხვ. უმაღლესი განათლების ამგვარი რეფორმირებისადმი წინააღმდეგობა ნათლად გამოიხატა 2009 წელს ავსტრიასა და გერმანიაში მიმდინარე სტუდენტურ საპროტესტო აქციებზე. 2007 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ევროპულ ქვეყანათა უმრავლესობაში უმაღლესი განათლების მქონეთა კმაყოფილება სამსახურებით გაცილებით მაღალია მათემატიკის, ბიოლოგიის და სხვა ტექნიკურ დარგებში, მაშინ როცა კმაყოფილების დონე საგრძნობლად დაბალია ჰუმანიტარულ, სოციალურ და სამართლის დარგში განათლება მიღებულთა შორის. გარდა ამისა, პოტენციური დამსაქმებლის თვალში ბაკალავრიატ დამთავრებული სტუდენტი განწირულია „არაანაზღაურებადი სტაჟირებების ლაბირინთში“ მოსახვედრად შემდგომი დასაქმების პერსპექტივით, ან უკეთეს ვარიანტში, დამსაქმებლები ბაკალავრიატ დამთავრებულებს დაბალანაზღაურებად სამუშაოებს სთავაზობენ. იმისათვის, რომ სტუდენტმა შეძლოს მაღალანაზღაურებადი სამსახურის მოძიება, იძულებულია გაიაროს მაგისტრატურის კურსიც. სახელმწიფოთა უმრავლესობამ თავიანთ თავზე აიღო ის სოციალური პასუხისმგებლობა, რომ მოეხდინათ ბაკალავრიატის სწავლების დიდი ნაწილის დაფინანსება გრანტირების წესების გათვალისწინებით, რაც ძირითადად მოხდა მაგისტრატურის საფეხურის ინდივიდუალური წესით დაფინანსების ხარჯზე. შედეგად: სახელმწიფომ მოკლეპერიოდიანი და გაცილებით იაფი კურსის (ბაკალავრიატის) დაფინანსების ხარჯზე, ნაწილობრივ მოიხსნა პასუხისმგებლობა სრულიად დაეფინანსებინა სასწავლო ციკლი (როგორც ამას აკეთებდა სახელმწიფოთა უმრავლესობა სწავლების ერთციკლიანი სისტემის ფარგლებში) და მაგისტრატურის შედარებით ძვირადღირებული კურსის დაფინანსება უმეტესწილად გადავიდა სტუდენტთა ხარჯზე.[73]

---

[73] ხიზანაშვილი,მ., ახალაძე, თ., ბოლონიის პროცესი და ბოლონიის სისტემის კრიტიკა. http://intermedia.ge/.

ქვეყნებს შორის არსებული ვარიაციებისა მიუხედავად, ზემოაღნიშნულმა პრობლემებმა გარკვეული თვალსაზრისით ბოლონიის პროცესში ჩართული ყველა ქვეყანა მოიცვა, რამაც თავის მხრივ სტუდენტთა და აკადემიკოსთა შორის წინააღმდეგობრივი რეაქციები და შესაბამისად, მასობრივი გამოსვლები განაპირობა. არსებობს მოსაზრება, რომ პრობლემები არასწორად განხორციელებული რეფორმების შედეგია, რაც ძირითადად, ეროვნულ დონეზე მოღვაწე აქტორებს აკისრებს პასუხისმგებლობას. თუმცა ეროვნულ დონეზე რეფორმების ადაპტაციის პროცესში დაშვებულ იქნა უამრავი შეცდომა, მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბოლონიის სისტემის წევრ ქვეყნებში ერთი და იმავე სახის პრობლემებს ვაწყდებით, რაც აშკარად მიუთითებს პრობლემების უფრო ზოგად ხასიათზე, ამიტომ პრობლემების მოგვარების მიზნით ბოლონიის პროცესის საინიციატივო დეკლარაციის მიღებიდან 19 წლის შემდეგ, მრავალი კვლევისა და დაგროვილი პრაქტიკის საფუძველზე აუცილებლად მიგვაჩნია მნიშვნელოვანი და რადიკალური ნაბიჯების გადადგმა.

გერმანიის პროფესიული განათლების (დუალური) სისტემა

გერმანიაში თანამედროვე ეტაპზე წარმატებით ფუნქციონირებს განათლების ალტერნატიული და შრომით ბაზარზე მორგებული მოდელი, რომელიც პარალელურ რეჟიმში იძლევა თეორიულ ცოდნასაც და საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობასაც მომავალი დასაქმების პერსპექტივით. გერმანულ რეალობაში ამას დუალური განათლება ჰქვია.

მოკლე ისტორიულ ექსკურს თუ მოვახდეთ გერმანიაში დუალური განათლების ჩასახვისა და განვითარების შესახებ, ნათელი გახდება, რომ მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მიღებულმა ე.წ. „ხელოსანთა კანონმა“ შეასრულა. კონკრეტული სპეციალობის მოკლე ვადაში ხარისხიანად ათვისების და

შრომის ნაყოფიერების სწრაფად დამდგარი შედეგის შესაძლებლობამ დუალური განათლება პროფესიული განათლების სხვა ფორმებთან შედარებით უფრო მოქნილ და ეფექტურ მეთოდად აღიარა და პოპულარული გახადა იგი არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელს ევროპასა და ამერიკაში, თუმცაღა ის მაინც ყველაზე უფრო წარმატებული გერმანიაშია.

პროფესიული განათლების დუალური სისტემის გადამწყვეტი ნიშან-თვისებები გერმანიის განათლების ფედერალურმა კომისიამ 6 „ძირითად პრინციპად" ჩამოაყალიბა.[74]

განათლების ამ მოდელის მეშვეობით სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას სწავლის გაგრძელების და მუშაობის შესაძლებლობა ერთდროულად აქვს – ახალ ცოდნასა და უნარებს იგი ორ პარალელურ სივრცეში – საწარმოსა და სასწავლებლის აუდიტორიაში ითვისებს: კვირის 3-4 დღე საწარმოშია, 2-3 დღე

პროფესიული განათლების სკოლაში. სწავლის დასრულების შემდეგმისი ცოდნა და შესაძლებლობები გამოცდაზე ფასდება, იღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ

სერთიფიკატს და წარმოჩენილი შედეგების მიხედვით ხდება შემდეგ მისი აყვანა საწარმოში. ეს არის შედარებით ნაკლებანაზღაურებადი კადრი, რომელზე მოთხოვნაც შრომით ბაზარზე ბევრად მეტია იმ ახალგაზრდებთან შედარებით, ვინც მართალია, უფრო ხანგრძლივი, 4-5-წლიანი (და ზოგჯერ მეტიც) უმაღლესი განათლება მიიღო, მაგრამ მხოლოდ თეორიულ ცოდნას ფლობს და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არ აქვს.

დუალურმა განათლებამ გერმანიაში ბიზნესის თითქმის ყველა სფეროში შეაღწია. სტატისტიკის მიხედვით დუალური პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 95 %, ხოლო პროფესიული სტუდენტის შემოსავალი პირველ წელს საწარმოში საშუალოდ 795 ევრო. ეს შემოსავალი მზარდია ყოველწლიურად.

---

[74] ელბაქიძე, ნ., დუალური პროფესიული განათლება გერმანიაში და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში. *liberali.ge/.../dualuri-profesiuli-ganatleba-germaniashi-da-misi-danergvis-perspeqtivebi.*

გერმანიაში 2,1 მილიონი დიდი, საშუალო და მცირე კომპანია და საწარმოა დარეგისტრირებული, მათგან 21 % ანუ დაახლოებით 438 000 საწარმო სთავაზობს დუალურ პროფესიულ განათლებას მსურველებს. ყოველწლიურად ნახევარი მილიონი მსურველი იწყებს დუალურ პროფესიულ განათლებას. მათ შორის 66 % რჩება იმ კომპანიაში დასაქმებული, სადაც გაიარა პროფესიული დუალური განათლება. ეს სტატისტიკური მონაცემები აღებულია გერმანიის პროფესიული განათლების ფედერალური ინსტიტუტის ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან.[75]

დუალური განათლება 346 ძირითად და 46 ახალ, მოთხოვნად პროფესიას მოიცავს და დღეს გერმანია მთელს ევროპაში ის ქვეყანაა, სადაც ყველაზე მაღალია დასაქმებული ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი. დუალური განათლების წყალობით გერმანია და შვეიცარია პირველ და მეორე ადგილებს იკავებენ მსოფლიოში დასაქმების მაჩვენებლით. ამჟამად გერმანიაში მოსახლეობის მხოლოდ 7%-ია დაუსაქმებელი, შვეიცარიაში კი –დაახლოებით 9%.[76]

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებს, რომლებიც კონკრეტულ კომპანიაში იწყებენ მუშაობას, სწავლის დასრულების შემდეგ კომპანიები თავად სთავაზობენ სამუშაო ადგილებს, კურსდამთავრებული კი, თავის მხრივ, ახალ სამუშაო ადგილზე სხვა სფეროში მიღებული განათლების ინტეგრირებასაც ახერხებს. დუალური განათლება დამსაქმებლისთვის – პროფესიონალი კადრების იოლად პოვნის, დასაქმებულისთვის კი გამოცდილების იოლად მიღების საშუალებაა.

ამგვარად, დუალური მოდელი წარმატებით ფუნქციონირებს გერმანიაში, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ეს მოდელი ავტომატურად ყველა ქვეყანაში იგივე შედეგს დადებს. მართალია, განვითარებული და უფრო მეტად განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობამ (ჩილე, ეგვიპტე, ინდონეზია), რომლებმაც განათლების ეს მოდელი გადაიღეს გერმანიისგან, უფრო ადვილად

[75] იქვე

[76] დუალური პროფესიული განათლება საქართველოში | mastsavlebeli.ge.

დაძლიეს ეკონომიკური კრიზისი, თუმცაღა ეს მოდელი ვერ დაინერგა, მაგალითად, ინგლისში ან აშშ-ში, რადგან კერძო სექ-ტორი არ ერთვება ისე აქტიურად შეგირდების მომზადებაში, რო-გორც ეს გერმანიაში ხდება. ეს არ არის მათი კორპორაციული კულ-ტურის ნაწილი. დიდ ბრიტანეთში ან აშშ-ში ვერასდროს დანერგა-ვენ ასეთ სისტემას, რადგან კერძო სექტორი არ არის ამით დაინ-ტერესებული, მაგრამ ძალიან წარმატებული ქვეყნები არიან ეკო-ნომიკური განვითარების თავლსაზრისით. დაუსაქმებლობის სტა-ტისტიკა გერმანიაში, ავსტრიაში, ბრიტანეთში და აშშ-ში თითქმის იდენტურია 5-6%. ბრიტანეთს და აშშ-ს უბრალოდ არჩეული აქვთ სხვაგვარი, კულტურულად მათთვის უფრო მისაღები, საკუთარი ეროვნული მოდელები. საქართველომაც უნდა მოძებნოს საკუთარი გზა და ბრმად გადმოიღოს მისთვის უცხო მოდელები. ამ მიზნით ჩვენი სამინისტროს თანამშრომლები მივლენილნი იყვნენ გერმა-ნიაში მათი ცენტრების გასაცნობად და იქაური სპეციალისტებიც ჩადიან ჩვენთან, რადგან დუალური განათლების ექსპორტს გერმა-ნია განიხილავს როგორც დახმარებას ქვეყნისადმი და ასეთი თა-ნამშრომლობისთვის მუდამ მზად არის. ევროკომისიამ ოფიციალუ-რი რეკომენდაციაც კი მისცა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, გა-დასულიყვნენ აღნიშნულ მოდელზე, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ მოდელმა ყველგან ერთნაირად არ იმუშავა, თუმცაღა მთელ რიგ ქვეყნებში – შვეიცარიაში, შვედეთსა და დანიაში დუალური განათლება წარმატებით ინერგება მთავრობის მხარდაჭერით და ამ ქვეყნებისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს.

ჩვენი აზრით, გერმანიაში აღნიშნული სისტემის წარმატების მიზეზი არსებული განსაკუთრებული კულტურაა. დუალური სის-ტემა მხოლოდ განათლების პოლიტიკის კონკრეტულ მოდელს არ წარმოადგენს, არამედ, ერთი მხრივ, სოციალურ პარტნიორებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობისა და, მეორეს მხრივ, ინ-დუსტრიული (განსაკუთრებით კი სახელფასო პოლიტიკის რეგუ-ლირების შედეგია. გერმანის ინდუსტრიული ურთიერთობის სის-ტემა აღნიშნულ პრობლემას იმით აგვარებს, რომ სხვადასხვა სექ-ტორში სოციალური პარტნიორების გარიგების საფუძველზე ადგენს

პროფესიონალის ხელფასს. დასაქმებულის ანაზღაურება დგინდება მისი უნარების დონის მიხედვით ნებისმიერ კომპანიაში. შესაბამისად, კომპანიები დაცული არიან იმისგან, რომ მათ კადრს ვინმე სხვა წაიყვანს (რადგან ამ ადამიანის ანაზღაურება ფიქ-სირებულია მისი უნარების მიხედვით და მეორე კომპანია უფრო მაღალი ანაზღაურების შეთავაზების ხარჯზე ვერ გადაიბირებს მუშაკს). თავის მხრივ, დასაქმებულები დარწმუნებული არიან, რომ სექტორული გარიგების შედეგად მათ სხვა კომპანიაში უფრო მაღალი ხელფასი ვერ ექნებათ, შესაბამისად, მოტივაციაც ნაკლები აქვთ სამუშაოდ სხვაგან გადასასვლელად. გერმანიაში დასაქ-მებულებს მყარი გარანტიები ეძლევათ მოულოდნელი გათავისუფ-ლებისა თუ სამუშაო პირობების გაუარესების საწინააღმდეგოდ. ამიტომ მათ გააჩნიათ მოტივაცია, მიიღონ განათლება კომპანიისთ-ვის საჭირო სპეციფიკურ დარგებში. აღნიშნულის გამო კომპანიებს აქვთ მოტივაცია, ჩაერთონ პროფესიული მომზადების სახელმწიფო სისტემაში. სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ ამ პროგრამას მონიტორინგს უწევს, ერთი მხრივ, დამსაქმებელთა ასოციაცია, მეორე მხრივ კი _ პროფესიული კავშირები. სწორედ მათი ერთობ-ლივი ძალისხმევით ყველა კომპანია ჩართულია სისტემაში და სტაჟირებაზე აჰყავთ პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხული მოსწავლეები, რომლებიც საკლასო ოთახში თეორიული სწავლების გარდა, კომპანიაში იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

სხვადასხვა ქვეყანაში დუალური განათლების დანერგვა დამო-კიდებულია ქვეყანაში არსებულ რეალობაზე. ეროვნული სტრუქ-ტურები, წინაპირობები და ტრადიციები ყოველთვის საფუძველია დუალური პროფესიული განათლების კომპონენტების წარმატებით დანერგვისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაანალიზებული და გათვალისწინებული იყოს ის წინარე გამოცდილება, რაც პროფესიულ განათლებაში უკვე არსებობს.

ფინეთის განათლების სისტემა

მოზარდი თაობის აღზრდის პრობლემა ოდითგანვე იყო ყველა კულტურული ერის მთავარი საზრუნავი. ამ მხრივ გამორჩეულია ევროპის კავშირის ქვეყნები. ამ ქვეყნების მეთაურებმა კარგად იცოდნენ, რომ ვერავითარ ეკონომიკურ წარმატებას ვერ მიაღწევდნენ, თუ წინსვლის საფუძველი არ იქნებოდა განათლება. 2000 წლის ლისაბონის სამიტსა და 2002 წლის ბარსელონაში ჩატარებულ ევროპული საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ ევროპულ განვითარებულ, ეფექტურ ეკონომიკას საფუძვლად უნდა დადებოდა განათლების მაღალი დონე. ევროპული განათლების ახალი მოდელის კონცეფცია გადმოცემულია ლისაბონის სამიტის დაკსვნებში, გაშუქებულია ევროკავშირის უწყვეტი განათლების მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც ეკონომიკის განვითარება უნდა მიმდინარეობდეს უწყვეტი განათლების, ანუ „სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ პროცესთან ერთად.

ჩვენი კვლევის მიზანია, განვიხილოთ ფინეთის განათლების სისტემა, რომლის შესახებაც ამ ბოლო წლებში ბევრი იწერება. მაინც რა არის ფინეთის განათლების სისტემის საიდუმლო, რომელმაც ეს მოდელი საქვეყნოდ აღიარებულად აქცია. შეიძლება თუ არა ამ მოდელის სხვა სახელმწიფოების განათლების სისტემაში გადანერგვა, მათი გამოცდილების გაზიარება.

ფინელებს 1970-იან წლებში ნაკლებად განვითარებული განათლების სისტემა და ასევე საკმაოდ ღარიბი აგრარული ეკონომიკა ჰქონდა, რომელიც მხოლოდ სატყეო მეურნეობას ეფუძნებოდა. ამიტომ მათ კარგად იცოდნენ, რომ უნდა გაეუმჯობესებინათ განათლების სისტემა, რათა შეექმნათ ნამდვილ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა.

ფინეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეკონომიკის განვითარებისათვის აქცენტი საჯარო განათლებაზე გაეკეთებინათ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს გენერალური

დირექტორი პასი სილბერგის აზრით, „იმისათვის, რომ ვიყოთ კონკურენტუნარიანები, ჩვენ უნდა გავანათლოთ ყველა. ეს ერთად-ერთი გზაა გადარჩენისათვის“. ერთ-ერთი სკოლის დირექტორი ელენ ფრანცი ამბობდა: „ჩვენ არაგვაქვს ნავთობი და სხცა ბუნებრივი რესურსები ან სიმდიდრეები. ცოდნა და განათლება - ეს არის ის, რაც ფინეთს და ფინელ ხალხს კონკურენტუნარიანს გახდის მთელ მსოფლიოში“[77].

ამიტომ საჭირო იყო სასწრაფოდ ჩაეტარებინათ განათლების რეფორმა. რეფორმის პირველი ტალღა მასწავლებლებს შეეხო. მთავარი იყო პედაგოგთა პროფესიული ცოდნის ამაღლება. პედაგოგს უსათუოდ უნდა ჰქონოდა მაგისტრის ხარისხი. ფინეთმა ძალიან მალე გახადა მასწავლებლობა ყველაზე პრესტიჟულ პროფესიად. მათ მასწავლებლის როლი მოსახლეობის თვალში იმ დონემდე აამაღლეს, რომ ის არა მხოლოდ საპატიო, არამედ სათაყვანებელ პროფესიად აქციეს. ისინი მასწავლებლებს თვლიდნენ მეცნიერებად, ხოლო საკლასო ოთახებს მათ ლაბორატორიებად. მაგისტრის ხარისხი შინაარსობრივად იყო ხარისხი. ისინი ამისათვის ეუფლებოდნენ მიზნობრივ კურსებს, რომლებიც მათ ინტელექტუალური მზაობით უშვებდა საკლასო ოთახში. პროფესიონალიზმი განსაზღვრავს მაქსიმალურად გუნდურ მუშაობას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. ამით ისინი აუმჯობესებენ და ხვეწენ სწავლების მეთოდებს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ საოცრად გაიზარდა მასწავლებლობის მსურველთა რიცხვი, ამ პროფესიის დაუფლების მოთხოვნილება.

ფინეთში განათლება, კონკრეტულად სასკოლო საგანმანათლებლო სისტემა, არის უაღრესად პრიორიტეტული.

ფინეთის განათლების რეფორმა ფოკუსირდა მეცნიერებაზე, ტექნოლოგიასა და ინოვაციურობაზე, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა კრეატიული აზროვნების განვითარებას.

---

[77] .ფინეთის "საგანმათლებლო სასწაული" - რა უნდა გადმოვიღოთ ფინური განათლების სისტემიდან...https://www.allnews.ge/

90-იან წლებში ფინეთი საგრძნობლად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპას განათლებაში, მხოლოდ 25% იღებდა სასკოლო განათლებას. რეფორმის შემდეგ კი საერთაშორისო კვლევების თანახმად, აღიარებულია, რომ მსოფლიოში ყველაზე წარმატებული განათლების სისტემა ფინეთშია. 2001 წელს ფინეთი განათლების მიხედვით გახდა ყველაზე მოწინავე სახელმწიფო. ეს დაადასტურა PISA-ს კვლევებმა, რითაც გააცა მსოფლიო. ამ შედეგს „მცირე შოკიც“ კი უწოდეს. ეს იყო სწორ რეფორმებზე დამყარებული შედეგი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია სამ წელიწადში ერთხელ ატარებს და აქვეყნებს კვლევის

შედეგებს. ამ მონაცემების მიხედვით ფინეთში 2012 წლიდან განათლების სისტემათა მსოფლიო რეიტინგში, ხოლო ფინელი მოსწავლეები საერთაშორისო ორგანიზაცია LEA-ს მონაცემების მიხედვით პირველ ადგილზე არიან სასკოლო უნარ-ჩვევების მაჩვენებლებით. ხოლო ფინელი ბავშვები მსოფლიოში ბავშვთა შორის ყველაზე მეტად მკითხველი ბავშვები.

ერთ-ერთი საიდუმლო ფინური განათლების სისტემის წარმატებისა, არის მასწავლებლის ფაქტორი. ფინეთში მასწავლებლობა უარღესად პრესტიჟული და ძნელად მისაღწევი პროფესიაა. იმისათვის, რომ მასწავლებლად იმუშავო, უნდა გაიარო ერთწლიანი რეზიდენტურა, ასევე აუცილებელია გქონდეს მაგისტრის ხარისხი. 10-დან მხოლოდ ერთი შეიძლება კვალიფიცირდეს მოსამზადებელ პროგრამაზე, სადაც ტრენინგებს გაივლის ყველა ტიპის მოსწავლესთან სამუშაოდ (შეზღუდული შესაძლებლობების, ენობრივი ბარიერების მქონე თუ სხვ.) ასევე საკუთარი სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მოსწავლეთა პროგრესის შეფასებაში. სწორედ ეს განაპირობებს, რომ სკოლებში მასწავლებლად უსათუოდ მაღალი კვალიფიკაციის ადამიანი ინიშნება.

მასწავლებლობა და სკოლის ადმინისტრატორობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. მათ საზოგადოება დიდ პატივს სცემს. არიან ავტორიტეტული პიროვნებები. ფინეთში ბევრად ძნელია განათლე-

ბის სისტემაში მოხვდე, ვიდრე სხვა რომელიმე პრესტიჟულ დარგში, თუნდაც სამართალსა და მედიცინაში. მასწავლებლად მხოლოდ საუკეთესოებსა და გამორჩეულებს იღებენ. ეს პროფესია ძალზე პოპულარულია, თუმცა მათ საკმაოდ დაბალი საწყისი ხელფასი აქვთ. წლიურად 29 000 დოლარს იღებენ. მუშაობენ წელიწადში 570 საათს. ფინეთში დაწყებითი კლასების 120 000 პედაგოგია. მათ უმეტესობას აქვს პროფესორის წოდება, ან რომელიმე სხვა ხარისხი. სასწავლო პროცესი 190 სამუშაო დღეს მოიცავს. დილის 8 საათიდან დღის 3 საათამდე.

მასწავლებლის განათლება არ მთავრდება მასწავლებლობის უფლებების მოპოვებით. ისინი პერიოდულად იმაღლებენ კვალიფიკაციას, აუმჯობესებენ საკუთარ მეთოდებს. მათ სახელმწიფო უხდის იმისათვის, რომ კვირაში ორი საათი პროფესიულ განვითარებას დაუთმონ.

ფინეთში მასწავლებლებს აქვთ სხვადასხვა სტატუსი. არის „მომავლის მასწავლებელი“. ის ზრუნავს გაარკვიოს, რომელი მოსწავლე შეძლებს უმაღლესი განათლების მიღებას, რომელი პროფესიულისას. ამას ის არკვევს ბავშვის უნარებისა და მიდრეკილებების მიხედვით.

ასევე ფინეთში ყველა სკოლას ჰყავს „სპეციალური მასწავლებელი“, რომლებიც მომზადებულები არიან განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთან მუშაობაზე. მათი დევიზია: „რესურსების მიმართვა უფრო მეტად მათკენ, ვისაც ისინი ყველაზე მეტად სჭირდება“. ასეთი ბავშვები ფინეთში 6%-ია. მათი უმეტესობა სწავლობს ჩვეულებრივ სკოლაში, ხოლო მათი 10 % სპეციალურ სკოლაში. განათლების მუშაკებს სჯერათ, რომ თუ ადრეული ასაკიდან სწორად წარვმართავთ ამგვარ ბავშვებთან მუშაობას, თუ ადრეული ასაკიდან ამგვარი ბავშვების ინტეგრაცია მოხდება სხვა ბავშვებთან, ბევრი მათგანი შეძლებს გარემოსთან შეგუებას და საზოგადოების რიგითი წევრი გახდება. ფინელებს მიაჩნიათ, რომ რესურსები უნდა მიმართონ მათკენ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება და რომ

საჭიროა მაღალი სტანდარტი, სპეციალური მეთოდიკა და ხელშეწყობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის.

ფინეთს გააჩნია ეროვნული სასწავლო გეგმა. ის არ შეიცავს ინსტრუქციებს, ესა თუ ის მასალა როდის უნდა გაიაროს მასწავლებელმა. ისინი საკუთარი გეგმით მუშაობენ და პასუხისმგებლები არიან მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაზე. ფინელ მასწავლებლებს აქვთ დამოუკიდებლობა, შემოქმედებითი თავისუფლება, აქვთ ინდივიდუალური მიდგომები ყოველი მოსწავლის მიმართ და აქვთ საკუთარი მეთოდები სწავლის პროცესის უკეთ წარმართვისათვის.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფინური განათლების სისტემის ესოდენ დიდი წარმატება მასწავლებლების დამსახურებაა. ამას ადასტურებს აშშ-ის განათლების ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტის ლილი ესკელსენ გარსიას ფინეთში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებები: „მე წმინდა ადგილზე შევდგი ფეხი და ვიხილე ნათელი იგი. მე ფინეთში გახლდით. ეს ის ადგილია, სადაც მასწავლებლები თუ კარგები არიან, მხოლოდ სიკვდილის გამო ტოვებენ სკოლას და რომლებიც ღვთითკურთხეულ ბავშვებს ასწავლიან. ზემოთ მოყვანილი სტრიქონები ნათლად ასახავს იმ უკუღმართ სამყაროს, სადაც გვიწევს ცხოვრება და მოგვიწოდებენ, ვირწმუნოთ ის სიყალბე, რომელსაც „სასკოლო რეფორმას“ უწოდებენ, რომელიც ფაქტიურად ნიშნავს: პრივატიზაცია მოგებისათვის, ბავშვებს შორის კონკურენციის გაღვივებას „გამარჯვებულის“ გვირგვინისა და „დამარცხებულის იარლიყის“ მოსაპოვებლად. ამ სტრიქონებში კარგად ჩანს თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლილი გარსია ფინური განათლების მოდელს.

ფინელები ბავშვზე და მის განვითარებაზე ზრუნვას დაბადებიდან და სკოლამდელი ასაკიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდნენ. აქაც პედაგოგებად მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები ინიშნებიან. ისინი თვლიან, რომ სწორად წარმართული სკოლამდელი აღზრდა, დაწყებითი კლასებისა და შემდგომი განათლების მყარი საფუძველია. სახელმწიფო ბაღებთან ერთად

არსებობს კერძო და საოჯახო ბაღები. მშობლები საკუთარ შვილებს დაბადებიდანვე ისე ექცევიან, როგორც სრულყოფილ მოქალაქეებს. მათ ბავშვის პასპორტი სამშობიაროშივე ეძლევათ.

ფინელი მშობლები ბავშვებს ადრეული ასაკიდან აძლევენ სრულ თავისუფლებას. ბაღში შეჰყავთ ათი თვის ასაკიდან. საბავშვო ბაღში დადიან შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებიც. ყველა ბავშვებს განვითარების ერთნაირი შესაძლებლობა აქვს. ბაგა-ბაღის ასაკიდან სრულწლოვანობამდე ყველა ბავშვი აღრიცხულია სოციალურ სამსახურში. სოცმუშაკი ყოველთვიურად აკითხავს ბავშვს და ამოწმებს ოჯახს. არკვევს ბავშვის ცხოვრების პირობებს, პრობლემებს.

ფინეთში დასჯადია თუ მშობლები ბავშვს საზოგადოებრივ ადგილებში ხმამაღლა უყვირებენ, შენიშვნას მისცემენ, გაუწყრებიან. ეს ბავშვის დამცირებად ითვლება. ბავშვის ცემა კი ჯარიმას, ზოგჯერ პატიმრობასაც ითვალისწინებს. ბავშვებს მცირე ასაკიდან აჩვევენ დამოუკიდებლობას _ დამოუკიდებლად იცმევენ ტანსაცმელს, თვითონ ჭამენ, მშობლების დახმარების გარეშე, ისინი უფროსების გარეშე ჩადიან ეზოში სათამაშოდ, სასეირნოდ; უფროსების მეთვალყურეობის გარეშე მიდიან სკოლაში და ასევე მარტო ბრუნდებიან შინ. სკოლაში თვითონ, მასწავლებლის გარეშე ჩადიან სასადილოში, დამოუკიდებლად სადილობენ. ფინელებს მიაჩნიათ, რომ ყოველი ბავშვი ინდივიდია, პიროვნებაა და იგი დამოუკიდებლობას უნდა მიეჩვიოს, მომზადდეს მომავალი ცხოვრებისთვის. არც მშობლები და არც მასწავლებლები მოსწავლეთა კამათისა და კონფლიქტის მოგვარებაში არ ერევიან. ბავშვებმა თავიანთი საქმე თვითონ უნდა მოაგვარონ.

ფინელებმა ძალიან კარგი განათლების სისტემა შექმნეს. მიხვდნენ, რომ შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყანას ეკონომიკური წინსვლისათვის კარგად განვითარებული, კრიტიკულად მოაზროვნე და შეუზღუდავი ადამიანების საზოგადოება სჭირდება. ამიტომ მათ განათლების სისტემაში განსხვავებული მეთოდიკა შეიტანეს. ჯერ ერთი განსაზღვრეს თუ რა არის საუკეთესო სწავლება,

არა უბრალოდ გონივრული სწავლება. მეორე მხრივ, ასევე განსაზღვრეს თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი სწავლებისას. ეს არის არა მეხსიერებაზე, არამედ აზროვნებაზე დაფუძნებული სწავლება. რომ სასკოლო სისტემა არის ფინური განათლების მთავარი საყრდენი. იგი თანაბრადაა ორიენტირებული ყველა მოსწავლეზე. არ არის განსხვავება სოციალ-ეკონომიკური, სოფლის თუ ქალაქის, რელიგიური შეხედულების თუ უნარებისა მოსწავლეებს შორის. ამ განსხვავებების მიუხედავად სასკოლო განათლება თანაბრადაა ორიენტირებული ყველა მოსწავლეზე.

ფინელებს სჯერათ, რომ განათლებული ადამიანები საუკეთესო საფუძველია ეკონომიკის, კარგი ოჯახებისა და კარგი დემოკ-რატიისთვისაც. ამიტომ მათ ყველაზე დიდი ინვესტიცია მასწავ-ლებელთა მაღალ დონეზე მომზადებაში დააბანდეს. მათი განათ-ლების საუნივერსიტეტო პროგრამები მაღალელიტურ“ პროგრამებად აქციეს, რომლებშიც მხოლოდ საუკეთესო უნივერსიტეტების საუკეთესო სტუდენტებს იღებენ და ყველა ხარჯს სახელმწიფო ფარავს.

ფინეთში არ არსებობს არასრული განაკვეთის ან დროებითი მასწავლებლის სტატუსი.

სკოლების დირექტორებიც მასწავლებლებია. სკოლაში ჰყავთ მასწავლებლების დამხმარე პერსონალი, მეურვე მასწავლებლები, ძიძები, ბიბლიოთეკარები, მრჩევლები, ფსიქოლოგები. სასწავლო პროცესში ელექტრონული სისტემით ჩართული არიან მშობლები. ეს არის ელექტრონული დღიური, რის საშუალებითაც უკავშირდებიან მშობლებს მასწავლებლები, ექიმი, ფსიქოლოგი, ან მშობელი სკოლას. ამით მყარდება კავშირი ოჯახსა და სკოლას შორის.

ფინეთში თითქმის ყველა სკოლა საჯაროა. სწორედ ეს არის განმასხვავებელი ბევრი სხვა ქვეყნის განათლების სისტემისაგან. თუმცა, მაინც არის რამდენიმე დამოუკიდებელი კერძო სკოლა, რომელიც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. ასევე საჯაროა ფინეთის ყველა უმაღლესი სასწავლებელი. საგანმანათლებლო რესურსი ყველა

მოსწავლისათვის ერთნაირად ხელმისაწვდომია. მიუხედავად სოციალური წარმოშობისა, ყველა ბავშვს აქვს ერთნაირი განათლების მიღების საშუალება. ეს არის ფინეთის განათლების სისტემისათვის აუცილებელი. თანასწორობა ფინეთის საგანმანათლებლო სისტემის პოლიტიკის შედეგია. ყოველ სკოლაში არის პედაგოგიური კოლექტივი, რომელიც ყოველ ბავშვზე ერთნაირად ზრუნავს. ყოველ სკოლაში არის უფასო საკვები. უფასოა სახელმძღვანელოები, საკანცელარიო სასკოლო ნივთები, ნოუთბუქები, პლანშეტები, უფასოდ ეწყობა ექსკურსიები და სხვა კლასგარეშე სამუშაოები. უფასოდ ემსახურებათ სასკოლო ავტობუსი. ბავშვს, რომელიც სკოლიდან შორს ცხოვროვს უფასოდ ემსახურება ტაქსი.

აღსანიშნავია, რომ ფინეთში არ არსებობს პრესტიჟული სკოლები ან მასწავლებლები. არ არის სკოლებს შორის რაიმე შეჯიბრი, კონკურენცია, არამედ არის ურთიერთთანამშრომლობა, რაც ყველა სკოლისათვის მომგებიანია. ფინეთში სასწავლო წელი აგვისტოში იწყება და მაისის ბოლოს მთავრდება. სწავლება ხუთდღიანია და მხოლოდ დილის ცვლაში მიმდინარეობს. მათ აქვთ სასწავლო წლის პირველ ნახევარში 3-4-დღიანი საშემოდგომო და ორკვირიანი საშობაო არდადეგები. მეორე ნახევარში კი სააღდგომო არდადეგები.

სკოლაში ბავშვები შვიდი წლის ასაკისანი შედიან. მიღებულია შეფასების ათბალიანი სისტემა დაწყებით კლასებში, მეშვიდე კლასამდე მათ მხოლოდ სიტყვიერად აფასებენ: საშუალო, დამაკმაყოფილებელი, კარგი, ძალიან კარგი. არ ასრულებენ საშინაო დავალებებს, გაკვეთილებს შორის არ ირეკება ზარი. ისვენებენ მაშინ, როცა თვითონ უნდათ. მასწავლებლებს საკუთარი სახელით მიმართავენ. საკლასო ოთახები გათვლილია 20 ბავშვზე, მაგრამ უმეტეს კლასებში უფრო ცოტა მოსწავლეა. მათ შეუძლიათ გაკვეთილზე ითამაშონ, გაერთონ და ისე აითვისონ შესასწავლი მასალა. შეუძლიათ არ მოუსმინონ მასწავლებელს, იკითხონ სხვა წიგნი, ან მოუსმინონ მუსიკას. ბავშვები სკოლაში ფანქრით წერენ, რომ თუ საჭირო იქნება ჩაასწორონ, წაშალონ და შეასწორონ. ფანქრითვე ასწორებს ნაწერებს

მასწავლებელი.

ბავშვებს აქვთ აბსოლუტური თავისუფლება, შეუზღუდავობა. მათ შეუძლიათ მერხზე ჯდომის გარდა, დასხდნენ ხალიჩაზე, დივანზე ან სავარძელზე. ეს ერთგვარად ქმნის სახლში ყოფნის კომფორტს. არ აცვიათ სასკოლო ფორმები, ვისაც რა უნდა, იმას იცვამს. მაგრამ აუცილებელია ფეხსაცმლის გამოცვლა. ზოგჯერ წინდების ამარა, ან ფეხშიშველი დარბიან საკლასო ოთახში. თბილ ამინდში გაკვეთილები უტარდებათ გარეთ. სასკოლო ოთახიდან კი რამდენჯერმე გამოჰყავთ ჰაერზე 15 წუთით და ასვენებენ. ეს სასარგებლოა მათი ჯანმრთელობისათვის.

ერთ მერხზე ერთი მოსწავლე ზის. სასადილოშიც ერთ მაგიდასთან ერთი მოსწავლე სადილობს. საგულისხმოა, რომ სკოლის ეზო არ არის შემოღობილი. სკოლას არ ჰყავს დარაჯი, დაცვა[78] .

ფინეთის საგანმანათლებლო სისტემაში შეფასების კონცეფცია სპეციფიკურია. შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას არა ცუდი შედეგების გამოვლენით, არამედ სასწავლო დაწესებულებებსა და განათლების პოლიტიკის მმართველებს შორის ჰარმონიით, კეთილგანწყობით. შეფასებამ ბიძგი უნდა მისცეს პროგრესს, წინსვლას უკეთესობისაკენ. როგორც ვთქვით, ფინურ სკოლებში 12 წლამდე ასაკის ბავშვებს საერთოდ არ აფასებენ ქულებით. მხოლოდ მეექვსე კლასიდან

იწყება ქულებით შეფასება. 4-დან 10 ქულამდე. ის, ვინც 4 ქულით ფასდება, ნიშნავს, რომ საგანი საერთოდ არ იცის. 4 მინიმალურ ქულად შემთხვევით არ არის აღებული. ფინეთში ნებადართული არ არის მოსწავლის დამცირება და 0 ქულით შეფასება. 7 ქულა ნიშნავს სასუალოს, 8 კარგს, 10 კი საუკეთესოს. ფინეთში შეფასება მარეგულირებელი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც გროვდება ყველა ინფორმაცია, რომელიც ასახავს

საგანმანათლებლო სისტემის მდგომარეობას. ფინეთში შეფასებას

---

[78] თაბაგარი. თ., მსოფლიოში ყველაზე წარმატებული განათლების სისტემის 7 პრინციპი 4motivi.com ›

აქვს მოტივაციური ფუნქცია. კარგი შეფასება მოსწავლეზე მოქმედებს დადებითად და წარმოადგენს სტიმულს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისაათვის. შეფასებას არა აქვს მოსწავლეებს შორის შეჯიბრის ხასიათი. შეფასების ამგვარი სისტემით მინუმიმამდეა დაყვანილი სტრესი და ჩვეული ნერვიულობა. სწორედ ამიტომ არ არის ფინეთის სკოლებში გამოცდები და ტესტირებები კლასიდან კლასში გადასვლის დროს.

მოსწავლეებს ბევრი თავისუფლება ეძლევათ. მიცემული დავალების შესასრულებლად არ უსაზღვრავენ დროს. როცა შეასრულებს, მაშინ მოიტანს. მათ მიაჩნიათ, რომ ასეთი პრაქტიკა უფრო გამართლებულია. ეს ხელს უწყობს შემოქმედებით პროცესს, ხელს უწყობს მოსწავლეთა კრეატიული აზროვნების განვითარებას. სწორედ აზროვნების უნარების განვითარებაა ფინური განათლების სისტემის ძირითადი ამოცანა.

ფინური პედაგოგიკის მიხედვით, ბავშვს ტანჯავს თუ რამდენიმე საათი ვაიძულებთ რაღაც დაიზეპიროს. მას ამ დროს უნდა მოძრაობა, თამაში, წრიალებს, მოუსვენრადაა და მას მოუსვენარ ბავშვს ვეძახით. არ არის ამგვარი იძულებითი სწავლება საჭირო. ის თრგუნავს ბავშვს, ხდება მისი მიძინება, მინელება. ფინელები კი ცდილობენ ბავშვი იყოს მოძრავი, თავისუფალი, აკეთოს ის, რაც უნდა. ამ შემთხვევაში ის თავის ფარულ უნარებს უფრო ავლენს. მათი აზრით, განათლების სისტემა არ უნდა იყოს მბრძანებლური, არამედ სასკოლო ოთახებში უნდა იყოსა უბრალოდ კეთილგანწყობილი მასწავლებელი და მოსწავლე.

საშუალო განათლება სკოლაში ორ ნაწილად იყოფა: დაბალი - ეს არის პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით და მაღალი - მეშვიდე-მეცხრე კლასები. მეათე კლასი ყველასათვის სავალდებულო არ არის. მოსწავლეებს თავიანთი სურვილის მიხედვით მეათე კლასში ეძლევათ ნიშნების გამოსწორების საშუალება. შემდეგ პროფესიულ სკოლებსა და ლიცეუმებში აგრძელებენ.

სკოლებში ჩვეულებრივ სწავლებასთან ერთად, არსებობს

სწავლების სხვა ფორმა. ეს ძირითადად ჩამორჩენილ მოსწავლეებს ეხებათ. მათ არ სჭირდებათ რეპეტიტორი, რადგან ამგვარ ბავშვებს მასწავლებლები ეხმარებიან თავისი სურვილით, ანაზღაურებისა გარეშე გაკვეთილების შემდეგ, ან დასვენებებზე. ამას ჰქვია „ხელ-შემწყობი სწავლება სუსტი მოსწავლეებისათვის“. მეორე მეთოდია კორექციული სწავლება, რომელსაც იყენებენ მასალის დაუფლებას-თან დაკავშირებული პრობლემის დროს. მაგალითად, თუ მოსწავლე ჩამორჩება მათემატიკაში, ან ვერ ფლობს უცხო ენას, მათთვის ტარ-დება დამატებითი მეცადინეობა ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

როგორც ავღნიშნეთ, ფინეთში თითქმის ყველა სკოლა საჯაროა და ფინანსდება ერთნაირად სახელმწიფოს მიერ. მაგრამ არის ათამდე ნახევრადკერძო სკოლა, სადაც მშობლები იხდიან იმისათვის, რომ მათმა შვილებმა განათლება მიიღონ ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, შვედურ ენებზე.

სკოლაში არ არის პირველი ან მეორეხარისხოვანი საგნები. ყველა საგანი თანაბრად მნიშვნელოვანია. გამონაკლისია კლასები იმ ნიჭიერი ბავშვებისათვის, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ სა-ხელოვნებო საგნების _ მუსიკის, ხატვის ან სპორტის მიმართ. მოს-წავლეებს არ ყოფენ კარგი და ცუდი, ძლიერი ან სუსტი. ყველა ბავშვი ერთნაირია. თვით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ეტლით მოსიარულე ბავშვები ან მეტყველების პრობლემის მქონენი. ფინელები ამით ცდილობენ მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში. ფინეთმა სასკოლო სისტემა ააგო სამართლიანობასა და თანასწორობაზე. ყველა სკოლა უნდა იყოს თანაბარი და ყველა ბავშვი ერთნაირ პირობებში. ყველა მოსწავლე მონაწილეობს რაიმე პროექტის შესრულებაში. მოსწავლეები, სკოლის დირექტორი, მასწავ-ლებელი და სამედიცინო პერსონალი ერთად მიდიან ექსკურსიაზე. ფინელი მოსწავლეები თავს დაცულად და თავისუფლად გრძნობენ. ეს არის ფინური პედაგოგიკის ხიბლი.

ფინურ სკოლებში სწავლება არ ხდება ძალდატანებით, იძუ-ლებით. მშობლები პრობლემად არ თვლიან თუ ბავშვი კარგად არ

სწავლობს, ან იმავე კლასში დარჩება. ვისაც უნდა, ისწავლის. მათთვის არ არის დამამცირებელი პროფესიულ სასწავლებელში სწავლა. უმაღლესი განათლების და პროფესიული განათლების მქონე ადამიანი საზოგადოებაში ერთნაირად დაფასებულია. მათი შეხედულებით, მთავარია, მოსწავლის ორიენტირება მოხდეს პრაქტიკულ მომავალზე. სკოლებში ოთხშაბათი მშობელთა დღეა. მათ მასწავლებელი უგზავნის ბარათს კითხვარით: როგორ გრძნობს თავს თქვენი შვილი სკოლაში; რომელ თემებზე მუშაობს ხალისით; რა აწუხებს; რა არ მოსწონს; როგორი ურთიერთობა აქვს ამხანაგებთან.

ფინეთში არ არსებობს სკოლების შემოწმება ან მოსწავლეთა განათლების მონიტორინგი. არ ხდება შესასწავლი მასალის დაზეპირება. არ ეძლევათ საშინაო დავალებები. ფინეთის საგანმანათლებლო მოდელი ეფუძნება იდეას, რომ ბავშვებს ჰქონდეთ ბევრი დრო, იზრდებოდნენ ლაღად, შეუზღუდავად. ამიტომ დაწყებით კლასებში დავალებები საერთოდ არ ეძლევათ. უფროსკლასელებს კი იმდენად ცოტა, რომ ნახევარ საათში ამზადებენ. ისინი წახალისებული არიან კრეატიული აზროვნებისა და შემოქმედებითი სწავლისაკენ. ეძლევათ კრეატიული თამაშები, სააზროვნო საკითხები. არ მიაჩნიათ აუცილებლად ბავშვებს მისცენ მრავალსაათიანი საშინაო დავალებები. ამ მეთოდით ბავშვებს უვითარდებათ სააზროვნო არეალი.

ფინურ საგანმანათლებლო სისტემაში არ გამოიყენება ტესტირება. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ განათლების მიღების პირველი წლები არ უნდა იყოს ორიენტირებული აკადემიურ წარმატებაზე. მთავარია ბავშვებს ვასწავლოთ როგორ იცხოვრონ, როგორ ისწავლონ. გაერკვნენ იმაში, რა უნდათ. მოსწავლეები ტესტირებას გადიან მხოლოდ ერთხელ, როდესაც აბარებენ სახელმწიფო საატესტატო გამოცდებს. მათი განათლების სისტემის მიხედვით, არ არის აუცილებელი ტექსტების და ფორმულების დაზეპირება, მთავარია ის, რაც აუცილებლად დასჭირდებათ ცხოვრებაში. ეს არის კომპიუტერთან მუშაობა, ინტერნეტში სავიზიტო საიტის შექმნა,

საბანკო ბარათის გამოყენება, კონტრაქტის გაფორმება და სხვ. ფინური განათლების სისტემა ამ მხრივ ძალიან პრაქტიკულია.

როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ფინეთის სკოლებში ყველა ბავშვისათვის შედგენილია განათლებისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმა. ეს ეხება სახელმძღვანელოებს, დავალებებს, სასწავლო მასალას და დროს. გაკვეთილზე ერთსა და იმავე კლასში ბავშვები სხვადასხვა სირთულის დავალებებს ასრულებენ. ასევე ფასდებიან ინდივიდუალურად.

ფინეთში არ არის მრავალრიცხოვანი სკოლები, უმეტეს სკოლებში 300 მოსწავლეა. სკოლების 70% ჩართულია „მოძრავ სკოლაში". ეს არის ნაციონალური ინიციატივა და ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკურ აქტივობას.

რა საგნებს სწავლობენ ფინელი ბავშვები? პირველ და მეორე კლასში ისწავლება ფინური ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, რელიგია, მუსიკა, ხატვა, შრომა და ფიზკულტურა. ერთ გაკვეთილზე რამდენიმე სხვადასხვა საგნის სწავლა სავსებით დასაშვებია. ინგლისური ენის შესწავლა იწყება მესამე კლასიდან. მეოთხე კლასიდან კი მოსწავლეთა სურვილის მიხედვით ხდება არჩევა ფრანგული, გერმანული შვედური და რუსული ენები. თითქმის ყველა სკოლაში ისწავლება სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა, ბავშვის სურვილის მიხედვით. მეხუთე კლასიდან ემატება ბიოლოგია, გეოგრაფია, ქიმია და ისტორია. 1-6 კლასებში ყველა საგანს ერთი მასწავლებელი ასწავლის. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს მათ მრავალმხრივ განათლებულობაზე. ლიტერატურა ცალკე საგნად არ ისწავლება. მას კლასგარეშე კითხვის საგნად თვლიან. მეშვიდე-მეცხრე კლასებში ისწავლება ფინური ენა და ლიტერატურა, შვეუდური, ინგლისური, მათემატიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია, ფიზიკა, ჯანმრთელობის საფუძვლები, რელიგია, მუსიკა, ხატვა, შრომა და ფიზკულტურა, რომლის შემდეგაც სავალდებულოა შხაპის მიღება. მეცხრე კლასის მოსწავლეები მიჰყავთ სხვადასხვა სამუშაო ადგილებზე, ერთგვარი პრაქტიკის სახით, რითაც ხდება მათთვის

შრომითი ცხოვრების გაცნობა. ზოგჯერ სწორედ ამგვარი პრაქტიკის დროს ირჩევს ბავშვი თავის მომავალ პროფესიას. სკოლას ამთავრებს ფინელი ბავშვების 93%, ხოლო კოლეჯში სწავლას აგრძელებს 66%. შეიძლება ითქვას, რომ ეს მთელ ევროპაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია [79].

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას. ფინეთში 19 კლასიკური უნივერსიტეტი, 3 პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, 3 უმაღლესი ეკონომიკური უნივერსიტეტი, 4 მხატვრული მაღალი სკოლა (ალბათ, სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლები) და უმაღლესი სამხედრო სკოლაა. აქედან უძველესია შვედეთის სამეფო აკადემია, რომელიც მე-19 საუკუნეში ჰელსინკში გადავიდა. სხვა ყველა უმაღლესი სასწავლებელი მე-20 სააუკუნეშია დაარსებული. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ენა ფინური და შვედურია. არსებობს ინგლისურენოვანი და სააერთაშორისო სასწავლო პროგრამები.

ფინეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება უფასოა, როგორც ფინელებისათვის, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეებისათვის. ფინეთში სტუდენტებს აქვთ არჩევანის თავისუფლება. ისინი თავად განსაზღვრავენ ლექციების თუ გამოცდების გრაფიკებს. გარდა რამდენიმე სავალდებულო საგნისა, სტუდენტი თვითონ წვყეტს, რას დაესწროს და მოუსმინოს. სტუდენტს ასევე აქვს უფლება იმუშაოსა კვირაში მხოლოდ 25 საათი.

ფინეთში ორი ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არსებობს. ერთია ტრადიციული და მეორე გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტები. მათში ჩარიცხვა ხდება საშუალო სკოლის GPA-ს მიხედვით. მათი შერჩევა აბსოლუტურად გამჭვირვალე და ობიექტურია, რადგან ჩარიცხვაში არ მონაწილეობს ადამიანური რესურსი. ამით შერჩევისა და ჩარიცხვის პროცესში სხვა ქვეყნებისაგან სრულიად განსხვავებულია.

უნივერსიტეტში მთელი ყურადღება გადატანილია მეცნიერულ

---

[79] თაბაგარი. თ., მსოფლიოში ყველაზე წარმატებული განათლების სისტემის 7 პრინციპი 4motivi.com ›

მუშაობაზე. სწავლების მთელი კურსი მოიცავს კვლევას, მეცნიერულ ძიებას.

როგორც მრავალჯერ აღვნიშნეთ, ფინეთის განათლების სისტემა სანიმუშოა მსოფლიოსათვის. მაინც რა არის ასეთი აღიარებისა საფუძველი, როგორ შეძლო ფინეთმა მიეღწია განათლებაში ასეთი მაღალი მაჩვენებლებისათვის. ფინეთს მართლაც სწავლების განსხვავებული, სპეციფიკური მეთოდიკა აქვს. მთავარი და ძირითადი ფუნქცია ამ მიღწევებში აკისრია წარმატებულ, განათლებულ, კვალიფიციურ მასწავლებლებს, რომლებსაც აქვთ დიდი ავტონომია, აბსოლუტური თავისუფლება, დამოუკიდებლობა და დიდი ნდობა. ამიტომაც მთელი საზოგადოება მათ დიდ პიტივს სცემს. ფინეთში თითქმის ყველა სკოლა საჯაროა და ემყარება მოსწავლეთა თანასწორობის პრინციპს. მოსწავლეებს აქვთ დიდი თავისუფლება, არ აძლევენ საშინაო დავალებებს, სწავლება ფოკუსირებულია შემოქმედებითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. ფინეთის საგანმანათლებლო სისტემაში არ არის კონკურენცია. ყველაფერი დაფუძნებულია თანამშრომლობაზე. ფინეთში რესურსები მიმართულია უფრო მეტად მათკენ, ვისაც დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება. რეფორმა ფოკუსირებულია მეცნიერებას, ტექნოლოგიებსა და ინოვაციურობაზე. ფინეთის განათლების სისატემაში არ არის ტესტირებები და მონიტორინგები. ყოველივე ეს კი ფინური განათლების სისტემის მოდელს განსხვავებულსა და სანიმუშოს ხდის, ხოლო მოსწავლეებს ყველაზე მოწინავესა და წარმატებულს. ფინეთის განათლების სისტემის შესწავლა-განზოგადება მრავალი მეცნიერის კვლევის საგანი გახდა. ერთ-ერთი მათგანია ფინეთში მცხოვრები ამერიკელი მეცნიერი ტიმ ოკერი, რომელმაც ამ თემაზე იმუშავა და თავისი დასკვნების ორ წიგნში გადმოგვცა[80], სადაც აღნიშნავს, რომ ფინური განათლების აღწერისათვის მან შეადგინა ექვსასოიანი აკრონიმი _ SIMPLE, რაც

[80] ი. კახურაშვილი. SIMPLE- ფინური განათლების ხიბლი *mastsavlebeli.ge/*

შემდეგნაირად იშიფრება: Sensible (გონივრული), Inderpendent (დამოუკიდებელი), Modest (მოკრძალებული), Plauful (მხიარული, თამაშ-თამაშით), Low-stress (დაბალსტრესიანი), Eguitable (თანასწორუფლებიანი). იგი დაწვრილებით განმარტავს თითოეულს:

Sensible (გონივრული) – მას გონივრულად მიაჩნია ფინეთის საბაზისო მეთოდები, რომ ყოველი 45 წუთის შემდეგ ბავშვები ისვენებენ 15 წუთით. მას ძალზე გონივრულად მიაჩნია, რომ მოსწავლეებს მათი სოციალური თუ ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად უფასოდ აჭმევენ გემრიელ და ნოყიერ სადილს. უფასოდ ატარებენ ექსკურსიებზე, უფასოდ აძლევენ სასწავლო ნივთებს.

Inderpendent (დამოუკიდებელი) – ბავშვებს პატარაობიდანვე ბაღისა თუ სკოლის ასაკამდე აჩვევენ დამოუკიდებლობას.

Modest (მოკრძალებული) – მსოფლიოში ყველაზე გამართული განათლების სისტემა თითქოს უნდა იყოს ზედმიწევნით კეთილმოწყობილი. ბრწყინვალედ გარემონტებული, აღჭურვილი უახლესი ტექნიკით. მაგრამ სკოლების უმრავლესობა მოკლებულია ყოველივე ამას. მათ მიაჩნიათ, რომ ეს არ არის პირველხარისხოვანი. მთავარია, კარგი მასწავლებლები, დაბალანსებული სასწავლო გეგმა და კეთილგანწყობილი სასკოლო გარემო, სადაც ბავშვები თავს კომფორტულად და შეუზღუდავად გრძნობენ.

Plauful (მხიარული, თამაშ-თამაშით) – სკოლამდელ დაწესებულებებში თუ სახლში, ბავშვი ყველაფერს სწავლობს თამაშით. დაბალ კლასებშიც თამაშით გრძელდება სწავლება. პირველი და მეორე კლასის მოსწავლეებს სწავლა მხოლოდ სამი საათის განმავლობაში აქვთ. ისიც ხშირი შესვენებებით. შემდეგ კი გახანგრძლივებულ ჯგუფებში ატარებენ დროს და აქაც თუ კი რაიმეს სწავლობენ, ისიც თამაშ-თამაშით. ამიტომ უწოდა სწავლების ამ ფორმას თამაშ-თამაშით ტიმ კოკერმა.

Low-stress (დაბალსტრესიანი) – ფინელებმა კარგად იციან, რომ სტრესი უარყოფითად მოქმედებს ბავშვზე, მის ფსიქოლოგიაზე, ჯანმრთელობაზე და, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედებს

სწავლაზეც. ბავშვებს და მასწავლებლებსაც ფინურ სკოლაში აქვთ მშვიდი, დაუძაბავი, უშუალო, თბილი გარემო. ამიტომაა მათი მუშაობა უფრო ეფექტური.

Eguitable (თანასწორუფლებიანი) – ფინეთში ყველა ბავშვი თანასწორუფლებიანია განურჩევლად იმისა, ქალაქში ცხოვრობს თუ სოფლად, რომელი სოციალური წრიდანაა, ყველა ერთნაირად სწავლობს საჯარო სკოლაში, ჰყავთ კარგი კვალიფიციური მასწავლებლები, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ დონეს. სწავლება მიმდინარეობს მშვიდ და კეთილგანწყობილ გარემოში[81].(5)

მიუხედავად იმისა, რომ ფინეთის განათლების სისტემა აღიარებულია მსოფლიოში საუკეთესოდ, ადგილობრივი განათლების დარგის მუშაკები გეგმავენ განათლების სისტემაში სერიოზული გარდაქმნების დაწყებას. ისინი ასაბუთებენ, რომ ტექნიკური საგნების სწავლების სისტემაში ძირეული რეფორმებია გასატარებელი. მათ მიაჩნიათ, რომ მათი სწავლება მიმდინარეობს მოძველებული 1990-იანი წლების მეთოდებით. „ახლა მოთხოვნები შეიცვალა და ჩვენც რაიმე ახალი 21-ე საუკუნისათვის გამოსადეგი უნდა შევქმნათ“ – აღნიშნავს ჰელსინკის განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარიო კილონენი.

როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ფინელები სასწავლო გეგმიდან ყველა სასწავლო საგნის ამოღებას აპირებენ. რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები აღარ ისწავლიან ცალკეულ საგნებს: მათემატიკას, გეოგრაფიას, ისტორიას, ფიზიკასა და სხვ. ისინი შეწყვეტენ „საგნების“ სწავლებას და გადადიან „თემების“ სწავლებაზე. სწავლება უნდა მოერგოს ახალ აზროვნებასა და განვითარებას. მოსწავლეებს თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, უფლება მიეცემათ აირჩიონ ის კონკრეტული თემა თუ მოვლენა, რის შესწავლაც მათ სურთ. პროფესიული განათლების მსურველი

[81] კახურაშვილი. ი., SIMPLE- ფინური განათლების ხიბლი *mastsavlebeli.ge/*

ახალგაზრდა აირჩევს თემას: „კაფეტერიის მომზადების გაკვეთილები“. ის ამ საკითხის შესწავლის პერიოდში სწავლობს უცხო ენას, რადგან ეს მას დასჭირდება უცხოელ კლიენტებთან მომსახურებისათვის.

იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც აკადემიური განათლებით იქნებიან დაკავებულები, „საგნები“ შეიცვლება მულტიდისციპლინარული თემებით. მაგალითად,

„ევროპის კავშირი“. მასში შევა ეკონომიკის ელემენტები, ევროკავშირის ქვეყნებში შემავალი ქვეყნების ისტორია, იმ ქვეყნების უცხო ენები, გეოგრაფია. დაბალ კლასებში თვალსაჩინო ადგილზე განთავსდება ევროპის რუკა და ევროკავშირის ქვეყნების ამინდის პროგნოზს მოყვებიან ინგლისურად. ასე მოხდება უცხო ენის შესწავლა.

ამ ცვლილებების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებს მოეხსნებათ იმ გაკვეთილებზე ჯდომის დისკომფორტი, რომელიც მათ არ დასჭირდებათ მომავალში. მით უფრო, თუ მათ არა აქვთ ამ საგნების შესწავლის სურვილი. ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში ფინეთი გახდება მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელიც სასწავლო გეგმიდან ამოიღებს ყველა საგანს.

ასევე აღარ იქნება ტრადიციული ფორმატი მასწავლებელი და მოსწავლე. ეს ფორმა შეიცვლება გუნდური მუშაობის პრინციპით. კლასში მოსწავლეები დასხდებიან მცირე ჯგუფებად და კომუნიკაციების განვითარების მიზნით ერთად გადაწყვეტენ სხვადასხვა საკითხს თუ პრობლემას. აქედან გამომდინარე, ფინურ სკოლაში ვეღარ ვნახავთ მასწავლებელს, რომელიც დგას მოსწავლეთა წინაშე და ხსნის მასალას. ნაცვლად ამისა, მასწავლებელი და მოსწავლეები დაგეგმავენ ერთად რაიმე შესასრულებელ სამუშაოს. მოსწავლეები შეკითხვებს უსვამენ მასწავლებელს მათთვის საინტერესო საკითხებზე და ასე ამუშავებენ სხვადასხვა პროექტებს. ამას მარიო კილონენი გაკვეთილის დაგეგმვას და „თანასწორობის“ მეთოდს

უწოდებს[82] .

რეფორმის გატარება იგეგმება დაწყებითი კლასებისთვისაც. მათი სწავლებისათვის „მხიარული სწავლების“ ცენტრის სპეციალისტები კომპიუტერული თამაშების ინდუსტრიის წარმომადგენლებთან ერთად გადიან კონსულტაციებს, რომ უფრო „მხიარული“ მიდგომები შექმნან დაბალი კლასების მოსწავლეთათვის.

რამდენად გამართლებული იქნება ამ იდეის განხორციელება, რამდენად შეინარჩუნებენ ფინელი მოსწავლეები ცოდნის მაღალ დონეს და დარჩებიან თუ არა ისინი მსოფლიოში ყველაზე განათლებულ ბავშვებად ამ რეფორმის გატარების შემდეგ, ძალზე საინტერესოა და ამას დრო გვიჩვენებს. ჩვენი აზრით, სწავლების ეს ახალი მეთოდი საგრძნობლად დასწევს განათლების დონეს. შესაძლებელია, ფინეთში მთელი რიგი საგნების მეცნიერული განვითარება ჩაკვდეს, რაც ძალზე შემაშფოთებელი ტენდენცია იქნება.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენოთ, რომ 2-3 ათეული წლის წინ, როცა პირველად გაიხსნა ჩვენი მოსწავლეებისათვის ევროპული კოლეჯების კარი, როცა ხდებოდა მოსწავლეთა გაცვლა-გამოცვლა, ჩვენი ბავშვები სხვა ქვეყნების ბავშვებისაგან გამოირჩეოდნენ საგნების მაღალ დონეზე ცოდნით, ზოგადი განათლებით.

ჩვენი სასკოლო განათლება ნამდვილად აძლევდა ზოგად ცოდნას (მეტ-ნაკლებად) ყველა საგანზე. დღეს ჩვენი რეფორმის „დამსახურებით“, მოსწავლეები ესწრებიან იმ გაკვეთილებს და სწავლობენ იმ სამ საგანს, რომელსაც ეროვნულ გამოცდაზე აბარებენ. სხვა საგნები თითქმის იგნორირებულია და იმ გაკვეთილებს, რომელიც „არ სჭირდებათ“ არ ესწრებიან. ამიტომაც ძალიან დაიწია განათლების დონემ და, საერთოდ, ზოგადმა განათლებამ.

შესაძლებელია და ძალზე ცუდი იქნება, თუ მსგავსი რამ მოხდება ფინეთშიც და ეს რეფორმა შეიძლება სანანებელი გახდეს.

დასასრულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფინური განათლების

---

[82] ცხოვრებოვა. ა.,15 მიზეზი იმისა, თუ რატომ ბაძავენ რეფორმატორები ფინეთს. http://www.onlineuniversities.com.

სისტემა სწორედ გააზრებული ჩვეულებრივი სწავლების ფორმაა. სწავლებაში ყოველგვარი ძალდატანების, დიქტატის გარეშე. ბავშვს უნდა უხაროდეს სკოლაში წასვლა, მასწავლებლებთან და თანაკ-ლასელებთან შეხვედრა, რისთვისაც აუცილებელია მშვიდი სასკოლო გარემო. ერთმანეთთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. ფინური სისტემა ემყარება რამდენიმე მარტივად მისაღწევ მოდელს, ესენია: უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლის სწორად შერჩევა, მათი პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება. მასწავლებელს უნდა უყვარდეს ბავშვები. ისინი ამ დამოკიდებულებას ძალიან კარგად გრძნობენ. უნდა გვქონდეს ნდობა მასწავლებლის მიმართ. აუცილებელია სწავლებაში არსებული თანასწორობა და არავითარი დიფერენციაცია ელიტარულ და ჩვეულებრივ სკოლებად. ელიტარულ და ჩვეულებრივ, რიგით ბავშვებად, ელიტარული და ჩვეულებრივი მშობლების შვილებად. სხვათა შორის, ფინეთში მასწავლებელს ეკრძალება იცოდეს მშობლის სამსახურეობრივი მდგომარეობა. საჭიროა პრაქტიკულობა და ინდივიდუალურობა, რომ ყველა ბავშვი ინდივიდია, ყველას მათი ფსიქოლოგიური თუ გონებრივი თავისებურებების მიხედვით უნდა მივუდგეთ. ასევე მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სრული დამოუკიდებლობა, ასწავლოს იმ მეთოდით, რომლითაც ის უკეთეს შედეგს მიაღწევს.

როდესაც ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა, ამ მოდელის სხვა ქვეყნების განათლების სისტემაში დანერგვა, მინდა გავიხსენო, რომ მსგავს მოდელს გვთავაზობდა გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ცნობილი ქართველი პედაგოგი, პროფესორი შალვა ამონაშვილი. დამოუკიდებლობა (მასწავლებლისა და მოსწავლისაც), შეუ-ზღუდავობა, თავისუფლება, თამაშ-თამაშით სწავლა, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თავისუფალი, მეგობრული დამოკიდებულება. მაგრამ ეს მეთოდი სკოლებში არ დაინერგა. არც საზოგადოება და არც განათლების სისტემის მუშაკები ამისათვის მზად არ აღმოჩნდნენ.

განვიხილოთ რა მსგავსება და განსხვავებაა ფინურსა და ქართულ განათლების სისტემებს შორის.

ჩვენგან განსხვავებით, ფინეთში სრული საასკოლო განათლება 10 კლასს მოიცავს. აქედან მეათე სავალდებულო არაა. მეათე კლასში სწავლას აგრძელებენ ის მოსწავლეები, რომელთაც სურთ ნიშნების გამოსწორება. ასევე განსხვავებაა სწავლების საფეხურებშიც. ჩვენთან ზოგადი განათლება ხორციელდება სამ საფეხურზე: დაწყებით, საბაზო და საშუალო. დაწყებითი განათლება მოიცავს 6 წელს და ეს არის პირველი მეექვსე კლასები. საბაზო განათლება მოიცავს სამ წელს, ხორციელდება VII-IX კლასებში და საშუალო განათლება, რომელიც მოიცავს სამ წელს, ხორციელდება X-XII კლასებში. ჩვენთან დაწყებითი განათლება და საბაზო განათლება სავალდებულოა. ფინეთში საშუალო განათლება ორ ნაწილად იყოფა დაბალი პირველიდან მეექვსე კლასების ჩათვლით და მაღალი VII-IX კლასები.

ჩვენთან ზოგადსაგანათლებლო დაწესებულებებში განათლება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს და ავითარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი. ფინელებს აქვთ ეროვნული საასწავლო გეგმა, მაგრამ მასში არ არის ინსტრუქციები მასწავლებელმა რა მასალა როდის უნდა ასწავლოს. არ ხდება მასწავლებელთა შემოწმება, მონიტორინგი.

ჩვენი განათლების სისტემას თუ შევადარებთ ფინურს, ბევრი საერთოა:

1. საქართველოში, ისევე როგორც ფინეთში, ყველა მოსწავლე განურჩევლად ეროვნებისა, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობისა თუ რელიგიური მრწამსისა, თანასწორუფლებიანია;
2. საქართველოში, ისევე როგორც ფინეთში, ყველა სახელმწიფო ე.ი. საჯარო სკოლა უფასოა;
3. საქართველოში, ისევე როგორც ფინეთში, სააჯარო სკოლის ყველა მოსაწავლე უზრუნველყოფილია უფასო სახელმძღვანელოებით, ხოლო ყველა პირველკლასელისათვის სახელმძღვანელოები და ნოუთბუქი უფასოა.

4. საქართველოში, ისევე როგორც ფინეთში, ყველა მოსწავლისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი უფასოა.
5. ბოლოს ფინეთში ყველაზე მთავარი სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისათვის არის მასწავლებელი, რასაც ეფუძნება ფინური განათლების სისტემა. ფინელებმა განათლების რეფორმა სწორედ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებით დაიწყეს. მთავარი იყო განათლების მაღალი დონე, მაგისტრის ხარისხი და მოსწავლეებთან მიდგომის უნარების გამოვლენა.

საქართველოში, ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, ყველა მასწავლებელი უნდა იყოს უმაღლესი განათლების მქონე დიპლომირებული ადამიანი. მათ ხშირად უტარდებათ ტესტირებები, სხვადასხვა ხარისხის მონიტორინგი. სამწუხაროდ, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში მასწავლებელთა დიდ ნაწილს არასაკმარისი ცოდნა აქვს იმ საგნისაც კი, რომელსაც ის ასწავლის. არა აქვთ სათანადო პედაგოგიური მიდგომები. ეს არც არის გასაკვირი. ჩვენი აზრით, სამწუხაროდ, ქვეყანაში, სადაც აღარ არის არცერთი პედაგოგიური პროფილის უმაღლესი სასწავლებელი, მასწავლებლის კვალიფიკაციის მაღალი შედეგი ვერ იქნება მიღწეული. რადგან პედაგოგმა შეიძლება ძალიან კარგად იცოდეს თავისი საგანი, მაგრამ არ იცოდეს ამ საგნის სწავლების მეთოდიკა. არ იცოდეს ეს ცოდნა როგორ მიიტანოს მოსწავლეებამდე, არ ჰქონდეს პედაგოგისათვის აუცილებლად საჭირო მეტყველების კულტურა, არ ჰქონდეს ყველა განსხვავებულ მოსწავლესთან სათანადო მიდგომისა და თავისებურებების გათვალისწინების შესაძლებლობა. ასეთი მასწავლებელი სკოლაში შედეგს ვერ მიაღწევს.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოშიც, ისევე როგორც ფინეთში, სწავლობს ის, ვისაც უნდა სწავლა. თუმცა, ფინელი მშობლებისაგან განსხვავებით, ყველა ქართველ მშობელს უნდა მის შვილს ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება. ამიტომ ისინი ძა-

ლიან ხშირად, 2-3 საგანში მიმართავენ რეპეტიტორს. ყველა ქართველი მშობლისათვის ძალზე მტკივნეულია, თუ მისი შვილი ვერ მიიღებს უმაღლეს განათლებას. აქვე მინდა შევეხო რეპეტიტორობის საკითხს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფინელ მოსწავლეებს არ სჭირდებათ რეპეტიტორი, რადგან მასწავლებლები სუსტ ბავშვებთან ანაზღაურების გარეშე მუშაობენ დამატებით, გაკვეთილების შემდეგ. ჩვენთან კი, როცა სკოლა ვერ ასრულებს თავის ფუნქციას და არც მოსწავლე არაა მონდომებული, მშობელი იძულებულია ბავშვს აუყვანოს რეპეტიტორი, რომელიც ავსებს იმ დანაკლისს, რაც ბავშვმა სკოლაში ვერ მიიღო. ისინი ეხმარებიან მოსწავლეებს შეავსონ ხარვეზები, რათა გადალახონ არსებული ბარიერები სკოლის კლასიდან კლასში გადასასვლელად, საატესტატო თუ ეროვნული მისაღებ გამოცდებზე.

და ბოლოს, თუ ვუპასუხებთ კითხვას შეიძლება თუ არა ფინური განათლების მეთოდებისა საქართველოში გადმონერგვა, რასაკვირველია, შეიძლება, მაგრამ ამისათვის მზად უნდა იყოს საზოგადოება და ხელისუფლება.

აშშ განათლების სისტემა

აშშ-ს არ გააჩნიათ განათლების ერთიანი სისტემა, ის მრავალფეროვანია და ყველა შტატს აქვს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს განათლების სტუქტურა. 1825 წელს, ამერიკაში მიიღეს კანონი საყოველთაო სავალდებულო განათლების შესახებ.

განათლება ფინანსდება და იმართება როგორც ფედერალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. ყველა უმაღლეს დაწესებულებას აქვს ლიცენზია. ზოგადად უმაღლესი განათლების რამოდენიმე მოდელი არსებობს, ჩვენთვის საინტერესოა ანგლო-ამერიკული მოდელი, რაც ძირითადად საზოგადოების დაკვეთასა და ინტერესებს ეყრდნობა, მისი მიზანია ახალგაზრდები მოამზადოს

შესაბამისი შრომითი ბაზრისათვის და გაყიდოს საექსპერტო ცოდნა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა უპასუხოს საზოგადოებრივ დაკვეთას და შრომის ბაზრის საჭიროებებს, დემოკრატიულ საზოგადოებას სჭირდება განათლებეული მოქალაქეები რომლებიც მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას ხელისუფლების ფორმირებასა და სახელმწიფოს ფუნქციონირებაში. ამერიკის შეერთებული შტატები უცხოელი სტუდენტების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქვეყანაა. ამერიკული უნივერსიტეტები წარმოადგენენ პრესტიჟის და სწავლების მაღალ დონეს. მსოფლიო რეიტინგების მიხედვით, აშშ-ში სწავლა არა მხოლოდ პრესტიჟული და საკმაოდ რთულია. აშშ არის ერთ-ერთი ქვეყანა მსოფლიოს იმ რამდენიმე ქვეყნიდან, სადაც ფედერალური ხელისუფლება ყველაზე ნაკლებად ახდენს ზემოქმედებას სასკოლო და საუნივერსიტეტო პროგრამებზე და სასწავლო პროცედურებზე. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში თემა – განათლება საერთოდ არ არის ნახსენები.

ჩვენთვის საინტერესოა თუ რა თავსებურებებით გამოირჩევა განთლების ამერიკული სისტემა: აქ საშუალო განათლება სავალდებულოა. სრული საშუალო განათლება ამ ქვეყნის მოსახლეობის 85 პროცენტს აქვს. საგანმანათლებლო სისტემა ამერიკაში არ რეგულირდება სახელმწიფო დონეზე და საგანმანათლებლო ცხოვრებას უმთავრესად შტატის მთავრობა განაგებს. მიუხედავად აშშ-ს მრავალმხრივი წარმატებებისა და განათლებულთა რაოდენობით მსოფლიოში მეოთხე ადგილზე ყოფნისა (პირველ სამ ადგილს ინაწილებენ კანადა, ისრაელი, იაპონია, 2012 წლის შედეგებით) მაინც საკმაოდ ბევრ პრობლემას ვაწყდებით, ეს არის: წიგნიერების დაბლი დონე; მრავლფეროვანი ეთნიკური გარემო; იმიგრანტების საკითხი; უსაფრთხოება და ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემები.

წიგნიერების დაბლი დონე ძირითადად იმიგრანტებში აღინიშნება, ისინი კვლავ თავიანთ ენაზე ამჯობინებენ საუბარს და ნაკლებად ცდილობენ ინგლისურის სწავლას, ამიტომ სწორედ ეს კატეგორია

გამოირჩევა გაუნათლებლობის საკმაოდ დიდი დონით. იმიგრანტები სწავლას საჯარო სკოლებში აგრძელებენ, თუმცა ასევე შემოიფარგლებიან საკვირაო სკოლებით, სადაც მოსწავლეები იღებენ სპეციალიზირებულ დახმარებასა და რაც მთავარია სწავლობენ ინგლისურ ენას. 1954 წელს, აშშ-ს ფედერალური მთავრობამ მიიღო კანონი, რის მიხედვითც საგანმანათლებლო დაწესებულებებში აიკრძალა რასობრივი სეგრეგაცია, რითაც უნდა მომხდარიყო სხვადასხვა რასის წარმომადგენელთა გაერთიანება, თუმცა მაინც არსებობს პრობლემა – განსაკუთრებით აფრო-ამერიკელებისათვის. აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აღნიშნავს: „ამერიკელებს, რომლებიც აშშ-ში არალეგალურად ბავშვობაში ჩამოვიდნენ, ე.წ. მეოცნებეებს. თეთრი სახლის შემოთავაზებით, მოქალაქეობა უნდა მისცენ იმათ, ვისაც აქვთ განათლება და სამუშაო“.[83]

პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის პერიოდში დაწესებული პროგრამა „დაკა“, რომელიც (იმიგრაციის სამთავრობო პროგრამის მოკლე სახელი) რომელიც ბოლო ხუთი წლის მანძილზე ასობით ათას უსაბუთო ახალგაზრდა იმიგრანტს დეპორტაციისგან იცავდა, დღეს ტრამპის ყურადღების ქვეშ მოექცა და მან განკარგულება გასცა ამ პროგრამის გაუქმების შესახებ. ამათან ერთად იგი – „მწვანე ბარათის“ გათამაშების პროგრამის შეწყვეტის ინიციატივით გამოდის და აღნიშნავს, რომ ე.წ. „მწვანე ბარათის“ გათამაშების შემდეგ ქვეყანაში საუკეთესო ხალხი არ ჩადის, ამიტომ მსურველთა შერჩევა უნდა მოხდეს იმის მიხედვით, შეძლებენ თუ არა ეს ადამიანები ამერიკის ეკონომიკათვის სარგებელის მოტანას. თუმცა ცნობილი მეცნიერი მიჩიო კაკუ საწინააღმდეგოს აღნიშნავს: „ჩვენ ვიბადებით მეცნიერები, გვაქვს სამყაროს აღქმის მეცნიერული ხედვა, ბუნებიდან ინფორმაციებს ვიღებთ და შემდეგ რაღაც უცნაური ხდება, იწყება კრიზისი და ჩვენი თავისუფლად აზროვნების უნარიც სადღაც ქრება, იმიტომ რომ სკოლა პატივს არ სცემს მოსწავლის ინდივიდუალიზმს

[83] · ტრამპი კონგრეში გამოსვლისას: ამერიკული ოცნებისთვის ახლა საუკეთსო დროა. 31.01 18. https://on.ge/story/.

დოქტორანტების 50% არის უცხოეთიდან ჩამოსული და ჩემს სფეროში, თეორიულ ფიზიკაში, რომელიც ყველაზე დიდი პროცენტია მეცნიერებაში, დოქტორანტურის კანდიდატების 100% უცხოელები არიან. ამერიკა უბრალოდ იწოვს მთელი მსოფლიოს ტვინებს".[84]

სკოლის უსაფრთხოების ეროვნული ცენტრის (the National School Safety Center) მონაცემების თანახმად ყოველწლიურად დაახლოებით 50 მოსწავლე ხდება მკვლელობის მსხვერპლი სკოლის ტერიტორიაზე სწავლის დღეებში და ამასთან ერთად ფიქსირდება 3 მილიონამდე სისხლის სამართლის ან სხვა სახის დანაშაული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი უსიამოვნო ფაქტებისა, შენობებს შეიარაღებული დაცვა იცავს, შესასვლელებში არის დამონტაჟებული მეტალის ამომცნობები დეტექტორები, ჩხრეკენ მოსწავლეებს, რათა არ შეიტანონ მათ სკოლაში მავნე ნივთიერებები და კონტრაბანდა".[85]

ამერიკა გამოირჩევა ყველაზე ძვირადღირებული კოლეჯებითა თუ უნივერსიტეტებით. ბევრი სტუდენტი იღებს სტუდენტურ სესხს და სესხით სწავლობს და ეს ფაქტიც დამატებით პრობლემას ქმნის სწავლების პროცესში. აშშ-ში სასწავლო წელი გრძელდება დაახლოებით ცხრა თვის განმავლობაში და დაყოფილია სემესტრე-ბად, იშვიათად ტრიმესტრებად. სწავლის სისტემა ამერიკაში არის მოქნილი და ცვლადი. უმაღლეს სასწავლებლებში მიღება ხდება ორჯერ – შემოდგომაზე და გაზაფხულზე, ასე რომ აქ სწავლა ნების-მიერ დროს შეიძელება. სწავლა იწყება აგვისტოს ბოლოს – მაისამდე, ან სექტემბრიდან ივნისამდე.

მოსწავლე დამოუკიდებლად ირჩევს მისთვის სასურველ კურსს. არსებობს სავალდებულო და დამატებითი საგნები. თითოეული არჩეული კურსი აძლევს სტუდენტს გარკვეული რაოდენობის კრედიტს ბაკალავრიატის ან მაგისტრის ხარისხის მისაღებად

---

[84] მიჩიო კაკუს არგუმენტები, რომლებმაც ტვინი აგვიფეთქა. 01 2017. https://www.trendbook.ge/

[85] აშშ-ს განათლების სისტემის პრობლემები. 23.07.2014 http://intermedia.ge/

საჭიროა ასეთი კრედიტების გარკვეული რაოდენობა. კრედიტების სისტემა უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტს შეუძლია უფრო თავისუფლად და რაციონალურად მართოს თავისი დრო. პირველკურსელები გადიან საბაზო საგნებს და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იწყებენ სპეციალიზაციას კონკრეტული პროფესიის მიმართულებით, ასე რომ ეს დრო მათ აძლევს საშუალებას გაცნობიერებული პროფესიული არჩევანი გააკეთონ. თუმცა შესძლებელია სტუდენტმა გადაწყვეტილება შეიცვალოს სხვა პროფესიის სასრგებლოდ და ამ შემთხვევაშიც მას უნივერსიტეტის მხრიდან სრული მხარდაჭერა ელის, რათა შეძლოს სრული ორიენტირება და არ დაიბნეს. ამერიკულ უნივერსიტეტში სწავლის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა რამდენიმე დისციპლინის გადანაწილებით შექმნილი სპეციალური საგნების არსებობა. ასეთი მიდგომა განაპირობებს ამა თუ იმ მოვლენების და ობიექტების მრავალმხრივ, ყოვლისმომცველ შესწავლას. ხშირად სხვადასხვა დისციპლინების სიმბიოზის შედეგად ახალი კათედრები და სამეცნიერო მიმართულებები იბადება. აღსანიშნავია, რომ ამერიკაში უმაღლეს განათლებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მეცნიერებისა და განათლების

ჰარმონიულ შერწყმას, ასე რომ უფროსკურსელები ხშირად ხდებიან თანაშემწეები და ასისტენტ-პროფესორები, რაც ხელს უწყობს მათ საკუთარი წვლილი შეიტანონ ყველაზე მნიშვნელოვან აკადემიურ კვლევაში.

ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკებში მუშაობის გარდა, სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ყველა ამერიკულ უნივერსიტეტში არსებობს სხვადასხვა წრეების, ლიგებისა და ასოციაციების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ისინი შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს: სპორტი, ეკოლოგიური, ფილოსოფიური, ან გაერთიანება მეგობრებისა და მულტფილმების მოყვარულთათვის.

ამჟამად აშშ-ს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ქვეყანაში უმაღლესი განათლების საკითხს. სასწავლო პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ნიჭიერი ახალგაზრდები სხვადასხვა ქვეყნებიდან. იქმნება და ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მრავალი პროგრამა. აქტუალურია დისტანციური განათლებაც. განათლების სფეროში იდება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინვესტიციები.

უმაღლეს დამთავრებულები პირველ ეტაპზე 4-წლიანი სწავლების შემდეგ იღებენ ბაკალავრის ხარისხს. ორწლიანი სწავლების შემდეგ კი იღებენ მაგისტრის ხარისხს. ბოლო საფეხურია დოქტურანტურა, რაც ორიენტირებულია სამეცნიერო კვლევაზე.

განათლების სისტემა აშშ-ში იყოფა შემდეგ დონეებად:

- სკოლამდელი დაწესებულება;
- დაწყებითი სკოლა;
- „შუალედური სკოლა“;
- უმაღლესი განათლება;
- შემდგომი განათლება.

აშშ-ის კანონმდებლობა არ ახდენს იმის რეგლამენტირებას თუ რომელ უმაღლესს უნდა ეწოდოს „უნივერსიტეტი“ და რომელს _ „კოლეჯი“.

საზოგადოებრივი (სათემო) კოლეჯი. უმეტეს წილად ეს ორწლიანი კოლეჯებია, რომლებიც ემსახურებიან იმ რეგიონსა ან ქალაქს, რომლის ტერიტორიაზეც არიან განთავსებული. ტრადიციულად ამ კოლეჯებში დღის მეორე ნახევარში სწავლობს მომუშავე ახალგაზრდობა. ეს კოლეჯები უცხოელ სტუდენტებს სთავაზობენ სპეციალურ მომსახურებას, მათ შორის უფასო სწავლებას, ESL-ს ან ინგლისური ენის შესწავლის ინტენსიურ პროგრამებს. ამის გამო ეს კოლეჯები სარგებლობენ დიდი პოპულარობით.

აღსანიშნავია, რომ ამ კოლეჯში შესაძლებელია ნებისმიერი სპეციალობის მიღება (დაწყებული შენობის ტექნიკოს-ზედამხედველიდან დამთავრებული კაზინოს კრუპიეთი). ზოგიერთ სასწავლე-

ბელს გააჩნია აკადემიური პროგრამებიც, რომლებიც შეეფარდება უნივერსიტეტის პირველ-მეორე კურსს, ანუ ამ პროგრამის დასრულების შემდეგ (იმ შემთხვევაში თუ კოლეჯს გააჩნია ხელ-შეკრულება უმაღლეს სასწავლებლებთან), შესაძლებელია უნივერსი-ტეტის მესამე კურსზე გადასვლა. ასეთ გადასვლას ემსახურება აშშ-ი ტრადიციულად ჩამოყალიბებული სისტემა, რომლის მიხედვითაც უმაღლესი განათლების დიპლომის მისაღებად საჭიროა გარკვეული რაოდენობის (მაგალითად, ბაკალავრიატში 130 საათი), „საკრედიტო“ საათების აკრეფა აუდიტორულ მეცადინეობებზე.

პროფესიული სკოლა. ამ ტიპის პროფესიულ სასწავლებლებში ასწავლიან ხელოვნების, მუსიკის, საინჟინრო საქმის, ბიზნესის და ა.შ. სპეციალობებს. ზოგიერთი პროფესიული სკოლა წარმოადგენს უნივერსიტეტის ნაწილს, ზოგი კი – დამოუკიდებელია.

ტექნოლოგიური ინსტიტუტი. ამ ტიპის სასწავლო დაწესებულე-ბა სთავაზობს 4 -წლიან სწავლებას მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მიმართულებით. ზოგიერთ ინსტიტუტს გააჩნია სამაგისტრო პროგრამები, ზოგი უცხოელებს სთავაზობს მოკლევადიან სწავლებას. ამ სახის ინსტიტუტები ახორციელებენ სწავლებას სამრეწველო და სამედიცინო ტექნოლოგიებში ან საინჟინრო საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტი იძლევა კარიერისთვის საკმარის ცოდნას, მის დიპლომს ყოველთვის არ აღიარებენ კოლეჯისა ან უნივერსიტეტის ექვივალენტურ დიპლომად. ზოგიერთი კოლეჯი და უნივერსიტეტი, სტუდენტების გადასვლის შემთხვევაში არ ითვალისწინებს მათ მიერ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მიღებულ კრედიტებს.

აშშ-ის განათლების საფეხურები ასე გამოიყურება:

- **ასოცირებული ხარისხი** – საშუალო პროფესიული განათ-ლება, შეგიძლიათ მიიღოთ იგი საზოგადოებრივ კოლეჯში ორი წლის განმავლობაში
- **ბაკალავრი** – უმაღლესი განათლება სკოლის შემდეგ სწავლა არის ოთხი წელი, საზოგადოებრივი კოლეჯის დამთავრების შემთხვევაში – ორი წელი;

- **მაგისტრი** – ბაკალავრის ხარისხის შემდეგ ორი წელი სწავლების შემდეგ,
- **დოქტორის ხარისხი** – ორიდან – ოთხ წლამდე მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ.

საუკეთესოდ ითვლება ის უმაღლეს სასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: პროფესორ-მასწავლებლების მაღალი სამეცნიერო პოტენციალი; დაფინანსება; მისაღები გამოცდების ცდროს მაღალი კონკურსი; სასწავლებლის პრესტიჟულობა და ა.შ.

ასეთებად კი ითვლება: ჰარვარდის, პრისტონის, იელის, მიჩიგანის, სტენფორდის, კოლუმბიის, ჩიკაგოს, კალიფორნიის, ილინოისის უნივერსიტეტები და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. ამ პროექტის ფარგლებში განვიხილავთ ჰარვარდის მაგალითს.

ჰარვარდის უნივერსიტეტი

ამერიკის შეერთებული შტატების განთლების პირველ კერად თავისუფლად შეგვიძლია მოვიიჩნიოთ ჰარვარდის უნივერსიტეტი (კემბრიჯი, მასაჩუსეტსის შტატი). ის 1636 წელს დაარსდა. თავდაპირველად მას კოლეჯის ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში უნივერსიტეტად იქცა. ჰარვარდის დევიზია – veritas. იმისთვის, რომ გავიგოთ თუ რამდენად წარმატებული ეს უნივერსიტეტი, საკმარისია მისი კურსდამთავრებულები გავიხსენოთ: ჯონ ადამსი – აშშ მეორე პრეზიდენტი; ჯონ კუინსი ადამსი – აშშ მეექვსე პრეზიდენტი; რეზერფორდ ჰეისი – აშშ მეცხრამეტე პრეზიდენტი; თეოდორ რუზველტი – აშშ ოცდამეექვსე პრეზიდენტი; ფრანკლინ დელანო რუზველტი – აშშ ოცდამეთორმეტე პრეზიდენტი; ჯონ ფიცჯერალდ კენედი – აშშ ოცდამეთხუთმეტე პრეზიდენტი; ელენ ჯონსონ-სირლიფი – ლიბიის პრეზიდენტი; ჯორჯ უოლკერ ბუში – აშშ ორმოცდამესამე პრეზიდენტი; ბილ გეითსი – Microsofte-ს დამფუძნებელი; პან გი მუნი – გაეროს მდივანი; ბარაკ ობამა – აშშ

ორმოცდამეოთხე პრეზიდენტი და მარკ ცუკერბერგი – Facebook-ის ერთ-ერთი დამაარსებელი. კურსდამთავრებულთაგან 8 ყოფილი პრეზიდენტია და 75 ნობელის პრემიის ლაურეტი. Harvard University – დღესაც მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ათეულში პირველ-მეორე ადგილებს იკავებს.

მასაჩუსეტსის დასახლება დაფუძნდა 1620 წელს. რამდენიმე წლის შემდეგ, უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაეარსებინათ საკუთარი კოლეჯი. კოლეჯის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის მინისტრს _ ჯონ ჰარვარდს, სწორედ მან გადასცა კოლეჯს ქონება და მდიდარი ბიბლიოთეკა _ 400 ტომი. სწორედ მისი ღვაწლის საპატივცემულოდ დაერქვა უმაღეს სასწავლებელს ჰარვარდი. 1650 წელს, კოლეჯში შეიმუშავეს საკუთარი ქარტია. მე-19 საუკუნემდე კოლეჯში ძირითადი აქცენტი რელიგიაზე კეთდებოდა. კოლეჯის პირველი გამოშვება სულ 9 კაცს ითვლიდა, მათ შორის იყვნენ მომავალი მინსტრები, სახელმწიფო მოღვაწეები და სასულიერო პირები. დროთა განმავლობაში ჰარვარდში ფეხი მოიკიდა განმანათლებელების იედეებმა, რაციონალურმა და თავისუფალმა აზროვნებამ. გავრცელდა ინტელექტუალური განათ-ლების კულტი. რელიგიური თემები თანდათან ჩაანაცვლა: ადამიანის ღირებულებებმა, მისმა უფლებამ თავისუფლების და საკუთრების არსებობის შესახებ, დაარსდა სტუდენტური თვითმმართველობები.

მე-20 საუკნიდან ჰარვარდში ბევრ ფაკულტეტზე უკვე მაგისტ-რატურაც გაიხსნა. 1945 წელს ჰარვარდის კარი ქალებისთვისა გაიხსნა და მათ მიეცათ სამედიცინო სკოლაში განათლებს მიღების საშულება, ხოლო ქალების მიმართ ღია პოლიტიკის ყველაზე დიდ გამოხატულება ჰარვარდში 2007 წელს მოხდა, როდესაც უნივერსი-ტეტის 371-წლიანი ისტორიის მანძილზე პრეზიდენტად ქალი აირჩიეს. 59 წლის ისტორიკოსი, დოქტორი, პროფრსორი დრიუ ჯილპინ ფაუსტი, ჰარვარდის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი ქალი იყო, (რიგით 28-ე). ის იყო რედკლიფის (რედკლიფი ჰარვარდის 10 კვლევითი ინსტიტუტებიდან ყველაზე პატარაა) სამეცნიერო

კვლევითი ინსტიტუტის დეკანი, აშშ-ს სამოქალაქო ომის საკმაოდ ძლიერი ექსპერტი და მკვლევარი. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ დრიუ ფაუსტმა მოკლე კომენტარი გააკეთა: მე ვარ ჰარვარდის პრეზიდენტი და არა ჰარვარდის ქალი-პრეზიდენტი.

1950-იანი წლებიდან ჰარვარდში სწავლა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა განურჩევლად ეროვნებისა, რასაისა თუ რელიგიური აღმსარებლობისა. ჰარვარდში 2 300 პედაგოგია, დაახლოებით 65 17 სტუდენტი და 10 000 მდე სხვა დასხვა კურსის მსმენელი. უნივერსიტეტის შემადგენლობაშია რამოდენიმე კოლეჯი და ფაკულტეტი:

- ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტი, სადაც შედის საინჟინრო და გამოყენებითი მეცნიერებები;
- სამედიცინო ფაკულტეტი, სადაც შედის მედიცინა და სტომატოლოგია;
- ჰარვარდის ღვითისმეტყველების, იურიდიულ მეცნიერებათა და ბიზნესის ინსტიტუტები;
- დიზაინისა და პედაგოგიურ მეცნიერებათა ასპირანტურა;
- ჯანდცვის ინსტიტუტი;
- ჯონ კენედის ადმინისტრაციის ინსტიტუტი (სახელმწიფო ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ);
- ჰარვარდის კოლეჯი, სადაც შეიძლება ბაკალავრის ხარისხის მიღება;
- ასპირანტურა – ხელოვნებისა და მეცნიერების კურსდამთავრებულთათვის; მაგისტრატურა და დოქტორანტურა ფსიქოლოგიის, ადამიანის განვითარების, განთლების მენეჯმენტის და ხელოვნების მიმართულებით;
- ჰარვარდის საზაფხული სკოლა;
- რედკლიფის კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ორიენტირებულია ხელოვნების, ჰუმანიტარულ, სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ინტერდისციპლინარული

ცოდნის მიღებაზე.

უნივერსიტეტს ასევე აქვს საკუთარი: უმაღლესი სკოლა, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, კინოსაცავი, საკონცერტო დარბაზი, არტგალერეა, ბოტანიკური ბაღი, ტყე, კვლევითი ლაბორატორიები.

ჰარვარდის ბიზნეს-სკოლა. სკოლა დაარსდა 1908 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. 1913 წელს ცალკე საგანმანათლებლო დაწესებულება გახდა. ბიზნესის სკოლა მომავალი დიპლომატებისა და სახელმწიფო მოხელეებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბდა, ის შეიქმნა პოლიტიკური მეცნიერების ფრანგული სკოლის მაგალითზე. ჰარვარდის ბიზნეს სკოლა ფლობს ჰარვარდის ბიზნესის სკოლის საგამომცემლო ბიზნეს ლიტერატურასა და ყოველთვიურ Business Review. სკოლის წარმატების საწინდარია case study (ქეის სთადი) ექსპერიმენტის (კონკრეტული შემთხვევის კვლევა) მეთოდი, რაც ფართოდ გამოიყენება დღეს ბიზნეს განათლებაში. მეთოდი მოიცავს კომპანიების საქმიანობისა და სიტუაციის ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის ქმედებებს. ცნობილი კურსდამთავრებულები არიან: „აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უმცროსი) American Airlines საბჭოს თავმჯდომარე დონალდ კერი, New York მერი მაიკლ ბლუმბერგი, Vodafone Group-ის აღმასრულებელი დირექტორი ვიტორიო კოლაო და საერთოდ, მსოფლიოში თითქმის ყველა წამყვანი კომპანიის ხელმძღვანელთა 20%, ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის კურსდამთავრებულია“.[86]

უნივერსიტეტის მთავარი ფერია _ ბორდოსფერი, რომლითაც შეღებილია შენობების უმეტესობა სტუდქალაქში. ბიბლიოთეკები, ადმინისტრაციული შენობები და პირველკურსელთა საერთო საცხოვრებელი განთავსებულია უზარმაზარ ჰარვარდის პარკში, ხოლო ცნობილი ჰარვარდის ბიზნეს სკოლა და სტადიონი, სადაც უნივერსიტეტის საფეხბურთო გუნდი თამაშობს, განთვსებულია მეზობელ ქალაქ ოლსტონში.

---

86 · Harvard Business School, HBS. История. 2018, http://studyglobe.ru/mba/hbc.html

ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მსოფლიოს უმსხვილესი სამეცნიერო ბიბლიოთეკაა. აქ ინახება 18.9 მილიონი ტომი. იგი ასევე შეიცავს პერიოდული გამოცემების 174,000 ეგზემპლიარს, დაახლოებით 400 მილიონი ხელნაწერს, დაახლოებით 10 მილიონ ფოტოსურათს, 56 მილიონიან ვებ-გვერდების არქივს და ციფრული მასალებებს. ამ მდიდარი კრებულების ხელმისაწვდომობაში დაგეხმარებათ ათასობით თანამშრომელი, რომლებიც დასაქმებულები არიან დაახლოებით 70 განყოფილებაში. ჰარვარდის უნივერსიტეტის არქივი არის როგორც უძველესი, ისე ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი სამეცნიერო არქივი ქვეყანაში. ჰარვარდი არის პროგრესის სინონიმი, რომელიც პატივს სცემს და უფრთხილდება თავის ტრადიციებს და გადასცემს მომავალ თაობებს.

უნივერსიტეტი ელიტარულად ითვლება და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მედიცინის ფაკულტეტი, პოლიტოლოგიის მიმართულება, ჯანდაცვისა და იურიდიული ინსტიტუტები. ყველაზე ძველი აქ ღვითისმეტყველების ფაკულტეტია, სადაც ასწავლიან თეოლოგიას და რელიგიას. დიზაინის ინსტიტუტი შესაძლებლობას იძლევა ისწავლონ ასპირანტურასა და მაგისტრატურაში ურბანისტიკისა და არქიტექტურის სპეციალობით. პრესტიჟულად ითვლება ასევე ჰარვარდის ბიზსნეს სკოლა, რომელიც უშვებს ბისზნესის დოქტორებსა და მაგისტრებს. განსაკუთრებული მოთხოვნაა სოციალური და ბიოლოგიური მეცნიერებების ბაკალავრიატზე.

სტუდენტები უფრო ხშირად ირჩევენ შემდეგ მიმართულებებს:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	26%
ბიოლოგიური მეცნიერებები	19,2 %
ჰუმანიტარული მეცნიერებები	15,5 %
საინჟინრო მეცნიერებები	12,0%
ინფორმატიკა	7,3
მათემატიკური მეცნიერებები	7,3
ფიზიკის მეცნიერებები	6,9
სხვა დანარჩენი	5,4

განათლება აგებულია ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და ასპირანტურის სისტემაზე. აშშ-ში ყველაზე პოპულარული და პრესტიჟული პროფესიებია:

- **აიტი სფერო** – ეს ლიდერი პროფესიაა, პროგრამისტებს და კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტებს აქ დასაქმების დიდი არჩევანი და მაღალი ანაზღაურება აქვთ.
- **იურისპრუდენცია** – კარგი იურისტი არასოდეს დარჩება უმშეავარი;
- **ფინანსები** – აქ საკმაოდ დიდი ბაზარი კონსალიტინგის და საბროკერო მომსახურების.
- **მედიცინა** – აქ ექიმობა ძალიან საპატიო, მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადი პროფესიაა. კარგი სპეციალისტების მოსამზადებლად სახელმწიფო და კერძო კომპანიები აქ დიდი ფულს ხარჯავენ;
- რაც შეეხება სოციოლოგიას, ისტორიას და საზოგადოებრივ მეცნიერებებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროფესიები ამერიკაში მეტად მოთხოვნადია, საკმაოდ ძნელია სამუშოს პოვნა, ვინაიდან ბაზარი თითქმის ათვისებულია.

ჰარვარდი ზრუნავს თავის კურსდამთავრებულებზე. ჰარვარდის უნივერსიტეტი სხვა უნივერსიტეტების მსგავსად ეხმარება თავის სტუდენტებს შესაბამისი ვაკანსიის პოვნაში. უმაღლეს სასწავლებლის ტერიტორიაზე არსებობს კარიერული სამსახურის ცენტრი, (Career Service) რომელიც ეხმარება სტუდენტებს, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ღონისსძიებებს და აანონსებს მას ინტერნეტში თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. სერვისის სპეციალისტები ჩართულნი არიან საინტერესო ვაკანსიების მოძიებაში, სტაჟიორების შერჩევაში, კურსებისა და ტრენინგების ორგანიზებაში და ისეთი შეხვედრების ორგანიზებაში, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გაეცნონ მათ პოტენციურ დამსაქმებლებს. ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს სამუშაოს დაწყების პრობლემა არ აქვთ. მათი 60% სწავლისა და სტაჟირების პროცესშიც უკვე დასაქმებულია.

ამერიკულ უნივერსიტეტებში დიდ მნიშვნელობას აქცევენ კვლევით კომპონენტებს, სამეცნიერო შრომებს კონკრეტულ სფეროში და სამეცნიერო მიღწევებს. მიმღები კომისია დიდ ყურადღებას აქცვს მომავალი სტუდენტის აკადემიურ მოსწრებას საშუალო სკოლაში, დახასიათებას პედაგოგების, სკოლის დირექტორის ან სხვა დაწესებულებების მხრიდან, სადაც კონკურსანტი სწავლობდა, არასასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობას, ნიშანდობლივია ასვე კანდიდატის პიროვნული თვისებები როგორიცაა – ნებისყოფა, სირთულეების დაძლევა და ლიდერობა.

ჰარვარდის უნივერსიტეტში აუცილებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნა.[87]

მზადება ჰარვარდისათვის. რით ხართ სხვებისაგან გამორჩეული? – ეს არის ის კითხვა რომელაც საბუთების მიღებისას დაგისვამენ ჰარვარდში. უნივერსიტეტი ყველანაირად ხელს უწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვას და აღზრდას. იმ შემთხვევაშიც კი თუ აბიტურიენტს აქვს დიდი გონებრივი პოტენციალი, მაგრამ არ აქვს ფული, უნივერსიტეტი უფასოდ ასწავლის. აქ ჩასაბარებლად სულ ცოტა სამი წლით ადრე იწყებენ მომზადებს, თუ ახალგაზრდა სხვა უნისვერისტეტში მოეწყო ან უკვე დაამთავრა კიდეც ის, ამ შემთხვევაში შესაძლებებია მისი ანკეტა უარყოფითად შეაფასოს კომისიამ, რადგან აბიტურიენტი მხოლოდ ჰარვარდზე უნდა იყოს ორიენტირებული, „თქვენ მხოლოდ ჰარვარდზე უნდა ფიქრობდეთ“ – ასეთია უნივერსიტეტის მოტივაცია. სტუდენტ მეცადინეობა უხდება ყოველ დღე და არა მთელი დღე მათ გართობისთვისაც რჩებათ დრო. როგორ წესი სტუდენტი სემინარზე მოუმზადებლი არ მიდის, აქ ყველას გაცნობიერებული აქვს პასუხისმგებლობა.

ჰარვარდში დიდად აფასებენ სტუდენტის ინიციატივას, აქ სოკრატეს მეთოდს იყენებენ: – 10 % საუბრობს ლექტორი, შემდეგ გამოიყენება კითხვები და დანარჩენი დრო სტუდენტებისაა და ისინიც აქტიურად ერთვებიან სასწავლო პრცესში. თითქმის ყველა პრო-

87 About Harvard. Faculty, https://www.harvard.edu/faculty About Harvard. Faculty

ფესორი ასე იწყებს ლექციას: თქვენ ყველაზე ძლიერები ხართ და ახლა ამ ცოდნით მსოფლიოს უნდა ემსახუროთო. ლექციების წასაკითხად კი სხვადსხვა ცნობილ და წარმატებულ ადამიანებს იწვევენ, მათ შორის შესაძლებელია იყონ როგორც ცნობილი პოლიტიკოსები, შატატების გუბერნატორები, ისე წამყვანი ბიზნესმენები.

ჰარვარდში არავის სჭირდება მხოლოდ თორიის დაზეპირება და დაზუთხვა, უნივერსიტეტის სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული სტუდენტი არის თავისუფალი პიროვნება, რომელიც თავად აშენებს თავის ცხოვრებას, ირჩევს სწავლის მიმართულებს, აცნობიერებს და პრაქტიკულად იყენებს ინფორმაციას. სასწავლო პროცესის ძირითად პრიორიტეტია: დამოუკიდებლობა, ინიციატივა, ინფორმაციის კოგნიტური უნარი და პრაქტიკული საქმიანობა.

ჰარვარდმა მსოფლიოს ყველაზე მეტი ნობელის ლაურიატები მისცა. დღესდღისობით, აქ ყოველწლიურად იმართება ნობელის პრემიის ანტიპოდი _ „Ig Nobel Prize“ _ ყველაზე საეჭვო და უსარგებლო სამეცნიერო მიღწევებისათვის, რომლიც არ უნდა განმეორდეს.

ჰარვარდის სტუდენთა წარმატების სტრატეგია მდგომარეობს შემდეგში:

1. მუდმივი დიალოგი და დისკუსია. აქ სტუდენტს ასწავლიან ფიქრს, ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზსა და სიმართლის ძიებას. ჰარვარდის ერთ-ერთი სტუდენტი იხსენებს, რომ პოლიტოლოგიის ლექტორი – სოფი უილსონი, არასდროს ატარებდა მოსაწყენ, მონოლოგის სტილის ლექციას, ის მხოლოდ რეკომენდაციებით შემოიფარგლებოდა და მათთან დიალოგს მართავდა. სტუდენტებს დამოუკიდებელი შესწავლისთვის უამრავი ლიტერატურის დამუშავება უხდებოდათ, აქ მთავარი ამოცანა იყო განსხვავებული მოსაზრებების ანალიზი, საკუთარი ხედვა.

2. სიმართლის ერთობლივი ძიება. ჰარვარდის პროფესორებმა არ დაუშვეს „უკანასკნელი კადრის სიმართლე“. ისინი ამბობენ, რომ სიმართლე სადღაც შუაშია და ჩვენ ის ერთად უნდა შევისწავლოთ.

ისინი ამბობენ, რომ თქვენ მუდმივად უნდა მიიწევდეთ წინ და ეძებდეთ ჭეშმარიტებიას, რადგან არავინ იცის, სად არის ის, ჰარვარდის დევიზიც ხომ ეს არის – VERTAS, რომელიც ლათინურ ენაზე ითარგმნება როგორც „ჭეშმარიტება“. სტუდენტმა უნდა გააცნობიეროს, რომ არავინ გაჩუქებთ ჭეშმარიტებას, მას მხოლოდ მძიმე ინტელექტუალური მუშაობის შედეგად მიიღებთ. პედაგოგები ერთადერთი ბრძენი ლიდერები არიან ამ არაპროგნოზირებად, სწრაფად ცვალებად მსოფლიოში, სადაც ინფორმაცია ტონაა! მაგრამ მთავარია როგორ გავფილტროთ ის და გამოიყენოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში – ეს არი ჩვენთვის მნიშვნელოვანი.

3. შინაგანი თავისუფლება. ჰარვარდში გესმით, რომ ეროვნულობის, რასის, კლასის, სისხლისა და მემკვიდრეობის ფორმალური ნიშნები არ არის მნიშვნელოვანი, ის გავლენას არ ახდენს თქვენზე. აქ შინაგანი თავისუფლებაა.

4. სტრესის მინიმუმი. აქ სტუდენტებს არ აკრიტიკებენ განსხვავებული მოსაზრების გამო, თუ სურვილი არ გაქვს შეგიძლია ხმაც არ ამოიღო მეცადინეობის დროს, ლექციაზე დასწრებასაც არავინ აკონტროლებს, არ არსებობს სასჯელი და შეურაცყოფა.

5. პიროვნების პატივისცემა. ამერიკელები განსაკურებით გამოირჩევიან თითოეული ადამიანის მიმართ პატივისცემის გამოვლენაში. ეს ძლიერი ღირებულება, რომელიც საზოგადოებაში მაუწყებლობს და საბავშვო ბაღიდან იღებს სათავეს. კონფიდენციალურობა გაძლევთ უსაფრთხოებისა და თავისუფლების გრძნობას, აქ ერთმანეთის ნიშნებსაც კი არ ნახულობენ, ეს კონფიდენციალურია.

6. მენტორები. ამერიკის უნივერსიტეტებსში არის მთელი არმია „თანაშემწეების“ – მასწავლებლებს და მფარველების. ისინი სტუდენტებს ეხმარებიან საკუთარი თავის პოვნაში, ისინი ერთად განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს, ურჩევენ მათთვის შესაბამის კურსებს, კლასგარეშე საქმიანობას, ისინი სტუდენტებისათვის ერთგვარი ფსიქოლოგები არიან.

7. ჯგუფური მუშაობა. სტუდენტები დამოუკიდებლად მუშაობენ

მხოლოდ სახლში, როდესაც გამოცდებისთვის ემზადებიან ან აკეთებენ კონსპექტს, დანარჩენ დროს აუდიტორიაში ხდება ჯგუ-ფური დისკუსია, დებატები. ამერიკელები ინდივიდუალისტები არიან, მაგრამ გუნდში მუშობა მათი პროფესიონალიზმისთვის მნიშვნელოვანია. ეს პროცესები მათ ეხმარებათ თანამშრომობაში, კონფლიქტური სიტუაციების განეიტრალებაში, ჯგუფური ნდობის, იდენტობის და ეფექტურობის შეგძნებაში.

8. საავტორო უფლებები. ჰარვარდში პატივისცემა და ღირსება ძალიან ძლიერია. კერძოდ საავტორო უფლებები კანონით არის დაცული. გამორიცხულია გადაწერა, რეფერატების მოპარვა, წიგნი-დან აზრების გადმოწერაც კი სირცხვილად ითვლება, ხოლო რაც შეეხება პლაგიატს – ამ შემთხვევაში საჯელის სახით არის უნივერ-სიტეტიდან გარიცხვა. საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში სტუდენტს ხელს უწყობს ცოცხალი დისკუსიები აუდიტორიაში.

9. არჩევანის თავისუფლება. სტუდენტს თავად შეუძლია აირ-ჩიოს პრეზენტაციების, პროექტების, გამოსვლების თემები და კითხვებიც კი, რომლითაც სურთ გამოცდაზე პასუხის გაცემა. აუცი-ლებელია ესსე, სადაც გადმოცემული იქნება როგორც მეცნიერთა შეხედულებები, ისე აუცილებლად თქვენი მოსაზრება.

10. ენდეთ საკუთარ თავს, დაიცავი შენი ოცნება. „შენ ყველაფრი შეგიძლია, შენი ბედი შენს ხელშია“ _ ეს არის ამერიკული ოცნება, ჰარვარდში აცნობიერებენ, რომ პასუხისმგებელია საკუთარი არჩევანის გაკეთებაზე და როდესაც ეს მომენტი დგება ადამიანს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჰარვარდის ბიზნეს გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებული ჟურნალი, რომელიც ჰარვარდის უნივერსი-ტეტს ეკუთვნის. HBR-ის სტატიები მოიცავს ფართო სპექტრს თე-მებისა, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ინდუსტრიების, მენეჯმენტის ფუნქციებისა და სხვა საკითხების კვლევით. ყურადღება გამახვილებულია ისეთ სფეროებზე, როგორიცაა ხელმძღვანელობა, ორგანიზაციული ქცევა, მენეჯმენტი, დიდერობა, მოლაპარაკება,

სტრატეგია, მარკეტინგი, ფინანსები და ადამიანების მართვა. ჟურნალი დაარსდა 1994 წელს, როგორც არაკომერციული, ჰარვარდის უნივერსიტეტის მთლიანად შვილობილი კომპანია ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში. სტუდენტები აქტიურად იყენებენ HBR-ს, როგორც კვლევითი ორგანოს წყაროს თავიანთი დავალებებსა და თეზისებში. სასიხარულოა ის გარემოება, რომ ქართველ მკითხველს უკვე შეუძლია მშობლიურ ენაზე წაიკითხოს მსოფლიოს N1 ბიზნეს სკოლის პროფესორების მიერ შედგენილი პრაქტიკული ლიტერატურა. სერია „HBR-ის 10 აუცილებელი საკითხავი“ ჰარვარდ ბიზნეს რევიუს გვერდებზე გამოქვეყნებული ნაშრომების ნაკრებია. ერთ-ერთი ასეთია: დანიელ გოლემანის „ემოციური ინტელექტი“, ემოციური ინტელექტი საკუთარი და სხვა ადამიანების ემოციების იდენტიფიცირებას და მართვას გულისხმობს, ნაშრომში გადმოცემულია ემოციური ინტელექტის შეფასება, მისი შემადგენელი უნარის განსაზღვრება, როგორიცაა: თვითშეფასება, თვით-რეგულაცია, მოტივაცია, ემპათია და სოციალური უნარები. ემოციური ინტელექტი ისეთ ყოველდღიურ გადაწყვეტილებებზე ახდენს გავლენას, როგორიცაა თანამშრომლების დაქირავება, წახალისება თუ სამსახურიდან დათხოვა, ამიტომ, ემოციური ინტელექტი წარმატების გასაღებად შეიძლება იქცეს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მენეჯერულ კიბეზე ასვლას ვიწყებთ. საინტერესოა ასევე რიჩარდ ბოიაცისის და და ენი მაკკის – „ლიდერობის საფუძვლები“, სადაც ავტორები თვლიან, რომ ლიდერის განწყობა, დიდი ზეგავლენას ახდენს მის გარშემომყოფთა გუნება-განწყობაზე; ლიდერობისთვის „საჭირო უნარების“ მქონე ადამინების გამოვლენა ხელოვნება უფროა, ვიდრე მეცნიერება. ვანესა ურხ დრუსკატის და სტივენ უოლფის „ჯგუფების ემოციური ინტელექტის განვითარება“, სადაც ავტორები იკვლევენ გუნდების და ჯგუფების ქცევას. მათი აზრით, ჯგუფის ეფექტურობისათვის დიდი მნიშვენლობა აქვს ნდობას ადამიანებს შორის, ჯგუფური იდენტობის განცდას და ჯგუფის ეფექტურობის შეგრძნებას. როდესაც გუნდის ერთი წევრი იმაევ ემოციურ ტალღაზე არაა, რომელზეც დანარჩენები,

გუნდი ამ ინდივიდის მიმართ ემოციურად ინტელექტუალური უნდა იყოს. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჯგუფმა გააცნობიეროს და დაინახოს პრობლემა.

ამრიგად, აშშ-ს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ქვეყანაში უმაღლესი განათლების საკითხს. სასწავლო პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ნიჭიერი ახალგაზრდები სხვადასხვა ქვეყნებიდან. იქმნება და ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მრავალი პროგრამა. აქტუალურია დისტანციური განათლებაც. განათლების სფეროში იდება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინვესტიციები. აღსანიშნავია, რომ ამერიკელები ყველა მაღლეს დაწესებულებას ეძახიან კოლეჯს-college, მათ შორის უნივერსიტეტსაც. კოლეჯი არის უმაღლესი დაწესებულება რომლის ფუნქციაა ასწავლოს სტუდენტებს და მისცეს განათლება, ის უნივერსიტეტისგან იმით განსხვავდება, რომ არ აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა დაასპირანტურა. ამერიკუ-ლი უმაღლესი განათლებისთვის დამახასიათებელია„აკადემიური თა ვისუფლების“ პრინციპით სწავლა, რაც საშუალებას აძლევსსტუდენტ ებს (მათ შორის უცხოელებს), აირჩიონ მათთვის მისაღები საგნები და კურსები. ამერიკული კოლეჯები განათლების დონით არ ჩამოუვარდ ება უნივერსიტეტებს. ამერიკულ უნივერსიტეტში სწავლის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა რამდენიმე დისციპლინის გადანაწილებით შექმნილი სპეციალური საგნების არსებობა. ასეთი მიდგომა განაპირობებს ამა თუ იმ მოვლენების და ობიექტების მრავალმხრივ, ყოვლისმომცველ შესწავლას. ხშირად სხვადასხვა დისციპლინების სიმბიოზის შედეგად ახალი კათედრები და სამეცნიერო მიმართულებები იბადება.

განათლების ადგილი ქართველი ხალხის სოციალურ ცხოვრებაში - ისტორიული რაკურსი

თანამედროვე პერიოდში, როდესაც საქართველოს განათლების საკითხს ვეხებით აღსანიშნავია, რომ განვითარებაზე ორიენტირებული სიტემის ჩამოყალიბება, საერთშორისო გამოცდილების გაზიარების და თანამშრომლობის გარეშე შეუძლებებლია. საკითხის ასეთი მიდგომა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის წარმომადგენლებისთვის მისაღები იყო საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე, რადგან თითქმის მათ უმეტესობას განათლება უცხოეთში ევროპასა და რუსეთში ჰქონდათ მიღებული და შესაბამისად სწორად აფასებდნენ ამ კომუნიკაციის როლს შემდგომი განვითარებისთვის.

III-VI საუკუნეებში ფაზისის (ფოთის) მახლობლად არსებობდა უმაღლესი რიტორიკული სკოლა _ ლაზთა აკადემია, სადაც ძველი წყაროების მიხედვით განათლების მისაღებად მოდიოდნენ გამოჩენილი ბიზანტიელი ფილოსოფოსებიც კი[88].

XI-XII საუკუნეების საქართველოში ტრადიციად იქცა ნიჭიერი ახალგაზრდების საბერძნეთის სკოლებში სწავლა-განათლების მისაღებად გაგზავნა. რომლებიც შეძენილი ცოდნით ხშირად, იქვე სემინარიებს, სასწავლებლებს აარსებდნენ. ასევე უცხოეთის ტრადიციები გადმოჰქონდათ სამშობლოში.

არსებობდა ქართული კულტურის კერები უცხოეთშიც. განათლების განვითარებას ემსახურებოდა ქართველთა მიერ საზღვარგარეთ შექმნილი ეკლესია-მონასტრებიც. „ყველაზე მნიშვნელოვან და მსხვილ საზღვარგარეთულ ცენტრებად ამ პერიოდში სამართლიანად უნდა ჩავთვალოთ ივერიის მონასტერია თონის მთაზე, სვიმეონ საკვირველ მოქმედის სავანე შავმთაზე, ანტიოქიის მახლობლად, ჯვრის მონასტერი პალესტინაში და პეტრიწონის მონასტერი

[88] ძველიქართულიკულტურულ-საგანმანათლებლო კერები საქართველოსა და უცხოეთში http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/links/2.4.htm

მაკედონიაში“.[89]

უნდა აღინიშნოს, რომ არსებული პოლიტიკური ვითრებისდა მიუხედავად საქართველოში არსებულ კულტურულ-საგანმანათ-ლებლო ცხოვრებას თუ თვალს გადავავლებთ ფაქტია, რომ XIX საუკუნის 60-იანიწლებიდან ცხოვრების ეს ასპარეზი გამოცოცხლდა, განვითარდა და ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება განათლება-ქართული სკოლა იყო. იმ დროინდელი პრესა, რომელიც პირ-ველწყაროა და მშვენიერი საშუალებაა არსებული რეალობის გასაცნობად საინტერესო მასალებს იტყობინებოდა განათლების საკითხების შესახებ[90], პარალელები დღევანდელობასთან, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო გამოცდილების თვალსაზრისით მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოსთვის ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში უცხო არ იყო პროფესიონალურ განათლაზე ორიენტირება, ამ საკითხის აღნიშვნა მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკურად ძლიერი ჩინეთის განათლების სისტემის რეფორმით 1996 წელს მიღებული პრო-ფესიული განათლების კანონის მიხედვით, შეიქმნა პროფესიული განათლების რეფორმის სტანდარტი, რომელიც პროფესიული განათ-ლების ინსტიტუციების ხარისხის გაუმჯობესებასა და გაფართოებას ისახავდა მიზნად, რეფორმა წარმატებული აღმოჩნდა. თუ პარალელს ქართულ სინამდვილეზე გავაკეთებთ ვნახავთ, რომ რადგან საქართველო ძირითადად მიწათმოქმედების ქვეყანა იყო ქვეყნის მომავალზე მზრუნველი ადმაიანები ჯერ კიდევ მაშინ აცნობიერებდნენ, რომ საჭირო იყო სოფლის მეურნეობის განვითა-რების პრობლემის მოგვარება, რომელსაც ისინი უკავშირებდნენ

---

[89]მაგალითად, პეტრიწონის მონასტერი, რომელიც აუშენებია გრიგოლ ბაკური-ანის-ძეს 1083 წელს მაკედონიაში, სოფელ პეტრიწოში (ახლანდ. ბულგარეთში, სოფ. ბაჩ-კოვო, ქ. პლოვდივის ახლოს); კეკელიძე,კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 196 .

[90] დარჩაშვილი, მ. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი ერთშორისი ურთიერთობების საკითხის შესახებ ქართულ დემოკრატიულ პრესაში (1900-1917 წწ), 2013წ.

პროფესიონალურ განათლებას, ამ მხრივ სასოფლო-სამეურნეო სკოლებს გამოჰყოფდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ სოფლის მეურნეობას აფერხებდა ბევრი რამ, უპირველესად ის, რომ ცალკეულ დარგებში ტრადიციული გამოცდილებაც კი იყო უარყოფილი, ახლის დანერგვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ასი-ორასი წლის წინათ შემუშავებულ წესებს იცავდნენ მეურნე ადამიანები და წინ ნაბიჯსაც არ დგამდნენ. სასოფლო-სამეურნეო სკოლებს კი, უნდა ესწავლებინათ ახალგაზრდებისთვის როგორც ძველი მამა-პაპური სამეურნეო გამოცდილება, ასევე ახალი წესები, მსოფლიოში მიღებული და კარგად აპრობირებული მეთოდები, რაც ხელს შე-უწყობდა მეღვინეობის, მეხილეობის, მეფუტკრეობის და სხვადასხვა დარგების ახლებურად განვითარებას.

თუმცა, დროის უკუღმართობიდან გამომდინარე, განათლების სფეროში რეფორმას სხვაგვარად უყურებდნენ ქართველი მოღვაწეები და სხვაგვარად- მეფის რუსეთის ბიუროკრატიული აპარატი. რეალობა ასეთი იყო მანამ რუსეთში არსებული წყობილება არ დაემხობოდა, სანამ უნივერსიტეტი არ ექნებოდათ ქართველებს და აქ მთელი რიგი პოლიტიკური რეფორმები არ გატარდებოდა განათ-ლებაც არ იქნებოდა სათანადო სიმაღლეზე. შესაბამისად მაღალი დონის ცოდნის შესაძენად ქვეყნის ერთგულ, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებას უნდა ეზრუნა და ეს ასეც ხდებოდა.

არაერთი ცნობილი პიროვნება წერდა, მსჯელობდა უცხოეთში ცოდნის საჭიროების და შედეგ საქართველოში მისი გამოყენების შესახებ. ქართველი ენათმეცნიერი და ისტორიკოსი, გამოჩენილი პუბ-ლიცისტი ალექსანდრე ცაგარელი საქართველოში განათლების საკითხის მოგვარების თობაზე აღნიშნავდა, რომ რადგან ქართველები შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდნენ უმაღლესი განათლება მიეცათ ახალგაზრდებისათვის, კერძოდ 200-მდე ქართველი ახალ-გაზრდა ღებულობდა ყოველწლიურად რუსეთისა და ევროპის ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში დიპლომს, თუმცა უმცირესი მათგანი ბრუნდებოდა სამშობლოში, დანარჩენები რუსეთის დიდ

ქალაქებში რჩებოდნენ. ბუნებრივია საქართველოში განათლების ასაღორძინებლად სასურველი იყო მათი სამშობლოში დაბრუნება და სამსახური. შესაბამისად ვალდებულებად ამ სურვილის ქცევა მართლაც მნიშვნელოვანი იყო, წინადადება, რომ ფული რაც ამ ახალგაზრდების აღზრდაზე დაიხარჯა, ტყუილად არ უნდა დაკარგულიყო. სამსახურში ჩადგომის შემდეგ ამ ახალგაზრდებს ეს თანხა უნდა დაებრუნებინათ ნაწილ-ნაწილ მაინც მშობელი ქვეყნისთვის. ხელწერილი ამის თაობაზე წინასწარ უნდა ჩამორთმეოდათ სტუდენტებს, სტიპენდიების მიმცემი საზოგადოებისა თუ პირებისაგან. ამ ფულით კი უნდა აღორძინებულიყო დაწყებითი სკოლები[91].

აქვე უნდა დავძინოთ პატრიოტთა ზრუნვაზე - უცხოეთში განათლების მისაღებად როგორ უნდა მომხდარიყო ახალგაზრდების შერჩევა დაფინანსების შემთვევაში, გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, მეცნიერი იაკობ გოგებაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ ღირსეული სტუდენტების სწავლის დაფინანსება მისთვის მნიშვნელოვანი იყო, ის უსაყვედურებდა ქართველ მეცენატებს, რომ სტიპენდიები ხშირად ენიშნებოდათ უღირს ადამიანებს, იძლეოდა წინადადებას შემდგარიყო კომიტეტი 6 ან 7 კაცისაგან, ვინც სამართლიანად გაანაწილებდა სასტიპენდიო თანხებს.

არაერთი წერილი არსებობს მეოცე საუკუნის დასაწყისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრის სპირიდონ კედიასი, რომელიც პრესის საშუალებით ცდილობდა ხმა მიეწვდინა ქართული საზოგადოებისათვის, რომ გადაუდებელ საქმეს წარმოადგენდა პარიზელი ქართველი სტუდენტების ფინანსური დახმარება, მათთვის ბიბლიოთეკის დაარსება, ქართული გაზეთების გამოწერა და სხვა. ქართველ სტუდენტთა საზოგადოება საფრანგეთში, თუ კი ამას ქართველები ფინანსურად დაეხმარებოდნენ, დაარსდებოდა და სამშობლოსთან კავშირსაც აღადგენდა.

მნიშვნელოვანია, რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული უცხოეთში ქართველთ შორის წერა-კითხვის გამავრ-

[91].გაზ. „ისარი“, 1907 წ.#102

ცელებელი საზოგადოება (მასში გაერთიანებული იყო ქართული საზოგადოების პროგრესული ნაწილი) კურირებას უწევდა უცხოეთში ქართველი სტუდენტების სწავლის დაფინანსებას.

ძმები ზუბალაშვილები წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ხშირად ურიცხავდნენ ფულს სტიპენდიებისათვის, სთვლიდნენ რა, რომ მასზე უკეთ ვერავინ გაანაწილებდა ამ თანხას. შემდგომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წერილობით მიმართავდნენ სხვადასხვა სტუნდენტები დაფინანსების თხოვნით. ამ პერიოდის პრესაში ხშირად იყო ამის შესახებ აღნიშნული.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაფინანსებულ სტუდენტთა შორის ხშირად შემდგომში უკვე ცნობილი გვარები გვხვდება. კერძოდ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ გაანაწილა ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიები. გამგეობამ აირჩია 29 კაცი და ამათგან ხმის უმეტესობით სტიპენდიები დაენიშნა შემდეგ მოსწავლეებს: ავალიშვილ შალვას, ჯაჯანაშვილ არჩილს, ცინცაძე იაკობს, ორჯონიკიძე ვლადიმერს, ფაღავა აკაკის, მგელაძე ვასილს, მდივანს, მირზაშვილს, ვასილ რცხილაძეს, ქიქოძე გერონტის და შურღაია ლაზარეს"[92].

ასევე აღვნიშნავთ პიროვნებას, რომლის აქტიური ჩართულობის გარეშე მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ადგილობრივ თუ უცხოეთში თითქმის არაფერი გაკთებულა, ეს დიდი მეცენატი დავით სარაჯიშვილი იყო,[93] 1888 წელს დავით სარაჯიშვილის უშუალო ინიციატივით თბილისში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით, რომლის მთავარი მიზანი იყო ქართველი, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი გაგზავნა საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად რუსეთსა თუ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. აკადემიკოსი აკაკი შანიძე მასზედ ამბობდა:

---

[92] .გაზ. ,,ისარი,"1908,№6.

[93] ლაშხი, დ., ბრძოლა ეროვნული ღირებულებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედნი და მეცენატნი)

„პროგრესულად მოაზროვნე დავით სარაჯიშვილი დიდ დახმარებას უწევდა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ქართულ თეატრს, ქართველ მწერლობას. დავით სარაჯიშვილის სტიპენდიით მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი განათლება, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში“.[94] ის პერსონალური სტეპენდიების გარდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასტიპენდიო ფონდსაც ურიცხავდა თანხასას, საიდანაც უცხოეთის უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის ინიშნებოდა სტიპენდიები.

დავით სარაჯიშვილის ამ საქებარი ქმედებების გამო, შემდეგში უკვე დამოუკიდებელი საქართველოს მთვრობის მეთაურმა ნოე ჟორდანიამ თქვა: „შეადარეთ ქართული გულკეთილობა და პურმარილი ევროპულ საქმიანობასთან და მიიღებთ დავით სარაჯიშვილს. ამ პიროვნებაში სამაგალითოდ შეზავდა საქები ქართველობა და საქები ევროპიელობა“.[95] გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა – „საზღვარგარეთული მონასტრები, რომელნიც გაშენებულნი იყვნენ ბიზანტიური სწავლა-განათლებისა და საღვთისმეტყველო-საეკლესიო მწერლობის ყველა უმთავრეს ცენტრში, სადაც ისინი სრული ავტონომიით სარგებლობდნენ, საშუალებას აძლევდნენ ქართველებს უფრო ადვილად ედევნებინათ თვალყური მაშინდელი განათლებული კაცობრიობის წარმატებისათვის და კვალდაკვალ მიჰყოლოდნენ მას“.[96]

წარმოდგენი ემპირიული მასალის შესწავლით, განხილვით, დავასკვნით, რომ ქართველი საზოგადოებრი-პოლიტიკური აზრის წარმომადგენლები, ქვეყნისთვის ძნელბედობის ჟამსაც კი, ქვეყნის განვითარების საქმეში განათლების როლს განსაკუთრებულად დიდ ადგილს უთმობდნენ და მათი ევროპული პოლიტიკური კურსი მეტყველებს იმაზეც, რომ ისინი საერთაშორისო საგანმანათლებლო

---

[94] იქვე,35

[95] იქვე43

[96] ჯავახიშვილი, ივ., ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949.

სივრცეში, კერძოდ კი ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულობისთვის ილტვოდნენ. საბოლოოდ კი საქართველოს მიერთება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ბოლონიის სისტემაში მოხდა 2005 წელს ნორვეგიის ქ. ბერგერში. საქართველოში 2004 წლიდან უმაღლესი განათლების სისტემურმა რეფორმამ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია დაისახა მიზნად. საყურადღებოა პროცესებში აკადემიური, პროფესიული და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება[97].

ქვეყნის განათლების პოლიტიკა მიმდინარე ეტაპზე ემყარება დოკუმენტს – „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“.[98] სადაც გათვალისწინებულია პრიორიტეტები და საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები. რომელიც მოიცავს: განათლების ხარისხის ხელმისაწვდომობის გაზდას; მასწავლებელთა მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლებას; სკოლამდელ და პროფესიულ განათლებაში ჩართულობის გაზრდას; წიგნიერების ამაღლებას; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესებას; უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას; სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება და განვითარებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა განათლებისა და მეცნიერების ახალი ერთიანი სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის, რომელიც ეფუძნება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს, განათლების, მეცნიერებისა და გადამზადების სფეროს მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზს. ბოლონიის სისტემაში

---

[97] .უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი, 2013

[98] „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითრების სტრატეგია - საქართველო 2020“, თბილისი, 2017

არსებული პრობლემების გადაჭრის გზად გადაწყვეტილების მიღების პროცესში როგორც სამთავრობო, ისე სუპრანაციონალური და დამოუკიდებელი გაერთიანებების ჩართვა უნდა მოხდეს, რათა პროცესი დემოკრატიულ ჩარჩოებში წარიმართოს და გზა გაუხსნას ახალ ცვლილებებს უკეთესი მომავლისათვის.

საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმირების რამდენიმეწლიანი აქტივობები მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესთან დაახლოების თვალსაზრისით. გატარებულ რეფორმათა შედეგად, მოხდა უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის სისტემის შემოღება, ერთიანი ეროვნული გამოცდებით სასწავლებლებში მიღების პრაქტიკის დანერგვა, კრედიტების დაგროვების ევროპულ ECTS სისტემაზე გადასვლა, სასწავლო პროგრამებისა და კურიკულუმების განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარება და სხვა. შედეგად, უმაღლესი განათლების სისტემაში მოქმედ სასწავლებლებს შორის გაიზარდა კონკურენცია, რაც სწავლის ხარისხზე აისახა. ამასთან დაკავშირებით საჭირო ა აღვნიშნოთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოიკვლია საზოგადოებრივი აზრი მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შესახებ და დაადგინა, რომ განათლების რეფორმა პოლიტიკის სფეროში ერთადერთი საკითხი იყო, რომელიც თითქმის ყველა გამოკითხულმა წარმატებულად შეაფასა. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპონენტი კი _ ეროვნული გამოცდები იყო, რომლებიც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, ჩაირიცხონ უნივერსიტეტში კონკურსის წესით კორუფციის გარეშე.

ქვეყნის განათლების პოლიტიკა მიმდინარე ეტაპზე ემყარება დოკუმენტს – „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითრების სტრატეგია – საქართველო 2020“.[99] სადაც გათვალისწინებულია პრიორიტეტები და საქართველოსა და ევროკავშირს შორის

[99] „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითრების სტრატეგია - საქართველო 2020“, თბილისი, 2017

გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები. რომელიც მოიცავს: განათლების ხარისხის ხელმისაწვდომობის გაზდას; მასწავლებელთა მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლებას; სკოლამდელ და პროფესიულ განათ-ლებაში ჩართულობის გაზრდას; წიგნიერების ამაღლებას; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესებას; უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას; სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება და განვითარებას.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო მხარს უჭერს ევროკომისიის პროგრამის „ჰორიზონ-2020"-ის ფარგლებში თანამშრომლობას, რაც საერთაშორისო თანამშრომლობისა და დაფინანსების ახალ პერსპექტივებს სთვაზობს ქართველ მეცნიერებს[100] .

მიმდინარე ეტაპზე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ახალი დღის წესრიგი 2017-2020 წლებისთვის ძალაშია. ახალი დღის წესრიგი უფრო მეტად ამბიციურია და საქართველოს აძლევს საშუალებას, რომ 2020 წლამდე მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს და ნორმებს[101] .

დოკუმენტი მოიცავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის შე-თანხმებულ კონკრეტულ პრიორიტეტებს, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობის ყველა სფეროში. მათ შორის განათლების სისტემის მოდერნიზაციისა და რეფორმების პროცესში შემდეგი სახით:

- ერთობლივი სამუშაოსა და გაცვლების განხორციელება უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში საქართველოს შემდგომი ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ბოლონიის პროცესში საქართველოს მონაწილეობის კონტექსტში, საქართველოს უნივერსიტეტების დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ხელშეწყობის ჩათვლით;

---

[100] „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა", სამთავრობო პროგრამა 2016-2020 წ. თბილისი, 2016

[101] ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020წწ.დღის წესრიგი, 2017, https://www.google.ge/search?q=%E1%83%A1%E1%83%90%

- აკადემიური თანამშრომლობის, შესაძლებლობების განვითარებისა და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა ახალი Erasmus+ -ის პროგრამის და სხვა პროგრამების მეშვეობით;
- პროფესიული განათლებისა და ტრეინინგისადმი (VET) სტრატეგიული მიდგომის წახალისება, საქართველოს პროფესიული განათლებისა და ტრეინინგის სისტემის ევროკავშირის პროფესიული განათლებისა და ტრეინინგის სტრუქტურების მოდერნიზაციასთან დაახლოების მიზნით, კოპენჰაგენის პროცესის შესაბამისად და მისი ინსტრუმენტების გამოყენებით;
- ახალგაზრდობის პოლიტიკისადმი სტრატეგიული მიდგომის წახალისება და ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულთათვის არაფორმალური განათლების სფეროში გაცვლებისა და თანამშრომლობის გაძლიერება, როგორც კულტურათაშორისი დიალოგისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის საშუალება, მათ შორის ახალგაზრდობის სფეროში ევროკავშირის პროგრამების მეშვეობით.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ევროპულთან თანაფართობაზე, კომუნიკაციაზე მსჯელობისას, როგორც – ერთიანი მშვიდობიანი სივრცის შექმნის საშუალებაზე, აუცილებელია შევეხოთ UNSCO-ს ბოლოდროინდელ დამოკიდებულებას ქართული სინამდვილისადმი, რადგან ცნობილია მისი მიდგომა – „საერთაშორისო თანამშრომლობა საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში“ ხელს უწყობს არა მხოლოდ მეცნიერული ცოდნის გაზიარებას, არამედ მშვიდობის დამყარებას ქვეყნებს შორის. საქართველო სრულად იზიარებს რა ამ მოსაზრებას მისი წევრია 1992 წლიდან და თანამშრომლობის ხარისხიც საკმაოდ მაღალია. ამ ყველაფრის დასტურია ბოლო დროს ორგანიზაციის მიერ გამოცემულ წიგნში – „Writing Peace“, სადაც 22 უძველეს დამწერლობას შორის ქრონოლოგიურ შკალაზე ქართული დამწერლობაც არის

დაფიქსირებული. ასევე ის, რომ იუნესკოს ღირსშესანიშნავ თარიღთა სიაში, რომლებიც აღინიშნება 2018-2019 წლებში ორგანიზაციის მხარდაჭერით შესულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოვლენის საერთაშორისო მნიშვნელობას და ხაზს უსვამს უნივერსიტეტის როლს დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო მშვიდობიანი სივრცის შექმნისათვისაც.

ჩვენს მიერ მთელი რიგი ემპირიული მასალის, დოკუმენტების შესწავლა, განათლების საკითხთან მიმართებაში შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა:

- უძველესი დროიდან მოყოლებული ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის წარმომადგენლები აცნობიერებდნენ, რომ განათლების საკითხებში ევროპასთან კომუნიკაცია ჩვენი ქვეყნის წარმატებული მომავლის გარანტი იყო;
- მიმდინარე ეტაპზე „განათლების რეფორმა ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის“ მოიცავს განათლებისა და მეცნიერების განვითარების თითქმის ყველა ძირითად მიმართულებებს, განათლების ყველა საფეხურის მოწესრიგებას და გამოწვევების დაძლევას, რომელიც უნდა განხორციელდეს 2017-2020 წლებში;
- საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდის ყველა ხელისუფლება, მიუხედავად მმართვის სხვადასხვა ფორმისა, მხარს უჭერდა განათლების სისტემის განვითრებას. ამის დასტური არაერთი შემთხვევაა, როდესაც უმძიმეს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობისდა მიუხედავად თანამშრომლობის ხელშეკრულებები ფორმდებოდა უხოეთის ბევრ ქვეყანასთან;
- საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტურობაზე. რადგან ეს სისტემა უზრუნველყოფს, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების

მქონე მოქალაქეთა აღზრდას, ამასთან, ამზადებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის კადრებს;

- მიმდინარე ეტაპზე „განათლების რეფორმა ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის“ მოიცავს განათლებისა და მეცნიერების განვითარების თითქმის ყველა ძირითად მიმართულებებს, განათლების ყველა საფეხურის მოწესრიგებას და გამოწვევების დაძლევას, რომელიც უნდა განხორციელდეს 2017-2020 წლებში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ახალი დღის წესრიგის ფარგლებში;
- რეკომენდაციის სახით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ – ძირითადი მიმართულებების განვითრეებისათვის, ინფორმაციის, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებისათვის, უნდა შეძლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საერთაშორისო პროექტების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და ამ მიზნით სამინისტროს შესაბამისი სტრუქრურის მიერ შესრულების მონიტორინგი, სისტემის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა.
- პროფესიული განათლების რეფორმირებისას გერმანული გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს საქართველოს განვითარებას არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ ევროპულ ბაზართან დაახლოების კუთხითაც, რაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი პრიორიტეტს წარმოადგენს. თუმცაღა ამავე დროს, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ ესა თუ ის დასავლური მოდელი აღმოცენებულია იმ კულტურული და სოციო-ეკონომიკური კონტექსტიდან, სადაც შეიქმნა და მოდელის მთლიანი კოპირება სახიფათოა. გერმანულ მოდელს ასე მარტივად ვერ ჩანერგავ განსხვავებულ მოდელში. ვფიქრობთ, არ არის აუცილებელი, რომ გერმანული მოდელი პირწმინდად გადმოვიტანოთ. საქართველომ უნდა

მოძებნოს საკუთარი, უნიკალური გზა. ჩვენ შეიძლება გადმოვიღოთ ესა თუ ის მიდგომა ან კომპონენტი, მაგრამ არა მთლიანი მოდელი. გამომდინარე აქედან საჭიროა საქართველოს მთავრობამ გაზარდოს არსებული თანხები სამეცნიერო კვლევების განვითარებაზე; უნდა უზრუნველყოს კვლევების დაბრუნება სწავლებაში, სამეცნიერო პოტენციალის უფრო უპრიანი გამოყენება და გაძლიერება; ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტების დაფინანსების გაზრდა; სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების, პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურის განვითარება და განათლებისა და მეცნიერების სფეროში დღემდე მიღებული და მოქმედ კანონებში „ზოგადი განათლების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ”, „პროფესიული განათლების შესახებ“, „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარე-ბის შესახებ“, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-დემიის შესახებ“ ცვლილებების შეტანა, და მათი ისეთნაირი განახლება, რომ შეიქმნას დემოკრატიული და პრაქტიკულად რეალიზებადი სამართლებრივი ბაზა ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანესი ინტელექტუალური სფეროს წარმატებული განვითარებისათვის.

განათლების ადგილი თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში

საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდში პარტიული სისტემისა და პარტიული ინსტიტუციონალიზაციის პრობლემური საკითხის შესწავლა საკმაოდ აქტუალურია. ამასთან, ქვეყანაში განათლების საკითხის მოწესრიგება ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება. თუმცა, განვითრების კუთხით, დროის უკუღმართობის და არსებული პოლიტიკური რეალობის გამო, ბოლო დრომდე

მდგომარეობა სასურველ შედეგამდე ვერ მივიდა. თუმცა, პოლიტიკური პარტიები ბოლო დროს წინასაარჩევნო საპროგრამო დოკუმენტებში განათლების საკითხზე აქტიურად მსჯელობენ და სამომავლო განვითარების გზებს სახავენ, რომელიც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ჩართულობაზე იქნება ორიენტირებული. მათი წინასაარჩევნო კონკრეტული დოკუმენტები გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ, თუ რა დამოკიდებულება აქვთ პოლიტიკურ პარტიებს, რა დაპირებას იძლევიან ისინი წინასაარჩევნო პროცესში, პრობლემის მოგვარების როგორ გზებს სახავენ ქვეყნისთვის ასეთი მნიშვნელოვან საკითხზე როგორიც განათლებაა.

კვლევის დროით ჩარჩოდ 2012-2016 წლების საარჩევნო ციკლი შევარჩიეთ მიტომ, რომ პარტიების საპროგრამო დოკუმენტებმა ამ პეროდში საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრება დაიწყო. მნიშვნელოვანია პასუხი ძირითად კვლევით კითხვაზე, თუ რამდენად ორიენტირებულია თითოეული პარტიის პროგრამა მოიცვას საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მთვარი – განათლების სფერო, ამასთან, თუ რამდენად სთავაზობს პოლიტიკური სუბიექტი კონკრეტული გადაწყვეტის მექანიზმებს საზოგადოებას განათლებაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

პოლიტიკური პარტიები განათლების საკითხის შესახებ წინასაარჩევნო პროგრამებში.

ქართულ სინამდვილეში განათლების საკითხი ყველა დროში (პოსტსაბჭოთ პერიოდში) მნიშვნელოვან საკითხად აღიქმებოდა, მაგრამ ბოლო წლებში, „ვარდების რევოლუციის“ (2003 წ.) შემდეგ, ქვეყანაში პოლიტიკურმა სტაბილურმა პირობებმა ქართველ პოლიტიკოსებს საშუალება მისცა უფრო კარგად გაეცნობიერებინათ, რომ ქვეყნის მომავალი განვითარება დამოკიდებულია განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2004 წლიდან[102] უმაღლესი განათ-ლების სისტემურმა რეფორმამ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია დაისახა მიზნად. საყურადღებოა პროცესებში აკადემიური, პროფესიული და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება.

ნაშრომში შევეცადეთ მოგვეხდინა 2012 და 2016 წლის საპარლა-მენტო არჩევნების ორი ციკლის პერიოდში ძირითადი პოლიტიკური პარტიების მიერ საკუთარი საარჩევნო პროგრამებში – განათლების საკითხის განხილვა, დაფიქსირებული სამოქმედო ხედვები, გეგმები და წარდგენილი ინიციატივების შედარებითი ანალიზი, რომლის აღსრულებასაც ჰპირდებოდა პარტია ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში საზოგადოებას, რადგან განათლების სისტემის განვითარება ქვეყნის მომავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

კვლევის ჩატარებისას ორივე საარჩევნო ციკლში პოლიტიკური სუბიექტების შერჩევა წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული აქტივობებისა და წარმატების, სხვებთან შედარებით მეტი შესაძლებლობის მატარებელი პოლიტიკური სუბიექტების საფუ-ძველზე განვსაზღვრეთ. 2012 და 2016 წლის საპარლამენტო არჩევ-ნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტებიდან საარჩევნო პროცესში მონაწილე სუბიექტებიდან შევარჩიეთ ყველაზე აქტიური ორი პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“ (ორივე არჩევნებში #41) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ორივე არჩევნებში #5). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდის მიწურულს უკვე აშკარა გახდა, რომ საპარლამენტო არჩევნებში ძირითადად ორი ძალა დაუპირისირდებოდა ერთამანეთს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ბიძინა ივა-ნიშვილი _ ქართული ოცნება“. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის

[102] .უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქარ-თველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი, 2013

საპარლამენტო არჩევნებში არსებული ასეთი რადიკალიზმი და ბიპოლარობა საკმაოდ თვალშისაცემად გამოიხატა და 2016 წლის არჩევნებშიც, თითქმის მსგავსი სურათი დაფიქსირდა.

კვლევის პროცესში დასმული ძირითადი კითხვიდან გამომდინარე გავზომეთ პარტიული პლატფორმებში განათლების სფეროს მოცულობისა და რეაგირებადობის ხარისხი, რომლის მეშვეობითაც მოხდა პარტიებს შორის შედარებითი ანალიზი, როგორც დროითი ჩარჩოს, ისე პარტიული შესაძლებლობების მიხედვით.

პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნო პროგრამებში ძირითადად აქცენტს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და სოციალური ფონის შესაბამისად აკეთებდნენ. მათ შორისაა ჩვენი საკვლევი საკითხიც _ განათლების სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარების საკითხით დაინტერესება, რომელიც პირდაპირკავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობასთან.

საჭიროა აღვნიშნოთ საქართველოში დემოკრატიის პროცესების დამკვიდრებისათვის საერთაშორისო თანამეგობრობის ხელშეწყობა. კერძოდ, მნიშვნელოვნია ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი _ „დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა საქართველოში“[103], რომლის ერთ-ერთი მიზანი: პარტიების სამომავლო გეგმების, ხედვების საზოგადოებისათვის გაცნობაა. სამართლიანობის პრინციპის დაცვის, თანაბარ პირობებში წარდგენის მოტივირებით პოლიტიკური პარტიების საპროგრამო პრიორიტეტების წარმოჩენაა. ეს არის სწორედ ის შესაძლებლობა, რომელიც მოქალაქეს პარტიებს შორის ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას აძლევს.პოლიტიკური პარტიების პროგრამების მოცულობა იძლეოდა შესაძლებლობას ტექსტური მასალა გადმოგვეცა რაოდენობრივ მაჩვენებლებში, რათა უფრო ზუსტად მოგვეხდინა განათლების სიხშირის დათვლა.

---

[103] ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი http://partiebi.ge/new/index.php?m=2 ნანახია 10.11.2016

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს, ხელისუფლებისათვის მებრძოლი პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“ აქცენტს აკეთებდა განათლების სისტემის დეპოლიტიზებაზე, განათლების ეფექტიანი მართვის, დაფინანსების ეფექტიან მექანიზმებზე. განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, განათლების ხარისხის ამაღლებაზე, რომელიც იქნებოდა საგანმანათლებლო დარგში ქართული ისტორიული გამოცდილებისა და დასავლური სტანდარტების შესაბამისი. ამაღლდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალი.

„განათლება ჩვენი საარჩევნო ბლოკისთვის პრიორიტეტული მიმართულება იქნება“ ნათქვამია მათ 2012 წლის წინასაარჩაევნო პროგრამაში და მართლაც პროგრამაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, აქცენტს არსებულის კრიტიკაზე აკეთდებდნენ და მერე იწყებდნენ სამომავლო დაპირებს. „შეიქმნება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის ხელშემწყობი ეფექტიანი სამართლებრივი, ინსტიტუციური და ფინანსური მექანიზმები. განხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამეცნიერო საქმიანობის საბაზო დაფინანსების სახელმწიფო პროგრამა“ – აღნიშნულია მათ პროგრამაში[104].

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ 2012 წლის საპროგრამო 8 პრიორიტეტული განხილული თემიდან, განათლებას მოცულობითი სიდიდით მეორე ადგილი უჭირავს „სოციალურ-ეკონომიკური განვითრების ძირითადი მიმართულების“ შემდეგ. დასახელებული პროექტის – „დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა საქართველოში“, (ნიდერლანდების კვლევით) ფარგლებში 16 კითხვიდან განათლების შესახებ პასუხი, მთელის 9.43%-ს მოიცავს. (იხ. დიაგრამა #1) კოდირებული სიტყვებია: გადაისინჯება, შეიცვლება, გაიზრდება, განხორციელდება.

---

[104] „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, სამთავრობო პროგრამა 2016-2020წ. თბილისი, 2016

დიაგრამა №1.



პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აქცენტს აკეთებდა მაღალი ხარისხის, საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი სასკოლო, აკადემიური და პროფესიულ განათლებაზე, რაც დაეხმარებოდა მოსახლეობას შესაბამისი კვალიფიკაციის მიღებაში და გაზრდიდა დასაქმებულთა რიცხვს. საჭიროა აღინიშნოს, რომ რადგან ეს პოლიტიკური ძალა მართველ გუნდს წარმოადგენდა (2012 წ.) და სრულად ფლობდა სისტემაში არსებულ პრობლემებს, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას გეგმავდა განათლების სისტემაში[105]. კერძოდ, უმაღლეს სასწავლებლებს შორის კონკურენციის შემდგომი წახალისება, სწავლებისა და კვლევის მეტი ინტეგრირება; პროფესიულმა სასწავლებლებმა და გადამზარდების ცენტრებმა უნდა აღჭურვონ კურსდამთავრებულები იმ ცოდნითა და კვალიფიკაციით, რაც დაეხმარებათ დასაქმებაში; სკოლების რეაბილიტაცია; შეღავათები სოციალურად დაუცველ სტუდენტებზე; სტეპენდიები და სახელმწიფო გრანტები; განათლების სფეროში განხორციელებული მთელი რიგი ღონისძიებების მთავარი მიზანი იქნება უფრო ხარისხიანი განათ-

[105] „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“, თბილისი, 2017

ლება, უფრო უკეთესი სასკოლო ინფრასტრუქტურა და უფრო პროფესიონალი და დაფასებული პედაგოგები[106].

აღსანიშნავია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2012 წლის საპროგრამო პრიორიტეტებიდან (ასეთი იყო 16) განათლება 9.5%-ს მოიცავდა. (იხ. დიაგრამა №2)[107] კოდირებული სიტყვებია: გაკეთდა, დაფინანსდება., კეთილმოეწყობა, დასაქმდება, აშენდება, შევქმნით.

დიაგრამა №2



წარმოდგენილი რაოდენორივი მაჩვენებელიდან ჩანს, რომ ორივე ძირითადი პოლიტიკური გუნდი განათლების პრიორიტეტს თითქმის თანაბრად აღიარებდა მომავლის პერსპექტივაში.

2016 წლის საპროგრამო დოკუმენტებში უკვე მმართველი პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“ ხაზს უსვავდა 2012

---

[106] საქართველოს სამთავრობო პროგრამა -„მეტი სარგებელი ხალხს“ 2012-2016, თბილისი, 2012, გვ.11

[107] რაოდენობრივი მაჩვენებელი წარმოდგენილია ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა საქართველოში“ მონაცემებით.

წლიდან ამ დრომდე მათ მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად მიღწეულ შედეგებს: მართვის დემოკრატიული პრაქტიკის დამკვიდრებას; ცვლილებებს და დაფინანსების ზრდას ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემაში; პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით (დაფინანსება გაზრდილია 100%-ით); მიღწეულ მნიშვნელოვან ცვლილებებს და ქმედით ნაბიჯებს უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებისათვის (დაფინანსება 41%-ით გაიზარდა), ევროკომისიის პროგრამის „ერაზმუს +"-ის აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვანი შედეგებით; მეცნიერების დაფინანსების 82%-ით გაზრდა, სამეცნიერო ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან ინტეგრირება. ამასთან, კონკრეტულ შესასრულებელ საქმიანობაზეც აკეთებდნენ აქცენტს. კერძოდ, დაპირებასწავლების სამივე საფეხურზე საჯარო და კერძო სასწავლებლებში მაღლი ხარისხის, ერთიან სტანდარტზე გადასვლა; პროფესიული განათლების, უმაღლესი საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება; ამასთან, საქართველოს რეგიონულ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირების მიზნით _ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მასშტაბური პროექტის „ისწავლე საქართველში" განხორციელება; ამასთან, საქართველოს რეგიონულ სამეცნიერო ცენტრად გადაქცევის მხარდამჭერ ღონისძიებებს გეგმავდნენ.[108] აქ კოდირებული სიტყვებია განვითარება, საჭიროება, ხელშეწყობა. რაოდენობრივი მაჩვენებელი ოდნავ შეცვლილია, იკლებს, 6.8%-ია (იხ. დიაგრამა №3)

[108] ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, საარჩევნო პროგრამა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. თბილისი, 2016, გვ.33-38

დიაგრამა №3



მეორე პოლიტიკური ძალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2016 წელს, მნიშვნელოვან, გააზრებულ და დემოკრატიისათვის შესაბამის, განვითარებაზე მოტივირებულ განათლებაზე მსჯელობდა. დაპირებას იძლეოდნენ პარტიის მართველობის დროს საქართველოში არსებული პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ განახლებას, რის შედეგადაც ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი ინტეგრაცია მოხდებოდა ქვეყნის სამოქალაქო ცხოვრებაში. ასევე აღადგენდნენ სწავლების სახელმწიფო პროგრამას „ასწავლე და ისწავლე საქარტველოსთან ერთად“. აღსანიშნავია, რომ ყველა დაპირებისას აქცენტს ბიუჯეტის გაზრდაზე, ფინანსურ წახალისებაზე აკეთებდნენ.[109] შესაბამისად, კოიდური სიტყვებია ანაზღაურება, აღდგენა, გაზრდა, ბიუჯეტი. რაოდენობრივი მაჩვენებელი ოდნავ შეცვლილია, მოიმატა 2012 წელთან შედარებით – 11.7%-ია.(იხ. დიაგრამა №4)

[109] „ერთიანი ნაციონალური მოძაობის“ -სამოქმედო გეგმა,თბილისი, 2016, გვ.12

დიაგრამა №4



საარჩევნო პროგრამების მიხედვით, „ქართული ოცნება“ ორივე საარჩევნო ციკლში დიდ ადგილს უთმობს განათლების საკითხს. საერთო სურათით მმართველი პარტიის დამოკიდებულება განათლების საკითხის მიმართ ორივე – 2012-2016 საარჩევნო ციკლში სულ მცირედით განსხვავდება (2016 წელს სულ ოდნავ იკლებს), მეორე საარჩევნო ციკლში დაპირებებთან ერთად აქცენტი შესრულებულ სამუშაოზედაც კეთდება, სავარაუდოდ ეს მცირედი სხვაობა ამან გამოიწვია (იხ. დიაგრამა №5)

დიაგრამა №5



ამასთან, საჭიროა აღინიშნოს, რომ საერთო სურათი მმართველი პარტიის და ნაციონალური მოძრაობის განათლების საკითხის მიმართ ორივე – 2012-2016 საარჩევნო ციკლში სულ მცირედით განსხვავდება, მეორე საარჩევნო ციკლში „ნაციონალური მოძრაობა“ უბრალოდ განათლების სისტემაში მომეტებულად უფრო მეტი თანხების დახარჯვას გეგმავდა, ვიდრე თავისი მართველობის პერიოდში იყო. გაზრდილი დაპირებები ცოტა უხერხულ სიტუაციას ქმნიდა მმართველ გუნდთან მიმართებაში (იხ. დიაგრამა №6).

დიაგრამა №6



საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში საქართველოში ორივე ხელისუფლების მოღვაწეობის პერიოდში განათლების საკითხისადმი მზარდმა ინტერესმა თავისი გარკვეული შედეგი გამოიღო. თუმცა, სასურველი შედეგები მიუღწეველია. არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე თანამედროვე ეტაპზე განათლების სისტემის განვითრების ძირითადი მიზნებია: სკოლამდელი განათლებისათვის – ძირითადი სტანტარტების კონტროლის გაძლიერება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საყოველთო ხელმისაწვდომობა. ზოგადი განათლებისათვის _ მაღალი ხარისხი და საყოველთაო ხელმისაწვდომობა, თანასწორი, უსაფრთხო და ინკლუზიური,

მოსწავლის წარმატებაზე ორიენტირებული სისტემისა და საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა. სახელმწიფოს მხრიდან კარიერული ზრდის ხელშეწყობა. პროფესიული განათლებისათვის _ კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად დუალური სწავლების მიდგომა საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით. უმაღლესი განათლებისათვის – ხელშეწყობა ინტერნაციონალიზაციას და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება; ქვეყნის განვითარებების საჭიროებებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების პრიორიტეტებსა და ეკონომიკის გაძლიერებაზე, ორიენტირებულ დაფინანსება; განსაკუთრებული ხელშეწყობა უმაღლესი განათლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების როლსა და მნიშვნელობის ზრდა; დისტანციური სწავლების განვითრება.[110] ამასთან, საქართველოს რეგიონულ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირების მიზნით, უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებელებში მოზიდვის მასშტაბური პროექტის – „ისწავლე საქართველოში“ განხორციელება. საქართველოს ძლიერ, რეგიონულ სამეცნიერო ცენტრად გადაქცევისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელდება.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო მხარს უჭერს ევროკომისიის პროგრამის “ჰორიზონ-2020“-ის ფარგლებში თნამშრომლობას. რაც საერთაშორისო თნამშრომლობისა და დაფინანსების ახალ პერსპექტივებს სთვაზობს ქართველ მეცნიერებს[111].

მთელი რიგი ფაქტობრივი მასალის და არსებული რეალობის გააზრებით ცხადია, რომ საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს გაცნობიერებული აქვთ თანამედროვე წარმატებული სახელმწიფოს შენების პროცესში განათლების ფაქტორი, სწორედ ამიტომ თავის საარჩევნო პროგრამებში ხარისხიანი განათლების სისტემის ფუნქციონირებისათვის, განათლებული და კონკურენტუნარიანი თაობების მისაღებად, ქვეყანაში განათლების სისტემის განვითრების ძირითადი მიზნების განხორციელებისათვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას გეგმავდნენ, რათა ჩამოყალიბდეს ისეთი სისტემა, რომელიც ბავშვების, ახალგაზრდების და ზრდასრულების

---

[110] განათლების რეფორმა ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის, „განათლებისა და მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებები 2017-2020“, თბილისი, 2017

[111] „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, სამთავრობო პროგრამა 2016-2020წ. თბილისი, 2016

სათნადო თეორიული ცოდნით აღჭურვისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან ერთად უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სიღრმისეულად გააზრებას, მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

სწორედ ამიტომ პოლიტიკური პარტიების საარჩვნო პროგრამების ძირითადი მესიჯი ითვალისწინებდა _ სისტემური ცვლილებების განხორციელებას, რათა განათლებისა და მეცნიერების სისტემა გახდეს საქართველოს დემოკრატიული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მყარი საფუძველი. უზრუველყოფილი იყოს უწყვეტი განათლება. განათლების სისტემა იყოს ხარისხზე, ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიაზე ორიენტირებული. ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას იმისათვის, რომ საქართველოს განათლების სისტემამ რეგიონში ლიდერის პოზიციები დაიკავოს და რეგიონულ საგანმანათლებლო ცენტრად გადაიქცეს.

ყოველივე ზემოთთქმულიდან ნათელია, რომ ქართულ სინამდვილეში განათლების საკითხი ყველა დროში (პოსტსაბჭოთა პერიოდის ჩათვლით) მნიშვნელოვან საკითხად აღიქმებოდა, მაგრამ ბოლო წლებში, „ვარდების რევოლუციის“ (2003 წ.) შემდეგ, ქვეყანაში პოლიტიკურმა სტაბილურმა პირობებმა ქართველ პოლიტიკოსებს საშუალება მისცა უფრო კარგად გაეცნობიერებინათ, რომ ქვეყნის მომავალი განვითარება დამოკიდებულია განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე. ამასთან საყურადღებოა, რომ ქართული საგანმანათლებლო სივრცის ევროპულთან შესაბამისობა კონსტიტუციითაც მყარდება. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცის 35 მუხლის №2 პუნქტით „სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში“.[112]

2012/2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ორი ძირითდი სუბიექტის საპროგრამო დოკუმენტების შესწავლა, განათლების საკითხთნ მიმართებაში, შემდეგი დაკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა:

- 2012-2016 საპარლამენტო არჩევნებით დაინტერესება ქვეყნის შიგნით და გარეთ განპირობებული იყო, პირველ რიგში, იმ დაძაბული პოლიტიკური და საზოგადოებრივი წი-

[112] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35, პუნქტი 2.

ნააღმდეგობებით, რომელიც წინ უძღოდა საპარლამენტო არჩევნებს;

- 2012-2016 საპარლამენტო არჩევნებით დაინტერესების კიდევ ერთი საფუძველია ისიც, რომ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში, სხვა საარჩევნო ციკლებთან შედარებით, გაიზარდა პარტიული პროგრამული დოკუმენტების, ე.წ. პარტიული პლატფორმების როლი და მნიშვნელობა, რაც საზოგადოებრივ პრობლემებზე აქცენტირებასა და კონკრეტული გადაწყვეტის გზების შეთავაზებაში გამოიხატა;
- ჩვენი საკვლევი საკითხი ორივე საარჩევნო ციკლში აქტუალური იყო, არჩევნების ორივე ძირითადი სუბიექტი (მცირე განსხვავებით) განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა თავის საპროგრამო გამოსვლებში განათლების საკითხს;
- მნიშვნელოვანია, რომ ორივე პოლიტიკური ძალა, პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას და მათთან ურთიერთობას დიდ ადგილს უთმობდა;
- 2012-2016 წლის საპარლამენტო არჩევნების საპროგრამო დოკუმენტების ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ნიდერლანდის მხარის აქტიური ჩარევისა და მხარდაჭერის საფუძველზე, პატფორმებს რადგან უკვე აქვს შედარებით ერთგვაროვანი ხასიათი, შედარებითი ანალიზისთვის კომფორტული პირობა იქმნება. განსხვავებით აქამდე არსებული პლატფორმებისგან, რომლის თემატური დაყოფა გაცილებით რთული იყო და მოითხოვა სპეციალური კოდირებული სისტემით მუშაობას;
- 2012-2016 წლების წინასაარჩევნო პლატფორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ უმრავლეს შემთხვევაში პოლიტიკური სუბიექტები აქამდე თუ ერიდებოდნენ პროგრამაში ფიქსირებული დაპირებების შესრულების კონკრეტულ გზებსა და ხშირ შემთხვევაში ვადებზე საუბარს, რაც პოლიტიკურ სუბიექტთა სიფრთხილითა და საზოგადოებრივი ანგარიშგების ნაკლებობით შესაძლებელია აიხსნას, ახლა განსაკუთრებით 2016 წელს უკვე შესასრულბელ ვადებზეც მიუთითებდნენ;
- საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის მხარს უჭერდა

განათლების სისტემის განვითარებას;

- ნაშრომში პასუხი გაეცა ძირითად კვლევით კითხვას, თუ რამდენად ორიენტირებულია საქართველოს ხელისუფლება, სამთავრობო კურსი, ძირითადი პოლიტიკური პარტიების საპროგრამო დოკუმენტები საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ მთვარზე – განათლების სფეროზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლომდე გარკვევით არ ჩანს თუ რამდენად სთავაზობს ხელისუფლება ან პოლიტიკური სუბიექტები კონკრეტული გადაწყვეტის მექანიზმებს საზოგადოებას განათლებაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

ქართული განათლების კერები უცხოეთში

ქართველებს ოდითგანვე აქტიური ურთიერთობები ჰქონდათ მეზობელ და მოწინავე სახელმწიფოებთან, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არქეტიპები და ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნარატივები. აღნიშნულის ძირითადი საფუძველი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობები იყო. საქართველოში განათლება დღესაც და წარსულშიც უდიდეს ფასეულობას წარმოადგენდა, დავით გურამიშვილის ფრთიანი ფრაზა „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“ ქართველთა მსოფლმხედველობის ძირითადი კონცეფციისა და ფილოსოფიის ამოძახილია.

იმის დასადასტურებლად, რომ საქართველო განვითარებითა და განსწავლულობით საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა, მოწმობს ანტიკური პერიოდის ბერძენი ისტორიკოსის აპოლონიუს როდოსელის (ძვ. წ. მე-3 ს) „არგონავტიკა“,[113] რომელიც ბერძნული მითების შთაგონებით შეიქმნა. ნაშრომი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ბერძნები კოლხეთში უდიდესი სიბრძნის, ცოდნის უკან დასაბრუნებლად ჩამოვიდნენ, რომელიც ფიზიკურად „ოქროს საწმისში“ იყო განსხეულებული.

---

[113] აპოლონიუს როდოსელი, [რედ.ურუშაძე]. ,,არგონავტიკა“.თბ. 1970წ. „მეცნიერება“.

ზვიად გამსახურდია აღნიშნავს: „ოქროს საწმისი არის სიმბოლო ძველი სიბრძნისა, მისტერიალური სიბრძნისა, რომელიც იმჟამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში. ოქრო სიმბოლოა უმაღლესი სულიერებისა, უმაღლესი სიწმინდისა, ხოლო ვერძი სიმბოლოა აგრეთვე უზენაესი სიწმინდისა, აზრის სიწმინდისა, აზროვნების კულტურისა და ოქროს საწმისი არის იმ ქვეყანაში, რომელიც ფლობს ამ სიბრძნეს... ოქროს საწმისის მოსაპოვებლად საბერძნეთის უდიდეს გმირს იაზონს უნდა გაევლო მრავალი ეტაპი თვითგანვითარებისა, განწმენდისა, რათა შემდგომ ზიარებოდა ამ სიბრძნეს. აი, სიმბოლურად ეს არის მოთხრობილი ამ მითში. და უძველესი დროის ბრძენნი, ბრძენკაცნი თავის სათქმელს სიმბოლურად გამოხატავდნენ.“ [114] მითის თანახმად იასონი და მისი თანამოაზრენი კოლხეთში ტროას ომამდე იმყოფებოდნენ, ეს ომი კი ძვ.წ. მე-13 ან მე-12 საუკუნეში უნდა მომხდარიყო. მაშასადამე, კოლხას ძლიერი სამეფო „არგონავტიკის“ დაწერამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. „არგონავტიკაში“ საყურადღებოა ერთი ცნობა _ „კოლხებს შენახული აქვთ მამათაგან ნაწერი კირბები, რომელზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყოველი გზა და საზღვარი“.[115] „ცნობა კირბების შესახებ პირველად აპოლონიუს როდოსელთან გვხვდება. არგოსის სიტყვები, რომ კოლხებს მამებისაგან დანაწერი კირბები აქვთ, კოლხთა კულტურის მაუწყებლად უნდა ჩაითვალოს და ჩვენში ანტიკური ხანის დამწერლობის არსებობაზე მიუთითებს. საფიქრებელია, კოლხებს, თუ არგონავტების მითის შექმნის ხანაში არა, აპ. როდოსელის დროს ჰქონიათ წერილობითი ძეგლები სამანძილო კირბების სახით, რომელთაც კარტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდათ. კაარლ რიტტერი წერს: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივდიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი, ბევრად უფრო ადრე, ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის“. აპ. როდოსელის ცნობიდან კირბების

---

[114] https://zviadgamsakhurdia.wordpress.com/tag/%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/ ზვიად გამსახურდია-გელათის აკადემიის სულიერი იდეალები

[115] აპოლონიუს როდოსელია [რედ. ა. ურუშაძე], „არგონავტიკა“, თბ.1970 წ. „მეცნიერება“.

შესახებ ირკვევა, რომ ბერძნებს კოლხები მაღალი კულტურის მქონე ხალხად ჰყოლიათ წარმოდგენილი. ამას „არგონავტიკის“ სხვა ადგილებიც ადასტურებს (მაგ. აიეტის სამეფო კარის აღწერა).[116].

როგორც დავინახეთ, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „კირბები“[117] შეიძლება უძველესი რუკები იყოს, ხოლო ზოგნი ფიქრობენ, რომ იგი ოქროს მოპოვების ქართულ ტექნოლოგიას აღწერს. აპოლონიუს როდოსელის ნაშრომი ცალასახად ადასტურებს კოლხას მრავალმხრივ განვითარებას, განსაკუთრებით გვინდა ხაზი გაუსვათ განათლების მაღალ დონეს, რომლის გარეშე ვფიქრობთ, შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის დაწინაურება. „არგონავტიკა“ ერთ-ერთი უძველესი წერილობითი ძეგლია, რომელიც ანტიკური პერიოდის დასაწყისში, კოლხასა და საბერძნეთს შორის არსებულ საკმაოდ კარგად განვითარებულ ურთიერთობებს წარმოაჩენს.

საქართველოსა და უცხოეთის ურთიერთობის ერთ-ერთი დამადასტურებელია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ბერძნული და არამეული დამწერლობის ძეგლები. საყურადღებოა მცხეთაში, არმაზის ხევში აღმოჩენილი ბილინგვა,[118] დათარიღებული II საუკუნით. აღნიშნული არტეფაქტი წარმოადგენს ბერძნულ და არამეულ ენებზე შესრულებულ ეპიტაფიას. საქართველოში ბილინგვების არსებობა მიუთითებს უცხოელებთან ინტეგრაციულ პროცესებზე. ეს ურთიერთობები სხვადასხვანაირად ყალიბდებოდა, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო იყო კულტურათა შეხვედრის ადგილი, აქ გადიოდა დიდი საქარავნო-სავაჭრო გზები, რაც ხელს უწყობდა აღებ-მიცემობას, ტრადიციების, ადათ-წესების გაცვლა-გამოცვლას. ქართველთა სტუმართმოყვარეობა, ქვეყნის რბილი კლიმატური პირობები, სასურველ პირობებს ქმნიდა ვაჭართა, მოგზაურთა თუ მისიონერთთვის ხანგრძლივად დარჩენილიყვნენ საქართველოში, გაეცნოთ ჩვენი ისტორია, პოლიტიკური წყობა და ყოფა-ცხოვრება. სამწუხაროდ დამპყრობელიც ბევრი გვყავ-

---

[116] არგონავტიკა / აპოლონიოს როდოსელი ; ბერძნ. თარგმნა, წინასიტყვ. და განმარტება დაურთო აკ. ურუშაძემ. - თბ. : სახელგამი, 1948 (ბ.ს. კომბ-ტი). - 236გვ. ; 21სმ.. - პარალ. თავფურ. ლათ. ენ.. - განმარტებანი: გვ. 209-235.

[117] იქვე

[118] გიორგი წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიმიკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 34-42

და, ისინი ხშირ შემთხვევაში კულტურულად თვითონ აღმოჩნდებოდნენ ხოლმე დაპყრობილნი, იყო სხვა შემთვევებიც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობები ჰქონია დანარჩენი მსოფლიოს პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, სასულიერო წრეებთან. საქართვლო არა მარტო იღებდა უცხოურ გამოცდილებას, არამედ თითონაც უზიარებდა საინტერესო იდეებსა და ცოდნას.

ზოგადად განათლება მუდმივად განახლებადი პროცესია – ყველა თაობას თავისი სურვილები, მოთხოვნები, მიზნები აქვს. თუმცა ფაქტია, განათლების საფუძველი დღემდე უცვლელია და სათავეს საუკუნეების წინ, ანტიკურობიდან იღებს.

გვეამაყება, რომ სწორედ ძველი ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების ჩანაწერები აცოცხლებენ, ანტიკური პერიოდის დაწინაურებული საქართველოს სურათს – „აყვავებულ ქალაქებს“ შესანიშნავი საზოგადოებრივი შენობებითა და „გიმნასიონებით“.[119] ყოველი ქართველისათვის ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, ის ფაქტიც, რომ ანტიკური განათლების გავრცელებასა და მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ფაზისის აკადემიამ (III ს-ის II ნახევარი). კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა, კოლხეთის აკადემია III-VI საუკუნეებში არსებული უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი ყოფილა. მასზე ერთადერთი პირდაპირი ცნობა მოიპოვება ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის ერთ-ერთ წერილში, სადაც აღნიშნულია, რომ თემისტიოსის მამას, ევგენიოსს, და თვით თემისტიოსსაც ამ სასწავლებელში რიტორიკული განათლება მიუღიათ[120]. ცნობა თუ რა პროგრამებით და რა ენაზე მიმდინარეობდა სწავლება ან ვინ ასწავლიდა, არ არსებობს. „თემისტიოსი არ ასახელებს კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის დამაარსებელს, თუმცა მას „ბრძენს“ და „სათნოს“ უწოდებს. კოლხეთს კულტურულად დაწინარურებულ ელადას ადარებს. იმ დროს განსწავლა ათენშიც შეიძლებოდა, მაგრამ სპეციალური რიტორიკული სკოლა მხოლოდ კოლხეთში არსებობდა.

---

[119] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.3, საქართველოს სსრ, გვ. 168, თბ., 1981

[120] ს. გამსახურდია, სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975;

ამ სასწავლებელში განუყოფელი იყო ფილოსოფია და მჭერმეტყველება.“[121]

თემისტიოსი იმასაც ამბობს, რომ კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლაში მეზობელ ბარბაროსთა წესებისდა მიხედვით ისართ ტყორცნა და ოროლთ სროლა ან ჯირითი კი არ ისწავლებოდა, არამედ ამ სკოლის აღსაზრდელები რიტორიკულ ხელოვნებაში იწრთობოდნენ და ელინთა დღეობებზე ბრწყინავდნენ.

„ამ ცნობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის აღზრდილების ბერძნულ ენაში გაწვრთნილობასა და კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში საფუძვლიან განსწავლულობაზე მიუთითებს. რიტორიკულ სასწავლებელში იღებდნენ ბერძნული ენის მცოდნე ახალგაზრდებს. ეს კი გვაფიქრებინებს მოსამზადებელი სკოლის არსებობასაც. თემისტიოსის ცნობიდან ისიც ჩანს, რომ კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა თავისი შინაარსითა და მიზანმიმართულებით ძვ. ბერძნულ და რომაულ რიტორიკული სკოლებისაგან ბევრად არ უნდა განსხვავებულიყო და ცოდნის იმ მინიმუმის დაუფლებას მოითხოვდა, რაც ორატორისათვის ციცერონისა და კვინტილიანეს შეხედულებით იყო გათვალისწინებული. ისევე როგორც რომაულ რიტორიკულ სასწავლებელში, კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლაში უთუოდ ასწავლიდნენ ლიტერატურას, ასტრონომიას, მუსიკას, მათმატიკის ელემენტებს, ძირითადად კი ფილოსოფიისა და სამართლის საფუძვლებს, რიტორიკულ ხელოვნებას იმჟამინდელ საქართველოში დიდი პრაქტიკული გამოგონებაც ჰქონდა. აგათია სქოლაქტიკოსის (536-582) საისტორიო თხზულებაში დაცულია ცნობა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების (აიეტი, ფარტაზი და სხვა) ბრწყინვალე ორატორული გამოსვლების შესახებ, ცხადია, ეს ცოდნა კი მათ თანმიმდევრულად და საფუძვლიანი სწავლით უნდა მიეღოთ.“[122]

ცნობილია, რომ ქრისტიანობა წიგნიერი რელიგიაა, ლიტურგიის ჩატარებას თან ახლავს წმიდა დავით მეფის ფსალმუნებისა და სახარების წაკითხვა, საღვთო სჯულის, სახარების განმარტებებისა და საღვთო გადმოცემების ცოდნა. შესაბამისად ქრისტიანობის

---

[121] შ. ნუცუბიძე., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1956;

[122] ს.ყაუხჩიშვილი, რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში, «საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», 1940, ტ. 10 B

გავრცელება ქვეყანაში იწვევდა წერა-კითხვის, უცხოური ენის, თეოლოგიის, ანტიკური ფილოსოფიის, ლოგიკის, ისტორიის, ვარსკვლავთმრიცხველობისა და სხვა სამეცნიერო დისციპლინებისა და თარგმანის ხელოვნების შესწავლას. საქართველოში IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა ეკლესიებთან სკოლების გახსნა, აუცილებელი იყო საღმრთო წერილის თარგმნა, შესაბამისად უცხოური ენისა და საღრმთო სჯულის ზედმიწევნით ცოდნა. ამ პერიოდიდან საქართველოში გაიზარდა განათლების მიმართ ინტერესი და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. ამავე პერიოდში საზღვარგარეთ შეიქმნა ქართული ქრისტიანული ცენტრები ათონის მთაზე, პეტრიწონში, სირიასა და პალესტინაში. ჩვენი ეკლესია-მონასტრები ასრულებდნენ კულტურულ და დიპლომატიურ მისიას. აქ იწერებოდა, ითარგმნებოდა და მრავლდებოდა ქრისტიანული მოძღვრების სჭირო ლიტერატურა, რისთვისაც ჩვენი მეფეები სახსრებს არ იშურებდნენ. ეკლესია-მონასტრებში მდიდარი ბიბილიოთეკები არსებობდა, საღვთისმეტყველო ლიტერატურამ შექმნა ქართული განათლების მტკიცე ქვაკუთხედი. მაგრამ მალე უცხო დამპყრობთა შემოსევებმა, განსაკუთრებით კი არაბთა ბატონობამ, დიდი ხნით შეაფერხა ქართული კულტურის განვითარება. განათლების აღორძინება და სწრაფი წინსვლა დაიწყო XI-XII საუკუნეებში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანაში. შეიქმნა მეცნიერებისა და განათლების ისეთი კერები, როგორებიც იყო გელათისა და იყალთოს აკადემიები. ამ უდიდეს საქმეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინ უძღოდა მოსამზადებელი საფეხურები, ეს იყო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერები საქართველოს საზღვრებს გარეთ.

გელათის აკადემიის ფუძემდებელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი და ნეოპლატონიკოსი იოანე პეტრიწი, რომელსაც განათლება მიღებული ჰქონდა კონსტანტინეპოლში, მანგანის აკადემიაში, სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა პეტრიწონის მონასტერში (დღ. ბულგარეთი), შავ მთაზე (ანტიოქია, დღ. თურქეთი), ასევე უნდა გავიხსენოთ სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი და ჰიმნოგრაფი არსენ იყალთოელი, მან იოანე პეტრიწის მსგავსად განათლება ბიზანტიაში, მანგანის აკადემიაში მიიღო, შემდგომში მოღვაწეობდა შავ მთაზე (სირია). მათი სასულირო, შემოქმედებითი და მთარგმნელობითი საქმიანობა

ფასდაუდებელი განძია ქართული კულტურისა და განათლების საქმეში. მათი დაუცხრომელი მუშაობის შედეგად დაარსებულ აკადემიები ტოლს არ უდებდნენ იმ პერიოდის დასავლში არსებულ აკადემიებს. საისტორო წყაროებში თანამედროვენი გელათის აკადემიას „ასუად ათინად“, „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად“ იხსენიებდნენ, რაც უდავოდ უაღრესად მაღალი შეფასებაა.[123] „პროგრამა ძირითადად ტრივიუმის (გეომეტრია _ „ქვეყნის საზომლოჲ“, „არითმეტიკა“ – „რიცხუნი“, მუსიკა – „სამოსოჲ“) და კვადრიუმის (ფილოსოფია სამი სახის – „საქმეთი, მხედველობითი და განმსიტყუელობითი“, რიტორიკა სამი სახის – „თანამზრახველობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა“, გრამატიკა და ასტრონომია _ „ვარსკვლავთმრიცხველობაჲ“) ციკლის საგანთა შესწავლას ითვალისწინებდა.“[124] გელათის აკადემიაში დაუწერია არსენ იყალთოელს სჯულისკანონი, იოანე პეტრიწს – ნემესიოს ემესელის თხზულება „ბუნებისათჳს კაცისა“.[125] სამეცნიერო-მთარგმნელობითი მოღვაწეობა გელათის აკადემიაში მომდევნო საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა, თუმცა საგრძნობლად შენელდა. იყალთოს აკადემიაშიც სწავლება ძირითადად ტრივიუმ-კვადრივიუმის ციკლის საგნებს ითვალისწინებდა. ღვთისმეტყველება, რიტორიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, გეოგრაფია, გეომეტრია, გალობა და ა.შ. ისწავლებოდა აგრეთვე მჭედლობა, კერამიკა („მეკეცეობა“) და მევენახეობა-მეღვინეობა[126].

უცხო მიწაზე მოღვაწე ბერები ეწეოდნენ უდიდეს საგანმანათლებლო მოღვაწეობას, თარგმნიდნენ ბერძნულიდან და ლათინურიდან ქართულზე და პირიქით, ბედის მუხანათობის გამო, XIII საუკუნიდან მოყოლებული ჯერ მონღოლთა ბატონობამ, ხოლო შემდეგ ირანისა და ოსმალეთის გამაპარტახებელმა შემოსევებმა დააქვეითეს და დასცეს კულტურა და განათლება საქართველოში.

უცხოეთის ქართული სამონასტრო ცენტრები, წარმოადგენენ ადრე შუასაუკუნეების მძლავრ საგანმანათლებლო კერებს, უცხო-

---

[123] გამსახურდია ს., სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975

[124] გ, თავზარაშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, ნაკვ. 1, თბ., 1938;

[125] შ. ნუცუბიძე , ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958;

[126] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, გვ. 287, თბ., 1980 წელი.

ეთთან დამაკავშირებელ მტკიცე ხიდს, განათლებისა და კულტურის გაცვლა-გამოცვლის შეხვედრის ადგილს.

სამონასტრო ცხოვრება და ქართული საგანმანათლებლო ცენტრების დაარსება უცხოეთში ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება. მონასტერი ყოველთვის იყო ქრისტიანული სარწმუნოების მტკიცე ბურჯი. მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავს, რომ ,,მოღვაწეობის ეს ფორმა საქართველოში სათავეს V ს-ში იღებს, ხოლო VI ს-ში ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებულ ქართულ სამონასტრო კერებში ცხოვრება დუღს და არნახულ სიმაღლეზე ადის".

ახლო აღმოსავლეთთან ქართველებს ქრისტიანული ეპოქის ადრეული ხანიდანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ. ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის უდაბნოები ქართველ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფრად იქცა. ჩვენმა წინაპრებმა ამ ქვეყნების სავანეებს ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში მიაშურეს.

გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე ევაგრე პონტოელი, ეგვიპტეში უკვე IV საუკუნეში მოღვაწეობდა, ხოლო V საუკუნეში ეგვიპტის ერთ-ერთ უდაბნოში ქართული ბაზილიკაც აშენდა.

ქართველები პალესტინაში, იერუსალიმსა და მის ახლოს არსებულ სავანეებში, სინას მთასა და შავ მთაზე (სირიაში), კიდევ უფრო მრავლად ჩანან.

IX საუკუნიდან ქართველმა ბერ-მონაზვნებმა გეზი დასავლეთისაკენ, კერძოდ ბიზანტიისაკენ აიღეს, რაც პირდაპირი შედეგი იყო საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის გაძლიერებისა. დროთა განმავლობაში ქართველ მოღვაწეთა დასახლებამ ბიზანტიაში ფართო ხასიათი მიიღო და ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის მტკიცე გარანტი გახდა.

ბიზანტიური კულტურა IX-X საუკუნეებში სულიერი აღმავლობის გზას დაადგა, რაც ქართველ მოღვაწეებს მხედველობის არედან არ გამოპარვიათ. ქრისტიანობის ბურჯი და იმ პერიოდისათვის მწიგნობრობის ცენტრი ბიზანტია, რომლის ვასალები ქართველები იყვნენ, ანდამატივით იზიდავდა მათ. ქართველი მწიგნობარები საფუძვლიანად ეცნობოდნენ ბიზანტიური კულტურას, გულდასმით შეისწავლეს და ქართულ სინამდვილეში გადმოიტანეს მათი გამოცდილება, ხელოვნების ნიმუშების შესრულების მანერა და სტილი; მიზანმიმართულად დაიწყო ბიზანტიის კულ-

ტურულ-საგანმანათლებლო კერებთან ქართველთა დაახლოება მათი შემოქმედებითი მუშაობის სიღრმისეულად შესასწავლად. ამ მიზნით, IX-XI საუკუნეებში ბიზანტიის სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში: ოლიმპზე, ათონზე, პეტრიწონში და სხვა. საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის ცენტრებს, ზოგან ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურული სკოლები, რომლებიც თავისებურად შეუდგნენ ამ ქვეყნის კულტურის ათვისებას.

ბიზანტიური კულტურის გავლენა ქართულზე საკმაოდ ძლიერია. ეს ერთი მხრივ უაღრესად დადებითი მოვლენაა, მაგრამ, მეორის მხრივ შემაფერხებელია ქართული დამოუკიდებლი, თვითმყოფადი კულტურის შესაქმნელად.

უცხოეთში არსებულ ქართულ სავანეებს შორის, რომელთაც ღრმა კვალი დაატყვეს გასული საუკუნეების ქართულ აზროვნებასა და საეკლესიო ცხოვრებას, ღირსეული ადგილი უჭირავს პეტრიწონის მონასტერს. მონასტერი ქართველთა თავშესაფრად და სასულიერო მოღვაწეობის თვალსაჩინო კერად იქცა. გრიგოლ ბაკურიანის-ძემ, რომელმაც ააგო პეტრიწონის მონასტერი ქართველი ყმაწვილებისათვის წმ. ნიკოლოზის მონასტერში დააარსა სემინარია, სადაც ღმრთისმეტყველების სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

ღმრთისმშობლის სავანეს გრიგოლ ბაკურიანის-ძემ შეწირა საღმრთო წიგნები, მათ შორის: „ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი თვლებით შემკული ექვსი სახარება; თარგმანება სახარებისა, იოანეს თავისა; წიგნი ღმრთისმეტყველი; ეთიკა წმიდა ბასილისა; წიგნი მრავალთავი; წმიდა სვიმეონის ცხოვრება; წმიდა მაქსიმეს ორი წიგნი; ორი წიგნი „კლემაქსნი“; ორი წიგნი „ღმრთისმშობლის ცხოვრების“; წიგნი სტუდიელისა; „თთუენი“, სამი; რვათა ხმათა საგალობელი; სვინაქსარი; სრული კურთხევანი; წიგნები სამოციქულო, ორი; ჟამნი; ეკლესიის კურთხევა; პარაკლიტონი ოთხთა ხმათა; წიგნი წმიდა ისააკისა; იადგარი გამოკრებული, და დავითნი.“ [127]

XI-XII საუკუნეებში პეტრიწონის სავანე ქართული სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი გახდა, აქ ჩამოყალიბდა სასულიერო მწერლობის სკოლა, რომელსაც მოგვიანებით

[127] http://patriarchate.ge/geo/sazghvargaretis-qartuli-samonastro-centrebi/

პეტრიწონული სკოლა შეერქვა. ქართველ მეცნიერთა აზრით, სწორედ ამ სკოლაში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და ღმრთისმეტყველი იოანე პეტრიწი. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მოსაზრებით, გრიგოლ ბაკურიანის-ძეს „იოანე ან საბერძნეთში გაიცნობდა, ან თვით საქართველოში, ვინაიდან 1080 წლის ახლო ხანებში გრიგოლი ბანას მოვიდა გიორგი მეუფესთან დიპლომატიურ-პოლიტიკური მისიით.

პეტრიწონის მონასტერში, სადაც სასულიერო სემინარიას ჩაუდგა სათავეში, იოანემ დაჰყო ოციოდე წელიწადი. ასე რომ, უმნიშვნელოვანესი და უკეთესი ხანა მისი სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობისა პეტრიწონის მონასტერთანაა დაკავშირებული, ამიტომ საკვირველი არაა, რომ ამ მონასტრისაგან მიიღო პეტრიწის სახელწოდება“. თუმცა „მისი თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნება და მგზნებარე სამეცნიერო სულისკვეთება გახდა მიზეზი იმისა, რომ, როგორც თვით იოანე ჩივის, აქაც დაუწყიათ მისი დევნა და იძულებული გაუხდიათ, სხვა ადგილის მოძებნაზე ეფიქრა“.[128]

პეტრიწონის სკოლის წარმომადგენელთა შორის, დღემდე მხოლოდ XI საუკუნის II ნახევრის მოღვაჭის დავით პეტრიწონელის სახელი შემოგვრჩა. „დოგმატიკონში“, ნიკიტა სტიფატის თხზულების თარგმანის ბოლოს ვკითხულობთ: „ლოცვა ყავთ, მამანო, არსენისათვის თარგმანისა და დავითისათვის, პეტრიწონელისა მონაზონ-ხუცისა, რომლისა იძულებითა ბერძნულისაგან გადმოუქართულებიან ხუთნი ესე სიტყუანი სომეხთა განმაქიქებელნი“. ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე პეტრიწონში გადაწერილმა ერთმა ხელნაწერმა, რომელიც XIV საუკუნით თარიღდება. ეს გახლავთ „დღესასწაულთა საკითხავნი“. მასში შესულია იოანე დამასკელის, ეფრემ ასურისა და სხვათა თხზულებანი, ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ეს ხელნაწერი პეტრიწონიდან როგორღაც სვანეთში მოხვედრილა, ამჟამად კი თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. პეტრიწონში გადაწერილი სხვა ქართული წიგნები და აგრეთვე გრიგოლ ბაკურიანის-ძის მიერ შეწირული სასულიერო ლიტერატურა, რომლებიც ტიპიკონშია ჩამოთვლილი, დღესათვის დაკარგულია.

---

[128] http://patriarchate.ge/geo/sazghvargaretis-qartuli-samonastro-centrebi/

1363 წლიდან დასრულდა ბულგარეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა, პეტრიწონის სავანე უსჯულოთა ხელში აღმოჩნდა, გაუქმდა ტირნოვოს საპატრიარქო.

პეტრიწონის სავანეს ოფიციალურად ჰქონდა შენარჩუნებული ავტონომია და ამიტომ, მას შემდეგ, რაც ბულგარეთი ოსმალეთის უღელქვეშ აღმოჩნდა, სავანე არ განადგურებულა. სამწუხაროდ, XV საუკუნის ხანძარს მრავალი ხელნაწერი და საბუთი შეეწირა; XVII საუკუნეში მონასტრის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, ხოლო 1745 წელს მონასტერი ოფიციალურად იქნა აღიარებული სტავროპიგიულად.

ქართულ-ბერძნული ტიპიკონი, რომელიც მონასტერში ინახებოდა, სავარაუდოდ მას შემდეგ დაიკარგა, რაც 1892 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მონასტრის იღუმენად დანიშნა არიქმანდრიტი მაკარი, რომელმაც გაყიდა სამონასტრო მიწები. მოგვიანებით ტიპიკონი, კუნძულ ქიოსზე, კორაისის ბიბლიოთეკაში მოიძებნა. 1894 წელს მონასტრის ძმობამ თხოვნით მიმართა ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, რათა მონასტერი მიეღო თავის განმგებლობაში. 1895 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, ანთიმოზ VII-ემ ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით მოითხოვდა, რომ იგი გადასულიყო ბულგარეთის საეგზარქოსოს იურისდიქციაში, როგორც სტავროპიგიული.[129]

IV-V საუკუნეებში იერუსალიმის მახლობლად აღმოცენდა რამდენიმე ლავრა, სადაც თავი მოიყარეს ქრისტიანებმა, მათ შორის ქართველებმაც. ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბას ლავრას ანუ საბაწმინდას. იგი იყო განათლებისა და ლიტერატურის უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერა საზღვარგარეთ, რომელიც V საუკუნის 80-იან წლებში დააარსა საეკლესიო მოღვაწემ საბა განწმენდილმა. საბაწმინდაში ადრეული ხანიდან მოღვაწობდა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა მწიგნობართა მრავალრიცხოვანი ჯგუფი. საბაწმინდაში გატარდა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა და შემუშავდა ბიბლიური წიგნების საბაწმინდური რეადაქცია (IXს); VIII-IX საუკუნეებში განვითარდა ორიგინალური ჰიმნოგრაფია (ბასილ საბაწმინდელი). ქართველმა მწერალმა იოანე-ზოსიმემ

[129] http://patriarchate.ge/geo/sazghvargaretis-qartuli-samonastro-centrebi/

(XIს) შეადგინა კალენდარულ-ჰიმნოგრაფიული კრებული. იქვე შეიქმნა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. ითარგმნა და შედგა აგიოგრაფიული, მისტიკურ-ასკეტური და ჰიმნოგრაფიული კრებულები. დამკვიდრდა საბაწმინდური ხელი. იქ დამზადებულ ხელნაწერთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 864 წლის მრავალთავი, რომელიც უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერია. მასში წარმოდგენილია 50 თხზულება 18 ავტორისა (ეპიფანე კვიპრელისა, ეფრემ ასურისა, იოანე ოქროპირისა და სხვა), იქაური უნდა იყოს აგრეთვე ჭილ-ეტრატის იადგარი (IX ს).

საქართველოსთან საბაწმინდის სავანეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტიპიკონი საბაწმინდიდან წამოვიდა (IXს), რომელიც ახალი რედაქციით (XIIს) მთელ საქართველოში დამკვიდრდა. ქართველთა მოღვაწეობა საბაწმინდაში შეინიშნება XI საუკუნეშიც, მაგრამ იგი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. ხშირი დარბევის გამო იქ დარჩენა თანდათან გაძნელდა, ხოლო შემდეგ შეუძლებელი გახდა. ქართველმა მოღვაწეებმა სხვა სავანეებს მიაშურეს და ხელნაწერი წიგნებიც ახალ სადგომებში გადაიტანეს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საბაწმინდის ქართულ ხელნაწერთა უმრავლესობა სინაზეა დაცული.[130]

ახლო აღმოსავლეთში ქართველთა მოღვაწეობის ახალი სივრცე სინას მთა გახდა, რომელიც მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით – სინას ნახევარკუნძულზე. ქართველები სინას მთაზე VI საუკუნიდან ჩანან, მაგრამ ქართული სათვისტომო იქ მხოლოდ IX საუკუნეში დაარსდა. ქართველები სინაზე განსაკუთრებით მომრავლდნენ X საუკუნეში და დაიწყეს საგანმანათლებლო საქმიანობა. ითარგმნა და შედგა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის მრავალი სხვადასხვა ხასიათის კრებული. გაოცებას იწვევს იქაური მწიგნობრების მიერ (იოანე-ზოსიმემ, მიქაელ კატამონელმა, იოანე კუმურდოელმა, კვირიკე მიძნაძორელმა, ეზრა ქობულეანისძემ და სხვ.) შექმნილი უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი წიგნთსაცავი. სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში შემონახულია მრავალი ორიგინალური ძეგლი (ფილიპეს, იოანე მინჩხის, იოანე-ზოსიმეს, იოანე ბოლნელისა და სხვათა თხზულებანი), სასულიერო-საეკლესიო ხასიათის კრებუ-

[130] http://patriarchate.ge/geo/sazghvargaretis-qartuli-samonastro-centrebi/

ლი და სხვა. სინას მთის ქართველ მოღვაწეთა მაღალ წიგნიერ კულტურაზე მეტყველებს, X საუკუნეში მათ მიერ შექმნილი მდიდარი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი და კატალოგი. [131]

პალესტინის ქართული სამონასტრო ცენტრებიდან შედარებით გვიანდელია ჯვრის მონასტერი, სადაც ქართველთათვის შესაძლებელი გახდა სამონასტრო ცხოვრების განახლება მას შემდეგ, რაც XI საუკუნის I მეოთხედიდან არაბთა პოლიტიკა პალესტინის ქრისტიანებისადმი რამდენადმე შეიცვალა. საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით ჯვრის მონასტერი XI საუკუნის I ნახევარში ცნობილმა მწიგნობარმა გიორგი პროხორე შავშელმა დააარსა, რომლის შენებაც მას დაუწყია ექვთიმე მთაწმინდელის მთითებით. არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმადაც, ის ჯვარი, რომელზეც ქრისტე აცვეს, იმ ხისგან იყო დამზადებული, რომელიც მონასტრის ადგილას იდგა. სწორედ ამიტომ, შემდგომში, ამ უაღრესად მნიშნელოვან ადგილზე აგებულ სავანეს ჯვრის მონასტრი უწოდეს.

გიორგი შავშელის დაარსებულ სავანეში 80-მდე ქართველი მოღვაწე მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ, პალესტინაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, ქართველები იძულებული გახდნენ აქაურობა მალე დაეტოვებინათ, 1071 წელს იერუსალიმის აღებისას თურქ-სელჩუკებმა ქართული სავანე დაარბიეს და ნაწილობრივ დაანგრიეს. ცოტა ხნის შემდეგ იგი კვლავ აღადგინეს და მოხატეს დავით აღმაშენებლის დახმარებით. 1273 წელს მონასტერი გადააკეთეს მეჩეთად, მაგრამ საქართველოს მეფეების ჩარევით მალევე დაიბრუნეს იგი ქართველებმა და განაგრძეს სამონასტრო ცხოვრება.[132]

---

[131] იქვე

[132] http://patriarchate.ge/geo/sazghvargaretis-qartuli-samonastro-centrebi/

ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში

ცნობილია, რომ განუზომლად დიდია ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილის ღვაწლი ჯვრის მონასტერის აღდგენა-გამშვენიერების საქმეში. XVII საუკუნის 40-იან წლებში მისი თაოსნობით მოხატულა მონასტრის კედლები და გუმბათი. ამ პერიოდში იერუსალიმის ქართველობასა და პალესტინის ჯვრის მონასტერს უდიდეს დახმარებას უწევდა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი (1611-1657), რასაც ადასტურებს მონასტრის ქართული და ბერძნული წარწერები.

ჯვრის მონასტერში ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები და კალიგრაფები: არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ გულაბერისძე... ტრადიციული გადმოცემით, აქ ერთხანს უმოღვაწია შოთა რუსთველსაც, მთავარ ტაძარში სვეტზე შემონახული მისი XII-XIII ს.ს. ფრესკული პორტრეტი სულ უკანასკნელ პერიოდამდე შემონახული იყო მონასტერში. ჩვენდა სავალალოდ, რამდენიმე წლის წინ, პირველქმნილი ფრესკა მიზნმიმართულად განადგურდა, თუმცა მოხდა მისი ხელმეორედ შექმნა და დღეს იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს მაინც ამშვენებს დიდი შოთას სახება.

მკვლევართა აზრით, ჯვრის მონასტრის ქართული მწერლობა თავისი ხასიათითა და შინაარსით ფაქტობრივად არის ათონისა და

საბას ლავრის ლიტერატურული ტრადიციების გაგრძელება, [133] რაც დასტურია უცხოეთში არსებული სავანეების მჭიდრო კავშირისა.

VIII-IX საუკუნეებიდან იღებს სათავეს ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია ბიზანტიაში. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ილარიონ ქართველს, რომელსაც ბიზანტიაში დაუარსებია ორი ქართული მონასტერი: ერთია ოლიმპის ანუ ულუმბოს მონასტერი მცირე აზიის ბითვინიაში (სადაც ილარიონი მოსულა 864 წელს) და მეორე _ „ქართველთა მონასტერი ჰრომანას“ (აგებული იმპერატორ ბასილის მიერ 876 წელს ილარიონის ნაწილთა დასასვენებლად). აღნიშნულ პერიოდში ოლიმპოს მთაზე ქართველებს ჰქონიათ სამი სხვა ეკლესიაც: ქუაბი ან ეკლესია წმიდისა ღვთისმშობლისა, კოზმან-დამიანე და ლავრა კრანია.

წერილობითი წყაროების მიხედვით, ულუმბოს მონასტერში იმთავითვე მიმდინარეობდა ლიტერატურული საქმიანობა, რამაც უფრო ინტენსიური სახე მიიღო მას შემდეგ, რაც აქ დამკვიდრდა მამა-შვილი _ იოანე და ექვთიმე. იოანე ყოფილა სამცხის წარჩინებული ოჯახის შვილი. ქრისტეს სიყვარულის გამო მან მიატოვა სამშობლო, სახლი, დიდება, ცოლ-შვილი... ფარულად აღიკვეცა ბერად, შემდეგ გახდა ულუმბოს მონასტრის ძმობის წევრი, აქვე მოიყვანა თავისი მცირეწლოვანი უმცროსი შვილი ექვთიმე. მამა-შვილი ერთგულად ემსახურებოდა ქრისტესაც და ქართულ მწიგნობრობასაც. 965 წელს იოანე, შვილითურთ, გადავიდა ათონის მთაზე ათანასეს ლავრაში. იოანემ აქაც დიდად გაითქვა სახელი.

ექვთიმეს ბიოგრაფის ცნობით, როდესაც ექვთიმემ კარგად შეისწავლა ქართული და ბერძნული ენები, მამამ უთხრა: „შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანა დიდად ნაკლულოვან არს წიგნთაგან... და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა; აწ იღუაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან... და იგი ვითარცა იყო ყოველსავე ზედა მორჩილ, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად“.[134]

ათანასეს ლავრის მახლობლად მალე ააშენეს იოანე მახარებლის ეკლესია და სენაკები, რადგან აქ მოღვაწე ძმების რაოდენობა დღითიდღე მატულობდა. ცნობილი ქართველი მხედართმთავარი

---

[133] http://patriarchate.ge/geo/sazghvargaretis-qartuli-samonastro-centrebi/

[134] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960;

თორნიკე ერისთავი, ამ ლავრაში იოანემ ბერად აღკვეცა იოანეს სახელით. ლავრაში ქართველთა რიცხვი სისტემატურად მატებამ გამოიწვია ასევე, იქვე ახლოს ღვთისმშობლის სახელობის მონასტერის აშენაბა, რომელიც ითავეს 980-983 წლებში ათონის წმინდა მიწაზე ტაო-კლარჯეთის სავანეებში აღზრდილმა მოღვაწეებმა, მათ შორის იოანემ (შემდგომში ცნობილი იოანე ათონელი); მან თორნიკე ერისთავის მიერ ბრძოლებში მოპოვებული განძის ნაწილით ააგო ეს დიდებული ტაძარი, რომელიც მთელ იმ მხარეში გამორჩეული იყო მშვენიერებით, სილამაზით და განთქმული სიმდიდრით.

თავდაპირველად, მონასტრის წინამძღვართა გადაწყვეტილებით, სავანეში არ უნდა შეეშვათ ბერძნები, მაგრამ დაბალი სამსახურისათვის მაინც გახდა აუცილებელი ბერძნების მიწვევა. სამწუხაროდ, რაც დრო გადიოდა, მონასტერში მათი რიცხვი მატულობდა... სიმდიდრეს დახარბებული ბერძნები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ტაძარს, გაძარცვეს და მოინდომეს ქართველების სრულიად განდევნაც კი.[135]

საქართველოს ხელისუფალთა ჩარევით, ქართველები XIII საუკუნის ბოლომდე ასე თუ ისე ინარჩუნებდნენ მონასტერს, მაგრამ XIV საუკუნის დასაწყისისათვის, როცა თანდათან სუსტდებოდა საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე, ათონის სავანეშიც შესამჩნევად მცირდებოდა ქართველობა... XIV საუკუნის II ნახევარში კონსტანტინოპოლის პატრიარქის _ კალისტეს დადგენილებით მონასტრის წინამძღვრად და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქართველებს აღარ ნიშნავდნენ. მართალია, ქართველები მონასტრის ოფიციალურ პატრონებად მომდევნო საუკუნეებშიც ითვლებოდნენ, მაგრამ ფაქტობრივად ბერძნები განაგებდნენ ყოველივეს და, ბოლოს, XIX საუკუნეში, როცა საქართველომ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ბერძნებმა საბოლოოდ გამოდევნეს ქართველები ათონის მთიდან და დაეპატრონნენ ქართული კულტურის ამ შესანიშნავ ძეგლს, „ჩვენი წინაპრების ნაჭირნახულევს“.[136]

---

[135] http://patriarchate.ge/geo/sazghvargaretis-qartuli-samonastro-centrebi/

[136] http://patriarchate.ge/geo/sazghvargaretis-qartuli-samonastro-centrebi/

ათონის ივერთა მონასტერი ბიზანტიაში იყო ქართული სულიერი კულტურის მძლავრი კერა, ქართული ეროვნული იდეის მატარებელი. მონასტერში თავი მოიყარეს ქართველ მოღვაწეთა საუკეთესო ძალებმა. აქაურ ლიტერატურულ სკოლას სხვადასხვა დროს წინამძღვრობდნენ იოანე და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი. აქვე მოღვაწეობდნენ სტეფანე ათონელი, არსენ ნინოწმინდელი, იოანე გრძელისძე და სხვ. აქ, ათონზე, ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი მწიგნობრობის ისტორიაში.

ათონის ივერთა მონასტერში დაიწერა ბევრი ორიგინალური თხზულება, ითარგმნა ბიზანტიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები, ბიბლიის ტექსტები (რომლებმაც კანონიკური უფლებაც მოიპოვეს). საგულისხმოა ისიც, რომ ქართულ ენაზე არსებული აქაური ლიტერატურა ითარგმნებოდა ბერძნულ თუ სხვა ენებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით ფასეულია ექვთიმე ათონელის მიერ ქართულიდან ბერძნულად ნათარგმნი „სიბრძნე ბალავარისი“ _ აგიოგრაფიულ-ზნეობრივი და ასკეტურ-დოგმატური ხასიათის თხზულება.[137]

მკვლევართა აზრით, ამ თხზულების თავდაპირველი რედაქცია გახდა ბერძნული თარგმანის დედანი და სწორედ ამ გზით გავრცელდა თხზულება მთელ ევროპულ ლიტერატურაში.

ირკვევა, რომ ათონელ წმინდა მამათა მოღვაწეობა მხოლოდ მწიგნობრულ-მთარგმნელობითი საქმიანობით როდი შემოიფარგლებოდა. ათონის სავანე X-XII საუკუნეებში მტკიცე ბურჯად ედგა ჩვენს კულტურასა და საგანმანათლებლო სისტემას, როგორც საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში, ისე საქართველოში. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ ექვთიმეს დავალებითა და ხელშეწყობით დაუწყია გიორგი შავშელს ჯვრის მონასტრის შენება... გიორგი მთაწმინდელს საქართველოდან ბიზანტიაში წაუყვანია 80 ყმაწვილი განათლების მისაღებად და ა.შ. კორნელი კეკელიძის გადმოცემით, „არც ერთ სამონასტრო დაწე-

[137] იქვე

სებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორიც ათონის ივერიის მონასტერს".[138]

სამეცნიერო-კულტურული საქმიანობა ათონზე, სამწუხაროდ, კარგა ხანია შეწყდა. დღეისათვის მონასტრების დანიშნულებაა მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვა-შენახვა.

ჯერ კიდევ 1880 წელს ბ. ბარკალაიას უნახავს, რომ ქართულ ხელნაწერებს ბერძენი ბერები ბოთლების საცობებად ხმარობდნენ და კონსტანტინეპოლის ბაზარზე ყიდდნენ. დღეს ათონზე ქართულ ხელნაწერთა განყოფილებაში ბლეიკისა და დუმელინის ორი კატალოგია. ყველა ხელნაწერს თავისი ნომერი აქვს. ისინი ყდაში ჩასმულია და მათი უმრავლესობა პერგამენტზეა გადაწერილი. აქვეა 987 წლის ოშკის ბიბლიის უძვირფასესი ხელნაწერი. ლ. მენაბდის ცნობით, 1849 წელს პლატონ იოსელიანს იგი ათონიდან თბილისში ჩამოუტანია და ორ ცალად გადაუწერია: ერთი სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანისთვის უბოძებია, მეორე – თბილისის სიონის ტაძრისთვის. შემდეგ ეს ბიბლია ისევ ათონზე დაუბრუნებიათ.[139]

ათონზეა 913 წლის ოპიზის სახარება. აქვეა ტაო-კლარჯეთის ქართული მონასტრებიდან წაღებული ქართული ხელნაწერებიც.

ივერთა მონასტრის ბოლო სართულზე ნაბეჭდი წიგნების განყოფილებაა, დერეფანში კი – თალფაქები (ვიტრინები) ქართული ხელნაწერებით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ხელნაწერთა შორის არის წმ. ექვთიმე და გიორგი ათონელების ავტოგრაფები: ექვთიმეს ხელით შესრულებული მისი თარგმანებისა და თხზულების შემცველი 132-ფურცლიანი ხელნაწერი (#79); 10 ხელნაწერი, რომელთაგან 8 მთლიანად წარმოადგენს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფს, ხოლო ორი – ნაწილობრივ.[140]

პროფესორი იასე ცინცაძე 1962 წლის 10 იანვარს გაზეთ „კომუნისტში" წერდა, რომ XVII ს-ის 50-იან წლებში რუსეთის პატრიარქს, ნიკონს, მოუსურვებია, შეედარებინა ქრისტიანული საეკლესიო ლიტერატურა ბერძნულ დედნებთან და სტამბურ გამოცემებ-

---

[138] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960;

[139] http://patriarchate.ge/geo/sazghvargaretis-qartuli-samonastro-centrebi/

[140] https://forum.ge/?f=36&showtopic=33970741

თან. ამ მიზნით, მან ათონში მიავლინა არსენ სუხანოვი, რომელსაც უნდა მოეძია და შეეძინა საჭირო წიგნები და ხელნაწერები. არსენ სუხანოვმა 498-მდე დასახელების ხელნაწერი წიგნი შეიძინა. ამათგან 156 დასახელება ათონის ივერთა მონასტრიდანაა. ცხადია, ეს ფაქტი ამ მონასტრის ბიბლიოთეკის სიმდიდრეზე მიუთითებს. ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკის ნაწილი მოსკოვის ბიბ-ლიოთეკებსა და მუზეუმებში ინახება და მკვლევარს ელოდება.[141]

ათონის ქართველთა მონასტრის წიგნადი ფონდი უაღრესად მრავალფეროვანია. ის მოიცავს, თეოლოგიის გარდა, პოეზიას, დრამატურგიას, ისტორიას, ფილოსოფიას, ფილოსოფიის ისტორი-ას, მათემატიკას. აქ ვეცნობით დიონისე არეოპაგელის თხზულე-ბებს, სტრაბონის გეოგრაფიას (17 წიგნად, XV ს. ხელნაწერი), ფი-ლოსოფიური, რიტორიკული, გრამატიკული, მათემატიკური შინა-არსის სტატიების კრებულს (XIII ს. ხელნაწერი), ბერძენი ფილოსო-ფოსების ბიოგრაფიულ კრებულს (XVI ს-ის ხელნაწერი), საბერძ-ნეთის გეოგრაფიას (XVI ს-ის ხელნაწერი), ჰომეროსის „ოდისეას“ შენიშვნებითურთ (XIII ს-ის ხელნაწერი), სოფოკლეს ტრაგედიებს („აიაქსი“, „ელექტრა“ და „მეფე ოიდიპოსი“) თვით სოფოკლეს ბი-ოგრაფიით (XIV ს-ის ხელნაწერი), ესქილეს ტრაგედიას მიჯაჭვულ პრომეთეზე (XII ს-ის ხელნაწერი), არისტოტელეს შრომებს ლო-გიკასა და ფიზიკაზე შენიშვნებითურთ (XVII ს-ის ხელნაწერი), ეზოპეს იგავებსა და სხვა მრავალს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ათონის ქართველი მოღვაწეების ინტერესების სფერო მრავალფე-როვანი ყოფილა.[142]

ბოლოს, შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ქართული ს-ამონასტრო ცენტრები საზღვარგარეთ, იყო ანტიკური, ადრექ-რისტიანული და შუასუკნეების ხანებში დაგროვილი ცოდნის სავანე. სწორედ აქ შეიქმნა ქართული კულტურისა და განათლების უძვირფასესი საგნძურის მნიშვნელოვანი ნაწილი. უცხოეთში და-არსებული განათლების კერები ასევე განუზომლად დიდ როლს ასრულებდნენ საქართველოსა და უცხოეთს შორის ურთიერთობე-ბის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

---

[141] იქვე

[142] https://forum.ge/?f=36&showtopic=33970741

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნილი ცენტრი https://eqe.ge/geo/static/71/Internationalization/bologna-process.
2. მანჯავიძე თ., საქართველო, ბოლონიის პროცესი და მისი სოციო-პოლიტიკური მნიშვნელობა. http://iveria.biz/1338--.html.
3. ხიზანაშვილი მ., ახალაძე თ., ბოლონიის პროცესი და ბოლონიის სისტემის კრიტიკა. http://intermedia.ge/.
4. ელბაქიძე, ნ., დუალური პროფესიული განათლება გერმანიაში და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში. liberali.ge/.../dualuri-profesiuli-ganatleba-germaniashi-da-misi-danergvis-perspeqtivebi.
5. დუალური პროფესიული განათლება საქართველოში | mastsavlebeli.ge.
6. მოდელი საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში. liberali.ge/news/view/20901.
7. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021.
8. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია. www.mes.gov.ge/.../pdf.
9. ფინეთის „საგანმათლებლო სასწაული“ _ რა უნდა გადმოვიღოთ ფინური განათლების სისტემიდან. https://www.allnews.ge
10. თაბაგარი, თ., მსოფლიოში ყველაზე წარმატებული განათლების სისტემის 7 პრინციპი 4motivi.com ›
11. ახურაშვილი ი., SIMPLE- ფინური განათლების ხიბლი *mastsavlebeli.ge.*
12. ცხოვრებოვა. ა., 15 მიზეზი იმისა, თუ რატომ ბაძავენ რეფორმატორები ფინეთს. http://www.onlineuniversities.com.
13. ტრამპი კონგრეში გამოსვლისას: ამერიკული ოცნებისთვის ახლა საუკეთესო დროა. 31.01 18. https://on.ge/story/.
14. -მიჩიო კაკუს არგუმენტები, რომლებმაც ტვინი აგვიფეთქა. 01 2017. https://www.trendbook.ge/
15. აშშ-ს განათლების სისტემის პრობლემები. 23.07.2014. http://intermedia.ge/
16. http://studyglobe.ru/mba/hbc.html Harvard Business School, HBS. История. 2018

17. Гарвардский и Хьюстонский проект – план разделения и уничтожения России. 2017 https://wowavostok.livejournal.com/.
18. ვანესა ურხ დრუსკატის და სტივენ უოლფი. ემოციური ინტელექტი. სერია ჰარვარდ ბიზნეს რევიუს 10 საუკეთესო საკითხავი. 2018.
19. რიჩარდ ბოიაცისის და ენი მაკკის „ლიდერობის საფუძვლები“. სერია ჰარვარდ ბიზნეს რევიუს 10 საუკეთესო საკითხავი. 2018.
20. ემოციური ინტელექტი. ბიზნესლიტერატურა. სერია ჰარვარდ ბიზნეს რევიუს 10 საუკეთესო საკითხავი Harvard Business Review. 2018
21. Барбашин М.Ю., Институты высшего образ ованияи социальные дилеммы (компа ративный анализ российской и американской образ овательных систем).
22. Газета «Завтра» в № 25 от 19. 06. 2001
23. მთავარი საფეხური ამერიკაში სწავლის დასაწყებად. 21/12/2016, http://education.ge/index
24. რამოდენიმე საინტერესო ფაქტი ამერიკული განათლების შესახებ. 20/11.14 https://edu.aris.ge.
25. Harvard Business Analytics Program. www.hbs.edu/Pages/default.
26. Гарвардский www.pravda.ru/news/society/12-02-2007/21281 5-harvard-0
27. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბ., 2013.
28. ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი http://partiebi.ge/new/index. php?m=2 ნანახია 10.11.2016
29. საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“, საარჩევნო პროგრამა 2012, ცთბ., 2012.
30. „ხელშეკრულება საქართველოსთან“ – „მეტი სარგებელი ხალხს“, თბ., 2012, გვ. 3.
31. საქართველოს სამტავრობო პროგრამა – „მეტი სარგებელი ხალხს“ 2012-2016, თბ., 2012, გვ.11
32. ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო, საარჩევნო პროგრამა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. თბ., 2016,

33. „ერთიანი ნაციონალური მოძაობის“ – სამოქმედო გეგმა,თბ., 2016.
34. განათლების რეფორმა ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის, „განათლებისა და მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებები 2017-2020“, თბი., 2017
35. „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, სამთავრობო პროგრამა 2016-2020 წწ. თბ., 2016.
36. „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითრების სტრატეგია - საქართველო 2020“, თბ., 2017.
37. ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საქართველოსა და უცხოეთში http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/links/2.4.htm
38. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960
39. დარჩაშვილი მ., ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი ერთშორისი ურთიერთობების საკითხის შესახებ ქართულ დემოკრატიულ პრესაში (1900-1917 წწ), 2013.
40. გაზ. „ისარი“, 1907, №102
41. გაზ. „ისარი“,1908, №6.
42. ლაშხი დ., ბრძოლა ეროვნული ღირებუილებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედნი და მეცენატნი)
43. Darchashvili M., Alaverv E., Educational Issues In The Pre-Election Programs Of Polititical, Journal Politics, 2017.
44. განათლების რეფორმა ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის, „განათლებისა და მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებები 2017-2020“, თბ., 2017
45. ჯავახიშვილი, ივ., ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949.
46. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35, პუნქტი 2.
47. „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითრების სტრატეგია – საქართველო 2020“, თბ., 2017.
48. „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, სამთავრობო პროგრამა 2016-2020წ. თბ., 2016.
49. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი, 2017, https://www.google.ge/search?q=%E1%83%A1%E1%83%90%

50. კვესელავა ი., საქართველოს ისტორიის ქრონიკები. V, (პოსტ-საბჭოთა საქართველოს განათლება და მეცნიერება).თბ., 2017.
51. გვასალია გ., „ფორმაცია და ცივილიზაცია“, თბ., 2005.
52. ჯაველიზე ე., „ავაჰამე, ჩემო მამულო“, თბ., 2007.
53. შელია კ., „ქვეყნის განვითარება დამოკიდებულია განათლების დონეზე“, თბ., 1999.
54. „ვუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში“, 2010, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik
55. სასკოლო განათლების კონცეფცია, განათლების პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2013
56. ევროკავშირის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა: საქართველოს პროფესიული განათლების სექტორის მხარდაჭერა; დასკვნითი ანგარიში, 2013
57. ევროპის განათლების ფონდი, სოციალური პარტნიორობის პრობლემები და გამოწვევები საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში. ევროპის განათლების ფონდი, 2013
58. Andguladze, N., Salmi, Tertiary Education Governance & Financingin Georgia. World Bank commissioned, 2012
59. არგონავტიკა/აპოლონიოს როდოსელი; ბერძნ. თარგმნა, წინასიტყვ. და განმარტება დაურთო აკ. ურუშაძემ. თბ. სახელგამი, 1948.
60. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,, ტ. 3. საქართველოს სსრ, თბ., 1981
61. აპოლონიუს როდოსელი აპოლონიოს როდოსელი. [რედ. ა. ურუშაძე].(1970). *არგონავტიკა.* თბილისი: „მეცნიერება“.
62. წერეთელი გ., არმაზის ბილინგვა, ენიმიკის მოამბე, XIII, 1942.
63. https://zviadgamsakhurdia.wordpress.com/tag/%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/ ზვიად გამსახურდია-გელათის აკადემიის სულიერი იდეალები.
64. გამსახურდია ს., სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975.

65. თავზარაშვილი გ., უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, ნაკვ. 1, თბ., 1938.
66. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, გვ. 287, თბ., 1980 ..
67. ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1956.
68. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960;
69. ი. ლოლაშვილი „ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი“ გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ. 1982 .
70. ლ. მენაბდე „ქართული კულტურის კერა ათონზე“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982.
71. ა. ალექსიძე, „ათონი ათასწლოვანი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბ. 1982.
72. http://patriarchate.ge/geo/sazghvargaretis-qartuli-samonastro-centrebi/
73. https://forum.ge/?f=36&showtopic=33970741

თამარ დარჩია
ემილია ალავერდოვი,
ნინო ოთხოზორია
ნათია ლაცაბიძე

მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში: გამოწვევები და პერსპექტივები

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში მიგრაციული პროცესების ზრდის საკითხის მეცნიერული კვლევა უაღრესად საინტერესო და აქტუალურია. ეს გახლავთ გლობალიზაციის ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც სერიოზულ პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ ეკონომიკურ თუ დემოგრაფიულ პრობლემებს ქმნის. ნებაყოფლობითი მიგრაცია სხვა ადგილას დასახლების მიზნით ძირითადად ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარეობს, რისი ხელშემყობი ფაქტორია ტექნოლოგიების განვითარება, შრომის ბაზრის მრავალფეროვნება, თუნდაც ცვლილებების სურვილი. თუმცა, საკმაოდ მწვავე საკითხია იძულებითი ხასიათის გადაადგილება, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში. იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა ბოლო დროს ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების შედეგად, რომელთა ნაკადიც მნიშვნელოვნად დააწვა ევროპის სახელმწიფოებს. განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დადგა ევროკავშირი, როგორც ლტოლვილთა კრიზისის ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით.

იძულებითი მიგრაციის და შესაბამისად თავშესაფრის ძიების მიზეზები საკმაოდ მრავალფეროვანია. თანამედროვე ეტაპზე შეიძლება გამოვყოთ ძალადობა, გარე აგრესია, ოკუპაცია, შეიარაღებული კონფლიქტები, სტიქიური უბედურებები, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა ან საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი დარღვევა იძულებითი მიგრაციის მსხვერპლი, რაც კიდევ უფრო ზრდის ტრეფიკინგის მსხვეპლთა რიცხვს.

დღეს საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად თანამშრომლობს მიგრაციული პროცესების გამომწვევი მძიმე ფაქტორების წინააღმდეგ და ხელს უწყობს ჰუმანურ და მოწესრიგებულ მიგრაციას მთავრობებისა და მიგრანტთათვის სტრატეგიული და პროგრამული საჭიროებების უზრუნველყოფით. სახელმწიფოთა შორის

გადაადგილებულ პირთა საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა ასევე უდიდეს გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს. არსებობს ლტოლვილთა პრობლემატიკაზე ორიენტირებული საერთაშორისო საქმიანობის მოდელი, რომელიც ეფუძნება მთელ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს ლტოლვილთა დაცვისა და დახმარების სფეროში.

დღეს ლტოლვილების მიღების საკითხი განსაკუთრებით სენსიტიურია ევროკავშირის ქვეყნებისა და ამერიკისთვის. გერმანიის საიმიგრაციო პოლიტიკას აშშ-ის პრეზიდენტი კატეგორიულად ეწინააღმდეგება და „კატასტროფულს“ უწოდებს, რომელიც ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილებისთვის კარის ფართოდ გაღებას გულისხმობს. ტრამპი დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლის ფაქტს იწონებს და ამის მიზეზად, ლონდონის მიერ ლტოლვილების მიღების ვალდებულებაზე უარის თქმას ასახელებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს უსაფრთხოების საკითხი, რადგან ბოლო პერიოდში გაიზარდა დანაშაულისა და ტერორისტული აქტების რაოდენობა, როგორც ევროპაში ასევე აშშ-ში, რომლის მთავარ მიზეზად სახელდება მიგრაციული პროცესების ზრდა. ძალიან ბევრი ადამიანი სწორედ კონტრაბანდისტების მეშვეობით ხდება ევროპასა და ამერიკაში. აქაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთიდან და ლათინური ამერიკიდან წამოსული არალეგალი მიგრანტების რაოდენობა.

ბოლო პერიოდში ყურადღების ცენტრში მოექცა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი საიმიგრაციო პოლიტიკა. ქვეყანა, რომელიც ემიგრანტების სამშობლოა და სადაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებები უმთავრეს ფასეულობებს წარმოადგენს, დღეს დიდი გამოწვევების წინაშე დგას. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის გამკაცრებული საიმიგრაციო პოლიტიკა ტერორიზმისა და მომეტებული კრიმინალის წინააღმდეგ უსაფრთხოების ზომების გატა-

რებისა და აშშ-ის მოქალაქეებისთვის სამუშაო ადგილების გაზრდის აუცილებლობის მოტივით, გულისხმობს ქვეყნის სამხრეთ საზღვარზე კედლის აგებას, არალეგალური ემიგრანტების მასობრივ დეპორტაციას, ე.წ. მოგზაურობის აკრძალვის ბრძანებას, რომელიც 8 ქვეყნის (უმეტესად მუსლიმური) მოქალაქეებს, ისევე როგორც სირიელ ლტოლვილებს აშშ-ის ტერიტორიაზე შესვლას უკრძალავს, და ა.შ. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკას მოწინააღმდეგეები ჰყავს როგორც აშშ-ის სახელისუფლებო შტოებში, ასევე ევროპელ მოკავშირეთა რიგებშიც.

მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, გარე მიგრანტთა, (რომელთა გადინება ქვეყნიდან „ტვინების დაკარგვის“ პრობლემას წარმოშობს), სამართლებრივი მდგომარეობა ძალიან აქტუალურია საქართველოსთვისაც, ვინაიდან 4-მილიონიანი ქვეყნისთვის, რომელიც გაეროს მონაცემებით, უკვე 20 წელიწადში მწვავე დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დადგება და რომელსაც არა მხოლოდ დემოგრაფიული, არამედ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები შეიძლება შეექმნას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გლობალური მასშტაბით მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესწავლა და ანალიზი, ისევე როგორც პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიებისთვის საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ამ კუთხით ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევი საკითხი და მოწოდებული რეკომენდაციები სცდება შემეცნებით სფეროს და პრაქტიკულ-გამოყენებით ხასიათს იღებს, რაც კიდევ უფრო ზრდის საკვლევი პრობლემის აქტუალობას.

მიგრაციის არსი, სახეები და ფაქტორები

ისტორიული მიმოხილვა

ადამიანის მიგრაცია არ არის ახალი მოვლენა, მას დიდი ისტორია მოყვება. მიგრაციას თან ახლავს თავისი მიზეზები, სახეობები და გარეობი. ადამიანებისთვის ცნობილია მიგრაციის შემდეგი ფორმები: ტომური, ეროვნული, კლასობრივი და, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური. ხოლო მიზეზები კი – კლიმატური, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური ან უშუალოდ თავგადასავლობის მოყვარულობა. მიგრაციის მიზეზები და შედეგები შეისწავლება ისეთ ფუნდამენტალურ კვლევებში, როგორიცაა: ეთნოლოგია, პოლიტიკური და სოციალური ისტორია და პოლიტიკური ეკონომიკა.

ადამიანის მიგრაციის ზეგავლენამ ისტორიის ეპოქაზე, მაგალითად, დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა და კოლონიზაციების ფორმირება. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ მიგრაციამ თვით მსოფლიო შეცვალა. აქ საუბარია უკვე ავსტრალიისა და ამერიკელების დასახლების მაგალითზე.

მიუხედავად მიზეზისა, ადამიანის მიგრაციამ გავლენა იქონია ისტორიის დიდ ეპოქებზე და სამუდამოდ შეცვალა მიწების დემოგრაფიული ლანდშაფტები მთელ მსოფლიოში. რა თქმა უნდა, ზოგიერთ შემთხვევაში მას თან მოჰყვა ინოვაციები და საერთო სარგებელიც კი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი პირიქით განადგურებები და ადამიანების ტანჯვა. სანამ სოციალური მეცნიერებების მკვლევრები სწავლობენ მიგრაციის გარე მიზეზების ისტორიულ ხედვას, რომელიც მოიცავს ისეთ მოვლენებს როგორიცაა: კლიმატური ცვლილებები და პოლიტიკური და რელიგიური ზეწოლები, რელიგიური მკვლევრები კი მიგრაციას განიხილავენ ცალკე ფენომენად, ანუ ღვთის მოვლენად, ადამიანების დაახლოება იმ დროსთან, როდესაც ადამიანები ცხოვრობდენ ერთ ოჯახად მშვიდობაში

და ჰარმონიაში.

ადამიანის პოპულაციის ისტორიულ მიგრაციას ზუსტი თარიღი არ აქვს.

ცნობილია ორი ძირითადი სახის მიგრაცია:

ა) ქვეყნის შიდა;

ბ) ქვეყნის გარეთ, ანუ საერთაშორისო.

ქვეყნის შიდა მიგრაციაში ადამიანები გადაადგილდებიან ქვეყნის საზღვრების ფარგლებში, ერთ ქალაქიდან მეორეში, ქალაქიდან სოფელში ან პირიქით, ხოლო რაც შეეხება გარე ანუ საერთაშორისო მიგრაციას მაგ დროს ადამიანები კვეთენ ქვეყნის საზღვარს და გადადიან სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად. ეს შეიძლება იყოს მოკლე დისტანციური, მაგალითად, ევროპის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლება ან საერთოდ ერთი კონტინენტიდან მეორეზე, მაგალითად აზიიდან აფრიკაში.

ზოგადად მიგრაცია განიხილება როგორც პერმანენტული მოვლენა, თუმცა ზოგი ერთი ადამიანი შესაძლოა გადასახლდეს საკმაოდ დიდ პერიოდით.

ჩვენთვის ცნობილია მიგრაციის რამდენიმე ეტაპი:

- ადრეული მიგრაცია;
- ინდო-ევროპული მიგრაცია;
- ბრინჯაოს ხანის მიგრაცია;
- რკინის ხანის დასაწყისი პერიოდის მიგრაცია;
- დიდი მიგრაცია;
- შუასაუკუნის და თანამედროვე ევროპის დასაწყისის მიგრაცია;
- ინდუსტრიალიზაციის ხანის მიგრაცია;
- მეოცე საუკუნის მიგრაცია.

ადრეული მიგრაცია. ადრეული მიგრაცია დაიწყო ჰომო ერექტუსის მოძრაობით, აფრიკის კონტინენტიდან ევრაზიამდე მრავალი წლების წინ. ჰომო საპიენსები თავდაპირველად დასახლდნენ აფრიკაში დაახლოებით 150 ათასი წლის წინ, მერე 80 ათასი წლის

წინ დატოვეს აფრიკა და დაახლოებით 40 ათასი წლის წინ აღმოჩნდნენ უკვე დასახლებულნი მთელი ევრაზიისა და ავსტრალიის კონტინენტებზე. რაც შეეხება ამერიკაში მიგრაციას ის დაიწყო დაახლოებით 20-15 ათასი წლის წინ და 2 ათასი წლის წინ წყნარი ოკეანეს მიწა უკვე სრულიად იყო კოლონიზირებული. მოგვიანებით ადამიანების მასობრივი გადასახლება-მიგრაცია ხდება ნეოლითის რევოლუციის პერიოდში, ინდოევროპული გაფართოებისა და ადრეული შუასაუკუნეების დიდი მიგრაციისა და თურქეთის გაფართოების პერიოდში. რაც შეეხება ევროპული კოლონიზაციის მოვლენას, იგი ძალიან სწრაფი ტემპით განვითარდა.[143]

ინდო-ევროპული მიგრაცია. პროტო-ინდო-ევროპული ენის მატარებლები, არიან შავი ზღვის ჩრდილოეთში დასახლებული ხალხები (დღეს ეს ტერიტორია მოიხსენიება როგორც აღმოსავლეთ უკრაინა და სამხრეთ რუსეთი), რომლებიც თანდათანობით დასახლდნენ და გაავრცელეს თავიანთი ენა ანატოლიაში, ევროპაში და ცენტრალურ აზიაში, კერძოდ, ირანში და სამხრეთ აზიაში ნეოლითის პერიოდის მიწურულს. თუმცა არქეოლოგიის პროფესორის კოლინ რენფრუს თეორიის მიხედვით, პროტო ინდო-ევროპული მოძრაობა და განვითარება ანატოლიაში აღინიშნებოდა უფრო ადრეულ პერიოდში. ის ამტკიცებს, რომ ინდო-ევროპული ენები და კულტურა შეიჭრა და გავრცელდა ევროპაში ნეოლითის დასაწყისში სოფლის მეურნეობის რევოლუციის შედეგად. [144]

ბრინჯაოს ხანის მიგრაცია. ისტორიული წყაროებიდან გამომდინარე ცნობილია, რომ ბრინჯაოს ხანის მიგრაცია იწყება ჩვ.წ. მეორე ათასწლეულში. აქ საუბარია პროტო-ინდო-ირანელების (ზოგჯერ მათ ინდო-აირანიელებს უწოდებენ) ექსპანსიაზე და მათ სირიის დასავლეთ და ფანჯაბის აღმოსავლეთის ტერიტორიებზე დასახლებაზე. ბრინჯაოს ხანის მიწურულს კი ეგეოსის და ანატოლის

---

[143] Castles, Steven. *The Age of Migration, Third Edition: International Population Movements in the Modern World*. The Guilford Press, 2003. ISBN 1572309008

[144] http://europepmc.org/backend/ptpmcrender.fcgi?accid=PMC49772&blobtype=pdf

ტერიტორიები ააოხრეს ეგრეთ წოდებულმა „ზღვის ხალხებმა“, რამაც, პრაქტიკულად ხუთტა იმპერიის დაშლა და რკინის ეპოქის დასაწყისი გამოიწვია. [145]

რკინის ხანის დასაწყისი პერიოდის მიგრაცია. ჩვ. წ. XII-IX საუკუნეებში დანიელების საბერძნეთში შეჭრამ მძიმე შედეგები მოუტანა ქვეყანას. ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი ამ პერიოდის შესახებ, მაგრამ ეს პერიოდი აღინიშნება ადამიანების მნიშვნელოვან გადაადგილებით ანატოლიისა და ირანის პლატოებზე.

ირანელმა ხალხმა თანამედროვე ირანის ტერიტორია დაიპყრეს, სომხებმა გააძევეს ურარტუელები, ხოლო ციმერიელები და მუშკები გადასახლდნენ კავკასიიდან ანატოლიში. ეს ბოლო გადასახლება უკავშიდება ცენტრალური ევროპის პროტო-კელტურ სამყაროს, რამაც გამოიწვია რკინის ეპოქის დასაწყისი ევროპაში და კელტური გაფართოება დასავლეთ ევროპასა და ბრიტანულ კუნძულებზე ჩვ. წ. 500 წელს.

დიდი მიგრაცია. დასავლეთის ისტორიკოსები დიდ მიგრაციის პერიოდს ხსნიან როგორც ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების გამიჯვნის პერიოდს ევროპაში. ეს პერიოდი დაყოფილა **ორ ფაზად:**

პირველი – გერმანული და სხვა ტომების დამკვიდრება ყოფილ დასავლეთ რომაულ იმპერიაში, რამაც არსებითად გამოიწვია მისი დაშლა.

მეორე – სლავური, თურქული და სხვა ტომების გადაადგილება და აღმოსავლეთ ევროპაში დამკვიდრება და თანდათანობით მისი სლავური დომინაციის ქვეშ მოქცევა. ამავე დროს უფრო მეტი გერმანული ტომი – ლომბარდების (იტალია) და ანგლო-საქსონების და ჯუტების (ეს ტომები სახლდებიან ბრიტანეთის კუნძულებზე) გადაადგილდება ევროპის ფარგლებში. გერმანელი ისტორიკოსები XIX საუკუნეს გერმანულ *(Völkerwanderung)* მიგრაციას უწო-

---

[145] Edwin Bryant, *The Quest for the Origins of Vedic Culture: The Indo-Aryan Migration Debate* (Oxford University Press, 2001, ISBN 0195137779).

დებენ სახალხო მიგრაციას. ევროპული მიგრაციის პერიოდი უკავშირდება ერთდროულად თურქულ ექსპანსიის პერიოდს, (როდესაც თურქებმა სხვადასხვა ეროვნების ხალხები გადაასახლეს დასავლეთისკენ), ხოლო თვითონ კი ხმელთაშუა ზღვას მიადგნენ.[146]

შუასაუკუნის და თანამედროვე ევროპის დასაწყისის მიგრაცია. შუასაუკუნეების დასაწყისს ხშირად მიგრაციის პერიოდს უწოდებენ. ამ პერიოდის პირველ ნახევარში იწყება ბარბაროსული ტომების შეტევა რომაულ იმპერიაზე, რამაც რომაული იმპერიის დაცემის შემდეგ რამდენიმე ბარბაროსული სამეფოების ჩამოყალიბება გამოიწვია. თუმცა ამ სამეფოების დაარსების შემდგომაც მიგრაციის ტალღა არ შეჩერებულა. ყველაზე ცნობილი მიგრანტები იყვნენ ვიკინგები. მერვე საუკუნის დასაწყისში დასავლეთ სკანდინავიის ქვეყნების ვიკინგებმა დაიპყრეს ჩრდილო ატლანტიკის რეგიონები. შემდეგ, მეცხრე საუკუნეში დაიპყრეს ისლანდია და საუკუნის მერე უკვე დააარსეს ორი კოლონია სამხრეთ-დასავლეთის გრინლანდიაში, რომელიც შუასაუკუნეების ევროპული სამყაროს დასაყრდენ წერტილად ითვლებოდა. ვიკინგები ასევე დასახლდნენ აღმოსავლეთით, რუსეთში და დაიწყეს კონსტანტინოპოლთან და მესოპოტამიასთან ვაჭრობა. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაცია ჩვ.წ. 400-1000 წწ. ევროპული საზოგადოების ფუნდამენტური მახასიათებელია, მიგრაციის პერიოდი, ტერმინის ყველაზე მკაცრი გაგებით, ეხება 400-600 წლებს შორის პერიოდს, როდესაც ყოფილი დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე შეიქმნა გერმანიის სამეფოები.[147]

ინდუსტრიალიზაციის ხანის მიგრაცია. XIX საუკუნეში მიგრაციის ტალღა მატულობს და გამოიყოფა მიგრაცის სამი ძირითადი სახეობა: შრომითი მიგრაცია, ლტოლვილთა მიგრაცია და ურბანური მიგრაცია.

---

[146] https://www.history.com/topics/black-history/great-migration

[147] https://www.encyclopedia.com/humanities/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/dark-ages-migration-period-early-middle-ages

მილიონობით გლეხმა დატოვა სოფლები და გადავიდა ქალაქებში საცხოვრებლად, რაც იწვევს ურბანიზაციის უპრეცედენტო მასშტაბს. ეს ტალღა ბრიტანეთში მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს დაიწყო, მთელს მსოფლიოში გავრცელდა, რაც ჯერაც არ შეწყვეტილა. გლობალურმა ეკონომიკამ დაიპყრო შრომის ბაზარი. 1820 წლის შემდეგ ატლანტიკური მონათვაჭრობა მკვეთრად შემცირდა, ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ევროპისა და აზიიდან შრომით მიგრანტების ტალღას. მიგრანტების სამიზნე პლანტაციებში მუშაობა გახდა. აგრეთვე ამ პერიოდში დაარსდა ღია სასოფლო-სამეურნეო საზღვრები და სამრეწველო ცენტრებმა მოხიბლეს მიგრანტები. უფრო მეტიც, მიგრაციას ხელი შეუწყო გაუმჯობესებულმა სატრანსპორტო საშუალებებმა.[148]

მეოცე საუკუნის მიგრაცია. 1846-1940 ჩნდება მსოფლიოში მასიური მიგრაციის ახალი ტალღა. ტრანსნაციონალური მიგრაციის მასშტაბები და სიჩქარე უპრეცენდენტო ხდება. დაახლოებით 55 მილიონი მიგრანტი ევროპიდან აფრიკაში გადადის. დამატებითი 2.5 მილიონი გადასახლდა აზიიდან ამერიკაში. ამ ტრანსატლანტიკურ მიგრანციის 65% მოვიდა აშშ-ზე. დანარჩენი ძირითადი ნაკადი კი იყოფა არგენტინაზე, კანადაზე, ბრაზილიაზე და კუბაზე.

ამავე პერიოდში, ძალიან ბევრი ხალხი გადასახლდა აზიის კონტინენტის ფარგლებში დიდ დისტანციებზე. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიამ მიიღო 50 მილიონი მიგრანტი, ძირითადად ინდოეთიდან და ჩინეთიდან. ხოლო ჩრდილოეთ აზიამ – მანჯურიამ, ციმბირმა, ცენტრალურ აზიამ და იაპონიამ ერთად მიიგეს 50 მილიონი. არ არსებობს მიგრანტების ზუსტი ციფრი აფრიკის შიდა მიგრანტების შესახებ, მაგრამ 1850-1950 აფრიკაში შეინიშნებოდა მიგრაციის პატარა ტალღა სხვადასხვა ქვეყნებიდან.

XX საუკუნის დასაწყისში, ტრანსნაციონალური ეკონომიკური

---

[148] Castles, Steven. *The Age of Migration, Third Edition: International Population Movements in the Modern World*. The Guilford Press, 2003. ISBN 1572309008

მიგრაცია უკვე პიკს აღწევს, მას ყოველ წელს 3 მილიონი მიგრანტი ჰყავს. ეკომიგრანტების ძირითადი ნაკადი მიიღო იტალიამ, ნორვეგიამ და ჩინეთმა. მიგრაციის ამ ტალღამ ზეგავლენა მოახდინა ქვეყნებისა და სახელმწიფოების ფორმირების პროცესებზე. უკვე 1930-1960 წლებში ტრანსნაციონალური მიგრაციის ნაკადმა იკლო და შემდეგ ისევ მოიმატა.

20 საუკუნე, აგრეთვე, ცნობილია იმ მიგრანტების ტალღით, რომელიც იყო გამოწვეული ომით და პოლიტიკური, რელიგიური და ეთნიკური დევნით. ოსმალეთის იმპერიის დანგრევის დროს მუსლიმები ბალკანეთიდან თურქეთში გადასახლდნენ, ხოლო ქრისტიანები – სხვადასხვა მიმართულებებით. 400 000 ებრაელი გადავიდა პალესტინაში. რუსეთის სამოქალაქო ომმა გამოიწვია დაახლოებით 3 მილიონი რუსი, პოლონელები და გერმანელები მიგრანტი და, რა თქმა უნდა, არც მეორე მსოფლიო ომი და არც დეკოლონიზაცია იყო გამონაკლისი. [149]

მიგრაციის მიზეზები

მიგრაციის მიზეზები შეიძლება განვიხილოთ როგორც „push and pull factors“ ანუ წამახალისებელი და მიმზიდველი ფაქტორები. ეს ფატორებია მიგრაციის ძირითადი მამოძრავებელი მიზეზები.

პირველი ანუ „წამახალისებელი“ ფაქტორი „push factor“ ანუ წამახალისებელი ფაქტორი აიძულებს ან უბიძგებს ადამიანს მიგრაციისა და თავისი სამშობლოს დატოვებისკენ, ხოლო მეორე „pull factor“ ანუ მიმზიდველი ფაქტორი იზიდავს და ხიბლავს ადამიანს თავის ქვეყნით.

ეს ორი ფაქტორი განიხილება როგორც მაგნიტის სახმრეთისა და ჩრდილოეთის ბოძები.

თითოეული ფაქტორის სახეები და გამომწვევი მიზეზები

„წამახალისებელი და მიმზიდველი“ ფაქტორი – ეს ისეთი

[149] Patrick Manning, *Migration in World History* (Routledge, 2005, ISBN 0415311470).

გამომწვევი ფაქტორია, რომელიც აიძულებს ან უბიძგებს ადამიანს თავისი სამშობლოს მიტოვებისა და საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადასვლისაკენ.

აღნიშნული ფაქტორის სახეებია:

- ცუდი სამედიცინო მომსახურება;
- უმუშევრობა;
- ნაკლები შესაძლებლობები;
- პრიმიტიული (ცუდი) საცხოვრებელი პირობები;
- პოლიტიკური ზეწოლა;
- წამებისა და არასათანადო მოპყრობის შიში;
- რელიგიური რწმენის აკრძალვა;
- ქონების დაკარგვა;
- ბუნებრივი კატასტროფები (მათ შორის კლიმატური ცვლილებები).

„მიმზიდველი“ ფაქტორი

მოხიბვლის ფაქტორი, რომელიც ისე ხიბლავს ადამიანს, რომ იგი მზადაა საცხოვრებლად გარკვეულ ქვეყანაში გადავიდეს.

- სამსახურის შანსი;
- უკეთესი საცხოვრებელი პირობები;
- გართობა;
- განათლება;
- უკეთესი სამედიცინო მომსახურეობა;
- დაცულობა;
- ოჯახური კავშირები.

მიგრაციის ეგრეთ წოდებული მიმზიდველი ფაქტორებია: ტურიზმი, ტელევიზია და ინტერნეტი. ისინი ადამინებს ცნობ-ერებას უმაღლებენ რაც იწვევს პრეტენზიებს და ამბიციებს კარ-გი ცხოვრებისადმი. საჰაერო მიმოსვლის გზები და იაფფასიანი ავია კომპანიები.

მიგრაციის გავლენა (ეფექტი)

- მიგრაცია, როგორც ნებისმიერი სხვა პროცესი, ფორმირებს ცხოვრების მრავალ სფეროს, რომლებიც მოიცავენ როგორც უარყოფით, ისე დადებით მხარეებს.
- **ცვლილებები მოსახლეობის განაწილებაში:** ადამიანის მიგრაციამ გამოიწვია მნიშნელოვანი ზეგავლენა მსოფლიო გეოგრაფიაზე, ხელი შეუწყო ცალკეული კულტურის განვითარებას, კულტურების გავრცელების, და მათ სრულ შერწყმას. ასე განვითარდა მსოფლიოს მულტიკულტურული საზოგადოება.
- **სხვადასხვა კულტურისა და რასების მრავალფეროვნება:** მას ხშირად თან ახლავს ნეგატიური სოციალური სიტუაციები – დაძაბულობა საზოგადოებაში უმრავლესობებსა და უმცირესობებს შორის, რასაც, ხშირად, ადგილობრივ კონფლიქტებამდეც კი მოყავს. ამის მაგალითია რასიზმი და რასობრივი დისკრიმინაცია. აგრეთვე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია კრიმინალის ზრდა. თუმცა მიგრაციას, აგრეთვე, თან ახლავს პოზიტიური და დადებითი მხარეებიც, მაგალითად, კულტურული გამოცდილების გაცვლა, სიახლეების ათვისება და შესწავლა.
- **დემოგრაფიული შედეგები:** ვინაიდან მიგრანტების ძირითად ჯგუფს ახალგაზრდები შეადგენენ, მიგრაციის პროცესს შეუძლია დემოგრაფიული კრიზისის გამოწვევა, რასაც, ბუნებრივია, თან ეკონომიკური კრიზისიც მოყვება.
- **ეკონომიკური შედეგები,** რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის.[150]

[150] http://www.newworldencyclopedia.org/entry/Human_migration#Types_of_migrations

მიგრაციის ძირითადი მიზეზები

ცნობილია მიგრაციის 11 გავრცელებული მიზეზი

1. **თავის დაღწევის მიზეზი:** დააღწიოს წარსულ ან მომავალ დევნას, რელიგიურ, რასობრივ, ეროვნების ან გარკვეული პარტიისა და სოციალურ დაჯგუფების წევრობისთვის, ან და პოლიტიკური ხედვის ნიადაგზე:

- უმეტეს ქვეყნებში და აგრეთვე შეერთებულ შტატებში, ოჯახები და პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ კრიტერიუმებს, შეუძლიათ მიიღონ ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი. განსხვავება ლტოლვილისა და თავშესაფრის მაძიებლის სტატუსებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ლტოლვილებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი სტატუსი არჩეულ ქვეყანაში შემოსვლამდე, ხოლო თავშესაფარის მაძიებლები კი ეძებენ სტატუსს ჩამოსვლისთანავე. ეს არის კომპლექსური დიფერენციაცია, რომელიც იწვევს ხალხის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პროცესში ბევრ დაბრკოლებას.

2. **კონფლიქტისა და ძალადობისგან თავის დაღწევა:**

- ბევრ ქვეყანაში (ამერიკის შეერთებული შტატების გარდა) ოჯახები და კერძო პირები, რომლებიც ემიგრაციაში არიან კონფლიქტების, ომისა და ძალადობის გამო, შეუძლიათ მიიღონ ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი, რა თქმა უნდა, თუ ისინი დაამტკიცებენ ჭეშმარიტებას.

3. **ეკოლოგიური ფაქტორების გამო გადაადგილების შემდეგ თავშესაფრის პოვნა:**

- ბუნებრივი კატასტროფები, ეროზია და სხვა კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული გარემოს ფაქტორები განიხილება როგორც რეალური საფრთხე ადამიანის ცხოვრების პირობებისა და ზოგჯერ სიცოცხლისათვისაც კი. ქრისტიან აიდმა (Christian Aid) განაცხადა, რომ მომდევნო 50 წლის

განმავლობაში 1 მილიარდი ადამიანი კლიმატური ცვლილებებისა და კატასტროფების გამო შესაძლოა შეიცვალოს საცხოვრებელი ქვეყანა. ადამიანებს, რომლებიც ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატური ცვლილებების გამო მიგრირებენ, „კლიმატურ ლტოლვილებს“ უწოდებენ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად მიიღებენ ლტოლვილის სტატუსს. რადგან ეს ახალი ფენომენია, ბევრი ქვეყანა ცდილობს განსაზღვროს, თუ როგორი რეაგირება უნდა მოახდინოს ამ მზარდი და აქტუალური საკითხის მიმართ.

4. სამედიცინო დახმარების მისაღებად

- წარმოიდგინეთ რამდენად რთულია იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც კვალიფიციური ჯანდაცვა ხელმიუწვდომელია, ხოლო ადამიანი კი განიცდის სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემებს.

5. სიღარიბისგან თავის დასაღწევა

- სავარაუდოდ იმიგრაციის ყველაზე გავრცელებული მიზეზია.

6. შვილებისთვის უფრო მეტი შესაძლებლობების შეთავაზება

- ხშირად, მშობლებს უწევთ ძალიან რთული გადაწყვეტილების მიღება, და მიგრირება სხვა ქვეყანაში, რათა შეუქმნან თავის შვილებს კარგი საცხოვრებელი პირობები, კვალიფიციური უმაღლესი განათლება, სამუშაო ადგილები და პირობები.

7. ოჯახის გაერთიანება

- დედა და მამა, მენატრები!

8. საგანმანათლებლო მიზნებისთვის

- ზოგი მიდის საზღვარგარეთ უკეთესი განათლების მისაღებად, ვიდრე საკუთარ ქვეყნებშია ხელმისაწდომი, ზოგი კი უბრალოდ სწავლას იმიზეზებს, ხოლო თვითონ გასართობად მიეშურება.

9. **დასაქმებისა და ბიზნეს შესაძლებლობებისთვის**

- ზოგჯერ ადამიანები მიდიან მიგრაციაში იმ მიზნით და ფიქრით მიდიან, რომ იმედოვნებენ იქ უფრო მეტი შესაძლებლობები ექნებათ, ვიდრე თავის ქვეყანაში, ზოგი კი მას შემდეგ, რაც მიიღებს კონკრეტულ შეთავაზებას.

10. **ქორწინება**

- დღევანდელ გლობალიზირებულ სამყაროში, აღარ არის იშვიათი დისტანციური რომანები, რაც იწვევს ქორწინების მიზნით მიგრაციას.

11. **ყოველგვარი გარკვეული მიზეზების გარეშე**

- ზოგი ადამიანი ხდება მიგრანტად ყოველგვარი ზემოთ აღნიშნული და გარკვეული მიზეზის გარეშე, მას მხოლოდ აინტერესებს როგორი ცხოვრებაა საზღვარგარეთ და ამ მიზნით მიემგზავრება თავის ქვეყნიდან.[151]

დღესდღეობით მიგრაციის ტალღა უკვე პიკს აღწევს, ვინაიდან ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზი უფრო გაუარესდა. ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების გამო ადამიანების სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა. გლობალური დათბობისა და ჰაერის დაბინძურების გამო ცხოვრებისა და საცხოვრებელი პირობების ხარისხი მკვეთრად გაუარესდა. ბოლო დეკადებში გლობალურმა მიგრაციამ უპრეცენდენტო მასშტაბები შეიძინა. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ 175 მილიონზე მეტი ადამიანი მიგრაციაშია. 19.2 მილიონი ადამიანმა მიიღო ლტოლვილის ან დევნილის სტატუსი. [152]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები ადამიანს მიგრაციისკენ უბიძგებს. ბევრი ადამიანი ტოვებს თავის სახლს ან ქვეყანას გარკვეული ეკონომიკური მიზეზების გამო, მაგალითად, სოფელში მცხოვრებ ადამიანს შესაძლოა მიწის ნაყოფი-

---

[151] https://www.globalcitizen.org/en/content/why-people-migrate-11-surprising-reasons/

[152] https://www.sem.admin.ch/sem/en/home/internationales/weltweite-migration/migrationsgruende.html

ერების პრობლემა გაუჩნდეს, (თუ კარგად დავფიქრდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მთელ ქვეყანაში გამოიწვევს საკვების პრობლემას. ვინაიდან თუ მიწის ნაყოფიერების პრობლემა დადგა ეს არ იქნება მხოლოდ ერთი ოჯახის პრობლემა და სასოფლო-სამეურნეო სისტემაში დიდ პრობლემას გამოიწვევს. ქვეყანა იქნება დამოკიდებული პროდუქტის იმპორტზე.)

გლობალური მიგრაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს მდიდარი და ღარიბი ადამიანების ცხოვრების სოციალური პირობებსა და ხარისხს შორის დიდი განსხვავება. სამწუხაროდ თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ეს სხვაობა უფრო იმატებს და თვალსაჩინო ხდება. 1960-იან წლებში მსოფლიოში მდიდარი ადამიანის შემოსავალი 30-ჯერ აღემატებოდა ღარიბი ადამიანის შემოსავალს, ხოლო უკვე 1990-იან წლებში უკვე 60-ჯერ აღემატებოდა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იზრდება განსხვავება სოციალურ ადამიანების ცხოვრებაში, რაც უფრო მეტად უბიძგებს მიგრაციისაკენ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განვითარების სტაგნაციის მიუხედავად, მსოფლიოს მოსახლეობა იზრდება. მოსახლეობის ზრდის უზარმაზარი მაჩვენებელი და ზოგიერთ რეგიონებში ეკონომიკური განვითარების სავალალო პერსპექტივები მიგრაციის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზია. აქ საუბარია ძირითადად „მესამე მსოფლიო“-ს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე, სადაც ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ აყვავებულია კორუფცია, არამდგრადი ეკონომიკური პოლიტიკა, არასტაბილური პოლიტიკური და სამართლებრივი სიტუაცია, რაც ხელს უშლის უცხო ინვესტორებს ქვეყანაში ბიზნესის წარმართვას. აგრეთვე, არ არის მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, არსებობს საბაჟო პრობლემები, რის გამოც ხდება იმპორტის დაბრკოლებები, ხოლო უხარისხო პროდუქციის გამო კი წარმოიშვება ექსპორტის პრობლემები, რაც არსებითად აისახება ხალხის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ლტოლვილთა ნაკადები ევროპაში: ღია კარის პოლიტიკა

მიგრაციის პროცესებმა თანამედროვე მსოფლიოში დიდი ხანია გლობალური მასშტაბები შეიძინა. გაეროს 2016 მონაცემებით, მსოფლიოში აღრიცხულია 232 მილიონი საერთაშორისო მიგრანტი, რომელიც თავის სამშობლოს მიღმა ცხოვრობს, რაც შეეხება ევროპაში იქ მიგრანტების რიცხვი 72 მილიონია.[153] ეს გავლენას ახდენს ყველა სახელმწიფოზე და არსებული მიგრაციის სისტემებზე. ეს პროცესი ძალზე დიდ შრომას მოითხოვს, რათა თავიდან იქნეს აცილებული რასობრივი და რელიგიური შეუწყნარებლობა. აგრეთვე საჭიროებს სამართლებრივი მექანიზმებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე. მიგრაციის პრობლემების შეაწავლისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ ასპექტებზე:

1. მიგრანტების რიცხვის მუდმივ ზრდას თან მოყვება ადამიანის თვითგამორკვევის საკითხი, ადამიანის ცნობიერება, რომელიც ძალიან მტკივნეულია მსოფლიოს სწრაფად ცვალებად გარემოში, რადგან ეს უკავშირდება თვითგამორკვევის უსაფრთხოებას. აქ უკვე მსოფლიო იყოფა „შინაურზე“ და „უცხოზე“. აქვე აღსანიშნავია, რომ მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა აღმოჩნდა არაეფექტური, ვინაიდან თვითონ განასხვავებდა მოსახლეობას ეთნოკულტურული და რელიგიური ნიშნებით. ამჟამად საზოგადოებაში ადამიანის ინტეგრაციის იდეა თანდათანობით სუსტდება. თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც დამოკიდებულია გლობალიზაციის ძლიერ პროცესებზე, სახელმწიფო იდენტურობა (მოქა-

---

[153] Пресс-релиз ООН / Режим доступа: http://www.un.org/ru/ga/68/meetings/migration/pdf/internationalmigrantsworldwide_totals2013. pdf [UN Press-Review. Mode of access: http://www.un.org/ru/ga/68/meetings/migration/pdf/

ლაქეობა) ხშირად ერთგვარ აბსტრაქციაშია, ხოლო იდენტობის პლურალიზაციას კი თან ახლავს ძალადობის ზრდა და ქსენოფობია; [154]

2. ევროკავშირის ბევრი ქვეყანა, კერძოდ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი (დიდი სამრეწველო და საგანმანათლებლო ცენტრები) ემიგრანტებისთვის ტრადიციულად მიმზიდველია, მათ ცხოვრების მაღალი სტანდარტების გამო. ევროპულ საზოგადოებაში მოხდა დემოკრატიისა და ცხოვრების დონის ზრდა, რასაც თან მოჰყვა ინტერკულტურული დიალოგის პოლიტიკის გატარებისა და ემიგრანტების კონკრეტული პრობლემების დაფინანსების მუდმივი ზრდის აუცილებლობა, რაც ძირითადად მათი დასაქმების საკითხებს შეეხება. დემოკრატიის ზრდა, აგრეთვე, ნიშნავს საზოგადოებაზე და ეროვნულ უმცირესობებზე გავლენის ზრდას. საზოგადოების უფლებების დაცვის წარმატებას თან მოყვა ის, რომ ამ ქვეყნებში მცხოვრებ უმცირესობებს (მათი იდენტურობა ყალიბდება შემდეგი მონაცემების საფუძველზე, როგორიცაა: რასის, ენის, ისტორიულ ფესვებზე, ტრადიციებზე) ეთმობათ განსაკუთრებული ყურადღება ადამიანის უფლებების დაცვის მრავალი ინსტიტუტების მხრიდან;
3. რა თქმა უნდა, როგორც საერთო ევროპული სახლის მშენებლობაში მონაწილე, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, თავისი სახელმწიფო მიგრაციის პოლიტიკის შემუშავების გარდა, გავლენას სათემო მიგრაციის პოლიტიკის სტანდარტების შემუშავებაზეც ახდენენ.

ევროკავშირის ქვეყნებს განსხვავებული მიგრაციის პოლიტიკის გამოცდილება აქვთ. ისინი ჯერ კიდევ დამოუკიდებელი მოთამაშეები არიან ამ სფეროში, ბრიუსელს კი არ შეუძლია მიაღწიოს

[154] Еремина Н.В. Иммигранты и борьба с ксенофобией в европейском обществе (на примере Соединенного Королевства) // Вестник СПбГУ. – 2008. – Сер.6. – Вып.1. – С. 54. [Eremina N.V. Immigranty I borba s ksenofobiey b evropeyskom obschestve (na primere Soedinennogo Korolevstva)

უფრო მეტ დათმობებს სახელმწიფოების მხრიდან მიგრაციის საკითხებში. თუმცა გაერთიანებული სამეფომ, გერმანიამ და საფრანგეთმა მიიღეს ყველაზე დიდი დარტყმა მიგრაციის პროცესებიდან და „ღია კარის“ პოლიტიკასგან. მაგალითად, 2015 წელს ემიგრანტების ყველაზე დიდი ნაკადი 10 ქვეყანამ მიიღო.

1. თურქეთი – 3 789 320 მიგრანტი;
2. გერმანია – 1 413 127;
3. საფრანგეთი – 401 729;
4. იტალია – 354 698;
5. შვედეთი – 327 709;
6. ლატვია – 234 296;
7. ავსტრია – 172 570;
8. დიდი ბრიტანეთი – 162 299;
9. ნიდერლანდები – 111 629;
10. საბერძნეთი – 83 000 (საბერძნეთი მიგრანტებისთვის ერთგვარ „გასავლელ სივრცედ“ იქცა).[155]

მიგრაციის საკითხების შესწავლის კონცეპტუალური მიდგომები

მიგრაციის საკითხების შესწავლისას უნდა გამოიყოს ოთხი ძირითადი ჯგუფი:

1. მიგრაციის პროცესისადმი მიძღვნილი ნაშრომები;
2. ნაშრომები, რომელიც წარმოადგენენ ემიგრანტების ინტეგრაციის პრობლემებსა და მულტიკულკულური პოლიტიკის განხორციელებას;
3. კვლევები, რომლებიც აკრიტიკებენ ამ სფეროში არსებულ მიდგომებს;

[155] https://news.rambler.ru/europe/40236668-10-stran-evropy-s-samym-bolshim-chislom-migrantov/

4. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიგრაციის პროცესებზე მიძღვნილი ნაშრომები.

1. **მიგრაციის პროცესისადმი მიძღვნილი ნაშრომები** – მიგრაციის პროცესების თეორეტიკოსები დაწყებული ერნესტ რავენშტეინიდან, რომელმაც მიგრაციის კანონების თეორია შეიმუშავა,[156] ძირითად ყურადღებას ამახვილებენ „push“ და „pull“, ანუ წამახალისებელ და მიმზიდველ ფაქტორებზე, რომლებსაც ძალიან დიდი გავლენა აქვთ მიგრაციის პროცესებზე. ამ კვლებებში პრევალირებული გავლენა აქვს ეკონომიკურ ფაქტორს და ქვეყნის არჩევას.[157] ამ კონტექსტში ძალზე საინტერესოა მიგრაციის პირობებისადმი მიძღვნილი კონცეფციები, საზღვრისპირა მიგრაციის შემთხვევების გამოვლენას, შრომის საერთაშორისო ბაზარზე არსებულ ცვლილებებს. [158]

საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში მიგრაცია ტრადიციულად განიხილება, როგორც გლობალური პროცესი. მაგალითად, მსოფლიო სისტემების თეორია გვაჩვენებს, რომ ჩრდილოეთის და სამხრეთის მუდმივმა დაპირისპირებამ, როდესაც ძირითადი სიმდიდრე ინახება ჩრდილოეთში, ყოველთვის შეინარჩუნებს მიგრაციულ ნაკადებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. ამავე კუთხით განიხილება კონცეფცია „ცენტრი-პერიფერია“, რომელიც მიუთითებს პერიფერიაზე მიგრაციის ცენტრის ეკონომიკური და ტექნოლოგიური უპირატესობის გავლენაზე.[159] ეს მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს მიგრაციის კვლევა ურთიერთდამოკიდებულების სისტემის ჩარჩოში განვიხილოთ და მოვახდინოთ მათი

---

[156] Абылкаликов С. И., Винник М. В. Экономические теории миграции: рабочая сила и рынок труда // Бизнес. Общество. Власть. – 2012. – №12. – С. 1. [Abylkalikov, S.I.; Vinnik, M.V. Ekonomicheskie teorii migratsii: rabochaya sila I rynok truda (Economic Theories of Migration: Labour Force and Labour Market) // Bizness. Obschestvo. Vlast, 2012, No.12, p. 1].

[157] Everett, S. Lee. A Theory of Migration // Demography, Vol. 3, No.1, 1966, pp. 47-57.

[158] Todaro, Michael P. A Model of Labor Migration and Urban Unemployment in Less Developed Countries // The American Economic Review, Vol. 59, No.1, 1969, pp. 138-148.

[159] Agnew, John A. Hegemony: the New Shape of Global Power. Philadelphia: Temple University Press, 2005.

ცვლილებების პროგნოზირება.

კონსტრუქტიულმა მიდგომამ მიგრაციის საკითხების კვლევა ახალ დონეზე აიყვანა და ამით იდენტიფიკაციის კომპლექსის ასპექტები მთლიანად მიგრაციულ პოლიტიკას დაუკავშირა. აღსანიშნავია, რომ კონსტრუქტივიზმის კონტექსტში მკვლევრებმა წინა პლანზე წამოწიეს თვით მიგრანტი, მისი იდენტიფიკაციის მოთხოვნები, შესაძლებლობები და წარუმატებლობები. ამან შესაძლებელი გახადა ზოგად სტატისტიკაში ინდივიდუალობის გამოვლენა.[160] სოციალურ კონსტრუქტივიზმის ჩარჩოებში, აგრეთვე იყო შემუშავებული უსაფრთხოების მოდელებიც, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე მიგრაციის ნაკადებთან და ადასტურებენ, რომ მიგრაციის პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხოების პრობლემებია.[161] ზუსტად ამ კონსტრუქტივიზმის მიდგომებმა შემოტანეს დღესდღეობით ძალზე აქტუალური – იდენტურობის საკითხი. დღევანდელი ანალიზისთვის, ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი, რადგან მიგრაციის პოლიტიკის ბევრ პრობლემას იწვევს ის ფაქტი, რომ მიგრანტებს ადგილობრივ მკვიდრთან შედარებით „განსხვავებული“ (რელიგიური, ეთნიკური) იდენტურობა აქვთ. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში კიდევ ერთი თანამედროვე სკოლის წარმომადგენლები – პოსტმოდერნისტებს ჰქონდათ მცდელობა „უცხოელი“ ცალკე ინდივიდად, მსოფლიოში მოხეტიალე მოქალაქეობის არ მქონე პირად, საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ აქტორად და საერთაშორისო უსაფრთხოების მთავარი რეფერენტად ექციათ.[162]

საერთო ჯამში, ემიგრანტების მზარდი შემოდინება გახდა

---

[160] БергерП., ЛукманТ. Социальное конструирование реальности. – М.: Медиум, 1995. [Berger, P.; Luckmann, T. Sotsialnoe konstruirovanie realnosti (Constructing Social Reality). Moscow: Medium, 1995]; Shweder, Richard A.; Sullivan, Maria A. Cultural Psychology: Who Needs It? // Annual Review of Psychology, 1993, Iss. 44, pp. 497- 523. Mode of access: http://dx.doi.org/10.1146/ annurev.ps.44.020193.002433

[161] Huysmans, Jef. Politics of Insecurity. Fear, Migration and Asylum in the EU. London: Routledge, 2004.

[162] Ibid. C. 72.

ევროკავშირის საყოველთაო მიგრაციის სისტემაში ყველაზე მწვავე გამოწვევა. ამჟამად, სიტუაცია გართულებულია ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის მრავალრიცხოვანი ლტოლვილების ნაკადებით.

მიგრაციისა და ლტოლვილთა საკითხების შესახებ მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტია 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულება. ხელშეკრულების დოკუმენტი არეგულირებს თავშესაფრის სტანდარტებს და პროცედურებს. 2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულება ასევე ყურადღებას ამახვილებს დევნილების მისაღებად საერთო პროცედურების აუცილებლობაზე, თუმცა თითოეულ ქვეყანას უტოვებს საზღვარგარეთის კონტროლისა და კვოტების უფლებას. გარდა ამისა, ღიად რჩება ლტოლვილების სამართლიანი გადანაწილების საკითხი.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს შვედეთმა, ბელგიამ, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ და საფრანგეთმა შეიფარა მთელი ევროპის მასშტაბით მყოფი ლტოლვილებისა და ემიგრანტების 70%-ზე მეტი.[163] ამავე დროს, დანარჩენი ქვეყნები ფარულად ცდილობენ ემიგრანტების განაცხადების მიღების და დამუშავების შეფერხებას და დროის მაქსიმალურად გაზრდას. ამავე დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის განმცხადებელთა რაოდენობა მხოლოდ 2013 წლიდან 2014 წლამდე 41%-ით გაიზარდა. რასაკვირველია, ეს არღვევს ემიგრანტების თანაბრად გადანაწილების პოლიტიკას მთელ ევროკავშირის მასშტაბით, რამაც აიძულა ბრიუსელის მოხელეები შეემუშავებინათ უკანონო იმიგრაციის ნაკადის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული ზომები.[164] თუ

---

[163] Eurostat: 5 Countries Received 70% of All Asylum Application Registered in the EU 2013. Mode of access: http://www.asylumineurope. org/news/03-04-2014/eurostat-five-countriesreceived-70-all-asylum-applications-registeredeu-2013

[164] Потемкина О.Ю. «Европейская повестка дня по миграции» – новый поворот в иммиграционной политике ЕС? // Современная Европа. – 2015. – №4. – С. 29 [Potemkina, O.Yu. „Evropeyskaya povestka dnya po migratsii“ – novyi povorot v immigratsionnoy politike ES? (European Migration Agenda – New Turn in EU Migration Policy) // Sovremennaya Evropa, 2015, No.4, p.29]

ამას დავუმატებთ უთანასწორო შეღავათებისა და დახმარების პრობლემა, მიგრაციის საკითხი ბევრად უფრო რთულდება.

ემიგრანტებისა და ლტოლვილთა მიმღები ქვეყნების ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებისთვის, ჩამოყალიბდა ლტოლვილთა მიღების ევროპული ფონდი, აგრეთვე საზღვრების კონტროლისა და საერთო სავიზო რეჟიმის დამატებითი ფონდები. აღსანიშნავია ასევე, რომ ჩამოყალიბდა ევროკავშირის ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრები ემიგრანტების ინტეგრაციისა და თავშესაფრის პოლიტიკის განხორციელების ფონდი.[165]

უკანონო იმიგრაციის წინააღმდეგ გამოიყენება რეადმისიის და სხვადასხვა მსგავსი პროგრამების ჩარჩო-დოკუმანტები, რომლებიც მიზნად ისახავენ სავიზო პოლიტიკის გაუმჯობესებას, წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლის გააქტიურებას, კონკრეტული ბერკეტების გამოყენებას, რომლებიც არეგულირებენ საზღვრის გადაკვეთის პროცედურას და მიგრანტის სამშობლოში დაბრუნების პროცედურას და ა.შ. ეს მეთოდები წარმოადგენენ ევროკავშირის სტრატეგიას უკანონო იმიგრაციის წინააღმდეგ.

ამ სამუშაოების და დოკუმენტების წყალობით, შესაძლებელი გახდა ევროკავშირის საგარეო საზღვრების თანამშრომლობის სააგენტოს (Frontex) ჩამოყალიბება და გაძლიერება. ეს სააგენტო მიგრაციის სფეროში დეტალურ მონიტორინგს ახორციელებს და არსებულ რისკებსა და საფრთხეებს აანალიზებს. ამდენად, მიგრაციის სფეროში არსებული საკომუნიკაციო და ერთობლივი მიგრაციის პოლიტიკა საკმაოდ სისტემურად განვითარდა, თუმცა, ძირითადად, შეზღუდულია ლტოლვილების მიღებისა და არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ სტანდარტების შემუშავებაში. რაც შეეხება ბრიუსელს, ის არ არის უფლებამოსილი მიიღოს ამ საკითხ-

---

[165] Наталья Валерьевна Еремина, ОТ ПОЛИТИКИ «ОТКРЫТЫХ ДВЕРЕЙ» ДО МИГРАЦИОННОГО КРИЗИСА: РЕФОРМИРОВАНИЕ МИГРАЦИОННОЙ ПОЛИТИКИ В КОММУНИТАРНОМ И НАЦИОНАЛЬНОМ ИЗМЕРЕНИЯХ НА ПРИМЕРЕ ВЕЛИКОБРИТАНИИ И ФРАНЦИИ, СРАВНИТЕЛЬНАЯ ПОЛИТИКА И ГЕОПОЛИТИКА, 2016 Т.7 №4, 44

ში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, თუმცა მხარს უჭერს წევრ ქვეყნებს შორის არსებულ ქმედებებსა და შეთანხმებს.

აღსანიშნავია, რომ თუ მიგრაციის პროცესში ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებს შევადარებთ, აშკარად ვლინდება გარკვეული პარადოქსი. ერთი მხრივ, მიგრანტები ზრდიან ევროპული შრომის ბაზრის შესაძლებლობებს: ეს ხდებოდა ათეული წლების წინაც, როდესაც მასობრივი შრომითი მიგრაციის ფენომენი შედარებით ახალი იყო და დღეს კი, ევროპის რამდენიმე ქვეყანას სჭირდება ახალი წახალისებები მათი ეკონომიკური განვითარებისათვის. მართალია, შეუძლებელია არაფერი ვთქვათ, იმის შესახებ, რომ მიგრანტები რომ ჩამოდიან ასეთ ქვეყნებში, ჯერჯერობით მხოლოდ ამწვავებენ სიტუაციას, რადგან დღესდღეობით ევროპის ბევრ ქვეყანაშიც კი არსებობს მათი დასაქმების პრობლემა. აგრეთვე დამატებითი ხარჯებია ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური დახმარების პოლიტიკა, რომელიც მიგრანტ მუშაკებსა და ლტოლვილებზე იხარჯება. ხოლო პოლიტიკური კუთხით, ინტენსიური მიგრაციის ნაკადები გახდა ევროპული სტაბილურობისადმი დიდი გამოწვევა, რაც ქვეყნის უსაფრთხოების ყველაზე რეალური საფრთხეს წარმოადგენს. პრობლემის ზოგიერთი ასპექტი უკვე განხილულია ზემოთ: კულტურული, რელიგიური და ცხოვრების წესში განსხვავებები, მიგრანტების თავის თემებისა და წესების ზნე-ჩვეულებებით ცხოვრება, რაც პირდაპირ გადის რადიკალიზაციაზე. ხოლო რადიკალიზაციის შემდგომი პროცესები და მათი შედეგები ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

მიგრაციული კრიზისის მოგვარებისათვის ძალზე ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. კერძოდ, მულტიკულტურალიზმის რიტორიკა, რომელიც უკვე აღიარებულია შეუსაბამოდ, საბოლოოდ უნდა შეიცვალოს მიგრაციის პრობლემაზე უფრო პასუხისმგებელი და მკაცრი დამოკიდებულებითა და მიდგომით. ეროვნულ დონეზე განხორციელებული ქმედებებით უფრო მჭიდროდ უნდა იყოს მხარდაჭერილი პან-ევროპული ინიციატივები. თუმცა აღ-

სანიშნავია ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ საჭიროა ქვეყნებმა სწრაფად შეცვალონ „ღია კარის“ მიგრაციის პოლიტიკა „ნახევრად დახურული კარის“ პოლიტიკით.

ემიგრაციის კულტურული და რელიგიური პრობლემები

ევროკავშირის ქვყნებში ჩამოსული ლტოლვილები და მიგრანტები ძირითადად არიან სამხრეთ და დასავლეთ აზიიდან, აფრიკისა და ბალკანეთიდან.[166] თუმცა, ლტოლვილთა კრიზისი, რომელსაც ამჟამად ევროკავშირი განიცდის, ძირითადად, სირიის კონფლიქტმა გამოიწვია, რის გამოც 4 მილიონზე მეტ ადამიანმა დატოვა ქვეყანა და უმრავლესობა (თუ საერთოდ ამ რიცხვის მთლიანი მაჩვენებელი) მუსლიმანური რელიგიის მკაცრად მიმდევარეა.[167]

რასაკვირველია, ეს ფაქტი ევროპას სერიოზულ გამოწვევის წინაშე აყენებს. ვინაიდან, დღესდღეობით ისლამი ქრისტიანობის შემდეგ მეორე ადგილზეა როგორც ტეროტორიული გავრცელებით ასევე მიმდევართა რაოდენობით. ისლამი სხვა სარწმუნოებისაგან განსხვავებით სწრაფად მზარდი რელიგიაა არა მარტო მუსლიმების ბუნებრივი მატებით, არამედ სხვა რელიგიათა მიმდევრების ისლამში გადასვლის ხარჯზე. როგორც ვიცით ევროპა მხოლოდ კონტინენტი კი არ არის, არამედ ის ცივილიზაციაა. სიტყვა „ცივილიზაცია“ დასავლეთში უკვე ისეთი პოპულარული არ არის როგორც ის მე-19 საუკუნის დასასრულში იყო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დასავლეთი ყოველთვის წარმოადგენდა მსოფლიო ცივილიზაციის უდიდეს კერას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ახდენდა აღმოსავლეთის ქვეყნების ცივილიზაციების საუკეთესო გამოცდილებათა აკუმულაციას. საუკუნეების მანძილზე ერთგვარი დიფუზია მინდინარეობდა დასავლე-

[166] Delauney, 2015; Kingsley, 2015; Park, 2015; Eurostat, 2016a, 2016b
[167] Tsourdi & De Bruycker, 2015; Zavis, 2015

თისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებს შორის. ისინი ერთიმეორისაგან იღებდნენ იმას, რაც მისაღები იყო მათი მსოფლმხედველობის, ტრადიციებისა და ბუნებისათვის. რაც შეეხება თანამედროვე ევროპას, თავისი სიახლეებით, მოდერნიზაციით, სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვითა და გლობალიზაციით, რა თქმა უნდა, არ ეტევა ისლამის ჩარჩოებში და ამიტომაც ევროპა მისი მიმდევრებისთვის მიუღებელი ფენომენია. ისლამური ანტოგონიზმი ევროპული ცივილიზაციის მიმართ თვით ევროპისთვს ძალიან სახიფათოა. რაც შეეხება თავად ისლამს მას მტრის როლი ანიჭებს კვაზიცივილიზებულ იდენტობას: ამ იდენტობის ერთი ასპექტი უკავშირდება განადგურებას შიგნიდან, მეორე კი – გარედან.

დღესდღეობით ისლამს ძალიან დიდი გავლენა აქვს ევროპული სახელმწიფოების საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე. რაც შეეხება მიგრაციის ტალღას, ის ჯერ კიდევ II მსოფლიო ომის შემდეგ შეინიშნება. ეს გამოწვეული იქნა დიდი მეტროპოლიების კოლონიურ პოლიტიკით. ზუსტად ამ პოლიტიკამ დაუდო საფუძველი ისლამის მიმდევრების დინებას აღმოსავლეთიდან დასავლეთში.

ევროპული მუსლიმების ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ევროპის შუაგულში ცხოვრობენ, რეგლამენტირებულია ყურანისა და სუნნის ნორმებით. მათთვის საერო კანონები არ არსებობს და ამ კანონებისა ან და ევროპული ცხოვრების წესების თავსმოხვევის ნებისმიერი მცდელობა იწვევს მუსლიმანის აგრესიას და პროტესტს. მუსლიმმა ემიგრანტმა თავი უნდა იგრძნოს იმ ქვეყნის საზოგადოების ნაწილად, სადაც არის იმიგრირებულები, ანუ უნდა მოხდეს მისი ასიმილაცია ქვეყნის საზოგადოებასთან და ამავე დროს შეინარჩუნოს თავისი კულტურული და რელიგიური იდენტობა, რადგან ჭეშმარიტი მუსლიმისთვის იდენტობა მისი რწმენის საფუძველია, ხოლო რწმენა კი – ცხოვრების არსი.

ამისთვის აუცილებელია გაიმართოს რელიგიათა შორის: ქრი-

სტიანობასა და ისლამს შორის დიალოგი. ამ ორივე რწმენათა სისტემას პრეტენზია გააჩნიათ უნივერსალობაზე და აქვთ მთელი რიგი უთანხმოებები და აზრობრივი დაპირისპირებები. თუ ყურადღებას გავამახვილებთ უთანხმოებებზე, მაშინ ამ ორ რელიგიათა შორის დიალოგი პრაქტიკულად შეუძლებელია. აქვე გასათვალისწინებელია უელსის პრინცის სიტყვები, მან 1993 წელს, ოქსფორდის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას თავის მოხსენებაში „ისლამი და დასავლეთი“ განაცხადა, რომ „უთანხმოებები ჩნდება მაშინ, როდესაც ჩვენ არ ვითვალისწინებთ მის, ანუ ისლამის მსოფლმხედველობას, ისტორიას და მის როლს მსოფლიოში“. [168]

მუსლიმების პრობლემა ევროპაში დაკავშირებულია არამხოლოდ კულტურულ და რელიგიურ განსხვავებებზე, არამედ ძალიან მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ განზომილებებზეც. ემიგრანტების დიდი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ ქვეყანაში ცხოვრობს (და თანაც შესაძლოა ქალაქის ცენტრშიც) გაუნათლებელია. რა თქმა უნდა, ისინი ევროპული საზოგადოებისაგან იზოლირებულები არიან და თავიანთი მინისამყარო აქვთ. ზუსტად ამ ევროპის შუაგულის მინი ისლამურ სამყაროში ხდება ექსტრემისტული იდეების გავრცელება.

როგორც ჩანს, მუსლიმანური და დასავლური სამყაროები არ არიან კარგად ინფორმირებულები ერთმანეთის კულტურისა ცივილიზაციის შესახებაც, რაც, რასაკვირველია იწვევს ურთერთუნდობლობას. ურთიერთნდობის დამყარება უნდა დაიწყოს ზუსტად ერთმანეთის კულტურისა და ცივილიზაციების გაცნობით. რელიგიურ ლიდერებს და მეცნიერებს შეუძლიათ უშუამდგომლონ ამ პროცესს და აღკვეთონ არსებული უთანხმოებები და საფრთხეები.

დღეისათვის ისლამი ევროპაში, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ არის გავრცელებული, უფრო მეტ მასშტაბებს იძენს და სწრა-

---

[168] მერაბ ურუშაძე, გლობალიზაცია - გლობალური ტერორიზმის საფრთხე, გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი 2007 გვ. 109

ფად ვრცელდება. მას ხელს უწყობს დემოგრაფიული ფაქტორი და თავშესაფრის მაძიებლობა.

2015 წელს ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ჩამოსული ერთ მილიონზე მეტ მიგრანტებს შორის ძირითადად სირიის, ავღანეთისა და ერაყის მოქალაქეები არიან.[169] ძალადობისაგან გაქცეული, თავისუფლებისა და სიცოცხლის დაცვისა და უსაფრთხოების ძიებაში ადამიანები ხშირად გრძელ და უკიდურესად სახიფათო მოგზაურობას ირჩევენ. თუმცა, არსებობს ძალიან ცოტა სამართლებრივი გზები და არაორგანიზებული სისტემა ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთათვის ევროკავშირში შესვლისათვის და ეს ხალხი ხდება ტრეფიკერებისა და კონტრაბანდისტების მსხვერპლი და არაადამიანურ პირობებში ახერხებენ ზღვითა და მიწით უსაფრთხო ადგილამდე ჩასვლას. თუ ვისაუბრებთ ხმელთაშუაზღვის რეგიონზე, ისინი ხშირად წყლით ჩადიან (თუ საერთოდ ახერხებენ ჩასვლას), ვინაიდან არსებობს ფაქტები, როდესაც ისინი საერთოდ ზღვაში იძირებიან, ან უკვე გარკვეულ ქვეყანას მიდგომილებს არ ღებულობს ესა თუ ის ქვეყანა. ხშირად ამ ხალხს აკავებენ ლტოლვილთა ბანაკებში ან საიმიგრაციო პატიმრობის ცენტრებში, და რამდენიმე თვის განმავლობაში ელოდებიან თავშესაფრის სტატუსის დადგენას.

ლტოლვილობის კრიზისმა და განსაკუთრებით, 2015 წელს ევროპაში ერთ მილიონზე მეტი თავშესაფრის მაძიებელთა ჩამოსვლამ, გამოიწვია ევროკავშირის ინსტიტუციების და ორგანიზაციების აზრთა უთანხმოება. ევროკავშირმა და მისმა ლიდერებმა ჯერ-ჯერობით ვერ შეძლეს სათანადოდ და ეფექტურად გამკლავებოდნენ ამ კრიტიკულ სიტუაციას და ცხადი გახდა, რომ ამჟამად არსებული ჩარჩოები უმკლავდებიან ლტოლვილთა მაღალ შემოდინებას. ამის საპასუხოდ, ევროპის ბევრმა ქვეყანამ დაიხურა თავისი საზღვრები. უნგრეთმა ჩაკეტა სერბიის საზღვარი და ააშენა კედელი.

[169] UNHCR, 2015b; Eurostat, 2016a, 2016b; Lehne, 2016

დახურული კარის პოლიტიკის ფარგლებში, ზოგმა ევროპულ-მა ქვეყანამ უარი თქვა ტოლვილების მიღებაზე, რამდენიმე ქვეყანა კი დაიყო 2 ბანაკად, მაგალითად, გერმანია კოორდინირებულ ევროპის რეაგირებას ელოდება, ხოლო შვედეთი კი უფრო დამოუ-კიდებელ ეროვნულ პოლიტიკის შემუშავებაშია.[170]

გერმანიას, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებს საკმაოდ დიდი გამომწვევი პრობლემები აქვს მიგრაციის პოლიტიკასთან დაკავში-რებით. მიუხედავად კრიზისისა, 2015 წელს, გერმანიამ მიიღო 1 მი-ლიონზე მეტ თავშესაფრის მაძიებელი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიამ შეცვალა ლტოლვილების მიმართ პოლიტიკა, ახალი ნა-კადის რაოდენობა ოდნავ შემცირდა 2016 წლის დასაწყისიდან, თუმცა ყოველდღე კვლავ ჩამოდის ათასობით ადამიანი.[171] ამ დრო-ისთვის გერმანიამ მიიღო მკაფიო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ის ვერ განაგრძობს იმავე რაოდენობის ლტოლვილების მიღე-ბას, როგორც ადრე. აქედან გამომდინარე, ქვეყანა მუშაობს ორივე, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე, რათა გააუმჯობესოს ევრო-პის გარე საზღვრები.[172]

გერმანიის მთავრობა მრავალმხრივად ცდილობს ადეკვატური რეაგირება მოახდინოს ლტოლვილთა კრისისზე, ძირითადად სი-რიელების მიმართ. უფრო მეტიც, გერმანიის მთავრობამ რამდენი-მეჯერ განაცხადა, რომ ის მზად არის, თავის თავზე აიღოს ლტოლვილების კრიზისის მოგვარების მთავარი აქტორის როლი და ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობს ლტოლვილე-ბის კრიზისის საკითხის დაყენებას ევროკავშირის ქვეყნების დღის წესრიგში. ანგელა მერკელის მთავრობა მუდმივად აფრთხილებს თავის პარტნიორ ქვეყნებს იმის შესახებ, რომ თუ ლტოლვილების

---

[170] Claudia Theresia Schmid, Germany's "Open-Door" Policy in Light of the Recent Refugee Crisis An Interpretive Thematic Content Analysis of Possible Reasons and Underlying Motivations, Linköping University | Department of Management and Engineering Master's thesis, 30 ECTS | MSSc International and European Relations Autumn 2016 | ISRN-number: LIU-IEI-FIL-A--16/02372— SE p.5

[171] BAMF, 2016a; Bundesregierung, 2016e

[172] DW, 2015; Bundesregierung, 2016e

კრიზისი გაგრძელდება დიდხანს და არ მოგვარდება ადეკვატური გზებით, რაც დიდ საფრთხეს მოუტანს მთელ ევროპას. ის ასევე მოუწოდებს მათ არ ევროკავშირის ისეთი ძირითადი პრინციპების დათმობისაკენ, როგორიცაა გადაადგილების თავისუფლება და ლტოლვილების ნაკადების გადანაწილებისაკენ. [173]

თუმცა, გერმანიას ასეთმა მიდგომამ უარყოფითი შედეგი მოუტანა: გააქტიურდა ოპოზიცია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ. მიუხედავად ამისა, გერმანიის ხელისუფლებამ, და ძირითადად ანგელა მერკელი თითქოს და არ შეიმჩნევს პოპულისტურ ან ოპოზიციურ ზეწოლას. გერმანია აგრძელებს ლტოლვილების მხარდამჭერ პოლიტიკას და ფაქტია, რომ გერმანია ცდილობს არ დახუროს თავისი საზღვრის ბალკანეთის მარშრუტი. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანია ამჟამად იმყოფება ისეთ სიტუაციაში, როცა თავისი პარტიორები და მოკავშირეები არ იზიარებენ მის პოლიტიკას და არც ცდილობენ მის დახმარებას.

სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების სათაურებში გამოჩნდა ისეთი სათაურები, როგორიცაა: „ანგელა მერკელის პოზიცია ლტოლვილების შესახებ ნიშნავს, რომ ის მარტო დარჩა კატასტროფის წინაშე“, „ანგელა მერკელი: უამრავი მტრები, ნაკლები მეგობრები“, და „მარტოდ დარჩენილი კანცლერი“. ეს სათაურები ნიშნავს იმას, რომ გერმანიას აღარ ჰყავს მოკავშირეები და მარტო ებრძვის ლტოლვილთა კრიზისს.[174]

თითქოსდა, გერმანია გახდა ევროპის თავშეკავებული ჰეგემონი ლტოლვილთა და სხვა კრიზისებთან დაკავშირებით და, მიუხედავად იმისა, რომ ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა ამ საკითხის მოსაგვარებლად, მას არც ისე ბევრი მიმდევარი ჰყავს. ეს ახლა გერმანიის სურათს ხატავს არა მხოლოდ ლტოლვილთა კრიზისის მოგვარების საკითხიდან გამომდინარე, არამედ გერმანიის ლტოლვილობის პოლიტიკასთან – ასევე როგორც მის მიზეზები და ძი-

[173] BBC, 2015a; 2015c Barkin, 2016

[174] Nardelli, 2015; Küstner, 2016; Wagstyl, 2016

რითად მოტივებს – როგორც საინტერესო და ღირსეულ მიდგომის შესასწავლად.[175]

ახალი თავშესაფრის პროცედურები

თავშესაფრის განაცხადების დიდი რაოდენობის გამო, გერმანიის მთავრობამ 2015 წლის ზაფხულში გადაწყვიტა, განაცხადის პროცესს დროის შემცირება და გამარტივება. ამ დაჩქარებული და შეკვეცილი განაცხადის აზრი იდო იმაში, რომ თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი სწრაფად და გამარტივებული წესით მიეღოთ გაჭირვებულ ხალხებს. კერძოდ კი, ევროკავშირის ქვეყნების ფარგლებში, რამდენიმე ქვეყანა დასავლეთ ბალკანეთში, როგორიცაა: ალბანეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, კოსოვო, მაკედონია, მონტენეგრო და სერბეთი, ისევე როგორც განა და სენეგალი.[176] გარდა ამ ქვეყნებისა, აგრეთვე დევნილებისთვის, მაგალითად, სირიელებისა და ერაყელებისთვის, რომელთა განაცხადებს სავარაუდოდ დადებითი პასუხი ექნება.

მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალური სააგენტოს (BAMF) მიერ გაწეული აპლიკაციის პროცედურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა BAMF-ის სამუშაო ძალის გაძლიერება და დამატება და ამ მიზნით 4000 ახალი თანამშრომელი დაიქირავა.

ინტეგრაცია, ფინანსური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარება (ISFD) – ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა დაფინანსება 2015 წლისთვის ერთი მილიარდი ევროთი გაიზარდა, ხოლო 2016 წლისთვის ექვსი მილიარდი ევრო იქნა გათვალისწი-

---

[175] Claudia Theresia Schmid, Germany's "Open-Door" Policy in Light of the Recent Refugee Crisis An Interpretive Thematic Content Analysis of Possible Reasons and Underlying Motivations, Linköping University | Department of Management and Engineering Master's thesis, 30 ECTS | MSSc International and European Relations Autumn 2016 | ISRN-number: LIU-IEI-FIL-A--16/02372— SE p.9

[176] BAMF, 2016b; Bundesregierung, 2016e

ნებული. ფინანსურ ღონისძიებებთან ერთად გაიზარდა სამუშაო ცენტრების ბიუჯეტები და საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება. ეს მიდგომები ხელს შეუწყობს ლტოლვილთა შესვლის საშუალებას გერმანულ შრომით ბაზარზე და, შესაბამისად, მათი დამოუკიდებლობა გერმანიის კეთილდღეობის სისტემისგან. მთავრობამ გადაწყვიტა შეღავათების შეზღუდვა იმ შემთხვევებში, თუ თავშესაფრის მაძიებლებმა უარი განაცხადა თანამშრომლობაზე მონაწილეობა მიიღონ ინტეგრაციის პროცესებში. აგრეთვე იყო შეთანხმება, რომ უზრუნველყოფილ იყოს უფრო მეტი არამატერიალური სარგებელი, ფედერალური პოლიციის მუშაობის გაძლიერება, გააუმჯობესოს თანამშრომლობა ფედერალური დასაქმების სააგენტოსა და 37 BAMF-ს შორის, და საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გაზრდის წელიწადში 400 მილიონი ევროს გაზრდის მიზნით.[177]

უფრო მეტიც, მთავრობამ უზრუნველყო დამატებითი თანხები სხვადასხვა სექტორში, რაც შეიძლება დაზარალდეს კრიზისით, მაგ. საცხოვრებელი და ჯანდაცვა, რათა ქვეყანაში ჩასული ლტოლვილების მაღალი რიცხვი დაასახლოს და დააბალანსოს.

თავშესაფრის მაძიებელთა რეპატრიაცია (RAS) – გერმანიის მთავრობამ დაიწყო ბალკანეთიდან ჩამოსულ იმ თავშესაფრის მაძიებელთა რეპატრიაცია, რომელთა განაცხადი უარყოფილი იქნა. უფრო მეტიც, მან გამოყო სპეციალური თანხები თავშესაფრის მაძიებელთა ნებაყოფლობითი დაბრუნების მხარდასაჭერად.

სუბსიდიები და ოჯახის გაერთიანების უფლება (SUBP) –2015 წლის ბოლოსკენ, გერმანიის მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა ახალი რეგულაციები – ოჯახის გაერთიანების უფლება თავშესაფრის მაძიებლებისათვის, რომლებსაც იმ დროისათვის მხოლოდ სუბსიდიური მხარდაჭერა მოიპოვეს. ეს ახალი რეგულაციები და აგრეთვე სუბსიდიური დაცვის სტატუსი მოგვიანებით სირიელ ლტოლვილებზეც გავრცელდა; თუმცა ამ რეგულაციებმა არ იმუ-

[177] Deutscher Bundestag, 2015d; Deutschlandfunk, 2015; FAZ, 2015

შავა.[178]

თავშესაფრის პაკეტი I (AP1) – 2015 წლის სექტემბრის ბოლოს, გერმანიამ გადაწყვიტა რამდენიმე ცვლილება მიეღო თავშესაფრის კანონში, რომელიც ძალაში, მოგვიანებით, იმავე წლის ოქტომბერში შევიდა. ამ ცვლილების ნაწილში, ზოგიერთი დასავლეთ ბალკანეთის რესპუბლიკები, მაგალითად, ალბანეთი, კოსოვო და მონტენეგრო ითვლება უსაფრთხო ქვეყნებად და შესაბამისად ამ ქვეყნის თავშესაფრის მაძიებლებს უწევდათ თავდაპირველი მიღება ადგილებში დარჩენა.[179] უფრო მეტიც, თავშესაფრის განაცხადი ამ ქვეყნების მოქალაქეებისაგან ზოგადად შეიძლება უარყოფილიყო, ყოველგვარ მიზეზისა და განმარტების გარეშე. ამათთვის განაცხადების მიღება ხდებოდა დაჩქარებული წესით რათა უფრო მალე გაეცათ უარყოფითი პასუხი და ისინი იძულებულნი იქნებოდნენ დატოვონ თავდაპირველი მიღება ადგილი. მათ თავდაპირველ ჩაბარებულ ადგილას უფლება ჰქონდა მხოლოდ მაქსიმუმ 6 თვემდე ყოველგვარი ბენეფიტების გარეშე.[180]

ეს მიზნად ისახავდა იმ ხალხის ეკონომიკურ დახმარებაზე უარის თქმა, ვინც თავის ქვეყნებში განიცდიდა ფინანსურ სიდუხჭილეს. იმისათვის რომ, უარ მიღებულმა თავშესაფრის მაძიებელმა არ მიიმალოს გერმანიაში, მის დეპორტაციას წინასწარ არ აცხადებდნენ. კიდევ ერთი ცვლილება კანონში მიიღო გერმანიის მთავრობამ ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით: თავშესაფრის მაძიებელთათვის ვისაც სანსი აქვს რომ მიიღოს ცხოვრების ნებართვა შესთავაზებენ ინტეგრაციისა და გერმანული ენის კურსების, ასევე მათ ექნებად შრომის ბაზარზე შესვლისა და სამუშაო ადგილებისა და სტაჟირების ხელმისაწვდომობა.

თავშესაფრის პაკეტი II (AP2) – 2016 წლის თებერვლის დასაწყისში, გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა შემდგომი ცვლილებები

---

[178] Focus Online 2015; Zeit Online; 2015

[179] Pro Asyl. 2015; Riemer, 2015; Spiegel Online, 2015c

[180] Pro Asyl. 2015; Riemer, 2015; Spiegel Online, 2015c; Tagesschau, 2015

მიეღო თავშესაფრის კანონში, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის მარტში. თავშესაფრის პაკეტის II-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო რამდენიმე მიმღები ცენტრის შექმნა, რომლებიც აშენდებობა მთელს ქვეყნის მაშტაბით, მინიმუმ ორი მათგანი გაიხსნებოდა ბავარიაში. სხვა ცვლილებები შეიცავდა შემდგომი დებულებების შექმნას მოკლე და სწრაფი გამოყენების პროცედურის უზრუნველსაყოფად. ეს უფრო ამარტივებდა იმ ლტოლვილების დეპორტაციას ვისაც ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა, და იმათი ვინც უარს აცხადებდა თანამშრომლობაზე და ინტეგრაციაზე. მთავრობამ აგრეთვე შეკვეცა ბენეფიტები იმათთვის ვინც უარც აცხადებდა თანამშრომლობაზე, აფედან გამომდინარე თავშესაფრის მაძიებელს თვითონ უწევდა ენების კურსის გადასახადის ნაწილობრივ დაფარვა.

ინტეგრაციის აქტი (IA) – 2016 წლის დასაწყისში, გერმანიის მთავრობამ შეიმუშავა ახალი ზომები, რათა ხელი შეუწყოს და გააგრძელოს ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა ინტეგრაცია ქვეყანაში. ეს დაგეგმილი ინტეგრაციის აქტი იქნება პირველი ფედერალური კანონი ინტეგრაციის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს რაც შეიძლება მეტ ადამიანის ინტეგრაციას შრომით ბაზარზე და საზოგადოებაში. საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად, მთავრობამ დაგეგმა რამდენიმე ათასი „ერთ ევრიანი სამსახური“ დასაქმების მიზნით, რათა მოხდეს გერმანიის შრომის ბაზარზე ახალჩამოსულების ნელ-ნელა შესვლა.[181]

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელს, რომელსაც აქვს კარგი ქვეყანაში დარჩენის პერსპექტივები მიიღებს დამატებით საგანმანათლებლო დახმარების. იმათ შესაძლებლობა ექნებათ დაიწყონ საგანმანათლებლო პროგრამები უფრო ადრე, გერმანიში ჩასვლიდან 3 თვის შემდგომ. უფრო მეტიც, მთავრობის მიზანია, მსგავსი დევნილები უზრუნველყოს უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილებით. პრიორიტეტების საკანონმდებლო გადამოწმება, რომლის

[181] Bundesregierung, 2016c; Deutscher Bundestag, 2016e; Tagesschau, 2016b

მიხედვითაც, ლტოლვილთა დასაქმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიისა და ევროკავშირის შესაბამისი აპლიკანტები არ არსებობს.

შენგენის შეთანხმება (SA) – 2015 წლის სექტემბერში გერმანიამ შიდა საზღვრების კონტროლისა და პასპორტების ინსპექტირება შემოიღო, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გერმანია-ავსტრიის საზღვარს. ამის შედეგად, შენგენის შეთანხმება დროებით შეჩერდა. გერმანია აცხადებდა, რომ ეს ზომები იქნა მიღებული უსაფრთხოების მიზნით და შეზღუდოს ლტოლვილთა ნაკადის რაოდენობა, ასევე, რომ უფრო სწორად და ორგანიზებულად დაიცვას შემოსვლის პროცედურები. ქვეყანაში ლტოლვილების უწყვეტი ნაკადების გამო, 2016 წლის თებერვალში მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ეს სასაზღვრო კონტროლი 2016 წლის მაისამდე გაგრძელებულ იყოს.[182]

სირიაში ომის მსხვერპლად მოქცეული ხალხის დახმარება (AVWS) – 2012 წლიდან 2015 წლამდე, გერმანიამ სირიაში ომის მსხვერპლთათვის ერთი მილიარდი ევროს დახმარება გამოყო. კანცლერმა, ანგელა მერკელმა გამოაცხადა, რომ მზად არის შემდგომი 2.3 მილიარდი ევრო გამოყოს 2016 წლიდან 2018 წლამდე. იმავე წელს გერმანიის მთავრობამ ერთი მილიარდი ევრო დახარჯა ჰუმანიტარული დახმარების პროგრამებზე, მათ შორის მსოფლიო სასურსათო პროგრამაზე, რომელიც 570 მილიონ ევროს მიიღებს, რაც ხელს შეუწყობს და დაეხმარა სირიის კონფლიქტის მსხვერპლთა დახმარებას.[183]

გერმანია ასევე ხელს უწყობს „პარტნიორობა პერსპექტივების“ პროგრამას, და „სირიის აღდგენის ნდობის ფონდი“, რითაც ეხმარება მაგალითად სამუშაო ადგილების შექმნას რეგიონში, ან დააფინანსოს ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები.[184] ახლო აღმოსავლეთის დახმარების ღონისძიებები ასევე მოიცავს საგარეო

---

[182] 2016; Reuters, 2016; von der Burchard, 2016

[183] Deutscher Bundestag, 2015b; Bundesregierung, 2016g, Ständige Vertretung Rom, 2016

[184] Bundesregierung, 2016g, Ständige Vertretung Rom, 2016

საქმეთა სამინისტროს აღნიშნული ბიუჯეტის ზრდას წელიწადში 400 მილიონი ევროთი, ფრენებისთვის და ასევე ევროკავშირთან ერთობლივი ჰუმანიტარული დახმარების მიზნით.[185]

ანტი-ლტოლვილთა განცდა (ANTI) – იმავდროულად, როდესაც გერმანიამ თავისი საზღვრები გახსნა ლტოლვილთა დიდი რაოდენობისთვის, და გულისხმიერად მიიღო ეს ხალხი, მემარჯვენეებმა გამართეს პროტესტი და მოითხოვეს გერმანიის ისლამიზაციიდან დაცვა. გაიზარდა მიგრანტთა თავშესაფრებზე თავდასხმების რაოდენობა და ქვეყნის ნაწილში გავრცელდა ანტი-მიგრანტული პროპაგანდა.[186] ამ შეუწყნარებლობისა და ძალადობის ინციდენტებმა წარმოაჩინეს გერმანიის რადიკალიზაცია და ანტი-ლტოლვილთა განწყობილება.

დემოგრაფია და ეკონომიკა (DE) – დებატების შედეგად გამოვლენილი კიდევ ერთი თემა იყო დემოგრაფიული განვითარების თემა და ქვეყნის შრომის ბაზარი და ეკონომიკა.[187]

გერმანიის მოსახლეობა მცირდება და შედეგად თანაფარდობის დამოკიდებულება იზრდება, ანუ, ამ საკითხის მთავარი არსი იმაშია, რომ ხანდაზმული ადამიანები ქვეყანაში უფრო მეტია, ვიდრე ახალგაზრდა საშემოსავლოს გადამხდელი. შედეგად, მთავრობის ხარჯები, მაგალითად, პენსიებისა და ჯანმრთელობისთვის, სავარაუდოდ, უახლოეს ათწლეულებში გაიზრდება.

უფრო მეტიც, მოსალოდნელია, რომ 2050 წლამდე ქვეყანში შემოსული მიგრანტის რიცხვმა წელიწადში ნახევარი მილიონი შეადგინოს, რამაც შეიძლება შემდგომში სამუშაო ძალის სტაგნაცია გამოიწვიოს. სხვადასხვა პარტიების პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ გერმანიის ეკონომიკის გადარჩენისთვის მიგრაცია ძალიან მნიშვნელოვანია და დიდი რაოდენობის მიგრანტების მიღება ქვეყნის გრძელვადიან პერსპექტივაში ძალიან სასარგებლოა, რადგან რო-

---

[185] Deutscher Bundestag, 2015d; Deutschlandfunk, 2015; FAZ, 2015; Bundesregierung, 2016; 2016g

[186] BBC, 2015a; BBC 2016b; BBC, 2016c; Hill, 2016

[187] Deutscher Bundestag; 2015b; 2016b; Grammaticas, 2015; Hewitt, 2015a; Preston, 2015

გორც კი მათი ინტეგრაცია მოხდება საზოგადოებაში და სამუშაო ბაზარში ისინი დაეხმარებიან ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

გარდა ამისა, ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ მილიარდობით ევრო, რომელიც ირიცხება ადგილობრივ კომპანიებსა და განათლების, ჯანმრთელობის, თავდაცვის სერვისების, მიგრანტების დასახლების კომპანიებსა და სხვა სოციალურ პაკეტებში გერმანიას დაუბრუნდება გაზრდილ პროპორციებში.[188]

უფრო მეტიც, ლტოლვილთა შემოდინება (განსაკუთრებით ახალგაზრდა პროფესიონალი მუშაკების) არის კარგი შანსი ბიზნესისთვის. გერმანიის დაბალი უმუშევრობის დონის გამო, ზოგიერთ კომპანიასა და სექტორს არ შეუძლია შეავსოს სამუშაო ადგილები, რის შედეგადაც, შეიძლება ითქვას, შრომის ბაზარზე არსებობს მუშახელის მაღალი მოთხოვნა, რაც შეიძლება მოგვარდეს ლტოლვილთა შემოდინებით, ძირითადად ახალგაზრდა მოტივირებული ახალგაზრდებით, ვისაც მუშაობის სურვილი აქვს.

უფრო მეტიც, ლტოლვილები შემოიტანენ ახალ სამეწარმეო სულისკვეთებას, რადგან იქაც მკვეთრად იგრძნობა ახალაგაზრდების მოთხოვნა, ვინაიდან არსებული კომპანიების რაოდენობა იკვეცება ყოველ წელს ბოლო დეკადების განმავლობაში.

თუმცა, ზოგი პოლიტიკოსი და საჯარო მოხელე ამტკიცებს, რომ ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალია. აგრეთვე მოსახლეობაში არსებობს შიში იმისა, რომ ლტოლვილები მათ სამუშაო ადგილებს დაიკავებენ, ვინაიდან უფრო დაბალ ანაზღაურებაზე დათანხმდებიან.[189]

ზოგი კი იძახის, რომ არსებული სამართლებრივი პროცესების, ენობრივი ბარიერის და პროფესიული კვალიფიკაციის დადასტურების გამო მიგრანტებს გაუჭირდებათ საზოგადოებაში და შრომის ბაზართან ინტეგრაცია, რაც დიდ ტვირთად დააწვება გერმანიის

---

[188] Deutscher Bundestag, 2015b; Hewitt, 2015a; McGuiness, 2015b; Nienaber 2015; Nasr, 2016

[189] Beitzer, 2015; Deutscher Bundestag, 2015b; McGuinness, 2015b; Nye, 2015

მთავრობას.[190]

დანაშაული, უსაფრთხოება და ტერორისტული მუქარა (CSTT) – ზოგიერთი პოლიტიკოსის განაცხადებით დიდი რაოდენობის ლტოლვილის მიღება ემუქრება ეროვნულ უსაფრთხოებას, ვინაიდან მათ მოყვება შიდა, ანუ ერთმანეთთან კონფლიქტები და რაც მთავარია, ლტოლვილებთან ერთად შესაძლოა ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები ან სხვა ტერორისტები შევიდნენ ქვეყანაში და სულ მცირე ეცდებიან ზეგავლენა მოახდინონ იქ დასახლებულ მუსლიმ საზოგადოებაზე და უბიძგონ მათ რადიკალიზაციისკენ.[191]

ექსპერტები, აგრეთვე, ვარაუდობენ კრიმინალური მაჩვენებლების ზრდას, რადგან სხვადასხვა კულტურის ხალხს გაუჭირდება დაემორჩილოს გერმანიის კანონებს. აგრეთვე, დანაშაულის რაოდენობა გაიზრდება ლტოლვილების მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამო. მხოლოდ 2015 წელს, თავშესაფრის მაძიებელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა, რაც საგანგაშოდ მიიჩნევა. ამ დინამიკის შეცვლის ან სულ მცირე, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ეს პოლიტიკოსები უფრო მკაცრ კონტროლსა და პოლიტიკის შეცვლას მოითხოვენ.[192] ვინაიდან მთელი ევროპული ცივილიზაცია ისლამური საფრთხის მოლოდინშია. ამ საფრთხეს საფუძველი დაედო 2011 წელს. თუმცა თუ გავიხსენებთ აშშ-ს პრეზიდენტის ბილ კლინტონის სიტყვებს „ფანატურ დაჯგუფებების საქმიანობა ვერ განსაზღვრავს მთელ ისლამურ სამყაროს“

---

[190] Claudia Theresia Schmid, Germany's "Open-Door" Policy in Light of the Recent Refugee Crisis An Interpretive Thematic Content Analysis of Possible Reasons and Underlying Motivations, Linköping University | Department of Management and Engineering Master's thesis, 30 ECTS | MSSc International and European Relations Autumn 2016 | ISRN-number: LIU-IEI-FIL-A--16/02372— SE p.68

[191] Beitzer, 2015; Deutscher Bundestag, 2015b; Hewitt, 2015b; Nye, 2015; Severin & Copley, 2015; Copley, 2016b; Elitz, 2016

[192] Claudia Theresia Schmid, Germany's "Open-Door" Policy in Light of the Recent Refugee Crisis An Interpretive Thematic Content Analysis of Possible Reasons and Underlying Motivations, Linköping University | Department of Management and Engineering Master's thesis, 30 ECTS | MSSc International and European Relations Autumn 2016 | ISRN-number: LIU-IEI-FIL-A--16/02372— SE p.46

[5], მაშინ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ თვით ისლამი სულაც არ არის ბოროტების მქადაგებელი რელიგია. მას ახასიათებს ტოლერანტობა ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ელემენტარული ინდიფერენტულობა, ხოლო რაც შეეხება ფანატურ დაჯგუფებებს, რა თქმა უნდა, მათი წევრები მუსლიმები არიან, მაგრამ ისინი ისლამის ნორმებს არა სწორედ ინტერპრეტირებენ და იყენებენ თავიანთ ბოროტ საქმიანობებში. აქვე აღსანიშნავია, რომ ექსტრემიზმის და ფანატიზმის ინციდენტებში ფიგურირებენ არა მხოლოდ მუსლიმანი, არამედ სხვა რელიგიის წარმომადგენლებიც.

კულტურების შეჯახება (CC) – პოლიტიკოსები კამათობენ იმაზე, რომ გერმანიამ უნდა შეწყვიტოს ლტოლვილებისა და მიგრანტების მიღება, რადგან არსებობს სერიოზული კულტურების შეჯახების საფრთხე. უფრო მეტიც, უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ლტოლვილები საფრთხეს შეუქმნიან დასავლეთისა და გერმანიის იდენტობის ღირებულებებს, ნორმებსა და კანონებს. ისინი იმიზეზებენ იმ ფაქტს, რომ ევროპაში ჩამოსულ თავშესაფრის მაძიებლებს განსხვავებული კულტურა და ნორმატიული ფონი აქვთ. ასე, რომ ძალიან რთული და პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება მათი ინტეგრაცია ევროპული ნორმატივებში, სტანდარტებში და ღირებულებების გაზიარებაში.[193] უფრო მეტიც, ისინი წინასწარ მეტყველებენ, რომ ამ ხალხის მულტიკულტურალიზმში გარევის მცდელობა კრახით დამთავრდება. და ეს პოლიტიკოსები ნეგატიური შედეგების მოლოდინში არიან, მაგალითად, უგულებელყოფა და ევროპული და გერმანიის კულტურის დარღვევა, რის შედეგადაც ძალადობრივი კულტურული კონფლიქტები მოყვება, მოსახლეობის მთლიანი სოციალური დაყოფა და ზოგადი დიფუზია მოხდება. ლტოლვილთა კრიზისი არა მხოლოდ ქვეყნისთვის საკმაოდ გამოწვევად აღმოჩნდება, არამედ რთულად მოგვარებად პრობლემად გადაიქცევა. ამიტომ, ეს პოლიტიკოსები ითხოვენ ლტოლვილთა პოლიტიკის შეცვლას. უფრო მეტიც, საზოგადოებრივი წევრები

[193] Deutscher Bundestag, 2015d; 2016a; Martin & Barkin, 2015, Adler, 2016

ამბობენ, რომ ისინი ამ ხალხისგან არ ელოდებიან სოციალურ ინ-ტეგრაციას, ვინაიდან ისინი უფრო ომებს და ქაოსს არიან შეჩვეულ-ნი, ვიდრე მშვიდობას და მათთვის ისეთი ცნებები, როგორიცაა: მშვიდობა, ტოლერანტობა, წესრიგი და კეთილდღეობა უცნობია.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საზოგადო მოღვაწე მაინც მიიჩნევს, რომ ლტოლვილების დახმარება და თავშესაფარის მიცემა აუცილებელია, არსებობს მზარდი სკეპტიციზმი იმის შესახებ, თუ როგორ განვითარება სიტუაცია მომავალში და რამდენად მშვი-დობიანი იქნება კულტურების შერწყმა. აგრეთვე ზოგიერთის მო-საზრებით, არსებობს კონტროლის დაკარგვის საფრთხე, ანუ ხელი-სუფლებამ შესაძლოა დაკარგოს კონტროლი საერთოდ არსებულ სი-ტუაციაზე. ამ მიზნით აღმოსავლეთ გერმანიაში ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩებში პროტესტით ლტოლვილების წინააღმდეგ, მათ ამ პროტესტს „დასავლეთის ისლამიზაცია“ დაარქვეს.

თავშესაფრის ბოროტად გამოყენება (AA) – ქდკ/ქსკ პარტიის წევრები და მათი თავმჯდომარე Horst Seehofer ამტკიცებენ, რომ მიგრანტები და ლტოლვილები თავიან საკეთილდღეოთ ჩამოდიან გერმანიაში, ისინი თავშესაფარს კი არა ეკონომიკურ ბენეფიტებს ეწებენ. ამ პარტიის წევრები შიშობენ, რომ თუ ამ ჩამოსულებს გრძელვადიან დახმარებებს და საცხოვრებლებს უზრუნველყოფენ უფრო მეტ მიგრანტებს და თავშესაფრის მაძიებლებს მოიზიდავენ და ეს ერთგვარი „მოზიდვის ფაქტორი“ იქნება. ისინი ამბობენ რომ, ეს მოიზიდავს უსაფრთხო ქვეყნების მოქალაქეებსაც კი. ასეთ რაო-დენობის ჩამოსულ ხალხთან, რომელთაგან ზოგი თავისი კეთილ-დღეობის მაძიებელია და ზოგი კი – თავშესაფრის, გერმანიას გამკ-ლავება ძალიან გაუჭირდება და ეს ქვეყანას ნეგატიულ შედეგებს მოუტანს. ამის შედეგად ლტოლვილთა და მიგრანტთა პოლიტიკა ქვეყანაში აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავას-კვნათ, რომ ღია კარის პოლიტიკის შედეგად, გამოიწვია გერმანიის პოლიტიკოსთა აზრთა სხვაობა და ერთგვარი. უფრო მეტიც შეგვიძ-ლია ვთქვათ, რომ იდენტურობა და ეროვნული ინტერესები და

შესაძლებლობები თამაშობდა დიდი როლს ლტოლვილების პოლიტიკისა და პოლიტიკური დისკურსის ჩამოყალიბებაში. საერთო ჯამში კი გერმანიის გადაწყვეტილება დაახლოებით ერთი მილიონი ლტოლვისილ მიღებაზე იყო იდენტურობის კონტექსტზე დაყრდნობით, ანუ მისი ნორმატიული, ეროვნული, მორალური, ისტორიული და ჰუმანიტარული სტანდარტების მიხედვით. პოლიტიკა აგრეთვე წარმოადგენდა რიგი შესაძლებლობები, რომელთა დიდი პოტენციალიც შეესაბამებოდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსა და შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დადგინდეს, რომ ქვეყნის უაღრესად სანდო მორალური იდენტურობა შეესაბამება ეროვნულ ინტერესებს, გერმანიმ შეძლო თანმიმდევრულად მიჰყოლოდა და განეხორციელებინა კეთილგანწყობის ლტოლვილთა და მიგრანტთა პოლიტიკა.

ამდენად, ის შეიძლება განისაზღვროს, რომ გერმანიის პოლიტიკის მიდგომის მიზეზები შეიძლება იყოს დაკავშირებული, ღირებულებებთან, ნორმებთან და პირადობის საკითხებთან, სახელმწიფო ინტერესებსა და შესაძლებლობების საკითხებთან.

უფრო კონკრეტულად, გერმანიის იდენტურობის ახალი ნაწილი უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ამჟამინდელი ლტოლვილის კრიზისის ფონზე და გამოიწვია დისკუსიები გერმანიის ლტოლვილთა პოლიტიკის შესახებ. გერმანიის იდენტურობა ასევე განსაზღვრავს ევროკავშირის ძირითად ღირებულებებს, როგორიცაა სოლიდარობა სხვა ქვეყნებთან და ადამიანის უფლებათა დაცვასთან. გერმანიის იდენტურობა აგრეთვე შექმნილია გამჭვირვალობით, მულტიკულტურალიზმითა და ჰუმანურობით. გერმანიის იდენტობის ამ ახალი განსაზღვრის მარეგულირებელი ასპექტები, რომლებიც უკავშირდება ქრისტიანულ და დასავლურ ღირებულებებებს და კულტურულს იდეალებს, დიდი გავლენა მოახდინა ლტოლვილთა კრიზისის დებატებზე და, შესაბამისად, უკავშირდებოდა მთავრობის ლტოლვილთა პოლიტიკას.

რაც შეეხება ფანატურ დაჯგუფებებს, რა თქმა უნდა, მათი წევრები მუსლიმები არიან, მაგრამ ისინი ისლამის ნორმებს არა

სწორედ ინტერპრეტირებენ და იყენებენ თავიანთ ბოროტ საქმიანობებში. აქვე აღსანიშნავია, რომ ექსტრემიზმის და ფანატიზმის ინციდენტებში ფიგურირებენ არამხოლოდ მუსლიმანი, არამედ სხვა რელიგიის წარმომადგენლებიც. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა თავშესაფრის მაძიებელს და ისლამის მიმდევარ ემიგრანტს ქვეყნისათვის და მთელი ევროპისთვის საშაში ადამიანი უწოდო და ამ მიზეზით არ მიიღო ქვეყანაში, მითუმეტეს თუ ეს ხალხი ომს და კონფლიქტურ სიტუაციებს გამოექცნენ და თვითონ უსაფრთხოების ძიებაში მიადგა უცხო ქვეყანას.

ხმელთაშუა ზღვის მარშრუტით მოგზაურობა: რისკები და გამოწვევები

მიგრაცია შეიძლება აღინიშნოს, როგორც უძველესი ფენომენი, თუმცა ხმელთაშუა ზღვაზე არარეგულარული მიგრანტების მასობრივი მოძრაობა ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მიმღები ქვეყნები გამოხატავენ შეშფოთებას იმის გამო, რომ ისინი ვერ შეძლებენ გაუმკლავდნენ თავიანთი ტერიტორიის არალეგალურ მიგრანტთა დიდ რაოდენობას. რა თქმა უნდა, ეს შეშფოთება უსაფუძვლო არ არის, ვინაიდან ევროპის ქვეყნებში არალეგალური მიგრანტების წელიწადში საშუალოდ 49,000 შეადგენს, რასაკვირველია მათი უმეტესი ნაწილი ხმელთაშუაზღვის ქვეყნებზე მოდის, ვინაიდან ისინი ძირითადად ზღვის საშუალებით, გემებით გადადიან. ამ არალეგალური პროცესის გამკლავება ძალიან რთულია და სახელმწიფოებრივი რესურსები ხშირად ლიმიტირებულია. მეორე არანაკლები პრობლემას წარმოადგენს ამ შემოსული ხალხის ინტეგრაცია, რაც ზოგ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია კულტურული და რელიგიური განსხვავებების გამო, და სერიოზულ ნიადაგს უქმნის რადიკალიზაციას. ეს ხალხი რჩება უმუშევრად რაც გარკვეულ ფინანსურ პრობლემებსაც უქმნის ევროპის მიმღებ

ქვეყნებს. ეს აღნიშნული მიზეზები და 9/11-ის შემდეგ უსაფრთხოების საკითხების გაზრდა ევროპის ქვეყნებს აიძულებს მოფრთხილებით მიუდგან მიგრანტების მიღების საკითხს. იმისათვის, რომ უარყონ არალეგალური მიგრანტების მიღება, სახელმწიფოები ამკაცრებენ საზღვრების კონტროლს, რაც ხმელეთზე უფრო ადვილი შესაძლებელია, ვიდრე – ზღვაში, აქ სახელმწიფოებმა ძირითადად შეიმუშავეს კონკრეტული გემების გადაადგილების აკრძალვა ან შეზღუდვა. ამან სერიოზული ჰუმანიტარული შეშფოთება გამოიწვია, ვინაიდან არსებული რეალობიდან გამომდინარე, ეს მიგრანტები შესაძლოა ლეგალური თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები აღმოჩნდნენ. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა, არის თუ არა ეს სახელმწიფო პრაქტიკა ადამიანის უფლებათა დარღვევა?

ინფორმაციას ცენტრალური ხმელთაშუა მარშრუტის შესახებ ლტოლვილები და მიგრანტები იღებენ სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის თავიანთი თემების წევრებისგან და ნაცნობებისაგან, ვისაც უკვე გადაკვეთილი აქვს ეს მარშრუტი. აგრეთვე, გარკვეულ ინდივიდებისაგან და ჯგუფებისგან.[194]

ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სოციალური მედიის პლატფორმებთან ერთად, ხელს უწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და გავრცელებას მთელ ქსელში. მიგრანტები და ლტოლვილები, რომლებიც აღწევენ ევროპას ხშირად ურეკავენ, უმესიჯებენ სოც. მედიის საშუალებით, რათა დაეკონტაქტონ თავის ახლობლებს, მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, ვინც დარჩა ლივიანში და უყვებიან თავის მოგზაურობაზე და ასწავლიან ევროპაში გადასვლის გზებსა და მეთოდებს. ეს ინფორმაცია საკმაოდ სწრაფად ვრცელდება მთელ საზოგადოებაში, თუმცა მიუხედავად თანამედროვე ტექნოლოგიებისა, კლევებმა გვაჩვენეს, რომ ლტოლვილების დიდი ნაწილი იწყებს თავის მოგზაურობას

[194] Altai Consulting, “Migration Trends across the Mediterranean: Connecting the Dots,” and “Mixed Migration: Libya at the Crossroads.”

ძალიან მცირე ინფორმაციული ბაგაჟით, ძირითადად იმ მიზნით, რომ მათ არ სურთ გააცნობიერონ რა სირთულეების წინაშე დადგებიან ისინი. უფრო მეტიც, ისინი ვინც, უკვე მაინც ჩავიდა ევროპაში ცდილობს, რომ არ გაავრცელოს საშიში ინფორმაცია, რათა არ შეაშინოს თავისი ახლობლები. მათ არ უნდათ ნეგატიური ზეწოლა მოახდინონ თავიანთ ახლობლებზე. აგრეთვე კვლევებმა გვაჩვენებს, რომ ნეგატიური ინფორმაცია უფრო სწრაფად და ადვილად ვრცელდება მიგრანტებში, ვიდრე ლტოლვილებში, ვინაიდან ლტოლვილები უფრო ცოტა დროში ტოვებენ თავის სახლებს და არ აქვთ გადაწყვეტილების მიღებისათვის დიდი დრო და რასაკვირველია სხვა გამოსავალი. უფრო მეტიც, დანიშნულების ადგილას ჩასულნი, მათ ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ შეზღუდული და ნაკლებად აქვთ ხელმისაწვდომი ინფორმაციულ ტექნოლოგიები.[195] იმავე დროს, როცა მიგრანტები ძირითადად ეკონომიკური მიზნით ჩასულნი, არ არიან დროში შეზღუდულები და კარგად აქვთ დაგეგმილი გადაადგილება.

ჩრდილოეთ აფრიკიდან ევროპაში ცენტრალური ხმელთაშუა ზღვის მარშრუტის გავლით მოგზაურობის პირობები განსხვავდება მარშრუტის მიხედვით, წელიწადის დროის, უსაფრთხოების მდგომარეობს, პოლიტიკური მოვლენებისა და კონტრაბანდისტების პირობების (იმ ადამიანების, ვინც დაპირდა მათ გარკვეული თანხის საფასურად ევროპაში გადაყვანას) მიხედვით. მოგზაურს თვითონ უწევს საკვებზე ზრუნვა, თუმცა ის დაპირებულია, რომ უზრუნველყოფილი იქნება მოგზაურობის პერიოდში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია თქვათ, რომ ისედაც ძალზე რთული მოგზაურობის დროს, უსაკვებოდ და უწყლოდ (აქ გასათვალისწინებელია ჰაერის მაღალი ტემპერატურა), ადამიანები ხშირად ხდებიან შეუძლოდ და ავად, და ხშირ შემთხვევაში ამ დროს ე.წ. აგენტები შუა გზაში

[195] Altai Consulting, “Migration Trends across the Mediterranean: Connecting the Dots,” and “Mixed Migration: Libya at the Crossroads.”

ტოვებენ და არ მიჰყავთ დანიშნულების ადგილამდე.[196]

ადამიანთა კონტრაბანდა ჩრდილოეთ აფრიკასა და ევროპას შორის ხორციელდება დახვეწილი ტრანსნაციონალური ქსელების მეშვეობით, სადაც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები და კერძო პირები აწარმოებენ ათასობით კაცის, ქალისა და ბავშვის უკანონო მიგრაციას გაუსაძლის პირობებში.

კონტრაბანდისტები მართავენ ადამიანების ტრეფიკინგს, რამაც ადვილა სესაძლოა გამოიძვიოს ადამინაის კიდნაპინგი, ანუ გატაცება და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფორმები, როგორიცაა სექსუალური ექსპლუატაცია და ა.შ.[197]

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ცენტრალური ხმელთაშუა მარშრუტის გასწვრივ ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2013-2014 წლებში მხოლოდ იტალიაში ჩამოსულ ქალთა რიცხვი, რომლებიც ითვლებიან სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლად, 300 პროცენტით გაიზარდა.[198] არსებობს ასევე ასეთი გავრცელებული ინფორმაცია, რომ ტრფიკინდის მსხვერპლად ცნობილი ადამიანები, ლტოლვილები და მიგრანტები არიან ნაწამები, რათა უფრო მეტი ფული გადაახდევინონ მათ.[199] აქვე აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობა

---

[196] Altai Consulting, "Irregular Migration between West Africa, North Africa and the Mediterranean," IOM, 2015, available at www.altaiconsulting.com/insights/irregular-migration-between-west-africa-north-africa-and-the-mediterranean/

[197] It is important to note the difference between smuggling and trafficking. Smuggling is defined as "the procurement, in order to obtain, directly or indirectly, a financial or other material benefit, of the illegal entry of a person into a State Party of which the person is not a national or a permanent resident." Trafficking is defined as "the recruitment, transportation, transfer, harboring or receipt of persons, by means of the threat or use of force or other forms of coercion, of abduction, of fraud, of deception, of the abuse of power or of a position of vulnerability or of giving or receiving of payments or benefits to achieve the consent of a person having control over another person, for the purpose of exploitation." UN Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, Supplementing the UN Convention against Transnational Organized Crime, 2000, Art. 3(a).

[198] Altai Consulting, "Migration Trends across the Mediterranean: Connecting the Dots."

[199] Altai Consulting, "Mixed Migration: Libya at the Crossroads."

იძირება ზღვაში და ზოგ შემთხვევაში მათი გადარჩენა ვერ ხერხდება.

სამაშველო ოპერაციები ხმელთაშუა ზღვაში

როგორც უკვე ავღნიშნეთ თავშესაფრის მაძიებელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა იძირება ზღვაში და მათი გადარჩენა ზოგ შემთხვევაში ვერ ხერხდება. ამიტომაც, რომ გააძლიერონ ევროკავშირის რეაგირება ზღვის სიკვდილიანობის მაღალ მაჩვენებლებზე, იტალიამ ევროკავშირს ფინანსური დახმარება მოსთხოვა, რათა განახორციელოს სამაშველო ოპერაციები ზღვაში. ამ მიზნით დაარსდა სამაშველო ოპერაცია „ტრიტონი“ (Operation Triton), (რასაც წინ უძღვნიდა სამაშველო ოპერაცია სახელად „მარე ნოსტრუმ“ Mare Nostrum). ეს ოპერაცია ითვალისწინებდა გაფართოებული საოპერაციო არეალს და გაზრდილ მიგრაციულ ბიუჯეტის პოლიტიკას რაც დააყენეს ევროპული დღის წესრიგის.

ოპერაცია „მარე ნოსტრუმი“ (Mare Nostrum) ერთწლიანი საერთაშორისო საზღვაო და საჰაერო ოპერაცია, რომელის ტარდებოდა იტალიის და მალტის ძღვებში, ხმელთაშუა ზღვის საზღვაო უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, ამახვილებდა ყურადღებას საძიებო-სამაშველო ოპერაციებზე და კონტრაბანდისტული ქსელების ჩაშლაზე. ამ ოპერაციის საშუალებით მინიმუმ 150,000 ლტოლვილი და მიგრანტები უსაფრთხოდ ჩამოვიდნენ ევროპულ სანაპიროებზე.[200] ვინაიდან ეს ოპერაცია აღმოჩნდა წარმატებული, იტალიის მთავრობამ ოპერაციის გაგრძელებისთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სთხოვა დაფინანსება, მაგრამ ევრო კავშირისაგან მან 1.8 მილიონი ევროს გარდა არ მიიღო სხვა ფინანსური დახმარება, რამაც იტალიის გამოყოფა გამოიწვიან 2014 წლის ოქტომბერს. ამიტომაც, როდესაც ოპერაცია ტრიტონმა (Triton) ცაანაცვლა წინა მორბედი ოპერაცია „მარე ნოსტრუმ“-ი (Mare Nostrum), მას ჰქონდა

[200] International Organization for Migration, “IOM Applauds Italy’s Live-Saving Mare Nostrum Operation: ‘Not a Migrant Pull Factor.’”

ყოველთვიური ბიუჯეტი მხოლოდ 2.9 მილიონი ევრო. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციას ჰქონდა სასაზღვრო ოპერაციების შესრულების მანდატი, მისი საოპერაციო სპექტრი იტალიიდან მხოლოდ ოცდაათი საზღვაო მილის ფარგრებში გავრცელდა. [201]

ტრეფიკინგისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა

ევროპულ მიგრაციის დღის წესრიგში დადგა კონტრაბანდისა და კონტრაბანდის ქსელების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, რის შედეგადაც შეიმუშავეს და შემოიღეს ევროკავშირის სამოქმედო გეგმა მიგრანტებით კონტრაბანდის წინააღმდეგ (2015-2020) ევროკავშირის, და აგრეთვე ლტოლვილების დაბრუნების ევროკავშირის სამოქმედო გეგმის საერთო რეკომენდაციები, სახელად „დაბრუნების სახელმღვანელო“ (Return Handbook). ეს ღონისძიებები ტარდებოდა რეადმისიის ფარგლებში და მიზნად ისახავდა მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების გაბრუნებას, რომლებიც არალეგალურად შედიან ევროპის ქვეყნებში და არ სურთ ოფიციალური რეგისტრაცია.[202]

ტრეფიკინგისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი ქმედებები განხორციელდა ოპერაცია სოფია-ს (Sophia) ნაწილად, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ევროკავშირის საზღვაო ძალების ოპერაცის ხმელთაშუა ზღვის აუსზში, რომელსაც აქვს იმ გემების აყვანის, შემოწმების, ჩამორთმევის და უკან დაბრუნების უფლება რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ადამიანის ტრეფიკინგში.[203] ამ მისიის მიზანია ხელი შეუშალოს კონტრაბანდულ მარშრუტებს და ტრეფიკინგს ევროკავშირის კრიზისული მიდგომის პოლიტიკურ ჩარჩოზე დაფუძნებული. ამის მიღწევისათვის, ოპერაცია

---

[201] Managing Mixed Migration: The Central Mediterranean Route to Europe, DESPERATE MIGRATION SERIES NO. 3 LISKA WITTENBERG, by International Peace Institute, 2017 All Rights Reserved

[202] Carrera, et al., “The EU’s Response to the Refugee Crisis.”

[203] European Council, “EUNAVFOR Med: EU Agrees to Start the Active Phase of the Operation against Human Smugglers and to Rename it ‘Operation Sophia,’” press release, September 28, 2015, available at www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2015/09/28-eunavfor/

„სოფია“ დაიგეგმა 3 ოპერაციულ ფაზად:

1. ტრეფიკინგის ქსელებზე სტრატეგიული ინფორმაციის შეგროვება;
2. ტრეფიკინგში ეჭვმიტანილ გემების აყვანის, შემოწმების, ჩამორთმევის და უკან დაბრუნების უფლება;
3. პირველი ორი ფაზის განხორციელება ლიბიის ტერიტორიულ და შიდა წყლებში, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 2240 მანდატის 2015 წლის 9 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე.[204]

ოპერაცია სოფია მესამე საოპერაციო ფაზის განხორციელების საფუძველზე შევიდა ლიბიაში და თრეინინგებს უტარებდა ლიბიის სანაპირო დაცვას და ფლოტს და ხელს უწყობდა ლიბიის სანაპიროზე გაეროს იარაღის ემბარგოს განხორციელებას.

მისი განხორციელების პირველი თორმეტი თვის განმავლობაში, ოპერაცია სოფიამ განახორციელა ოთხმოცდაშვიდი ეჭვმიტანილი კონტრაბანდისტისა და ტრეფიკერის დაპატიმრება და დააკავა 225-ზე მეტი გემი. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია სოფიას არ გააჩნია კონკრეტული ძიებისა და სამაშველო საქმიანობის მანდატი, 2016 აგვისტოსთვის მას უკვე გადარჩენილი ჰყავდა 22,000-ზე მეტი ადამიანი და 36,000 ადამიანის გადარჩენაში გაწეული დახმარება, რის შედეგადაც ევროკავშირმა თავისი მანდატი 2017 წლის 27 ივლისამდე გააგრძელა.[205]

მიგრანტთა ნაკადების თავისებურება

მიგრანტების ოფიციალური რიცხვი ფიქსირდება ჩვეულებრივ

---

[204] European Commission, Communication from the Commission to the European Parliament, the European Council, the Council and the European Investment Bank on Establishing a New Partnership Framework with Third Countries under the European Agenda on Migration, EC Doc. COM(2016)385 final, June 7, 2016

[205] European Commission, "EUNAVFOR MED Operation Sophia Authorized to Start Two Additional Supporting Tasks," press release, August 30, 2016, available at www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2016/08/30-eunavfor-med-sophia-op-add-supporting-tasks/

სასაზღვრო პოლიციის მიერ პასპორტების კონტროლის შემოწმების დროს. უსაბუთო მიგრანტების რიცხვის დათვლა სერიოზული პრობლემაა – უპასპორტო ან ვიზის გარეშე ქვეყანაში შესული მიგრანტი ნიშნავს, რომ ის ცდილობს სასაზღვრო კონტროლის გავლის გარეშე ქვეყანაში შეღწევას, ვინაიდან შიშობს, რომ მას დააკავებენ და უკან გააძევებენ. ასეთ მიგრანტების რიცხვის რაოდენობა ცნობილი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მათ დააკავებენ მათი შესვლის შემდეგ, მოგვიანებით ქვეყანაში ცხოვრების დროს. არარეგულირებელი მიგრაციის ნაკადების რეგისტრაციას შეუძლია განსაზღვროს მიგრაციის რეალური ტენდენცია. რაც უფრო ეფექტურია სასაზღვრო კონტროლი, მით უფრო იზრდება არალეგალური მიგრანტების დაკავების და დარეგისტრირების შანსები. ამ თვალსაზრისით, 2013 წლის ოქტომბერში იტალიის მიერ დაწყებული სისტემატური ძიებისა და სამაშველო ღონისძიებებმა ხელი შეუწყო მიგრაციული სტატისტიკის დაზუსტებას.

სიკვდილი ზღვაში

ზღვაში სიკვდილი ოფიციალურად არ ფიქსირდება მანამ, სანამ გვამი არ არის ნაპოვნი. არანაირი სისტემის მექანიზმი არ არსებობს, რომ დაითვალოს რამდენი ადამიანი იყო ჩაძირულ გემში. გარდაცვლილი და დაკარგული მიგრანტის სტატისტიკური მონაცემები შესაძლოა ვიხილოთ იტალიელი ბლოგერის გაბრიელე დე გრანდეს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში,[206] ევროპული ქსელი გაერთიანებული ინტერკულტურული ღონისძიებებისთვის,[207] და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ[208] (IOM), რომლებიც ყველაზე სანდო წყაროებად ითვლებიან. ამ სამივე წყაროში, ძირითადად იმ არალეგალურ მიგრანტების რიცხვია დაფიქსირებული, რომლებიც იყვნენ დაკავებულნი პოლიციის მიერ და და-

[206] Fortress Europe, http://fortresseurope.blogspot.it/
[207] www.unitedagainstracism.org
[208] Missing Migrants Project, available from https://missingmigrants.iom.int

კითხული მედიისა და ჰუმანიტარული მუშაკების მიერ.

ძირითადად ზღვაში დაკარგულების შესახებ ინფორმაციას, გადარჩენილებთან ინტერვიუს საფუძველზე, ავრცელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და ლიბიის წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაცია.[209] ზოგადად, ანგარიშები არ იძლევა სიკვდილის ცალკეულ და ზუსტ სტატისტიკას, მხოლოდ დაახლოებითი ციფრია ცნობილი.

მიგრანტთა თვისებები

კონტრაბანდული მიგრანტების რეგისტრაციის პირობები ჩამოსვლისთანავე ზღუდავს რეგისტრაციის დროს შეგროვებული ინდივიდუალური მახასიათებლების მინიმალურ სიას: სქესის, ფართო ასაკობრივი ჯგუფის (არასრულწლოვანი / მოზრდილები) და ქვეყნის (დეკლარირებული) მოქალაქეობის. ამ შემთხვევაში ნაჩვენებია მხოლოდ რეალობის არასრულყოფილი სურათი, ვინაიდან არ არის ცნობილი რამდენი ადამიანი რჩება შეუმჩნეველი და დაუთვლელი და არიან თუ არა ისინიც იგივე ასაკის, სქესის და ეროვნების. უფრო დეტალური დახასიათება შესაძლოა გახდეს ცნობილი მხოლოდ ზღვით ჩამოსულ მიგრანტებში ჩატარებული კვლევების მეშვეობით.[210] თუმცა ამ კვლევებსაც თავის უარყოფითი მხარეები აქვთ. როგორც კი გამოკითხული ადამიანი თავს გრძობს არაკომფორტულად და თავდაუჯერებლად მათ შეიძლება შეეშინდეს ქვეყნიდან გაძევის და არასწორი პასუხი გასცენ. ვინაიდან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის მიღებას რამოდენიმე თვე სჭირდება და ამ დროის მანძილზე მათ შეუძლიათ გაზარდონ დადებითი პასუხის მიღების შანსები.

---

[209] Most dead and missing data in the Central Mediterranean comes from IOM Italy's interviews with survivors and reports from the Libyan Red Crescent

[210] For example, L. Achilli et al., Study on Migrants' Profiles, Drivers of Migration and Migratory Trends (IOM, Rome, 2016). Available from www.italy.iom.int/sites/default/files/news-documents/Migrants%20Study%20-%20FINAL%20ENG%20VERSION%20-%20ELEC.pdf

2017 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ხმელთაშუა ზღვის მიგრაციის კრიზისი აშკარად შემცირდა. წლის დასაწყისის შემდეგ, „მხოლოდ“ 130,000 მიგრანტი დაფიქსირდა საზღვაო გზით ჩამოსული იტალიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, მალტასა და კვიპროსში. ეს წინა წლებთან შედარებით საკმაოდ „შედეგიანი“ მაჩვენებელია: 2016 – 68,080; 2015 – 908,558; 2014 – 209,662 მიგრანტი დაფიქსირდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კრიზისი უპრეცედენტო იყო, თავისი მრავალრიცხოვანი თავშესაფრის მაძიებლებისა და მიგრანტების თვალსაზრისით, ყველაზე დიდი პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანების სიკვდილიანობა, ძირითადად ზღვაში ჩაძირული და დაკარგული ადამიანების რიცხვის რაოდენობა საგანგაშოა.

2000 წლიდან 2017 წლის ივნისამდე 33,761 მიგრანტი ევროპაში თავშესაფრის მიზნით დაიხრჩო ხმელთაშუა ზღვაში.[211]

თავშესაფრის მაძიებელთა უფლებები და ვალდებულებები საქართველოში

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეძიოს დევნისგან თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით

- გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მე-14 მუხლი)
- 1951 წლის კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ

XX საუკუნის 20-იან წლებში საერთაშორისო თანამეგობრობა დაინტერესდა ლტოლვილთა პრობლემატიკით და ჰუმანიტარული

[211] Four Decades of Cross-Mediterranean Undocumented Migration to Europe A Review of the Evidence, Philippe Fargues (Professor at the European University Institute, Florence, Italy), p.6

მოსაზრებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა აიღო ლტოლ-ვილთა დაცვასა და დახმარებაზე. შეიქმნა ლტოლვილთა პრობლე-მატიკაზე შექმნილი საერთაშორისო საქმიანობის მოდელი, რის შემდეგაც გაფორმდა მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულე-ბები და შეთანხმებები. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენი-ლია გაერთიანებული ერების 1951 წლის კონვენციაში ლტოლვილ-თა სტატუსის შეთახებ.

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის გადაწყვეტი-ლების თანახმად,[1] ქ. ჟენევაში შეიკრიბა გაეროს სრულუფლებიან ელჩთა კონფერენცია, სადაც 1951 წლის 28 ივლისს მიღებული იქნა კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (ძალაში შევიდა 1954 წლის 22 აპრილს).

კონვენციის გარკვეული დებულებები იმდენად ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს, რომ მათზე დათქმის გაკეთება დაუშვებლად არის მიჩნეული. მათ შორის „ლტოლვილთა“ ცნების განმარტება და ასევე ე.წ. გაუძევებლობის პრინციპი (non-refoulement), რაც გუ-ლისხმობს იმას, რომ არც ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, არ შე-უძლია, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ნებისმიერი ფორმით გააძევოს ან უკან დააბრუნოს (refouler) ლტოლვილი იმ ტერიტო-რიაზე, სადაც მას დევნის საფრთხე ემუქრება.

1951 წლის კონვენციის გავრცელების არეალი გარკვეულწი-ლად შეზღუდულია, ვინაიდან ის მოიცავს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ლტოლვილებად 1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად იქცნენ. დროის მსვლელობამ და ლტოლ-ვილთა ახალი საგანგებო სიტუაციების წარმოქმნამ, საჭირო გახადა კონვენციის ახალი დებულებების შემუშავება, რაც გააფართოვებდა კონვენციის მოქმედების არეალს და გაავრცელებდა ახალწარმოშო-ბილ ლტოლვილებზეც. აქედან გამომდინარე, 1966 წელს მომზად-და და გაეროს გენერალურ ასამბლეას წარედგინა ოქმი ლტოლ-ვილთა სტატუსის შესახებ. 1966 წლის 16 დეკემბრის 2198 (XXI) რე-ზოლუციაში ასამბლეამ მხედველობაში მიიღო ოქმი, რომელიც

წარდგენილ იქნა სახელმწიფოებისათვის, რათა მათ თავისმხრივ, შესაძლებლობა ჰქონოდათ მიერთებოდნენ დოკუმენტს. 1967 წლის იანვარში ოქმს ოფიციალურად ხელი მოაწერა გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა, შემდეგ კი იგი მთავრობებს გადაეცა. ოქმი ძალაში შევიდა 1967 წლის ოქტომ-ბერში.[212]

ოქმთან მიერთებით სახელმწიფოები საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას 1951 წლის კონვენციის არსებული დებულებე-ბი განავრცონ ლტოლვილებზე, რომლებიც შეესაბამებიან ლტოლ-ვილის კონვენციაში მოცემულ განმარტებას ყოველგვარი დროში შეზღუდულობის გარეშე. მიუხედავად კონვენციასთან ამგვარი კავშირისა, ოქმი წარმოადგენს დამოუკიდებელ დოკუმენტს და მასთან შეერთება შეუძლიათ არა მხოლოდ კონვენციის ხელშემ-კვრელ სახელმწიფოებს, არამედ სხვა ქვეყნებსაც.[213]

1951 წლის კონვენცია და მისი 1967 წლის ოქმი მთავარი ინს-ტრუმენტებია, რომლებიც აგერ უკვე რამდენი ათეული წელია, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ნორმების ერთობლიობა, საერთაშორისო მასშტაბით იმ პირების სამართლებრივი დაცვის საფუძველს წარმოადგენენ, რომლებმაც იძულებით დატოვეს სა-კუთარი ქვეყნები დევნის, შეიარაღებული კონფლიქტის, ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევების ან სერიოზული ზიანის სხვა ფორმების შედეგად.

გენერალურ ასამბლეას ხშირად მიუმართავს სახელმწიფოები-სათვის, რათა გახდნენ აღნიშნული დოკუმენტების მონაწილე მხა-რე. მიერთების რეკომენდაცია ასევე მოდიოდა ისეთი რეგიონული ორგანიზაციების მხრიდან, როგორებიცაა ევროსაბჭო, აფრიკის ერ-

---

[212] გაეროს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია 429 (V). გაეროს გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიის ოფიციალური ჩანაწერები, დამატება No20[A/1775], გვ.48

[213] 1967 წლის ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (მუხლი 5) კონვენცია და ოქმი ლტოლვილის სტატუსის შესახებ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოში www. unhcr.ch

თიანობის ორგანიზაცია და ამერიკის ქვეყნების ორგანიზაცია. 2004 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით ერთ-ერთი ან ორივე დოკუმენტის ხელშემკვრელი სახელმწიფოების საერთო რაოდენობა 145-ს შეადგენდა.[214]

საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მაძიებლები 1994 წლიდან გამოჩნდნენ და მათი რაოდენობა თავდაპირველად მხოლოდ რამდენიმე ერთეულით შემოიფარგლებოდა. 1999 წლიდან კი, რუსეთის ფედერაციის მიერ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში დაწყებული საომარი მოქმედებების გამო, საქართველოს თავშესაფრის მაძიებელთა მასიური ტალღა მოაწყდა. საქართველოს ხელისუფლებამ ჯგუფური მიდგომით სტატუსის მინიჭების პრინციპს (Prima Facie) მიმართა და ცხრა ათასამდე პიროვნებას ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა.[215] ლტოლვილთა ჯგუფური პრინციპით (Prima facie) აღიარებისას, აუცილებლად უნდა იქნას დაკმაყოფილებული ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის განსაზღვრულ პირობები, სტატუსის მაძიებელ პირთა წარმომავლობის ქვეყანაში არსებული საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით.

თავშესაფრის მაძიებელთა საქართველოში დიდი რაოდენობით შემოსვლის მეორე ტალღა 2012 წლიდან დაიწყო – 2014 წლის ბოლოსთვის თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა 20-ჯერ და მეტად გაიზარდა. მიზეზს, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთში გამწვავებული სამოქალაქო დაპირისპირება და შეიარაღებული კონფლიქტები წარმოადგენდა. თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის ზრდაზე გავლენა იქონია ასევე უკრაინაში დაწყებულმა კონფლიქტმაც. გაცილებით დაბალი ტემპით, თუმცა შესამჩნევად იზრდება თავშესაფრის მაძიებლების რიცხვი ასევე სხვა ქვეყნებიდან.[216]

საქართველოში თავშესაფრის საკითხები რეგულირდება საქარ-

---

[214]http://www.unhcr.org/1951refugeeconvention.html?query=1951%20conventionhttp://www.The 1951 Refugee Convention

[215] http://www.mra.gov.ge/geo/static/705 თავშესაფარი საქართველოში

[216] სტატუსის მქონე პირთა სტატისტიკა 31.12.2017 წ. მდგომარეობით http://mra.gov.ge/res/docs/2018030216100235786.pdf;

თველოს კანონით „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ (ძალაშია 2012 წლის მარტიდან).

საქართველოში ტერმინი „თავშესაფარი“ მოიცავს ორი სახის სტატუსს: ლტოლვილისა და ჰუმანიტარულ სტატუსს. „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ლტოლვილის სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, იმყოფება საქართველოში, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და არ შეუძლია, ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.[217]

მოთხოვნა, რომ პირი იმყოფებოდეს მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმისთვის, რომ ჩაითვალოს ლტოლვილად, არ ნიშნავს, რომ მას აუცილებლად კანონიერად უნდა ჰქონდეს დატოვებული ის ქვეყანა, ან რომ თუნდაც საფუძვლიანი შიშის გამო იყოს წამოსული. მან შეიძლება ლტოლვილის სტატუსის აღიარების თხოვნით მიმართვა საზღვარგარეთ გარკვეული დროის მანძილზე ყოფნის შემდეგ გადაწყვიტოს. პირი, რომელიც ქვეყნიდან წამოსვლისას არ იყო ლტოლვილი, მაგრამ მოგვიანებით ხდება ლტოლვილი, უწოდებენ ადგილზე (sur place) ლტოლვილს.

პირი ხდება ადგილზე (sur place) ლტოლვილი იმ გარემოებების გამო, რომლებიც წარმოიქმნება წარმოშობის ქვეყანაში მისი არ ყოფნის დროს. მაგალითად, დიპლომატები და სხვა სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც საზღვარგარეთ მსახურობდნენ, სამხედრო ტყვეები, სტუდენტები, მიგრანტი მუშაკები და სხვა, შეიძლება გახდნენ ადგილზე (sur place) ლტოლვილი პირები.

---

[217] „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2.

პირს შეიძლება მიენიჭოს ადგილზე (sur place) ლტოლვილის სტატუსი საკუთარი მოქმედებების შედეგადაც, მაგალითად როგორიცაა უკვე აღიარებულ ლტოლვილთან კავშირი ან ბინადრობის ქვეყანაში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვა. ის, თუ რამდენად საკმარისია ამგვარი ქმედებები დევნის საუძვლიანი შიშის დასამტკიცებლად, განისაზღვრება კონკრეტული გარემოებების გადამოწმების შედეგად. გასათვალისწინებელია წარმოშობის ქვეყნის მხრიდან ზემოხსენებული ინფორმაციის ფლობა და მისი სავარაუდო რეაქცია.[218]

ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლებია:

- დანაშული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ;
- არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშული საქართველოს მიერ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე;
- გაეროს მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედება;
- სამართლებრივი დაცვის საჭიროების არარსებობა კონვენციის 1 მუხლის დ ნაწილის თანახმად, რაც გულისხმობს, რომ პირი სარგებლობს გაეროს სხვა ორგანოების, ან ორგანიზაციების დაცვით ან დახმარებით, გარდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა (UNHCR);
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საჯარო მართლწესრიგისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლიანი ეჭვი;
- განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი;
- პირის მხილება საქართველოს საწინააღმეგო ქმედების ჩადე-

[218] სახელმღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად (გვ. 23-24); გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოში -გამოცემა

ნასა და საქართველოში სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში;

- წარმოშობის ქვეყნის დატოვება ეკონომიკური, ეპიდემიური, ბუნებრივი სხვა მსგავსი ხასიათის საგანგებო მდგომარეობის გამო და ა.შ.

ლტოლვილის სტატუსი შეიძლება არ მიენიჭოს პირს:

- რომელიც სხვა ქვეყნის მიერ აღიარებულია ლტოლვილად და კვლავაც სარგებლობს ამ ქვეყნის ქმედითი სამართლებრივი დაცვით, თუ საწინააღმდეგო არ დაუმტკიცებია;
- რომელსაც აქვს 1951 წლის კონვენციის 28-ე მუხლით განსაზღვრული სხვა ქვეყნის მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტი (ხელშემკვრელი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებზე გასცემენ მათი ტერიტორიის გარეთ გადაადგილებისთვის საჭირო სამგზავრო საბუთებს, მაშინ როცა არ არსებობს სახელმწიფო უშიშროების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ანგარიშგასაწევი მიზეზები. ასეთი საბუთების მიმართ გამოიყენება ამ კონვენციაზე თანდართული წესები);
- რომელსაც დაწყებული აქვს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურა და შეუძლია გააგრძელოს ის კონვენციის ხელმომწერ სხვა სახელმწიფოში;
- პირს, რომელსაც ორი ან ორზე მეტი სახელმწიფოს მოქალაქეა, როცა მას შეუძლია ისარგებლოს სხვა ქვეყნის მფარველობით და. ა.შ.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს და რომელიც იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი წარმოშობის ქვეყანა ძალადობის, გარე აგრესიის,

ოკუპაციის, შიდა კონფლიქტების, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ან საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი დარღვევის გამო.[219]

ჰუმანიტარული სტატუსი, ასევე, მიენიჭება პირს, რომელიც სამართლებრივი საფუძვლების, კერძოდ, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლიდან (წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) ან ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო აქტებიდან გამომდინარე არგაძევების სხვა ვალდებულებების) გამო არ შეიძლება იძულებით დაბრუნებულ იქნეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში და რომელსაც არ შეუძლია გაემგზავროს სხვა ქვეყანაში;

ჰუმანიტარული სტატუსი, ასევე, მიენიჭება პირს, რომლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში შეიძლება სერიოზული ზიანი შეექმნას მის სიცოცხლეს ან დაირღვეს მისი ფუნდამეტური უფლებები.

ჰუმანიტარული სტატუსი შეიძლება აგრეთვე მიენიჭოს პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი და რომელიც იძულებული გახდა გადაადგილებულიყო ქვეყნის შიგნით, მაგრამ არ ეკუთვნის დევნილის სტატუსი „იძულებით გადაადგილებულ პირთა _ დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ასევე, აღნიშნული სტატუსი მიენიჭება პირს, რომელიც საქართველოში შემოვიდა მოსაზღვრე წარმოშობის ქვეყნიდან, იქ მომხდარი სტიქიური უბედურების გამო, ან რომელსაც ესაჭიროება სხვა სარწმუნო ჰუმანიტარული დახმარება.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თავშესაფრის მო-

[219] „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 4 საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge/ka/document/view/ 1531916?publication=8

თხოვნა განიხილება ექვსი თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადა, საჭიროებისამებრ, შესაძლოა გახანგრძლივდეს ერთჯერადად 3 თვის ვადით. თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობისას, თავშესაფრის მაძიებელს უტარდება პირველადი ანკეტირება და გასაუბრება, რა დროსაც ხდება ყველა იმ ფაქტისა და გარემოების გამორკვევა, რომელიც მნიშვნელოვანია განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად. გადაწყვეტილება თავშესაფრის მინიჭებაზე ან თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ემყარება თავშესაფრის მაძიებელთან ჩატარებული ანკეტირებისა და გასაუბრებისას მიღებულ ინფორმაციას, განმცხადებლის და მისი ოჯახის წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის და დოკუმენტაციის, ასევე მოყვანილი ფაქტების სანდოობის ანალიზსა და წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას.[220]

ლტოლვილები საზოგადოების ისეთივე სრულყოფილი წევრები არიან, როგორც ნებისმიერი სხვა. თავიანთ სამშობლოში ისინი სწავლობდნენ, მუშაობდნენ, ვითარდებოდნენ და მათი ეს უფლება – განაგრძონ სრულყოფილი ცხოვრება, ისევეა აღიარებული და დაცული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, როგორც საზოგადოების ნებისმიერი სხვა წევრის. გაეროს „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა სოციალურ-ეკონომიკური გარანტიებითა და უფლებებით უზრუნველყოფს იმ პირებს, რომლებიც საქართველოში ლტოლვილის ან ჰუმანიტარულ სტატუსს მიიღებენ.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები უფლებამოსილნი არიან საქართველოს მოქალაქეების მსგავსად ისარგებლონ დასაქმებისა და განათლების უფლებით, ასევე სამედიცინო დახმარებით, კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან

[220] http://www.mra.gov.ge/geo/static/705 თავშესაფარი საქართველოში

გადაადგილების თავისუფლებით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საქართველოში ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები სახელმწიფოსგან იღებენ სოციალურ დახმარებას ყოველთვიური შემწეობის სახით. ასევე შექმნილია თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ფულადი შემწეობის გამცემი კომისია. აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ამიერკავკასიის ოფისის (UNHCR) დახმარებით, ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფის ან ყოველთვიური ფინანსური შემწეობის გაცემის მიზნით, ხდება როგორც თავშესაფრის მაძიებელთათვის, ისე ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ფინანსური დახმარების გამოყოფა.

2013 წლიდან საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის აგრეთვე მოქმედებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა; 2015 წლის 1 იანვრიდან „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამისა“ და ე.წ. ჯანდაცვის „ვერტიკალური“ პროგრამების მოსარგებლეებად, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან ერთად, განისაზღვრნენ საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირებიც.[221]

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, თავშესაფრის მაძიებლებლები, ლტოლვილები და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები განათლების სფეროშიც ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორც საქართველოს მოქალაქეები. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის #15 დადგენილების საფუძველზე, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის

[221] საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №396 – 31.12.2013წ - სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ვებ გვერდი; http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/128.pdf

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა ქართული ენის შემსწავლელი პროგრამა სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის. პროგრამა ითვალისწინებს ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) იმ დონეზე შეძენას, რომელიც აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში, მათ ეძლევათ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის კლასში.[222]

თბილისის საკრებულოს 2015 წლის 3 თებერვალის #2-5 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლვილთა ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სკოლამდელი ასაკის შვილებისთვის ასევე ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებაც.[223]

თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის, ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სკოლამდელი ასაკის შვილებისათვის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე.

პროგრამის სამიზნე ჯგუფს, სხვა პირებთან ერთად, წარმოადგენენ 20 წლის ზემოთ შრომითი ქმედუნარიანობის მქონე ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, რომლებიც რე-

---

[222] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის #15 დადგენილება - საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2704673?publication

[223] სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ; საქართველოს თავრობის დადგენილება №451; მუხლი 3; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; https://matsne.gov.ge/ka/document/view/2963861

გისტრირებულნი არიან სამუშაოს მაძიებლებად სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაზე – www.worknet.gov.ge და თანახმა არიან, გაიარონ პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი სასწავლო კურსი.[224]

რაც შეეხება ლტოლვილთათვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხს, მათთვის უზრუნველყოფილია ნატურალიზაციის უფლება და დაწესებულია გამარტივებული პირობები საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისთვის, რაც გულისხმობს სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიის და სამართლის ძირითადი საფუძვლების დადგენილ ფარგლებში ცოდნას და საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში კანონიერად ცხოვრებას.[225]

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში ლტოლვილის (მათ შორის Primafacie) და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა რიცხვი მთლიანობაში შეადგენს 1477-ს. აქედან, ლტოლვილის სტატუსი მიიღო 215-მა პირმა: ავღანეთი – 3; აზერბაიჯანი – 6; ერაყი – 103; ირანი – 34; ეგვიპტე – 13; ტაჯიკეთი – 4; თურქეთი – 1; რუსეთი – 24; სიერა-ლეონე – 1; სირია – 6; სუდანი – 6; პაკისტანი – 10; ყაზახეთი – 1; უკრაინა – 1; უზბეკეთი – 1; იორდანია – 1.

Primafacie სტატუსით სარგებლობს 235 რუსეთის მოქალაქე.

ჰუმანიტარული სტატუსი კი მინიჭებული აქვს 1027 პირს: ეგვიპტე – 6; ერაყი – 527; ლიბანი – 6; ნიგერია – 2; სირია – 90; შრილანკა – 2; უკრაინა – 388; იემენი – 3; სხვა – 3.

2012-2017 წლებში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა ოფიციალური მონაცემებით შეადგენდა 6457 პირს; თავშესაფარზე უარი ეთქვა 1580 განმცხადებელს; შეწყვეტილი საქმეების რაოდენობა შედგენს 2845 შემთხვევას, რიცი ძირითადი მიზეზებიც არის თავ-

---

[224] https://sda.gov.ge/?page_id=5123 სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ოფიციალური ვებ გვერდი

[225] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ https//.www.matsne.gov.ge

შესაფრის მაძიებლად რეგისტრაციაზე გამოუცხადებლობა, პროცედურებზე გამოუცხადებლობა და ასევე პირადი განცხადება.[226]

დონალდ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა

საიმიგრაციო პოლიტიკას და კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში არალეგალური იმიგრაციის პრობლემას თვალსაჩინო ადგილი ეკავა დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიის დღის წესრიგში. ამ მიმართულებით მის მიერ გაჟღერებულ ინიციატივებს აზრთა სხვადასხვაობა და ხშირ შემთხვევაში, მწვავე კრიტიკაც სდევდა თან. საჯარო გამოსვლებში იგი აცხადებდა, რომ მექსიკა-აშშ-ის საზღვარს საშიში კრიმინალები, მათ შორის მოძალადეები და ნარკოტიკების გამავრცელებლები კვეთდნენ. ტრამპს მიაჩნდა, რომ კრიმინოგენური მდგომარეობის გაუარესების გარდა, არალეგალური მიგრაცია აშშ-ში ამერიკელი რიგითი მოქალაქეებისთვის დიდი ზიანის მომტანი იყო იმ კუთხითაც, რომ ფაქტობრივად სამუშაო ადგილებს ართმევდა მათ, რაც საბოლოო ჯამში აისახებოდა საერთო დასაქმების დონეზე და შედეგად ნადგურდებოდა საშუალო ფენა. შესაბამისად, ამომრჩევლებთან შეხვედრისას იგი ხშირად იმეორებდა, რომ აშშ-ში სამუშაო ადგილები პირველ რიგში ამერიკელებისთვის უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი.[227]

2015 წლის 6 ივლისს გამოქვეყნებულ განცხადებაში დონალდ ტრამპმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა არალეგალურ იმიგრაციასთან დაკავშირებით, რამაც მის კრიტიკოსთა რიგებში მძაფრი რეაქცია გამოიწვია. „მექსიკის ხელისუფლება აიძულებს მათთვის ყველაზე არასასურველ ადამიანებს მოხვდნენ ამერიკის შეერთე-

---

[226] სტატუსის მქონე პირთა სტატისტიკა 31.12.2017 წ. მდგომარეობით http://mra.gov.ge/res/docs/2018030216100235786.pdf;

[227] Donald Trump Imigration Speech; The New York Times https://www.nytimes.com/2016/09/02/us/politics/transcript-trump-immigration-speech.html

ბულ შტატებში. ხშირ შემთხვევაში ეს ადამიანები არიან კრიმინალები, ნარკოტიკებით მოვაჭრენი, მოძალადეები და ა.შ...“ – წერია განცხადებაში.

მაგალითისთვის მოყვანილია 2015 წელს ახალგაზრდა ქალის მკვლელობა სან ფრანცისკოში ხუთი დეპორტირებული, კრიმინალური წარსულის მქონე მექსიკელის მიერ, რომლებიც იძულებულნი იყვნენ დაბრუნებულიყვნენ აშშ-ში ვინაიდან მექსიკის ხელისუფლება არ აჩერებდა მათ საკუთარ ტერიტორიაზე. „...ეს მხოლოდ ერთი შემთხვევაა ათასიდან, რაც აშშ-ის ტერიტორიაზე ხდება, სხვა სიტყვებით, მექსიკის ხელისუფლება იძულებულს ხდის კრიმინალებს აშშ-ის საზღვარი გადმოლახონ. ჰეროინის, კოკაინის და სხვა კანონით აკრძალული ნარკოტიკული საშუალებების უმსხვილესი მომწოდებლები მექსიკური კარტელებია, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ არალეგალი იმიგრანტების მიერ აშშ-ის ტერიტორიაზე ნარკოტიკების შემოტანას. ამის შესახებ იცის სასაზღვრო პატრულმა. კრიმინალი როგორც ინფექციური დაავადება შემოედინება მექსიკის საზღვრიდან აშშ-ში და შემდეგ მსოფლიოს ბევრ კუთხეში. თუმცა, მეორე მხრივ, მექსიკიდან ასევე ბევრი არაჩვეულებრივი ადამიანი ჩამოდის და აშშ საუკეთესო ადგილია მათთვის. ისინი კანონიერად ცხოვრობენ და მუშაობენ, თუმცა არალეგალი კრიმინალები აზარალებენ მათ იმიჯს და ყოფას. სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ მე ვიცნობ ასეთ მშრომელ ადამიანებს _ ბევრი მათგანი ჩემთანაც მუშაობს ... და როგორც ჩვენი ქვეყანა, ჩემი ორგანიზაციაც საუკეთესო ადგილია მათთვის.[228]

2016 წელს არიზონის შტატის ქალაქ ფენიქსში ამომრჩევლებთან შეხვედრისას, ტრამპმა კიდევ ერთხელ მოუწოდა აშშ-ის ფედერალურ მთავრობას გაემკაცრებინა სავიზო განაცხადების შერჩევის პროცესი და ვიზის მოპოვების მსურველთათვის „იდეოლოგიური სერთიფიკაციის“ მოპოვება დაეწესებინა, რაც გულისხმობდა

[228] "Donald Trump's epic statement on Mexico". Business Insider. Retrieved July 27, 2016. https://www.businessinsider.com/donald-trumps-epic-statement-on-mexico-2015-7

ქვეყანაში მხოლოდ ისეთი ადამიანების შეშვებას, ვისთვისაც ძვირფასი იქნებოდა ამერიკული ღირებულებები, ტრადიციები და ამერიკელი ხალხი.

2016 წლის მაისში ჟურნალ Social Science Quarterly-ში გამოქვეყნებულმა კვლევამ დაადასტურა ტრამპის განცხადება იმის შესახებ, რომ აშშ-ში მყოფ იმიგრანტებს შორის ძალადობასთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო, თუმცა ძალადობისა და ნარკო-დანაშაულის ფაქტებთან მექსიკელი ან არალეგალი მექსიკელი იმიგრანტების სპეციფიკური კავშირი არ დადასტურებულა. გამოიკვეთა ნარკო-დანაშაულთან დაკავშირებული დაკავების ფაქტები მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი დოზით არალეგალ (მათ შორის არამექსიკელ) იმიგრანტ მოსახლეობაში.[229]

2016 წლის აგვისტოში, ტრამპი მოულოდნელად ეწვია მექსიკას, სადაც იგი შეხვდა პრეზიდენტ ენრიკე პენია ნიეტოს. ვიზიტის შემდეგ, არიზონის შტატის ქალაქ ფენიქსში ამომრჩევლების წინაშე სიტყვით გამოსვლისას, მან საიმიგრაციო პოლიტიკის 10-პუნქტიანი გეგმა ახსენა, სადაც თავმოყრილი იყო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მის მიერ აქამდე წამოყენებული ყველა წინადადება. მათ შორის მისი წინასაარჩევნო კამპანიის ცენტრალური ელემენტი – სასაზღვრო კედელი აშშ-მექსიკის საზღვარზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ტრამპისთვის სანიმუშო მაგალითს ისრაელის დასავლეთ ნაპირზე არსებული სასაზღვრო ბარიერი წარმოადგენდა; მისი სურვილი იყო საიმიგრაციო და საბაჟო აღსრულების სააგენტოების თანამშრომლების რაოდენობის გასამმაგება, ქვეყნის მასშტაბით ბიზნეს წრეების დავალდებულება, რაც ითვალისწინებდა დაქირავებული პერსონალის E-verify სისტემის მეშვეობით ელექტრონულად გადამოწმებას იმის დასადგენად, გააჩნ-

[229] Green, David (May 1, 2016). "The Trump Hypothesis: Testing Immigrant Populations as a Determinant of Violent and Drug-Related Crime in the United States". Social Science Quarterly. 97 (3): n/a–n/a. doi:10.1111/ssqu.12300. ISSN 1540-6237 https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/ssqu.12300

დათ თუ არა მათ აშშ-ში ლეგალურად მუშაობის უფლება, ასევე კრიმინალური წარსულის მქონე არამოქალაქე პირების დეპორტაცია, ფედერალური დახმარების მოხსნა ე.წ ქალაქი-თავშესაფრებისთვის (ფედერალურ საიმიგრაციო სააგენტოებთან შეზღუდული თანამშრომლობის პოლიტიკის მქონე მუნიციპალიტეტები) ლეგალური მიგრაციის შეზღუდვა, განსაკუთრებით გასტარბაიტერებთან მიმართებაში.

ტრამპი ულტიმატუმს უყენებდა მექსიკას იმათან დაკავშირებით, რომ მას უნდა დაეფინანსებინა აშშ-მექსიკის საზღვარზე კედლის მშენებლობა, ან დაეკისრებოდა ისეთი სახის ჯარიმები, როგორიცაა, აშშ-დან მექსიკაში ფულადი გადარიცხვების შეზღუდვა, საქონლის ან მომსახურების ღირებულების პროცენტული ზრდა, აშშ-ის პორტებში მექსიკის გემებისთვის გაზრდილი გადასახადი და ა.შ. ტრამპი მიიჩნევდა, რომ მექსიკის მხარისთვის საზღვრის გასწვრივ კედლის მშენებლობის ხარჯი გაცილებით ნაკლები იქნებოდა იმ ზარალთან შედარებით, რასაც აშშ-ის მოქალაქეები განიცდიდნენ ყოველდღიურ რეჟიმში არალეგალური იმიგრაციის გამო.

მაინც რა სახსრებით უნდა აეშენებინა მექსიკას აშშ-თან საზღვრის გასწვრივ კედელი? ტრამპს მიაჩნდა, რომ საზღვრის გადაკვეთისთვის გადასახადისა და NAFTA-ს (ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება) ტარიფების გაზრდის მეშვეობით.[230]

აშშ-ის ტერიტორიაზე არალეგალი იმიგრანტებისთვის ბარიერის შექმნის კონცეფცია პირველად დონალდ ტრამპს არ გაუჟღერებია. 670 მილზე (საზღვრის დაახლოებით 1/3) გადაჭიმული 2,4 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ზღუდე ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის (უმცროსი) პრეზიდენტობის დროს აიგო, მას შემდეგ, რაც მან ხელი მოაწერა „უსაფრთხო საზღვრის აქტს“ (Secure Fence

[230] Corasaniti, Nick (August 31, 2016). "A Look at Trump's Immigration Plan, Then and Now". The New York Times. ISSN 0362-4331. Retrieved September 1, 2016. https://www.nytimes.com/interactive/2016/08/31/us/politics/donald-trump-immigration-changes.html

Act) 2006 წელს.[231]

ჯონ კესიდი გაზეთი The New Yorker-დან წერდა, რომ ტრამპი გახლდათ „უკანასკნელი წარმომადგენელი 1840-1850 წლების ანტიიმიგრანტული, ნატივისტური ამერიკული ტრადიციისა „Know Nothing“ (არაფერი ვიცი), რომელიც, თავის დროზე, ანტიკათოლიკურ და ქსენოფობურ პოლიტიკურ მოძრაობას წარმოადგენდა.[232]

ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, დარჩენილი 1300 მილის საზღვრის გასწვრივ კედლის ასაგებად, რომელსაც ტრამპი „დიდ და მშვენიერ კარად“ მოიხსენიებდა, სავარაუდო ხარჯი თითოეულ მილზე 16 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, კერძო მიწების შენაძენისა და ტექნიკური მომსახურეობის ხარჯების დამატებით კი – 25 მილიონ აშშ დოლარამდე ადიოდა. კედლის ტექნიკური მომსახურება წელიწადში 750 მილიონი აშშ დოლარის გასავალს ითვალისწინებდა, ამას ემატებოდა გასამმაგებული რაოდენობის საასაზღვრო პატრულის სახელფასო ხარჯიც. საზღვრის უმეტესი ნაწილის მდებარეობა მთიან და გაუდაბნოებულ ადგილებში, კედლის მშენებლობის ხარჯებს კიდევ უფრო აძვირებდა, მაშინ როცა აღნიშნულ ლანდშაფტს შესაძლებებლია კედელზე მეტი შემაკავებელი

ეფექტი ჰქონოდა. ექსპერტების განმარტებით სასაზღვრო კედელს შესაძლოა ზიანი მიეყენებინა ასევე კანონით დაცულ ველური ბუნებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც.[233]

წინაასაარჩევნოდ მიცემული დაპირების მიუხედავად, რომ აშშ-მექსიკის სასაზღვრო ზოლზე სრული მასიური კედელი აიგებოდა, ტრამპმა მოგვიანებით განაცხადა, რომ ამჯობინებდა გარკვე-

---

[231] "Fact Sheet: The Secure Fence Act of 2006". The White House. Retrieved 2010-11-01. https://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2006/10/20061026-1.html

[232] Kate Drew, "This is what Trump's border wall could cost US: A roughly 2,000-mile fence on the Mexican border would cost tens of billions", CNBC (October 9, 2015). https://www.cnbc.com/2015/10/09/this-is-what-trumps-border-wall-could-cost-us.html

[233] Stephen Loiaconi, "Experts: Trump's border wall could be costly, ineffective", Sinclair Broadcast Group (August 18, 2015). https://wjla.com/news/nation-world/trumps-border-wall-could-be-costly-ineffective-experts-say

ულ მონაკვეთებზე ღობის მაგვარი კონსტრუქციების აგებას.[234]

2017 წლის თებერვალში სააგენტო როიტერმა წარმოადგინა საშინაო უშიშროების დეპარტამენტის ანგარიში, სადაც მითითებული იყო, რომ სასაზღვრო კედლის მშენებლობა სავარაუდოდ 21.6 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდებოდა და სამნახევარ წელს გასტანდა, რაც წინასაარჩევნოდ ტრამპის მიერ წარმოდგენილ სავარაუდო ხარჯის რაოდენობას (12 მილიარდი აშშ დოლარი), ისევე როგორც წარმომადგენელთა პალატის სპიკერის პოლ რაიანისა და სენატის უმრავლესობის ლიდერის მიტჩ მაკკონელის შეფასებებს (15 მილიარდი აშშ-დოლარი) საგრძნობლად აღემატებოდა.[235]

2017 წლის აგვისტოს გამოქვეყნდა ტრამპისა და ნიეტოს სატელეფონო საუბრის სტენოგრამა, სადაც ტრამპი აცხადებდა, რომ არ მოთხოვდა მექსიკის მხარეს კედლის მშენებლობის დაფინანსებას, როგორც ამას წინაასაარჩევნოდ პირდებოდა ამომრჩეველს, არამედ თვითონ ააგებდა სხვა გზებით, თუმცა თხოვდა მექსიკის პრეზიდენტს შეეწყვიტა კატეგორიული მტკიცება იმისა, რომ მექსიკა არ დააფინანსებდა კედლის მშენებლობას.[236]

ტრამპის მოწინააღმდეგენი ასევე სვამდნენ კითხვებს იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტიანი იქნებოდა საზღვრის არასანქცირებული გადალახვის მცდელობების აღკვეთა მხოლოდ კედლით, სასაზღვრო პატრულირების გარეშე.

---

[234] Donald Trump says parts of border wall could be fence instead". November 14, 2016. https://www.abc.net.au/news/2016-11-14/donald-trump-says-parts-of-border-wall-fence/8022188

[235] Ainsley, Julia Edwards (February 9, 2017). "Trump border 'wall' to cost $21.6 billion, take 3.5 years to build: Homeland Security internal report". Reuters. https://www.reuters.com/article/us-usa-trump-immigration-wall-exclusive/exclusive-trump-border-wall-to-cost-21-6-billion-take-3-5-years-to-build-internal-report-idUSKBN15O2ZN

[236] Trump urged Mexican president to end his public defiance on border wall, transcript reveals". Washington Post. Retrieved August 3, 2017. https://www.washingtonpost.com/world/national-security/you-cannot-say-that-to-the-press-trump-urged-mexican-president-to-end-his-public-defiance-on-border-wall-transcript-reveals/2017/08/03/0c2c0a4e-7610-11e7-8f39-eeb7d3a2d304_story.html?noredirect=on&utm_term=.cac7a94abf31

გარდა ამისა, ექსპერტების განმარტებით, არალეგალ იმიგრანტთა დაახლოებით ნახევარი აშშ-ის ტერიტორიას არ კვეთდა მალულად, არამედ ოფიციალური საკონტროლო-გამშვები პუნქტების გავლით, ვადაგადაცილებული ვიზების, გაყალბებული დოკუმენტებისა, თუ კონტრაბანდული საქმიანობის გზით.

კედლის მშენებლობის დაწყების პროცესს ასევე ეწინააღმდეგებოდა მთელი რიგი კანონები, რეგულაციები, თუ სამართლებრივი მოთხოვნები. თუმცა, 2017 წლის 12 სექტემბერს, აშშ-ს საშინაო უშიშროების დეპარტამენტმა გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ საშინაო უსაფრთხოების სამსახურის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ელეინ დიუკი ნებაყოფლობით თავისუფლდებოდა საკანონდებლო აქტების შესრულების ვალდებულებისგან და იყენებდა ე.წ. „ვეივერის“ (a waiver) უფლებას, იმისთვის რათა დაწყებულიყო ახალი კედლის მშენებლობა კალექსიკოს (კალიფორნია) მიმდებარედ.[237]

ზემოაღნიშნული „კანონის გვერდის ავლის უფლება“ შეეხო ისეთ საკანონმდებლო აქტებს, როგორიცაა: ეროვნული ეკოლოგიური პოლიტიკის აქტი, გადაშენების საფრთხი პირას მყოფი ცხოველთა სახეობების აქტი, სუფთა წყლისა და სუფთა ჰაერის აქტებს, ეროვნული ისტორიული და არქეოლოგიური ადგილების დაცვის აქტი, გადამფრენი ფრინველების ხელშეკრულების და კონცერვაციის აქტები, უსაფრთხო სასმელი წყლის, ხმაურის კონტროლის, მყარი ნარჩენების მართვის, სიძველეთა, ფედერალური მიწის პოლიტიკისა და მართვის და ადმინისტრაციული პროცედურული აქტი, ამერიკელ ინდიელთა საფლავთა დაცვისა და რეპატრიაციის

[237] "Determination Pursuant to Section 102 of the Illegal Immigration Reform and Immigrant Responsibility Act of 1996, as Amended". Federal Register. September 12, 2017. Retrieved September 13, 2017. https://www.federalregister.gov/documents/2017/09/12/2017-19234/determination-pursuant-to-section-102-of-the-illegal-immigration-reform-and-immigrant-responsibility

აქტი, ამერიკელ ინდიელთა რელიგიური თავისუფლების აქტი.[2382]

კალიფორნიის შტატი, ზოგიერთი ბუნებისდამცველი ჯგუფი და წარმომადგენლობითი პალატის წევრი რაულ გრიდჯალვა დაუპირისპირდნენ „ვაიევერის“ პროცესს, რისი საშულებითაც მწვანე შუქი ენთებოდა სასაზღვრო კედლის მშენებლობის დაწყებას კალიფორნიაში.[239] [240]

2018 წლის თებერვალში მოსამართლე გონსალო კურიელმა დაადგინა, რომ ფედერალური კანონმდობელობის თანახმად, ადმინისტრაციას უფლება ჰქონდა გათავისუფლებულიყო მთელი რიგი ბუნებისდამცველი კანონებისა და რეგულაციების შესრულებისგან, იმისთვის რათა გაგრძელებულიყო სასაზღვრო კედლისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა.[241]

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ტრამპი ხშირად განიხილავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მუსულმანთა იმიგრაციის აკრძალვის საკითხს, რომელიც ცხარე კამათის თემას წარმოადგენდა აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში სირიაში მიმდინარე კონფლიქტისა და დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში განხორციელებული ტერორისტული აქტების ფონზე. ფოქს ნიუსთან საუბრისას, ნიუ-იორკის ყოფილი მერმა და დონალდ ტრამპის ერთგულმა თანამებრძოლმა რუდოლფ ჯულიანიმ განაცხადა, რომ ტრამპმის დავალებით მან შექმნა მუსლმანთა იმიგრაციის აკრძალვის საკითხზე მომუშავე სპეციალური კომიტეტი, სადაც ასევე შედიოდნენ აშშ-ის ყოფილი

---

[238] Hand, Mark (September 12, 2017). "Homeland Security waives environmental review for California border project". Think Progress. Retrieved September 13, 2017. https://thinkprogress.org/border-barrier-waivers-f27e30362472/

[239] Judge criticized by Trump will hear case on border wall". https://edition.cnn.com/2018/02/06/politics/gonzalo-curiel-donald-trump-border-wall/index.html

[240] The judge Trump disparaged as 'Mexican' will preside over an important border wall case". https://www.washingtonpost.com/news/politics/wp/2018/02/05/the-judge-trump-disparaged-as-mexican-will-preside-over-an-important-border-wall-case/?utm_term=.ec7cafa6bb40

[241] Kopan, Tal (February 28, 2018). "Judge Curiel, once attacked by Trump, rules border wall can proceed". CNN. Retrieved February 28, 2018. https://edition.cnn.com/2018/02/27/politics/border-wall-ruling-curiel/index.html

გენპროკურორი და ნიუ-იორკის სამხრეთ ოლქის მთავარი მოსამართლე მაიკლ მუკასი და წარმომადგენელთა პალატის წევრები მაიკლ მაკოლი და პიტერ ტ. კინგი. ჯულიანი განმარტავდა, რომ ისინი რელიგიური საფუძველის გამორიცხვით, ყურადღებას ამახვილებდნენ იმ რეგიონებზე, საიდანაც „არსებობდა მტკიცებულებები იმისა, რომ აშშ-ში აგზავნიდნენ ტერორისტებს".[242]

2015 წლის დეკემბერში ტრამპმა მოუწოდა აშშ-ის ხელისუფლებას დროებით აეკრძალა ყველა მუსულმანისთვის აშშ-ს ტერიტორიაზე შესვლა საქმის ვითარებაში საბოლოოდ გარკვევამდე (აშშ ყოველწლიურად იღებს დაახლოებით 10 ათას მუსულმან იმიგრანტს)[243] განსაკუთრებით კი 2015 წლის სან ბერნარდინოში (კალიფორნია) განხორციელებული თავდასხმის შემდეგ. იგი აცხადებდა, რომ ემიგრანტებისთვის იმ ქვეყნებიდან, რომელთა მოქალაქეები მონაწილეობას იღებდნენ აშშ-ის, ევროპის ან ნებისმიერი მათი მოკავშირის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებში, არ უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა გადაეკვეთათ აშშ-ის საზღვარი. იგი პირდებოდა ამომრჩევლებს, რომ უარით გაისტუმრებდა თავშესაფრის მაძიებლებს სირიიდან, ხოლო ისინი, ვინც უკვე იმყოფებოდნენ აშშ-ის ტერიტორიაზე, დაექვემდებარებოდნენ დეპორტაციას. 2015 წლის დეკემბერში ჟურნალისტ უილი გეისტთან ინტერვიუს დროს, რომელმაც არაერთხელ ჰკითხა ტრამპს იმის შესახებ, რომ დაუსვამდნენ თუ არა კითხვას ავიაკომპანიების, საბაჟო სამსახურის წარმომადგენლები თუ მესაზღვრეები მგზავრებს მათი რელიგიური კუთვნილების შესახებ. ტრამპმა პასუხი იყო შემდეგი, რომ აუცილებლად დაუსვამდნენ და თუ პიროვნება აღმოჩნ-

---

[242] Wang, Amy B. "Trump asked for a 'Muslim ban', Giuliani says — and ordered a commission to do it 'legally'". The Washington Post. Retrieved January 30, 2017. https://www.washingtonpost.com/news/the-fix/wp/2017/01/29/trump-asked-for-a-muslim-ban-giuliani-says-and-ordered-a-commission-to-do-it-legally/?utm_term=.d4a53ccb1ac3

[243] "The Religious Affiliation of U.S. Immigrants: Muslim Immigrants". Pew Research Center. May 17, 2013. http://www.pewforum.org/2013/05/17/the-religious-affiliation-of-us-immigrants/#muslim

დებოდა მუსულმანი, მას უარს ეტყოდნენ ქვეყანაში შესვლაზე.[244]

ტრამპს ხშირად მოჰყავდა მაგალითად აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს, მისთვის კანონით მინიჭებულ ფარგლებში, ახორციელებდა გერმანელი, იაპონელი და იტალიელი ემიგრანტების დეპორტაციას.[245] ტრამპმი აცხადებდა, რომ არ ეთანხმებოდა ასევე რუზველტის პრეზიდენტობის დროს განხორციელებულ იაპონელთა ინტერნირების პროცესს, რაც გულისხმობდა დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები 120 ათასი ეთნიკური იაპონელის (მათ შორის 62% აშშ-ის მოქალაქის) სპეციალურ ბანაკებში ძალადობრივად მოთავსებას. რუზველტისგან განსხვავებით, მისი წინადადება არ ვრცელდებოდა მუსულმანებზე, რომლებიც აშშ-ს მოქალაქეები იყვნენ და რომლებიც მსახურობდნენ აშშ-ში სამხედრო ძალებში.[246]

2016 წლის მაისში ტრამპმა შეცვალა წინადადება აკრძალვის შესახებ, რომელიც ყველა მუსულმან იმიგრანტზე ვრცელდებოდა, გადაიტანა რა აქცენტი რელიგიურიდან ასპექტიდან გეოგრაფიულზე და მოიცვა ყველა იმ რეგიონი, სადაც დასტურდებოდა ტერორიზმთან კავშირი აშშ-ის, ევროპის ან მათი მოკავშირეების წინააღმდეგ. 84 შემდეგ მან აკრძალვა მხოლოდ ისლამურ ტერორთან კავშირში მყოფ სახელმწიფოებს დაუკავშირა. 2016 წლის ივნისში, კი განაცხადა, რომ ნებას დართავდა მუსულმანებს მისი მოკავშირე

---

[244] "Donald Trump explains how his ban on Muslims entering the U.S. would work". The Washington Post. Retrieved July 31, 2016. https://www.washingtonpost.com/

[245] Similar to Presidential Proclamations 2525, 2526, and 2527: "Donald Trump Speaks Out on Plan to Ban Muslims". Good Morning America. "Donald Trump Cites These FDR Policies to Defend Muslim Ban". ABC News. I mean, take a look at what FDR did many years ago and he's one of the most highly respected presidents. I mean respected by most people. They named highways after him. https://abcnews.go.com/GMA/video/donald-trump-speaks-plan-ban-muslims-35640498

[246] Ben Kamisar (July 12, 2015). "Trump calls for 'shutdown' of Muslims entering US". The Hill. https://thehill.com/blogs/ballot-box/presidential-races/262348-trump-calls-for-shutdown-of-muslims-entering-us

ქვეყნებიდან, მაგალითად, გაერთიანებული სამეფოდან გადაეკვეთათ აშშ-ის საზღვარი. 2016 წლის მაისში, როცა ტრამპს ჰკითხეს, თუ როგორ შეეხებოდა მუსულმანებისთვის აშშ-ს საზღვრის გადაკვეთის აკრძალვა, მაგალითად, ლონდონის ახლადარჩეულ მერს სადიკ ხანს, ტრამპმა განაცხადა: „გამონაკლისები ყოველთვის იქნება“. სადიკ ხანის წარმომადგენელმა ტრამპის მოსაზრებებს უმეცარი, შუღლის ჩამომგდები და საშიში უწოდა.[247]

ტრამპის წინასაარჩევნო დაპირების შესახებ, რომელიც ეხებოდა ტერორიზმთან კავშირში მყოფი სახელმწიფოებიდან მუსულმანების აშშ-ის ტერიტორიაზე შემოსვლის აკრძალვას იმ დრომდე, სანამ არ გაირკვეოდა თუ როგორ უნდა მოღებოდა აღნიშნულ საფრთხეს ბოლო, The New York Times-ში გამოქვეყნებულ ანგარიშში სამართლის სპეციალისტები განმარტავდნენ, რომ აღნიშნული გეგმის განხორციელება უდაოდ მიეკუთვნებოდა პრეზიდენტის კომპეტენციის სფეროს, თუმცა მას დასჭირდებოდა ამბიციური და დროში გაწელილი, დიდი ბიუროკრატიული ძალისხმევა და აღმასრულებელი ხელისუფლების ჭარბი დოზით გამოყენება. საიმიგრაციო ანალიტიკოსები ასევე ვარაუდობდნენ, რომ აღნიშნული გეგმის განხორციელება გამოიწვევდა შურისძიების ტალღას იმ აშშ-ის მოქალაქეების მიმართაც, რომლების მოგზაურობდნენ და ცხოვრობდნენ აშშ-ის ფარგლებს გარეთ.[248] ტრამპის წინადადება იმიგრაციის აკრძალვის შესახებ იმ სახელმწიფოებიდან, რომლებიც კომპრომენტირებულნი იყვნენ ტერორიზმთან კავშირის გამო, ასევე შეეხებოდა ისეთ ქვეყნებსაც როგორიც არის მაგალითად საფრანგეთი, გერმანია და ესპანეთი. თუმცა ტრამპი მიიჩნევდა, რომ თავად ამ ქვეყნების ბრალი იყო, რომ დიდი ხნის მანძილზე ისინი

---

[247] Tim Hume & Eric Bradner, "Donald Trump: London mayor made 'very rude statements' about me", CNN (May 16, 2016). https://edition.cnn.com/2016/05/16/politics/donald-trump-cameron-khan/

[248] Preston, Julia (June 18, 2016). "Many What-If's in Donald Trump's Plan for Migrants". The New York Times. ISSN 0362-4331. Retrieved June 18, 2016. https://www.nytimes.com/2016/06/19/us/politics/donald-trump-immigration.html

უფლებას აძლევდნენ მუსულმანებს შესულიყვნენ მათ ტერიტორიებზე.[249]

დონალდ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა მოიცავდა კიდევ ერთ წინადადებას არალეგალური იმიგრანტების მასობრივი დეპორტაციის შესახებ. გეგმის განხორციელება 1950 წლებში პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პროგრამის მოდელის მიხედვით უნდა მომხდარიყო, რომელიც არალეგალი მექსიკელების მასობრივ დეპორტაციას ემსახურებოდა და საბოლოოდ კონგრესში გამოძიების დაწყების შემდეგ დასრულდა.[250]

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოსის მაე ნგაის მოსაზრებით, სამხედრო სტილის ოპერაციის განხორციელება არაჰუმანური და არაეფექტიან პოლიტიკას წარმოადგენდა.[251]

ნათელი იყო, რომ ტრამპის მასობრივი დეპორტაციის გეგმის განხორციელება აღმოჩნდებოდა როგორც იურიდიული და მატერიალურ-ტექნიკური სირთულეების, წინაშე, ვინაიდან, აშშ-ის საიმიგრაციო სასამართლოები ისედაც შეფერხებით ფუნქციონირებდნენ, ასევე ფინანსური თვალსაზრისითაც, გამოიწვევდა ბიუჯეტის შემცირებას. ამერიკული სამოქმედო ფორუმის პოლიტიკის ჯგუფის შეფასებით, არალეგალ მიგრანტთა მასობრივი დეპორტაცია გამოიწვევდა 381,5 მილიარდი აშშ დოლარიდან – 623.2 მილიარდ აშშ დოლარამდე ზარალს კერძო სექტორში, რაც აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 2%-ს შეადგენდა.[252]

2016 წლის ივნისში სოცილურ ქსელ „ტვიტერის“ საშუალებით

---

[249] "Meet the Press". July 24, 2016. Retrieved July 25, 2016. https://www.nbcnews.com/meet-the-press/meet-press-july-24-2016-n615706

[250] Kelley Beaucar Vlahos, "Messy legal process could challenge Trump's mass deportation plan", Fox News (November 27, 2015). https://www.foxnews.com/politics/messy-legal-process-could-challenge-trumps-mass-deportation-plan

[251] Kate Linthicum, "The dark, complex history of Trump's model for his mass deportation plan", Los Angeles Times (November 13, 2015). https://www.latimes.com/nation/la-na-trump-deportation-20151113-story.html

[252] Luciana Lopez (May 5, 2016). "Trump's deportation plan could slice 2 percent off U.S. GDP: study". Reuters. https://www.reuters.com/article/us-usa-election-trump-deportations-idUSKCN0XW0TP

ტრამპმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მას არასდროს მოწონდა მასმედიის ტერმინი „მასობრივი დეპორტაცია“, – თუმცა, მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო კანონის აღსრულება არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის მიმართულებით.[253]

მოგვიანებით, მან ასევე განაცხადა, რომ მის საიმიგრაციო პოლიტიკას იგი ვერ დაახასიათებდა როგორც „მასობრივ დეპორტაციას“, თუმცა ფენიქსში ამომრჩევლებთან შეხვედრისას, მისი „შერბილებული“ პოზიციის საწინააღმდეგოდ ტრამპმა წარმოადგინა 10-პუნქტიანი გეგმა, რითაც კვლავ დაადასტურა მისი მკაცრი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ. „ნებისმიერი ვინც უკანონოდ გადმოკვეთა აშშ-ს საზღვარი, დაექვემდებარება დეპორტაციას“ – აცხადებდა ტრამპი. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა კრიმინალებზე და ვიზით განსაზღვრულ ქვეყანაში ყოფნის ვადის დამრღვევებზე. ტრამპის მოუწოდებდა მათ, ვისაც სურდა აშშ-ის ტერიტორიაზე კანონიერად ცხოვრება და მუშაობა, დაბრუნებულიყვნენ საკუთარ სამშობლოში და ხელახლა, კანონიერად გადმოეკვეთათ საზღვარი.

ტრამპი ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამდა აშშ-ის მოქალაქეობის არმქონე იმიგრანტების აშშ-ში დაბადებული შვილებისთვის ავტომატურად მოქალაქეობის მინიჭების პოლიტიკასთან დაკავშირებითაც. იგი მიიჩნევდა, რომ არალეგალური იმიგრაციის ყველაზე სერიოზულ მიზეზს სწორედ რომ აღნიშნული გზით მოქალაქეობის მოპოვების გარანტია წარმოადგენდა.[254]

აშშ-ის მომავალი პრეზიდენტისთვის მისაღები იყო ასევე გარკვეული სახის შეზღუდვების დაწესება ლეგალური მიგრაციისა და

---

[253] Beth Reinhard (June 29, 2016). "Donald Trump Adjusts Some of His Positions". The Wall Street Journal. https://www.wsj.com/articles/donald-trump-adjusts-some-of-his-positions-1467244915

[254] "Donald Trump Pivots Back to Hard-Line Immigration Stance". Time. August 31, 2016. Retrieved September 1, 2016. http://time.com/4475417/donald-trump-immigration-policy-mexico-deportation/

სამუშაო ვიზების გაცემასთან დაკავშირებით[255] მათ შორის, იქნებოდა ეს „მწვანე ბარათი“, თუ H-1B ტიპის (სპეციალობით მომუშავეებისთვის) ვიზები. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებისთვის ასევე მისასალმებელი იყო ის ფაქტი, რომ აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ, 2016 წლის ივნისში, ძალაში დატოვა აკრძალვა აშშ-ის მოქალაქეთა არალეგალი იმიგრანტი მშობლებისთვის და მუდმივი მაცხოვრებლებისთვის, რომ მათ დროებით არ შეხებოდათ დეპორტაცია და ასევე არ მოეთხოვებოდათ სამუშაო ვიზები.

უკვე პრეზიდენტის რანგში, დონალდ ტრამპმა შვიდ მუსულმანურ სახელმწიფოს დაუწესა სამგზავრო აკრძალვა, რაც აღნიშნული სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემის აკრძალვას გულისხმობდა. ორჯერ ჩასწორების შემდეგ, აკრძალვის მესამე ვარიანტი საბოლოოდ 2018 წლის ივნისში იქნა მხარდაჭერილი უზენაესი სასამართლოს მიერ.

ტრამპი ასევე შეეცადა გაეუქმებინა პრეზიდენტ ობამას განკარგულების საფუძველზე შექმნილი საიმიგრაციო პროგრამა „Deferred Action for Childhood Arrivals (DACA), რომელიც 2012 წლიდან საშუალებას აძლევდა დაახლოებით 800 000 ახალგაზრდას (ე.წ. მეოცნებეებს) მათ, ვინც პატარა ასაკში მშობლებმა არალეგალურად შემოიყვანეს აშშ-ს ტერიტორიაზე, ლეგალურად დასაქმებულიყვნენ დეპორტაციის შიშის გარეშე. 2017 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ მომდევნო 6 თვეში ის გააუქმებდა DACA-ს პროგრამას და მოუწოდა კანონმდებლებს შეემუშავებინათ შესაბამისი კანონი დაცვის პროგრამის ვადის ამოწურვამდე. იგი აცხადებდა: „მე მიყვარს ეს ხალხი, და იმედი მაქვს, რომ კონგრესი დაეხმარება მათ სწორი გადაწყვეტილების მიღებით“. აღნიშნული გადაწყვეტილების გამო, ტრამპი ისევ კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოაქციეს. ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს მიაჩნდათ, ეს იყო

[255] Campaign 2015: The Candidates & the World: Donald Trump on Immigration". Council on Foreign Relations. Retrieved May 15, 2016. www.cfr.org The next commander in chief; Trump on the issues – immigration

უსამართლო გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლოა ეკონომიკისთვის ზიანის მომტანი გამხდარიყო.[256]

ტრამპის ადმინისტრაციამ ასევე განაცხადა, რომ აუქმებდა აშშ-ის ფედერალური მთავრობის მიერ სხვადასხვა სახელმწიფოებიდან განსაკუთრებული სიტუაციების წარმოქმნის გამო იძულებით გადაადგილებული პირებისთვის მინიჭებულ დროებით დამცავ სტატუსაც.[257] 2017 წელს ტრამპის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 45 დან 59 ათასამდე ჰაიტის მოქალაქე დაკარგავდა დროებით დამცავ სტატუსს 2019 წლის 22 ივლისიდან.[258] ელ სალვადორის 200 ათასი მოქალაქე _ 2019 წლის 9 სექტემბრიდან, 2500 ნიკარაგუელი კი _ 2019 იანვრიდან. 2018 წლის იანვარში ოვალურ კაბინეტში საიმიგრაციო რეფორმის განხილვისას დემოკრატმა კანონმდებლებმა შესთავაზეს დონალდ ტრამპს კომპრომისული საიმიგრაციო კანონმდებლობის ფარგლებში აღედგინა დროებითი დაცვის სტატუსი ნეპალის, სუდანისა და ჰონდურასის მოქალაქეებისთვის, რაზეც, გადმოცემის თანახმად, მან უპასუხა: „ეს ბინძური ხალხი ჩვენ გვიგზავნის იმათ, ვინც თვითონ არ ჭირდებათ“ და წამოაყენა წინადადება, რომ სანაცვლოდ გაეფართოვებინათ იმიგრაცია ისეთი ქვეყნებიდან, მაგალითად როგორიც არის ნორვეგია და აზიის ქვეყნები. ტრამპის კომენტარებმა, რასაც შემდგომ ის ნაწილობრივ უარყოფდა, დიდი ვნებათაღელვა და კრიტიკა დაიმსახურა როგორც საშინაო, ისე საგარეო დონეზე.[259]

---

[256] "Trump Moves to End DACA and Calls on Congress to Act".https://www.nytimes.com/2017/09/05/us/politics/trump-daca-dreamers-immigration.html

[257] "Amid call to reunite separated families, a plea to fix TPS for Haitians and others". miamiherald. Retrieved 2018-06-25. https://www.miamiherald.com/latest-news/article213628819.html

[258] Jordan, Miriam (2017-11-21). "Trump Administration Ends Temporary Protection for Haitians". The New York Times. ISSN 0362-4331. https://www.nytimes.com/2017/11/20/us/haitians-temporary-status.html

[259] Yuhas, Alan (January 12, 2018). "Donald Trump denies using the phrase 'shithole countries' in immigration talks". The Guardian. www.theguardian.com/us-news/2018/jan/12/donald-trump-shithole-countries-tweet-denies-immigration-talks

2018 წლის ივნისში იმიგრანტებმა, რომლებიც სტატუსის დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგნენ, სარჩელი შეიტანეს სან-ფრანცისკოს ფედერალური საოლქო სასამართლოში დაწყებული სტატუსის გაუქმების პროცესის წინააღმეგ, აცხადებდნენ რა, რომ აღნიშნული პროცესი მიმინარეობდა თვითნებურად, ფორმალური მხარის გარეშე, დისკრიმინაციული ელემენტების შემცველობით.[260]

პრეზიდენტ ტრამპის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა აშშ-მექსიკის საზღვარზე უკანონოდ გადასული, ემიგრანტების დაკავებას გულისხმობდა, რამაც საბოლოოდ არასრულწლოვნებისა და მათ ოჯახის წევრების დაშორება გამოიწვია. აღნიშნული ფაქტმა აშშ-ის, ისევე როგორც საერთაშორისო მასშტაბით პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია.

2018 წლის თებერვლიდან აშშ-მექსიკის საზღვარზე განხორციელება დაიწყო ბავშვების მშობლებთან და ნათესავებთან განცალკევების პრაქტიკამ, საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის, მათ შორის თავშესაფრის მაძიებლებისთვისაც.[261]

სამინაო უშიშროების დეპარტამენტისა და იუსტიციის დეპარტამენტის კოორდინირებით განხორციელებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც 2018 წლის მაისში გამოცხადდა და რომელიც მიმართული იყო აშშ-მექსიკის საზღვრის არასანქცირებული გადაკვეთის წინააღმდეგ ბრძოლისკენ, ფედერალურმა ხელისუფლებამ დაიწყო ბავშვების დაშორება მათ მშობლებთან, ნათესავებთან ან სხვა სრულწლოვან პირებთან, რომლებიც ახლდნენ მათ საზღვრის გადაკვეთისას.[262] მშობლები

---

[260] "Immigrants Challenge End Of Their Temporary Protective Status". SFGate. Retrieved 2018-06-25. https://www.sfgate.com/news/bayarea/article/Immigrants-Challenge-End-Of-Their-Temporary-13019345.php

[261] Hennessy-Fiske, Molly (February 20, 2018). "U.S. is separating immigrant parents and children to discourage others, activists say". Los Angeles Times. Retrieved June 19, 2018. https://www.latimes.com/nation/la-na-immigrant-family-separations-2018-story.html

[262] "Attorney General Sessions Delivers Remarks Discussing the Immigration Enforcement Actions of the Trump Administration". www.justice.gov. May 7, 2018. Retrieved June 15,

გადაყვანილ იქნენ ფედერალურ საპატიმრო დაწესებულებებში, სადაც უნდა დალოდებოდნენ სასამართლო მოსმენებს, ხოლო ბავშვები უნდა მოთავსებულიყვნენ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის თავშესაფრებში.[263]

თეთრი სახლის ადმინისტრაციის უფროსის ჯონ ფ. კელის თქმით, რომელიც აღნიშნულ პოლიტიკას მკაცრ შემაკავებელ ფაქტორს უწოდებდა. „ისინი მოდიან აქ გარკვეული მიზეზით და მე ვუთანაგრძნობ მათ, თუმცა კანონი კანონია და ამ თამაშის სახელი – შეკავებაა“ აშშ-ის გენერალური პროკურორი სეშენსი კი აცხადებდა „თუ ადამიანებს არ სურთ დაშორდნენ საკუთარ შვილებს, მაშინ არ უნდა წამოიყვანონ ისინი მათთან ერთად. ჩვენ უნდა გადმოგცეთ ეს გზავნილი, თქვენ ვერ მიიღებთ იმუნიტეტს“.[264]

ამერიკის პედიატრიის აკადემია, ამერიკელ ექიმთა კოლეჯი და ამერიკის ფსიქიატრიულმა ასოცოაციამ სასტიკად დაგმო ტრამპის ადმინისტრაციის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, ამერიკის პედიატრიის ასოციაციის წევრებმა კი განაცხადეს, რომ აღნიშნულმა პოლიტიკამ „გამოუსწორებელი ზიანი“ მიაყენა ბავშვებს.[265] მრავალი რელიგიური გაერთიანება და მოღვაწე დაუპირისპირდა.

ამერიკის საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ფრონტლაინის“ (Frontline) საგამოძიებო ანგარიშის მიხედვით, დაახლოე-

---

2018. If you are smuggling a child, then we will prosecute you and that child will be separated from you as required by law. https://www.justice.gov/opa/speech/attorney-general-sessions-delivers-remarks-discussing-immigration-enforcement-actions

[263] Horwitz, Sari; Sacchetti, Maria (May 7, 2018). "Sessions vows to prosecute all illegal border crossers and separate children from their parent Bump, Philip (June 7, 2018). "Analysis | Trump's 'deterrent' of separating kids from their parents isn't deterring many migrants". Washington Post. ISSN 0190-8286. Retrieved June 15, 2018.s". Washington Post. ISSN 0190-8286. Retrieved June 15, 2018. https://www.washingtonpost.com/

[264] Bump, Philip (June 7, 2018). "Analysis | Trump's 'deterrent' of separating kids from their parents isn't deterring many migrants". Washington Post. ISSN 0190-8286. Retrieved June 15, 2018. https://www.washingtonpost.com/

[265] "AAP Statement Opposing Separation of Children and Parents at the Border". www.aap.org. May 8, 2018. Retrieved June 15, 2018. https://www.aap.org/en-us/about-the-aap/aap-press-room/Pages/StatementOpposingSeparationofChildrenandParents.aspx

ბით 3,000 ბავშვი ძირითადად ცენტრალური ამერიკიდან დააშორეს საკუთარ ოჯახებს 2018 წლის ივნისამდე, როცა მოხდა აღნიშნული პრაქტიკის სასამართლო ბრძანების წესით გაუქმება.[266]

26 ივნისს მოსამართლე დანა საბრაუმ გასცა ბრძანება, რომ თავშესაფარში მყოფი ყველა ბავშვი 30 დღის მანძილზე უნდა შეერთებოდა საკუთარ ოჯახს. თუმცა, 20 აგვისტოს მონაცემებით, ბავშვების თითქმის ერთი მეხუთედი ჯერ კიდევ არ იყვნენ მშობლებთან დაბრუნებულნი.[267] სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, 24 ივნისს, დონალდ ტრამპმა ტვიტერში შემდეგი განცხადება გააკეთა: ჩვენ ვერ მივცემთ უფლებას ამ ადამიანებს დაიპყრონ ჩვენი ქვეყანა. როცა ვინმე შემოგვეჭრება, დაუყოვნებლივ, სასამართლოსა და მოსამართლეების ჩარევის გარეშე, უნდა მივაბრძანოთ იქ, საიდანაც მოვიდნენ ...".[268]

ჰარვარდის საკონსტიტუციო სამართლის პროფესორ ლოურენს ჰ. ტრაიბის განმარტებით, უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ აშშ-ის კონსტიტუციის მე-5 და მე-14 შესწორებები, რომლებიც ეხება შესაბამის სამართლებრივ პროცედურებსა და მოქალაქეობის და კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობას, ყველასთვის და მათ შორის აშშ-ის ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფ პირთათვის ერთია". ტრაიბი წერდა: „ტრამპი ტირანულ განცხადებას აკეთებს, რომ, მას აქვს უფლება წარსდგეს როგორც ბრალმდებელი, მოსამართლე და ნაფიცი მსაჯული მათ წინაშე, ვინც კვეთს ჩვენი ქვეყნის საზღვარს. ეს გახლავთ განუსაზღვრელი ძალაუფლების მტკიცების მცდელობა".[269]

---

[266] Miller, Leila. "After Deadline to Reunite Them, Hundreds of Children Remain Separated". PBS FRONTLINE. Retrieved September 9, 2018. https://www.pbs.org/wgbh/frontline/article/after-deadline-to-reunite-them-hundreds-of-children-remain-separated/

[267] "The Trump administration's legacy of orphans". The Washington Post. 26 August 2018. Retrieved 8 September 2018.

[268] https://twitter.com/realDonaldTrump/status/1010900865602019329

[269] Rogers and Stolberg, Katie and Sheryl (24 June 2018). "Trump Calls for Depriving Immigrants Who Illegally Cross Border of Due Process Rights". The New York Times.

გამოცემა The Washington Post-მაც შეაფასა ტვიტერის საშუალებით ტრამპის მიერ გავრცელებული განცხადება და მივიდა დასკვნამდე, რომ იურიდიული თვალსაზრისით, ტრამპის განცხადება საფუძველს იყო მოკლებული, ვინაიდან, აშშ-ის კონსტიტუცია პროცესუალური უფლებების დაცვის საშუალებას იძლევა არა მხოლოდ აშშ-ის მოქალაქეებისთვის, არამედ აშშ-ში მყოფი ნებისმიერი პირისთვის მათ შორის არალეგალი ემიგრანტებისთვის.[270]

2017 წლის 27 იანვარს, ტრამპმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას (#13769), სახელწოდებით „ერის დაცვა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმებისგან“, რითაც, შვიდი ქვეყნის მოქალაქეებს შეუჩერდათ აშშ-ის საზღვრის გადაკვეთის უფლება 90 დღის მანძილზე. ეს ქვეყნებია: ერაყი, ირანი, ლიბია, სომალი, სუდანი, სირია და იემენი. ჯამში შეზღუდვა შეეხო 134 მილიონზე მეტ ადამიანს[271] მათ შორის სირიის სამოქალაქო ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ და თავშესაფრის მაძიებელ პირებს განუსაზღვრელი ვადით და ასევე, ყველა თავშესაფრის მაძიებელ პირს 120 დღის განმალობაში.[272] ის პირები, რომლებიც თავშესაფრის საძიებლად უკვე გამომგზავრებულნი იყვნენ საკუთარი წარმოშობის ქვეყნებიდან, დააკავებულ იქნენ აშშ-ის აეროპორტებში.

2017 წლის 6 მარტს ტრამპმა ხელი მოაწერა აღმასრულებელი ბრძანების შესწორებულ ვარიანტს, სადაც თავდაპირველ დროებით შეზღუდვას აღარ ექვემდებარებოდნენ ერაყის მოქალაქეები, ვიზის

Retrieved 25 June 2018. https://www.nytimes.com/2018/06/24/us/politics/trump-immigration-judges-due-process.html

[270] Rizzo, Salvador (26 June 2018). "President Trump's misconceptions about immigration courts and law". The Washington Post. Retrieved 26 June 2018.

[271] Jeremy Diamond. "Trump's latest executive order: Banning people from 7 countries and more". CNN. https://edition.cnn.com/2017/01/27/politics/donald-trump-refugees-executive-order/index.html

[272] D. Shear, Michael; Cooper, Helene (January 27, 2017). "Trump Bars Refugees and Citizens of 7 Muslim Countries". The New York Times. Retrieved January 28, 2017. https://edition.cnn.com/2017/01/27/politics/donald-trump-refugees-executive-order/index.html

მფლობელები და მუდმივად ცხოვრების უფლების მქონე პირები. არ ხდებოდა სირიელი თავშესაფრის მაძიებლების დიფერენცირება სხვა ქვეყნების თავშესაფრის მაძიებლებისგან.

2017 წლის 25 იანვარს, ტრამპმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას #13768, რითაც საგრძნობლად გაიზარდა იმ იმიგრანტთა რაოდენობა, რომლებიც დაექვემდებარებოდნენ დეპორტაციას. ობამას ადმინისტრაციის დროს, ქვეყნიდან პირის დეპორტაციის საბაბს სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ჩადენა წარმოადგენდა, ხოლო ახალი კანონით, დეპორტაციისთვის ე.წ. პრიორიტეტი ენიჭებოდათ მსუბუქი დანაშაულის ჩადენისთვისაც, როგორც გასამართლებულებს, ასევე ბრალდებულებს.[273]

ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკას ეჭვის თვალით უყურებდნენ ფედერალური სარეზერვო სისტემის წარმომადგენლებიც. მათ მიაჩნდათ, რომ მსგავსი შეზღუდვები, სავარაუდოდ, უარყოფით ზეგავლენას იქონიებდა ქვეყნის ეკონომიკაზე, ვინაიდან იმიგრაცია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა.[274]

პრეზიდენტ ტრამპის მიერ სასურველი პოლიტიკის განხორციელება აღმასრულებელი ბრძანებების ესოდენ ხშირი გამოყენებით, კონსტიტუციური ფედერალიზმის საფრთხედ მიიჩნია ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორმა ილია სიომინმა. მისი აზრით სახეზე იყო საპრეზიდენტო დიქტატის ნიშნები, როცა ცალკეული შტატები და ქალაქები იძულებულნი ხდებოდნენ დამორჩილებოდნენ მათთვის არასასურველ გადაწყვეტილებებს, რომელიც მიიღებოდა ასევე კონგრესის გვერდის ავლით, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნიდა ხელისუფლების გადანაწილების

---

[273] Enhancing Public Safety in the Interior of the United States". Federal Register. January 25, 2017. Retrieved February 9, 2017 https://www.federalregister.gov/documents/2017/01/30/2017-02102/enhancing-public-safety-in-the-interior-of-the-united-states

[274] Raice, Shayndi (February 10, 2017). "Fed Officials Cite Economic Benefits of Immigration Amid Political Debate". Wall Street Journal. ISSN 0099-9660. Retrieved February 10, 2017.

ფუნდამენტურ პრინციპსაც.[275]

2017 წლის 25 აპრილს აშშ-ის საოლქო მოსამართლემ უილიამ ორიკმა გამოსცა საერთოეროვნული წინასწარი სასამართლო აკრძალვა, რომელიც კრძალავდა აღმასრულებელი ბრძანების გამოცემას. #13768 ბრძანების მე-9 ნაწილი გამოცხადდა არაკონსტიტუციურად, ვინაიდან „ძალთა გადანაწილების დოქტრინასა“ და უფლებათა ბილის მე-5 და მე-10 შესწორებების პრინციპებს არღვევდა.[276]

დონალდ ტრამპს განსაკუთრებული დამოკიდებულება გააჩნდა სირიელი ლტოლვილების მიმართ. მართალია, 2015 წლის სექტემბერში, იგი უთანაგრძნობდა კიდეც მათ და დადებითად აფასებდა ანგელა მერკელის პოლიტიკას მათი ქვეყანაში შეშვებასთან დაკავშირებით. მოგვიანებით იგი სირიელ ლტოლვილებს ტროას ცხენს ადარებდა და გამოდიოდა წიმოწოდებით, რომ უკან გაებრუნებინათ აწ უკვე აშშ-ში მცხოვრები ლტოლვილის სტატუსის მქონე პირები. 2016 წლის მაისში ჟურნალისტ ბილ ო’ რეილისთან ინტერვიუს დროს, ტრამპი აცხადებდა: ..ჩვენ ვართ ომში სასტიკ, მოძალადე ადამიანებთან, რომლებიც არ ვიცით ვინ არიან და საიდან მოდიან. ჩვენ ვაძლევთ მათ უფლებას ათაიათასობით შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში“.[277]

ტრამპი მიმართავდა მსგავს რიტორიკას, მიუხედავად იმისა, რომ არსად, არცერთი კვლევით არ დასტურდებოდა, რომ ეს ადამიანები ტერორიტები იყვნენ.

2018 წლის 11 ივლისს UCSIS ოფიცრებმა, რომლებიც თავშე-

---

[275] "Why Trump's executive order on sanctuary cities is unconstitutional". The Washington Post. January 26, 2017. Retrieved January 27, 2017.

[276] Diamond, Jeremy; McKirdy, Euan (November 21, 2017). "Judge issues blow against Trump's sanctuary city order". CNN. Archived from the original on November 22, 2017. Retrieved November 24, 2017. https://edition.cnn.com/2017/11/21/politics/trump-sanctuary-cities-executive-order-blocked/index.html

[277] "Donald Trump's Pants on Fire claim that US is letting in 'tens of thousands' of terrorists now". PolitiFact. May 25, 2016. https://www.politifact.com/truth-o-meter/statements/2016/may/25/donald-trump/donald-trump-says-us-letting-tens-thousands-terror/

საფრის მაძიებლების ინტერვიუირებას ახდენენ აშშ-ის საზღვარზე და აფასებენ მათ განაცხადებს, მიიღეს დავალება, რომ არ გაეცათ ლტოლვილის სტატუსი იმ ადამიანებზე, რომლებიც ჯგუფური ან ოჯახური ძალადობის გამო ითხოვდნენ თავშესაფარს, გარკვეული სოციალური ჯგუფის კუთვნილების კრიტერიუმის დაკმაყოფილების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათი წარმომავლობის ქვეყნის ხელისუფლება უარს განაცხადებდა მათ მფარველობაზე.[278]

ჯეფ სეშენსი მიიჩნევდა, რომ ჯგუფური თუ ოჯახური ძალადობა, არ აკმაყოფილებდა ლტოლვილის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს. ვინაიდან კრიმინალთან ბრძოლა და მოსახლეობის დაცვა ადგილობრივი ხელისუფლების პრობლემას წარმოადგენდა. საოჯახო ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრის მინიჭების ვალდებულება 2014 წლიდან არის ძალაში შესული.

2016 წელს აშშ-მა მიიღო 84, 995 ათასი ლტოლვილი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 2017 წელს 54 000 ხოლო, 2018 წელს მხოლოდ 45 ათასი, აქედან 19 000 ლტოლვილი აფრიკიდან, 17500-ახლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთ აზიიდან, 5000 აღმოსავლეთ

აზიიდან, 2000 ევროპიდან და აზიიდან და 1500 ლათინური ამერიკიდან და კარიბის ქვეყნებიდან. მიმდინარე წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ აშშ კიდევ შეამცირებდა ლტოლვილების მიღებას 2019 წლისთვის და მათი საერთო რაოდენობა 30 000 გახდებოდა.[279] რაც ასევე მწვავე კრიტიკისა და განხილვების საგანი გახდა.

როგორც ვხედავთ დონალდ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა მისი წინასაარჩევნო კამპანიის ყველაზე ცენრტალურ კომპონენტს წარმოადგენდა. მიჩნეულია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმე-

---

[278] "Policy Memorandum (PM-602-0162)" (PDF). UCSIS. 11 July 2018. Retrieved 22 July 2018.https://www.uscis.gov/sites/default/files/USCIS/Laws/Memoranda/2018/2018-06-18-PM-602-0162-USCIS-Memorandum-Matter-of-A-B.pdf

[279] https://www.aljazeera.com/news/2017/09/slashes-number-refugees-ready-resettle-170928033816715.html

ბის უმეტესი ნაწილი, სწორედაც რომ არალეგალი იმიგრანტების წინააღმდეგ წამოწყებულმა კამპანიამ მოუტანა მას, თუმცა მისი მრავალი განცხადება ინტერვიუებში, სოციალურ ქსელ „ტვიტერ-ზე“ და უშუალოდ კამპანიის დროს, საკამათო, ან ხშირ შემთხვევა-ში, უბრალოდ ყალბი აღმოჩნდა.

შრომითი მიგრაცია საქართველოდან რუსეთში
რისკები და გამოწვევები

საქართველოს ისტორიაში მიგრაციას განსაკუთრებული რო-ლი განეკუთვნება. მნიშვნელოვანი სტრატეგიული და გეოპოლი-ტიკური მდგომარეობის გამო მომხდარი ომების შედეგად. მოსახ-ლეობა ნებსით თუ უნებლიეთ, მუდმივად მიგრირდება ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ.[280]

საქართველოს უახლესი ისტორია ემიგრაციის რამდენიმე ტალღას გამოყოფს;

1. 1950-იან წლებამდე, რომელიც, ძირითადად, პოლიტიკური რეპრესიების შედეგად იძულებითი (საბჭოთა კავშირის შიგნით) გადასახლებებით ხასიათდება;
2. 1950-1990 წლებში, რა დროსაც საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია, ასევე უპირატესად საბჭოთა კავშირის ტერიტო-რიის ფარგლებში მიმდინარეობდა;
3. 1990-იან წლების მასობრივი ემიგრაცია, რომელიც ქვეყა-ნაში შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეო-ბას და სამხედრო კონფლიქტებს მოჰყვა.[281]

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური სისტემის ცვლა. გარდა-მავალი პერიოდი საქართველოში კრიზისით დაიწყო: ეკონომიკური

[280] მიგრაციის სახელმძღვანელო, თბ. 2017.წ.ნაწ.V, მიგრაციის ისტორია, გვ.107
[281] საქართველოს 2017წ. მიგრაციის პროფილი,თბ. 2017წ. გვ.12

კავშირები დაირღვა, საწარმოები გაჩერდა, გაჩნდა ენერგეტიკული პრობლემები, უმუშევრობა, ინფლაცია, კორუფცია და ა.შ. გარდამავალმა პერიოდმა საზოგადოების სოციალური დაუცველობის პრობლემა წარმოშვა. ძველი ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების რღვევამ ტრანსფორმაციის მთელი რიგი სპეციფიკური პრობლემები გააჩინა. სოციალური უზრუნველყოფის ძველი სისტემის ცვლილება და ახალი პროცესები შრომითი მოწყობის სფეროში, რაც საბაზრო ეკონომიკის ფორმირებასთან არის დაკავშირებული, პირველ რიგში, მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეეხო.

გარე მიგრაციის გამო საქართველოში გაჩნდა „ტვინების გადინებისა“ და „ტვინების დაკარგვის“ პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ გარე მიგრანტები განათლებულები არიან, უმეტეს შემთხვევაში ისინი ჩართულნი არიან არალეგალურ, დაბალანაზღაურებად და დაბალკვალიფიციურ სამუშაოებში, რომლებიც არ მოითხოვენ მათგან ასეთ მაღალ განათლებას და ამიტომ ეს მოვლენა შეიძლება შევაფასოთ, როგორც გარკვეული ტიპის „ტვინების დაკარგვა“.[282] რასაც ემიგრაციის წყაროს ქვეყნებისთვის არა მხოლოდ დროებითი, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მრავალმხრივი უარყოფითი შედეგი მოაქვს.

დღეის მდგომარეობით გარე მიგრაცია საქართველოს მოსახლეობის ფორმირების წამყვან კომპონენტს წარმოადგენს. დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარის თამარ ჩიბურდანიძის თქმით: „ქვეყნიდან გასულთა 70% ქალია და ყველა მათგანი (35-40 წლიდან 50-55 წლამდე) ეს კი დემოგრაფიულ პრობლემას ქმნის, ქვეყნიდან ყველაზე დიდი რაოდენობით შრომითი მიგრანტები გაედინებიან.“[283] თუ მანამდე საქართველოს მოქალაქეები მხოლოდ რუსეთსა და თურქეთში მიდიოდნენ, ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ევროკავშირის ქვეყნებში ქართველ მიგრანტთა

---

[282] ემიგრაციისა და სოფელ-ქალაქს შორის მიგრაციის სოციალურ გავლენა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, საქ.2012წ.გვ.12

[283] გაზეთი „კომერსანტი“, 2018 წ. 07.17

რაოდენობა გაზარდა.

დემოგრაფების კვლევები და გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების პროგნოზიც ადასტურებს, რომ 2050 წელს საქართველოს მოსახლეობა 2 მილიონ 985 000 ადამიანამდე შემცირდება. ქვეყანა 2018 წლიდან დემოგრაფიული კრიზისის ფაზაში შევიდა. მკვლევართა აზრით თუ ასე გაგრძელდა 25 წელიწადში შობადობის კლება გარდაუვალია, რაც 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 28%-ით შემცირდება და დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება.[284] შობადობის შემცირება და შრომითი მიგრაცია იქცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ყოფის უმნიშვნელოვანეს მოვლენად, რომელსაც

ბუნებრივად მოჰყვა საზოგადოების მხრიდან დიდი შეშფოთება მისი შედეგების გამო. თუ გავითვალისწინებთ, რომ უცხოეთში სამუშაო მიზნით მიგრაცია, უმეტესად ამ ქვეყნებში მიგრანტების არალეგალური დასაქმებით მთავრდება, საეჭვო ხდება მათი ადამიანური უფლებებისა და ღირსების საკითხი. ქართველი მიგრანტები დიდი სოციალური რისკის ქვეშ იმყოფებიან, რადგან არ არსებობს ან შეჩერებულია (რუსეთის შემთხვევაში) ქვეყნებს შორის ორმხრივი შეთანხმება მუშახელის გაცვლისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, ხოლო ქვეყანაში მოქმედი სოციალური დახმარების სისტემა არასაკმარისად უზრუნველყოფს მოსახლეობას.

ქართველი ემიგრანტები რუსეთის ფედერაციაში (ფულადი გზავნილები). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო თანდათან გახდა გლობალური მიგრაციული სისტემის ნაწილი. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოდან ემიგრაციის მახასიათებლები, მოცულობა და მიმართულებები. დღეისთვის ქართველი მიგრანტების ჯგუფების პოვნა სხვადასხვა ქვეყანაშია შესაძლებელი და მათი ნაკადებიც ასევე სხვადასხვა ქვეყნისკენ არის მიმართული[285] (იხილეთ ცხრი-

[284] გაზეთი „კომერსანტი“, 2018 წ. 07.17

[285] მიგრაციის საკითხთა კომისია 2015 წ. გვ. 13

ლი 1). მოქალაქეების მიხედვით, იმიგრანტები და ემიგრანტები ძირითადად საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან: რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, აშშ, ინდოეთი, საბერძნეთი – ჩამოდიან, ხოლო სხვა ქვეყნებიდან შემოსული მიგრანტების ჯგუფები საკმაოდ მცირე ზომისაა.

ცხრილი 1: ემიგრანტთა და იმიგრანტთა რაოდენობა მოქალაქეობისა და სქესის მიხედვით, 2017 წ.[286]

მოქალაქეობა	იმიგრანტი			ემიგრანტი		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
	2017					
სულ	**83,239**	**50,488**	**32,751**	**85,451**	**47,770**	**37,681**
საქართველო	**48,343**	28,989	19,354	**67,269**	36,713	30,556
რუსეთისფედერაცია	**9,723**	5,391	4,332	**5,105**	2,763	2,342
თურქეთი	**4,365**	3,396	969	**2,136**	1,646	490
უკრაინა	**2,275**	1,170	1,105	**1,552**	960	592
სომხეთი	**2,042**	1,097	945	**1,523**	858	665
აზერბაიჯანი	**3,501**	2,064	1,437	**1,487**	798	689
ჩინეთი	**904**	717	187	**849**	648	201
ა.შ.შ.	**1,075**	632	443	**668**	403	265
ინდოეთი	**2,686**	2,055	631	**653**	533	120
საბერძნეთი	**569**	319	250	**445**	239	206
ისრაელი	**429**	268	161	**342**	188	154
სხვა ქვეყნის მოქალაქე	**7,246**	4,337	2,909	**3,370**	1,989	1,381
მოქალაქეობის არმქონე	**81**	53	28	**52**	32	20

საქსტატი არ აგროვებს ინფორმაციას ემიგრანტთა დანიშნულების ქვეყნების შესახებ. აქედან გამომდინარე, რთულია იმის თქმა, თუ რომელი ქვეყნებისკენ არის მიმართული ქართველ ემიგრანტთა ნაკადი. თუმცა არსებული კვლევების შედეგებზე და უკვე

[286] საქსტატის ეროვნული სამსახური 2017 წ.

ჩამოყალიბებული დიასპორისა და მიგრაციულ ქსელებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველ ემიგრანტთა ძირითად დანიშნულებების ქვეყნებს შესაძლოა წარმოადგენდეს რუსეთი, თურქეთი, ევროკავშირის ქვეყნები.

არსებული შეფასებისა და სტატისტიკური მონაცემების თანახმად ყველაზე მეტი ემიგრანტი რუსეთში ცხოვრობს. რუსეთის მიგრაციის ფედერალური სამსახურის 2016 წლის მონაცემებით, რუსეთში მიგრაციულ აღრიცხვაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა 49,983-ს შეადგენდა, რაც აღემატება 2015 წლის იმავე მაჩვენებელს 43,762.[287]

დღეისათვის მათგან ვერც ერთი უწყება ვერ იძლევა სარწმუნო და ამომწურავ ინფორმაციას რუსეთში მცხოვრები ქართველების რიცხოვნობასთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური გარემოებებით, როგორიცაა: არალეგალური მიგრაციის აღრიცხვასთან დაკავშირებული სირთულეები, ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების გამო მიგრაციის სამსახურთა კორდინაცია ნაკლებია და სხვა.

მიუხედავად რუსეთის ფედერაციასთან უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობისა (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული კონფლიქტები, საქართველოს სეცესირებული ტერიტორიები, დიპლომატიური იზოლაცია, რუსეთში არსებული მიგრანტოფობიის პრობლემა) გეოგრაფიული სიახლოვის, ენობრივი ბარიერის ფაქტობრივი არ არსებობისა და მოსახლეობის ინტენსიური კავშირების გამო მაინც არ წყდება საქართველოდან შრომითი მიგრანტთა ნაკადი. ამის ძირითადი მიზეზი ალბათ არის ის, რომ რუსეთი სოციალური გარემოს თანხვდომით ყველაზე ახლოს დგას საქართველოსთან ისტორიულად ჩამოყალიბებული მენტალიტეტის, ერთიანი კულტურული სივრცის, სოციალური წყობის და თუნდაც, კონფესიური თვალსაზრისითაც.

[287] საქართველოს 2017 წ. მიგრაციული პროფილი

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსეთის როლი საქართველოდან გასული შრომითი მიგრანტების რიცხოვნობისა და საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების კუთხით. საქართველოდან შრომითი მიგრაციის მთავარი ტალღა ორი ათეული წლის მანძილზე რუსეთზე მოდიოდა.

1990-იანი წლების შუახანებიდან ვიდრე 2000-იან წლების შუა ხანებამდე რუსეთზე მოდიოდა შრომითი მიგრანტების დაახლოებით 70%. მათ მიერ ფულადი გზავნილების ასეთივე მაღალი დონე შენარჩუნდა კიდევ უფრო დიდხანს 2010-იანი წლების დასაწყისამდე, ანუ საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების მთავარი დონორი ამ წლების მანძილზე იყო (და რჩება) რუსეთი – მისმა ჯამურმა სიდიდემ ამ საუკუნეში 6,8 მილიარდ აშშ დოლარი შეადგინა – უცხოეთიდან საქართველოში განხორციელებული ტრანზაქციების 51,4% ცალკეულ პერიოდებში (2008-2010 წწ.).[288]

რუსეთის ქართველთა დიასპორის არსებობა და გავლენა საქართველოზე ნათლად ვლინდება მის მიერ განხორციელებულ ფულად გზავნილებში. 2018 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, ფულადი გზავნილების სახით ევროკავშირის ქვეყნებიდან 78 მლნ დოლარი გადმოირიცხა, ხოლო რუსეთიდან – 64 მლნ დოლარი. იანვარ-თებერვალში ჯამში 224 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რომლის 35% ევროკავშირის ქვეყნებზე, ხოლო 29% რუსეთზე მოდის. მესამე ადგილზე ისრაელია 11%-იან წილით (24 მლნ დოლარი). შემდეგ მოდის აშშ და თურქეთი 8-8%-იანი წილით (19-19 მლნ დოლარით).

2017 წელს ევროკავშირიდან 428 მლნ დოლარი, ხოლო რუსეთიდან 455 მლნ დოლარი გადმოირიცხა. რუსეთის წილი გზავნილებში 2013 წლიდან შემცირდა და ბოლო 5 წელიწადში ფაქტობრივად განახევრდა, ევროკავშირიდან გზავნილებს კი ზრდის ტენდენცია აქვს. ასევე 2017 წლიდან სწრაფად იზრდება ისრაელიდან გადმორიცხული თანხები და შესაბამისად, ისრაელის წილი გზავ-

[288] ნ. ჭილაძე, საქართველო რუსეთი, 2018წ. გვ.133

ნილებში. ისრაელის წილი 2013 წელს 1% იყო, 2018 წლის იანვარ-თებერვლის მიხედვით კი 11%-ია. რუსეთში განვითარებული ეკონომიკური არასტაბილურობა პირდაპირ აისახა საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობაზე.[289]

რუსეთიდან ქართველი მიგრანტების მიერ ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში, რადგან მრავალი ოჯახის საარსებო წყაროს წარმოადგენს და სიღარიბის დონეს ამცირებს. ამავე დროს რამდენადაც დიდია ფულადი გზავნილების წილი ეკონოკიაში, იმდენად მაღალია მიმღები ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულება დონორ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, კერძოდ ეკონომიკური კრიზისი დონორ ქვეყანაში ამცირებს მიმღებ ქვეყანაში გადარიცხულ ფულად ნაკადებს.

ქვეყნების წილი საქართველოში გადმორიცხულ თანხებში (ფულადი გზავნილები). [290]



სწორედ ეს უკანასკნელი, სხვა დანარჩენ მიზეზებთან ერთად, სახელდება ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობად. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს დიპლომატიური კავშირის არარსებობისა და

[289] Forbes, 16 მარტი, 2018
[290] საქსტატი 2018 წ.

რუსეთთან საკმაოდ მცირე ეკონომიკური ურთიერთობებისა, საქართველოს ეკონომიკა დიასპორის გავლით მაინც იმყოფება რუსეთის ეკონომიკასთან გარკვეული დამოკიდებულებით.

რუსეთიდან გადმორიცხული თანხის წილი მთელ გადმორიცხვებთან მიმართებაში ბოლო წლებში მცირდება. მიზეზი წესით, რუსეთში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის საგრძნობი გაუარესებაა. უკრაინის წინააღმდეგ მიმართულ რუსულ სახელმწიფო პოლიტიკას დასავლეთის ქვეყნებმა ეკონომიკური სანქციებით უპასუხეს. იმავდროულად, საომარ მოქმედებებში პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა რუსეთს დიდი ფული უჯდება და ეკონომიკის შეფერხებას უწყობს ხელს. მაგრამ, რუსეთის ეკონომიკისთვის მთავარი პრობლემა საერთაშორისო ანალიტიკოსების თუ სხვადასხვა პოლიტიკოსების აზრით ნავთობზე ფასების ვარდნაა. სწორედ ნავთობ დოლარებზეა ყველაზე მეტად დამოკიდებული რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტი და შესაბამისად, ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა.

ემიგრანტთა ფულად გზავნილებს, როგორც დანაზოგის და ინვესტიციების პოტენციურ წყაროს, გააჩნია შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, კერძოდ ფულად გზავნილებს აქვთ პოტენციალი, მოახდინონ ეკონომიკის ცალკეული სექტორების სტიმულირება, ხელი შეუწყონ ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, გააუმჯობესონ მრავალი ოჯახის ცხოვრების დონე და შეამცირონ სიღარიბის მაჩვენებლები.[291]

ამავე დროს არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ფულადი გზავნილების უარყოფით მხარეს. მიმღები ოჯახების მიერ სამუშაოს შოვნის მცდელობის შემცირება, უმუშევარი ხალხი აღარ ეძებს სამუშაოს, ფულად გზავნილებზე დამოკიდებულება მუშაობის, ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მოტივაციას ანელებს, ვინაიდან ფულადი გზავნილების უდიდესი ნაწილი მოხმარებაზე იხარჯება, ვიდრე ეკონომიკურ წარმოებაზე.[292]

---

[291] საქ. 2017წ. მიგრაციის გრაფიკი, გვ. 31.

[292] საერთაშორისო ფულადი გზავნილების როლი საქ. ეკონომიკაში, გვ.11

ამავე დროს, საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ სასარგებლოა მიგრანტებისთვის გამიზნული და მათზე მორგებული ფინანსური პროდუქტების შემუშავება და შეთავაზებაც. იქ, სადაც კერძო ფულადი გზავნილები მიგრანტების ოჯახებისკენ მიემართება ზოგიერთმა ქვეყანამ (მაგალითად, ინდოეთმა) შექმნა ე.წ. „არარეზიდენტების“ ანაბრები საინვესტიციო ნაკადების გაზრდისათვის, რომლებიც გამოყენებული იქნება უფრო დანაზოგების შესაქმნელად, ვიდრე მოხმარებისათვის (როგორც ფულადი გზავნილების შემთხვევაშია). ამ ანაბრებს აქვს მაღალი საპროცენტო განაკვეთები, გაცვლის კურსის გარანტიები და მათზე დარიცხული პროცენტი გადასახადისგან არის გათავისუფლებული. იქ სადაც საინვესტიციო კლიმატი ხელსაყრელია და მოგება მაღალი შედარებით მდიდარი მიგრანტები ინვესტიციებს ფინანსურ ინსტრუმენტებში აბანდებენ, როგორც მაგალითად, ინდოეთის ობლიგაციების შემთხვევაშია.[293]

საქართველოს მთავრობამ მეტად მნიშვნელოვანი პროექტი წარმოადგინა 2017 წელს ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ამოქმედდა „სტარტაპ საქართველო“ ამ პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქე ვისაც აქვს სიახლეზე ორიენტირებული და მდგრადი ბიზნეს გეგმები. ეს პროგრამა ქართველ მიგრანტებს შესაძლებლობას მისცემს საკუთარ ქვეყანაში ბიზნესით დაკავდეს.

შრომით მიგრანტთა დემოგრაფიული სტრუქტურა

კვლევებიდან ნათლად ჩანს, რომ შრომითი მიგრაციული ნაკადები 1990-2006 წლებში, ძირითადად, ოთხი ქვეყნისკენ იყო მიმართული – რუსეთშია გასული მთლიანი ნაკადის 2/3. ეს განაპირობა ისტორიულად ფორმირებულმა ხალხთაშორისმა კავშირმა, რუსული ენის შედარებით უკეთსმა ცოდნამ, ნათესავების სიმრავლემ, ინფორმაციული თვალსაზრისითაც უფრო ხელმისაწვდომობამ და ტერიტორიულმა სიახლოვემ.

[293] საერთაშორისო ფულადი გზავნილების როლი საქ. ეკონომიკაში, გვ.11

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო საქართველოს „პროვინციული“ რეგიონებიდან უმთავრესად რუსეთში გადაადგილდებიან. სამცხე-ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის შრომით მიგრაციულ კავშირებს რუსეთთან ხანგრძლივი ისტორია აქვს, რაც თავისთავად განსაზღვრავს სომეხი მოსახლეობის ვექტორს.[294]

მიგრაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა, ჯავახეთის სომხებში, რუსეთში სეზონური მიგრაცია გახდა. რუსეთის სხვადასხვა ქალაქში შრომისუნარიანი მამაკაცთა დიდი ნაწილი ძირითადად სამშენებლო სექტორში დასაქმდა. სეზონური მიგრაციისთვის ხელი არ შეუშლია საქართველო-რუსეთსშორის ბოლო წლებში არსებულ დაძაბულ ურთიერთობას, რადგან მიგრანტ მუშების უმრავლესობას რუსეთის პასპორტები ჰქონდათ.[295]

2000 წლამდე, სანამ სავიზო რეჟიმი ამოქმედდებოდა, რუსეთის ფედერაციაში ქართველ მიგრანტთა ნაკადების რაოდენობა საკმაოდ სტაბილური იყო და წელიწადში 20.000-დან 25.000 ადამიანამდე მერყეობდა.[296]

შემდეგ კი, ვისაც შესაძლებლობა აღმოაჩნდა, დაბრუნდა რუსეთიდან და დასავლეთისკენ გაემართა. კვლევების თანახმად, დაბრუნებულ მიგრანტთა შორის 15-20%-ია რუსეთიდან დაბრუნებული, რაც უკავშირდება როგორც სავიზო რეჟიმის შემოღებას, ისე რუსეთთან მიგრაციული პროცესების შედარებით ცირკულარულ ხასიათს და აგრეთვე, ევროპული ფასეულობებისაკენ სწრაფვას. აქვე აღსანიშნავია, რომ თბილისის მოსახლეობის მიგრაციული ვექტორი უფრო მალე შეიცვალა და მიმართულებებს შორის რუსეთი ევროპისა და აშშ-ს მომდევნო ადგილზე გადავიდა 90-იან წლების დამვლევს 2003-2012 წლების პერიოდში მნიშვნელოვნად გააქტიურდა შრომითი მიგრაცია ჯერ საბერძნეთის, შემდეგ კი იტალიის მიმართულებით.[297]

ხშირია შემთხვევები, როცა მიგრანტები გარკვეული ფინანსური დანაზოგით ბრუნდებიან, ყიდულობენ უძრავ-მოძრავ ქონე-

---

[294] ნ.ჭელიძე, საქართველო რუსეთი, 2018წ. გვ. 13

[295] მ. კომახია, ეთნიკური უმრავლესობის კვლევების სერია, 2011 წ. N2, გვ. 15

[296] საქართველოს მიგრაციის კომისია, 2017 წ. გვ.18

[297] ნ.ჭელიძე იქვე

ბას, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ სამუშაოდ კვლავ უკან, უცხოეთში ბრუნდებიან. მათი არგუმენტი ასეთია: სოციალური თვალსაზრისით საქართველოში ბევრი არაფერი შეცვლილა და თავის სარჩენს იქ უფრო შოულობს. უცხოეთში მრავალწლიანი მიგრაციის პერიოდში სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიღებულები კი უკვე ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობის გამოყენებით, გარკვეული პერიოდით მუშაობენ ამ ქვეყნებში, ხოლო სამშობლოში სეზონურად ჩამოდიან და საზღვრებს გარეთ გამომუშავებული ფულით ცხოვრობენ. ძალიან მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც უცხოეთში, შედარებით მაინც, წარმატებული შრომითი მიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ რჩებიან სამშობლოში.[298]

შრომითი მიგრაციის ძირითადი მიზეზი უმეტესად უკეთეს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ცხოვრების სურვილია. შრომითი მიგრანტების დაახლოებით 80% სწორედ ამ მოტივით მიდის ქვეყნიდან.

ამრიგად, პოსტსაბჭოთა საქართველოში შექმნილმა არასტაბილურმა მდგომარეობამ, გაჭიანურებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, გარკვეულმა ობიექტურმა, თუ სუბიექტურმა მიზეზებმა დროულად ვერ უზრუნველყო საჭირო ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკის გამოცოცხლება, მოსახლეობის რაციონალური დასაქმება და მოამზადა ხელსაყრელი ნიადაგი შრომითი რესურსების ქვეყნიდან გადინებისათვის. შედეგად შეიცვალა მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა და მისი ეთნოდემოგრაფიული სურათი, გაუარესდა ქვეყნის სამუშაო ძალის ხარისხი. ამ პრობლემის დაძლევის საფუძველი არის ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნა და შრომის ანაზღაურების მოწესრიგება.

შრომით მიგრანტთა სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივები

საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა თანამემამულეთა დაბრუნების ხელშეწყობისა და რეინტეგრაციის მიზნით, როდესაც სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტების

[298] ზ. ჭითანავა. გვ.7

რეინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამები 2015 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო თანხა 400 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ აღნიშნული თანხა გასცა არასამთავრობო ორგანიზაციებზე სარეინტეგრაციო პროგრამების განსახორციელებლად.[299]

არასამთავრობო ორგანიზაციების რეინტეგრაციის პროგრამების განხორციელება ხელს შეუწყობს, როგორც პროგრამის გამჭირვალობას, ასევე რეინტეგრაციის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო სექტორის გაძლიერებასა და განვითარებას. აღნიშნული პროგრამით სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის გათვალისწინებულია მშემდეგი სერვისების მიწოდება:

- სოციალური პროექტების დაფინანსება;
- დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა;
- პროფესიული სწავლება;
- ანაზღაურებადი სტაჟირება;
- სამედიცინო მოსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება;
- იურიდიული დახმარება;
- საზოგადოებრივი ინფორმირებულობის პროგრამების დაფინანსება.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2016 წლის ივნისიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით 460 დაბრუნებული მიგრანტის მომართვა აღირიცხა, საიდანაც ბენეფიციარად 398 დარეგისტრირდა, მათგან 46.5% – ქალი, ხოლო 53.5% კაცი იყო, რეგისტრირებულ ბენეფიციართა თითქმის ნახევარი (45%) 26-და 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება, ხოლო 39%-ის ასაკი 40-დან 60 წლამდე მერყეობს. დაბრუნების მიხედვით რუსეთი (16%). დაბრუნებულთა ყველაზე მოთხოვნადი სერვისი ბიზნეს კონსულტაციაა.

კვლევების თანახმად, დაბრუნებული მიგრანტები მიდრეკილი არიან ინვესტირების (მათ შორის, სოფლის მეურნეობაში), ბიზნესის დაწყებისა და თვითდასაქმებისკენ, რაც ნაწილობრივ იმი-

[299] www.mra.gov.ge

თაც აიხსნება, რომ სხვა[300] ქვეყნებიდან ისინი ბრუნდებიან როგორც დანაზოგით, ასევე ახალი ცოდნით და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერის საკითხი აქტუალობას არ კარგავს და მეტიც, დღითიდღე მეტად მნიშვნელოვანი ხდება რაც, საქართველოსა და ევროკავშირს შორის „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში 2017 წელს სამშობლოში დაბრუნებული არალეგალ მიგრანტთა რიცხვმა 2102-ს მიაღწია. სამინისტროს ინფორმაციით, არალეგალური ემიგრაციიდან დაბრუნებულ მიგრანტებს საკუთარი შემოსავალი აქვთ და ქვეყნის დატოვებაზე აღარ ფიქრობენ. მაგალითად, რუსეთიდან დაბრუნებულ მარიამ კაციაშვილს, რომელსაც გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანში მარწყვის ბაღი აქვს გაშენებული. ამ პროექტით დაფინანსდა. ამ პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში სახელმწიფომ 28 პროექტი დააფინანსა.[301]

საქართველოს მოქალაქეების რუსეთიდან დაბრუნების ძირითად მიზეზად ემოციური ფაქტორები სახელდება, რაც უკავშირდება ოჯახის წევრების მონატრებას, სამშობლოზე ნოსტალგიას.

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების რეინტეგრაციის პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში მიგრანტების პოზიტიური მონაწილეობის გაზრდას და სამშობლოში მიგრანტთა რეინტეგრაციას.

შრომითი მიგრაცია საქართველოდან საბერძნეთში

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან განვითარებულმა საყოველთაო კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამუშაო ძალის რაოდენობაზე, ხარისხსა და სტრუქტურაზე. გარდამავალ პერიოდში საქართველოში კრიტიკულ ზღვრამდე დაეცა ცხოვრების დონე და მოსახლეობის ფიზიკური

[300] საქ. მიგრაციის პროფილი, 2017 წ. გვ. 64.

[301] https://sputnik-georgia.com/georgia/20180530/240666765/saqarTveloSi-dabrunebul-migrantebs-grantigadaecaT.html

არსებობაც კი გაჭირდა. არნახულად გაიზარდა უმუშევრობის მასშტაბები. ასეთ ვითარებაში საქართველოს მოსახლეობის აქტიურმა ნაწილმა გამოსავალი სხვა ქვეყნებში დასაქმებაში იპოვა და, შეძლებისდაგვარად, შრომით ემიგრაციაში წავიდა.[302]

საქართველოდან საბერძნეთში პირველი მიგრაციული ნაკადი 1990 წლების დასაწყისში შეინიშნება. საქართველოდან წასული მიგრანტების უმრავლესობა ის მოქალაქეები იყვნენ, რომელთაც ბერძნული წარმომავლობა ჰქონდათ, მათ ხშირად სამშობლოში დაბრუნებულებს (რეპატრირებულ) ან „პონტოელ ბერძნებს“ უწოდებდნენ. მიგრაციის ამ ტალღამ საფუძველი ჩაუყარა მომდევნო გადინებას საქართველოდან საბერძნეთში შერეული ქორწინების გამო. ამ მიგრაციას ასევე განაპირობებდა ახლო პიროვნული კონტაქტები, და ქართველთა საკმაოდ დიდი ერთობის არსებობა საბერძნეთში.[303]

უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ბერძენთა უკუმიგრაციის პროცესში, მხოლოდ პატრიოტული გრძნობები არ ყოფილა გადამწყვეტი, მთავარი ის რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია გახდა, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდს ახასიათებდა. აღნიშნული პროცესების შედეგად, საქართველოში მკვეთრად შემცირდა ბერძნული მოსახლეობის რაოდენობა.[304]

ე.წ. მეორე ტალღის დროს, 1996-2004 წლებში, ეს რაოდენობა შემცირდა და მიგრაცია ძირითადად განპირობებული იყო ეკონომიკური მოტივაციით. 2002 წელს, საქართველოდან გასული მიგრანტების დაახლოებით 14%-16% გაემგზავრა საბერძნეთში. რაც შეეხება ამჟამინდელ ფაზას, საბერძნეთში მიგრაციის ნაკადი კვლავ

---

[302] მიგრაციის კვლევის ცენტრი თბ., 2005. გვ. 27

[303] საქ.დიასპორა და გაერთიანებები გერმანიაში, საბერძნეთსა და თურქეთში, თბ., 2014 წ. გვ. 79

[304] პონტოელი ბერძნები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა, ბათუმი, 2017, გვ. 38

მაღალია, საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიუხედავად.[305]

შრომითი მიგრაცია თანამედროვე გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი და საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების გამოხატულებაა. იგი კიდევ უფრო განვითარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამის მიზეზი, ერთი მხრივ, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, ქვეყნებს შორის ურთიერთობათა ნორმალიზაცია, უცხოელთა პოლიტიკური, შრომითი და სოციალური უფლებების თანდათანობითი განმტკიცება, მეორე მხრივ, კი სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის მიმოსვლის გაადვილება, ტრანსპორტის გაიაფება, მოსახლეობის არნახული ზრდა იყო. მიგრაციას თავისი წვლილი შეაქვს თანამედროვე სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა ტრანსფორმირებაში.[306]

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდ როლს ასრულებს შრომითი მიგრაცია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განვითარებაში. შრომითი მიგრაცია ობიექტური რეალობაა და გარეგნულად ხშირად უარყოფითი ფონის მიუხედავად, უფრო დადებითი შედეგის მომტანია.

საქართველოს მოქალაქების დიდი ნაწილი საბერძნეთის დანიშნულების ქვეყნად არჩევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მიგრანტებისთვის ისაა, რომ აქ არსებობოს საქართველოს მოქალაქეთა ჩამოყალიბებული სოციალური ქსელი, გარდა ამისა აქ მიგრაციის მნიშვნელოვანი ხელშემწყობია არაოფიციალურ შრომის ბირჟაზე (სადაც მიგრანტებს შეუზლიათ ლეგალური ხელშეკრულების ან მუშაობის ნებართვის გარეშე დასაქმდნენ) არსებული მოთხოვნილება მუშახელზე, საბერძნეთის შედარებით სიახლოვე საქართველოსთან და კულტურულ-ისტორიული მსგავსებები ამ ორ ქვეყანას შორის. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ რესპოდენტთა 56%-მა დატოვა საქართველო საზღვარგარეთ მცხოვრებ ოჯახის

---

[305] საქ. დიასპორა და გაერთიანებები გერმანიაში, საბერძნეთსა და თურქეთში, თბ., 2014 წ. გვ. 79

[306] ლობჟანიძე მ., ახალგაზრდა ქალთა მიგრაცია და მისი გამომწვევი ფაქტორი საქ. გვ. 11

წევრებთან ყოფნის მიზნით და 29%-მა ახალი სამსახურის საპოვნელად. აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ბერძნების განსაკუთრებული მდგომარეობა. საბერძნეთის მთავრობამ მათ მოქალაქეობა მიანიჭა საქართველოში 1990-იან წლებში სოციალური არეულობის გამო.[307]

სოციალური ქსელის როლი შრომით მიგრაციაში

მიგრაციის პროცესი ორი ან რამდენიმე სოციალური ჯგუფის უშუალო ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია ის, თუ რა გავლენას ახდენს და როგორ ცვლის ერთი სოციალური ჯგუფი მეორეს. სოციალური ჯგუფების ურთიერთობებში ორ მოვლენას განასხვავებენ: – ჯგუფის შიგნით (ინტრაჯგუფურ) და ჯგუფთაშორის (ინტერჯგუფურ) ურთიერთობებს. პირველი სოციალური ჯგუფის წევრთა შორის ურთიერთობების დინამიკას შეისწავლის, ხოლო მეორე – ორ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის მიმდინარე პროცესებს. მიგრაციის კონტექსტში მნიშნელოვანია ინტერჯგუფური ურთიერთობების თავისებურებათა შესწავლა. სამეცნიერო ლიტერატურა მიგრაციის პროცესში სოციალური ქსელების როლს დიდ ყურადღებას აქცევს. მიგრაციის შესახებ კვლევები ძირითადად ოჯახის ან თემის სოციალურ კავშირებზეა ფოკუსირებული, მათი, როგორც შუამავლის როლზე მიგრანტების წარმოშობისა და მიგრაციის დანიშნულების ადგილს (ქვეყანას) შორის.[308]

სოციალური ქსელი ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებაში ეხმარება მიგრანტს. ამ ქსელის საშუალებით ვრცელდება ინფორმაცია მიგრაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. სოც.კავშირები აადვილებს გადაწყვეტილების მიღებას მიგრაციის მიმართულებით, ამსუბუქებს სამუშაოს შოვნისა და დასახლების

---

[307] საქ. დიასპორა და გაერთიანებები გერმანიაში, საბერძნეთსა და თურქეთში, თბ., 2014 წ. გვ. 79

[308] ფირცხალავა ე., ქართველი მიგრანტების სოციალური ქსელები ჩრდ. პორტუგალიაში, 2017. გვ. 2

პრობლემებს. ამრიგად, ემიგრაციული ქსელების განვითარებასთან ერთად იზრდება ემიგრაციის დონეც, რადგანაც ემიგრაციის პროცესი გაცილებით იაფი, მარტივი და უსაფრთხო ხდება.

ქართველთა მიგრაციისათვის საბერძნეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა. საინტერესოა, რამ განაპირობა ქართველი მიგრანტების დაინტერესება, ადაპტაცია და დამკვიდრება: არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ ამ პროცესში სოციალური ქსელები ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს.

შრომით მიგრაციასთან დაკავშირებით საინტერესო კვლევა ჩაატარა თ. ზურაბიშვილმა „შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან: ემიგრაციული ქსელების განვითარება“. მკვლევარი მიგრაციის ძირითად გამომწვევ მიზეზად გამოყოფს ეკონომიკურ სიდუხჭირეს და მოსახლეობის ინტენსიურ გადინებას უცხოეთში მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ემიგრაციის ქვეყანა	%
საბერძნეთი	59
ირლანდია	9
გერმანია	8
ისრაელი	5
რუსეთი	4
აშშ	4
იტალია	4
ესპანეთი	2
საფრანგეთი	2
სხვა ქვეყნები (აზერბაიჯანი, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, კვიპროსი, ჩინეთი, თურქეთი, შვეიცარია, შვედეთი, უკრაინა)	3
სულ	100

ინფორმაციას, რომელიც ამ ცხრილშია მოყვანილი, ნაწილობრივ ადასტურებს არსებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც ემიგრაცია მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან ძირითადად დასავლეთ ევროპისა და აშშ-სკენაა მიმართული. მონაცემების თანახმად, თიანეთელი ემიგრანტების მხოლოდ 4% ცხოვრობს და მუშაობს რუსეთში, არადა, როგორც ამას სხვადასხვა კვლევების

შედეგები მოწმობენ, ბოლო დრომდე ემიგრაცია საქართველოდან სწორედ რუსეთისკენ იყო მიმართული და 2004 წლისთვის საქართველოდან ემიგრირებულთა 50% სწორედ რუსეთში ცხოვრობდა და მუშაობდა.[309]

თიანეთელი ემიგრანტების უმრავლესობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებშია წასული სამუშაოდ, განსაკუთრებული პოპულარობით კი საბერძნეთი სარგებლობს, რაც გამოწვეულია საბერძნეთში ემიგრაციასთან დაკავშირებული შედარებით დაბალი ხარჯებით, ლეგალური სტატუსის მიღების შესაძლებლობით და ემიგრაციული ქსელების განვითარებით.

თიანეთიდან ემიგრაციის მიმართულება დასავლეთისკენ გამოწვეულია იმითაც, რომ საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით თიანეთიდან შედარებით უფრო გვიან დაიწყო შრომითი ემიგრაცია. დაიწყო სწორედ მაშინ, როდესაც ემიგრაცია რუსეთში უკვე გარკვეულწილად შეიზღუდა სავიზო რეჟიმის შემოღების შედეგად. ის, რომ თიანეთიდან ემიგრაცია შედარებით გვიან იწყება, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში, ინტერვიუებიდანაც ჩანს:

შ: თავიდანვე რატომ გადაწყვიტეთ საბერძნეთში წასვლა? რატომ სხვა ქვეყანაში არა?[310]

პ: საბერძნეთში იმიტომ, რომ მაშინ ხალხი საბერძნეთში მიდიოდა. მაშინ არ იყო, როგორც ეხლა, ისრაელი და ამერიკაში ლაპარაკი ზედმეტი იყო. თანაც, თანხას ვერ შევწვდებოდი და ადრე ამერიკაზე ლაპარაკიც არ იყო. ისე, რომ ჩემ დროს იყო საბერძნეთი. თიანეთიდან ალბათ ვიყავით რამდენიმე ადამიანი. პირველად მე წავედი [ნათესავებიდან] საბერძნეთში, მაშინ იყო მარტო 3-4 ადამიანი წასული თიანეთიდან [1996 წელი]. ა. ქალი, 56 წლის, საბერძნეთი, ისრაელი.

თიანეთიდან მიგრაციის მსურველთა საკმაოდ დიდი ნაკადის საბერძნეთში გადინება განპირობებულია აქ ქართველ არალეგალ

---

[309] ზურაბიშვილი თ., 2007 წ. „შრომითი მიგრაცია დაბა თიანეთიდან ემიგრაციული ქსელების განვითარება“. გვ. 50

[310] თ. ზურაბიშვილი, 2007 წ. „შრომითი მიგრაცია დაბა თიანეთიდან ემიგრაციული ქსელების განვითარება“. გვ. 108

მიგრანტთა მეტ-ნაკლებად წარმატებული ადაპტაციის სტრატეგიების არსებობით. ძირითადად ინფორმაცია პოტენციურ არალეგალ მიგრანტებში ცირკულირებს მეგობრების, ნათესავების წრეში, რომლებიც მუშაობენ საზღვარგარეთ ან ცხოვრობენ საქართველოში და ყავთ ახლობლები საბერძნეთში. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კონკრეტულად გამგზავრებისა თუ დასაქმების დეტალების შესახებ ახლობლების დახმარების იმედით არა ერთმა პოტენციურმა არალეგალმა მიგრანტმა მიიღო გადაწყვეტილება საბერძნეთში გამგზავრების შესახებ.

მაგალითად, ლ-ს ლეგალურად წავიდა გერმანიაში პროგრამა Au-Pair-ის ფარგლებში, დაჰყო იქ ერთი წელი, ხოლო ვიზის ვადის გასვლამდე რამდენიმე კვირით ადრე გადავიდა საბერძნეთში, რადგან საბერძნეთში ოჯახის ახლობელი ცხოვრობდა:

შეკითხვა: თქვენი ახლობელი საბერძნეთში რომ არ ყოფილიყო და ყოფილიყო იტალიაში ან ესპანეთში?

პასუხი: ალბათ იქ გავუშვებდი, იმიტომ რომ სადაც უკეთესი სახლობლო ეყოლებოდა, რადგან ვერ გავუშვებდი ზედამხედველობის გარეშე.[311]

ლ. ქალი, 50 წლის.

როგორც ვხედავთ, ამგვარი კავშირების ქონა უაღრესად მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს და ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტ არგუმენტად გვევლინება არა მარტო ემიგრაციის ქვეყნის შერჩევისას, არამედ ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც კი.

კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ ემიგრაციას თიანეთიდან შრომითი ხასიათისაა. საქართველოდან საბერძნეთისკენ მიმართული ნაკადის საკმაო სიდიდეს ამ ქვეყანაში შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნის სპეციფიკა განაპირობებს: აქ შრომის მეორად ბაზარი დიდ მოთხოვნას აყენებს მომვლელ ქალებზე მაღალი ანაზღაურების პირობით.

---

[311] ზურაბიშვილი თ., 2007 წ. „შრომითი მიგრაცია დაბა თიანეთიდან ემიგრაციული ქსელების განვითარება“. გვ. 108

საბერძნეთში მცხოვრებ ქართველ მიგრანტთ მდგომარეობა

არალეგალი მიგრანტების უმეტესობას საზღვარგარეთ უწევს არაკვალიფიციურ და მძიმე სამუშაოებზე დასაქმება, მათი შრომის ანაზღაურება დაბალია, ხშირია დისკრიმინაციისა და ფუნდამენტური უფლებების დარღვევის ფაქტები. არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული სტრესისა და შრომის მძიმე პირობების გამო, ხშირია ემიგრანტების ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევები. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იზრდება მათ ჯანდაცვაზე სახელმწიფოს დანახარჯები (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2017). არასაკმარისად რეგულირებულ შრომითი ემიგრაცია საქართველოდან სრულიად მოუწესრიგებელი და ძირითადად, არალეგალურია.[312]

საქართველოდან საბერძნეთში ჩასულ მიგრანტთა უმრავლესობა ქალები არიან, რაც იმით აიხსნება, რომ საბერძნეთში ძირითადად საოჯახო საქმიანობაზეა მოთხოვნილება. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საბერძნეთში დიდი მოთხოვნილებაა საქართველოდან ჩასულ მიგრანტებზე, როგორც შინა მოსამსახურეებზე, მომვლელებზე და მოსამსახურეებზე მეორად შრომის ბაზარზე.[313]

საბერძნეთს მკაცრი შეზღუდვები აქვს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქეთა დასაქმებაში და ამდენად ქართველთა დიდი ნაწილი თავად პოულობს არალეგალურ სამუშაოს. მიგრანტთა უმრავლესობას, რომელიც მიდის სამუშაოდ არ აქვს დაგეგმილი თუ რა კონკრეტული სამუშაოს შესრულება მოუწევს.

საქართველოდან სამუშაოდ წასული ადამიანი დაუცველია სხვადასხვა საფრთხეებისაგან, მიუხედავად იმისა ლეგალურად იმყოფება ის საზღვარგარეთ თუ არალეგალურად. რადგან დიდ უმრავლესობას სამუშაო ვიზა არ გააჩნიათ.[314]

---

[312] დიაკონიძე ა., მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, ქართული სამუშაო ძალის ევროკავშირის ქვეყნებში, ცირკულარული მიგრაციის კვლევა, 2018 წ., გვ.12

[313] საქ. დიასპორა და მიგრანტთა გაერთიანებები გერმანიაში, საბერძნეთსა და თურქეთში, გვ. 41

[314] 2014, ბიულეტინი №2, გვ.6

გამოკითხულ რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარს არ აქვს მუშაობის უფლება (47%), რაც შეიძლება იყოს კიდევ ერთი მიზეზი, რატომ უნდათ საბერძნეთში მცხოვრებ თანამემამულეებს მიიღონ ბერძნული მოქალაქეობა. უფრო მეტიც, გამოკითხული რესპონდენტების 76% თქვა, რომ ისინი მუშაობენ საბერძნეთში. მათ შორის უმრავლესობა (66%) მუშაობს საყოფაცხოვრებო სექტორში. ამ სექტორში სამუშაო პირობები ხასიათდება, როგორც ძალიან ძნელი: „მე ვფიქრობ ერთადერთი სიკეთე ხელფასია. საქართველოში ამდენს ვერ აიღებდა და ეს არის. გარეთ გასვლაც არ შეუძლია, რადგან მის მოსავლელ ქალს მუდმივი ზრუნვა ჭირდება. მისთვის შაბათ-კვირა არ არსებობს. შეუძლია მხოლოდ სამშაბათობით გავიდეს გარეთ რამდენიმე საათით და სულ ეს არის. ... მუდმივად განერვიულებულია და ჯანმრთელობაც გაუფუჭდა ამდენი სტრესის გამო. რა თქმა უნდა, ვენატრებით და ვერ უძლებს ჩვენთან დაშორებას“.[315]

ქართველ მიგრანტთა მძიმე სამუშაო პირობები გამოწვეულია შრომითი ხელშეკრულების არ არსებობით. ხშირია შემთხვევები, როდესაც დასაქმებულს დამქირავებელი გაცილებით მეტ სამუშაოს აკისრებს, ვიდრე ზეპირი, თავდაპირველი მოლაპარაკების პროცესში დადგინდა. მოვალეობის გაზრდას არ ახლავს ანაზღაურების გაზრდა, რაც ბუნებრივია უკმაყოფილებას იწვევს.[316]

არსებული მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით სამი ათეული წლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის მიღწეულ იქნა შეთახმება. საქართველოს მოქალაქე რომელიც 7 წლის მანძილზე საბერძნეთიდან ყოველწლიურად რიცხავდა სამშობლოში თანხას, ლეგალურად ყოფნის უფლება მიეცემა.

მუშაობა მიმდინარეობს სხვა მიმართულებებითაც მაგალითად, საბერძნეთში ლეგალურად ყოფნის უფლების იმ პირებისთვის მისანიჭებლად, რომლებიც დასაქმებული არიან ოჯახებში და უვლიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. ასეთი

---

[315] http://migration.commission.ge/files/full_version_web_ge.pdf, გვ. 84

[316] არაოფიციალური ქსელების გავლენა და მნიშვნელობა არალეგალურ მიგრაციული ნაკადების მიმართ, თბ. 2017. გვ.19

„საკანონმდებლო ფანჯარა“ 2013 წელს 6 თვით იყო გახსნილი, ქართულმა მხარემ თხოვნით მიმართა ბერძნულ მხარეს, რომ ეს „ფანჯარა“ კვლავ გაიხსნას და რაც შეიძლება ხანგრძლივად, რათა მოესწროს საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება. პარალელურად საელჩო მუშაობს იურისტებთან, რომ შემუშავდეს არალეგალთა სხვა კატეგორიებთან დაკავშირებული ინიციატივებიც.[317]

2016 წლიდან საბერძნეთმა საქართველოს მიმართ აამოქმედა ე.წ. აპოსტილის კონვენცია, რითაც მნიშვნელოვნად გამარტივდა საბერძნეთის სხვადასხვა უწყებაში წარსადგენი დოკუმენტების დამოწმების პროცედურები და საქართველოს ათიათასობით მოქალაქემ ნათლად იგრძნო შვება ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებისა და ფინანსების დაზოგვის მხრივ; 2016 წლიდან ასევე გადაიჭრა ისეთი უმძიმესი საკითხი, როგორიც არის საზღვარგარეთ გარდაცვლილ თანამემამულეთა შეუფერხებლად გადასვენება სამშობლოში სახელმწიფო ხარჯებით – ქართული ემიგრაციის დიდი წუხილის საგანი წლების განმავლობაში; 2016 წელს საბერძნეთის მთავრობამ გასცა ოფიციალური ნებართვა საბერძნეთის საჯარო სკოლებში ქართული ენის შესწავლის პროგრამის ამოქმედებაზე, ხოლო 2017 წლიდან ეს პროგრამაც დაინერგა.[318]

მიუხედავად ამისა მთავარ პრობლემად რჩება არალეგალობა (საბერძნეთში ცხოვრება ბინადრობისა და სამუშაოს ნებართვის გარეშე) გაუარესებული ჯანმრთელობის პრობლემები, რადგან არ მიუწვდებათ ხელი ჯანდაცვაზე. გამონაკლისი მხოლოდ სასწრაფო გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევაში კეთდება. ეს არ ეხება ბავშვებს, რადგან მათი საავადმყოფოში მოთავსება შეიძლება ლეგალური დოკუმენტების გარეშე.[319]

---

317 https://www.radiotavisupleba.ge/a/saberdzneti-saqartvelos-moqalaqeebis-nacils-binadrobis-uflebas-stavazobs/28453009.html

318 საბერძნეთში ლეგალური მიგრაცია, ათენი, 2018, გვ.12

319 საქ.დიასპორა და გაერთიანებები გერმანიასი, საბერძნეთსა და თურქეთში, თბ., 2014 წ. გვ. 85

შრომითი მიგრაცია საქართველოში

შრომითი მიგრაციის არსი

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციამ შრომითი მიგრაციის, შრომითი მიგრანტების უდიდესი ნაკადები წარმოშვა. შრომითი მობილურობა გლობალიზაციისა და გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებლად იქცა. ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში დასაქმების საძიებლად ხალხთა გადაადგილება შრომით მიგრაციად შეგვიძლია მოვიხსენიოთ. 2016 წლის მონაცემებით, დაახლოებით, 105 მილიონი ადამიანი მუშაობს საკუთარი სამშობლოს (თავისი მოქალაქეობის ქვეყნის) გარეთ. შრომითი მიგრანტების შემოსავალმა 2011 წელს 440 მილიარდ დოლარს მიაღწია. თუ დავეყრდნობით მსოფლიო ბანკის მონაცემებს, 350 მილიარდ დოლარზე მეტი თანხა ფულადი გზავნილების სახით გადაირიცხა განვითარებად ქვეყნებში.[320]

შრომითი მიგრაცია საერთაშორისო ფენომენია, რადგან იგი მუდმივად საზღვრის კვეთისა და გადაადგილების საკითხებთან არის დაკავშირებული, ამდენად, იგი მრავალი კონვენციისა და შეთანხმების მიზეზი და საერთაშორისო რეგულირების საგანია. შრომითი მიგრაცია შრომითი ურთიერთობების რეგულირებისა და დასაქმების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია, სადაც საფრთხეთა სიუხვე შეინიშნება. ამიტომაც უდიდესი ძალისხმევაა მიმართული შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვისაკენ. თუმცა, რისკები, დისკოფორტი და ზიანი მაინც ახლავს შრომითი მიგრაციის პროცესს.

შრომითი მიგრაციისა და დასაქმების მიზნით გადაადგილების პროცესი უკავშირდება ისეთ ფაქტორებთან, როგორებიცაა: სოციალური დაცვა და ეკონომიკური განვითარების დინამიკა, სამუ-

[320] მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.
http://www.iom.int/cms/en/sites/iom/home/what-we-do/labour-migration.html

შაო ადგილების შექმნა და დასაქმების პოლიტიკა, დემოგრაფიული ასპექტები, ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხები და სხვა. შრომითი მიგრაცია გავლენას ახდენს ორივე მხარეზე – როგორც გამგზავნ, ასევე მიმღებ ქვეყნებზე. ორივე კატეგორიის ქვეყნები, როგორც მიმღებნი ასევე წარმგზავნი შრომითი მიგრაციის მზარდობას განიხილავენ, როგორც ეროვნული დასაქმების სტრატეგიისა და ზოგადი განვითარების განუყოფელ ნაწილს. ერთი მხრივ, ქვეყნებს რომლებსაც ტოვებენ მიგრანტები იღებენ გარკვეულ სარგებელს - ამსუბუქებს უმუშევრობის წნეხს, ფულადი გზავნილების საშუალებით აუმჯობესებს ვითარებას, ხელს უწყობს ცოდნის გადაცემას და ბიზნეს-ქსელების ჩამოყალიბებას. სხვა კუთხით თუ შევხედავთ მდგომარეობას, ქვეყნებში, რომლებიც იღებენ მიგრანტებს, სადაც სამუშაო ძალის დეფიციტია, გამართულად ორგანიზებული შრომითი მიგრაციის დროს მსუბუქდება მდგომარეობა და უფრო ეფექტური ხდება მობილობა.

გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას შრომით მიგრაციასა და შრომით მიგრანტებთან დაკავშირებით მიღებული აქვს მთელი რიგი დოკუმენტებისა, როგორიც არის 1949 წლის №97 კონვენცია „დასაქმების მიზნით მიგრაციის შესახებ, 1975 წლის №143 კონვენცია «მიგრანტ მუშაკებთან დაკავშირებით“ და იმავე წელს მიღებული დამატებითი რეკომენდაციები ამავე კონვენციასთან.[321]

გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1998 წელს მიღებულ დეკლარაციაში „სამუშაო ადგილებზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ“ ნათლად არის აღნიშნული რომ სხვებთან ერთად მტკიცედ უნდა დაცულ იქნეს შრომითი მიგრანტების ღირსება და უფლებები. ამავეს ემსახურება გაეროს მიერ ჯერ კიდევ 1990 წლის 18 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო კონვენცია „შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ“. 18 დეკემბერი მიღებულია,

[321] http://gtuc.ge

როგორც შრომითი მიგრანტების საერთაშორისო დღე.

შრომითი მიგრანტების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტები

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დამოკიდებულება შრომითი მიგრანტების დაცვის კუთხით ემყარება ორ ძირითად ასპექტს:

1. შრომითი მიგრანტი დაცული უნდა იყოს;
2. როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულების ქვეყნისთვის შრომითი მიგრაციის ეფექტურობა და სარგებლიანობა მაქსიმალური ოპტიმალურობით უნდა ხასიათდებოდეს.[322]

გამომდინარე იქიდან, რომ შრომითი მიგრანტების შრომის დაცვის კუთხით მწირი საკანონმდებლო ბაზაა ქვეყანაში, საფრთხე ექმნება, ზოგადად, დასაქმებულთა უსაფრთხოებას. წლების განმავლობაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებულ-შეთანხმებული სტანდარტები მნიშვნელოვანი და არსებითი საშუალებაა შრომითი მიგრანტების ღირსებისა და უფლებების დაცვისათვის. ეს სტანდარტებია: უფლებათა ფუნდამენტური კონვენციები[323] (რომლებიც აისახა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1998 წლის დეკლარაციაში „სამუშაო ადგილებზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ“[324]); ზოგადი გამოყენების სტანდარტები[325] (როგორებიცაა: ანაზღაურების საკითხები, შრომის პირობები, ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, შრომის ინსპექციების თემა, დასაქმების პოლიტიკა და სამმხრივი კონსულტაციები); მეთოდები (აყალიბებს სპეციალურ დებულებებს შრომით მიგრანტებთან დაკავშირებით, მაგალითისთვის: კონვენცია კერძო დასაქ-

---

[322] . Minimum Age Convention, 1973 (No. 138)
http://migration.commission.ge/files/study_on_labour_migration_2014.pdf
[323] Worst Forms of Child Labour Convention, 1999 (No. 182) Trade Union Rights
[324] Freedom of Association and Protection of the Right to Organize Convention, 1948.
[325] . . Right to Organize and Collective Bargaining Convention, 1949 (No. 98) Equality and Non-discrimination in Employment and Occupation

მების სააგენტოების შესახებ, სახლში დასაქმებულების (შიდამოსამსახურეების) (domestic workers) შესახებ კონვენცია; სოციალური უსაფრთხოების ინსტრუმენტები.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შრომითი მიგრაციისა და შრომითი მიგრანტების შესახებ, ასევე, მიიღო სპეციალური ინსტრუმენტები, რომლებიც ფუნდამენტური დოკუმენტებია შრომითი მიგრანტების დაცვის თვალსაზრისით: „დასაქმების მიზნით მიგრაციის შესახებ“ 1949 წლის #97 კონვენცია (გადამუშავებული) და „შრომითი მიგრანტების შესახებ“ (დამატებითი დებულებები) 1975 წლის #143 კონვენცია. ორივე კონვენციას ახლავს არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაციები.

იმ მექანიზმების გარდა, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ შრომით მიგრანტებს, ასევე მათი ოჯახის წევრებს გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის ცხრა ძირითადი ინსტრუმენტი იცავს, რომელიც ეხება ყველა პირს განურჩევლად მოქალაქეობისა და ეროვნებისა.

ერთ-ერთი ასეთი ძირეული და სპეციალური ინსტრუმენტია საერთაშორისო კონვენცია „შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ“. ის, თავის მხრივ, ავსებს და აერთიანებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ზემოხსენებულ 4 ძირითად ინსტრუმენტს შრომით მიგრანტებთან დაკავშირებით, თუმცა, უფრო მეტიც, სცდება შრომის მიგრაციის საკითხებს და საკითხთა უფრო ფართო სპექტრს მოიცავს.[326]

შრომითი მიგრაცია და საქართველო

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში უაღრესად მაღალია შრომითი მიგრაციის მაჩვენებელი. მიუხედავად ამისა საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც შრომითი მიგ-

[326] http://migration.commission.ge/files/study_on_labour_migration_2014.pdf

რაციის დამარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა მხოლოდ უკანასკნელი წლებია იწყებს შევსებას. 2015 წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "შრომითი მიგრაციის შესახებ". რომელიც განსაზღვრავს შრომითი მიგრაციის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს, ურთიერთობებსა და სუბიექტებს, შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელ ორგანოებს და მათ უფლება-მოვალეობებს და ადგენს შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განხორციელების პრინციპებსა და მექანიზმებს. „ეს კანონი არეგულირებს შრომითი მიგრაციის სფეროსთვის მიკუთვნებულ ურთიერთობებს, რომლებიც პირის (საქართველოს მოქალაქის, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის) საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობას და მის მიერ ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელებას უკავშირდება".[327]

2014 წლის 31 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი „შრომითი მიგრაციის შესახებ". კანონპროექტით გათვალისწინებულმა შრომითი იმიგრანტების დასაქმების შეზღუდვამ მეწარმეების, ბიზნესასოციაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მწვავე კრიტიკა გამოიწვია.

კანონპროექტის თანახმად, თუ ადგილობრივი დამსაქმებელი საქართველოში მუდმივი ბინადრობის არმქონე უცხოელის დასაქმებას მოისურვებდა, მას უნდა მიემართა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოსათვის და მიეწოდებინა ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ. მოთხოვნის წარდგენიდან შვიდი სამუშაო დღის ვადაში ადმინისტრაციული ორგანო სამუშაოს მაძიებელთა ბაზაში მოიძიებდა გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამის კადრს და შესთავა-

[327] . საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732?publication=3

ზებდა დამსაქმებელს. დამსაქმებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას, თუ ადმინისტრაციული ორგანო არ შესთავაზებდა კანდიდატს განსაზღვრულ ვადაში, ან შესთავაზებდა, მაგრამ დამსაქმებელი დასაბუთებულ უარს განაცხადებდა წამოყენებულ კანდიდატურაზე. განმარტებითი ბარათის თანახმად, აღნიშნული შეზღუდვების ძირითად მიზნად ადგილობრივი ბაზრის დაცვა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება დასახელდა. კანონის საბოლოო ვარიანტში მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ბიზნესასოციაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკა.

ბოლო წლებში იზრდება საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელთა რაოდენობა. საქართველომ 2015-2016 წლებში 46,581 ბინადრობის ნებართვა გასცა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, მათი დიდი ნაწილი შრომითი ბინადრობის ნებართვებია, დაახლოებით 41%. იმ პირთა შორის, რომლებიც შრომითი საქმიანობის მიზნით კვეთენ საზღვარს და საქართველოში ბინადრობის ნებართვას ითხოვენ ჩინეთის მოქალაქეები არიან, საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდებიან თურქეთის მოქალაქეები, ირანის, ინდოეთის და მეზობელი რუსეთის მოქალაქეებიც. სასწავლო მიზნით ბინადრობების მსურველთა შორის ინდოეთიდან ჩამოსული სტუდენტები ლიდერობენ, მცირე რაოდენობით გვხვდება, ნიგერიის, შრი-ლანკის, თურქეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოსული მიგრანტებიც. შრომითი ბაზრის კვლევის მიხედვით, დამსაქმებლის მიერ, უცხოელების დასაქმების მიზეზად ყველაზე ხშირად, ადგილობრივ ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია სახელდება. 2015-2016 წლებში, გადასახადის სახით, უცხოეთის მოქალაქეების მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა, კომპანიებმა სახელმწიფოს ბიუჯეტში 69 მილიონ

ლარზე მეტი შეიტანეს.[328]

გრაფიკი 2.

2010-2015** წლებში გაცემული ბინადრობის ნებართვები საფუძვლის მიხედვით



* *გაერთიანებულია მოკლევადიანი, სპეციალური, საინვესტიციო და მუდმივი ცხოვრების ნებართვა. აღნიშნული ტიპის ბინადრობის ნებართვები გაიცემა 2014 წლის 1 სექტემბრიდან უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ახალი კანონის საფუძველზე.*

წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

საქართველოში მყოფ იმიგრანტებს, სამუშაო ბაზარზე წვდომის კუთხით, შიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოქალაქეებთან თითქმის გათანაბრებული პირობები აქვთ. ერთადერთი მოთხოვნა ადგილობრივი დამსაქმებლების მიერ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურე-

[328] http://migration.commission.ge/files/imigracia_saqartveloshi.pdf

ბის სააგენტოსთვის შრომითი იმიგრანტის საქართველოში დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა. აღნიშნულს „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი და „შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 აგვისტოს №417 დადგენილება არეგულირებს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებს, ასევე ჰქონდეთ წვდომა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების ხელშემწყობ პროგრამებზე და პროფესიული გადამზადების კურსებზე;[329]

საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის სტრატეგიაში დეტალურადაა გაწერილი, ის ძირითადი მიზნები და ამოცანები, რომლებმაც უნდა დაარეგულიროს და ხელი შეუწყოს ქვეყანაში შრომით მიგრაციას:

შრომითი მიგრაციის რეგულირება და ხელშეწყობა

1. ქვეყნის ეკონომიკასა და შრომის ბაზარზე შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი ჩარჩოს ზემოქმედების გაანალიზება და შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, ძირეული ცვლილებების განხორციელება;
2. შრომის ბაზრის მუდმივი კვევის ინსტიტუციონალიზაცია შრომითი ბაზრის ძირითადი სტრატეგიის შესაბამისად, ასევე მოთხოვნადი პროფესიების არსებული ჩამონათვალის პერიოდული განახლება;
3. შესაბამისი ინსტიტუციური და ადმინისტრაციული რესურსის გაძლიერება „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონის ეფექტიანი განხორციელებისთვის;
4. „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მო-

[329] . http://www.informedmigration.ge/uploads/files/5af96a7e00bb1.pdf

წყობასთან დაკავშირებული იურიდიული პირის, ასევე ინდივიდუალური მეწარმის, ან უცხო ქვეყნის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირის, სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების საქმიანობის მონიტორინგი".[330]

საქართველოში, როგორც უკვე ავღნიშნეთ, შრომითი მიგრაცია გარკვეულწილად რეგულირდება „შრომითი მიგრაციის შესახებ" კანონით,[331] რომლითაც შრომითი იმიგრანტი განიმარტება, როგორც „საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელი, რომელიც საქართველოში შემოდის ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით". გარდა კანონის, რომელიც ძირითადად შრომით ემიგრაციას შეეხება, შრომით იმიგრაციას არეგულირებს საქართველოს მთავრობის დადგენილება N417 „შრომითი იმიგრანტის (საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე პირი) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი ანაზღაურებადი და მოწყობისა საქმიანობის განხორციელების წესის შესახებ".[332]

აღნიშნული დადგენილებით შრომითი იმიგრანტი უფლებრივად გათანაბრებულია საქართველოს მოქალაქესთან, კერძოდ, შრომით იმიგრანტს ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობის და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის პერიოდში უფლება აქვს, ისარგებლოს:

- ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომით ურთიერთობაში მყოფი საქართველოს მოქალაქისთვის მინიჭებული შრომითი ანაზრაურების იდენტური უფლებებით;

---

[330] . საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია http://migration.commission.ge/files/saqartvelos_2016-2020_ww._migraciis_strategia.pdf

[331] . საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ" 3418-IIს 01/04/2015 /

[332] . http://migration.commission.ge/files/saqartvelos_2016-2020_ww._migraciis_strategia.pdf

- სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევის ან/და პროფესიული დაავადების განვითარების შედეგად მისი ჯანმრთელობის დაზიანების, პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ან გარდაცვალების შემთხვევაში, ისეთივე შეღავათების, დახმარების ან ფულადი კომპენსაციის მიღების უფლებით, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქისთვის ითვალისწინებს;
- შრომითი მიგრაციის სფეროს სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი ორგანოებისაგან ამ უკანასკნელთა კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე კონსულტაციებისა და ინფორმაციის მიღებით. [333]

აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი იმიგრანტის (საქართველს ტერიტორიაზე მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხო ქვეყნის მოქალაქის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის“ მე-2 მუხლის საფუძველზე, შრომითი მიგრანტების შესახებ მიღებული ინფორმაცია შეგროვდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილი მექანიზმით.[334] ეს რეგულაცია ითვალისწინებს ადგილობრივი დამსაქმებლის ვალდებულებას, უცხოელის საქართველოში დასაქმებისა და მასთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმირებას უცხოელის დასაქმების თაობაზე.

---

[333] . https://matsne.gov.ge/ka/document/download/2941958/1/ge/pdf

[334] . საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-54/ნ 04.11.2015 წ. „ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმების შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის შესახებ

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მოწოდებულია ინფორმაცია საქართველოში დასაქმებული ასოცდაერთი უცხო ქვეყნის მოქალაქის შესახებ. 2015 წელს სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია შვიდი დასაქმებულის, 2016 წელს - ოთხმოცდათოთხმეტი დასაქმებულის, ხოლო 2017 წელს ოცი დასაქმებული პირის შესახებ.[335]

2015 წელს სამინისტრომ ჩაატარა „შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა". კვლევის მიხედვით, საქართველოში უცხოური სამუშაო ძალის დასაქმების მაჩვენებელმა შეადგინა 5,578 კაცი. სხვაობა ოფიციალურ და კვლევის მონაცემებს შორის იმდენად დიდია, რომ ცხადად აჩვენებს ზემოაღნიშნული დადგენილებითა და მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული აღრიცხვის სისტემის მოუწესრიგებლობას და ამ სფეროში ადმინისტრირების სირთულეებს. შესაბამისად, საჭირო „შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის"მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის ცვლილება და შრომითი იმიგრანტების აღსარიცხად ისეთი მექანიზმის შემოტანა, რომელიც არ შემოიღებს დამსაქმებლისათვის დამატებით რეგულაციას.

სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ შრომითი იმიგრანტები ყველაზე ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილნი არიან შემდეგ მოთხოვნად პოზიციებზე: კომპანიებში მთავარი აღმასრულებელი პირები და მმართველი დირექტორები, კვალიფიკაციის მქონე მუშახელი სამშენებლო სექტორში, ავტომობილების მექანიკოსები და შემკეთებლები. საყურადღებოა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქის დაქირავებისას საშუალო და პროფესიული განათლების დონეა მხოლოდ მოთხოვნადი.

---

[335] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი მწვანე კავკასიას N 01/2036 15/01 /2018

ეკონომიკური სფეროების მიხედვით უცხოური სამუშაო ძალის დასაქმების მაჩვენებელი მაღალია შემდეგ სფეროებში: მშენებლობა, ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.

გეოგრაფიული არეალის მიხედვით, უცხოური მუშახელის დასაქმების მაჩვენებელი მაღალია თბილისსა და აჭარის არეალში, რადგან ორივე რეგიონი, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ჰაბს. უცხოური სამუშაო ძალის დასაქმების კუთხით ძალიან მცირე ტენდენცია შეინიშნება გურიის, ქვემო ქართლის, სამცხე ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. ამრეგიონებში ძირითადი მოთხოვნა ადგილობრივ მუშახელზეა.

კვლევით ასევე გამოვლინდა დამსაქმებლების მიერ უცხოური სამუშაო ძალის დაქირავების მიზეზები, რომელთაგანაც აღსანიშნავია შრომის ბაზარზე შესაბამისი კვალიფიკაციისა და განათლების მქონე ადგილობრივი კადრის არარსებობა. მეორე მიზეზი თავად უცხოელების მიერ სამუშაო ადგილების შექმნაა, რაც განაპირობებს უცხოური მუშახელის დასაქმებას როგორც მმართველ, ასევე სხვა მასთან დაკავშირებულ პოზიციებზე. გამოკითხული ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათ მიერ უცხოური სამუშაო ძალის დაქირავებით გაცილებით გამარტივებულია სხვა ქვეყნებთან კომუნიკაციის პროცესი.[336]

ევროკავშირში არ არსებობს ერთიანი მიდგომა შრომითი მიგრაციის საკითხისადმი. ევროკავშირის რიგი სახელმწიფოები შრომითი მიგრაციის საკითხს ქვეყნის სუვერენიტეტს მიწერილ საკითხად განიხილავს და ამჯობინებს ინდივიდუალურად მოაწესრიგოს და მართოს იგი აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ევროკავშირში შემევალი სახელმწიფოების უმრავლესობა ემხრობა და იყენებს, ე.წ. „შრომითი ბაზრის ტესტს“ (Labour Market Test), რომელიც ავალდებულებს დამსაქმებლებს ჯერ ადგილობრივ ბაზარზე მოიძიონ სა-

[336] საჯარო ინფორმაცია იმიგრაციის შესახებ; განახლებული ანგარიში 2018

სურველი კანდიდატი, მაგრამ პარალელურად მოქმედებს მრავალი გამონაკლისი მაღალკვალიფიციური მუშახელისთვის. მეორე მიდგომა, რომელსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები იყენებენ, არის კვოტების სისტემა, თუმცა ხელისუფლების მიერ კვოტების დადგენაც ბაზრის საჭიროების წინასწარი შესწავლის საფუძველზე ხდება. დღესდღეობით ერთადერთი გამონაკლისი, სადაც არც ერთი ზემოხსენებული წესი არ მოქმედებს, არის შვედეთი.

აღსანიშნავია, რომ, საქართველოსგან განსხვავებით, ევროკავშირის სახელმწიფოებს და არა მარტო კარგად აქვთ შესწავლილი საკუთარი შრომითი ბაზარი და როგორც „შრომითი ბაზრის ტესტი“, ასევე კვოტირების სისტემა მხოლოდდამხოლოდ ემსახურება მათთვის არასასურველი კატეგორიის მუშახელის შემოდინების აღკვეთას. ეს შეზღუდვები ძირითად ეხება დაბალკვალიფიციურ კადრებს. რაც შეეხება მაღალკვალიფიციურ მუშახელს, მსხვილი ევროპული სახელმწიფოების უმეტესობა ხელს უწყობს მათ მიგრაციას და გარკვეულ გამონაკლისებს უშვებს; მაგალითად: საფრანგეთში, სადაც დასაქმების უფლების მოპოვება ერთ-ერთ ყველაზე უფრო რთულად მიიჩნევა ევროპაში, „შრომითი ბაზრის ტესტის“ მოთხოვნა არ ვრცელდება პირებზე, რომელთა ყოველთვიური ხელფასი 3 600 ევროს აღემატება.[337]

სამართლებრივი რეგულაციები

საქართველოს რატიფიცირებული აქვს „ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული)“, რომლის დებულებები შრომით მიგრაციასთან დაკავშირებით, ქვეყნისთვის აღსასრულებლად სავალდებულოა. საქართველოს რატიფიცირებული აქვს, აგრეთვე, სხვა კონვენციებიც, რომლებშიც ასახულია შრომით მიგრანტთა პრობლემატიკა: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 181-ე კონვენცია „დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ“; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 88-ე კონვენცია „დასაქმების სამსახურის ორგანიზე-

[337] . http://forbes.flash.ge/news/591/migraciis-kanoni-qveyanas-dziri-daujdeba

ბის შესახებ"; „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ" საერთაშორისო კონვენცია. ასევე, კონვენციები, რომლებიც არეგულირებენ ტრეფიკინგის საკითხებს და სხვა.[338] საქართველოს არ აქვს რატიფიცირებული შრომითი მიგრაციის სფეროს მარეგულირებელი ძირითადი კოვენციები.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ორმხრივ ურთიერთობებს, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსა და ევროკავშირს შორს თანამშრომლობის გაღრმავება შრომითი მიგრაციის რეგულირების სფეროში. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივამ და ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ სერიოზული ბიძგი მისცა მიგრაციის სრულყოფილი მართვის სისტემის განვითარებას საქართველოში. როგორც უკვე აღინიშნა, „პარტნიორობა მობილურობისთვის" ინიციატივა მიზნად ისახავს არალეგალურ მიგრაციასთან ერთობლივ ბრძოლასა და ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობას. შესაბამისად, იგი ითვლისწინებს თანამშრომლობას მიგრაციასთან მიმართებაში ისეთ საკითხებზე, როგორიცა, დოკუმენტების უსაფრთხოება, რეადმისია, რეინტეგრაცია, შრომითი მიგრაცია, დიასპორა, შრომის ბაზარი და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების საკითხი. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებებს „ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ" და „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ".[339] ორივე შეთანხმება არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტია.

კვლევის თანახმად დადგინდა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში უაღრესად მაღალია შრომითი მიგრა-

---

[338] . Kardava E., Legal Aspects of Labour Migration Governance in Georgia, international legal framework, A reply to Prof. G. Gabrichidze, European University Institute, CARIM-East Analitical and Synthetic Notes 2012/10, Italy, p. 4-5, http://cadmus.eui.eu/handle/1814/24886 http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-AS2012-10.pdf

[339] . Agreement between the European Union and Georgia on the readmission of persons residing without authorisation, Official Journal of the European Union L 52, Volume 54, 25 February, 2011,

ციის მაჩვენებელი. ადგილობრივი შრომითი ბაზრის შევსება იმიგრანტებით ძირითადად ქართველი დამსაქმებელის მიერ კვალიფიციური მუშახელის მოთხოვნითაა განპირობებული. ქვეყანაში შრომითი მიგრაციის მზარდი მაჩვენებლის მიუხედავად საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ მწირია, რაც რიგ შემთხვევებში პრობლემებს ბადებს. კანონმდებელთა მკაცრი რეგულაციები იმიგრირებულ მუშახელთან დაკავშირებით დაწუნებულ და გაკრიტიკებულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რასაც კანონის კვლავ შემსუბუქება მოჰყვა. ამან კი ავტომატურად უფრო გაზარდა საქართველოში ბინადრობის მქონე უცხოელთა რაოდენობა. დღესდღეობით ლიდერობს ჩინეთიდან და თურქეთიდან შემოსული შრომითი მიგრანტები და მათი უმეტესობა დედაქალაქსა და აჭარაშია დასაქმებული. კვლევის შედეგად რეკომენდირებულია: შრომის ბაზრის სტატისტიკის შესაბამისად დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა შრომით მიგრანტებთან დაკავშირებით და „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონის ეფექტიანი განხორციელებისთვის გაძლიერდეს ინსტიტუციური და ადმინისტრაციული რესურსი.

საქართველოს მიგრაციის სტრატეგია

საქართველოს მიგრაციის სტრატეგია 1997-2015 წლებში

უკანასკნელი წლების განმავლობაში გლობალურ მიგრაციულ პროცესებში საქართველოს ჩართულობა შესამჩნევად გაიზარდა. მიგრაცია სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ თუ დემოგრაფიულ ასპექტებზე. ჩვენი ქვეყნისთვის მიგრაცია არამხოლოდ უსაფრთხოებასთან, არამედ ევროკავშირთან დაახლოების პერსპექტივებთან ასოცირდება და სწორედ ამიტომ მიგრაციის პოლიტიკის სწორი დაგეგმვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის.

ბოლო 25 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის მიერ განხორციელებულმა მიგრაციის შესამჩნევმა ტალღებმა აუცილებელი გახადა საქართველოში მიგრაციის მართვის სწორი და ეფექტური დოკუმენტის შემუშავება.

პირველი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის ჩანასახად შეიძლება მოვიხსენიოთ, ძირითადად დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა და იგი 1997 წელს შეიქმნა[340]. ეს იყო საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია. აღნიშნულ კონცეფციაში წარმოდგენილი იყო სახელმწიფოს ხედვა იმიგრაციული პროცესების რეგულირების, საერთაშორისო დაცვის და შიდა მიგრაციის შესახებ, პრეზიდენტის ბრძანებულებით, მას საფუძველი უნდა დაედო საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სისტემის შექმნისთვის, ამ სფეროში სათანადო საკანონმდებლო ნორმატიული აქტების, პროგრამების მომზადების და საინვესტიციო პროექტების შემუშავებისთვის. საერთაშორისო შეთანხმებათა მომზადებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სწორედ აღნიშნული მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციის დებულებები. სამწუხაროდ დოკუმენტს არ გააჩნდა განხორციელების მექანიზმი კონკრეტული სამოქმედო გეგმის სახით. 2013 წელს, უკვე ახალი პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს მიგრაციის პირველი დოკუმენტი ძალადაკარგულად გამოცხადდა.

მიგრაციის სფეროში სახელმწიფო საკოორდინაციო ორგანოს არარსებობა მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა საქართველოში მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხების ეფექტიანი მოგვარების გზაზე.

2010 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა №314 დადგენილებით შექმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, რომლის მიერ მომზადებული პროექტის საფუძველზე, დოკუმენტი შემუშავდა სამი უწყების (იუსტიციის სამინისტროს,

[340] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/

შინაგან საქმეთა სამინისტროს და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი) ერთობლივი ძალისხმევით და განსაზღვრავდა სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებებს, რაც მოიცავდა ქვეყანაში და ქვეყნის გარეთმიგრაციული მოძრაობის ყველა ასპექტს[341]. 2013 წლის 15 მარტს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება №59 „მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე", ასევე მოგვიანებით დამტკიცდა სამოქმედო გეგმაც[342]. ამ დადგენილების შესაბამისად მთავრობა 2013-2015 წლებში ახორციელებდა მიგრაციის სტრატეგიას. ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა აღნიშნული დოკუმენტითაა განსაზღვრული და ამავდროულად სწორედ იგი ადგენს ქვეყანაში მიგრაციის მართვის ფორმას და მიმართულებებს. მიგრაციის სტრატეგიის მიზანია: მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, არალეგალურ მიგრაციასა და ტრეფიკინგთან ბრძოლას, იმიგრირებული მოსახლეობის ძირითადი უფლებებისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფას, ასევე ხაზს უსვამს მიგრაციის დადებით ეფექტებს ქვეყნის განვითარებისათვის. 2012 წლის ოქტომბერში ევროკავშირის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა მიგრაციის სამთავრობო კომისიის სამდივნოც, რომლის ერთადერთი მიზანი იყო კომისიის საქმიანობის გაძლიერება როგორც ტექნიკური, ასევე ანალიტიკური თვალსაზრისით.

მიგრაციის საკითხს ყურადრება მიაპყრო ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომაც. საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული)" შრომით მიგრაციასთან დაკავშირებული მე-2 ნაწილის მე-19 მუხლის თოთხმეტივე პუნქტის დებულებების რატიფიცირება, ასევე განახორციელა

[341] სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ კომისიის წევრი 13 სახელმწიფო უწყების, სახალხო დამცველის და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის წარმომადგენლები.

[342] საქართველოს მთავრობის N 59 დადგენილება, „მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე"; https://matsne.gov.ge/ka/document/view/2704428?publication=0

გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №88-ე კონვენციის „დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ“ და №181 კონვენციის „დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ“ რატიფიცირება.

მიგრაციის სფეროში და განსაკუთრებით მისი მართვის კუთხით გადადგმულმა ნაბიჯებმა ძალიან დიდი გავლენა იქონია ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მონიჭების პროცესზე. ვიზა ლიბერალიზაციის პროექტში წარმოდგენილი ოთხი ბლოკიდან ერთ-ერთი სწორედ თავშესაფრის/მიგრაციის თემას ეხება. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საქართველოს უკვე გააჩნდა მიგრაციის მართვის ინსტიტუციური მექანიზმი და ჰქონდა მიგრაციის სწორი მართვის სტრატეგია, შეიძლება ითქვას, რომ უფრო დააჩქარა დაწყებული პროცესი და 2013 წლის 25 თებერვალს საქართველომ უკვე ოფიციალურად მიიღო ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა[343].

საქართველოში მიგრაციის მართვის მექანიზმების ინსტიტუციურ, სწორ განვითარებას საფუძველი ჩაუყარა 2013-2015 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულმა მიგრაციის სტრატეგიამ და ასევე მისმა სამოქმედო გეგმამ. მნიშვნელოვნად დაიხვეწა საკანონმდებლო ბაზა, რამაც უფრო დაგვაახლოვა ევროპულ კანონმდებლობასთან. მიგრაციის სამართლებრივი რეგულირების მიზნით შემუშავდა უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც, როგორც სამართლებრივი დებულებების, ისე იმპლემენტაციის თვალსაზრისით პრობლემური აღმოჩნდა. ეგრეთ წოდებული ენჯეოების მიერ კანონი იმთავითვე კრიტიკულად იქნა განხილული. პრაქტიკული თვალსაზრისით კანონის ამოქმედებამ რიგი პრობლემები შეუქმნა უცხო ქვეყნებიდან საქართველოში დროებით ჩამოსულ ბიზნესის წარმომადგენლებს, სტუდენტებს, სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ პირებს. საქართველოს კანონის ახალი რედაქცია უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ

[343] საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია

2014 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა ძალაში. უკვე 2014 წლის მიწურულს მტავრობამ მუშაობა დაიწყო შრომითი მიგრაციის კანონპროექტზე.

2013-2015 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა მთელი რიგი რეფრმები და ქვეყნისთვის სასიკეთო ცვლილება, განსაკუთრებით ევროკავშირთად დაახლოების კუთხით. დოკუმენტს, ასევე ახლდა მრავალი გამოწვევა და გადაუჭრელი პრობლემაც. მინდა ყურადღება შევაჩერო დოკუმენტის ფარგლებში განხორციელებული რეფორმების, როგორც დადებით ასევე სუსტ მხარეებზე. ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე საუბარია ასეევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ 2012-2014 წლების შეფასებით დოკუმენტშიც.

დადებითი ცვლილებები

- 2014 წლის 17 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვათ 7 საერთაშორისო ((IOM) - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია), (DRC)- დანიის ლტოლვილთა საბჭო, (EU Delegation) – საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა, (ILO) – შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, (UNHCR) – გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა, (ICMPD)- მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, (GIZ) – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) და 5 არასამთავრობო (ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი, საქართველოს გაეროს ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მიგრაციის ცენტრი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)) ორგანიზაციას. კომისიის სხდომებმა ამ მიდგომით საჯაროობა შეიძინა და შესაძლებელი გახდა არასახელმწიფო მოთამაშეების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა;

- მნიშვნელოვანი პროექტების მართვის გაუმჯობესებისთვის, რომლებიც მიგრაციის სფეროში აქტიურად მიმდინარეობდა შეიქმნა მიგრაციის კომისიის სამდივნო. სამდივნომ შექმნა ერთობლივი პლატფორმა, სადაც წარმატებით გაერთიანდნენ, როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. წელიწადში ორჯელ სამდივნო აორგანიზებს მათ შეხვედრას, იფორმაციის გაზიარების მიზნით. ასევე საფუძველი ჩაეყარა მიგრაციის სფეროში პროექტების მატრიცას.
- საქართველოს მიგრაციის კომისიის სამდივნოს ხელშეწყობით ქართულ ენაზე შეიქმნა შეიქმნა მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც ემსახურება მიგრაციის თემაზე ქართული ტერმინოლოგიური ბაზის ორგანიზებას;
- 2014 წელს ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მიგრაციის კომისიის სამდივნოს შორის, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა მიგრაციის გზამკვლევი. სახელმძღვანელო გამოყენებულ იქნება სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებისთვის სალექციო მასალად;
- მსოფლიოში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებში საქართველო საკმაოდ აქტიურად ჩაება, რომლებიც მიზნად ისახავენ მოწესრიგებული მიგრაციისთვის გამართული და მდგრადი სისტემის შექმნას (ბუდაპეშტის პროცესი), მიგრაციის სფეროში ყველა მონაწილე მხარის თანამშრომლობის გაღრმავებას (პრაღის პროცესი), ევროკავშირის აღმოსავლეთის მიმართულებით დაკავშირებულ სირთულეებზე სათანადო რეაგირებას და მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებით კოორდინაციის ამაღლების ხელშეწყობას და ეს ყოველივე მოხდება მიგრაციისა და განვი-

თარების ურთიერთკავშირის დარეგულირებას პრაქტიკული და შედეგზე ორიენტირებული მეთოდებით (მიგრაციისა და განვითარების გლობალური ფორუმი);

- მისასალმებელია მიგრაციის კუთხით ახალი ინიციატივების ხელშეწყობა, ამის საუკეთესო მაგალითია, საქართველოსა და გერმანიის საერთო ინიციატივა ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობის შესახებ, რომელსაც 2013 წლის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი;
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს დაამტკიცა, რაც განსაკუთრებული კრიტიკის ფონზე მოხდა და, მიუხედავად საბოლოო ვერსიის გაქილიკებისა, მაინც მნიშვნელოვან ფაქტად შეფასდა. ქვეყანას აღნიშნული კანონის მიღებას ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაც აიძულებდა.
- 2014 წლის 8 ოქტომბერს თბილისში არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი გაიხსნა, რომელიც საქართველოში უკანონოდ მყოფ 80 პირზეა გათვლილი;
- 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის გასააქტიურებლად 400 000 ლარი გამოიყო. აღნიშნულ პროექტი განახორციელა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო[344].

  მიუხედავად იმისა, რომ 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგია მიგრაციის მართვის პირველ დოკუმენტთან შედარებით, თვისობრივად განსხვავებული, საკმაოდ დახვეწილი და სრულყოფილი იყო, თუმცა კვლავ რჩებოდა

[344] არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება; http://www.osgf.ge/files/2015/Publication/Report.pdf

რიგი პრობლემები, რომლთა გადაჭრის გზებიც სათანადოდ არ იქნა ასახული დოკუმენტში.

- კვლავ პრობლემად რჩებოდა საქართველოს მოქალაქეების არაინფორმირებული მიგრაცია, რაც ტრეფიკინგის რისკებს აძლიერებდა. პრობლემას წარმოადგენდა ისიც, რომ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ემიგრანტების ინფორმირებულობის დონე დაბალი იყო;
- 2014 წლის 1 სექტემბრის უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებამ და მისი განხორციელების პროცესში არსებულმა ხარვეზებმა გავლენა იქონია ქვეყნით ინვესტორების დაინტერესებაზე;
- პრობლემური იყო ლეგალური შრომითი მიგრაციის ამოქმედება, როგორც საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების დასაქმების, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში დასაქმების უზრუნველსაყოფად;
- საქართველოს მიერ შეთანხმებული ხელშეკრულების პროექტის დამტკიცება საფრანგეთთან ცირკულარული მიგრაციის შესახებ, გაჭიანურდა, როგორც საქართველოს და ასევე საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოების მიერ.
- არ მუშაობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმა უცხოელთა იძულებითი დაბრუნების (გაძევება) შესახებ;
- რთულად ხორციელდებოდა საქართველოში ლეგალურად მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რეინტეგრაცია.

2010 წლის 13 ოქტომბერს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. იგი წარმოადგენს მთავრობის სათათბირო ორგანოს, რომელიც მსჯელობს და გადაწყვეტილებებს იღებს მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. კომისიას, რომელიც აერთიანებს 13 სახელმწიფო უწყებას, თავმჯდომარეობს იუსტიციის სამინისტრო,

ხოლო თანათავმჯდომარეა შინაგან საქმეთა მინისტრო. 2013 წელს, საქართველოს მიგრაციის კომისიის გადაწყვეტილებით საკონსულტაციო სტატუსი მიენიჭა მიგრაციის საკითხებზე მომუშავე 5 არასამთავრობო და 7 საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კომისიის მუშაობაში.

საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია

2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი რიგით მესამე სტრატეგიული დოკუმენტია საქართველოსთვის. 2015 წლის 14 დეკემბრის, საქართველოს მთავრობის #622 დადგენილებით[345], დამტკიცდა საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. დოკუმენტში, რომელიც 2016 წლიდან 2020 წლამდე პერიოდს მოიცავს, მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემათა ფართო სპექტრია გაანალიზებული: მიგრაციის მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩოების მიმოხილვა, ემიგრაციისა და იმიგრაციის კვლევა საქართველოში და მისი ანალიზი. აღნიშნული სტრატეგია ეფუძნება ბოლო წლებში მიგრაციის მართვის სფეროში მიღწეულ შედეგებს, აანალიზებს არსებულ გამოწვევებს და აყალიბებს მათთან გამკლავების მექანიზმებს. საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვა მიგრაციის მართვის ისეთი საკანონმდებლო და ინსტიტუცილური სივრცის შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოებას; ხელს შეუწყობს სხვადასხვა რელიგიური, კულტურული და ეთნიკური ჯგუფების მშვიდოებიან თანაცხოვრებას, იმიგრანტთა უფლებების დაცვას და საზოგადოებაში წარმატებულ ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციას, გაიზრდება საქართველოს მოქალაქეების ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობები.

[345] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/

სტრატეგიის ძირითადი პრინციპები:

- მიგრანტების უფლებების დაცვა საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე;
- ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით;
- ადამიანის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის, ადამიანით ვაჭრობის და უკანონო მიგრაციის სხვა ფორმების აღკვეთა;
- დისკრიმინაციის ყველა გავრცელებული ფორმის აღმოფხვრა და პრევენცია;
- იმიგრანტების და ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ჩართულობის ხელშეწყობა;
- ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მიგრაციისა და უწყვეტი განვითარების ხელშეწყობა;
- მიგრანტთა მდგრადი რეინტეგრაციის ხელშეწყობა საქართველოში დაბრუნების შემდგომ.

სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები

- საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან;
- ქვეყნის გარეთ მყოფი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები და დიასპორის წარმომადგენლები;
- საქართველოში ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი პირები; იმიგრანტები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად;
- საქართველოში მცხოვრები პირები, რომელთაც არ გააჩნიათ მოქალაქეობა;
- მიგრანტები, რომლებიც დაბრუნდნენ სამშობლოში.

მიგრაციის სფეროში აქამდე არსებულ დოკუმენტებისგან განსხვავებით 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიას საკანონმდებლო კუთხით საკმაოდ გამართულ გარემოში უწევს განხორციელება, უკანასკნელ წლებში საგრძნობლად განახლდა მიგრაციის სფეროს მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა. ამ პროცესზე დადებითად იმოქმედა ევროკავშირტან უკვე დაწყებულმა სავიზო დიალოგმა და მის ფარგლებში ქვეყნისთვის შეთავაზებულმა „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმამ.“ ევროკავშირის სტანდარტების და ასევე სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, აუცილებლობას წარმოადგენდა მიგრაციის სფეროში რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული გეგმის განხორციელების პერიოდში დაიხვეწა და სევე მიღებული იქნა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტი:

დამტკიცდა და შემუშავდა ახალი ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ (2014 წ.). აღნიშნულმა კანონმა გარკვეულწილად დაარეგულირა და გაამარტივა საქართველოს მოქალაქეობის დადგენა, მათ შორის ნატურალიზაციის გზით ამასთან, კანონი სრულ თავსებადობაში მოვიდა „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაერო-ს 1961 წლის კონვენციასთან.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებულიყო მიგრაციული პროცესების მართვა, მიღებული იქნა ახალი კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (2014 წ.), რომლითაც გადაიხედა უცხოელთა საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საფუძვლები, შემოღებული იქნა ვიზების ახალი კატეგორიები, მოხდა ბინადრობის ნებართვების ძირითადი სახეებად კლასიფიცირება და დაინერგა უცხო ქვეყნის მოქალაქეების გაძევების აპრობირებული მექანიზმები, რომელიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებთანაა შესაბამისობაში და უზრუნველყოფს ადამი-

ანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვას. კანონის განხორციელების შემდგომ პროცესზე მოხდა დაკვირვება, რის შედეგადაც, კანონში შევიდა ცვლილებები. მოხდა ცალკეული რეგულაციების სრულყოფა.

შრომითი მიგრაციის რეგულირების მიზნით, მიღებული იქნა კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ (2015 წ.). აღნიშნული კანონი განსაზღვრავს შრომითი მიგრაციის მარეგულირებელ ეროვნულ მექანიზმს და ასევე განსაზღვრავს ამ სფეროში სახელმწიფო მმართველობის განხორციელების პრინციპებს. კანონის მთავარ მიზანს წარმოადგენს, დაეხმაროს და ხელი შეუწყოს ლეგალური შრომითი მიგრაციის სწორ განვითარებას და ამ ქმედებით მოახდინოს არალეგალური შრომითი მიგრაციის,ასევე ტრეფიკინგის შემთხვევების შემცირება.[346]

2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიაში ასახული ძირითადი მიზნები:

- 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიაში სათანადო ყურადღება დაეთმო დიასპორის მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებაში, ეს საკითხები რამოდენიმე თავში გაიწერა, მაგალითად, ერთ-ერთ მიზნად განისაზღრა: „საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების, დიასპორის წარმომადგენლების და იმიგრანტთა ეკონომიკური და ადამიანური რესურსის ქვეყნის განვითარებისკენ მიმართვა“;[347]
- ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა - ბიუროკრატიული მექანიზმების მაქსიმალურად გამარტივება საქართველოში უცხოელთა შემოსვლისა და ყოფნის სტიმულირებისთვის;
- განათლების სექტორის ინტერნაციონალიზაცია, მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ სწავლისა და გამოცდილების შეძენის ხელშეწყობა სახელმ-

[346] იხილეთ საქართველოს მიგრაციის პროფილი 2015.

[347] საქართველოს მიგრაციის 2016-2020 წლების სტრატეგია.
http://migration.commission.ge/files/saqartvelos_2016-2020_ww._migraciis_strategia.pdf

წიფოს მხრიდან, ასევე 2016-2020 წლების მიგრაციის სტრ-ატეგიის მიხედვით უცხოელი სტუდენტების მოზიდვა სა-ხელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ბოლონიის პროცე-სის ერთ-ერთი მიზნის, ასევე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, 2020 წლამდე უცხოელი სტუდენტების მობი-ლობა საქართველოში უნდა გაიზარდოს არსებული სამი პროცენტიდან ოც პროცენტამდე;

- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არალეგალური მიგ-რაციის, ადამიანით ვაჭრობის და საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია სტრატეგიაში ჩადებული ეფექ-ტიანი სასაზღვრო უსაფრთხოების და სასაზღვრო კონტრო-ლის სისტემის უზრუნველყოფა, რაც დიდ წილად გულის-ხმობს გამართულ სასაზღვრო ინფრასტრუქტურას, ტექნი-კურ აღჭურვილობასა და შესაბამისად მომზადებულ კად-რებს;
- თავშესაფრის სისტემის საკანონმდებლო და ინსტიტუციუ-რი ჩარჩოს გაძლიერება ინტეგრაციის საჭიროებების გათ-ვალისწინებით, რაც თავის თავში მოიცავს: საკანონმდებ-ლო ჩარჩოს დახვეწას, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერე-ბას და ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობას.
- მიგრაციის პოლიტიკის დაგეგმვის გაუმჯობესება. ინფორ-მირებული გადაწყვეტილების მიღება. მონაცემთა შეგრო-ვებისა და ანალიზის გაკეთების საშუალებების დახვეწა.
- საქართველოს მოსახლეობის, იმიგრანტების, ლტოლვილი-სა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი პირების, ისევე როგორც საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების და დიასპორის წარმომადგენ-

ლების ცნობიერების ამაღლება მიგრაციის სტრატეგიით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებებით.

- სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად, პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება და ამ პოტენციალის გამოყენება მიგრაციის პოლიტიკის შემდგომი განვითარებისთვის.[348]

დღესდღეობით საქართველო ინტეგრირებულია დანარჩენ მსოფლიოსთან და ამიტომ, როგორც ემიგრანტები ისე იმიგრანტები რეაგირებენ მსოფლიოს გლობალურ ცვლილებებზე, რაც თავისთავად განსაზღვრავს ქვეყნის საემიგრაციო ტენდენციებს. 2009 წლის ნოემბერში, ევროკავშირის თექვსმეტმა სახელმწიფომ და საქართველომ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას ევროკავშირის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივა მიზნად ისახავს არალეგალურ მიგრაციასთან ერთობლივ დაუღალავ ბრძოლასა და ასევე ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობას. ინიციატივის ძირითადი დანიშნულებაა გაითვალისწინოს მიგრაციასთან დაკავშირებული თანამშრომლობის ისეთი საკითხები, როგორებიცაა რეადმისია, რეინტეგრაცია, შრომითი მიგრაცია, დოკუმენტების უსაფრთხოება, დიასპორა, შრომის ბაზარი და პროფესიული კვალიფიკაციის საყოველთაო აღიარების საკითხები. თანამშრომლობის განვითარება „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის ფარგლებში ხელს შეუწყობს ევროკავშირის ქვეყნებში ჩვენი მოქალაქეების ლეგალურად დასაქმებას, მათ შორის ე.წ. „ცირკულარული მიგრაციის“ საშუალებით. [349]

„საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ცირკულარული მიგრაციის შესაძლებლობების გამოყენების მიზნით ორმხრივი ხელშეკრულებითი ურთიერთობების

---

[348] საქართველოს მიგრაციის 2016-2020 წლების სტრატეგია.
http://migration.commission.ge/files/saqartvelos_2016-2020_ww._migraciis_strategia.pdf
[349] http://migration.commission.ge/files/strategy_2013-2015_1.pdf

განვითარება. ცირკულარული მიგრაცია ქვეყნიდან ინტელექტუალური რესურსის გადინების შეასაძლებლობას აჩენს. ასევე მათი ადგილზე არაეფექტიანად გამოყენების თავიდან არიდების საშუალებას იძლევა. ამასთან, მნიშვნელოვანია თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის 2011 წლის ინიციატივის - „გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილურობის შესახებ“ ფარგლებში (Global Approach to Migration and Mobility) შემდეგი მიმართულებებით: ლეგალური მიგრაციის მართვის გაუმჯობესება და მობილურობის ხელშეწყობა, არალეგალური მიგრაციის პრევენცია და შემცირება, მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირის გაძლიერება“.[350]

2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია მიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის წარმმართველი საბაზისო დოკუმენტია, იგი სრულად ეხმიანება მომიჯნავე სფეროების პოლიტიკის განმსაზღვრელ სხვა დოკუმენტებს და ასევე, კოორდინაციასა და კონსოლიდაციას უკეთებს მიგრაციისა და განვითარების მიმართულებით გატარებულ სხვადასხვა სახელმწიფო პოლიტიკასა და პროგრამებს.

დ ა ს კ ვ ნ ა

მიგრაციამ, როგორც გლობალურმა მოვლენამ, განსაკუთრებული გავლენა იქონია და, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად შეცვალა კიდეც მსოფლიო. ქვეყნის შიდა და ქვეყნის გარე, ანუ საერთაშორისო მიგრაციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე, მაგალითად, ადრეულ, ბრინჯაოსა, თუ რკინის ხანის პერიოდში, შუასაუკუნეებში, თუ ინდუსტიალიზაციის ეპოქაში, თანამედროვე ევროპაში თუ ჩრდილო ამერიკის კონტინენტ-

[350] http://migration.commission.ge/index.php?article_id=17&clang=0

ზე, როგორც მოვლენას თან ახლავს გარკვეული მიზეზები და ფაქ-ტორები, როგორიცაა დევნისგან, თუ კონფლიქტისა და ძალადო-ბისგან თავის დაღწევა, ეკოლოგიური გარემო, სამედიცინო მიზ-ნები, სიღარიბისგან გამოწვეული, თუ სამომავლო პერსპექტივებით განპირობებული შემთხვევები, ოჯახის გაერთიანების, საგან-მანათლებლო, დასაქმების, ქორწინების, ბიზნესის წარმოების მიზ-ნები და ა.შ. ბოლო დეკადებში გლობალურმა მიგრაციამ უპრეცე-ნდენტო მასშტაბები მიიღო. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენეს რომ 175 მლნ-ზე მეტი ადამი-ანი მიგრაციაში იმყოფება და მოწყვეტილია საკუთარ სამშობლოს. ლტოლვილის ან დევნილის სტატუსი გააჩნია 19.2 მლნ ადამიანს.

ლტოლვილებს როგორც საზოგადოების სრულყოფილ წევ-რებს, რომლებიც თავიანთ სამშობლოში სწავლობდნენ, მუშაობდ-ნენ და ვითარდებოდნენ, აქვთ უფლება განაგრძონ სრულყოფილი ცხოვრება და ეს უფლება ისევეა აღიარებული და დაცული საერთა-შორისო თანამეგობრობის მიერ, როგორც საზოგადოების ნების-მიერი სხვა წევრის. გაეროს „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლო-ბა სოციალურ-ეკონომიკური გარანტიებითა და უფლებებით უზ-რუნველყოფს იმ პირებს, რომლებიც საქართველოში ლტოლვილის ან ჰუმანიტარულ სტატუსი გააჩნიათ.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ სა-ქართველოს კანონის მიხედვით, ლტოლვილისა და ჰუმანიტარუ-ლი სტატუსის მქონე პირები უფლებამოსილნი არიან საქართვე-ლოს მოქალაქეების მსგავსად ისარგებლონ დასაქმებისა და განათ-ლების უფლებით, ასევე სამედიცინო დახმარებით, კანონმდებლო-ბით დადგენილი წესების შესაბამისად. ლტოლვილის ან ჰუმა-ნიტარული სტატუსის მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან გადაადგილების თავისუფლებით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საქართველოში ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები სახელმწიფოსგან იღებენ სოციალურ დახმარებას ყოველთვიური შემწეობის სახით. ასევე შექმნილია თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ფულადი შემწეობის გამცემი კომისია. აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ამიერკავკასიის ოფისის (UNHCR) დახმარებით, ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფის ან ყოველთვიური ფინანსური შემწეობის გაცემის მიზნით, ხდება როგორც თავშესაფრის მაძიებელთათვის, ისე ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ფინანსური დახმარების გამოყოფა.

მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ გაეროს 1954 წლის კონვენციის მუხლებით დადგენილია სახელმწიფოს მიერ მოქალაქეობის არმქონე პირთათვის სამოქალაქო, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ფართო სპექტრის მინიჭება. (იურიდიული სტატუსი, დასაქმება, საცხოვრებელი, საჯარო განათლება, სახელმწიფო დახმარება, შრომითი კანონმდებლობა და სოციალური უსაფრთხოება, გადაადგილების თავისუფლება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამგზავრო დოკუმენტები და ა.შ.).

საიმიგრაციო პოლიტიკა მსოფლიოს მასშტაბით აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ევროკავშირის სახელმწიფოების და კერძოდ გერმანიის მიერ წარმოებული საიმიგრაციო ე.წ. „ღია კარის პოლიტიკა“ განსხვავებულად არის აღქმული ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში. გერმანიის გადაწყვეტილება ერთი მილიონი ლტოლვილის მიღების შესახებ, განპირობებულია მისი ნორმატიული, ეროვნული, მორალური, ისტორიული და ჰუმანიტარული სტანდარტებიდან გამომდინარე და ასევე ევროკავშირის იმ ძირითადი ღირებულებების გათვალისწინებით, როგორიცაა სოლიდარობა სხვა ქვეყნებთან და ადამიანის უფლებათა დაცვა. გამჭირვალობა, მულტიკულტურალიზმი, ჰუმანურობა ერთიანობაში ქმნის გერმანიის

იდენტობას, რაც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია ქრისტიანულ ღირებულებებებთან და კულტურულ იდეალებთან.

მერკელის საიმიგრაციო პოლიტიკის დამცველები განმარტავენ, რომ ფანატიკოსი ტერორისტების რიგებში არიან მუსულმანებიც, რომლებიც ისლამის ნორმების არასწორ ინტერპრეტირებას ახდენენ იმისთვის, რათა გაამართლონ საკუთარი ბოროტი ქმედებები. თუმცა, ექსტრემიზმისა და ფანატიზმის ინციდენტებში, ასევე ფიგურირებენ სხვა რელიგიის წარმომადგენლებიც. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია ყველა თავშესაფრის მაძიებელი, თუ ისლამის მიმდევარი ემიგრანტი უპირობოდ საფრთხის შემცველად ჩაითვალოს, მითუმეტეს მაშინ, როცა ეს ადამიანები თვითონ გაურბიან ომს და ეძებენ თავშესაფარს.

2017 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, ოფიციალური მონაცემებით, 130,000 მიგრანტი ჩავიდა საზღვაო გზით იტალიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, მალტასა და კვიპროსზე. ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით საკმაოდ „შთამბეჭდავი“ აღმოჩნდა: 2016 – 368,080; 2015 – 908,558; 2014 – 209,662 .

მიუხედავად მიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობის ზრდის ტენდენციისა, რაც კრიზისის გამომწვევ ყველაზე დიდ პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს, მიგრანტებს შორის სიკვდილიანობა, ძირითადად ზღვაში ჩაძირული და დაკარგული ადამიანების რაოდენობის ზრდა, ასევე განსაკუთრებული შეშფოთების მიზეზია. 2000 წლიდან 2017 (ივნისამდე) 33,761 თავშესაფრის მაძიებელი დაიღუპა, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის გადაცურვით ცდილობდნენ ევროპაში მოხვედრას.

საიმიგრაციო პოლიტიკა, კერძოდ აშშ-მექსიკის საზღვრის გასწვრივ კედლის აშენება, მუსულმანური ქვეყნებიდან მიგრანტებისა და მათ შორის თავშესაფრის მაძიებლების აშშ-ის ტერიტორიაზე შესვლის შეზღუდვა და ა.შ. წარმოადგენდა საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიის ყველაზე ცენტრალურ კომპონენტს. მიჩნეულია, რომ ხმების უმეტესი ნაწილი,

სწორედაც რომ არალეგალი იმიგრანტების წინააღმდეგ წამოწყებულმა კამპანიამ მოუტანა მას. თუმცა მისი მრავალი განცხადება ინტერვიუებში, სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ და უშუალოდ კამპანიის დროს, საკამათო, უბრალოდ გაზვიადებული ან ხშირ შემთხვევაში ყალბი აღმოჩნდა.

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა ასევე უბიძგა საქართველოს მოქალაქეების გადინებას რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში. სამუშაო ვიზის არარსებობა და შესაბამისად, არალეგალურად დასაქმების პირობები მძიმე და სარისკო მდგომარეობაში აყენებდა ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისთვის სამუშაოს მაძიებელ ემიგრანტებს. სამი ათეული წლის შემდეგ, საბერძნეთსა და საქართველოს შორის, მიღწეულ იქნა შეთახმება იმის შესახებ, რომ საბერძნეთში ლეგალურად ყოფნის უფლება მიეცათ საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც 7 წლის მანძილზე საბერძნეთიდან ყოველწლიურად რიცხავდნენ სამშობლოში თანხას.

2016 წელს საბერძნეთის მთავრობამ გასცა ოფიციალური ნებართვა საბერძნეთის საჯარო სკოლებში ქართული ენის შესწავლის პროგრამის ამოქმედებაზე, რომელიც 2017 წლიდან დაინერგა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ასევე ქართველი მიგრანტებისთვის ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემის დროული გადაჭრაც.

რუსეთის ფედერაციასთან პოლიტიკური დაძაბულობის პირობებში, გეოგრაფიული სიახლოვის, ენობრივი ბარიერის ფაქტობრივი არარსებობისა და მოსახლეობის ინტენსიური კავშირის გამო არ წყდება ასევე შრომით მიგრანტთა ნაკადები რუსეთის ფედერაციაში. აი, უკვე მესამე ათწლეულია, რუსეთი ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას საქართველოში. რუსეთიდან ქართველი მიგრანტების მიერ ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში, რადგან მრავალი ოჯახის საარსებო წყაროს წარმოადგენს, რაც ანგარიშგასაწევი ფაქტორია. ორ

ქვეყანას შორის დიპლომატიური კავშირის არ არსებობისა და რუსეთთან საკმაოდ მცირე ეკონომიკური ურთიერთობებისა, საქართველოს ეკონომიკა დიასპორის გავლით მაინც იმყოფება რუსეთის ეკონომიკასთან გარკვეული დამოკიდებულებით

შრომითი მიგრაციის დადებითი მხარე ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენის სტრატეგიაა, რაზედაც მეტყველებს ის ფულადი გზავნილები, რომელსაც შრომითი მიგრანტები თავიანთი ოჯახის წევრებს უგზავნიან, დადებით მხარესთან ერთად აქვს მრავალი უარყოფითი მხარე: მიგრაციის უარყოფითი სალდოს პირობებში იგი აუარესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას, ქვეყნის შრომის ბაზარს აკლდება მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა.

სავიზო რეჟიმის შემოღების შედეგია საქართველოდან შრომითი მიგრაციის ვექტორის დასავლეთისკენ მიმართვა რუსეთის ნაცვლად. მიუხედავად ამისა შრომით მიგრანტთა ყველაზე მეტი რაოდენობა კვლავ რუსეთის ტერიტორიაზე რჩება.

აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური დამოკიდებულება დღის წესრიგში კვლავ აყენებს რუსეთში საქართველოდან ლეგალური შრომითი მიგრაციის ხელშეწყობის საკითხებს, რაც ითვალისწინებს ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების დადებას შრომის სფეროში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, ასევე უაღრესად მაღალია შრომითი მიგრაციის მაჩვენებელი საქართველოშიც. ადგილობრივი შრომითი ბაზრის შევსება იმიგრანტებით ძირითადად ქართველი დამსაქმებელის მიერ კვალიფიციური მუშახელის მოთხოვნითაა განპირობებული. ქვეყანაში შრომითი მიგრაციის მზარდი მაჩვენებლის მიუხედავად საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ მწირია, რაც რიგ შემთხვევებში პრობლემებს ბადებს. კანონმდებელთა მკაცრი რეგულაციები იმიგრირებულ მუშახელთან დაკავშირებით დაწუნებულ და გაკრიტიკებულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რასაც კანონის კვლავ შემსუბუქება მოჰყვა. ამან კი ავტომატურად უფრო გაზარდა საქართველოში ბინადრობის მქონე უც-

ხოელთა რაოდენობა. დღესდღეობით ლიდერობს ჩინეთიდან და თურქეთიდან შემოსული შრომითი მიგრანტები და მათი უმეტესობა დედაქალაქსა და აჭარაშია დასაქმებული. კვლევის შედეგად რეკომენდირებულია: შრომით მიგრანტებთან მიმართებაში საკანონმდებლო ბაზის დახვეწა შრომის ბაზრის სტატისტიკის შესაბამისად და ინსტიტუციური და ადმინისტრაციული რესურსის გაძლიერება „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონის ეფექტიანი განხორციელებისთვის.

1997 წელს დეკლარირებული მიგრაციის სტრატეგიის პირველი დოკუმენტიდან დღემდე, საგრძნობლად გაუმჯობესებულია მიგრაციის სისტემის მართვა. განხორციელდა საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრება. დღესდღეისობით, საქართველო ინტეგრირებულია დანარჩენ მსოფლიოსთან და რეაგირებს მსოფლიოს გლობალურ ცვლილებებზე, რაც თავისთავად განსაზღვრავს ქვეყნის საემიგრაციო ტენდენციებს. 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია სახელმწიფო პოლიტიკის წარმმართველი საბაზისო დოკუმენტია, იგი სრულად ეხმიანება მომიჯნავე სფეროების პოლიტიკის განმსაზღვრელ სხვა დოკუმენტებს და ასევე, მიგრაციისა და განვითარების მიმართულებით გატარებულ სხვადასხვა სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების კოორდინირებასა და კონსოლიდირებას ახდენს.

გამოყენებული ლიტერატურა

მიგრაციის არსი, სახეები და ფაქტორები

1. Castles, Steven. The Age of Migration, Third Edition: International Population Movements in the Modern World. The Guilford Press, 2003. ISBN 1572309008
2. http://europepmc.org/backend/ptpmcrender.fcgi?accid=PMC49772&blobtype=pdf

3. Edwin Bryant, The Quest for the Origins of Vedic Culture: The Indo-Aryan Migration Debate (Oxford University Press, 2001, ISBN 0195137779).
4. https://www.history.com/topics/black-history/great-migration
5. https://www.encyclopedia.com/humanities/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/dark-ages-migration-period-early-middle-ages
6. Castles, Steven. The Age of Migration, Third Edition: International Population Movements in the Modern World. The Guilford Press, 2003. ISBN 1572309008
7. Patrick Manning, Migration in World History (Routledge, 2005, ISBN 0415311470).
8. http://www.newworldencyclopedia.org/entry/Human_migration#Types_of_migrations
9. https://www.globalcitizen.org/en/content/why-people-migrate-11-surprising-reasons/
10. https://www.sem.admin.ch/sem/en/home/internationales/weltweite-migration/migrationsgruende.html

თავშესაფრის მაძიებლების უფლებები

1. გაეროს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია 429 (V). გაეროს გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიის ოფიციალური ჩანაწერები, დამატება No20[A/1775], გვ.48
2. 1967 წლის ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (მუხლი5)
3. www.unhcr.org
4. http://www.mra.gov.ge
5. სტატუსის მქონე პირთა სტატისტიკა 31.12.2017 წ. მდგომარეობით http://mra.gov.ge/res/docs/2018030216100235786.pdf;
6. „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2.

7. სახელმღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად (გვ..23-24)
8. „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4
9. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №396 – ვებგვერდი, 31.12.2013წ
10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2704673?publication=1საქა რთველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის #15 დადგენილება
11. http://tbsakrebulo.gov.ge/uploads/dadgenileba/2-5.pdf
12. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ; საქართველოს მთავრობის დადგენილება №451; მუხლი 3
13. https://sda.gov.ge/?page_id=5123 სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ოფიციალური ვებ გვერდი
14. კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ, მუხლი 1
15. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-9 მუხლი).

ლტოლვილთა ნაკადები ევროპაში: ღია კარის პოლიტიკა

1. Пресс-релиз ООН / Режим доступа: http:// www.un.org/ru/ga/68/meetings/migration/pdf/ internationalmigrantsworldwide_totals2013. pdf [UN Press-Review. Mode of access: http:// www.un.org/ru/ga/68/meetings/migration/pdf/
2. Еремина Н.В. Иммигранты и борьба с ксенофобией в европейском обществе (на примере Соединенного Королевства)

// Вестник СПбГУ. – 2008. – Сер.6. – Вып.1. – С. 54. [Eremina N.V. Immigranty I borba s ksenofobiey b evropeyskom obschestve (na primere Soedinennogo Korolevstva)
3. https://news.rambler.ru/europe/40236668-10-stran-evropy-s-samym-bolshim-chislom-migrantov/
4. Абылкаликов С. И., Винник М. В. Экономические теории миграции: рабочая сила и рынок труда // Бизнес. Общество. Власть. – 2012. – №12. – С. 1. [Abylkalikov, S.I.; Vinnik, M.V. Ekonomicheskie teorii migratsii: rabochaya sila I rynok truda (Economic Theories of Migration: Labour Force and Labour Market) // Bizness. Obschestvo. Vlast, 2012, No.12, p. 1].
5. Everett, S. Lee. A Theory of Migration // Demography, Vol. 3, No.1, 1966, pp. 47-57.
6. Todaro, Michael P. A Model of Labor Migration and Urban Unemployment in Less Developed Countries // The American Economic Review, Vol. 59, No.1, 1969, pp. 138-148.
7. Agnew, John A. Hegemony: the New Shape of Global Power. Philadelphia: Temple University Press, 2005
8. БергерП., ЛукманТ. Социальное конструирование реальности. – М.: Медиум, 1995. [Berger, P.; Luckmann, T. Sotsialnoe konstruirovanie realnosti (Constructing Social Reality). Moscow: Medium, 1995]; Shweder, Richard A.; Sullivan, Maria A. Cultural Psychology: Who Needs It? // Annual Review of Psychology, 1993, Iss. 44, pp. 497- 523. Mode of access: http://dx.doi.org/10.1146/ annurev.ps.44.020193.002433
9. Huysmans, Jef. Politics of Insecurity. Fear, Migration and Asylum in the EU. London: Routledge, 2004.
10. Ibid. C. 72.
11. Eurostat: 5 Countries Received 70% of All Asylum Application Registered in the EU 2013. Mode of access:

http://www.asylumineurope. org/news/03-04-2014/eurostat-five-countriesreceived-70-all-asylum-applications-registeredeu-2013
12. Потемкина О.Ю. «Европейская повестка дня по миграции» – новый поворот в иммиграционной политике ЕС? // Современная Европа. – 2015. – №4. – С. 29[Potemkina, O.Yu. “Evropeyskaya povestka dnya po migratsii” – novyi povorot v immigratsionnoy politike ES? (European Migration Agenda – New Turn in EU Migration Policy) // Sovremennaya Evropa, 2015, No.4, p.29]
13. Наталья Валерьевна Еремина, ОТ ПОЛИТИКИ «ОТКРЫТЫХ ДВЕРЕЙ» ДО МИГРАЦИОННОГО КРИЗИСА: РЕФОРМИРОВАНИЕ МИГРАЦИОННОЙ ПОЛИТИКИ В КОММУНИТАРНОМ И НАЦИОНАЛЬНОМ ИЗМЕРЕНИЯХ НА ПРИМЕРЕ ВЕЛИКОБРИТАНИИ И ФРАНЦИИ, СРАВНИТЕЛЬНАЯ ПОЛИТИКА И ГЕОПОЛИТИКА, 2016 Т.7 №4, 44
14. Delauney, 2015; Kingsley, 2015; Park, 2015; Eurostat, 2016a, 2016b
15. Tsourdi & De Bruycker, 2015; Zavis, 2015
16. მერაბ ურუშაძე, გლობალიზაცია - გლობალური ტერორიზმის საფრთხე, გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი 2007 გვ. 109
17. UNHCR, 2015b; Eurostat, 2016a, 2016b; Lehne, 2016
18. Claudia Theresia Schmid, Germany’s “Open-Door” Policy in Light of the Recent Refugee Crisis An Interpretive Thematic Content Analysis of Possible Reasons and Underlying Motivations, Linköping University | Department of Management and Engineering Master’s thesis, 30 ECTS | MSSc International and European Relations Autumn 2016 | ISRN-number: LIU-IEI-FIL-A--16/02372— SE p.5
19. BAMF, 2016a; Bundesregierung, 2016e
20. DW, 2015; Bundesregierung, 2016e

21. BBC, 2015a; 2015c Barkin, 2016
22. Nardelli, 2015; Küstner, 2016; Wagstyl, 2016
23. Claudia Theresia Schmid, Germany's "Open-Door" Policy in Light of the Recent Refugee Crisis An Interpretive Thematic Content Analysis of Possible Reasons and Underlying Motivations, Linköping University | Department of Management and Engineering Master's thesis, 30 ECTS | MSSc International and European Relations Autumn 2016 | ISRN-number: LIU-IEI-FIL-A--16/02372— SE p.9
24. BAMF, 2016b; Bundesregierung, 2016e
25. Deutscher Bundestag, 2015d; Deutschlandfunk, 2015; FAZ, 2015
26. Focus Online 2015; Zeit Online; 2015
27. Pro Asyl. 2015; Riemer, 2015; Spiegel Online, 2015c
28. Pro Asyl. 2015; Riemer, 2015; Spiegel Online, 2015c; Tagesschau, 2015
29. Bundesregierung, 2016c; Deutscher Bundestag, 2016e; Tagesschau, 2016b
30. 2016; Reuters, 2016; von der Burchard, 2016
31. Deutscher Bundestag, 2015b; Bundesregierung, 2016g, Ständige Vertretung Rom, 2016
32. Bundesregierung, 2016g, Ständige Vertretung Rom, 2016
33. Deutscher Bundestag, 2015d; Deutschlandfunk, 2015; FAZ, 2015; Bundesregierung, 2016; 2016g
34. BBC, 2015a; BBC 2016b; BBC, 2016c; Hill, 2016
35. Deutscher Bundestag; 2015b; 2016b; Grammaticas, 2015; Hewitt, 2015a; Preston, 2015
36. Deutscher Bundestag, 2015b; Hewitt, 2015a; McGuiness, 2015b; Nienaber 2015; Nasr, 2016
37. Beitzer, 2015; Deutscher Bundestag, 2015b; McGuinness, 2015b; Nye, 2015

38. Claudia Theresia Schmid, Germany's "Open-Door" Policy in Light of the Recent Refugee Crisis An Interpretive Thematic Content Analysis of Possible Reasons and Underlying Motivations, Linköping University | Department of Management and Engineering Master's thesis, 30 ECTS | MSSc International and European Relations Autumn 2016 | ISRN-number: LIU-IEI-FIL-A--16/02372— SE p.68
39. Beitzer, 2015; Deutscher Bundestag, 2015b; Hewitt, 2015b; Nye, 2015; Severin & Copley, 2015; Copley, 2016b; Elitz, 2016
40. Claudia Theresia Schmid, Germany's "Open-Door" Policy in Light of the Recent Refugee Crisis An Interpretive Thematic Content Analysis of Possible Reasons and Underlying Motivations, Linköping University | Department of Management and Engineering Master's thesis, 30 ECTS | MSSc International and European Relations Autumn 2016 | ISRN-number: LIU-IEI-FIL-A--16/02372— SE p.46
41. Deutscher Bundestag, 2015d; 2016a; Martin & Barkin, 2015, Adler, 2016

დონალდ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა

1. Donald Trump Imigration Speech; The New York Times https://www.nytimes.com/2016/09/02/us/politics/transcript-trump-immigration-speech.html
2. Donald Trump's epic statement on Mexico". Business Insider. Retrieved July 27, 2016. https://www.businessinsider.com/donald-trumps-epic-statement-on-mexico-2015-7
3. Green, David (May 1, 2016). "The Trump Hypothesis: Testing Immigrant Populations as a Determinant of Violent and Drug-Related Crime in the United States". Social Science Quarterly. 97 (3): n/a–n/a. doi:10.1111/ssqu.12300. ISSN 1540-6237 https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/ssqu.12300

4. Corasaniti, Nick (August 31, 2016). "A Look at Trump's Immigration Plan, Then and Now". The New York Times. ISSN 0362-4331. Retrieved September 1, 2016. https://www.nytimes.com/interactive/2016/08/31/us/politics/donald-trump-immigration-changes.html
5. "Fact Sheet: The Secure Fence Act of 2006". The White House. Retrieved 2010-11-01. https://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2006/10/20061026-1.html
6. 6 Kate Drew, "This is what Trump's border wall could cost US: A roughly 2,000-mile fence on the Mexican border would cost tens of billions", CNBC (October 9, 2015). https://www.cnbc.com/2015/10/09/this-is-what-trumps-border-wall-could-cost-us.html
7. Stephen Loiaconi, "Experts: Trump's border wall could be costly, ineffective", Sinclair Broadcast Group (August 18, 2015). https://wjla.com/news/nation-world/trumps-border-wall-could-be-costly-ineffective-experts-say
8. Donald Trump says parts of border wall could be fence instead". November 14, 2016. https://www.abc.net.au/news/2016-11-14/donald-trump-says-parts-of-border-wall-fence/8022188
9. Ainsley, Julia Edwards (February 9, 2017). "Trump border 'wall' to cost $21.6 billion, take 3.5 years to build: Homeland Security internal report". Reuters. https://www.reuters.com/article/us-usa-trump-immigration-wall-exclusive/exclusive-trump-border-wall-to-cost-21-6-billion-take-3-5-years-to-build-internal-report-idUSKBN15O2ZN
10. Trump urged Mexican president to end his public defiance on border wall, transcript reveals". Washington Post. Retrieved August 3, 2017. https://www.washingtonpost.com/world/national-security/you-cannot-say-that-to-the-press-trump-urged-mexican-president-to-end-his-public-defiance-on-border-wall-transcript-reveals/2017/08/

03/0c2c0a4e-7610-11e7-8f39eeb7d3a2d304_story.html?noredirect=on&utm_term=.cac7a94abf3
11. "Determination Pursuant to Section 102 of the Illegal Immigration Reform and Immigrant Responsibility Act of 1996, as Amended". Federal Register. September 12, 2017. Retrieved September 13, 2017. https://www.federalregister.gov/documents/2017/09/12/2017-19234/determination-pursuant-to-section-102-of-the-illegal-immigration-reform-and-immigrant-responsibility
12. Hand, Mark (September 12, 2017). "Homeland Security waives environmental review for California border project". Think Progress. Retrieved September 13, 2017. https://thinkprogress.org/border-barrier-waivers-f27e30362472/
13. Judge criticized by Trump will hear case on border wall". https://edition.cnn.com/2018/02/06/politics/gonzalo-curiel-donald-trump-border-wall/index.html
14. The judge Trump disparaged as 'Mexican' will preside over an important border wall case". https://www.washingtonpost.com/news/politics/wp/2018/02/05/the-judge-trump-disparaged-as-mexican-will-preside-over-an-important-border-wall-case/?utm_term=.ec7cafa6bb40
15. Kopan, Tal (February 28, 2018). "Judge Curiel, once attacked by Trump, rules border wall can proceed". CNN. Retrieved February 28, 2018. https://edition.cnn.com/2018/02/27/politics/border-wall-ruling-curiel/index.html
16. Wang, Amy B. "Trump asked for a 'Muslim ban', Giuliani says — and ordered a commission to do it 'legally'". The Washington Post. Retrieved January 30, 2017. https://www.washingtonpost.com/news/the-fix/wp/2017/01/29/trump-asked-for-a-muslim-ban-giuliani-says-and-ordered-a-commission-to-do-it-legally/?utm_term=.d4a53ccb1ac3

17. "The Religious Affiliation of U.S. Immigrants: Muslim Immigrants". Pew Research Center. May 17, 2013. http://www.pewforum.org/2013/05/17/the-religious-affiliation-of-us-immigrants/#muslim
18. "Donald Trump explains how his ban on Muslims entering the U.S. would work". The Washington Post. Retrieved July 31, 2016. https://www.washingtonpost.com/
19. Similar to Presidential Proclamations 2525, 2526, and 2527: "Donald Trump Speaks Out on Plan to Ban Muslims". Good Morning America. "Donald Trump Cites These FDR Policies to Defend Muslim Ban". ABC News. I mean, take a look at what FDR did many years ago and he's one of the most highly respected presidents. I mean respected by most people. They named highways after him. https://abcnews.go.com/GMA/video/donald-trump-speaks-plan-ban-muslims-35640498
20. Ben Kamisar (July 12, 2015). "Trump calls for 'shutdown' of Muslims entering US". The Hill. https://thehill.com/blogs/ballot-box/presidential-races/262348-trump-calls-for-shutdown-of-muslims-entering-us
21. Tim Hume & Eric Bradner, "Donald Trump: London mayor made 'very rude statements' about me", CNN (May 16, 2016). https://edition.cnn.com/2016/05/16/politics/donald-trump-cameron-khan/
22. Preston, Julia (June 18, 2016). "Many What-If's in Donald Trump's Plan for Migrants". The New York Times. ISSN 0362-4331. Retrieved June 18, 2016. https://www.nytimes.com/2016/06/19/us/politics/donald-trump-immigration.html
23. "Meet the Press". July 24, 2016. Retrieved July 25, 2016. https://www.nbcnews.com/meet-the-press/meet-press-july-24-2016-n615706
24. Kelley Beaucar Vlahos, "Messy legal process could challenge Trump's mass deportation plan", Fox News (November 27, 2015).

https://www.foxnews.com/politics/messy-legal-process-could-challenge-trumps-mass-deportation-plan
25. Kate Linthicum, "The dark, complex history of Trump's model for his mass deportation plan", Los Angeles Times (November 13, 2015). https://www.latimes.com/nation/la-na-trump-deportation-20151113-story.html
26. Luciana Lopez (May 5, 2016). "Trump's deportation plan could slice 2 percent off U.S. GDP: study". Reuters. https://www.reuters.com/article/us-usa-election-trump-deportations-idUSKCN0XW0TP
27. Beth Reinhard (June 29, 2016). "Donald Trump Adjusts Some of His Positions". The Wall Street Journal. https://www.wsj.com/articles/donald-trump-adjusts-some-of-his-positions-1467244915
28. "Donald Trump Pivots Back to Hard-Line Immigration Stance". Time. August 31, 2016. Retrieved September 1, 2016. http://time.com/4475417/donald-trump-immigration-policy-mexico-deportation/
29. Campaign 2015: The Candidates & the World: Donald Trump on Immigration". Council on Foreign Relations. Retrieved May 15, 2016. www.cfr.org The next commander in chief; Trump on the issues – immigration
30. "Trump Moves to End DACA and Calls on Congress to Act". https://www.nytimes.com/2017/09/05/us/politics/trump-daca-dreamers-immigration.html
31. "Amid call to reunite separated families, a plea to fix TPS for Haitians and others". miamiherald. Retrieved 2018-06-25. https://www.miamiherald.com/latest-news/article213628819.html
32. Jordan, Miriam (2017-11-21). "Trump Administration Ends Temporary Protection for Haitians". The New York Times. ISSN

0362-4331. https://www.nytimes.com/2017/11/20/us/haitians-temporary-status.html
33. Yuhas, Alan (January 12, 2018). "Donald Trump denies using the phrase 'shithole countries' in immigration talks". The Guardian. www.theguardian.com/us-news/2018/jan/12/donald-trump-shithole-countries-tweet-denies-immigration-talks
34. "Immigrants Challenge End Of Their Temporary Protective Status". SFGate. Retrieved 2018-06-25. https://www.sfgate.com/news/bayarea/article/Immigrants-Challenge-End-Of-Their-Temporary-13019345.php
35. Hennessy-Fiske, Molly (February 20, 2018). "U.S. is separating immigrant parents and children to discourage others, activists say". Los Angeles Times. Retrieved June 19, 2018. https://www.latimes.com/nation/la-na-immigrant-family-separations-2018-story.html
36. "Attorney General Sessions Delivers Remarks Discussing the Immigration Enforcement Actions of the Trump Administration". www.justice.gov. May 7, 2018. Retrieved June 15, 2018. If you are smuggling a child, then we will prosecute you and that child will be separated from you as required by law. https://www.justice.gov/opa/speech/attorney-general-sessions-delivers-remarks-discussing-immigration-enforcement-actions
37. Horwitz, Sari; Sacchetti, Maria (May 7, 2018). "Sessions vows to prosecute all illegal border crossers and separate children from their parent Bump, Philip (June 7, 2018). "Analysis | Trump's 'deterrent' of separating kids from their parents isn't deterring many migrants". Washington Post. ISSN 0190-8286. Retrieved June 15, 2018.s". Washington Post. ISSN 0190-8286. Retrieved June 15, 2018. https://www.washingtonpost.com/
38. Bump, Philip (June 7, 2018). "Analysis | Trump's 'deterrent' of separating kids from their parents isn't deterring many migrants".

Washington Post. ISSN 0190-8286. Retrieved June 15, 2018. https://www.washingtonpost.com/
39. "AAP Statement Opposing Separation of Children and Parents at the Border". www.aap.org. May 8, 2018. Retrieved June 15, 2018. https://www.aap.org/en-us/about-the-aap/aap-press-room/Pages/StatementOpposingSeparationofChildrenandParents.aspx
40. Miller, Leila. "After Deadline to Reunite Them, Hundreds of Children Remain Separated". PBS FRONTLINE. Retrieved September 9, 2018. https://www.pbs.org/wgbh/frontline/article/after-deadline-to-reunite-them-hundreds-of-children-remain-separated/
41. "The Trump administration's legacy of orphans". The Washington Post. 26 August 2018. Retrieved 8 September 2018.
42. https://twitter.com/realDonaldTrump/status/1010900865602019329
43. Rogers and Stolberg, Katie and Sheryl (24 June 2018). "Trump Calls for Depriving Immigrants Who Illegally Cross Border of Due Process Rights". The New York Times. Retrieved 25 June 2018. https://www.nytimes.com/2018/06/24/us/politics/trump-immigration-judges-due-process.html
44. Rizzo, Salvador (26 June 2018). "President Trump's misconceptions about immigration courts and law". The Washington Post. Retrieved 26 June 2018.
45. Jeremy Diamond. "Trump's latest executive order: Banning people from 7 countries and more". CNN. https://edition.cnn.com/2017/01/27/politics/donald-trump-refugees-executive-order/index.html
46. D. Shear, Michael; Cooper, Helene (January 27, 2017). "Trump Bars Refugees and Citizens of 7 Muslim Countries". The New York Times. Retrieved January 28, 2017. https://edition.cnn.com/2017/01/27/politics/donald-trump-refugees-executive-order/index.html

47. Enhancing Public Safety in the Interior of the United States". Federal Register. January 25, 2017. Retrieved February 9, 2017 https://www.federalregister.gov/documents/2017/01/30/2017-02102/enhancing-public-safety-in-the-interior-of-the-united-states
48. "Federal agents conduct sweeping immigration enforcement raids in at least 6 states". Washington Post. Retrieved February 10, 2017.
49. Raice, Shayndi (February 10, 2017). "Fed Officials Cite Economic Benefits of Immigration Amid Political Debate". Wall Street Journal. ISSN 0099-9660. Retrieved February 10, 2017.
50. "Why Trump's executive order on sanctuary cities is unconstitutional". The Washington Post. January 26, 2017. Retrieved January 27, 2017.
51. Diamond, Jeremy; McKirdy, Euan (November 21, 2017). "Judge issues blow against Trump's sanctuary city order". CNN. Archived from the original on November 22, 2017. Retrieved November 24, 2017. https://edition.cnn.com/2017/11/21/politics/trump-sanctuary-cities-executive-order-blocked/index.html
52. "Policy Memorandum (PM-602-0162)" (PDF). UCSIS. 11 July 2018. Retrieved 22 July 2018.https://www.uscis.gov/sites/default/files/USCIS/Laws/Memoranda/2018/2018-06-18-PM-602-0162-USCIS-Memorandum-Matter-of-A-B.pdf
53. https://www.aljazeera.com/news/2017/09/slashes-number-refugees-ready-resettle-170928033816715.html

საქართველოს მიგრაციის სტრატეგია

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; https://matsne.gov.ge/
2. საქართველოს მთავრობის N 59 დადგენილება, „მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცებისთაობაზე“; https://matsne.gov.ge/ka/document/view/2704428?publication=0

3. საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია;
4. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება; http://www.osgf.ge/files/2015/Publication/Report.pdf
5. საქართველოს მიგრაციის პროფილი 2015;
6. საქართველოს 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგია;

შრომითი მიგრაცია საქართველოდან რუსეთში - რისკები და გამოწვევები

1. მიგრაციის სახელმძღვანელო, ნაწ. V, მიგრაციის ისტორია, თბ., 2017.
2. საქ. 2017 წ. მიგრაციის პროფილი, თბ. 2017.
3. ემიგრაციისა და სოფელ-ქალაქს შორის მიგრაციის სოციალურ გავლენა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, საქ. 2012.
4. გაზეთი ,,კომერსანტი", 2018 წ. 07/17.
5. მიგრაციის საკითხთა კომისია 2015.
6. საქსტატი - სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2017.
7. ჭილაძე ნ., საქართველო რუსეთი, 2018.
8. fobes, 16 მარტი, 2018
9. საქსტატი - - სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018.
10. საერთაშორისო ფულადი გზავნილების როლი საქ. ეკონომიკაში,
11. კომახია მ., ეთნიკური უმრავლესობის კვლევების სერია, 2011. N2.
12. საქართველოს მიგრაციის კომისია, 2017წ. გვ. 18
13. www.mra.gow.ge
14. https://sputnik-georgia.com/georgia/20180530/240666765/saqar-TveloSi-dabrunebul-migrantebs-grantigadaecaT.html

საბერძნეთი

1. მიგრაციის კვლევის ცენტრი თბ., 2005.

2. საქ.დიასპორა და გაერთიანებები გერმანიაში, საბერძნეთსა და თურქეთში, თბ., 2014.
3. პონტოელი ბერძნები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა, ბათუმი, 2017.
4. ლობჟანიძე მ., ახალგაზრდა ქალთა მიგრაცია და მისი გამომწვევი ფაქტორი საქ. გვ.11
5. ფირცხალავა ე., ქართველი მიგრანტების სოციალური ქსელები ჩრდ. პორტუგალიაში, 2017.
6. ზურაბიშვილი თ., ,,შრომითი მიგრაცია დაბა თიანეთიდან ემიგრაციული ქსელების განვითარება". თბ., 2007.
7. თიანეთიდან ემიგრაციული ქსელების განვითარება".
8. დიაკონიძე ა., მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, ქართული სამუშაო ძალის ევროკავშირის ქვეყნებში, ცირკულარული მიგრაციის კვლევა, 2018.
9. 2014, ბიულეტინი №2, გვ.6
10. http://migration.commission.ge/files/full_version_web_ge.pdf გვ.84
11. არაოფიციალური ქსელების გავლენა და მნიშვნელობა არალეგალურ მიგრაციული ნაკადების მიმართ, თბ. 2017. გვ.19
12. https://www.radiotavisupleba.ge/a/saberdzneti-saqartvelos-moqalaqeebis-nacils-binadrobis-uflebas-stavazobs/28453009.html
13. საბერძნეთში ლეგალური მიგრაცია, ათენი, 2018, გვ.12

შრომითი მიგრაცია საქართველოში

1. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. http://www.iom.int/cms/en/sites/iom/home/what-we-do/labour-migration.html
2. Minimum Age Convention, 1973 (No. 138)
3. Worst Forms of Child Labour Convention, 1999 (No. 182) Trade Union Rights
4. Freedom of Association and Protection of the Right to Organize Convention, 1948 (No. 87

5. Right to Organize and Collective Bargaining Convention, 1949 (No. 98) Equality and Non-discrimination in Employment and Occupation
6. http://migration.commission.ge/files/study_on_labour_migration_2014.pdf
7. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732?publication=3
8. სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/
9. საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია
10. საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ 3418-IIს 01/04/2015
11. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-54/ნ 04.11.2015 წ.
12. საჯარო ინფორმაცია იმიგრაციის შესახებ; განახლებული ანგარიში 2018
13. Kardava E., Legal Aspects of Labour Migration Governance in Georgia, international legal framework, A reply to Prof. G. Gabrichidze, European University Institute, CARIM-East Analitical and Synthetic Notes 2012/10, Italy, p.4-5, http://cadmus. eui.eu/handle/1814/24886 http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-AS2012-10.pdf
14. Agreement between the European Union and Georgia on the readmission of persons residing without authorisation, Official Journal of the European Union L 52, Volume 54, 25 February, 2011, http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ TXT/?uri=OJ:L:2011:052:TOC
15. http://forbes.flash.ge/news/591/migraciis-kanoni-qveyanas-dzviridaujdeba

გიორგი ჩხიკვიშვილი
პაპუნა მაჩაიძე
დავით მაისურაძე
ბექა ნამორაძე

გლობალური პოლიტიკური ტრანსფორმაციები დასავლეთში და საქართველო

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია დასავლურ პოლიტიკაში მიმდინარე გლობალური ცვლილებებით, რომლებიც ასახვას პოულობენ ქართულ პოლიტიკურ სივრცეზეც. ლიბერალიზმის ტალღა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ფორმირების პროცესში, თანამედროვე ეტაპზე უდიდესი გამოწვევების წინაშე დადგა, რომლებთან გამკლავებაც მნიშვნელოვნად საზღვრავს მის სამომავლო არსებობას. „ბრექსტისა“ და დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებით წახალისებული ნაციონალისტურ-კონსერვატორული განწყობა „დომინოს პრინციპით“ გავრცელდა მთელს ევროატლანტიკურ სივრცეში და ნიადაგი მოუმზადა პოპულისტური და ანტიისლამისტური ხასიათის ძალების ძალაუფლებაში მოსვლას, ისეთების, როგორებიცაა: ნაციონალ-კონსერვატიული პარტია „შვედეთის დემოკრატები“, რომელიც აღმოცენდა შვედეთის ფაშისტური მოძრაობიდან და სიდიდით მესამე პარტიაა შვედეთის საკანონმდებლო ორგანოში; ულტრანაციონალისტური პარტია „ოქროს აისი“, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა საბერძნეთის საპარალამენტო არჩევნებში; რადიკალი მემარჯვენე პოპულისტური პარტია „ჭეშმარიტი ფინელები“, რომელიც შეუერთდა ფინურ სამთავრობო კოალიციას; დანიის „სახალხო პარტია“, რომელიც სიდიდით მეორეა დანიაში; იტალიის ნეოფაშისტური პარტია „ჩრდილოეთის ლიგა“, რომელიც იტალიის საზოგადოების მხარდაჭერით (13 პროცენტით) მეოთხეა გამოკითხვების მიხედვით და საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტი“, რომლის ლიდერმა მარენ ლე პენმა, მართალია, წააგო 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ პოპულარობის ზრდის დინამიკის გათვალისწინებით, ძალზე რეალურია, რომ ხუთი წლის შემდეგ ის მოგვევლინოს საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე; „ალტერნატივა გერმანიისათვის“, რომელიც მესამე ძალად შევიდა გერმანიის პარლამენტში და ა. შ.

დასავლეთის ძალთა ეს ახალი პოლიტიკური კონფიგურაცია და ულტრანაციონალისტური თუ ულტრამემარცხენე პროგრამის მქონე პოლიტიკოსების მომძლავრება აუცილებლად პოვებს ასხვას ქართულ პოლიტიკაზე და, შესაძლოა საქართველოს ევროპულ პერსპექტივაზე, რადგანაც, სამწუხაროდ, ევროპული ულტრამემარჯვენე პარტიები ღიად გამოხატავენ რუსეთის პრეზიდენტის მიმართ სიმპათიებს. რადიკალური პოლიტიკური ჯგუფების მომძლავრებასთან დაკავშირებული საფრთხეების პრევენციისათვის საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანია აშშ-სა და ევროპულ დედაქალაქებში მიმდინარე პროცესების მაჯისცემაზე ხელი გვედოს და შევძლოთ ამ პროცესების პოლიტიკური ანალიზი, რაც, თავის მხრივ, დაგვეხმარება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სწორად გააზრებაში, საკვანძო პრობლემების გამოკვეთასა და კვლევაში.

ლიბერალური ინსტიტუტების კრიზისი XXI საუკუნის დასაწყისში

გაეროს თანამედროვე გამოწვევები. დღესდღეობით საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ერთადერთი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ამოცანა მსოფლიოში მშვიდობის დაცვაა, არის გაერო. თავის დროზე იგივე ფუნქცია ჰქონდა ერთა ლიგას, რომელმაც 1919 წლიდან 1939 წლამდე იარსება. „ერთა ლიგის“ არსებული ორგანიზაცია პოლიტიკური და ორგანიზაციული მანკიერების გამო უძლური აღმოჩნდა თავიდან აეცილებინა კაცობრიობისთვის მე-2 მსოფლიო ომი. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ერთა ლიგამ საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა და მის ნაცვლად შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომლის შექმნის საფუძველი გახდა ჰიტლერული გერმანიისა და მისი ბლოკის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა გაერთიანება მძლავრ კოალიციად. 1942 წლის 1 იანვარს მათ ხელი მოაწერეს „გაერთიანებული ერების დეკლარაციას“, რომლიდანაც შემდგომ წარმოსდგა ორგანიზაციის სახელწოდება. 1945 წლის 25 აპრილს სანფრანცისკოში თავი მოიყარეს 50 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, 25 ივნისს ერთხმად მიღებული იყო გაეროს ქარტიის ერთობლივად შემუშავებული 111 მუხლი, წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოში როგორც გაერთიანებული ერების დღე.

დღეს საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა შორის ყველაზე უნივერსალური ორგანიზაციად გაერო მიიჩნევა. ამჟამად ის ითვლის 193 წევრსა და 2 დამკვირვებელ სახელმწიფოს. მისი სტრუქტურა შედგება 6 მთავარი ორგანოსაგან. გარდა ამისა, არსებობს 18 ავტონომიური სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც გაეროსთან დაკავშირებულია ცალკე შეთანხმებებით.

გაეროს აქვს მნიშვნელოვანი როლი მსოფლიოს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში, მაგრამ გაეროს გადაწყვეტილების მიღების სტუქტურაში არსებული პრობლემები ხელს უშლის საერთაშორისო პრობლემების მოგვარებას და საფრთხეს უქმნის მსოფლიო

მშვიდობასა და უშიშროებას. კერძოდ, ხშირ შემთხვევებში ვეტოს უფლების მქონე ხუთი „უფროსი“ ერთმანეთში ვერ რიგდება. ძირითადი მეტოქეები აშშ და რუსეთი ხშირად ბლოკავენ თავიანთვის არასასურველ რეზოლუციებს. მაგ., აშშ დღემდე ადებს ვეტოს უშიშროების საბჭოში წარდგენილ ისრაელის მიმართ კრიტიკულ რეზოლუციებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, რუსეთი უჭერს მხარს. ბოლო ათწლეულებში პირველი შემთხვევა, როდესაც აშშ-მ არ დაადო ვეტო ისრაელის მიმართ კრიტიკულ რეზოლუციას, დაფიქსირდა 2016 წლის 23 დეკემბერს, როდესაც უშიშროების საბჭომ 14 ხმით 0-ის წინააღმდეგ (აშშ-მ თავი შეიკავა) მოსთხოვა ისრაელს დაუყოვნებლივ შეეწყვიტა ყველანაირი საახალშენო საქმიანობა ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, აღმოსავლეთ იერუსალიმის ჩათვლით, თუმცაღა ისრაელის მთავრობამ მაშინვე გამოაცხადა, რომ არ აპირებს დაემორჩილოს გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას. რუსეთიც, თავის მხრივ, (ხანდახან ჩინეთთან ერთად) ხშირად ბლოკავს უშიშროების საბჭოს დანარჩენი წევრების რეზოლუციებს, რომლებიც ეხება, მაგალითად, სირიის საკითხის მოგვარებას ან მისივე აგრესიულ ქმედებას. იმისათვის რომ გაერომ არ გაიზიაროს ერთა ლიგის ბედი, მან უნდა გადაჭრას რიგი მნიშვნელოვანი პრობლემებისა. გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე ნატოს მიერ კოსოვოში განხორციელებულმა სამხედრო ინტერვენციამ და აშშ-ს ლიდერობით ერაყზე განხორციელებულმა სამხედრო ინტერვენციამ ამ ორგანიზაციის არსებობა კითხვის ქვეშ დააყენა და მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტების მიმართ გაეროს პოზიცია და არაეფექტური ქმედებები საერთაშორისო არენაზე კრიტიკის ობიექტად გადაიქცა. კოფი ანანმა არჩევისთანავე რეფორმირების პროგრამა წამოიწყო, მასში გენერალური ასამბლეაც ჩართო და აქტიურად დაიწყო საუბარი გაეროს რეფორმირების შესახებ შემდეგი საკითხების ირგვლივ:

1. **უნივერსალურობის პრობლემა.** პირველ რიგში, საჭიროა ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სიდიდისა და გავლენის მქონე ქვეყნის დარწმუნება, რათა შეუერთდნენ დიდ საერთაშორისო ორგანიზაციებს და დარჩნენ მის ნაწილად. წინააღმდეგ შემთხ-

ვევაში, ადრე თუ გვიან, კრისიზულ სიტუაციაში გამომჟღავნდება ასეთი ორგანიზაციის არააედკვატურობა და იგი დაიშლება. ამის დამადასტურებლად ერთა ლიგის მაგალითიც კმარა. დღეს გაერო უნივერსალური ორგანიზაციაა 193 წევრი ქვეყნით, იმ ჯუჯა სახელმწიფოების ჩათვლით, რომლებიც რუკაზე წერტილებად ჩანან.

2. უთანასწორობის პრობლემა. ძლიერი სახელმწიფოები მოითხოვენ, რომ მათი უპირატესობა გამოჩნდეს სპეციალურ პროცედურულ საკითხებში, როგორიცაა ვეტოს უფლება, რომლითაც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები სარგებლობენ. პატარა სახელმწიფოები კი დიდ სახელმწიფოებთან თანასწორობას მოითხოვენ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

რეგიონული ჯგუფები	**წევრი სახელმწიფოების რიცხვი**	**მთელი წევრებს შორის პროცენტული თანაფარდობა**	**უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრების რაოდენობა**	**უშიშროების საბჭოში არამუდმივი წევრების რაოდენობა**
აფრიკა	54	28%	0	3
აზია-წყნარი ოკეანე	53	27,5%	1	2
აღმოსავლეთ ევროპა	23	12%	1	1
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვა	33	17%	0	2
დასავლეთ ევროპა და სხვა	29	15%	3	2
მეთვალყურე	1	0,5%	0	0
გაეროს მთელი წევრები	193	100%	5	10

ცხრილიდან ჩანს, რომ წევრ სახელმწიფოების რიცხვისა და განკუთვნილი პროცენტული თანაფარდობის თვალსაზრისით ყველაზე მაღალი რიცხვი ეკუთვნის აფრიკას. მაგრამ აფრიკას უშიშ-

როების საბჭოს მუდმივი წევრებს შორის არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყავს. წევრ სახელმწიფოების რაოდენობისა და პროცენტული თანაფართობის თვალსაზრისით მეორე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ეკუთვნის დასავლეთ ევროპას, როდესაც დასვლეთ ევროპის ჯგუფს 3 წარმომადგენელი ჰყავს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებს შორის, ხოლო 2 წარმომადგენელი _ არამუდმივ წევრებს შორის. გაეროს წევრი სახელმწიფოების ნახევაზე მეტს (55%) აფრიკისა და აზია-წყნარი ოკეანის ჯგუფი შეადგენს, მაგრამ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებში მხოლოდ ერთი წევრი სახელმწიფოა (ჩინეთი) და ხუთი არამუდმივი წევრი, რაც უშიშროების საბჭოს უსამართლო ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს.

ვინაიდან წევრ სახელმწიფოთა შეფარდებითი ძალა დროთა განმავლობაში იცვლება, ალბათ უპრიანი იქნება ზოგიერთ ქვეყანას, რომელსაც ადრე დიდი ძალა ჰქონდა, ჩამოერთვას უწინდელი უფლებები, რათა ადგილი გათავისუფლდეს აღმავლობის ფაზაში მყოფი სახელმწიფოებისათვის. ვერც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ შეინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, თუკი გადაჭრის უთანასწორობის პრობლემას და ამავე დროს არ იქნება იმდენად მოქნილი, რომ შეიცვალოს მდგომარეობის ცვლილებასთან ერთად.

3. ერთიანობის პრობლემა. გაერომ ერთიანობის პიკს 1990-1991 წლებში მიაღწია, როდესაც მას მსოფლიოს სახელმწიფოთა უმეტესობა გაერთიანდა ერაყის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, როგორც კი რეალური საფრთხე ქრება, ალიანსიც სუსტდება. რომ არა ისრაელის წინააღმდეგ გაერთიანების აუცილებლობა, არაბული ლიგის ქვეყნები სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩაერთვებოდნენ ერთმანეთთან, ისევე როგორც, რომ არა კომუნისტური ექსპანსიის საფრთხე, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია არასოდეს დაარსდებოდა.

4. სუვერენიტეტის პრობლემა. როგორც მეცხრამეტე საუკუნის

ამერიკელმა პოლიტიკოსმა ჯონ კალჰუნმა ერთხელ აღნიშნა, ქვეყანა ისევე არ შეიძლება ნაწილობრივ სუვერენული იყოს, როგორც ქალი ნაწილობრივ ფეხმძიმე. ეფექტიანი მსოფლიო მთავრობის შექმნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ არსებული მთავრობები დათანხმდებიან დათმონ სუვერენიტეტი უფრო ზემდგომი ხელისუფლების სასარგებლოდ, ამ პერსპექტივას კი სახელმწიფოთა უმეტესობა ძალზე სარისკოდ მიიჩნევს. თუკი დისკუსიებმა გაეროს ინსტიტუტის რეფორმირების თაობაზე შედეგი არ გამოიღო და თუკი მომავალში ვერ მოხერხდა გაეროს უშიშროების უზრუნველმყოფი მექანიზმების შემუშავება, დაუსჯელობისა და ანარქიის ატმოსფეროში მსოფლიო მიადგება მიჯნას, საიდანაც დაიწყება ისეთი განუჭვრეტელი პროცესები, რომლებსაც შეუძლიათ კაცობრიობა კატასტროფამდე მიიყვანონ[351]. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მომზადების პერიოდში იყო „საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის“ უფრო ქმედითი მექანიზმის შემუშავების მცდელობები, რომლის თანახმადაც სამხედრო ჩარევა, რომლის დროსაც მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად სამხედრო ძალები იყო გამოყენებული, განხორციელდა სულ მცირე ოც ქვეყანაში _ ავღანეთში, ალბანეთში, ბოსნიაში, ბურუნდიში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ხორვატიაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აღმოსავლეთ ტიმორში, ჰაიტიზე, ერაყში, კოტ-დ'იუვარში, კოსოვოში, ლიბერიაში, მაკედონიაში, რუანდაში, სიერალეონეში, სომალიში, სუდანსა და ტაჯიკეთში, თანაც, ზოგიერთ ამ ქვეყანაში – მრავალჯერ. გარდა ამისა, სამშვიდობო პროცესების მხარდასაჭერად ჯარები ან დამკვირვებლები კიდევ გამოიყენეს თექვსმეტ ქვეყანაში – კამბოჯაში, ჩადში, კომორის კუნძულებზე, სალვადორში, ერითრეაში, ეთიოპიაში, გვატემალაში, გვინეაბისაუში, ქუვეითში, ლიბიაში, მოლდოვაში, მოზამბიკეში, პაპუა ახალ გვინეაში, პერუში, სოლომონის კუნძულებსა და დასავლეთ საჰარაში. მართა-

[351] თ. მაგშტადტი. გავიგოთ პოლიტიკა, თბ., 2001.

ლია, ეს უკანასკნელი მისიები უშუალოდ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით სანქცირებული არ ყოფილა, მაგრამ მათი მამოძრავებელი ძალა, მნიშვნელოვანწილად, მშვიდობიანი მოსახლეობის ძალადობის ხელახალი გამოვლინებისგან დაცვაა. ზოგიერთ შემთხვევაში, ალბანეთში, მაგალითად როგორიცაა, სუდანში მიმდინარე ხანგრძლივი სამქალაქო ომი ჩრილოეთსა და სამხრეთს შორის, საერთაშორისო საზოგადოებამ სანქციები სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიყენა ან ფარულად დაეხმარა მეამბოხეებს ძალადობის შეჩერების მიზნით.

ამასთან დაკავშირებით, გარკვეული კითხვებიც ჩნდება: ნათელია, რომ დღეს შეუძლებელია „ჰუმანიტარული მიზეზებით“ ჩარევის პრინციპის უნივერსალური გამოყენების უზრუნველყოფა. პირველ რიგში, ვერავინ გარისკავს ბირთვული სახელმწიფოს საქმეებში ჩარევას, თუნდაც რომ უტყუარად იყოს დადასტურებული „ჰუმანიტარული კატასტროფის“ არსებობა. ადამიანთა უფლებების დარღვევა იმდენად მრავალ სახელმწიფოში შეიძლება იყოს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობასა და უძლიერეს ქვეყნებს ფიზიკურად არ შეეძლოთ ჩარევა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში. უნივერსალურობის არარსებობის პირობებში კი, ბუნებრივია, წამოიჭრება კითზვა: რატომ ერევიან ერთი სახელმწიფოს საქმეებში, მეორისაში კი – არა?

იმავდროულად ამ პროცესების პარალელურად იწყებს განვითარებას ახალი ტენდენცია – დასავლეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების გადაწყვეტილება უშიშროების საბჭოს სანქცირების გარეშე. რაც, უპირველესად, გამოწვეულია რუსეთისა და ჩინეთის არათანმიმდევრული პოზიციით. ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ს დარტყმები ერაყზე „ყურის ომის“ შემდეგ და 1999 წ. კოსოვოს ოპერაცია. რუსეთმა და ჩინეთმა მიიჩნიეს, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში კრიზისი იუგოსლავიის საშინაო საქმეს წარმოადგენდა, ამიტომაც ვერ იქნა მიღებული უსაფრთხოების საბჭოში სამხედრო ოპერაციის მხარდამჭერი რეზოლუცია. ნატო-ს

საბჭოს განცხადებით, კოსვოში სახეზე იყო „ჰუმანიტარული კატასტროფის“ ყველა ნიშანი, ამიტომ ნატომ, ფაქტობრივად, გაერო-ს როლი იკისრა: 1999 წ. „ნატო-ს სტრატეგიულ კონცეფციაში“ შესაძლებელ ამოცანათა შორის პირველად დასახელდა“ ოპერაციების ჩატარება კრიზისული სიტუაციების მოსაწესრიგებლად, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ვაშინგტონის შეთანხმების მე-5 პუნქტით (ანუ, არ არიან დაკავშირებულნი გარე აგრესიისგან კოლექტიურ თავდაცვასთან) და იმავე წელს პრაქტიკულად განახორციელა კიდეც საჰაერო დარტყმები იუგოსლავიაზე.

ექსპერტთა აზრით, თუ აქციები გაერო-ს უშიშროების საბჭოს დავალების გარეშე ჩატარდება, მანამ გაერო-ს წესდება არ შეიცვლება, იგი საერთაშორისო სამართლის დარღვევად ჩაითვლება რა მორალური მოტივებითაც არ უნდა იყოს მოტივირებული ეს ოპერაციები. ამიტომ ამ პროცესების შემდეგ კიდევ უფრო აქტიურად დადგა საკითხი გაერო-ს ადაპტირების აუცილებლობის შესახებ შეცვლილ საერთაშორისო პოლიტიკურ ლანდშაფტში, რადგანაც, სრულიად აშკარაა, რომ ადრე მიღებული წესები ვეღარ პასუხობენ რეალობას

ევროკავშირი და ბრექსიტი. ყველაზე მთავარი რეგიონალური ეკონომიკური გაერთიანება არის ევროკავშირი, რომელიც ამჟამად 28 სახელმწიფოსაგან შედგება, მაგრამ 2019 წლის 30 მარტს ბრექსიტის შედეგად დიდმა ბრიტანეთმა უნდა დატოვოს ევროკავშირი.

„ერთიანი ევროპის იდეა“ (რომლის თანახმადაც ისტორიული, კულტურული თუ ენობრივი განსხვავებების მიუხედავად ევროპა ერთიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს) 1945 წლამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდა. XVI საუკუნეში, ჯერ კიდევ რეფორმაციის პროცესის დაწყებამდე, რომის პაპის „ზე-სახელმწიფოებრივი“ ძალაუფლება თითქმის მთელ ევროპაზე ვრცელძებოდა. მას შემდეგაც კი, რაც ევროპაში სუვერენული სახელმწიფო სისტემები ჩამოყალიბდა, ისეთი მოაზროვნეები, როგორიცაა ჟან-ჟაკ რუსო, ანრი დე სენ-სიმონი და ჯუზეპე მაძინი სხვადასხვა დროს ევროპული

თანამშრომლობისა და საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციების დაარსების იდეებს ავითარებდნენ, მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ეს იდეები უიმედო და უტოპიური იყო. II მსოფლიო ომის დასრულებისას ევროპა ისტორიულად უპრეცენდენტო ინტეგრაციის პროცესის მომსწრე გახდა – შეიქმნა ის, რაც 1946 წელს უინსტონ ჩერჩილმა „ევროპის შეერთებული შტატები“ უწოდა. 1952 წელს საფრანგეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის მრჩევლის ჟან მონეს ინიციატივით „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებას“ ჩაეყარა საფუძველი. შემდეგ მას თანდათანობით დაემატა „ევროპის ეკონომიკური კავშირი“, ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობა და სხვა წავრები და საბოლოოდ 1993 წელს მიღებული მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, მუშაობას უკვე ევროკავშირი იწყებს.

დღეს ევროკავშირის წევრია 28 ქვეყანა: საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები (1952), დანია, ისლანდია და დიდი ბრიტანეთი(1973), რომელმაც ბრექსიტის შედეგად უნდა დატოვოს ევროკავშირი. გასვლის პროცედურა უნდა დამთავრდეს 2019 წლის 30 მარტს, საბერძნეთი (1981), პორტუგალია და ესპანეთი (1986), ავსტრია და ფინეთი (1995), შვედეთი (1995), პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, კვიპროსი და მალტა (2004), ბულგარეთი და რუმინეთი (2007), ხორვატია (2013). მართალია, ევროკავშირი ფედერალური ევროპის მოდელად ჯერაც არ ქცეულა, მაგრამ რამდენადაც ზოგადევროპული კანონმდებლობა უზენაესია წევრი ქვეყნების სახელმწიფო კანონმდებლობებთან შედარებით, ალბათ, მაინც უპრიანი იქნებოდა ევროპის „ფედერალიზაციაზე“ საუბარი. თუმცა ამ კუთხით უკანასკნელ წლებში ევროკავშირი სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა. ევროკავშირის კონსტიტუციაზე 2005 წ. ჰოლანდიამ და საფრანგეთმა რეფერენდუმების გზით უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს. 2016 წელს კი ევროკავშირს სერიოზული პრობლემები შეექმნა _ 23 ივნისის დიდ

ბრიტანეთში ჩატარდა რეფერენდუმი ევროკავშირიდან გამოსვლის თაობაზე. ეს რეფერენდუმი თავისთავად ევროკავშირის დაგროვილი და დაუბალანსებელი პოლიტიკის შედეგი იყო, რომელიც ძირითადად გამოიხატებოდა მთელი რიგი არშემდგარი ქვეყნების მიღებასა და ევროკავშირის მიერ გსნხორციელებულ ბიუროკრატიულ პოლიტიკაში. გარდა ამისა იყო სხვა მიზეზებიც. დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ურთიერთობები თავიდანვე დაბრკოლებების ფონზე მიმდინარეობდა. ერთის მხრივ, დიდი ბრიტანეთი წარმართავდა ევროინტეგრაციის ძირითად პროცესებს, მაგრამ მეორეს მხრივ, იგი ყოველთვის ცდილობდა საერთო ევროპული იდეის რაკურსში საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. „ევროპასთან, მაგრამ ევროპის გარეთ“ – განაცხადა პრემიერმა უინსტონ ჩერჩილმა. 1953 წლის 11 მაისს პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში მან ნათლად მიანიშნა იმ გარემოებაზე, რომ დიდი ბრიტანეთი მზად იყო სრულად ეტვირთა ევროპის თავდაცვის კავშირის წინაშე ფინანსური და პოლიტიკური ვალდებულებები, მაგრამ ამას კავშირის წევრობის გარეშე გააკეთებდა. სერ ჩერჩილმა ბრიტანეთის პარლამენტს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „რომელ მხარეს ვდგავართ? ჩვენ არ ვართ ევროპის თავდაცვის კავშირის წევრი ქვეყანა და არც ევროპის ფედერალურ სისტემაში გაერთიანებას ვაპირებთ. თუმცა ვთვლით, რომ გვაქვს განსაკუთრებული ურთიერთობა ორივე ინსტიტუტთან. ჩვენ ვართ „მათთან“ ერთად და არა „მათი“-თ.

ამგვარად, ჩერჩილმა განსაზღვრა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირთან მიმართების ძირითადი პოლიტიკური ხაზი. გაერთიანებულმა სამეფომ ევროპის შენების პროცესში აქტიური და სრულფასოვანი მოთამაშის როლი შეასრულა, იგი ყოველთვის სტრატეგიული ლიდერის პოზიციებზე იყო, მაგრამ ამავე დროს ყოველთვის ცდილობდა საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში დიდ ბრიტანეთს თითქოს მოუნდა კიდევაც ევროპის კავშირის კუთვნილება გამხდარიყო,

მაგრამ შარლ დე გოლის ფაქტორით სხვაგვარად განვითარდა მოვლენები. მან 1960-იან წლებში ორჯერ დაბლოკა გაერთიანებაში დიდი ბრიტანეთის გაწევრიანება, რადგან თვლიდა, რომ ამ შემთხვევაში მოხდებოდა ევროგაერთიანების დეზინტეგრაცია და ინსტიტუციური რღვევა. საბოლოოდ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირში გაწევრიანდა მხოლოდ 1975 წელს რეფერენდუმის შედეგად, სადაც დიდი ბრიტანეთის მოქალაქეების 67%- მა დაუჭირა მხარი გაერთიანებული სამეფოს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შესვლას, მაგრამ მალვე კვლავ ჩატარდა რეფერენდუმი, ევროკავშირში დარჩენის მიზანშეწონილობის შესახებ. 1975 წელს 2016 წლის რეფერენდუმისგან განსხვავებით, ჩრდილოეთ ირლანდია და შოტლანდია მაშინ ნაკლებად მოწადინებული იყვნენ ევროკავშირში დარჩენაზე. რეფერენდუმში მარგარეტ ტეტჩერმა ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენას დაუჭირა მხარი, მაგრამ პრემიერ მინისტრად მოღვაწეობის დასაწყისშივე, 1979 წელს ძალიან კრიტიკული პოზიცია დააფიქსირა ევროკავშირის ბიუჯეტში ბრიტანელების ფინანსურ კონტრიბუციასთან მიმართებაში. ცნობილია ტეტჩერის ფრაზა „მე მინდა ჩემი ფულის უკან დაბრუნება!. ეს სლოგანი მრავალგზის გამოიყენა რკინის ლედიმ 70-იანი და 80-იანი წლების გასაყარზე. 1979 წელს გამართულ ერთ-ერთ კონფერენციაზე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: „ჩვენ არ ვითხოვთ ევროკავშირის ხურდა ფულის ნაწილს. ჩვენ ვითხოვთ ჩვენივე ფულის დიდი ნაწილის უკან დაბრუნებას“ .[352]

ამავე კონფერენციაზე ტეტჩერმა განაცხადა, რომ ევროკავშირში არიან სახელმწიფოები, რომლებიც ნაკლებ კონტრიბუციას დებენ ევროპაში, მაგრამ მისგან ბევრს იღებენ სანაცვლოდ, რკინის ლედის აზრით, ერთ-ერთი ასეთი სახელმწიფო გერმანია იყო. დიდი ბრიტანეთი დათანხმდა ევროპის ერთიანი აქტის მიღებას, მაგრამ კატეგორიულად შეეწინააღმდეგა ბრიუსელში ევროპის პოლიტიკის კონცენტრაციას და საერთო ევროპული ფულის შემოღებას.

[352] ჯეფრი საქსი ,Project Syndicate http://foreignpress.ge/analitika/.

ტეტჩერის მიერ სამჯერ გამეორებული „არა“ ისტორიაში შევიდა. დიდმა ბრიტანეთმა შეძლო შეენარჩუნებინა განსაკუთრებული სტატუსი ევროკავშირში: 1992 წ. „საერთო ბაზრის“ ევროპულ კავშირად გარდაქმნის დროს ბრიტანეთი არ გადავიდა საერთოევროპულ ვალუტაზე; 1996 წ. – უარი განაცხადა შენგენის ზონასთან მიერთებაზე; 2014 წ. ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრის ტერეზა მეის დამსახურებით ბრიტანეთზე არ გავრცელდა ევროკავშირის სამართლებრივი და შინაგან საქმეთა პოლიტიკის საკმაო ნაწილი; ხოლო 2016 წ. ექსპემიერ-მინრისტრ დევიდ კემერონს ევროკავშირის ხელმძღვანელობა ოფიციალურად დაჰპირდა, რომ ბრიტანელებს არ შეეხებოდა „ევროპის ხალხების სულ უფრო მჭიდრო კავშირის შექმნის“ პროექტში მონაწილეობა. ურთიერთობები გაერთიანებულ სამეფოსა და ევროკავშირს შორის განსაკუთრებით გაუარესდა 2003 წელს, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა მხარი დაუჭერა აშშ-ს სამხედრო ინტერვენციას ერაყში და საბოლოოდ, 2016 წლის 23 ივნისს დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად ხმათა უმრავლესობით გადაწყდა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა, რასაც ემბლემატური სახელი „ბრექსიტი” (ბრიტანეთის გასვლა) დაერქვა. რეფერენდუმში მცირე უპირატესობით ბრიტანელებმა ბრექსიტს მისცეს ხმა: ამომრჩეველთა 51,9 პროცენტმა (17 მილიონი ადამიანი) დიდი ბრიტანეთის ევროკავშირდან გამოსვლას, 48,1 პროცენტმა (16 მილიონზე მეტი) კი _ ევროკავშირში დარჩენას დაუჭირა მხარი. წინასარეფერენდუმო პერიოდი უმძიმესი პოლიტიკურ-სოციალური ექსცესების ფონზე მიდიოდა ბრიტანეთში. საზოგადოება გახლეჩილი იყო მომხრე-მოწინააღმდეგეებად, კამათი და დიალოგი აბსოლუტურად ყველა სოციალური ფენისა თუ ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის უმწვავესი დაძაბულობის ფონზე მიდიოდა. ევროკავშირში დარჩენას მხარი დაუჭირა შოტლანდიამ (მონაწილეთა 62 პროცენტმა), ჩრდილოეთ ირლანდიამ, ქალაქებმა _ ლონდონმა, ოქსფორდმა, კემბრიჯმა, ბრისტოლმა, ასევე ახალგაზრდა, განათლებული და შეძლებული

ადამიანების უმრავლესობამ. ბრექსიტის მომხრეების არგუმენტები, ძირითადად, ოთხ პუნქტად იყო ჩამოყალიბებული:

- დიდი ბრიტანეთი მესამე ყველაზე დიდი ნეტოგადამხდელი ქვეყანაა ევროკავშირის ბიუჯეტში და მათი აზრით, 5 მილიარდი იყო ჰაერში გაშვებული;
- ევროკავშირიდან ემიგრირებულები ამძიმებენ სოციალურ სისტემას: 3,3 მილიონი ევროკავშირის მოქალაქეა ბრიტანეთში ემიგრირებული (მათი დიდი ნაწილი პოლონეთიდან იყო) და ისინი ართმევენ სამუშაო ადგილებს ადგილობრივებს.
- ლტოლვილთა კრიზისი მათ მიერ აღქმულია, როგორც ევროკავშირის მიერ ინიცირებული პრობლემა. ევროკავშირი აღიქმება, როგორც ბიუროკრატიული მონსტრი, რომელიც ბრიტანეთის ნაციონალურ სუვერენიტეტს აზიანებს.

საბოლოოდ ოფიციალური განცხადება ლონდონმა გააკეთა 2017 წლის 29 მარტს და დაიწყო მოლაპარაკებები გასვლის პირობებზე, რომელიც პროცედურულად 2019 წ. 30 მარტს დასრულდება. ვაჭრობის სფეროში თავისუფალი ბაზარი, რასაკვირველია, დარჩება, თუმცა, ევროპულ ბაზარზე მოხდება ბრიტანული საქონლის მიწოდების შეზღუდვა, ან ამ უფლებისათვის მათ უფრო მეტის გადახდა მოუწევთ ევროკავშირის ბიუჯეტში. ისევე როგორც პირიქით – ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირის ბიუჯეტს ყოველწლიურად 9-10 მილიარდ ევროს შემოსავალს დააკარგვინებს. გარდა ამისა, ბრექსითის კამპანიის აქტიურ ფაზაში, გავრცელდა ცნობა, რომ 2015 წელს დიდ ბრიტანეთში, სუფთა იმიგრაციამ 333 000 ადამიანი შეადგინა, რაც სამჯერ აღემატება მთავრობის მიერ მანამდე გამოცხადებულ მონაცემებს 100 000 ადამიანის შესახებ. ეს ინფორმაცია დაემთხვა სირიელ დევნილებთან დაკავშირებული კრიზისის პიკს, სირიელი მიგრანტების და პირველი მიგრანტების იმედგაცრუებული შვილების მიერ მოწყობილ ტერორისტულ აქტებს, ასევე გერმანიასა და სხვა ქვეყნებში ემიგრანტების მხრიდან ქალებსა და გოგონებზე თავდასხმების შესახებ გახმაურებულ ცნო-

ბებს. დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური მიმდინარეობა – უარი მიგრანტებზე შეერწყა ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ევროკავშირის ინსტიტუტები ქმედუუნაროა. ეს პროცესები, ალბათ, გარკვეული პერიოდი განსაზღვრავს როგორც ბრიტანეთის, ისე ევროკავშირის მომავალ ბედს და გარკვეულ წილად აისახება ახალ მსოფლიო წესრიგზე.[353]

მულტიკულტურალური ტერორიზმი

მულტიკულტურალიზმი როგორც პრაქტიკული პოლიტიკური პროექტი, წარმოიშვა 70-იანი წლების შემდეგ, როდესაც დასავლური სამყარო მასობრივმა ემიგრაციამ მოიცვა. აღსანიშნავია, რომ დასავლურმა ქვეყნებმა ნელ-ნელა უარი თქვეს მოდერნის მიერ განსაზღვრულ ასიმილაციასა და ერთგვაროვანი ეთნოკულტურული საზოგადოების ქმნადობაზე და ყურადღება ინტეგრაციაზე გაამახვილოს. ე.ი. საზოგადოება განიხილებოდა, არა, როგორც ერთგვაროვანი კულტურული წარმონაქმნი, არამედ, როგორც ეთნოკულტურული და რელიგიური ერთობების თანასწორუფლებიანი გაერთიანება.

მოცემული პროცესი დიდწილად 60-იანი წლების სამოქალაქო უფლებების მოძრაობის წარმატებებით იყო განპირობებული. ჩრდილოეთი ამერიკის შემთხვევაში, ე.წ. „აფირმატიული ქმედების“ შედეგად მრავალი რამ გაკეთდა საზოგადოების რასობრივი და სხვა ტიპის ჯგუფობრივი სეგრეგაციის აღმოსაფხვრელად, როგორც განათლების, ისე სოციალური უზრუნველყოფის, ჯანდაცვისა და სხვა მრავალი კუთხით. „ამავე დროს, საზოგადოების მსგავსმა პლურალისტულმა ხედვამ ხელი შეუწყო უფრო ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას და სოციალური გარიყულობის აღმოფხვრას, რაც, თავის მხრივ, დემოკრატიის განვითარებასაც უწყობ-

[353] იქვე

და ხელს.“

მულტიკულტურალიზმმა საკმაოდ ძლიერ მოიკიდა ფეხი, როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში. თურქული, არაბული და სხვადასხვა აფრიკული ქვეყნებიდან მიგრირებულებმა მასპინძელ ქვეყნებში მოისურვეს „პატარა სამშობლოების“ მოწყობა საკუთარი ტელევიზიებით, გაზეთებით, მაღაზიების ქსელით, მიზგითებითა და მინარეთებით. აღნიშნული ილუზიიდან „პატარა სამშობლოების“ მოსურნენი, ევროკავშირის ქვეყნების მთავრობებმა სწრაფად გამოაფხიზლეს საკანონმდებლო ცვლილებებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამერიკამ უარი თქვა მულტიკულტურალიზმის სახელმწიფო პოლიტიკად გამოცხადებაზე და ემიგრანტების სოციალური ინტეგრაცია, ტრადიციისამებრ, მათ კერძო საქმედ დატოვა. მიუხედავად ამისა, ამერიკულ საზოგადოებაში მაინც შეაღწია მულტიკულტურალისტურმა დისკურსმა. ემიგრაციამ, რომელმაც მოიცვა მთლიანად ამერიკა, ის დააყენა გამოწვევის წინაშე, რათა გადაეხედა მისი ტრადიციული პოლიტიკისათვის, რომელიც კულტურული მრავალფეროვნების საქმეს ეხებოდა. ყოველივე ლათინოამერიკელი ემიგრანტების გაძლიერებას მოჰყვა, როდესაც ესპანური ენა ინგლისურს დაემუქრა ლინგვისტურ ბატონობაში. არსებულმა მდგომარეობამ მრავალი ამერიკელი შეაშფოთა. ეთნოკულტურული მრავალფეროვანი ერი ეწინააღმდეგებოდა მულტიკულტურალიზმის იდეებს.

აშშ-ში მულტიკულტურალიზმის იდეები აღმოცენდა აგრესიული ფემინიზმისა და სხვა მსგავსი ტიპის მოძრაობებიდან, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ბატონობის ურთიერთობების ფუნდამენტურ ცვლილებებს. ამდენად, ზემოაღნიშნული განაპირობებდა სწორედ ამ ამერიკული მულტიკულტურალიზმის მეტ აგრესიულობას.

მულტიკულტურალიზმი განსაკუთრებით საგანმანათლებლო სისტემას შეეხო. 80-იანი წლების ბოლოს ბევრ ამერიკულ უნივერსიტეტში დამკვიდრდა მულტიკულტურალისტური პარადიგმა.

ეთნიკურ უმცირესობათა აქტივობის „მოდად“ ქცევამ საზოგადოების რღვევის საშიშროება გააჩინა. ტერმინი „მულტიკულტურალიზმი“ უარყოფით ცნებად გადაიქცა. ამერიკულმა გამოცდილებამ მკაფიოდ დაგვანახა, თუ რაოდენ საშიში და, ასევე, არაეფექტურია სოციალურ სივრცეში არსებული განსხვავებები კულტურულ განსხვავებებად წარმოვაჩინოთ, ე.ი. მოვახდინოთ საზოგადოებრივი კონფლიქტების, ასევე სოციალური განსხვავებებისა და ურთიერთობების კულტურალიზაცია.

მულტიკულტურალიზმთან დაკავშირებით საკითხები მეტად მრავალფეროვანია. მრავალგვარია სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფების ინტერესები, ასევე მათი მოთხოვნები.

დასავლეთ ევროპაში მულტიკულტურალიზმი ძირითადად რასასთან და თანასწორობასთან დაკავშირებულ ასპექტს დაუკავშირდა: მთავარ ამოცანად იქცა ინსტიტუციურ დონეზე რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრა და, ამავე დროს, ყველა მოქალაქისათვის თანასწორუფლებრივი გარემოს უზრუნველყოფა. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, ბუნებრივია, ცენტრალური პრობლემა ასევე რასობრივი დისკრიმინაცია იყო[354].

1980-იან წლებში აშშ-ში არსებულმა პოლიტიკურმა რეალობამ ხელი შეუწყო გამოკვეთილიყო მულტიკულტურალიზმის სპეციფიკური ფორმა, რომელიც შესაბამის სპეცპროგრამებს ითვალისწინებდა და გაცილებით აქტიურად ჩართავდა შავკანიან მოსახლეობას ამერიკულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არსებული მოსაზრების თანახმად, განვითარდა შავი და აფრიკული კვლევების მიმართულებები და შესაბამისი პროგრამები. ასევე დღის წესრიგში დადგა საკითხი სასწავლებლებში აფრიკო-ამერიკულ, ინგლისური დიალექტის შემოღების მიზანშეწონილობაზე. ამდენად, ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითი დღევანდელი მულტიკულტურული სახელმწიფოსი, ამერიკის შეერთებული შტატებია თავისი განსხვავებული კულტურის მქონე ერით, რომლებიც თანაცხოვრებით წარ-

[354] შ.ხინჩაგაშვილი, ,,სოლიდარობა'', #6 (33), 2009 .

მოადგენენ საკუთარი კულტურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ერთმანეთს უზიარებენ მათ.

ამერიკის მულტიკულტურალიზმი ორგვარად მოიაზრება: ერთი „სასალათე ჯამი“, რომელიც თანაბრად, თანასწორად წარმოგვიდგენს სხვადასხვა კულტურებს, რომლებიც არ კარგავენ მათთვის დამახასიათებელ ელემენტებს. მეორე მოსაზრების თანახმად კი, ამერიკის მულტიკულტურიზმი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც „მოსახარში ქვაბი“, სადაც სხვადასხვა კულტურები ერთად არიან თავმოყრილი, კარგავენ განმასხვავებელ ნიშნებს და სრულიად ახალ „ამერიკულ კულტურას“ ქმნიან, რაც აბსოლუტურად კარგავს სხვადასხვა კულტურათა იდენტობას და, ასე ვთქვათ, „ითქვიფება“ სხვა კულტურებში.

გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა, ბრიტანეთის კანონმდებლობა, რომელიც რასობრივ ურთიერთობებს არეგულირებს, ერთ-ერთი სამაგალითო და წარმატებულ გამოცდილებად არის მიჩნეული. 1976 წლის ანტიდისკრიმინაციული აქტის მიღებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გაირკვა, რომ სიტუაცია არც ისეთი სახარბიელოა. აღსანიშნავია, რომ გამოწვევებია ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მიუხედავად ინსტიტუციონალიზებული მულტიკულტურული პოლიტიკისა, ე.წ. ინდიგენური (პირველმოსახლე) და რასობრივი უმცირესობების დაბალი მოსწრება საგანმანათლებლო სისტემაში კვლავ რჩება. რაც შეეხება ევროპის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოს, მულტიკულტურულია, მაგრამ, საგულისხმოა, რომ საქმე გვაქვს აქსიომასთან, როცა შარიათის კანონებზე ვსაუბრობთ, რომელიც მუსლიმურ სამყაროში გულისხმობს ადამიანის გაროზგვას, კიდურების მოკვეთას, ადამიანის ჩაქოლვას, ასევე ქალებს უკრძალავს პირბადის გარეშე საზოგადოებაში ყოფნას. ზემოაღნიშნული კანონები წინააღმდეგობაშია დემოკრატიულ ღირებულებებთან. ამდენად, დასავლეთის ქვეყნები უარყოფენ შარიათის კანონებს, რაც ეთნიკურ უმცირესობებს არ აძლევს საშუალებას იცხოვრონ მათი წესების მიხედვით. მულტიკულტურიზმი

კი ეთნიკურ უმცირესობებს ათავისუფლებს წნეხისაგან, ისინი ცხოვრობენ ზეწოლის გარეშე. ასე რომ, ,,ლიბერალური დემოკრატია, რომლითაც ასე ამაყობენ ჩვენი დასავლელი მეგობრები, აშკარად ეწინააღმდეგება მულტიკულტურალიზმს და, აქედან გამომდინარე, ისინი ვერ იქნებიან მულტიკულტურული ქვეყნები.[355]

აღსანიშნავია, რომ 2004 წელს საფრანგეთში სახელმწიფო სკოლებსა და უნივერსიტეტებში სხვა რელიგიურ სიმბოლოთა გვერდით აიკრძალა ისლამური ტრადიციული თავსაფრის _ ხიმარის ტარება, რასაც მუსლიმებმა აქციებით უპასუხეს. ასევე ბრიტანეთის მოსახლეობამ გააპროტესტა თემებში წინასწარდაგეგმილი ქორწინებები. ასევე ისინი მთავრობას მოუწოდებენ, რათა დაიცვან ჩადრით მოსიარულე ქალთა უფლებები. მუსლიმი მოსახლეობის ასეთი ადათები ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებსა და ხელყოფს დემოკრატიის პრინციპებს.

იმიგრანტების თემამ მოიცვა მთლიანად ევროპული სახელმწიფოები. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა საფრანგეთი და იტალია, საგრძნობლად განიცდის იმიგრანტების პრობლემებს. იმდენად დიდია ამ ქვეყნებში სხვა რასების წილი, რომ შესაძლებელია, მალე თავად ფრანგები და იტალიელები გახდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. იქმნება სხვადასხვა წარმოდგენები იმიგრანტების მიმართ. მაგალითად, თუ რომელიმე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გაძარცვავს მაღაზიას, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ, თითქოსდა ამ უმცირესობის ყველა წარმომადგენელი მძარცველია, რაც შექმნის კონფლიქტურ სიტუაციას ადგილობრივ მოსახლეობასა და იმიგრანტებს შორის. გარდა ამისა, იმიგრანტების მოზღვავება იწვევს ეკონომიკურ პრობლემებსაც, რაც გამოწვეულია სამუშაო ადგილების დეფიციტით.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ევროპის ბევრმა ქვეყანამ საზღვრებზე კონტროლი გაამკაცრა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არალეგალებმა უკანონოდ გადაკვეთეს საზღვრები და ქვეყ-

[355] ნიკა ჩერქეზია, ,,თანამედროვე პოლიტიკა'', #4, თბ., 2012, გვ. 5,

ნის ტერიტორიაზე არაკანონიერი გზებით შეიჭრნენ. ამდენად, მულტიკულტურალიზმმა ამერიკისაგან განსხვავებით, ევროპას არაერთი პრობლემა მოუტანა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ აშშ თავიდანვე მულტიკულტურული იყო და თავად სახელმწიფოც სხვადასხვა კულტურებმა ჩამოაყალიბეს. სხვა ქვეყნებში კი პრობლემები ადგილობრივსა და ჩამოსულ მოსახლეობას შორის გაჩნდა, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობა დადგა მნიშვნელოვანი საკითხის წინაშე, თუ რა დონეზე შეეძლო მიეღო ახალი კულტურა და როგორ შეძლებდნენ ახალი ადათ-წესების შეთვისებას. თავის მხრივ, ჩამოსული მოსახლეობაც დადგა პრობლემების წინაშე-შეძლებდნენ კი ეღიარებინათ და გაეთავისებინათ მათ ადგილობრივი კულტურული ელემენტები, რომლებიც მასპინძელ ქვეყნებში დახვდათ.[356]

მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლების აფროამერიკულ საზოგადოებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ზოგ შემთხვევებში კითხვის ნიშნის ქვეშდგება ის გარემოება, რამდენად სასურველია წარსულში დაზარალებული ან ჩაგრული ჯგუფისთვის, რომელმაც შეძლებისდაგვარად მოახერხა კოლექტიური ინტერესების დაცვა, ასევე ჯგუფური იდენტობის კულტივირება, შეერწყას თუ არა დომინანტ ჯგუფს და ასევე, გაბატონებულ სოციოკულტურულ სისტემას.

მულტიკულტურალიზმი ხელს უწყობს არსებული განსხვავების გაძლიერებას და ნაკლებად ტოვებს პოლიტიკურ თემში საერთო ინტერესების გამოკვეთისა და მათ გარშემო საზოგადოების კონსოლიდაციის შესაძლებლობას.[357]

ერთ-ერთი პირველი მემარჯვენე, რომელმაც ამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა, ცნობილი ისტორიკოსი და პუბლიცისტი არტურ შლეზინგერი იყო თავისი ნაშრომით, „ამერიკის დაშლა“.

მულტიკულტურალიზმი, როგორც პოლიტიკური ხედვა, წარ-

---

[356] ნიკა ჩერქეზია, ,,თანამედროვე პოლიტიკა“, #4, თბ., 2012, გვ.4.

[357] შ. ხინჩაგაშვილი, ,,სოლიდარობა“, #6 (33), თბ., 2009 , გვ.27.

მოადგენს ერთ-ერთ პასუხს კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების გამოწვევაზე, რომლის წინაშე დადგნენ დასავლეთის ქვეყნები კოლონიალიზმის ეპოქის დასრულების შემდგომ. ეს ქვეყნები თავის დროზე მეტ-ნაკლები ეთნიკური ერთგვაროვნებით ხასიათდებოდა. პოსტ-კოლონიურ პერიოდში კი მიგრანტთა ტალღებმა ყოფილი კოლონიებიდან, შემდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან შეცვალა დემოგრაფიული სურათი, რომელიც კულტურათა მოზაიკის სახით ყალიბდებოდა.

1960-იანი წლებიდან, მულტიკულტურალიზმი წამყვანი პარადიგმა იყო დასავლეთისათვის. არსებული კონცეფცია გავლენას ახდენდა პოლიტიკაზე – საერთაშორისო ურთიერთობებით დაწყებული იმიგრაციის პოლიტიკითა და დემოგრაფიული პროცესებით დამთავრებული.

აღსანიშნავია, რომ 1970-იანი წლებიდან მულტიკულტურალიზმი დასავლეთის არაერთი ქვეყნის ოფიციალურ პოლიტიკად იქცა, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში სხვადასხვა სახით ხორციელდებოდა და მჭიდროდ უკავშირდებოდა იდენტობის პოლიტიკას. მულტიკულტურიზმის პოლიტიკა გულისხმობდა უმცირესობათა დაცვასა და მათი უფლებების აღიარებას, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. ძირითადად იგი კონცენტრირებულია ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებზე, უპირველეს ყოვლისა, იმიგრანტებზე.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა, ეს ნაკლებად შეეხო ადგილობრივ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენენ ამა თუ იმ ქვეყანაში.

2011 წლის 11-მა სექტემბერმა, ერაყის ომმა, ტერორისტულმა აქტებმა მადრიდსა და ლონდონში და სხვა მსგავსმა ფაქტებმა, მულტიკულტურალიზმიდან, როგორც სახელმწიფო პოლიტიკიდან უკან დახევა განაპირობა.

2010 წელს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანც-

ლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა: „მულტიკულტურალიზმი გერმანიაში უპირობოდ დამარცხდა. მხოლოდ ილუზია იყო იმის ფიქრი, რომ გერმანელებმა და სამუშაოდ ჩამოსულმა მიგრანტებმა შეიძლება ბედნიერად იცხოვრონ ერთად... მათგან ძალიან ცოტას ვითხოვდით. ვფიქრობ, სამართლიანი იქნებოდა, რომ იმიგრანტებს გერმანული ენა ესწავლათ.“ მან, ამავე დროს, აღნიშნა: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქრისტიანული მორალი. გერმანიის ყველა მოქალაქე პატივს უნდა სცემდეს და ითვალისწინებდეს ამ მორალს. ვინც ამ ღირებულებებს პატივს არ სცემს, მათი ადგილი აქ არ არის... მულტიკულტურების დრო დამთავრდა. ჩვენ, ყველამ, გერმანიაში მცხოვრებმა, უპირველესად პატივი უნდა ვცეთ გერმანიის ნაციონალურ კულტურას“.დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, დევიდ კემერონმაც აღიარა, რომ დასავლეთ ევროპაში მულტიკულტურების პოლიტიკა ჩავარდა. ბავარიის პრემიერ-მინისტრმა გერმანიაში მცხოვრებ უცხოელებს ინტეგრაციისკენ მოუწოდა: „აქ მცხოვრები ადამიანები გერმანულ კულტურას უნდა ეზიარონ. მიგრანტებს, მაგალითად, თურქეთიდან და არაბული ქვეყნებიდან უჭირთ ინტეგრირება. გერმანული ენის გარეშე კი ეს არ მოხდება. მულტიკულტურალიზმი წარსულს ჩაბარდა... სხვა წრეებიდან მეტი მიგრანტი აღარ გვჭირდება“. ზემოაღნიშნულ პოზიციებს მხარი დაუჭირა თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულიმ: „ერთ დროს გერმანიაში სამუშაოდ წასული თურქი ემიგრანტები და მათი შთამომავლები, ვალდებული არიან, გერმანულ ენას ბრწყინვალედ, ყოველგვარი აქცენტის გარეშე ფლობდნენ. დაუშვებელია არ იცოდე იმ ქვეყნის ენა, რომელშიც ცხოვრობ. გერმანული ენის ცოდნა საბავშვო ბაღიდან უნდა დაიწყოს.“

2011 წელს მერკელის პოზიცია გაიმეორა საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ: „ჩვენ ძალიან ვზრუნავდით ჩამოსული პირების იდენტობაზე და სრულიად არ ვფიქრობდით მათ იდენტობაზე, ვინც ჩამოსულებს აქ ხვდება“. სარკოზის პოზიცია აიტაცა ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა. ბრიტანეთის პრე-

მიერ-მინისტრის დევიდ კამერონის განცხადებით, „მულტიკულ-ტურალიზმის სახელმწიფო დოქტრინის სახელით, ჩვენ ხელს ვუ-წყობდით სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს, რათა ეცხოვ-რათ განცალკევებული ცხოვრებით, ერთმანეთთან და ძირითადად კულტურასთან ურთიერთობის გარეშე. ჩვენ ვერ შევძელით ჩამო-გვეყალიბებინა იმ საზოგადოების ხედვა, რომელიც მათ აირჩიეს საკუთარი თავის მისაკუთრებად. ჩვენ შემწყნარებლობას ვამჟღავ-ნებდით ამ განცალკევებული ჯგუფების იმ ქცევების მიმართაც კი, რომლებიც ჩვენს ფასეულობებს ეწინააღმდეგებოდა. ჩვენ გვჭირ-დება ნაკლები პასიური ტოლერანტობა, რომელიც ბოლო წლებში არსებობდა და მეტი აქტიური, ძლიერი ლიბერალიზმი.“ ბრიტა-ნეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში ამ დროიდან გაძლიერდა მოწო-დებები ინტეგრაციისაკენ, იმიგრაციისა და დეპორტაციის კანონე-ბის გამკაცრებისაკენ, მოქალაქეობის ტესტების შემოღებისაკენ, სა-მოქალაქო სავალდებულო განათლებისაკენ, დასაქმების პოლიტი-კისაკენ, რომელიც უპირატესობას მიანიჭებდა ადგილობრივ მუ-შახელს.

ხშირად მულტიკულტურიზმის ქოლგის ქვეშ აერთიანებენ ისეთ ჯგუფებს, როგორიც არიან ქალები, აფროამერიკელები, სექ-სუალური უმციროსობები, მაგრამ მულტიკულტურალიზმის თეო-რეტიკოსები ფოკუსირებულნი არიან შემდეგ ჯგუფებზე: ემიგრან-ტებზე, რომლებიც ეთნიკურად ან რელიგიურად უმცირესობას წარმოადგენენ (მუსლიმები ევროპაში, ან ლათინური ამერიკის წარ-მომადგენლები აშშ-ში). უმცირესობაში მყოფ ერებზე (კალატონიე-ლები, ბასკები, კვებეკელები) ან მკვიდრ მოსახლეობაზე, რომლე-ბიც მთელი ქვეყნის უმცირეს ნაწილს წარმოადგენენ.

„მულტიკულტურალიზმი“ იყო და კვლავ რჩება განხილვის საგნად. ევროპა ჩიხში მოექცა და ევროპელი ინტელექტუალები დაბნეულად აღიარენებ, რომ არსებული საზოგადოებრივი სისტემა ვერ გამოიყვანს მათ ამ ჩიხიდან. ისლამური სამყარო კატეგორიუ-ლად არ იღებს დასავლურ დემოკრატიას, აქტიურად ეწინააღმდე-

გება მის შემოტევას და ამის გამო ღვრის ზღვა სისხლს. მსოფლიო მრავალფეროვანია, ერთგვაროვანი მიდგომები, პრინციპები და წესები შეუძლებელია და ის არ იმოქმედებს. უცხოს, მიუღებელს კი მხოლოდ დანგრევა შეუძლია, ამიტომ ინტელექტუალური ელიტები განვითარების ახალი გზების, ახალი ფორმების ძიებით არიან დაკავებულები.

მულტიკულტურალიზმის უარყოფითი მხარე, რომელმაც უფრო მკვეთრად იჩინა თავი, არის ნაციონალიზმის გაღვივება და ულტრანაციონალისტური სლოგანები, ორგანიზაციები, რომლებიც, ძირითადად მიმართულია მუსლიმების მისამართით[358].

მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ემიგრანტების მასიურად გადასვლამ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოიწვია მუსლიმი მოსახლეობის სწრაფი ზრდა დასავლურ სამყაროში. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა თუ სხვა აფეთქებებმა, რომელთა უკანაც მუსლიმები იდგნენ და, რომლებმაც განახორციელეს კრიმინალური აქტები, გარკვეულწილად ხელი შეუწყვეს მუსლიმი მოსახლეობის მიმართ სტერეოტიპების ჩამოყალიბებას. ნორვეგიაში 2011 წლის 22 ივლისის ტერაქტი მულტიკულტურალური ხასიათის იყო. მისი ავტორი ნორვეგიელი მემარჯვენე ექსტრემისტი ანდრეს ბრეივიკი იყო. ამ ტერორისტული აქტის დროს მთავრობის სასახლესთან აფეთქებულმა მანქანამ რვა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რამდენიმე წუთში კი ბრეივიკი კუნძულ უტოიაზე მივიდა, სადაც მმართველი პარტიის ახალგაზრდული ნაწილის მიერ ორგანიზებული საზაფხულო ბანაკი იყო. სტუდენტები შეშფოთებული იყვნენ ოსლოში მომხდარი ტერაქტის გამო და როდესაც მათ პოლიციის ფორმაში გამოწყობილი ბრეივიკი გამოეცხადათ, იფიქრეს, რომ იგი მათ დასაცავად იყო გამოგზავნილი, სინამდვილეში კი მისი სროლის შედეგად სამოცდაცხრა ახალგაზრდა დაიღუპა, სამწუხაროდ, ქართველი გოგონაც. ამ ტერაქტს სათავე უფრო ადრე, ათიოდე წლის წინ ჩაეყარა.მის ავტორს კარ-

[358] ჩვენი უნივერსიტეტი, გორი, # 12, , 2012, გვ. 61.

გად ჰქონდა გააზრებული, თუ რაც უნდა გაეკეთებინა. დაკავებულმა ბრეივიკმა თავისი საქციელი შემდეგნაირად შეაფასა: „ეს იყო სასტიკი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი“. მან არსებულ საშინელებამდე „ტვიტერის“ თავისივე გვერდზე ახსნა თავისი საქციელი. მისი თქმით, ევროპა და მათ შორის ნორვეგია უდიდესი საფრთხეების წინაშე დგანან, კერძოდ, ისლამისა და კულტურული მარქსიზმის. იგი აკრიტიკებს, როგორც ნორვეგიას, მის ხელისუფლებას, ისე, ზოგადად, ევროპის ქვეყნებსაც მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერაში და სხვა, განსხვავებული კულტურების საზოგადოებაში ადაპტირებაში.

ბრეივიკისათვის მულტიკულტურალიზმი არის დამანგრეველი იდეოლოგია და საკუთარ თავს იგი ხედავს პოლიტიკოსად, რომლის მისიაც ძირძველი ევროპული კულტურისა და საზოგადოების დაცვაა ევროპისაგან. მისი თქმით, საჭიროა ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც გაათავისუფლებს ევროპას მუსლიმებისაგან, მაგრამ, ალბათ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ისლამოფობიით შეპყრობილი ბრეივიკი მისი ქმედებების შთამაგონებლად ალ-ქაიდას და სხვა ისლამურ ექსტრემისტულ ორგანიზაციებს ასახელებს. ეს ნაციონალისტურ-ექსტრემისტული ორგანიზაციები იმავე ფორმებით გამოხატავენ მათ დამოკიდებულებას სხვა კულტურისადმი და, ზოგადად, მსოფლიოში არსებული ვითარებისადმი[359]. არანაკლები უბედურება აღმოჩნდა ის, რომ ანდრეს ბრეივიკს ციხეში წერილები მისდის, მას უქებენ საქციელს და გმირად შერაცხავენ, ასევე უგზავნიან ფულს. მას აქა-იქ მიმბაძველების გამოუჩნდნენ. ევროპელი ობივატელი შეშინებულია „ისლამიზაციით“, საფრთხეს ხედავს მულტიკულტურიზმში, იგი ემიგრანტებს აბრალებს თავის ცხოვრების პრობლემებს. მან პროცესზე განაცხადა, რომ არ ცნობს ნორვეგიულ სასამართლოს, რამდენადაც ქვეყნის ხელისუფლება მულტიკულტურალიზმის იდეას უჭერს მხარს.

ამგვარად, მულტიკულტურალიზმი, რომელიც უმცირესობე-

[359] ჩვენი უნივერსიტეტი, გორი, # 12, გვ. 62.

ბისა და უმრავლესობების შერწყმას უწყობს ხელს, წარმოშობს ახალ იდეებს, აგრეთვე კულტურებს აცნობს ერთმანეთს, აღვივებს შემწყნარებლობასა და ლოიალობას, შესაძლებელია, რომ გახდეს ექსტრემისტული ნაციონალიზმის გამააქტიურებელიც. ცხადია, რომ ბრეივიკის პროტესტის გამოხატულების ფორმა ვერანაირად ჰპოვებს გამართლებას. არანაირად არ შეიძლება მოეძებნოს გამართლება ათობით ახალგაზრდას მკვლელის ქმედებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყურადსაღებია ის პრობლემები, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს კერძოდ, ხშირად კულტურული მრავალფეროვნება ხდება თემთა შორის უთანხმოების, დაძაბულობისა და ასევე ღია კონფლიქტის საფუძველი. აღსანიშნავია საფრანგეთში მცხოვრებ მუსლიმთა პროტესტი, რომელიც გამოიწვია 2004 წელს სახელმწიფო სკოლებსა და სხვა უნივერსიტეტებში, სხვა რელიგიურ სიმბოლოთა გვერდით ხიმარის – ტრადიციული ისლამური თავსაფრის – ტარების აკრძალვას, რომელსაც მოჰყვა ტერაქტი. დასავლური საზოგადოების გარკვეული ჯგუფები, სხვადასხვა მოტივაციით, აპროტესტებენ ბრიტანეთის პაკისტანურ თემში წინასწარ-დაგეგმილი ქორწინების ტრადიციას, ისევე, როგორც აფრიკიდან ემიგრირებულთა შორის ახალშობილის დადაღვის წესი, ასევე ინდუსების მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მიეცეთ გარდაცვლილი ახლობლების კრემაციის საშუალება და სხვ.

2008 წლის შემდეგ, მსოფლიოში, განსაკუთრებული ტერორისტული აქტივობის ზრდა შეინიშნება. 2015 წლის 7 იანვარს ისლამისტმა ფუნდამენტალისტმა ტერორისტებმა იერიში მიიტანეს „შარლ ებდოს“ რედაქციაზე, რომელიც მეტად სავალალო შედეგით – უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლით დამთავრდა. აღნიშნული რედაქცია ცნობილი იყო, თავისი მოღვაწეობის განმავლობაში გაშარჟებული კარიკატურების გამოყენებით, რომელშიც შეურაცხმყოფელ პოზაში იყვნენ წარმოდგენილნი ქრისტიანული და ისლამური რელიგიებისთვის ისეთი წმინდა და ხელშეუხებელი ფიგურები, როგორებიც იყვნენ იესო და მუჰამედი. ერთ-ერთი პო-

ზიციის თანახმად, ტერაქტის გამომწვევ მიზეზად საფრანგეთის მულტიკულტურულ საზოგადოებაში კულტურული ერთგვაროვნებისკენ სწრაფვის მცდელობას და ერთმანეთისგან განსხვავებული რელიგიების შეჯახებას მიიჩნევდა. არ არის გამორიცხული, რომ ადგილი ამ უკანასკნელს ჰქონდა. სხვადასხვა კულტურული ღირებულებების მქონე საზოგადოებრივ სეგმენტებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების მისაღწევად აუცილებელია ყველა კულტურული ჯგუფის ინტერესების თანაბრად აღიარება და მათი პატივისცემა.

რაც შეეხება „შარლ ებდოს“ მიერ გამოქვეყნებულ კარიკატურებს, ძნელია ითქვას, სხვა კულტურული სეგმენტების მიმართ პატივისცემის გამოხატულების არსებობაზე, რომელსაც ყველაზე მკაცრად მუსულმანი ემიგრანტები პასუხობდნენ. სწორედ საფრანგეთი ითვლება მათ ყველაზე დიდ სათვისტომოდ, სადაც მათი რაოდენობა შეადგენს 10 %-ს.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, მულტიკულტურალიზმმა შესაძლოა ფიასკო განიცადოს საფრანგეთში. ზემოაღნიშნულის მიხედვით, სხვადასხვა პერიფერიული კულტურები არ გამოხატავენ მზაობას, რომ დაკარგონ თავიანთი კულტურული თვითმყოფადობა და შეერწყან ევროპულ ფასეულობათა სისტემას.

აღსანიშნავია, ზემოაღნიშნული და მადრიდის ტერორისტული აქტების, 2015 წლის ნოემბერში საფრანგეთში სამოქალაქო არეულობებისა თუ „მუჰამედის კარიკატურების სკანდალის ფონზე“, ანტიისლამური და ანტიემიგრაციული განწყობის სტიმულირება რთული არ ყოფილა. როგორც როჯერ გრიფინი აღნიშნავს, აღნიშნული დაჯგუფებები ფსევდო ქსენოფილურ ნიღაბს არიან ამოფარებულნი, დიდი ხანია უკუაგდეს სახელგატეხილი ბიოლოგიური და რასობრივი აღმატებულობის არგუმენტაცია და ამჟამად ავისმომასწავებელ „კულტურულ გენოციდსა“ და დასავლური ღირებულებების დაცვაზე საუბრობენ, ცდილობენ, რა ამით საკუთარ ქვეყნებში საემიგრაციო-სამოქალაქო პოლიტიკის რადიკალურ

შეცვლას, ძირითადად ისლამის წინააღმდეგ გალაშქრებით, მათმა ნაწილმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

21-ე საუკუნეში, 2016 წლის 22 მარტი ყველაზე საშინელი დღეა ბელგიის ისტორიაში. ეს ყველაფერი კი ბრიუსელის აეროპორტში ორი აფეთქებით დაიწყო. ბრიუსელის ტრაგედიამ ნათლად წარმოაჩინა ე.წ. მულტიკულტურიზმის ევროპული პოლიტიკის კრახი. ამ აფეთქებებს ევროპას შესეული მიგრანტების დიდ ტალღას ვერავინ მიაწერს, რადგან ბრიუსელის ტერაქტის ყველა მონაწილე ბრიუსელის მკვიდრია, ბელგიის პასპორტის მფლობელი, თუმცა ამ გარემოების გამო ევროპელებად არ ქცეულან და მათ სრულებითაც არ შეუსისხლხორცებიათ ევროპული ზნეობის ნორმები, როგორც ამას ფიქრობენ მულტიკულტურიზმის იდეების მქადაგებლები[360].

თანამედროვე მსოფლიოში მულტიკულტურალური ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. მნიშვნელოვანია, რომ მისი ზრდა გლობალიზაციის შედეგიცაა. „უამრავი სივრცეები“ რომლებიც ცივი ომის შემდეგ წარმოიშვა, კრიმინალებისა და ტერორისტების მიერ ათვისებული იქნა, როგორც მათი თავშესაფარი. გლობალიზაციასთან ერთად, საკმაოდ კომპლექსური გახდა უშიშროებაც, რამაც დაგვანახა, რომ მხოლოდ ტრადიციული გზებით ეროვნული საზღვრების დაცვა ვეღარ უმკლავდება მოსალოდნელ საფრთხეს.

ნაციონალიზმის რეანიმაციის პროცესები თანამედროვე ევროპაში

ევროპელი ულტრამემარჯვენეები. თანამედროვე ეტაპზე ევროპაში მიმდინარე ურთულესმა პოლიტიკურმა პროცესებმა – ეკონომიკურ პერფორმანსთან ერთად მიგრაციისა და მულტიკულტუ-

[360]საქართველო და მსოფლიო, თბ., 2016, გვ.12,

რალიზმის პრობლემების მოუგვარებლობამ და ევროპული იდენ-ტობის პოლიტიკურმა და კულტურულმა კრიზისმა, ევროპული პოლიტიკის დღის წესრიგში დიდი წყვეტის შემდეგ კვლავ დააყენა რადიკალიზმის ახალი ტალღისა და კარდინალური ცვლილებების აუცილებლობა, რამაც განაპირობა როგორც ულტრამემარჯვენეე-ბის, ისე ულტრამემარცხენეების პოპულარობის ზრდა. თანამედ-როვე ევროპულ პოლიტიკაში მიმდინარე ფუნდამენტური ცვლი-ლებები, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე ევროპელი პოლიტი-კური კომენტატორებისა და მედიის მიერ „პოლიტიკურ მიწისძვ-რად“ არის შეფასებული. პოლიტიკის ექსპერტთა ამგვარი შეფასება ევროპაში ძალთა ახალ კონფიგურაციას და აქედან გამომდინარე ნგრევის შიშს უკავშირდება. თავად ტერმინი „რადიკალიზმიც“ მომდინარეობს სიტყვა ფესვიდან (Radiqs) და ნიშნავს იმგვარი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც გულისხმობს სისტემის ძირფესვიან გარდაქმნას. ახლო წარსულში მარგინალიზებული რა-დიკალური ჯგუფები იდეოლოგიური ცენტრის ორივე მხარეს _ როგორც ულტრამემარჯვენეები, ისე ულტრამემარცხენეები, თან-დათანობით ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალებად ჩამოყალიბდ-ნენ როგორც არსებული ევროპული პოლიტიკის ალტერნატივები. პოლიტიკის ექსპერტების აზრით, ერთი მხრივ, აუცილებელია არ-სებული ევროპული პოლიტიკური კლიმატის რადიკალური, ფუნ-დამენტური ცვლილებები, მაგრამ მეორე მხრივ, თუ ფრანგი ევრო-კომისარი ვივიენ რედინგის მოსაზრებას მოვიშველიებთ _ რადიკა-ლიზმი იწვევს რასიზმს, ადამიანის ღირსების უარყოფას, მიუღებ-ლობის ყველა ფორმას. ასევე საფრთხეს უქმნის ფუნდამენტურ ღი-რებულებებს, რომელსაც კავშირი ეფუძნება.

საკუთრივ ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე განწყო-ბებს შორის ევროკავშირის ქვეყნებში მნიშვნელოვანი განსხვავებე-ბი არსებობს. ულტრამემარჯვენეებში ეს განსხვავებანი გამოიხატე-ბა იმიგრანტების მიმართ აგრესიის ხარისხთან, ტრადიციულ პო-ლიტიკურ სპექტრთან დამოკიდებულებასა და ეკონომიკურ და სა-

გარეო პოლიტიკურ ხედვასთან მიმართებაში. მაგალითად, საბერძნეთსა და უნგრეთში ულტრამემარჯვენე პარტიები განსაკუთრებულად აგრესიული ქსენოფობიური, ნეონაცისტური იდეებით გამოირჩევიან. საკმაოდ პოპულარულია ანტიიმიგრაციული, ქსენოფობიური პარტიები ფინეთში, ნორვეგიასა და შვეიცარიაშიც. ამ უკანასკნელის მოსახლეობის 24% უცხოეთშია დაბადებული, რაც, წესით, განსხვავებულისადმი მეტი ღიაობის მანიშნებელი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, მემარჯვენე პოპულისტმა სახალხო პარტიამ რეფერენდუმის ძალით აკრძალა ქვეყანაში მინარეთების მშენებლობა. ნორვეგიაში ეთნიკური ნიშნით მიუღებლობის ნიადაგზე ანდერს ბრეივიკის მიერ ჩადენილი მასობრივი მკვლელობის მიუხედავად, მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი მაინც ულტრამემარჯვენე, ანტიგლობალისტურ განწყობებს იზიარებს. შესაბამისად, ნაციონალისტური განწყობა „დომინოს პრინციპით“ გავრცელდა მთელს ევროატლანტიკურ სივრცეში და ნიადაგი მოუმზადა პოპულისტური, ანტიისლამისტური და კონსერვატორული ხასიათის ძალების ძალაუფლებაში მოსვლას, ისეთების, როგორებიცაა: ნაციონალ-კონსერვატიული პარტია „შვედეთის დემოკრატები“, რომელიც აღმოცენდა შვედეთის ფაშისტური მოძრაობიდან და სიდიდით მესამე პარტიაა შვედეთის საკანონმდებლო ორგანოში; ულტრანაციონალისტური პარტია „ოქროს აისი“, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა საბერძნეთის საპარალამენტო არჩევნებში; რადიკალი მემარჯვენე პოპულისტური პარტია „ჭეშმარიტი ფინელები“, რომელიც შეუერთდა ფინურ სამთავრობო კოალიციას; დანიის „სახალხო პარტია“, რომელიც სიდიდით მეორეა დანიაში; იტალიის ნეოფაშისტური პარტია „ჩრდილოეთის ლიგა“, რომელიც იტალიის საზოგადოების მხარდაჭერით (13 პროცენტით) მეოთხეა გამოკითხვების მიხედვით და საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტი“, რომლის ლიდერმა მარენ ლე პენმა, მართალია, წააგო 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ ხმათა სარეკორდო მაჩვენებელია – 18% მოაგროვა. თუკი პოპულარობის ზრდის დინამიკას გა-

თვალისწინებით, ძალზე რეალურია, რომ ხუთი წლის შემდეგ ის მოგვევლინოს საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე.

მარინ ლე პენი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული, ქარიზმატული და პოპულისტი ფიგურაა თანამედროვე პოლიტიკაში. ის ნაციონალური ფრონტის დამაარსებლის ჟან-მარი ლე პენის ქალიშვილია. ჟან მარმა პარტია დაარსა 1972 წელს, როდესაც მარინი 4 წლის იყო. მან მამამისის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა მიიღო პირველად13 წლის ასაკში, ნაციონალურ ფრონტს 18 წლისამ შეუერთდა, პარტიის ლიდერი კი 2011 წელს. ჟან-მარი ლე პენი უკიდურესი ანტისემიტიზმითა და ჰოლოკოსტის უარყოფით გამოირჩეოდა, რამაც, ფაქტიურად მისი გადადგომა გამოიწვია. მარინმა შეარბილა ულტრანაციონალისტური რიტორიკა და სიძულვილის ენა. მან ისრაელში განახორციელა რამდენიმე ვიზიტი და პარტიის ეს არაპოპულარული პოლიტიკა ფაქტობრივად აღმოფხვრა. მარინ ლე პენი, როდესაც პარტიის სათავეში მოვიდა, ნაციონალური ფრონტისთვის წამყვანი საკითხები გახდა ევროინტეგრაციით გამოწვეული ფრანგული დემოკრატიის ეროზია და ეკონომიკის დაკნინება. მარინ ლე პენი ამომრჩეველს დაჰპირდა საფრანგეთის ინდუსტრიის მხარდასაჭერად პროტექციონისტულ პოლიტიკას, ევროს ნაცვლად ეროვნული ვალუტის, ფრანკის აღდგენას, ავღანეთიდან ფრანგი სამხედროების დაუყოვნებლივ გამოყვანას, აშშ-სთან დისტანცირებასა და რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავებას. იმიგრაციის წინააღმდეგ კამპანიისთვის რასისტული შეფერილობის მოსაცილებლად მარინ ლე პენმა აქცენტი სეკულარიზმის პრინციპებისა და ცხოველთა უფლებების დაცვაზე გადაიტანა. ნაციონალური ფრონტის განახლებული რიტორიკის სამიზნე გახდა არა უმცირესობათა წარმომადგელების პიროვნება და მათი რწმენა, არამედ კონკრეტული ქმედებები _ ქუჩაში მასობრივი ლოცვა, ე.წ. ჰალალი ანუ მუსლიმური ტრადიციების შესაბამისად საქონლის დაკვლა. ლე პენი დღეს მხოლოდ ორმაგი მოქალაქეობის წინააღმდეგია და არალეგალური, დაუსაქმებელი და კრიმინალური იმი-

გრანტების დეპორტაციას მოითხოვს. პარტიის ძველი ხელმძღვანელობა სოციალურად კონსერვატორი იყო და აბორტის აკრძალვისთვის იბრძოდა, ახალი ლიდერების პოზიცია სოციალურ თემატიკაზე საკმაოდ ლიბერალური და ფრანგულ საზოგადოებრივ განწყობებთან თავსებადია. განახლებული ნაციონალური ფრონტი სექსუალურ უმცირესობებს მხარს უჭერს. ნაციონალურ ფრონტს ცნობილი მსახიობი ალენ დელონი მხარდაჭერას უცხადებს. ლე პენის პარტია თანდათანობით ჩამოყალიბდა პროტექციონისტულ, ანტიკაპიტალისტურ, ანტიამერიკულ, ანტიევროკავშირულ, ანტიგლობალისტურ პოლიტიკურ ძალად. დროთა განმავლობაში ნაციონალური ფრონტის იდეოლოგიური ბაზა გაფართოვდა.

ბოლო წლებში ფრანგულმა ნაციონალურმა ფრონტმა მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა: ახალგაზრდა, წარმატებული სახეები მოიზიდა და არაპოპულარული რადიკალიზმისგანაც გაათავისუფლა და შედეგმაც არ დააყოვნა – ყველაზე ახალგაზრდა ფრანგი ამომრჩევლების ხმების უმეტესობა სწორედ ნაციონალური ფრონტისკენ წავიდა. მარინ ლე პენის ქარიზმა მუშათა კლასის ამომრჩევლებს ყოველთვის იზიდავდა. წლევანდელ არჩევნებზე მუშათა კლასის ხმათა 35% სწორედ ნაციონალური ფრონტის ლიდერს ერგო. ლე პენს მხარს უჭერენ ასევე ფერმერებიც. ჟურნალ Le Nouvel Observateur-ის მიერ გამოქვეყნებული გამოკითხვის თანახმად, 14 წლის განმავლობაში უპრეცედენტო უმუშევრობის მაჩვენებელმა და სხვა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა თუ ლიდერობის პრობლემებმა სოციალისტური პარტიის მაჩვენებლის 19%-მდე ვარდნა გამოიწვია და პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის რეიტინგი დრამატულად შეამცირა. შემცირდა კონსერვატიული UMP-ის რეიტინგიც, განსაკუთრებით ნიკოლა სარკოზის წასვლის შემდეგ და პირველად ისტორიაში, ეროვნულ გამოკითხვებში ნაციონალურმა ფრონტმა წამყვანი პოზიცია დაიკავა.

ულტრამემარჯვენე განწყობები ძლიერია ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსე-

ბობს. იმიგრანტების მიმართ აგრესიის ხარისხი, ტრადიციულ პოლიტიკურ სპექტრთან დამოკიდებულება და ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკური ხედვა ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორებია. მაგალითად, საბერძნეთსა და უნგრეთში ულტრამემარჯვენე პარტიები განსაკუთრებულად აგრესიული ქსენოფობიური, ნეონაცისტური იდეებით გამოირჩევიან.

ულტრამემარჯვენეთა მეორე კატეგორია ძირითადად ანტიგლობალისტური და ანტიმიგრაციული იდეების გარშემო ერთიანდება და შედარებით ნაკლებად იყენებს მემარცხენე ეკონომიკურ ელემენტებს. მაგალითად გამოდგება ავსტრიული, ჰოლანდიური, ფინური, იტალიური, ბრიტანული, შვეიცარიული და ნორვეგიული ულტრამემარჯვენე და კონსერვატიული ანტიმიგარციული პარტიები.

არანაკლებ გავლენიანი ძალაა გერმანული მემარჯვენე პოპულისტური პარტია „ალტერნატივა გერმანიისათვის“. იგი გერმანიის პარლამენტში მესამე ძალად შევიდა. მისი რეიტინგი მკვეთრად გაიზარდ გაიზარდა ბერლინის საშობაო ბაზრობაზე განხორციელებული ტერაქტის შემდგომ. ასევე უნგრული პარტია ფიდეში, ვიქტორ ორბანის ხელმძღვანელობით, რომელიც მმართველი პარტიაა, თუმცაღა მის მიერ განხორციელებული ანტიდემოკრატიული პოლიტიკური ქმედებები – იქნება ეს მედია-საშუალებებზე გავლენის მოპოვება, გარე ფინანსებით უნგრეთში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების აკრძალვა თუ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის დახურვის სურვილი – ევროპული ღირებულებებისაგან რადიკალურად განსხვავებულია.

პოლონეთის პარტია სამართალი და სამართლიანობა (PS), რომელიც ასევე მმართველი პარტიაა პოლონეთში, მაგრამ უხეშად არღვევს დემოკრატიულ ლიბერალურ ღირებულებებს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქვეყანასი მედიისა და სასამართლოს დამოუკიდებლობას. პარტიის ქმედებებმა სიტუაცია იქამდე გაართულა, რომ ბრიუსელში პოლონეთის მიმართ, ისტორიაში პირველად, ამს-

ტერდამის ხელშეკრულების მეშვიდე მუხლის ამოქმედებაზე დაიწყეს საუბარი, რაც ქვეყნისათვის ევროკავშირის ინსტიტუტებში ხმის უფლების ჩამორთმევას ითვალისწინებს.

თავად ევროკავშირშიც არსებობენ პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც საკუთარ ხედვებად ევროგაერთიანების ღირებულებების საწინააღმდეგო იდეები აქვს ოფიციალურად დაფიქსირებული და ევროგაერთიანების მომავალს სკეპტიკურად უყურებენ. ასეთი დაჯგუფებებია: ევროპარლამენტში სიდიდით მესამე პოლიტიკური გაერთიანება „ევროპელ კონსერვატორ და რეფორმისთა (ECR)“ მემარჯვენე – ცენტრისტული პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც წარმომადგენლობით ორგანოში აერთიანებს ევროპის 10 სხვადასხვა ქვეყნიდან კონსერვატორულ პარტიებს, დეპუტატებს სხვა პოლიტიკური პარტიებიდან და 13 დამოუკიდებელ კანონმდებელს. ჯგუფი 2009 წელს დაფუძნდა და ბრიუსელში ევროსკეპტიციზმისა და ანტიფედერალიზმის პოლიტიკურ ხედვებს აწარმოებს; პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი ევროპა და პირდაპირი დემოკრატია (EFDD)“, რომლის წამყვანი პარტიაა ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტია (UKIP), რომლის ლიდერის ნაიჯელ ფარაჯის დიდი დამსახურებაა დიდი ბრიტანეთის მიერ ევროგაერთიანების დატოვების გადაწყვეტილების მიღება; იტალიური ხუთი ვარსკვლავის მოძრაობა (MoVimento 5 Stelle) და პოლიტიკური გაერთიანება „ერების ევროპა და თავისუფლება (ENF)“, რომლის წევრი პარტიებია: საფრანგეთის ნაციონალური ფრონტი (NF), იტალიის ჩრდილოეთის ლიგა (Lega Nord), ჰოლანდიის პარტია თავისუფლებისათვის (PVV) და გერმანული ალტერნატივა გერმანიისათვის (A&D). ეს გაერთიანებები გამოირჩევიან ეროვნული სუვერენიტეტის დაცვის, პოპულიზმითა და ანტიმიგრაციული რიტორიკით.[361]

ულტრამემარცხენეები. მდგომარეობა განსხვავებულია დიდ ბრიტანეთში, სადაც მიუხედავად მზარდი ანტიგლობალისტური

[361] 1tv.ge/projecys/analy tics/?page=derail8id=17/558.

სენტიმენტებისა, ულტრამემარჯვენე იდეოლოგია პოლიტიკური პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის ნაციონალური პარტია და ინგლისის უსაფრთხოების ლიგა გარკვეული მხარდაჭერით სარგებლობენ, მათი გავლენა რეალურად ძალიან მცირეა. ბრიტანეთის მრავალსაუკუნოვანი ლიბერალური ტრადიციის გათვალისწინებით, აქ რადიკალურ პარტიებს წარმატების ნაკლები შანსი აქვთ, შესაბამისად, მათაც უწევთ არსებული, დამკვიდრებული პოლიტიკური სისტემის ფარგლებში მოქმედება, რადგანაც ძალადობისკენ მოწოდება უბრალოდ წაგებიანია.

რაც შეეხება ულტრამემარცხენე რადიკალურ პარტიებს, გარკვეულ წილად, ისინიც საკმაოდ ძლიერდებიან. ევროპელი პოლიტიკური კომენტატორების პროგნოზების მიხედვით, რადიკალი სოციალისტების მხარდაჭერა იზრდება ჰოლანდიაში და ჩეხეთში. ამ უკანასკნელში კომუნისტურ პარტიას 1989 წლის შემდეგ პირველად გაუჩნდა მთავრობაში მოხვედრის რეალური შანსი. ულტრამემარცხენე მოძრაობა ასევე გავლენით სარგებლობს საბერძნეთსა და გერმანიაში. 2012 წლიდან მოყოლებული, საბერძნეთის პარლამენტში სირიზა მეორე უდიდესი პარტიაა, ხოლო გერმანიაში ულტრამემარცხენე Die Linke – სოციალ-დემოკრატების და ყოფილი კომუნისტების გაერთიანება – პარლამენტში მესამე ძალად მოგვევლინა.

ამ პროცესების პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გლობალური პოლიტიკის დღის წესრიგში გარკვეული ცვლილებები ხდება, ერთი მხრივ, ევროპული ლიბერალიზმის კრახის პროგნოზის საფუძველს იძლევა არალიბერალური ძალების პოპულარობის ზრდის დინამიკა, თუმცაღა მეორე მხრივ, თუკი მარკ ტვენის პერიფრაზს მოვახდენთ, „ჭორები ლიბერალიზმის გარდაცვალების შესახებ შესაძლოა ნაადრევი იყოს“. ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა უახლესი პოლიტიკის ისტორიის მაგალითები. მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, ნატოს

მაგალითი, როდესაც ფუნქციადაკარგულმა და დაშლის პირას მყოფმა ორგანიზაციამ, შეძლო ფენიქსივით ფერფლიდან აღდგენა და ინტერვენციის უფლების მიკუთვნებითა და აღმოსავლეთით გაფართოების შედეგად ახალი სუნთქვა შეიძინა; ასევე ლიბერალიზმის რეანიმაციის სასარგებლოდ მეტყველებს არჩევნების შედეგები ევროპულ სახელმწიფოებში, რომლის მიხედვითაც:

- ➢ ავსტრიელმა ამომრჩევლებმა არ დაუჭირეს მხარი ევროსკეპტიკოსს, მიგრანტების მოწინააღმდეგე და ანტიისილამისტ კანდიდატს ნობერტ ჰოფერს ევროკავშირის წევრი ქვეყნის პირველი რადიკალი მემარჯვენე პრეზიდენტის რანგში და არჩევანი შეაჩერეს პროევროპულ მემარცხენე ალექსანდ ვან დერ ბელენზე.
- ➢ ჰოლანდიის 2017 წლის 15 მარტის საყოველთაო არჩევნებში პოპულისტ გეერტს უილდერი დამარცხდა ლიბერალ მარკ რუთესთან ბრძოლაში.
- ➢ საფრანგეთის 2017 წლის 7 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებში კი ნაციონალისტ-პოპულისტი და ანტიგლობალისტი მარენ ლე პენის ნაცვლად გამარჯვება წილად ხვდა პროევროპული შეხედულებების მქონე ემანუილ მაკრონს. [362]

როგორც ვხედავთ, ძალაუფლებაში ჯერ კიდევ პროევროპული პოლიტიკოსები რჩებიან, რაც გვაძლევს რწმენის საფუძველს, რომ ევროპა იპოვის გამოსავალს ნაციონალისტურ-პოპულისტური, ევროსკეპტიკური და ანტიმიგრაციული გზიდან.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტი „United we stand, divided we gall“ (გაერთიანებულნი მყარად ვდგავართ, დაყოფილნი დაეცემით“) (10), რომელმაც მალტის სამიტის წინ გადაუგზავნა ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანას, შეეხო ახალ გეოპოლიტიკური რეალობას: ტრამპის ამერიკის თავისებურებებს; რუსეთის აგრესიას მის უახლოეს საზღვრებში, ნაციონალიზმის აღზევებას, ქსენოფობიასა და პოპულიზმს ევროპულ პოლიტიკაში და გამოთქვა რწმენა, რომ ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო აქტორი, მხოლოდ იმ შემ-

[362] 1tv.ge/projecys/analy tics/?page=derail8id=17/558.

თხვევაში დარჩება ძლიერი, თუ იქნება „სრულიად დამოუკიდებელი“ რუსეთის, ჩინეთის და აშშ-ს გავლენისაგან.

აშშ-ს 45-ე პრეზიდენტის დონალდ ჯონ ტრამპის ნეოკონსერვატორული პოლიტიკა

თანამედროვე ეტაპზე პოლიტიკურ ძალთა კონფიგურაციის ზერელე პროფილირების საფუძველზეც კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფუკუიამას პროგნოზები კონკრეტულ შემთხვევაში უკვე აღარ შეიცავს უტოპიზმის ნიშნებს. დღეს თავად დასავლეთში ლიბერალური ინსტიტუტების კრიზისის ფონზე ძალას იკრებს ლიბერალიზმის საპირწონე ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც სწორედ ოჯახის სტრუქტურაზე, მორალურ ფასეულობებზე, რელიგიაზე, ეთნიკურ ცნობიერებაზე, ისტორიულ ტრადიციებსა და სხვა კონსერვატორულ ფასეულობებზე აკეთებს აქცენტს. ევროატლანტიკურ სივრცეში „დომინოს პრინციპით“ გავრცელებულმა პოპულისტურმა და ნაციონალისტურმა მოძრაობამ საფუძვლები მოუმზადა აშშ-ს სათავეში კონსერვატორი დონლად ტრამპის მოსვლას. ასევე დიდი როლი შეასრულა ბრექსიტმაც. ის გახდება სერიოზული ბიძგი დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო კამპანიისათვის. თავისი არსით, ბრექსიტი ასახავს რეალობას, რომელიც გავრცელებულია მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში: მზარდი მხარდაჭერა პოპულისტური პარტიებისადმი, რომლებიც მიგრაციის პოლიტიკის გამკაცრებას ემხრობიან. ევროპისა და შეერთებული შტატების მოსახლეობის თითქმის ნახევარს, დიდწილად ამომრჩევლებს მუშათა კლასიდან, მიაჩნიათ, რომ მიგრაციის პროცესი უკონტროლო გახდა, რითაც საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ წესრიგს და კულტურულ ნორმებს. ტრამპის მხარდამჭერები ამერიკაში ეწინააღმდეგებიან ქვეყანაში არალეგალების ცხოვრებას, რომლებიც 11 მილიონ ადამიანს შეადგენენ, დიდწილად ლათინო-

სებს, რომელთა უმრავლესობა მშვიდობიანი და პროდუქტიული ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ შესაბამისი ვიზების ან მუშაობის უფლების გარეშე. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ტრამპი ხედავს ნეოკონსერვატორული იდეოლოგიის რეანიმაციაში.

პირველი ნეოკონსერვატორები იყვნენ ძირითადად ებრაელი ლიბერალები, რომლებიც ეწინაამდეგებოდნენ ამერიკის სამხედრო ბიუჯეტის შემცირებას და ამას ხსნიდნენ ამერიკის როლის შემცირების საშიშროებით მსოფლიოში. უკვე ორი ათეული წლის მანძილზე, კონსერვატიზმი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გავლენიან პოლიტიკურ ძალად გვევლინება, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საზოგადოებრივი განვითარების ხასიათს და მიმართულებას დასავლეთის ქვეყნებში. კონსერვატიზმი, როგორც იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, სათავეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროიდან იღებს. იგი გამოვლინდა, როგორც გავლენიანი სოციალური, ინტელექტუალური და პოლიტიკური წრეების რეაქცია იმ მოძრაობებზე, რომელმაც შეარყია ასეული წლის მანძილზე არსებული საზოგადოებრივი წყობის საფუძველი. ამის გამო, კონსერვატიზმი ზოგჯერ გათანაბრებული იყო იმ ძალებთან, რომლებიც დრომოჭმული წყობის რესტავრაციით იყვნენ დაინტერესებულნი. თუმცა, ასეთი ინტერპრეტაციისათვის მაშინ გარკვეული საფუძველიც არსებობდა, შემდგომში კონსერვატიული დოქტრინების განვითარებამ და კონსერვატორთა პრაქტიკულმა საქმიანობამ ეს აზრი დაადასტურა. ადამიანები, რომლებიც თავს კონსერვატორებად თვლიდნენ, რევოლუციონერებისგან თავის განსხვავებას იმაში კი არ ხედავდნენ, რომ რევოლუციონერები არსებული წყობის დამხობას ქადაგებდნენ, ხოლო კონსერვატორები მის შენარჩუნებას, არამედ იმაში, რომ მომწიფებული საზოგადოებრივი ამოცანების გადაჭრის გზები მათ სულ სხვადასხვაგვარად წარმოედგინათ. ტრადიციული კონსერვატიზმის აღიარებული კლასიკოსი, ინგლისელი ფილოსოფოსი ე. ბერკი ასე მსჯელობდა: „მაშინაც კი, როცა მე ვიცვლები მე უნდა შევნარჩუნდე“ მასვე მიაჩნდა „რომ

სახელმწიფო, რომელიცარ ფლობს საკუთარი ცვლილებების შესაძლებლობებს, იგი თავის შენარჩუნების შესაძლებლობებსაც მოკლებულია", ანუ კონსერვატორებს მიაჩნიათ, რომ რაც შეიძლება მეტად შენარჩუნდეს სახელმწიფო მართვის ძველი სტილი, ე.ი. საზოგადოებრივი წყობაც იმგვარად უნდა შეიცვალოს რომ მისი ძველი იერსახის გარკვეული ნიშნები დაცული დარჩეს. ამიტომ ამბობდა ინგლისელი მეცნიერი მ. ოკუშეტი: იყო კონსერვატორი, ნიშნავს უპირატესობა მიანიჭო ცნობილს – უცნობთან შედარებით; პრაქტიკით შემოწმებულს, გამოუცდელთან შედარებით; ფაქტს – მოგონილთან შედარებით; სინამდვილეს – შესაძლებლობასთან შედარებით; შემოფარგლულს – უსასრულოსთან შედარებით; ახლობელს – შორეულთან; ჩვეულებრივს – სრულყოფილთან; დღევანდელ დამაკმაყოფილებელს – უტოპიურ ღვთაებრივთან შედარებით და ა.შ. (ე. ჰეივუდი. პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ., 2001, გვ. 87). სულ მალე, საფრანგეთის რევოლუციისა და პირველი ცდების შემდეგ, რაც ყველაზე რეაქციულმა მონარქიულმა ძალებმა განახორციელეს, კონსერვატიზმი წარმოჩინდა არა იმდენად რევოლუციის ანტიპოდი, რამდენადაც ლიბერალიზმისა და სოციალ-რეფორმიზმის ალტერნატივა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში კონსერვატორებმა, უპირატესად, ორიენტაცია აიღეს სოციალური სახელმწიფოს (კეთილღეობის სახელმწიფოს) შექმნაზე, რომელიც მოწოდებულია აქტიურად ჩაერიოს ქვეყნის ეკონომიკაში. ეკონომიკური პროგრამით კონსერვატორები საბოლოო ჯამში, ლიბერალიზმზე უფრო „მემარცხენეები" აღმოჩნდნენ. ბოლო წლებში, კონსერვატიზმმა მრავალი სახეცვლილება განიცადა, მაგრამ როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, იგი არა თუ შენარჩუნდა, არამედ საგრძნობლად გაფართოვდა. თუმცა, სახელწოდება კონსერვატიული ოფიციალურად პარტიათა მხოლოდ მცირე ჯგუფს შემორჩა, მაინც შესამჩნევია, რომ დასავლეთის ბევრი პოლიტიკური პარტია კონსერვატულ ღირებულებათა და ტრადიციათა ერთგული რჩება (ან მის

აშკარა გავლენას განიცდის). ეს შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკურ პარტიასაც და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილ ბევრ ახალ ბურჟუაზიულ პარტიასაც, როგორიცაა იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია და მთელი რიგი სხვა პარტიები. მიმდინარე საუკუნის 70-იან წლებიდან იწყება ახალი ეტაპი კონსერვატიზმის განვითარებაში – ნეოკონსერვატიზმის პერიოდი. მეცნიერებასა და იდეოლოგიაში ნეოკონსერვატიზმის პოზიციების განმტკიცება თანხლებული იყო პოლიტიკურ ცხოვრებაში ნეოკონსერვატიული განწყობილების ზრდით. იგი განსაკუთრებით აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში იგრძნობოდა, სადაც ახალი მკაცრი კონსერვატიული დოქტრინებით თავიანთ პარტიებში მალე მოიპოვეს ლიდერობა რ. რეიგენმა, მ. თეთჩერმა და სხვებმა.

ტერმინი „ნეოკონსერვატორი“ თავდაპირველად გამოყენებულ იქნა „მარჯვნივ გასული“ ლიბერალების აღსანიშნავად. სიტყვა ნეოკონსერვატორი პირველად გამოიყენა სოციალ-დემოკრატმა, მაიკლ ჰარინგტონმა 1973 წელს ჟურნალის „Dissent“ში დაბეჭდილ სტატიაში „სოციალური პოლიტიკის შესახებ“. პირველი ნეოკონსერვატორი, რომელიც ითვლება ამ მიმდინარეობის დამფუძნებლად, ირვინ კრისტოლი იყო, რომელმაც საკუთარი შეხედულებები ჩამოაყალიბა 1979 წლის სტატიაში „Confessions of a True, Self-Confessed Neoconservative“ („ნამდვილი, თვითაღიარებული ნეოკონსერვატორის აღიარება“). ნეოკონსერვატიული იდეების გავლენა იზრდება რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე ნეოკონსერვატორთა ზეგავლენა აშშ-ს 43-ე პრეზიდენტის ჯორჯ უოკერ ბუში უმცროსის პრეზიდენტობის პერიოდში.

„ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ ამ სენტენციით მოვიდა 2017 წლის 20 იანვარს აშშ-ს სათავეში ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტი, ბიზნესმენი დონალდ ჯონ ტრამპი. მან ამერიკის განსაკუთრებულობაზე აპელირებით გაცილებით მომგებიანი

პოზიცია დაიკავა საარჩევნო კამპანიის დროს მისი კონკურენტი მულტილატერალისტი ჰილარი ქლინთონისაგან განსხვავებით, რადგანაც ტრამპი მთელი საარჩევნო კამპანიის მანძილზე აპელირებდა უნილატერალისტული კონცეფტით, ირწმუნებოდა, რომ თითქოს მხოლოდ მას ადარდებდა თუ „რა არის კარგი ამერიკისათვის“.

მან შეძლო მოსახლეობის ნაციონალური გრძნობების მობილიზება და მანიპულირება უნილატერალისტული რიტორიკის მეშვეობით, რომელიც თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის, NAFTA-ის, ტრანსწყნაროკეანეების პარტნიორობისა და „გლობალური დათბობის“ და სხვა ხელშეკრულებების შესახებ ნეგატიურ სენტენციებზე იყო დაფუძნებული. ტრამპი საგარეო ურთიერთობებში შეეცადა ბიზნეს-ურთიერთობების სტილი შემოეღო. ურთიერთხელსაყრელი, მათ შორის ეკონომიკური გარიგებების სახით – იქნებოდა ეს ამერიკისთვის არახელსაყრელი შეთანხმებების გაუქმება წყნარი ოკეანის ქყვეყნებთან. ე.წ. წყნარი ოკეანის პარტნიორობის შეთანხმებით თუ ფინანსური ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა ნატოელი მოკავშირეებისგან. რომელნიც, მისი და არა მარტო მისი აზრით, მიეჩვივნენ ამერიკის ხარჯზე პარაზიტირებას, და არ შეჰქონდათ სავალდებული თანხის მინიმუმიც კი (მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ი) ნატოს ბიუჯეტში, მაშინ როცა აშშ ნატოს ბიუჯეტის 75%-ს ფარავდა და ეს იმ პირობებში, როცა აშშ-ს სახელმწიფო ვალი 19 ტრილიონ აშშ დოლარს აღწევდა და მაინც აშშ ხარჯების შეუდარებლად მაღალ წილს იღებდა საკუთარ თავზე მოკავშირეების უშიშროების უზრუნველსაყოფად. თანაც ხშირად ნატოს მაინც მთავარ ოპონენტთან – რუსეთთან ამერიკის ზურგს უკან აგვარებდნენ საქმეებს. მან აიძულა ჩინეთი აღედგინა ამერიკული ძროხის ხორცის შესყიდვა. საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრები ჰქონდა ტრამპს ჩინეთის ლიდერთან. აქტიურად თანამშრომლობს მასთან ჩრდილოეთ კორეის ბირთვული საფრთხის შეჩერებაში. ტრამპმა მკვეთრად გამოხატა მისი უარყო-

ფითი დამოკიდებულება ირანის მიმართ. რუსეთთან და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად იგი ყველაზე აგრესიული და სახიფათო ქვეყნებს რიგში ჩააყენა.

ტრამპი უკმაყოფილოა ირანთან მიღწეული შეთანხმებით ატომური ენერგიის თაობაზე. ფაქტობრივად „ისლამური სახელმწიფოც“ ამერიკელების ბოლოდროინდელი მოქმედების წყალობით განადგურდა ერაყსა და სირიაშიც. უაღრესად მნიშვნლოვანი, თუმც ბევრისთვის წინაღმდეგობრივი იყო იერუსალიმის ცნობა ისრაელის დედაქალაქად და იქ ამერიკული საელჩოს გადატანის განზრახვაზე გადაწყვეტილების მიღება, რასაც ამერიკელი პრეზიდენტები თითქმის 20 წლის განმავლობაში აყოვნებდნენ.

ტრამპის პლატფორმის ყველაზე პოპულისტური ნაწილი დაკავშირებული იყო საიმიგრაციო კანონმდებლობის გაძლიერებასთან, მათ შორის, კედლის აშენებასთან აშშ-მექსიკის საზღვარზე. 2015 წლის ნოემბრის პარიზის ტერაქტების შემდეგ, ტრამპი გამოვიდა მოწოდებით დროებით აეკრძალათ მუსლიმთა იმიგრაცია აშშ-ში. შედეგიც დაიდო. ტრამპის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომების წყალობით არალეგალ ემიგრანტთა რიცხვი 2017 წელს 70 პროცენტით შემცირდა. მექსიკის საზღვარზე სრული კედელი თუ არა, სერიოზული კონტროლი მყარდება, რაც ამერიკას დაიცავს ამ საზღვრის გავლით ამერიკაში არა მარტო მექსიკელი, არამედ მთელი ლათინური ამერიკის და ალბათ სხვა ქვეყნების არალეგალური ემიგრაციის ნაკადისგან. მან გერმანულ Bild-თან და ბრიტანულ Times-თან საგარეო პოლიტიკის საკითხებზე მოცემულ ინტერვიუში, გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკერის საიმიგრაციო პოლიტიკას „კატასტროფული შეცდომა“ უწოდა. „ვფიქრობ, მან ერთი კატასტროფული შეცდომა დაუშვა ყველა არალეგალი მიიღო. არავინ იცის, საიდან მოვიდა ეს ხალხ. – აღნიშნა ტრამპმა. ტრამპმა აღნიშნა, რომ მერკელი ამ დრომდე ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი ლიდერი იყო და ევროკავშირი გერმანიის პოლიტიკის გამტარად იქცა. ტრამპის თქმით, ბრიტანეთის

მიერ ევროკავშირის დატოვება ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო, რადგანაც ბრიტანელებს უნდოდათ საკუთარი იდენტობის შენარჩუნება და თუ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს არ დააძალებდნენ დევნილების მიღებას, იმ შემთხვევაში ბრიტანეთი ევროკავშირიდან არ გავიდოდა.

ტრამპის გათვლები წინასაარჩევნო კამპანიის დროს ძალზე პრაგმატული იყო და ემყარებოდა აშშ-ს პოლიტიკის რეალურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ანალიზს. მისი ორი ყველაზე პოპულარული ლოზუნგი იყო „ამერიკა – უპირველეს ყოვლისა„ და „დავაშროთ ვაშინგტონის ჭაობი“.

2008 წლის კრიზისმა ფუნდამენტურად შეარყია აშშ-ის ეგალიტარული ცხოვრების წესის როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ფუნდამენტი, რადგან მარტო 2008-2009 წლებში 500 000-მა ოჯახმა ამერიკაში დაკარგა სახლი, 7 ტრილიონზე მეტით შემცირდა ამერიკული კომპანიების კაპიტალიზაცია, თითქმის 4 ტრილიონი დააკლდა ღირებულებაში აშშ-ში უძრავ ქონებას, უამრავმა ადამიანმა დაკარგა ბანკებში შენახული ფული. საშუალო კლასის წარმომადგენელი ოჯახების რაოდენობა ბოლო 7 წლის განმავლობაში 61%-დან 51%-მდე შემცირდა; ყოველი მესამე ადამიანი, რომელიც საშუალო კლასის ოჯახში დაიბადა, აღარ მიეკუთვნებოდა იმავე კატეგორიას, იმ დროს როცა ყველაზე მდიდარი 1%-ის შემოსავალი თითქმის 200-ჯერ გაიზარდა. სწორედ ამ მიზეზთა გამო ამერიკელმა ამომრჩეველმა მხარი დაუჭირა არა დონალდ ჯონ ტრამპის პროგრამას, რომელიც ნაკლებად იყო ცნობილი, თუ არ ჩავთვლით მის რამდენიმე პუნქტს, არამედ მან ხმა მისცა არსებული ბიუროკრატიის წინააღმდეგ, რომელიც საკუთარი მოქალაქეების პრობლემების გადაწყვეტის გარდა ყველა სხვა საკითხით იყო დაკავებული. ერთადერთი კვლევითი ორგანიზაცია USC და გაზეთი „Los Angeles Times“ იყო, ვინც ივნისის ბოლოდან დაწყებული, გამარჯვებას ტრამპს უწინასწარმეტყველებდნენ.[363]

[363] http://accent.com.ge/ge/news/details/25197.

ტრამპის გამარჯვებაში ლომის წილი მიუძღვის ასევე ინტერნეტ-მედიასა და მედეამაგნატს სტივ ბენონს, რომლის მიერ მართული ულტრამემარჯვენე და ულტრაკონსერვატიული ტიპის საიტი უდიდესი პოპულარობით და გავლენით სარგებლობს და რომელსაც 2 მილიარდი მომხმარებელი ჰყავს. მოქმედ პოლიტიკოსთა შორის, ტრამპმა პირველმა გამოიყენა და სრულად შეიგრძნო სოციალური მედიის ძალა, რადგანაც სოციალურ მედიას საზოგადოების მანიპულირების გაცილებით უფრო დიდი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე ტელევიზიას. ერთი მხრივ, ეს არის უდიდესი შესაძლებლობები და მეორე მხრივ, საზოგადოებით მანიპულირების უდიდესი რესურსი. საუბარია იმაზე, რომ სოციალურ მედიაში ადამიანების აქტივობების მიხედვით სტივ ბენონის კოორდინატორობით კომპანია „კემბრიჯ ანალიტიკა“-მა, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ტრამპის სოციალურ მედიასთან კონტაქტს ახორციელებდა, შექმნა ამერიკის 220 მილიონი ამომრჩევლის ფსიქოლოგიური პორტრეტი. საკმარისი იყო ადამიანის მიერ სოციალურ ქსელში ყოფილიყო დაფიქსირებული 150 მოწონება, რომ შესაბამისი სპეციალისტები შეადგენდნენ ამ ადამიანის ზუსტ ფსიქოსოციალურ პორტრეტს და უფრო დაწვრილებით შეისწავლიდნენ მის პოლიტიკურ გემოვნებას, ვიდრე ეს საკუთარი ოჯახის წევრებს ეცოდინებოდათ. და ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ადამიანის მანიპულირება უკვე მარტივი საქმე იყო.

ტრამპი ამ ექსპერიმენტის მეორე მონაწილე იყო. პირველად, ამომრჩევლის ამგვარი „ზომბირება“ განხორციელდა დიდ ბრიტანეთში ჩატარებული ბრექსიტის რეფერენდუმისას, რომელიც დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოყოფით დამთავრდა. იგივე კომპანია „კემბრიჯ ანალიტიკა“ ჩართული იყო საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის არჩევნებშიც. კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც ეს კომპანია ახორციელებდა არის ე.წ. ფეიკნიუსების გავრცელება და საინფორმაციო თემების თუ საბაბების ხელოვნურად შექმნა: მაგალითად, ბრექსიტის წინა პერიოდში, სოცია-

ლურ ქსელ „ტვიტერ“-ში განთავსებული ინფორმაციების ერთი მესამედი იყო არა ცოცხალი ადამიანების მიერ გავრცელებული, არამედ ამ კომპანიის მიერ შექმნილი ხელოვნური ინტელექტის ანუ ამ შემთხვევაში, ხელოვნური ინტერნეტ მომხმარებლების, რომლებიც ისე იყვნენ დაპროგრამებული, რომ შეეძლოთ საუბრის თემის შეცვლა და მათთვის მნიშვნელოვანი თემების შექმნა და აქტუალიზაცია.[364]

ტრამპის შესახებ რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ერთი მხრივ, სხვადასხვა გამოკითხვების შედეგად ჰარი ტრუმენის შემდეგ იგი ყველაზე არაპოპულარული პრეზიდენტია. ტრამპს ახასიათებს პოლიტკორექტული თვალსაზრისით საკმაოდ ხისტი გამოთქმები ან განცხადებები ტვიტერში, თუნდაც იგივე ანტიისლამური ტექსტები ტვიტერში, რამაც იგი ლამის საზოგადოების მტრად აქცია ბრიტანეთში. მეამბოხე ტრამპმა, რომელმაც ნამდვილი კონტრრევლუცია მოაწყო მედიის წინააღმდეგ, ინტენსიურად უმტკიცებს მას, რომ ის მეორე უძველესი პროფესიაა. 2017 წელს მედიაში ტრამპზე გავრცელებული ინფორმაციის 90% უარყოფითი იყო. სულ ახლახან ტრამპმა გამოაქვეყნა „მატყუარა მედიის“ კონკურსში გამარჯვებულები და პირველ ადგილზე „ნიუ-იორკ ტაიმსი“ გაიყვანა, რომელიც წინასწარმატყველებდა რომ ტრამპის პრეზიდენტობას ლამის საფონდო ბირჟის ჩამოშლა მოჰყვებოდა. დონალდ ტრამპის რადიკალური წინასაარჩევნო დაპირებები აშფოთებდა და კვლავ აშფოთებს ექსპერტების ნაწილს, მათ მიაჩნიათ, რომ ჰომოფობიაში და ისლამოფობიაში მრავალგზის მხილებული, არაპროგნოზირებადი ტრამპი საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული ღირებულებებისთვისა და მთელი მსოფლიოსათვის. გერმანიის პრეზიდენტმა ფრანკ-ვოლტერ შტაინმაიერმა ევროპელ ლიდერებს და პოლიტიკოსებს დონალდ ტრამპის საფრთხესთან საბრძოლველად გაერთიანებისაკენაც კი მოუწოდა.

[364] WWW.For.Ge/Services

მეორეს მხრივ კი ზემონათქვამის საპირისპიროდ, ტრამპით აღტაცებულიც უამრავია დღევანდელ ამერიკაში. ამ ხალხისთვის ტრამპი სასურველი აღმოჩნდა ძლიერი ცვლილებების სურვილი გამო, რისთვისაც ის არჩიეს ჰილარი კლინტონს.[365]ამერიკელი ზოგიერთი კონსერვატული ორგანიზაციის ლიდერი ტრამპს გენიალურ პოლიტიკოსადაც კი ნათლავს. ადამიანიად, რომელიც პოლიტიკას გარედან მოევლინა და რომლის მსგავსი ამერიკას არ ჰყოლია „მამა დამფუძნებლების“ შემდეგ.

ზოგი ტრამპს, მისი აზრით, პირველ პოპულისტ პრეზიდენტს (1829-37 წწ.) ენდრიუ ჯექსონსაც ადარებს, რომელიც სხვასთან ერთად ინდიელების მიმართ სასტიკი პოლიტიკით და მართვის საკმაოდ ავტორიტარული სტილით გამოირჩეოდა. მაგრამ ითვლება, რომ მიუხედავად მაშინდელი არაპოლიტკორექტულობისა, მან ბევრი რამ გააკეთა შეერთებული შტატების გაძლიერებისთვის. ჯერჯერობით ტრამპის ადმინისტრაციის ყველაზე ეფექტური წარმატება გადასახადებისა და ბიზნესის წარმოებისთვის სხვადასხვა სახის მკაცრი რეგულიაციების მნიშვნელოვანი შემცირებაა, რადგანაც ბოლო ათწლეულების მანძილზე, უმცროსი ბუშის შემდეგ, ასეთი მასშტაბური შემცირება არ განხორციელებულა. ტრამპმა თავისი უშუალო მცდელობით დააბრუნა ამერიკის ტერიტორიაზე მექსიკაში, ჩინეთში და კიდევ სხვა ბევრ ქვეყანაში გადატანილი ქარხნები და ასეთი მოქმედება სერიოზულ ტენდენციად აქცია – ერთის მხრივ პრივილეგიების ზრდით და მეორე მხრივ, პირდაპირი მუქარის მეშვეობით, რომ გაუზრდიდა სატარიფო გადასახადს უცხოეთში გატანილი ქარხნების პროდუციას. იაპონელებს „ტოიტას“ ახალი ქარხნის გახსნაც კი აიძულა ამერიკაში. დადებითი როლი ითამაშა ტრამპის პატრიოტულმა მოწოდებამ - იყიდეთ ამერიკული პროდუქცია და დაიქირავეთ ამერიკელები. დიდია ტრამპის მხარდაჭერა ვეტერანების მიმართ. მას სავსებით სწორად მიაჩნია, რომ სახელმწიფოს ღირსებაა ვეტერანების ჯანმრთელობა

[365] იქვე

და მათდამი დამოუკიდებულების გამოხატვა. უამრავი საპრეზიდენტო განკარგულება და საკანონმდებლო ინიციატივა გამოიტანა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სხვათა შორის, ზოგიერთი შავკანიანი ფეხბურთელის მიერ ამერიკის ჰიმნის უპატივცემულობაც ნაწილობრივ ამ საკითხს მიაბეს – ეს ხალხი ქვეყნისთვის თავდადაბულ ვეტერანებს არ სცემს პატივსო. მნიშვნელოვანია დონალდ ტრამპის მიერ ხელმოწერილი საკანონმდებლო აქტი საქართველოსთან მიმართებაში, რომლითაც დაწესდა შეზღუდვა ნებისმიერ აშშ დაფინანსებაზე იმ სახელმწიფოსი, რომელიც არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ტრამპმაც გაზარდა სამხედრო ხარჯები მისი ნეოკონსერვატორი წინამორბედი რონალდ რეიგანის მსგავსად, რომელმაც, როგორც ისტორიიდან ცნობილია, 1983 წელს ხელის აწევით შეაჩერა დისკუსია და განაცხადა – „მე ვარ ამერიკის პრეზიდენტი, მთავარსარდალი. ჩემი მთავარი პასუხისმგებლობა ამერიკის უსაფრთხოებაა... თუ ჩვენ არ გვექნება უსაფრთხოება, აღარც სოციალური პროგრამების საჭიროება გვექნება. ასე რომ გავაგრძელოთ ამ სამხედრო პროგრამებით“. რეიგანის წარმოთქმული ფრაზა: ,,stay the course - ნუ შევცლით აღებულ გეზს“, მაშინ როდესაც რეიგანომიკა არ იძლეოდა შესაბამის შედეგს და მისი უახლოესი მოკავშირეებიც მას ტრადიციული რეცეპტების აღდგენას ურჩევდნენ – ისტორიულ ფრაზად იქცა. და მართლაც 1984 წლიდან ამერიკის ეკონომიკამ გამოცოცხლება და აყვავებაც კი დაიწყო.

კონსერვატული ამერიკა ბედნიერია, რომ ლიბერალთა თითქმის აბსოლუტური ბატონობის პერიოდთან შედარებით, ისევე როგორც 1980-იან წლებში, ამერიკაში იზრდება კონსერვატული ტენდენციები. მათ შორის მორალურ-ეთიკურ საკითხებში იქნება ეს აბორტების თემა თუ ერთსექსიანი ქორწინება და სხვა.

ტრამპი ამერიკის კვლავ ძლევამოსილ, ანგარიშგასაწევ ქვეყანად აღორძინებას ცდილობს. ამერიკა კვლავ რჩება ევროატლანტიკური სამყაროს გადარჩენის მთავარ ძალად, იქნება ეს მისი გადარ-

ჩენა რუსეთის აღორძინებული მილიტარიზმისგან, მზარდი ჩინური ან ინდური ამბიციებისგან თუ ისლამისტი ფუნდამენტალისტებისაგან.

დასავლური პროცესების ასახვა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში

ევროპის ეს ახალი პოლიტიკური კონფიგურაცია და ულტრანაციონალისტური თუ ულტრამემარცხენე პროგრამის მქონე პოლიტიკოსების მომძლავრება აუცილებლად პოვებს ასხვას ქართულ პოლიტიკაზე და, შესაძლოა საქართველოს ევროპულ პერსპექტივაზე, რადგანაც, სამწუხაროდ, ევროპული ულტრამემარჯვენე პარტიები ღიად გამოხატავენ რუსეთის პრეზიდენტის მიმართ სიმპათიებს. ევროპის ახალ პარლამენტში გაიზარდა იმ ულტრანაციონალისტური პარტიების (ფრანგული „სახალხო ფრონტი“, უნგრული „იობიკი“, ბრიტანული „დამოუკიდებლობის პარტია“, ჰოლანდიის „თავისუფლების პარტია“) წარმომადგენლობა, რომლებიც ღიად მეგობრობენ პარტია „ედინაია როსია“-სთან, ან გამოხატავენ სიმპათიებს რუსეთის პრეზიდენტის მიმართ. ეს შეიძლება პირდაპირ ნიშნავდეს პუტინის გავლენის გაფართოებას ევროპის პარლამენტში. რადიკალური პარტიების ძალისა და გავლენის ზრდა დაასუსტებს ერთიანი ევროპის პოზიციას და ევროკავშირს, რომელსაც საქართველოსთან მიმართებაში ზოგადად ახასიათებს გარკვეული სკეპტიკური და ორჭოფული მიდგომები და მას, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაუჭირდება თანმიმდევრული, მყარი და რუსული გავლენებისგან თავისუფალი პოზიციის ჩამოყალიბება ჩვენთან დაკავშირებით.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ეთნოკულტურული დანაწევრების მაღალი დონე აქვს, ასევე სამო-

ქალაქო ინტეგრაცია სუსტია, დემოკრატიული საჯარო-პოლიტიკური სივრცე მყიფე აღმოჩნდება ევროპული გამოწვევისათვის, რასაც მულტიკულტურალიზმი ჰქვია. საქართველოში მულტიკულტურალიზმის ოფიციალურ პოლიტიკად გამოცხადება გამოიწვევს იმას, რომ სახელმწიფომ ოფიციალურ დონეზე აღიაროს ქვეყნის კულტურული მრავალწევრიანობა და, ასევე, იზრუნოს მის განვითარებასა და დაცვაზე. ყოველივე კი განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოჰყოს შესაბამისი სახსრები, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურული მრავალწევრიანობის წახალისებას. დაწესებულებებში, საჯარო სამსახურებში, სკოლებში, უნივერსიტეტებსა და ა.შ. უნდა მოხდეს კვოტების დადგენა და წარმომადგენლობითობაც მხოლოდ ამით და გარკვეული ჩარჩოების საშუალებით განისაზღვრება, თუმცა შესაძლოა აგრეთვე ისიც, რომ სახელმწიფომ მულტიკულტურალისტური პოლიტიკის გარკვეული სტრატეგია განახორციელოს, მაგრამ, ამავდროულად, ის არ აქციოს ოფიციალურ პოლიტიკად.

ნიშანდობლივია, რომ მულტიკულტურალისტური დისკურსის ზოგიერთი ქვეყნის მიერ ოფიციალურ პოლიტიკად აღიარება მათი მხრიდან იძულებული ნაბიჯი იყო და მათ წინაშე მდგარი პრობლემების გამოძახილს წარმოადგენდა, მაგრამ ისინი ამ ნაბიჯზე, საქართველოსგან განსხვავებით, მძლავრი დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების და სახელმწიფოებრიობის პირობებში წავიდნენ. თუმცა, 100% სიკეთე არც მათთვის მოუტანია- პირიქით, ევროპულმა სახელმწიფოებმა უარი განაცხადეს მის ოფიციალურ პოლიტიკად აღიარებაზე და მის გარკვეულ ელემენტებს ახორციელებენ მხოლოდ. მისი ოფიციალურ პოლიტიკად გამოცხადება სულ რამდენიმე სახელმწიფომ თუ გაბედა.[366]

როგორც ვფიქრობთ, დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუციები ვერ გაუძლებს მულტიკულტურალიზმის ოფიციალურ პოლიტიკას, ამიტომაც, უმჯობესია, რომ მულტიკულტურალიზ-

[366] ზ. აბაშიძე, თანამედროვე პოლიტიკა, #4, თბ., 2012 .

მის გარკვეული ელემენტების გამოყენებაზე ზრუნვა და მის მოდიფიკაციაზე ქართულ რეალობაში, ვიდრე მულტიკულტურალიზმზე, როგორც ოფიციალურ პოლიტიკად გადაქცევაზე ფიქრი. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის მულტიკულტურულობა ამ დრომდე მხოლოდ მოცემულობად რჩება. ვერა და ვერ ხდება ამ რეალობის საზოგადოებაზე ასახვა. ისინი არაადეკვატურად, არაპროპორციულად არიან ჩართულნი ქვეყნის საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამის ნათელ მაგალითად თბილისის საკრებულოც გამოდგება. დედაქალაქში მრავალრიცხოვანი ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და სხვა ჯგუფებია, თუმცა ქალაქის საკრებულოს შემადგენლობა მხოლოდ ეთნიკური ქართველებით არის დაკომპლექტებული, ეს მაშინ, როდესაც მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ქართული ენა კარგად იცის. ენის ცოდნა მნიშვნელოვანია, თუმცა, ძალიან პრობლემატური საკითხია, განსაკუთრებით რეგიონებში.[367]

საგულისხმოა, რომ თანდათან იდგმება ნაბიჯები არაქართველი ეროვნების მოსახლეობისათვის საგანმანათლებლო ცენტრების შექმნისა, ასევე კეთდება ამ რთულ რეგიონებთან დამაკავშირებელი გზები. დღეს სულ უფრო მეტი აზერბაიჯანელი თუ სომეხი ახალგაზრდა სწავლობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. გაიზარდა ინტერესი ქართული ენის შესწავლისა. ასევე ძალიან ხშირად ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა ფორუმებსა და შეხვედრებში.[368]

როგორც ვიცით, საქართველომ, მიუხედავად მძიმე ისტორიულ-პოლიტიკური ყოფისა, შექმნა ათას ქარტეხილგამოვლილი, მრავალსაუკუნოვანი და დამოუკიდებელი ქართული ცივილიზაცია. როგორც დაუჯერებლად არ უნდა ჩანდეს, უკანასკნელმა ორმა ათეულმა წელმა, მისი შენარჩუნება ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მიიყვანა. შესაბამისად, არსებულმა რეალობამ, საქართველო დიდი არჩევანის წინაშე დააყენა.

---

[367]ჟურ. ფორუმი, თბ., 2016, გვ. 29,
[368]იგივე, გვ . 29.

ეროვნული ორიენტირების ჩამოყალიბება ურთულესი საკითხია. მას ვერც მწერლები და ხელოვნების წარმომადგენლები გადაწყვეტენ, ვერც მეცნიერები და პოლიტიკოსები, ვერც ცალკე არსებული პოლიტიკური პარტიები. ამისათვის საჭიროა გაირკვეს, თუ ტრადიციულად რა ფასეულობებზე დგას ჩვენი ქვეყანა და დღევანდელ რეალობაში, მულტიკულტურალიზმის გამოწვევებს ყოველივეს დაცვისა და განმტკიცების გამოხატვით გავცეთ პასუხი.[369]

სწორი და ადექვატური პასუხის გაცემისათვისა და აშშ-სა და ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებში შეცვლილი პოლიტიკური გარემოსა და რადიკალური პოლიტიკური ჯგუფების მომძლავრებასთან დაკავშირებული საფრთხეების პრევენციისათვის საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანია ევროპულ დედაქალაქებში მიმდინარე პროცესების მაჯისცემაზე ხელი გვედოს და შევძლოთ ამ პროცესების პოლიტიკური ანალიზი, რაც, თავის მხრივ, დაგვეხმარება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სწორად გააზრებაში, საკვანძო პრობლემების გამოკვეთასა და და კვლევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მჭედლიშვილი გ., მულტიკულტურიზმის ტრაგიკული განაჩენი (წერილი 3), თბ., 2013.
2. სტიგლიცი ჯ., გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბ., 2012.
3. სენი ამარტია, იდენტობა და ძალადობა, თბ.,2014.
4. ურუშაძე მ., გლობალიზაცია- გლობალური ტერორიზმის საფრთხე, თბ., 2014.

[369]გაზ., საქართველო და მსოფლიო, თბ., 2016, გვ. 13.

5. ქალდიშვილი გ., ტერორიზმი და ტერორისტული აქტები, თბ., 2015.
6. ხინჩაგაშვილი შ., სოლიდარობა, #6(33), თბ., 2009 .
7. შენგელია თ., მულტიკულტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი, თბ., 2015.
8. ჩერქეზია ნ., თანამედროვე პოლიტიკა, #4, თბ., 2012.
9. ჭიღიტაშვილი ა., ტერორიზმი, თანამედროვე გლობალური პრობლემა, თბ., 2010.
10. ჟურნ. „ფორუმი“, თბ., 2016.
11. ჟურნ. ჩვენი უნივერსიტეტი, #12, გორი, 2012.
12. Htttp: ||cela.ge|ge|page|civicus-6
13. www.multilingualeducation.org
14. ჰეივუდი ე., პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ., გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2007.
15. ნაციონალიზმი მასალა ვიკიპედიიდან - თავისუფალი ენციკლოპედია, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19.01.2017. https://ka.wikipedia.org/wiki.
16. დავითაშვილი ზ., ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., ფონდი „ღია საზოგადოება _ საქართველო“, 2003.
17. გელნერი ე., ერები და ნაციონალიზმი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2003.
18. სმითი დ., ნაციონალიზმი- თეორია, იდეოლოგია, ისტორია, თბ.,არტანუჯი, თბ., 2004.
19. ჩხაიძე ი., ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქარ-თული ნაციონალური პროექტი (თერგდალეულები), თბ., 2009.
20. სანიკიძე გ., კიღურაძე ნ., თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, თბ., 2001.

21. ზუკაკიშვილი ქ., ,,რადიკალიზმის ახალი ტალღა ევროპაში“, 26.11.2013 -http://www.tabula.ge/ge/story/77451-radikalizmis-axali-talgha-evropashi
22. დონალდ ტრამპი - მასალა ვიკიპედიიდან - თავისუფალი ენციკლობედია - https://ka.wikipedia.org/wiki/დონალდ_ტრამპი - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 07.06.2017
23. მელაძე ს.ამერიკული გაკვეთილი ლიბერალიზმის კრახი და კონსერვატიზმისზეობა, სპუტნიკი-საქართველო, 11.11.2016-https://sputnik-georgia.com/reviews/20161111/233791662/amerikuli-gakvetili.html
24. პერტაია ლ. ლიბერალური დემოკრატიის კრიზისი-რას შეცვლის დონალდ ტრამპის გამარჯვება - 14.11.16http://netgazeti.ge/news/154566/
25. European.ge სკიდელსკი: ტრამპიზმი შესაძლოა, ნეოლიბერალიზმის კრიზისიდან გამოსავალი აღმოჩნდეს 15.12.16-http://european.ge/robert-skidelsky-trampizmi-da-neoliberalizmi/
26. დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკა. 31.05.2018http://www.tabula.ge/ge/topic/%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90
27. წარმატებული რადიკალი 17.05.2012..http://www.tabula.ge/ge/story/59592-tsarmatebuli-radikali
28. ჟურნალი ტაბულა - საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მაკრონმა ლე პენი დაამარცხა. 24.04.17http://www.tabula.ge/ge/story/119555-safrangetis-saprezidento-archevnebis-pirvel-turshi-makronma-le-peni-daamarcxa
29. მაკრონი: აუცილებელია ევროკავშირის რეფორმირება, სხვა შემთხვევაში მივიღებთ FREXIT-ს. 01.05.18.

http://www.tabula.ge/ge/story/119763-makroni-aucilebelia-evrokavshiris-reformireba-sxva-shemtxvevashi-mivighebt-frexit-s

30. ლე პენი: საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტი ქალი იქნება, ეს ან მე ვიქნები ან მერკელი. 04.05.17.http://www.tabula.ge/ge/story/119858-le-peni-safrangetis-momavali-prezidenti-qali-iqneba-es-an-me-viqnebi-an-merkeli

31. ჟურნ. ტაბულა - მარინ ლე პენმა საპრეზიდენტო არჩევნებში მარცხი აღიარა და მაკრონს წარმატება უსურვა. 07.05.17. http://www.tabula.ge/ge/story/119932-marin-le-penma-saprezidento-archevnebshi-marcxi-aghiara-da-makrons-tsarmateba-usurva